**გარი ჩაფიძე**

# ბოლო ზარი

## დეტექტიური რომანი

*თბილისი 2012*

*აკადემიკოს გარი ჩაფიძის მეტად თავისებურსა და შინაგანი დრამატიზმით სავსე თხზულებებს, რომელიც დიდი ინტერესით იკითხება, მკითხველი დიდი ხანია იცნობს. შემთხვევითი არაა, რომ მისი შემოქმედება ფანტასტიკური ნახტომით ერწყმის XXI საიკუნის მოვლენებს, ავტორი განსაკუთრებული სიფრთხილით ზომავს დეტექტიურ ნაწარმოებებს, რის დასტურიცაა, წინამდებარე ფილოსოფიურ-რელიგიური ხასიათის რომანი „ბოლო ზარი“. მასში წარმოჩენილია ცხოვრებისეულ ურთიერთობათა მეტად რთული საკითხები და ადამიანის ორმაგი ბუნება ეშმაური და კეთილი.*

*მწერლის „მსხვერპლი“ ხელი და მკითხველის მახვილი თვალი განუწყვეტელ ბრძოლასა და ჭიდილს განიცდის სატანურ-ანგელოზურ საწყისებთან, რასაც ბოლოს ირეალურიდან რეალურში გარდასახვით ჭეშმარიტებამდე მივყავართ.*

*საინტერესო თხზულებებში აშკარად შეინიშნება, რომ გამოჩენილ აკადემიკოსს, მეცნიერს, ღვაწლმოსილ პედაგოგს და მწერალს უყვარს თავისი საქმე და მის სიმძიმეზე მართლა არ ფიქრობს.*

რედაქტორი:
პროფესორი ციალა გორდეზიანი

ISBN 978-9941-0-4081-8

# ბოლო ზარი

განათლების გაყოფილების გამგე ის–ის იყო ორსაათიან მოხსენებას ასრულებდა, ზოგიერთმა პედაგოგმა რომ გამოიღვიძა. ერთ–ერთ მათგანს ცოტა უფრო ადრე გამოღვიძებულმა კოლეგამ მოურიდებლად გაჰკრა მუხლი და ისე გაირინდა, თითქოს თვითონაც არ სძინებოდა... მომსხსენებელი განაგრძობდა:

– კოლეგებო, ხვალ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების დამამთავრებელ კლასებისთვის ბოლო ზარი დაირეკება და დაიწყება გამოცდები. სიმწიფის ატესტატს ყოფაქცევითა და სწავლით გამორჩეული მოსწავლეები მიიღებენ, რაც შეეხება მეჩვიდმეტე საშუალო სკოლის იმ უდისციპლინო აღსაზრდელთა გამოსაშვებ გამოცდებზე დაშვების საკითხს, ხვალ დირექტორთან და მათს მშობლებთან ერთად გადავწყვეტ.

მომხსენებელი ცოტა ხნით გაირინდა, ბოლოს ხელი ჩაიქნია, აუდიტორიას გადახედა და ქალურად, მაგრამ რიხიანად იკითხა:
– შეკითხვები არის?

დარბაზში სიჩუმემ დაისადგურა და როდესაც განათლების განყოფილების გამგე წასასვლელად შებრუნდა, სწორედ იმ დროს, აუდიტორიის შუა რიგებიდან ბრგე, სანდომიანი შესახედაობის, თმაშევერცხლილი მამაკაცის ხმა გაისმა:

– მე მაქვს შეკითხვა!

ხელმძღვანელები არ არიან ჩვეულნი ასეთ „გამოხტომებს“.

– ბრძანეთ! – უკმაყოფილო მზერა...

– არავის წინააღმდეგ არ ვაპირებ გაილაშქრებს, მაგრამ ჩემი აღზრდილებისა თუ აღსაზრდელების დაცვა უპირველეს მოვალეობად მიმარჩნია, ამიტომაც ყველა პედაგოგის თანდასწრებით გეკითხებით: რაში გამოიხატება ჩემი სკოლის იმ სამი მოსწავლის უდისციპლინობა, რომელთა ბედი სასწორზე დაგვიდევს?

განათლების განყოფილების გამგე თითქოს მოელოდაო ამ შეკითხვას, დაუფიქრებლად გასცა პასუხი.

– ამ საკითხის განხილვა ბატონო რამაზ, ვიწრო წრეში მსურს!

– ქალაქტონო ვენერა, აქ ყველა პედაგოგები ვართ, კოლეგები და დასამალი არაფერი გვაქვს..

– სწორი ბრძანებაა, ყველანი აქა ვართ, მაგრამ არ არიან დამნაშავენი! – ამ სიტყვებთან ერთად, განათლების განყოფილების გამგემ წითელმაუდგადაფარებულ მაგიდაზე მიმოფანტული ფურცლები აკრიფა და ტანის რხევით დატოვა მოფუსფუსე აუდიტორია.

მეორე დღეს მეჩვიდმეტე საშუალო სკოლის დირექტორი სამ მეთერთმეტე კლასის მოსწავლესთან და მშობლებთან ერთად, განათლების განყოფილების გამგეს მოსაცდელში ელოდა.

რეგისტრაციის გრძელი სია...

გამოიძახეს „დამნაშავე“ სკოლის დელეგაციაც.

სკოლის დირექტორმა კაბინეტის კარები მორიდებით შეაღო და შესვლის ნებართვა ითხოვა. თანხმობისთავანე მას კაბინეტში ორი ორმოციოდე წლის ქალი შეჰყვა. მათ შორის ერთი ზომაზე მეტად ჩასუქებული, ხოლო მეორე – შედარებით სუსტი ქალბატონი, მაღალი და შავგვრემანი იყო. მანდილოსნებს ორი თუ სამი დღის წვერგაუპარსავი, ტანმორჩილი და დაღვრემილი მამაკაცი მიჰყვა, მამაკაცს კაბინეტში, ახალგაზრდა გოგონა შეჰყვა რომელსაც მხრებზე წაბლისფერი თმა ჩამოშლოდა. იმის ლერწამივით მოქნილი ტანი სპორტსმენის ტანადობაზე მიგვანიშნებდა. შემდეგ ჩასუქებული ახალგაზრდა შევიდა, სულ ბოლოს კი მამაკაცის სახის იერნაკვთა ყმაწვილი. წვერგაუპარსავი მამაკაცი, შვილისგან განსხვავებით, შავრგვრემანი გახლდათ.

ახალგაზრდები ოთახის კუთხეში მიიყუჟნენ, მშობლები კი განათლების განყოფილების გამგის პირისპირ სავარძელში მოკალათდნენ.

ცოტა ხანს სიწყნარე ჩამოვარდა, გამგემ მოწვეული „სტუმრები“, გულდასმით შეათვალიერა შემდეგ მაგიდაზე ფანქრის კაკუნს მოუმატა და მოულოდნელად ისეთი რიხიანი ხმით, წარმოსთქვა, რომ დამსწრენი შეკრთნენ.

– იცით, რატომ გამოგიძახეთ?

ბუზის გაფრენის ხმა...

– ქალბატონო ქეთევან, თქვენი შვილია ეკა ხვედელიძე? – გამჭოლი მზერა მიაპყრო გამგემ ჩასუქებულ მანდილოსანს, ეკას კი ბაგეზე ღიმილის პეპელა აუთამაშდა, რომელიც უფროსს შეუმჩნეველი არ დარჩა და განრისხებით მიმართა:

– რას იღიმები, გოგო, შენ, ხატი პეპელასავით რომ ქასრავ მაგ თვალებს!

ეკას შავი, დიდრონი თვალები დღემდე, არვის გამგის მსგავსად არ მიესადაგებინა, ახლა კი ამ აღმოჩენამ, ყველა ხმამაღლა გააცინა თვით ეკას დედაც კი. როდესაც ირგვლივ სიცილმა ქარივით გადაიშრიალა, ხელმძღვანელმა განაგრძო:

– მე სათითაოდ არ შევუდგები თქვენი შვილების დანაშაულებათა განხილვას, რამეთუ დანაშაული ერთი და იგივეა! ეს გოდორივით ყმაწვილი, ალბათ თქვენი პირმშოა, ქალბატონ მაყვალა ლაბაძე, ხომ? სახელი კი კარგი დაგირქმევიათ, გიორგი! ალბათ არ იცოდით, როგორი დადგებოდა ახალგაზრდობაში, თორემ „გოდორას“ დაარქმევდით (სიცილმა ისევ ნიავივით გადაუქროლა კაბინეტს), ეს კი ალბათ თქვენი ვაჟკაცია, ბატონო ალექსანდრე გოცირიძე, რომლისთვისაც ზედმეტი სახელი ვერ მომიძებნია! სწორედ ეგ უბიძგებს და მიაქანებს ახალგაზრდებს შავი სამყაროსკენ... მთლად უტვინოა, უგულო, უსისხლო...

– უატესტატო, უცოლო, უშვილო, უსახლო, უკარო... – წამოიძახა კუთხეში მდგარმა ლაშამ და გამგეს სიტყვა შეწყვეტინა, ხარხარმა თოფის გასროლასავით გადაუგრიალა კაბინეტს.

– დიახ! დიახ! ყველაფერი რაც კი „უ“–ზე იწყება და უარყოფითია შენგან მომდინარეობს, ყოველგვარ გრძნობას მოკლებული, ნახერხით გატენილი მხეცის ფიტული, ჰო, ეს

ხარ შენ! კარგი შედარებაა, „ფიტული“! შესახედავად საშიში, და არაფრის მაქნისი...

– ბოდიში პატივცემულო, მაგრამ რით დავიმსახურე, ესოდენი წყრომა?

– კიდეც მეკითხები? თქვენ უნდა გესმოდეთ მშობლებო, რით დაიმსახურა არა მარტო ჩემი, არამედ მთელი რაიონის პედაგოგიური ელიტის რისხვა ამ სამმა ახალგაზრდამ საჯაროდ სიყვარულობანას თამაში დაიწყეს. კი ბატონო, სიყვარულს ასაკი ბადებს, რაა ამაში ცუდი, მაგრამ ხომ გაგიგონიათ: „სიყვარულსა მალვა უნდა, ვითა ცხენსა ნაპარავსა“ ამან, კი, „ფიტულმა“ მთელ ქვეყანას გააგებინა თავისი სიყვარულის ამბავი და მეორე ტარიელი გამომიჩნდა, დაკარგულ შეყვარებულს დაუწყო ძებნა, ფეხზე დააყენა საგამომძიებლო ორგანო თუ შავი სამყარო. შედეგი? გაკვეთილების გაცდენა და მთელი განათლების სისტემის შერცხვენა.

– პატივცემულო ვენარა! – შეპასუხება მხოლოდ დირექტორმა გაბედა – გნებავთ, ლაშა გოცირიძის შეყვარებული კი არა, უბრალოდ, თანაკლასელი ყოფილიყო. ლიკა გეგეშიძე, თუ კი უგზო–უკვლოდ დაკარგულ მეგობარს მოძებნის, ვფიქრობ, სასირცხვილო არაფერია, მეზობელს დაკარგული ინდაური რომ მოაძებნინო, კეთილ საქმედ ითვლება და შვილი თუ მოაძებნინე, სამარცხვინოდ?

– ბატონებო, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს, პოლიციამ თავისი, ჩვენ–ჩვენი!

– აი ასეთმა მსჯელობებმა, ამ ორი წლის განმავლობაში ოცდართვა ახალგაზრდა დაკარგა უგზო–უკვლოდ, ჩვენ კი მათ გაუჩინარებას ხან გამოუცნობ მფრინავ ობიექტებს ვაბრალებთ, ხან გრიგალს და ხანაც წყალდიდობებს... ჭორების გავრცელება ადვილია. ჩემი აზრით, მარტო ლაშა კი არა, მთელი საქართველო უნდა იბრძოდეს ამ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ...

– ბატონო რამაზ! მე თქვენი აზრი მაინტერესებს, შეყვარებულთა ძებნაში გაცდენილი გაკვეთილები მოვუწონოთ

ამ სამ ახალგაზრდას და ორდენზე წარვადგინოთ? როგორ გვაპატიო „ფიტულას“ თავის დამქაშებთან ერთად ჩემი კაბინეტის კარის აჭედვა? არა! მე ლაშა გოცირიძეს გამოსაშვებ გამოცდებზე ვერ დავუშვებ!

– კარების აჭედვა? – ფეხზე წამოდგა ლაშას მშობელი – რა იყო მიზეზი?

– ჩემგან მოითხოვდნენ, რომ გაფიცულიყო რაიონის მოსწავლე–ახალგაზრდობა პედაგოგებთან ერთად, რათა სამართალდამცავ ორგანოებს დაეჩქარებიათ გაუჩინარებული მოსწავლეების ძებნა. იცით, მეც ვეთანხმები იმას, რომ ამ ამაზრზენ ფაქტებს ბოლო უნდა მოეღოს, ხვალ–ზეგ, შეიძლება ეს ახალგაზრდებიც უგზო–უკვლოდ გაუჩინარდნენ და სად? კითხვა, რომელიც ყველას ერთნაირად გვტანჯავს და კითხვა, რომელზეც პასუხი ვერავის უპოვია, მაგრამ გაფიცვები კი არა, ასი თვალი და ასი ყური უნდა გამოვიბათ ასეთ შემთხვევაში...

– იცით, მე ჩემი შვილის საქციელში ცუდს ვერაფერს ვხედავ, მეგობრის სიყვარულსა და ჭირში თანადგომას დანაშაულად ვერ ჩავუთვალი! – თქვა და შვილთან ერთად ალექსანდრემ კაბინეტი დატოვა.

– აი დემოკრატიის შედეგი! ეს ანარქიაა! – დაიქუხა განათლების განყოფილების გამგემ და მაგიდაზე ისე ძლიერ დაარტყა მუშტი, რომ თაბაშირით გამოძერწილი ლენინის ბიუსტი, მაგიდიდან გადმოვარდნის შიშით ჯერ აკანკალდა და შემდეგ იატაკზე მოადინა ბრახვანი...

* * *

მეჩვიდმეტე საშუალო სკოლაში მოუთმენლად ელოდნენ, განათლების განყოფილებაში რისხვადატეხილ „დამნაშავეთა“ გამოჩენას. მდგომარეობის განსამუხტავად სკოლის დირექტორმა, ბატონმა რამაზმა, საკუთარი ხელით დარეკა ბოლო ზარი, რაც უჩვეულო იყო. ელექტრო ზარი, რომელიც დღემდე მოსწავლეებს გაკვეთილების დაწყება–დამთავრებას აუწყებდა, კი არ რეკდა, არამედ... ის ვერცხლის ზარი, ერთ–ერთი

სოფლის ეკლესიას რომ მოხსნეს კომუნისტებმა და ქალაქის საწყობში შეინახეს, საკუთარი მხრებით ამოიტანა საწყობიდან რამაზ მასწავლებელმა, საკუთარი ხელით დაკიდა სკოლის შესასვლელში, და ყველასთან განსაკუთრებულ ყურადღების საგნად იქცა. ახლა სწორედ ამ ზარის ზონარი ეჭირა დირექტორს და გამალებით სცემდა წკრიალა ენას ვერცხლის კედლებს. დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთათვის ბოლო ზარი ირეკებოდა...

* * *

დაღვრემილი დაბრუნდან მამა–შვილი ოჯახში, ვერცერთს ვერ მოეძებნა სასაუბრო თემა, ბოლოს მამამ დაარღვია ოჯახური მყუდროება:

– ნუ დაითრგუნები შვილო, ეს განუკითხაობა არც შენი ბრალია და არც შენი განათლების განყოფილების გამგის, ეს არეულობა დრომ მოიტანა რა თქმა უნდა ძნელია, თანაკლასელისა და მეგობრის უგზო–უკვალოდ დაკარგვა, მაგრამ უფრო აუტანელი იმ პირველი გრძნობისა და ოცნების დაკარგვაა, რომელსაც სიყვარული ჰქვია. რა გინდა, რომ ჰქნა როცა ჩვენს ძალებს აღემატება მათს კვალში ჩადგომა და მათი მოძებნა?

– აბა, როგორ მოვიქცეთ მამა? დავყაროთ იმედის ფარ–ხმალი და ძილსა და ჭამაში გავლიოთ სიცოცხლის დღენი? ადამიანი ისედაც ბევრ დროს ფლანგავს უსარგებლოდ სამოცდაათი წლის სიცოცხლის განმავლობაში ოცდასამ წელიწადს ძილში ატარებს, თოთხმეტს საუბარში და შვიდს – ჭამაში. აბა, ახლა წარმოიდგინე, ამ მოკლე წუთისოფელს უქმე დღეების დამატება სჭირდება?

– რატომ უნდა იყო უსაქმოდ შვილო, მშვიდობით თუ ჩხუბით სიმწიფის ატესტატს მოგცემენ, და ინსტიტუტში იურიდიულზე ჩააბარებ, ხუთ წელიწადში თეორიულად განათლებული პიროვნება იქნები და შემდეგ მოძებნი იმ შენ დაკარგულ მეგობრებს.

– არა მამა, რკინა სანამ ცხელია, მანამ უნდა გაჭედო იარაღი, თორემ ცივ რკინას, რაც არ უნდა სცემო, არაფერი გამოვა...

– რა გაგინზრახავს შვილო?

– კარგი გამომძიებელი უნდა ვნახო ვინმე, კერძო დეტე-ქტივი, დამნაშავეთა კვალს რომ მივაგნო!

– მაგას საკმაო თანხა სჭირდება, შენ სადა გაქვს მაგის შესაძლებლობა? ადვილი გგონია კერძო დეტექტივის და-ქირავება? ადამიანის ძებნა კი არა, ხარი დამეკარგა, მივედი გამომძიებელთან და ისიც კი ვუთხარი ვინ მომპარა, მან კი იცი რა მიპასუხა? – უმჯობესიაო მაგ საქმეს მოეშვა, თორემ ხომ იცი, როგორ დროშიაც ვცხოვრობთ, განცხადების დაწ-ერას ფული უნდა, ვექილსაც, მოსამართლესაც, პროკურორს... მეცო ხომ მინდაო ორი კაპიკი... დავუშვათ და, ორი ხარის ღირებულების გახარჯვის შემდეგ მივაგენით კვალს და დავი-ჭირეთ ქურდი, ვინ მოგცემს იმ ხარის საფასურ,? როდესაც შენი საქონლის მომპარავს არც ერთი გროშიც არ ექნება? რა თქმა უნდა, ვერც ფულს მიიღებ და ვერც ხარს, ქურდს კი სამუდამოდ გადაიკიდებ....

– არც მთლად მასეა, მამა! სუყველა ფულზე ხომ არ არის გადასული? მეც ისეთ გამომძიებელს მოვძებნი, ადამი-ანობას ფულზე რომ არ გაყიდის.

– დავუშვათ და მოძებნე ასეთი კეთილშობილი ადამიანი, რომელიც ფულისათვის არ იბრძოლებს, სახარჯო ფული მაინც ხომ დამჭირდება სამოძრაოდ?

– სახარჯო ფულს ,,შავი სამყარო'' გაიღებს...

– რჩევა შემიძლია მოგცე, შეეშვი ყოველივეს, სულიერად დაწყნარდი, ჩავსხდეთ აქ, სოფელში, ვებრძოლოთ მიწას, როგორც ებძროდა ჩვენი მამა–პაპა, მიწაა ჩვენი მარჩენალი და მიწაა ჩვენი გამსაღებელიც, დაიღლები? დაჯექი, დაისვენე მოგწყურ-დება? ჭურიდან ამოღებული ცივი ღვინო დალიე, წყაროს წყლით გაიგრილე შუბლი, არც არავის ებატონო და არც არვინ გიბატონებს, იცხოვრე სუფთა ჰაერზე და იოცნებე,

რამეთუ მსოფლიო მეცნიერებამ კავკასიელი ხალხის მრავალწლიანი სიცოცხლე – კეთილი სურვილების ოცნებით ახსნა, საოცნებოს კი რა გამოგვილევს, ვიოცნებოთ და ვებრძოლოთ მიწას სოფლის სუფთა ჰაერზე...

– მიწა, მიწა, სულ მიწას იძახის ადამიანი და ყოველთვის კი ეპატარავება ყანა თუ ვენახი. მკვდარი რომ გააცოცხლო და თავისი საფლავი დაანახო ნეტა, ჩხუბს თუ დაიწყებს? – რად გაჭერითო ასე პატარა?...

– რას იზამ შვილო, ასეთია ადამიანის მოდგმა, მკვლელობები, დიდი თუ პატარა ომები, ყველა მიწისხელში ჩასაგდებადაა გამიზნული.

– მერედა, რას იღებდა ტერორი მიწების დაბპყრობით? ალექსანდრე მაკედონელმა მსოფლიო დაიბყრო ომებით და იცი რა აწერია იმის საფლავის ქვაზე? „ეს საფლავი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, ვისაც არ ყოფნიდა მთელი სამყარო!“

– შენ რა გგონია, შვილო, ალექსანდრე მაკედონელს აღზრდა აკლდა? ან რომელიმე დამპყრობს ადამიანური გენები არ ჰკარნახობს: „არ ჰკლა?!“ მაგრამ სატანა მოსვენებას არ აძლევს და ყველაფერს ღმერთის საწინააღმდეგოდ აკეთებინებს. შენც იცი, ვინ იყო, ალექსანდრე მაკედონელი! მისთვის მამა, ფილიპე მეორე, რომ არ მოეკლათ, ის ტერორი არ გახდებოდა, მაგრამ მამის სიკვდილის შემდეგ, როგორც კი გამეფდა, მიზნად დაისახა, მსოფლიოს ერთი ხელისუფალი გამხდარიყო, ხალხს ბედნიერად ეცხოვრა, „ვკლავ იმიტომ, რომ არ მოხდეს მკვლელობა!“ – ამბობდა დიდი მხედართმთავარი და დაპყრობილ ქვეყნებში ახალ–ახალ ქალაქებს-ალექსანდრიას აგებდა. დღეს, როდესაც ადამიანებმა კოსმოსური სივრცის ჩხრეკა, შესწავლა დაიწყეს, შეიძლება ალექსანდრე მაკედონელის პიროვნებას ჩრდილიც მიაყენონ, მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს წარსული. სამოცდაათი წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე, კაციობრიობის უმეტესობა ჯერ კიდევ ველურად ცხოვრობდა, თუმცა იყო ქვეყნები, სადაც მეცნიერე-

ბა ფილოსოფია კულტურა ვითარდებოდა, ასეთ ქვეყნებს საქართველოც განეკუთვნებოდა, დიახ, ურთიერთშორის ჩამოვარდნილმა შუღლმა გაანადგურა ჩვენი ძველი კულტურა, ისევე როგორც ჩინური ენციკლოპედია, რომელიც თერთმეტი ათას რვაას სამოცდაათი ტომისაგან შედგებოდა, მანჯურიელმა წერა–კითხვის უცოდინარმა ბრბომ, პეკინის აღების დროს დაწვა ეს უნიკალური ქმნილება და რაც გადარჩა, 1900 წელს „ბოქსიორების“ ავჯანყებამ მოღო ბოლო, ასე გაჰქრა იმპერატორ იუნლოს მიერ გამოცემული ერის დიდება ასე მოხდა საქართვლეოშიც, დაიწვა საქართველოს კულტურისა და დიდების კერა, არქივი... ვინ არის დამნაშავე?

– ვინც არ უნდა დავადანაშაულოთ, ეს არაფერს არ ნიშნავს? მითხარი, მამა! დაზარალებულს რა ეშველება და ოდესმე აღსდგება თუ არა დამწვარი და დაკარგული დიდება!

– არასოდეს!

– აი, ამიტომ მჭირდება ასეთი გამომძიებელი დეტექტივის პოვნა, რომელიც ჩემსავით ფიქრობს სამშობლოზე, მშობლიურ ხალხზე, რომელიც იბრძოლებს მათ სადიდებლად! მე ჩემსას ვეცდები და დანარჩენი ღმერთმა იცსოდეს...

* * *

მეორე დღეს, დილით, „ფიტული“ ბადრი ჩოხელის საკუთარი სახლის ჭიშკართან იდგა და ელექტრო ზარის ღილაკს თითს აჭერდა... სახლიდან ლამაზმა გოგონამ გამოიხედა.

– ბატონი ბადრი შინ ბრძანდება?

– სახლში გახლავთ, რა მოვახსენო, ვინ ბრძანდებით, ან რა საკითხზე შეწუხებულხართ?

– ნუ მიწყენთ, პირადი საქმე მაქვს გამომძიებელთან. ვერც მოსვლის მიზეზებს გაგიმხელთ?

– ასე მოვახსენებ! – გოგონამ წარბებს ქვემოდან გამოხედა ყმაწვილს. სახლის მეორე სართულის კიბეს აუყვა, ორიოდ წუთის შემდეგ დაბრუნდა და სტუმარს მოახსენა:

– გამომძიებელი დღეს ვერ მიგიღებთ, დაკავებულია, ხვალ დილით მობრძანდით ცხრა საათისათვის...

ყმაწვილმა გაკვირვებული მზერა მიაპყრო მოსაუბრეს, ელვისებური სისწრაფით მოსწყდა უმალ ადგილს და აირბინა ის კიბე, საიდანაც ეს წუთია გოგონა ჩამოვიდა.

ბადრი ჩოხელი, საწერ მაგიდასთან იჯდა და რაღაცას გამალებით წერდა.

– ვისთან მაქვს პატივი? – ახალგაზრდის თავხედობით გაკვირვებულმა გამომძიებელმა თვალი თვალში გაუყარა „ფიტულს“.

– ლაშა გოცირიძე გახლავართ, მეჩვიდმეტე საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე! ზედმეტ სახელად „ფიტულს“ მეძახიან. წარმოთქვა ყმაწვილმა, როდესაც გამომძიებლის მიერ შეთავაზებულ სავარძელში მოკალათდა.

გამომძიებელი ბადრი ჩოხელი სპორტული აღნაგობის, ნახევარ საუკუნეს მიტანებული, თმაშევერცხლილი, ძალზე სანდომიანი შესახედაობის მამაკაცი იყო, იგი წლების მანძილზე პროკურატურის სახელგანთქმულ გამომძიებლად ითვლებოდა, მაგრამ ვერ გაუძლო ზოგიერთი უსისხლო კოლეგისაგან დაზარალებულთა მოტყუებასა და ფულის გამოძალვას, მიატოვა რამოდენიმე წლის ბრძოლით განვლილი კარიერა და კერძო დეტექტივად დაიწყო მუშაობა, რასაც თვითონ „ხალხის სამსახურს“ უწოდებდა.

ახლა ამ სახელგანთქმული დეტექტივის წინაშე იჯდა „ფიტული“ გამომძიებელის ალღოს არ გამოპარვია, რომ ბიჭს საუბრის დასაწყებად მცირე ბიძგი სჭირდება და ღიმილით უთხრა:

– თქვენ თავი წარმომიდგინეთ, როგორც ლაშა გოცირიძე, თუმცა აღნიშნეთ, რომ „ფიტულსაც“ გეძახიან, როგორ გავიგოთ თქვენი ხუმრობა, ან ვინ შეგარქვათ ასეთი საშინელი სახელი?

– გუშინ შემარქვა განათლების განყოფილების გამგემ...

– რისთვის? ასეთი განა რა დააშავეთ?

– გაფიცვის ორგანიზატორობისათვის! მოგეხსენებათ, ჩვენი რაიონის სხვადასხვა სკოლებიდან ოცდარვა ახალგაზრდა დაიკარგა უგზო–უკვლოდ და მოვითხოვდით ეწარმოებინათ იურიდიული ძიება დაეწყოთ გაუჩინარებულთა მოსაძებნად!

– ოჰო! ეს ამბავი მეც მსმენია, შენა ხარ ის ლეგენდარული ლაშა ბიჭი, რომელიც სატრფოს დაეძებს და მიტინგზე ფიციც კი დადათ, „ან მოვკვდები, ან დამნაშავეს ვიპოვიო“...

– დიახ! – სახე აეფაკლა „ფიტულს“.

– ჩემგან რას მოითხოვთ?

– დახმარებას, რომ მოვძებნოთ ბოროტმოქმედი და დავსაჯოთ კანონის ძალით! „კანონის ძალით“, ეს სიტყვა კანონმდებელთან თქვა ახალგაზრდამ, თორემ ბოროტმოქმედის დასჯა საკუთარი „კანონით“ ჰქონდა გადაწყვეტილი.

– თქვენ იცით, რას ნიშნავს კერძო დეტექტივი?!

– ვიცი, მაგრამ ყველაფერი რომ ფულზე არ გადავამრავლოთ ხომ შეიძლება ერთი თვე მოსცდეს ადამიანი სახარების წერას როცა შენს ერს საფრთხე ემუქრება?

– თქვენ გგონიათ მე სახარებას ვწერ?

– არა, მაგრამ... მაგალითი მომყავს, უწმინდესი და უნეტარესი წიგნისა!

– თქვენც მართალი ბრძანდებით. დღეიდან ყველა ჩემს საქმეს, გამოძიებულს თუ გამოსაძიებელს სეიფში შევინაცავ და ხვალიდან თქვენთან ვითანამშრომლებ!

– მართლაც რომ გთხოვდით, მიგელეთ თანამშრომლად, მხოლოდ ამ ერთი საქმის გამოძიებისათვის, სხვა დროს კი... ღმერთმა ნუ მოგვცეს ქართველების გამოსაძიებელი საქმე!

– ვინ იცის, არც ამ შემთხვევაში არიან ქართველები დამნაშავენი, თუმცა ადვილიც არ გეგონოს გამოძიება ისეთი საქმისა, ოცდართვა ადამიანის გაუჩინარებას რომ ეხება...

– როგორ გგონიათ, ბატონო ბადრი, ვის უნდა დასჭირვებოდა მათი სიცოცხლე?

– ადამიანის ცოცხლად გამოყენებაც შეიძლება, რატომ ფიქრობ უკიდურესს? ნუ აჩქარდები, გამოძიება გვიჩვენებს

შედეგს? ხვალ დილის ცხრა საათზე აქ გელოდები, საქმეს მივხედოთ, შევუდგეთ ძიებას!

– სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა, ბატონო ბადრი, კარგად ბრძანდებოდეთ, ხვალ ცხრა საათზე გეახლებით! – ამ სიტყვებით დატოვა „ფიტულმა“ გამომძიებლის კაბინეტი და, ფიქრებში ჩაძირული ფეხით გაუყვა ჭადრების ხეივანს, შუადღის ხვატი ისე ჩამოწოლილიყო ქალაქში, რომ ადამიანის ჭაჭანება არსად ჩანდა... მოულოდნელად „ფიტულის“ ფეხებთან მსუბუქი ავტომანქანა დამუხრუჭდა, საიდანაც სასწრაფოდ გადმოვიდა ორი ჩაფსკვნილი მამაკაცი და „ფიტული“ თვალის დახამხამებაზე უსწრაფესად ბურთივით შეისროლა ავტომანქანის უკანა სალონში... „ალბათ ასე მოიტაცეს ჩემი ამხანაგებიც“ – გაიფიქრა ყმაწვილმა და გაბრძოლება სცადა, მაგრამ ავტომობილის უკანა სალონი გადატიხრული იყო და იმისი მუშტის მოქნევა უშედეგო გამოდგა. აღმოჩნდა, მინის ტიხარში კარგად ჩანდა, თუ როგორ გაეღიმა მძოლს და გვერდით მჯდომ მამაკაცს როგორ გადახედა, „ფიტულს“ არ მოუწონა მისი სახის ფერი, თითქოს გამჭვირვალე სახე ჰქონდა ორივეს – ნაცრისფერი, უსისხლო „მე უნდა მერქვას „ფიტული“ და ამათ ადამიანი?“ გაიფიქრა ახალგაზრდამ და დროებით ბედს დამორჩილდა... კარი არ იღება, გარეთ არაფერი ჩანს, საით და რომელი მიმართულებით მიდის არ იცის, „ბოლოს და ბოლოს ხომ მივალთ სადღაც?“ „ხავსს ეჭიდება“ ყმაწვილი, ავტომანქანა კი ბოლო სიჩქარით მიიკვლევს გზას...

სალონში, სადაც „ფიტული“ იჯდა, სასიამოვნო სუნი დადგა და ახალგაზრდამაც ღრმად ჩაისუნთქა ეს ნექტარი, შემდეგ აღარაფერი ახსოვს...

გონს, რომ მოეგო, ავტომანქანა გაჩერებული იყო, ტკივილისაგან თავი უსკდებოდა, პირისღებინების შეგრძნება ჰქონდა, დაღამებულიყო, ტიხარს იქით აღარავინ ჩანდა, სიბნელეში ავტომანქანის კარების საკეტი მოძებნა, ორივე მხარე საგანგებოდ დაკეტილი აღმოჩნდა, სავარძლის საზურგე ასწია

და ფრთხილად გადაძვრა საბარგულში, რომელიც შიგნიდან-აც ადვილად გააღო და ფრთხილად გადმოყო ხელი ოდნავ გაღებული საბარგულიდან, გარეთ ნისლი იყო, ცოტა წვიმდა კიდეც, დროის დაკარგვა აღარ შეიძლებოდა, ვინ იცის, სად იყვნენ და როდის დაბრუნდებოდნენ გამტაცებლები, ჩქარა და საზრიანად უნდა ემოქმედა... საბარგულიდან უხმაუროდ გადმოგორდა, პირველად მანქანის მიმართულებით წავიდა, მაგრამ არც თუ შორს მნათობელ წერტილს მოჰკრა თვალი, მყისვე შემობრუნდა უკან და სირბილით გაუყვა საავტომობილო გზას, თუმცა არც მნათობელ წერტილს დარჩენია შეუმჩნეველი მოსიარულე ჩრდილი და ისიც სირბილით დაედევნა აჩრდილს, „ფიტულმა“ უმატა სიქჩარეს, მნათობელი წერტილიც ფეხდაფეხ მისდევდა ჭაბუკს, საავტომობილო გზაზე მოაჯირს წააწყდა, „ალბათ ხიდია“ – გაიფიქრა, შემდეგ სირბილით მიიჭრა, მნათობელი მდევარი უკვე მოგიზგიზე თვალად ქცეულიყო, უეჭველად მსხვერპლსაც ნათლად ხედავდა... თავის ტვინი არნახულად მუშაობდა: – „ხიდს ქვეშ მდინარე იქნება, მაგრამ რკინიგზა რომ გადიოდეს?! რაც არის, არის! სიკვდილს გავურბივარ და უარესი რაღა უნდა იყოს“ – წამიერი გაფიქრება და ხიდიდან გადაეშვა, არ ახსოვს რამდენ ხანს იფრინა ჰაერში და შემდეგ... წყლის ზვირთებს შეუერთდა „კარგია“! – უკვე ხმამაღლა წარმოსთქვა და მხარული მდინარის საწინააღმდეგოდ მოუსვა, რადგან გრძნობდა, მდევარი ძებნას მდინარის მიმართულებით დაუწყებდა.

პროჟექტორი ხიდიდან ანათებდა მდინარეს, რომლის ზედაპირზეც ტყვიების წივილი ისმოდა, ეტყობოდა, ხმის ჩამხჩობი იარაღიდან ისროდნენ...

სწორად უბრძანებიათ ჩვენს სულმნათ წინაპრებს: – „გასაჭირი მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო!“ ბავშვური, მაგრამ არაადამიანური ძალით მიარღვევდა მდინარის დინებას ახალგაზრდა, სანაპიროსთან ჩირგვნარის შენიშვნისთანავე გამოცურა და ღრე–ტყეში გაუჩინარდა. – „ნეტავ სადა ვარ?“ – წყვეტილად ფიქრობდა, გონებას ძალას ატანდა, რომ საიმედო

თავშესაფარი მოეძებნა ნახა კიდეც, გამოქვაბულის მსგავსი კლდე, ღრმად შეძვრა შიგ და შვებით ამოისუნთქა, ახლა ყოველგვარი ტკივილები უკუეგდო, მთლად გამოეფხიზლებინა მდინარის გრილ წყალს, განთიადამდე თავდასხმის საშიშროება აღარ ემუქრებოდა, მაგრამ მაინც, აქაურობის განრიდება სასწრაფო და აუცილებელი იყო პირველ რიგში უნდა დაედგინა, თუ სად იმყოფებოდა: „საქართველოში ამხელა მდინარე არსად არ არის. – ნეტავ რამდენ ხანს მეძინა?“ არ იცოდა საით წასულიყო, მაგრამ გადაწყვეტილებაც სწრაფად მიიღო, რიჟრაჟისთანავე მდინარის დინების მიმართულებით გაჰყოლოდა სანაპიროს და არავითარ შემთხვევაში გზას, რადგან მდევარი სწორედ გზატკეცილზე დაუწყებდა ძებნას, ეს მდინარე ხომ სადღაც ან მეორე მდინარეს შეუერთდებოდა, ან ზღვას, საიდანაც უფრო გაუადვილდებოდა გზის გაკვლევა სახლისაკენ!

ის–ის იყო საფარიდან გამოსვლა დააპირა, რომ მდინარის სანაპიროზე ორი აჩრდილი შენიშნა მართალია, სროლის ხმა აღარ ისმოდა და აღარც სინათლე ციმციმებდა, მაგრამ მაინც გარკვევით მოჩანდა ორი ფრთხილად მოსიარულე აჩრდილი. – „ალბათ მგლის ყნოსვა აქვთ, თორემ მდინარის დინების მიმართულებით წავიდოდნენ“, გაფიქრებისთანავე „ფიტული“ უფრო ღრმად შეძვრა სამალავში, სწორედ „მისი“ გამოქვაბულის წინ შეჩერდნენ მდევრები, რაღაცას თათბირობდნენ, ხმა კი გამოქვაბულამდის არ აღწევდა ორიოდ წუთში შემობრუნდნენ და მდინარის დინებას დაჰყვნენ... ყმაწვილის ინტერესს წარმოადგენდა მდევართა მიმართულება და გადაწყვიტა მხედველობიდან არ დაჰკარგვოდნენ ისინი, სველი ტანსაცმელი ტანზევე გაიწურა და კლდეზე შეუმჩნევლად აცოცდა, საავტომობილო გზაზე გამოსულმა მდინარის სანაპიროს გადახედა, აქედან უფრო გარკვევით მოჩანდა ორი ფრთხილად მოსიარულე აჩრდილი. „ფიტულიც“ აედევნა... ასე ფრთხილად, შეუმჩნევლად იარეს რამოდენიმე წუთი და ჭაბუკი გზაზე დაყენებულ ავტომანქანას წააწყდა შინაგანი ხმა ჰკარნახობდა, რომ რაღაც უნდა ემოქმედნა მარცხენა

მხრიდან ავტომობილის კარები გამოაღო, სიჩქარის ყუთიდან ბერკეტი ამოაგდო და ხელის მუხრუჭი შეუშვა... ავტომობილი ჯერ ნელა დაგორდა უკან, შემდეგ თანდათან მოუმატა სვლას, გზის ბარდიური გადაანგრია და ხევში გადაფრინდა, პირველად ყრუ დაცემის ხმა გაისმა, შემდეგ ჰაერში რაღაც ატომური ალი ავარდა და გამაყრუებელი აფეთქების ხმამ მოიცვა მიდამო... ახლა კი ველარ დაეწეოდა მდევარი და „ფიტულმა“ ამ განსაცდელში ჩავარდნის წუთიდან პირველად გაიღიმა, თუმცა სიფრთხილე მაინც საჭირო იყო და სირბილით დაუყვა საავტომობილო გზატკეცილს, ტანსაცმელი ტანზე შემოაშრა, ირიჟრაჟა კიდეც, პატარა სარაიონო დასახლებაში. რომ შევიდა, გზის მაჩვენებელზე წაიკითხა: „ხაიში“ – „ოჰო, ესე იგი ენგურის წყალსაცავში ჩავმხტარვარ, ხაიშის ზემოთ რომ ხიდია იქიდან, ბედიც ამას ჰქვია და გადარჩენაც!“ ხაიშში, გზის პირას, ავტობუსების გაჩერებასთან კედელს მოეფარა, მგზავრებისათვის შეუმჩნეველი რომ ყოფილიყო, მაგრამ მაინც დაინახა ტაქსის მძღოლის გამჭოლმა თვალმა და ავტომანქანა ფეხებთან დაუმუხრუჭა.

– ტაქსი არ გჭირდებათ, თქვენ, მაგალითად?! საით მიბრძანდებით? – ჰკითხა ავტომობილის ფანჯრიდან წითურსახიანმა თავგადმოყოფილიმა მძღოლმა.

– ქუთაისში! – დაუფიქრებლად უპასუხა „ფიტულმა“.

– ორმოცდაათ მანეთს თუ მომცემთ, მაგალითად, ადგილზე მიგიყვანთ!

ფიქრის დრო აღარ იყო, შეიძლება მდევარი წუთი–წუთს გამოჩენილიყო, ეშმაკმა უწყის რა მოხდებოდა შემდეგ, მაგრამ სავალალო ისიც გახლდათ, რომ მგზავრს ორმოცდაათი მანეთი კი არა, ერთი გროშიც არ ჰქონდა ჯიბეში, დაყოვნება არ შეიძლებოდა, დროულად უნდა გარიდებოდა აქაურობას, მძღოლი ხომ წინასწარ არ მოთსხოვდა ფულს და შემდეგ... ავტომანქანას მარჯვნიდან შემოუარა, კარები გააღო, მძღოლის გვერდით მოკალათდა და წყნარად თქვა:

– წავიდეთ!

ავტომობილი დაიძრა, თანდათან მაღლა მიიწევდა სპიდომეტრის ისარი და ზუგდიდის შემდეგ უფრო გაიმართა გზატკეცილი.

ქუთაისში, შავი სამყაროს ერთ–ერთ წარმომადგენელს „მახოხიას“ იცნობდა და ტაქსიც იმის ჭიშკართან გააჩერებინა.

– აქ სად მომიყვანეთ თქვენ მე?! – გაკვირვებით იკითხა მძღოლმა.

– ახლავე გამოგიტანთ ფულს, დამელოდეთ! – უთხრა „ფიტულმა“ და ავტომანქანის კარი გამოაღო.

– არ მინდა მე ფული, მაგალითად, თქვენ თუ „მახოხიას“ მეგობარი ხართ, უთხარით ჯანიკომ მომიყვანა–თქო და ფულზე უკვეთესი იქნება ჩემთვის ეს...

– დიდი მადლობა, ბატონო ჯანიკო, პატივისცემა არ დაგეკარგებათ!

„ფიტულს“ კიდევ შორი გზა ჰქონდა გასავლელი, მაგრამ ახლა საშიში თითქმის აღარაფერი იყო, ამიტომ „მახოხიასთან“ შევიდა, რომ თავის უჩვეულო თავგადასავალი იმისთვისაც ეაბნა და სამგზავრო ფულიც გამოერთმია.

* * *

შესრულდა ცხრა, ათი, დაიწყო თეთრმეტი საათი, ლაშა კი არსად ჩანდა, საგონებელში ჩავარდა გამომძიებელი, ბადრი ჩოხელი მეჩვიდმეტე საშუალო სკოლაშიც დაურეკა დირექტორს, მაგრამ ლაშა გოცირიძე იქ არ აღმოჩნდა. რაღაც ცუდი უწინასწარმეტყველა გულმა კვალმაძიებელს, სადგომიდან ავტომანქანა გამოიყვანა და კურსი ლაშას სახლისაკენ აიღო, ყმაწვილი არც სახლში აღმოჩნდა, დედამ ლოყები ჩამოიკაწრა, „მითხარით ცუდი ხომ არაფერია ჩვენს თავსო“, ანუგეშეს, მაგრამ ლაშა გოცირიძის გაუჩინარების ამბავი ელვასავით მოედო მთელ რაიონს.

დროის დაკარგვა არ შეიძლებოდა, სასწრაფოდ უნდა ემოქმედა გამომძიებელს და სწორ კვალს დადგომოდა, თუ

არა, ვინ იცის, შეიძლება ლაშაც თავისი გაუჩინარებული ოცდარვა მეგობრის გზისათვის გაეყენებინათ, როდესაც გამომძიებელს საუზმე და სადილიც კი დავიწყებოდა ისე ჩართულიყო ყმაწვილის გაუჩინარების ვერსიაში, – სწორედ ამ დროს საზღვარგარეთის რომელიღაც მარკის ავტომანქანით მიიყვანეს სახლში ლაშა გოცირიძე...

– სად იყავი ბიჭო?! – საყვედური ვერ დამალა მამამ.

– ამხანაგთან ერთი ღამე ვეღარ გამითევია? – ნაძალადევი ღიმილი.

– ერთი ღამე კი არა, გნებავს ერთი კვირაც დარჩი, მაგრამ სახლში უნდა დაიბარო აქ ვიღაც კაცი იყო, გამომძიებელი ვარო, შენ დაგეძებდა და ყველაზე მეტად იმან შეგვაშინა...

– ოო... მაშ უნდა წავიდე, გამომძიებელი უნდა ვნახო, ალბათ ახლაც დამეძებს და სირცხვილია, რომ გაიგებს, სახლში ვზივარ და ვნებივრობ!

– წაბრძანდი ბატონო, შენთან სასაუბრო დროსაც ვერ მოიხელთებს კაცი, ხან გამომძიებელთან გარბიხარ, ხან მიტინგზე...

– კარგი მამა, ნუ მომკალით საყვედურებით, ხომ იცით, როგორი დაძაბული ცხოვრება გვაქვს, ყველას თავისი პრობლემა აქვს...

– ჩვენს შორის დაფარული პრობლემა არ უნდა არსებობდეს!

– ახლა რომ გითხრა გუშინ მომიტაცეს და წუხელი გამოვიქეცი–მეთქი, დამიჯერებ?

– ვერ დაგიჯერებ! ვისაც იტაცებენ, ვეღარ მორბიან!

– ჰოდა, მეც სიმართლეს გეუბნები, ნაჭრილობევი, რომ არ დარჩეს ჩვენს ცხოვრებაში, ვიყავი ამხანაგთან და ახლა მივდივარ გამომძიებელთან!

– ამაღამ თუ გვექნება თქვენი ნახვის პატივი?

– აბა რა ვიცი, უკვე გვიანია, თუ ბადრი ჩოხელმა გამომიშვა, აუცილებლად მოვალ...

– ვერ გამიგია, რა შენი ტოლი და მეგობარია ბადრი ჩოხელი, ათი წლით მაინც იქნება ჩემზე უფროსი...

– „გული გულს იცნობს“, წლოვანება რა შუაშია, თუკი ადამიანი განათლებულია, საქმიანია, მოსიყვარულე, პროფესიონალი, რა თქმა უნდა, გიზიდავს...

– მე ვეღარაფრით გიზიდავ?! ირონიით ჩაიღიმილა ალექსანდრემ.

– როგორ არ მიზიდავ მამა, მაგრამ შენ სად გამექცევი, დღეს თუ არა, ხვალ ვისაუბრებთ, ის კაცი კი დამეკარგება და თუ მოვატყუებ, ვეღარასოდეს ვეღარ ვნახავ!

კატის სიფრთხილით მიუახლოვდა „ფიტული“ ბადრი ჩოხელის სახლს, შიშობდა არ მომიტაცონო, რადგან იცოდა, გამტაცებლის ბადეში კიდევ მოხვედრა, ოჯახში ასე თავისუფლად დაბრუნებას აღარ უდრიდა...

ზარის ხმაზე ისევ ის ახალგაზრდა გოგონა გამოეგება, მაგრამ ახლა სულ სხვაგვარი შეხვედრით, თვალებში სიხარულის ნაპერწკალი უკრთოდა ქალიშვილს.

– მობრძანდი! რამდენი ხანია გელოდებით! – უთხრა და ჭიშკარი ფართოდ გამოაღო, ბადრი სახლში არ აღმოჩნდა, „შენს საძებნად არის წასულიო...“, „ფიტული“ ეზოში ქვის „ტახტზე“ ჩამოჯდა, ბადრის უნდა დალოდებოდა, ქალიშვილიც მის მოპირდაპირედ დაჯდა და დაგვიანების მიზეზი ჰკითხა, მაგრამ „რა ქალების საქმეაო“ გაიფიქრა ახალგაზრდამ და პასუხისათვის თავი რომ აერიდებია, ვარდის იმ ბუჩქზე დაუწყო საუბარი, რომელიც ჭიშკართან ჰყვაოდა:

– ვარდი ქალსა ჰგავს, ქალივით ლამაზია, თვალწარმტაცი და სათუთი, ამბობენ: პირველად ყველა ვარდი თეთრი ყოფილა, ერთ მამაკაცს თვალი შეუსწრია, როდესაც იფურჩქნებოდა, ვარდს შერცხვენია და გაწითლებულა.

– შერცხვა? მერე და რა იყო აქ სასირცხვილო? ვარდი იფურჩქნებოდა...

– როგორ თუ რა იყო, ქალიშვილი, რომ შიშველი დაინახო, არ შერცხვება და არ გაწითლდება? ამიტომ გითხარი, ქალსა ჰგავს–მეთქი!

– ვერ დაგეთანხმებით, ქალი ცოცხალი არსებაა, ვარდი კი...

– როგორ გეკადრებათ, ვარდი არ არის ცოცხალი არსება? აბა რატომ არის სიყვარულის სიმბოლო წითელი ვარდი?

– ოჰო, თქვენ ჯერ მთლად ბავშვი ყოფილხართ და აბა რას გაიგებთ, თუ რას ნიშნავს ქალიშვილისათვის ვაჟისაგან ნაჩუქარი წითელი ვარდი!

„ფიტული“ გველნაკბენივით წამოხტა, ვარდის ბუჩქს ორი ტოტი შეატეხა და ცალმუხლზე დაჩოქილმა ქალიშვილს გაუწოდა...

– ნუ დამიმალავთ, რას გრძნობთ გეთაყვა?

– რაღაც ამოუცნობ სიხარულს! – ქალიშვილს ღიმილის პეპელა აუთამაშდა სახეზე – არ ვიცი, მაგრამ ამ წუთას საზეიმო განწყობილება მაქვს, იქნებ თქვენც გსმენიათ, რომ სოჭში ექიმ–ბიოლოგმა, რომლებიც რამოდენიმე წელი მუშაობდნენ ყვავილების ბაღში, დაამტკიცეს, თუ რა სიძლიერით მოქმედებს ვარდი ადამიანის ორგანიზმზე, ის განუმეორებელია, მაგალითად, მინდვრის უბრალო იას, შეუძლია გააუმჯობესოს თქვენი ხასიათი, მოგგვაროს საუკეთესო განწყობილება და ღიმილი, განსაკუთრებული ადგილი თერაპიაში ვარდების ფერებს უჭირავს: თეთრი და ცისფერი ვარდები დადებითად მოქმედებს ადამიანის სასუნთქ ორგანოზე, უკვე შეიქმნა ყვავილოთერაპია, ვარდების ცქერით, მსუბუქდება ავადმყოფობა, თვითონ მოსინჯეთ, ჩართეთ დაბალ ხმაზე მუსიკა, უცქირეთ ვარდებს და მიიღეთ მისგან გამოფრქვეული არომატი, დარწმუნებული ვარ დადებითად შეაფასებთ მის გავლენას თქვენს ორგანიზმზე, ასთმიანებმა განსაკუთრებით უნდა იმეგობრონ ვარდებთან! წითელი ფერის ვარდი აღვიძებს ორგანიზმში მიძინებულ–მოთენთილ სისხლძარღვებს, აბაზანაში მოთავსებული ვარდის ფურცლები, მოგანიჭებს განუმეორებელ სიმსუბუქეს, ვინაიდან იგი შეიცავს დიდი რაოდენობით ეთირის ზეთს. ასე რომ ვარდი, მისი ფერი და სურნელი აუცი-

ლებელია ადამიანის ჯანმრთელობისათვის... ვარდს ასეთივე მაგიური ძალა აქვს სიყვარულის მხრივაც: ბრაზილიელი მწერალი ნელსონ როდრიგესი მარტოობისთვის ჩანდა განწირული. გომბეშოს სახე ჰქონდა და გველის ენა, შეუხედავი იყო და ენამწარე. ამასთანავე თარსიც, მის სიახლოვეს ადამიანები იღუპებოდნენ ტყვიით, შიმშილით, უბედური შემთხვევით და სხვა.

ერთ დღეს ნელსონი შეხვდა ელეონორას, რომელიც ძალზე მოეწონა. ქალთან არც თვალმა გაჭრა და ვერც ენა მოაბრუნა შხამის გადმოსანთხევად და გადაწყვიტა ქალისთვის ყვავილებით შეეტია, დაიწყო ყვავილების შინ გაგზავნა. რიო–დე–ჟანეიროს ერთი მაღალი სახლის ბოლო სართულზე... უგზავნიდა სხვადასხვანაირი ყვავილის უზარმაზარ თაიგულს ყოველდღე, განუმეორებელი ფერი და სუნი ჰქონდა თაიგულს. ნელსონი ქუჩაში იდგა და შესცქეროდა ელეონორას აივანს. ქალი კი ნელსონის მორთმეულ ყვავილებს მიღებისთანავე ქუჩაში ყრიდა და ისინი ავტომანქანების საბურავების ქვეშ ისრისებოდა.

ასე გაგრძელდა ორმოცდაათ დღეს. ნელსონს ნებისყოფამ არ უღალატა, არ მიატოვა სიყვარულით დაწყებული ბრძოლის ველი და ორმოცდამეთერთმეტე დღეს იმოქმედა ყვავილების მაგიურმა ძალამ. ყვავილები ქუჩაში აღარ გადმოყრილა... იმ დღეს ნელსონი ავიდა სახლის ბოლო სართულზე. ზარი დარეკა, კარი გაიღო და ქალმა მომღიმარი სახით შეიპატიჟა შინ.

– მართლაც, რომ ტაშის ღირსი ბრძანდებით! – უთხრა ყმაწვილმა და ხელზე ეამბორა.

ქალიშვილს შერცხვა, ვაჟმაც დაირცხვინა... ცაზე ნელ–ნელა იკვეთებოდა ახალ–ახალი ვარსკვლავები ორთავეს საუბრის დაწყებისა ეშინოდა, ეშინოდათ, რომ სიჩუმე არსად გაპარულიყო... ბოლოს ისევ ჭაბუკმა სძლია:

– გავიცნოთ ერთმანეთი, არც ასე შემდურებულივით ჯდომა და ერთმანეთის ცქერაა კარგი... მე ლაშა გოცირიძე გახლავართ!

– მე კი ნინო ციბრუტიშვილი, ბადრი ჩოხელის დისშვილი ვარ, გასულ წელს დავამთავრე საშუალო სკოლა და იურიდიულზე ჩავაბარე, თეორიას უნივერსიტეტში ვსწავლობ, პრაქტიკას და ბიძაჩემისაგან ვღებულობ!

– წლოვანება?

– ქალიშვილს, რომ არ ეკითხებიან? ნოემბერში გავხდები თვრამეტი წლის!

– ოჰ, კარგი ასაკია!

– ჩინებული, მაგრამ თქვენი ასაკი რომ არ ვიცი?

– მე თვრამეტის აპრილში გავხდები, ...

– ხომ გითხარი ბავშვი ხარ–მეთქი... ნახე, ვარსკვლავი მოწყდა, ინატრე რამე, აგისრულდება!

– წარმოშობით რაჭველი ვარ, სანამ რაიმეს მოვიფიქრებდე, ვარსკვლავი კი არა, ახალი ამოსული მთვარეც მომასწრებს ჩასვლას...

– მაინც რას ინატრებდი?

– არ ვიცი!

– მართლა გყავდა შეყვარებული და მას დაეძებ?!

– ვინ გითხრა?

– ვიცი... ახლა მთელი რაიონი თქვენზე საუბრობს... მეც მინდა შეყვარებული მყავდეს, ისეთი, მეც დავიკარგო და მეძებოს, შემდეგ მიპოვოს, გინდ ნუ მიპოვის... ვიცოდე, რომ დამეძებს! გეძებს, ესე იგი უყვარხარ! შენც ასე ძალიან გიყვარდა?

– მიყვარს!

– რა ჰქვია?

– ლიკა! როგორც ჩანს, ბატონი ბადრი იგვიანებს, მე წავალ, უთხარით, რომ ვიყავი და ველოდე, თუ ყველაფერი კარგად იქნა, ხვალ დილით გეახლებით! – წყნარად თქვა, „ფიტულმა“ და ზეზე წამოდგა.

– ვერსად ვერ გაგიშვებთ ბიძაჩემის მოსვლამდე! მან ასე დამიბარა! – უთხრა ნინომ და წინ გადაუდგა „ფიტული“ იძულებული გახდა დამჯდარიყო. უხერხულობა, რომ განემუხტა, ცას ახედა.

– ასტრონომია იცი? – თავისდაუნებურად წამოცდა ჭაბუკს.

– ვიცი, რატომაც არა! – მტკიცედ უპასუხა ნინომ და გაიღიმა.

– აბა მითხარი, რომელია იუპიტერი და რას გვპირდება ის?

– იუპიტერი, ამჟამად ჩვენგან არა ჩანს, გასულ წელს კი მთელი კვირის განმავლობაში მოსკოვის თავზე იყო დაკიდებული, იუპიტერი, დედამიწიდან ოთხი ასტრონომიული ერთეულით არის დაშორებული, გასულ წელს კი ორი ასტრონომიული ერთეულით იყო დედამიწას მოახლოებული ასეთი რამ კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა, არავინ იცის და ვერავინ ახსნა დედამიწასთან პლანეტის ასეთი მოახლოების მიზეზი, იუპიტერი ყველაზე მრისხანე ღმერთია მითოლოგიაში და, ვინ იცის, რისთვის დასტრიალებს თავს დედამიწას...

– გამოდის, რომ გწამს და გჯერა, ვარსკვლავების ზეგავლენა ჩვენს პლანეტაზე...

– ციური სხეულების ზემოქმედება დედამიწაზე მწამს! მაგრამ არა ისე, როგორც ნოსტრადამუსი და სხვა „ნათელმხილველები“ გვიხსნიან! არავინ არ იცის ქვეყნის დასასრულის ამბავი ღმერთის მეტმა! ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებიდან ათასი წლის თავზე საშინელმა აურზაურმა მოიცვა მთელი მსოფლიო, მკითხავები და „ნათელმხილველები“ წინასწარმეტყველებდნენ დამანგრეველ მიწისძვრებს, ხანძრებს, წყალდიდობებს... მართლაც, და უნდა განრისხებულიყო ღმერთი, მაგრამ შეგვიბრალა უფალმა! შიშმა და აგონიამ მოიცვა კი ყველანი, ადამიანები ემზადებოდნენ სიკვდილის შესახვედრად...

არაფერიც არ მომხდარა! მშვიდობით ჩაიარა ათასწლეულმა, „ნათელმხიველი“ კი, რისი „ნათელმხილველია“, თუ მორიგი აუზაური არ გამოიწვია ხალხში და სიკვდილის საშიშროების გრძნობა არ დათესა მოსახლეობაში?

ასეც მოხდა: 1524–1525 წლებში, ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ტიუბინგენის სახელგანთქმულმა მათემატიკოსმა და ასტროლოგმა იოგან შტოფლერმა 1524 წელს გამოაქვეყნა სენსაციური განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ დედამიწას უახლოვდება სატურნი, იუპიტერი და მარსი, ეს ყველაფერი მოხდება თევზის ზოდიაქოს წელიწადს და დედამიწას ელის გარდაუვალი წარღვნა... განცხადება პირველად მეცნიერთა ხელში ტრიალებდა, რომელიც სხვა ნასწავლმა ასტროლოგებმაც დაამტკიცეს, შემდეგ კი თანდათან მოსახლეობის ფართო მასებშიც მოხვდა და პანიკამ მოიცვა მთელი მსოფლიო! შიშმა შეიპყრო თვით რომის იმპერატორი, კარლო –V, ამიტომაც მოიხმო იმდროისათვის სახელგანთქმული ფილოსოფოს – ჰუმანისტი, ავგუსტინ ნიფო, რომელმაც დაწერა წიგნი, სადაც შტოფლერის განცხადებას უარყოფდა, მაგრამ ხალხი ვერც მისმა წიგნმა დააწყნარა, კაცობრიობა სიკვდილს ელოდა...

მშვიდობიანად, ყოველგვარი კატაკლიზმების გარეშე და არნახული ამინდით გაიარა შტოფლერის განცხადებაში ნაჩვენებმა თებერვალმა...

ხალხიც თანდათან დამშვიდდა...

მაგარმ ყველგან როდი დაწყნარდა საზოგადოება, ბრანდენბურგის კურფიუსტრმა უბრძანა თავის ხელქვეით ვარსკვლავთმრიცხველებს კიდევ ერთხელ გადაემოწმებინათ შტოფლერის წინადადება დიდი დაკვირვების შემდეგ კურფიუსტრს მოახსენეს, რომ შტოფლერმა გამოთვლითი შეცდომა დაუშვა და წარღვნა 1525 წლის 15 ივნისს, კურფიუსტერმა წინასწარმეტყველება საიდუმლოდ შეინახა მეცნიერთა ეს ვერსია და აღნიშნულ დღეს ქალაქის ყველაზე მაღალ ადგილზე ავიდა, მოსალოდნელი კატასტროფის თავიდან ასაცილებლად, ეს ამბავი საზოგადოებისათვის გაუგებარი არ დარჩენილა და კურფიუსტრსაც დაუკარგავს ხალხის ნდობა... უფრო საინტერესოა ის, თუ რა ბედი ეწია ხალხის ამაღელვებელ წინასწარმეტყველ შტოფლერს. მან დაწერა რამდენიმე ტომი ტყუილი და მართალი ფილოსოფიურ–ასტრონომიული ნაშ-

რომი, ერთ საღამოს თავისი ნაწარმოებებით დამძიმებული თარო გადმოუბრუნდა და ავტორი ქვეშ მოექცა, მეცნიერი ადგილზევე გარდაიცვალა... მაგრამ შტოფლერის სიკდვილით როდი დაწყნარდა ხალხი, ახლა სხვა მიმდევარი გამოუჩნდა მას – მიხაელ შტიფელის სახით. მან დაამტკიცა, რომ ესქატოლოგია 1533 წლის 3 ოქტომბერს დილის 10 საათზე მოხდებოდა, ხალხმა დაუჯერა წინასწარმეტყველს და ლოთობამ, პროსტიტუციამ, ქაოსმა მოლოდინს გადააჭარბა... წინასწარმეტყველების მიერ დადგენილი შავი თარიღის მშვიდობიანად გასვლის შემდეგ ხალხი გამოფხიზლდა და „წინასწარმეტყველი“ ცემით მოჰკლეს... რამდენიმე ათეული წელი შედარებით მშვიდობიანი იყო, „წინასწარმეტყველებასა“ და აჟიოტაჟს ვეღარავინ ბედავდა, მაგრამ 1750 წელს, ლონდონში მცირე მიწისძვრის შემდეგ გავრცელდა ხმა, რომ ამავე წლის 15 აპრილს ინგლისის დედაქალაქი ძლიერი მიწისძვრით დაიღუპებოდა, ამას მოჰყვებოდა მთლიანი დედამიწის კატასტროფა... მაგრამ აღნიშნული თარიღით დიდი ბრიტანეთის მიწა არც კი შეტოკებულა და მსოფლიოს არც ერთ კუთხეში მცირეოდენი მიწისძვრის ბიძგიც კი არ შემჩნეულა.

ყველაზე საინტერესო მაინც იაკობ ბემეს წინასწარმეტყველება იყო. მისტიკოსები მას შუასაუკუნეების უდიდეს წინასწარმეტყველად მიიჩნევდენენ და საოცარ ნათელმხილველად, მეთექვსმეტე საუკუნეში, როდესაც წარმოდგენაც კი არ იყო დედამიწის იმგვარ არსებობაზე, როგორიც სინამდვილეშია, ბემე ამტკიცებდა, რომ დედამიწა ცოცხალი და გონიერი არსებაა, სუნთქავს ისე, როგორც ყველა სულიერი და რომ დედამიწა კოსმოსური ენერგიის გამტარია, იმ დროისათვის ბემეს ყურადღებას არავინ აქცევდა, დღეს კი, არაერთი მეცნიერი ამტკიცებს ბემეს აზრს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ მიწისძვრები, წყალდიდობები და სხვა ბუნებრივი კატასტროფები, სწორედ იმ ადგილებში, ხდება სადაც ადამიანები არაადამიანურად ანადგურებენ ერთმანეთს და ბუნებას,

ტკივილებისაგან დაღლილმა ბუნებამ გადაწყვიტა შური იძ-იოს და გაანადგუროს აგრესიული არსებანი...

– და შენ გჯერა, რომ კატაკლიზმებით ჩვენი პლანეტის არსებობა დასრულდება?

– არავითარ შემთხვევაში! ჩვენ არა გვაქვს უფლება, წინაპრე-ბის მსგავსად აგონიაში ჩავვარდეთ, არანაირი კატასტროფის საშიშროება არ გველის, რადგან ადამიანს არ ძალუძს განსა-ჯოს, ღმერთის საიდუმლო ამოიცნოს, მხოლოდ ერთმა, ღმერთ-მა იცის რაც არის მოსალოდნელი. ჩვენ ნურაფერს განვსჯით!

– საოცარება...

– სწორედ საოცრებაა, ღმერთისა და ბუნების ამოუცნო-ბი საიდუმლოებანი!

– არა, ეს ამბავი სრულებითაც არ მანცვიფრებს, მე მხოლოდ თქვენი აზრებით ვარ გაოცებული, საიდან გაქვთ ასეთი დამაჯერებელი სიბრძნე?

– ეს რა სიბრძნეა? მიყვარს ბიძაჩემის ბიბლიოთეკაში შეპარვა, ხანდახან მოპარული აზრებითაც ვსარგებლობ...

– როგორ, გიშლიან ბიბლიოთეკით სარგებლობას?

– ბევრს ვკითხულობ და მეჩხუბებიან, შენთვის ჯერ ადრეაო ფილოსოფიური წიგნების კითხვა...

– იდიდოს ღმერთის განგებამ, მე კი იმაზე მეჩხუბებიან, რატომ არაფერს კითხულობო, ახლა კი ვიტყვი, რომ თქვენ კითხულობთ ჩემს მაგივრადაც...

ჭიშკარს მოულოდნელად ავტომანქანის სინათლე მოაწ-ყდა, ავტოფარეხის კარები ავტომობილიდან ჩამოუსვლელად გააღო დისტანციური ღილაკით ბადრი ჩოხელმა...

– ოჰო! დალოცა ღმერთმა, შენს ძებნაში ყველა საავად-მყოფოს „მორგი“ შევამოწმე – იხუმრა ბადრიმ ლაშას დან-ახვაზე და ისედაც შეეტყო გამომძიებელს კმაყოფილება.

– ბოდიში, მგონი დავიგვიანე! – დარცხვენით თქვა ლაშამ და ცუდი მოსწავლესავით თავი დახარა.

– მგონი დავიგვიანეო, ხომ არ გგონია ვხუმრობ? მთელი დღეა დაგეძებ, ალბათ, რაღაც შეგემთხვა, თორემ, შენნაირი

ახალგაზრდები ისეთ სიტუაციაში, როგორშიც ახლა ხარ არ იტყუებიან...

– ცოტა რაღაც, ალბათ, სათქმელადაც არა ღირს, მაგრამ დაგვიანების მიზეზი ხომ უნდა მოგახსენოთ?

– მგელივით მშია, წამოდი მაგიდასთან ვისაუბროთ, შენ კი, ნინო, აბა ჰე, შენ იცი როგორ პურ–მარილსაც გაგვიშლი... ვგრძნობ, ჩვენი მეგობარი, ხიფათს გადაურჩა, ეს კი ღირსეულად უნდა ავღნიშნოთ!

– არსადაც არ წავალ, თქვენ გინდათ, რომ ჩემს გარეშე ისაუბროთ და გადაწყვიტოთ ძიების საქმე? ბიძი, თუ ჩამწერთ თქვენს რაზმში და თანასწორად გაგვინაწილებ დავალებებს. ხომ კარგი, და თუ არა, ახლავე წავალ ჩემს სახლში და ხმას არასოდეს გაგცემ...

– ათასჯერ მითქვამს რომ – შენთვის ჯერ ადრეა პრაქტიკულად სამძებრო საქმეში ჩაბმა. ნუ ჩქარობ, ჯერ თეორია ისწავლე კარგად და ყველაფერს მოესწრები!

– ჩემთვის არის ადრე და ლაშასათვის არა? – ის ხომ ჩემზე უმცროსია?

– არც იმისათვის არის მიზანშეწონილი, მაგრამ ნუ გავიწყდება მამაკაცია...

– ამორძალი გავხდე, თუ დაგეჭიდო, ჩემი ფიზიკური სიძლიერე, რომ დავამტკიცო?

– შენგან ერთიც მოსალოდნელია და მეორეც! შეცდომით ხარ ქალად დაბადებული...

– ბიძი, ნუ მეტყვი უარს, ვითანამშრომლებ თქვენთან! – ნინო შევერცხლილ თმაზე მოეფერა ჩოხელს.

– ეს ჩემი საქმე არ არის, ლაშას შევეკითხოთ, როგორც ის იტყვის, ისე იყოს – თქვა ბადრიმ და ორი წყვილი თვალი ლაშას მიაჩერდა. ერთის მზერაში მუდარა და მუქარა იკითხებოდა „არ გაბედო უარის თქმა...“, მეორისაში კი გაფრთხილება: – „ეს საქმე სახიფათოა და ქალების დელი–ოდელია არ არისო“ საგონებელში ჩავარდა ყმაწვილი, ორიოდე წუთის დუმილის შემდეგ თითქოს ზებუნებრივმა ძალამ ჩასძახა

„იყოსო“ და ეს სიტყვა ანგარიშმიუცემლად გაიმეორა, ჩოხელმა მძიმედ, გადააქნია თავი და ბაგეზე ღიმილმა გადაურბინა, გაუხარდა ახალგაზრდების საბრძოლო შემართება.

– ახლა კი გემრიელ ვახშამს მოგიმზადებთ! – სიხარულით ცას ეწია ნინო.

– კარატეს ვარჯიშობს, ცოტა ფრთხილად იყავი... – თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ბადრიმ და მზერა ლაშას მიაპყრო.

– ღმერთმა დამიფაროს! მე არც ვაპირებ ნინოსთან ჭიდაობას!

ჩოხელს გაეღიმა და სტუმარს სამზარეულოსაკენ გაუძღვა. ვახშამი გვიან ღამით დამთავრდა, ლაშამ მოკლედ მოხაზა წინა დღის სახიფათო თავგადასავალი და გამოცდილ კვალმაძიებელს შეეკითხა:

– რით უნდა იყოს ჩემი გატაცება გამოწვეული იმ მიზნით, როგორც ჩემი მეგობრები დაიკარგნენ, თუ დაშინების მიზნით, რომ ძებნა შევწყვიტო?

– ჯერ არ ვიცი, ძიება გვიჩვენებს! – თქვა ჩოხელმა და მზერა ნინოზე გადაიტანა, აბა რას იტყვიო...

– რომელი გზით წაგიყვანეს? – ნებართვის გარეშე ჰკითხა ქალიშვილმა.

– აბა, რა ვიცი, ჯერ ერთი, ავტომანქანიდან არაფერი ჩანდა, მეორეც, ღამე იყო და მესამე კიდევ ის, რომ მეძინა...

– თქვენ ამბობთ, რომ ხაიშში ჩამოხვედით ფეხით და იქედან ტაქსით წამოხვედით...

– დიახ!

– ხიდიდან, რომლიდანაც გადმოხტი, ხაიშამდე რამდენი კილომეტრი იქნება?

– სამი ან ოთხი, მეტი არა...

– გამოდის, რომ ენგურის წყალსაცავში მოხვედრილხარ, გზა, რომლითაც „გიმოგზაურია“ საქართველოს ფარგლებ გარეთ არ გადის, ეს სვანეთის გზაა, ზუგდიდიდან მესტიაში მიმავალი, მესტიიდან შეიძლება რკალის გაკეთება და ცაგერში

ჩამოსვლა, ცაგერიდან წყალტუმბოში... საფიქრალი ის არის, თუ რატომ დასჭირდა გამტაცებლებს შენი მესტიის გზით წაყვანა? ნუთუ სვანეთის მთებშია ბოროტმოქმედთა თავშესაფარი?

– როდესაც ადამიანის გასატაცებლად, ან რაიმე ბოროტმოქმედების ჩასადენად მიდის ბოროტმოქმედი, ტრანსპორტი ყოველთვის წესრიგში ჰყავს – თქვა ჩოხელმა და განაგრძო – დავფიქრდეთ, რისთვის დასჭირდათ ბოროტმოქმედებს, ავტომანქანას ხაიშის მისადგომებთან გაჩერება? ჩემი აზრით, გამტაცებლებს, ზუგდიდში გზა აერიათ, ცენტრალური გზის ნაცვლად, რომელიც პირდაპირ მიემართება, მარჯვნივ შეუხვიეს და სვანეთისაკენ მიმავალ გზას დაადგნენ, რაც შეეხება ლაშას გატაცებას, მგონია დაშინების მიზნით იყო გამოწვეული...

– როგორ გეკადრებათ, ბატონო ბადრი, – აღელვება ვერ დაფარა ნინომ, ის ოცდარვა ახალგაზრდა რა მიზნით არის გაუჩინარებული? მე კი მგონია ლაშას გატაცებაც იგივე მიზანს ისახავს და მასზე ნადირობა არ დამთავრებულა, არის „რაღაც“, რომელიც ჩვენ უნდა აღმოვაჩინოთ, ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში აჯობებს, ლაშას თავისუფლად სეირნობის საშუალება მივცეთ და გავაძლიეროთ ფარული, შეიარაღებული დაცვის ყურადღება.

– კმაყოფილი ვარ შენი მსჯელობით – თქვა ჩოხელმა – ახლა კი რამოდენიმე შეკითხვა ლაშას:

– ბრძანეთ, ბატონო ბადრი: – ლაშამ სმენის ორგანო დაძაბა.

– ამბობ, რომ ავტომანქანაში ორი მამაკაცი იჯდა, რომლებმაც გაგიტაცეს, შეგიძლია აღწერო ის პიროვნებები?

– როგორც შევძლებ... ორივე მამაკაცი მაღალი და ჩაკუნთული იყო, საგრძნობლად განსხვავდებოდა მათი სახისა და კანის ფერი, ორივეს ერთნაირი მოკლესახელოიანი შავი ხალათი ეცვა, სახე წარუხო–ნაცრისფეროვანი ჰქონდა, თითქოს მათი სახის კანში არცერთი სისხლის კაპილარი არ მოძრაობდა, ამიტომაც მგონია, რომ ისინი ნიღბებით მუშაობდნენ...

– მკლავები როგორი ჰქონდათ?

– ჩვეულებრივი, დაკუნთული, ადამიანის ფერის.

– არა, მაგას არ გეკითხები, ხომ შეიძლება ეროვნება განვასხვაოთ კანის ფერით, თმით, თვალებით... შენ როგორ აღწერდი მათ გარეგნობას?

– მართალია, ტანის ნაკვთების აგებულება ქართველი სპორტსმენისას მიუგავდათ, მაგრამ ქართველები, მაინც არ უნდა ყოფილიყვნენ, რადგან არც მკერდზე და არც მკლავებზე თმა არ ჰქონდათ.

– საგულისხმოა, შეიძლება გზის აბნევასაც სხვა ეროვნებამ შეუწყო ხელი...

– შესაძლებელია... – ლაშას აზრი ნინოს საუბარში ჩართვამ გააწყვეტინა:

– სუფრასთან მსჯელობა კარგს არაფერს მოგვიტანს, ჩემი აზრით, ყველაფერი ადგილზე უნდა შემოწმდეს, მჯერა, ჩემს აზრსაც გაიზიარებთ და თუ ასეა, ხვალ დილიდანვე, შევამოწმოთ ზუგდიდიდან მესტიისაკენ მიმავალი გზა, ვნახოთ ხიდი, საიდანაც ლაშამ ნახტომი გააკეთა, დავათვალიეროთ ლაშას მიერ ხრამში გადაჩეხილი ბოროტმოქმედთა ავტომანქანა, გული მიგრძნობს, იქ საგულისხმოს წავაწყდებით რამეს...

– მომწონს ეს მსჯელობაც, თითქოს ჩემი აზრი ამოიკითხე – თქვა ბადრიმ – სამგზავროდ მოვემზადოთ, ხვალ დილით ადრე გავდივართ.

ჩოხელის თითოეული სიტყვა ბრძანებაა, ეს იციან ახალგაზრდებმა და უყოყმანოდ ემორჩილებიან კანონს.

იმ ღამით ლაშა გამომძიებლის ოჯახში დარჩა, კარგადაც მოასვენეს სასტუმრო საძინებელ ოთახში და „ძილი ნებისა“ უსურვეს, მაგრამ მიუხედავად კეთილი სურვილისა, მთელი ღამე მაინც მოუსვენრად გაატარა, განიცდიდა ახალგაზრდა კაცი ხვალინდელ დღეს, რას მოუტანდა იგი? ნუთუ ჩოხელის დახმარებით ლიკას მოძებნის? ფიქრი ფიქრს მისდევდა... ფანჯარაში თანდათან გამოიკვეთა რძისფერი შუქი... რომელიღაც ოთახში ფეხის ხმა გაისმა, ვიღაცამ ონკანი გახსნა...

ლაშა გრძნობდა, რომ ადგომის დრო იყო, ცოტა ხანში ბადრი ჩოხელმაც შემოიხედა – „დილა მშვიდობისა, ყმაწვილო, დროა!“ – თქვა პასუხს არც დალოდებია, ისე გაიხურა კარი, ლაშა წამის მეასედში წამოხტა, ნინოს საუზმე გაემზადებია, სამივემ უხმოდ ისაუზმა, ერთმანეთისათვის პატიჟი არ დაუწყიათ, პირველი ბადრი წამოდგა და ავტოფარეხისაკენ წავიდა, ნინო მაგიდიდან ალაგებულ სანოვაგეს სპეციალურ აბგაში ალაგებდა საგზლად...

ჯერ მზე კარგად არც კი იყო ამოსული, მაგრამ საგრძნობლად ცხელოდა, ავტომობილი ჩქარი სვლით მიიკვლევდა გზას ხაიშისაკენ, იქნება და საგულისხმოს წაწყდომოდნენ რამეს.

საქართველოს სამხედრო–საავტომობილო გზატკეცილი კარგად ნაცნობი იყო სამივე მგზავრისათვის, შეკითხვებით ერთიმეორეს თავს არ აწყენდნენ, თითოეული მათგანი ფიქრში ჩაძირულიყო და ბუნების განუმეორებელ სილამაზეს გასცქერდა. საცაა ზუგდიდში შევლენ, ნინომ გზის პირზე, მწვანედ აფეთქებულ მცენარეთა სიღრმეში ჩადგმული კაფე–ბარი დაინახა და მოულოდნელად წარმოთქვა – „მომშივდა!“

ბადრის გაეღიმა, მართალია ავტომანქანა კაფე–ბარს საკმაოდ გაშორებოდა, მაგრამ ბერკეტი უკანსვლის კოლოფში გადართო და კაფე–ბარის ჭიშკართან დაამუხრუჭა.

– სანოვაგე წამოღებული მაქვს, უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, სადმე წყაროსთან გვეჭამა პური? – თავისი წინადადება წამოაყენა ნინომ.

– შენი სანოვაგე ვახშმისათვის შევინახოთ, ახლა კი ცხელი კერძით ვისადილოთ, თან ცოტაც შევისვენოთ, თორემ საგრძნობლად დამღალა საჭემ – თქვა ჩოხელმა და ავტომანქანის ჩაკეტვა დაიწყო

– კაფე–ბარში არ იყო ხალხმარავლობა, კუთხის ფანჯარასთან ოთხი ადამიანი მრგვალ მაგიდაზე დომინოს თამაშობდა, ერთი წვერგაუპარსავი მამაკაცი, კედელთან მიდგმულ მაგიდასთან იჯდა და ლუდს ბოთლიდან შეექცეოდა, ბადრიმ

თავისუფალი მაგიდა შეარჩია და სამივე დაღლილი ადამიანის იერით დაჯდა.

– რაღაც ცუდს მიგრძნობს გული, არ მინდა აქ სადილობა... – თქვა ნინომ და ბიძას მოწყალების თვალით გადახედა, მაგრამ სანამ ბადრი უპასუხებდა, დომინოს ერთ–ერთი მოთამაშე მათ მაგიდას მიუახლოვდა და თავაზიანად შეეკითხა, რას მიირთმევდნენ ბადრიმ ირწმუნა ნინოს წინასწარმეტყველება, მაგრამ უბრად წამოსვლა უკვე უხერხული იყო და სადილი სამისათვის შეუკვეთა.

– დასალევს რა ინებებთ? – მეგრული აქცენტით შეეკითხა „დომინოს მოთამაშე", რომელიც ბლოკნოტში ინიშნავდა ბადრის შეკვეთებს.

– ერთი ბოთლი „კოკა–კოლა", სასმელებს არ ვეტანებით! – უთხრა ჩოხელმა და ლაშას თვალი ჩაუკრა. „დომინოს მოთამაშემ" მოხერხებულად გააწყო მაგიდა, მგზავრებიც მადიანად შეექცნენ გემრიელ კერძებს, ცოტა ხნის შემდეგ, ის წვეროსანი მამაკაცი, ლუდს რომ შეექცეოდა, ბადრის მაგიდას მიუახლოვდა.

– შეიძლება თქვენთან ჩავჯდე? – ჩახრეწილი ხმა.

– არა! – ცივად უპასუხა ლაშამ.

– რატომ, მაგალითად?

– ჭლექიანი ვარ ბიძიკო და მეშინია არ დაგაავადმყოფო...

– ოჰოო! აგაშენა ღმერთმა, ვერც მე მაქვს ფილტვების საქმე მთლად კარგად.

– მართალი ბრძანდებით, ფერზე შეგატყვეთ და ჩვენც არ გვინდა დავვადდეთ.

– გეხუმრე, შე კაცო, აბა რა, ხუმრობა არ შეიძლება, მაგალითად? ჯანმრთელი ვარ, ჩემს დღეში წამალი არ დამილევია, მთლად ღიმილად დაღვრილი ნებართვას აღარ დალოდებია, თავისუფალ სკამზე ჩამოჯდა და მოსადილეებს შეუერთდა.

– მე კაცი ვარ კაცო! – დაიწყო მოსულმა – ქვეყანა მცემს პატივს მე, ცაიში ვცხოვრობ, ეკლესიასთან, იური ვარ

მე ქარდავა, მაგრად ვცხოვრობ მე, ახლა, მართალია, ცოტა ხელი შემეშალა, მაგრამ სხვებს ვჯობივარ კიდევ, მაგალითად, ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ ერთ „პივას“ ხომ არ მიყიდ-დით თქვენ?

ბადრის გაეღიმა და მომტანს თვალით ანიშნა იური-სათვის ლუდი მიერთმიათ.

– უჰჰ! აგაშენათ ღმერთმა! – თქვა და ლუდს ხარბად დაეწაფა, ნახევარი ბოთლი რომ შესვა, რაღაცის თქმა დააპი-რა, მაგრამ გადაიფიქრა, თუ სათქმელს თავი ვერ მოუყარა და რაღაც უაზრო მზერა მიაპყრო მის პირდაპირ მჯდომ ბადრი ჩოხელს, შემდეგ მაგიდაზე ფართოდ გაშლილი მკლავები თავის მუშტებზე დადო და ხვრინვა ამოუშვა, სამივეს გაეღიმა, ვერ მიმხვადრიყვნენ, ქარდავა იგონებდა, თუ მართლა დაეძინა... ყურადღება დიდად არ მიუქცევიათ, როდესაც კარგად დან-აყრდნენ მიმტანს ანგარიში გაუსწორეს და წასვლა დაა-პირეს, მაგრამ მომტანი წინ გადაეღობა ჩოხელს:

– სად მიდიხართ, კაცო? ეს წაიყვანეთ აქედან, რად მინდა რომ მიტოვებთ მკვდარს თუ დაძინებულს აქ, მე?

– ეს მოქალაქე ჩვენთან არ არის და არც ვიცნობთ, ჩვენ სად წავიყვანოთ, ან რად გვინდა, რომ წვიყვანოთ? – გაკვირვება ვერ დაფარა ბადრიმ.

– არ ვიცი, ბატონო კაცო, თქვენთან იჯდა მაგიდასთან და თქვენვე გაეცით პასუხი მას, თორემ პოლიციას გამოვუძა-ხებ მე...

– გამოუძახეთ, ბატონო! თქვენ ხომ ხართ იმის მოწმე, რომ თვითონ მოვიდა ჩვენთან, ლუდი მოგვთხოვა და თვითონ თქვენ მიუტანეთ, საფასური გადავიხადეთ და ჩვენი გზით მივდივართ, რას გვედავებით, ვერ გაგვიგია? – უთხრა ჩოხელ-მა.

– არაფერსაც არ გედავებით, თქვენ წაათრიეთ ვიღაც არის ეს, თორემ პოლიციას გამოვუძახებ მე! – თქვა მომტან-მა და მობილური ტელეფონი ამოიღო ჯიბიდან, ბადრის პასუხს არ დალოდებია, ნომერი აკრიფა და პოლიცია გამ-

ოიძახა, ხუთიოდე წუთში, იაპონური ფირმის მსუბუქი ავ-ტომობილი, სირენის წივილით კაფე–ბარის ეზოში შემოს-რიალდა, ავტომანქანიდან, ორი პოლიციის მუნდირში გამოწ-ყობილი ახალგაზრდა გადმოვიდა და შენობაში აჩქარებული ნაბიჯით შევიდა, დომინოს ყოფილმა მოთამაშემ, მათ საქმის ვითარება მეგრულად მოახსენა, პოლიციელებმა მძიმედ გადა-აქნიეს თავი, ერთ–ერთი მათგანი ბადრი ჩოხელის წინ მხე-დრულად გაიმართა „მე გამომძიებელი თოფურია ვარო“ და საბუთები მოითხოვა, ბადრიმ თავაზიანად გაუწოდა საბუთე-ბი წესრიგის დამცველს და დასძინა: – მეც გამომძიებელი ვარო.

– ძალიან კარგი, – თქვა თოფურიამ, ჩემი კოლეგა ყო-ფილხართ, მაგრამ თქვენც თვითონ კარგად მოგეხსენებათ, რომ დამნაშავეს თანამდებობის მიხედვით არავითარ შეღავათს არ ანიჭებს კანონი.

– ვერ გამიგია, რაში მადანაშაულებთ... – ღიმილით წარ-მოთქვა ჩოხელმა, თოფურიას ყურადღება არ მიუქცევია ნათქ-ვამისათვის, ქარადვასთან მივიდა და გაღვიძება დაუწყო, მა-გრამ ამაოდ, შემდეგ ხალათის საყელოში მოქაჩა, ამ დროს იური სკამიდან გადმოცურდა და იატაკზე დაენარცხა, ქარდა-ვა მაინც ვერ გააღვიძეს და თოფურიამ ცივი წყალი მოთხოვა მზარეულს, წყალი ქვაბით მოუტანეს და თოფურიამ, მთლად გადაავლო ქარდავას ერთი ქვაბი ცივი წყალი თავზე... ქარ-დავა დაფეთებული წამოხტა, თითქოს ახლა გამოეღვიძა და ძალზე შეეშინდა კიდეც...

– ღრმად ჩაგძინებიათ, მადლობა ღმერთს, რომ გა-მოგეღვიძათ – თქვა ბადრიმ და წასასვლელად შებრუნდა, მაგრამ თოფურიამ შეაჩერა:

– ნუ ჩქარობთ, თქვენ, ბატონო ჩოხელო, ეს ლოთი დავ-კითხოთ, რატომ დაიძინა თქვენს მაგიდაზე და შემდეგ გამო-საფხიზლებელში ვუკრავ თავს.

– ჩემს საქმეზე მეჩქარება. ეგ ლოთი კი თქვენ გინდ გამოსაფხიზლებელში წაიყვანეთ და გინდ სახლამდის მიაც-

ილეთ, ჩემთვის სულ ერთია – შეეპასუხა ბადრი კოლეგას, მაგრამ თოფურიას ამ სიტყვებისათვის ყურადღება არ მიუქცევია, ქარდავას მიუბრუნდა:

– როგორ მოხვდი ამ პატიოსან ხალხთან მაგიდაზე?

– დამიძახეს და „პივაზე“ დამპატიჟეს, კაცო...

– „პივა“ მოგიტანეს და დალიე?

– დავლიე კაცო და რა ვიცი, რა ჩამიყარეს შიგ მაგალითად? იმ წუთას ჩამეძინა!

– როგორ ფიქრობთ, რისთვი დაგაძინებდნენ, რა მიზანი ექნებოდა ამას?

– მადროვე ახლა მე შენ ცოტა ხანს, ბატონო, აქ მე ფული მქონდა ამ ჯიბეში, ხუთასი დოლარი და აღარ მაქვს ახლა, ამის მოპარვა ყოფილა მიზეზიც და მიზანიც, ბატონო, ეს ხალხი არ გაუშვა თუ კაცი ხარ აქედან, ჩემი ფული დამიბრუნონ მე ახლავე...

– აი, ხომ ხედავთ რაში ყოფილა საქმე! – თქვა თოფურიამ და ბადრის წინ ისევ მხედრულად გაიმართა – შენ კი წასვლა გეჩქარებოდა, კოლეგავ, ეს დანაშაული კი კაი ხნით ითვალისწინებს დაგვიანებას...

– ნუ მაშინებ თუ კაცი ხარ, მთელმა რესპუბლიკამ იცის, რომ მე არავითარი დანაშაულის ჩამდენი არა ვარ და ასე მუქთად ვერაფერს დამაბრალებთ!

– შენ ბერია გაგიგონია? ლავრენტი პავლოვიჩი? ქვეყანას აზანზარებდა ის, მაგრამ რომ დააშავა კი დაიჭირეს და, ვინ იცის, შეიძლება არც არაფერი დაუშავებია...

ჩოხელი არ შეპასუხებია, უბრალოდ, გულიანად გაიცინა, თოფურია კი ამ სიცილმა აანთო და თითქმის ყვირილით განაგრძო:

– რა გეცინება, შენ, მაგალითად?!

– არაფერი, უბრალოდ ბანოვანის „შორეული ლანდები“ გამახსენდა...

– მე არ ვიცი, კაცო, შენი მოლანდებები, დანაშაულზე აგე პასუხი აქ!

– სუყველა თქვენისთანა ჭკვიანებია თქვენთან ორგანოში? – პასუხის ნაცვლად შეკითხვით მიმართა ბადრიმ თოფურიას.

– ახლა წაგიყვანთ თქვენ ჩვენთან, ორგანოში და იქ გამოჩნდება, ვინ არის ჭკვიანი და ვინ გიჟი...

– ჩვენს წაყვანაზედ ნუ შეწუხდებით, თქვენს დაუხმარებლად წამოვალთ – ჩოხელი წასასვლელად შებრუნდა, მაგრამ ისევ თოფურიამ შეაჩერა:

– შენ ნუ ჩქარობ ორგანოში წამოსვლას, კაცო, მაგალითად, იქ არ დაგხვდება შამპანურებით გაწყობილი მაგიდა... ფული გადაუხადეთ დაზარალებულს და საქმე რომ არ აღვძრათ, შენც კი იცი, რა არის საჭირო...

– მაინც რამდენია საჭირო...

– ხუთასი დაზარალებულს, როგორც ამბობს და ამდენიც საქმის მოქრობას დასჭირდება...

– ოჰო! თქვენთან ვაჭრობაც შეძლებულა, ჩემთვის უმჯობესი იქნება, ქალაქის პროკურორს შევევაჭრო, იქნებ ცოტა იოლ ფორმებში გამოვიდე... თუ არ ვცდები თქვენთან პროკურორი გიორგი დანელიაა, ხომ? ნება მიბოძეთ დავურეკო – თქვა ბადრიმ და ტელეფონისაკენ წაიწია, მაგრამ თოფურია წინ გადაეღობა.

– რა ტელეფონები მოგინდა ახლა, შენ, მაგალითად? პროკურორთან გინდა მიჩივლო ახლა შენ მე? ვერ მოგართვეს! – მრისხანედ გამოსცრა კბილებში თოფურიამ და „მაკაროვის“ ბუდისაკენ ხელი გააპარა...

ნინო და ლაშა თვალებში შეჰყურებდნენ ბადრის, რომ მის მზერაში ამოეკითხათ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ და ნინომ თითქოს ამოიკითხა კიდეც, როდესაც ჩოხელი თოფურიასთან გაცხარებულ კამათში იყო გართული,/ შეუმჩნევლად გავიდა „კაფე–ბარიდან“ (ან კი „ბავშვს“ ვინ მიაქცევდა ყურადღებას), ბადრის ავტომობილში აუქჩარებლად ჩაჯდა, მოხერხებულად ჩართა „რაცია“ და რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს დაუკავშირდა, დრო არ ითმენდა, ორიოდე სი-

ტყვით გააცნო საქმის ვითარება და სელექტორი გამორთო... როგორც შემდეგ გამოირკვა, გენერალური პროკურორი ქალაქ ზუგდიდის პროკურორს დაუკავშირდა და ხუთი წუთიც არ გასულა, რომ სამი მსუბუქი ავტომანქანა, სირენების კივილით „კაფე–ბარის“ ეზოში შემოსრიალდა.

– ოხ, შენი დედა!... კბილებში გამოსცრა თოფურიამ და „მაკაროვი“ ამოიღო, მაგრამ იღბლად ჩოხელი ახლოს იდგა თოფურიასთან და მთლად იოლად შესძლო მისი განიარაღება, პოლიციის მეორე მუშაკი ფანჯრიდან ისე ოსტატურად გადახტა, რომ ჩარჩოსაც არ გადებია, მაგრამ ვიღაცის მიერ გასროლილმა ტყვიამ მარჯვენა ფეხის მუხლში უწია და კივილით ჩაიკეცა... მხოლოდ წამები დასჭირდა ექვსი ადამიანის დაბორკილებას და როდესაც დამნაშავენი იატაკზე დააწვინეს, ზუგდიდის პროკურორის თანაშემწე ხარჩილავა, ბადრი ჩოხელს გაეცნო და წარმატებით ოპერაციის დასასრულიც მიულოცეს ერთურთს. ადგილზევე გამოირკვა, რომ აქ არავითარი პოლიციის მუშაკები არ ყოფილან, დიდი ხანია ადგილობრივი პროკურატურა ამ ბანდას დაეძებდა, რომელთაც არაერთი დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი, მათ შორის საზიზღარი მკვლელობებიც კი... ბადრიმ მკერდში ჩაიკრა საყვარელი დისშვილი და მადლიერების ნიშნად თვალები ამოუკოცნა...

ექსპედიციამ გზა განაგრძო...

ავტომანქანა ზუგდიდს გასცდა, მარჯვნივ შეუხვია და მთელი სიჩქარით აუყვა ენგურის ხეობას... თავი სამშვიდობოს რომ იგრძვნეს, ხუმრობის ხასიათზეც დადგნენ, ამასობაში ხაიშიც უკან მოიტოვეს და აი, ხიდიც. ჩოხელმა ავტომანქანა მოხერხებულად დააყენა, მოძრაობისათვის ხელი რომ არ შეეშალა და ახალგაზრდებს მიმართა:

– ახლა ჩვენ ძირფესვიანად დავათვალიერებთ მდინარის სანაპიროს, დამწვარ ავტომანქანასაც და ეცადეთ, ყოველგვარ წვრილმანს მიაქციოთ ყურადღება, ეს დაუწერელი კანონია: – ბოროტმოქმედს ყოველთვის ეძახის დანაშაულის ადგილი.

ეს კანონი უეჭველად გათავისებული ექნებათ ლაშას გამტაცებლებსაც და, ვინ იცის, ეგებ გველოდებიან კიდეც...

ამიტომ ჩვენი უპირველესი მოვალეობაა ყოველთვის მზად ვიყოთ მოსალოდნელი ხიფათის შესახვედრად. ვიქონიოთ ერთმანეთთან კავშირი. განსაკუთრებული ყურადღება ავტომანქანას მიაქციეთ. შესაძლებელია მტერი მოერიდოს ჩვენთან პირისპირ შებმას და „დისტანციური“ მართვის ბომბი გამოიყენოს ჩვენს გასანადგურებლად. დაემორჩილეთ ჩემს ბრძანებას, პირველ რიგში დავათვალიეროთ და შევისწავლოთ ხიდი, მდინარის ორივე მხარის სანაპირო და დამწვარი ავტომანქანა.

... ოჰოჰო! არც თუ ცუდი ნახტომია ახალბედა გამომძიებლისათვის – თქვა ბადრიმ, როდესაც ხიდიდან მდინარემდე მანძილი თვალით გაზომა და ლაშას გადახედა.

„ახლა რომ მითხრან ნამდვილად შევრცხვები, ვერ გადავხტები“ – გაიფიქრა ლაშამ და ბადრის ნათქვამი უპასუხოდ დატოვა.

ბადრი და ნინო მდინარის მარჯვენა მხარეს დინების საწინააღმდეგოდ აუყვენ და მიმართულება დაფერფლილი ავტომანქანისაკენ აიღეს. ლაშა კი მდინარის მარცხენა მხარეს, დინების მიმართულებით ქვემოთ დაუყვა. ქვიდან ქვაზე ხტოდა ახალგაზრდა და წინა ღამის ხიფათის სურათს აღდგენდა მეხსიერებაში. აი, ადგილი, სადაც დაიმალა, გამოქვაბული არც თუ ისე ღრმა ჩანდა, სამაგიეროდ, კარგად იყო შენიღბული. წყალმცენარეებითა და სუროს ფოთლებით. ფოთლები გადასწია, გამოქვაბულში შეიხედა, შეკრთა, ქვაზე გველხოკერა გადმოსრიალდა და წყალში შეცურა. „გუშინ ღამით მასთან ერთად ვიყავი ალბათ, რომ დავეგესლე? მაგრამ არა, ალბათ მას ჩემი ეშინოდა, მე კი-მდევრების, კიდევ კარგი, ვერ დავინახე, თორემ აი, მაშინ კი დადგებოდა ჩემი განკითხვის დღე! – გაიფიქრა ლაშამ და რაღატომღაც გულისყურით მოუნდა გამოქვაბულის დათვალიერება. ფეხით გადათელა

წყალმცენარეები, ჩამოკაფა სუროს ტოტები და გამოქვაბულში მზის სხივი შეუშვა. ახლა კი ნამდვილი ღრიალი აღმოხდა მოულოდნელობისაგან. გამოქვაბულში ქალის გვამი ესვენა. მონუსხულივით გაქვავდა ერთ ადგილზე. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია მდინარის მეორე მხარს. დამწვარი ავტომობილის ფერფლში მოკირკიტე კვალმაძიებელს და დაუყოვნებლივ ლაშას მისაშველებლად გამოიქცა, თვითონაც გაოცდა, როდესაც გამოქვაბულში ქალის გვამი დაინახა“

– არ შეეხოთ! – გასცა ბრძანება და ტელეფონით ზუგდიდის პოლიციის განყოფილებას დაუკავშირდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ორი მსუბუქი ავტომანქანა შემთხვევის ადგილთან გაჩერდა, პოლიციის თანამშრომლებმა გვამი საკაცეზე დაასვენეს. ქალს არავითარი საბუთი არ აღმოაჩნდა. ლამაზი იყო, სახეზე ტანჯვა არ ეტყობოდა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ქალი წამებით არ მოუკლავთ. თმა წაბლისფერი ჰქონდა, ტალღოვანი. თვრამეტი - ოცდაორი წლის თუ იქნებოდა. მკერდი წლოვანებასთან შედარებით ზომაზე მეტად სავსე ჩანდა, ბადრიმ მკერდზე მღოღავი ტილი შენიშნა, დაიხარა და სპეციალურ კოლბაში მოათავსა, ნინომ ეს შეამჩნია თუ არა, ლაშას უჩურჩულა:

– სად მიყავს თუ იცი?

– ქართველებს ცოტა ჰყავს და უნდა ბლომად მოუშენოს! – უპასუხა ლაშამ, აქ სიცილის ადგილი არ იყო და ორივემ მდინარისაკენ იბრუნა პირი.

ზუგდიდის პოლიციის უფროსი ბადრი ჩოხელს დაჰპირდა ექსპერტიზის ცნობასა და ძიების მსვლელობას აცნობებდა, შემდეგ გვამი ავტომანქანაში მოათავსეს და წავიდნენ.

– ჩვენც წავიდეთ! – თქვა კვალმაძიებელმა, – თორემ დღეს ისეთ აგონიაში ვართ, თვითონ ჩვენი საქმეა გამოსაძიებელი და დასაკითხი.

– თქვენ როგორ ფიქრობთ, ბატონო ბადრი, გვამი გამოქვაბულში ლაშას აქ ყოფნის შემდეგ არის მოტანილი, თუ

ლაშა გვამთან ერთად იმყოფებოდა და არაფერი იცოდა? – შეეკითხა ნინო კვალმაძიებელს.

– გვამი არავის არ მოუტანია, აქ ორი ადამიანი ცოცხალი მოვიდა, შემდეგ კი მოხდა მკვლელობა, თუ რა მიზეზით ამას გამოძიება გვიჩვენებს. აი, ხომ ხედავთ, აქ ჩემი კვალი ატყვია მიწას, ჩექმები კი, როგორც ხედავთ, ლაშას არ აცვია. ესე იგი ქალ–ვაჟი ამ პატარა თავშესაფარში ლაშას წასვლის შემდეგ მოვიდნენ, შესაძლებელია დღეს, დღისით–მზისით და არა ღამით, რადგან მეტად სავარაუდოა, დღისით მოეძებნათ თავშესაფარი ქალ–ვაჟს სექსუალური კავშირისათვის, ვინემ ღამით.

– შესაძლებელია. დარწმუნებით ხსნით ყოველივეს ბატონო ბადრი! – წარმოთქვა ლაშამ.

– შენ კი უნდა გამოგილოცოთ. შეგეშინდა, ალბათ! – გაეხუმრა ბადრი.

– ნამდვილად შემეშინდა, უფრო სწორად თავზარი დამცა საზარელმა სურათის ნახვამ, შიში კი უკვე ნაჭამი მქონდა და აღარ შემშინებია.

– ბედი ჰქონია მიცვალებულს, რომ შემთხვევით წააწყდი მის გვამს, თორემ ვინ იცის რამდენ ხანს მოუწევდა აქ ყოფნა, ოდესმე იქნებ ჩონჩხი ეპოვათ და ეს იქნებოდა სულ, ახლა კი გამორიცხული არ არის მკვლელიც მოიძებნოს და მიცვალებულიც მიაბარონ სამუდამო სასუფეველს.

– გამოდის, რომ კეთილი საქმე გავაკეთე, ნეტავი ასე შემთხვევით ჩემი ლიკა მაპოვნინა. ან მკვდარი, ან ცოცხალი, აღარ ვჩივი.

ნინომ ვერ აიტანა ლიკას ხსენება და საუბარში ჩაერთო:

– ბატონო ბადრი, ლაშას უჩვენე ის ცეცხლსასროლი იარაღის დაცლილი ვაზნა, მე რომ ვიპოვე?

– ჰო, მართლა, აი ვაზნა, რომლითაც სიკვდილს გიპირებდნენ, ნინომ იპოვა მდინარის მარჯვენა სანაპიროზე.

– მერედა, რა არის აქ გასკვირი, ხომ გითხარით, მესროდნენ–მეთქი.

– გასაკვირი ის არის, რომ ეს ვაზნა, არცერთი ქვეყნის შეიარაღებას არ მიესადაგება. თუმცა ექსპერტიზა ჩვენზე უკეთესად დაადგენს. ახლა კი წავიდეთ მივხედოთ საქმეს. ვინ იცის, შესაძლებელია ამ მკვლელობის კვალმა იქ მიგვიყვანოს რასაც ჩვენ დავეძებთ.

ბადრი ჩოხელის ავტომანქანა პოლიციის სამმართველოს ეზოში გაჩერდა. აქ ბევრი ნაცნობი ჰყავდა კვალმაძიებელს, მაგრამ პირადობის მოწმობა მაინც წარადგინა და ჯგუფის უფროსთან შევიდა, პირველად კოლბაში მღოღავი ტილი გადასცა და სთხოვა სისხლი აეღოთ და სისხლის ყველა მონაცემი დაედგინათ. ექსპერტთა ჯგუფის უფროსს თვალები გაუფართოვდა გაოცებისაგან, ერთი ფიქრი გაიფიქრა კიდეც, „ხომ არ შეეშალაო ჩოხელი“. შემდეგ გაიფიქრა დამცინისო და წყენით უთხრა:

– დამცინით, ბატონო ბადრი?

– მეტყობა, რომ სალაზღანდაროდ და დასაცინად ვარ მოსული?

– აბა სადა აქვს ტილს სისხლი, რომელი ვენიდან აუღო ამიხსენი მაინც.

– მართალია ტილს არა აქვს სისხლი და თუ აქვს იმისი სისხლის აღებასა და შემოწმებას მაინც ვერ შევძლებთ, მაგრამ სისხლი აქვს იმ ადამიანს ვისი სისხლითაც ტილია გამძღარი. აი, ის სისხლი უნდა შევამოწმოთ, არჩილ!

– გასაოცარი კაცი ბრძანდებით, ბატონო ბადრი. ჩემი მუშაობის ოცდაათი წლის პრაქტიკაში მსგავსი შემთხვევა ნამდვილად არ მქონია, ალბათ, მკვლელობაა ნაღდად.

– ჰო, მოკლულის გვამზე აღმოვაჩინე, მაგრამ გვამი იმდენად სუფთა და ჰიგიენური ჩანდა, შეუძლებელია ტილი მას ჰყოლოდა, მწერი მკვლელის სისხლით მგონია გამაძღარი.

– ახლავე შევასრულებთ თქვენს თხოვნას. სანამ ტილი სისხლს მოინელებდეს, თქვენ ზუსტი პასუხი გეცოდინებათ, უთხრა არჩილმა და მთავარი ექსპერტ–ლაბორანტი გამოიძახა, რომელიც არანაკლებ გაკვირვებული დარჩა, ვითარების

მოსმენის შემდეგ, ვიდრე მისი უფროსი. ლაბორანტმა კოლბა წაიღო და ბადრიმ ჯიბიდან ცეცხლსასროლი იარაღის ვაზნა ამოიღო.

– აი, კიდევ ეს უნდა შემიმოწმოთ, ბატონო არჩილ, რომელი ქვეყნის ცეცხლსასროლი იარაღის სისტემას მიეკუთვნება.

– თუ არა, თვითონ გეშლებათ, ცეცხლსასროლი იარაღის სისტემა და კალიბრი?

– არა, მაგრამ ექსპერტის დასკვნა მესაჭიროება.

– ჰო, თუ ასეა, რა გაეწყობა, მიჩვენე.

არჩილმა ვაზნა ჩამოართვა ბადრის და ბევრი კირკიტის შემდეგ წარმოთქვა:

– ეს კიდევ მეორე საოცრება, ჩემი აზრით, ეს ვაზნა კუსტარული არ უნდა იყოს, სუფთა ქარხნული ნამუშევარია და გასაკვირია, რომ არცერთი ქვეყნის შეიარაღებაში არ არის აღიარებული. ეს მხოლოდ ჩვენი შეხედულებაა და მეტი არაფერი. ზუსტ ცნობას რამდენიმე წუთში სათანადო ექსპერტიზა მოგვაწვდის.

ამ საუბარში რომ იყო კვალმაძიებელი არჩილთან, გამოქვაბულში ნაპოვნი გვამის საექსპერტო დასკვნა შემოიტანეს, რომელიც იტყობინებოდა, რომ გამოქვაბულში ნაპოვნი გვამი მიეკუთვნება, ოცდაერთი წლის მაკონა ჯალაღონიას, მცხოვრებს ქ. გალში, რომელიც ეწეოდა ამორალურ ცხოვრებას. გვამი გაუპატიურებულია, თუცა ძალადობა არ შეემჩნევა, გარდაცვლილია სქესობრივი კავშირის დაწყებამდე, გულის კუნთის შეკუმშვის შედეგად, დასკვნას ხელს აწერდა ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც მრგვალი ბეჭდით იყო დამოწმებული.

საგონებელში ჩავარდა კვალმაძიებელი. იცოდა ასეთი ადამიანის დაღუპვის ძიებით თავს არ შეიწუხებდა სამძებრო პოლიცია, ამიტომ თვითონ უნდა მოეკიდა ხელი ამ საქმის გამოსაძიებლად. ძიებისას იქნებ ლიკას გაუჩინარების კვალისთვის მიეგნო.

ცოტა ხანს კიდევ ისაუბრა ბადრიმ არჩილთან და ტილის მუცელში ნამყოფი სისხლის ანალიზიც მიიღეს, რომელიც იტყობინებოდა, რომ სისხლი განეკუთვნებოდა მეორე რეზუსუარყოფით ჯგუფს, რომელიც გამოქვაბულში ნაპოვნი ქალის გვამის სისხლს არ მიესადაგებოდა.

– ასეც ვიცოდი! – წარმოსთქვა კვალმაძიებელმა, ახლა კი უნდა ვეძებოთ ტილიანი მამაკაცი, რომელსაც სისხლი მეორე ჯგუფის რეზუსუარყოფითი აქვს.

– მაგას რას ნახავ, რა ცოტა ახლა ეგ არის საქართველოში, სანამ, ჩემო ბიძიკო, შენ მაგას იპოვი, მკვლელი მოხუცდება და თავისი სიკვდილით მოკვდება – თქვა ნინომ.

– ტილი რა უყავით? – უადგილოდ წამოიძახა ლაშამ.

– სისხლის აღების დროს გარდაიცვალა! – თქვა არჩილმა.

– საწყალი ტილი! – სიბრალული ვერ დაფარა ნინომ და თვალებთან ცხვირსახოცი მიიტანა თითქოს ცრემლის შესამშრალებლად.

ყველას გაეღიმა. ამას ჰქვია „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი“. რას იზამ, მეძავი არავის უყვარს, არავის ეტირება, იმას კი არ ამბობენ, თუ რატომ დაადგა ამ გზას გოგონა, რამ აიძულა, ვინ არის დამნაშავე, არა, ამას არავინ კითხულობს! საბრალო გოგონა, მთლად ახალგაზრდა ვინ იცის როგორ განიცდიან მშობლები მის დაღუპვას, იქნებ ის იყო ერთ–ერთი და უკნასკნელი ოჯახის მარჩენალი. ჰო, მეძაობით, რადგან კუჭი სინდისთან ჭიდილში მუდამ გამარჯვებულია, მე მაგ მკვლელობას გამოვიძევ და საკადრისადაც დავსჯი დამნაშავეს. – ასეთ უსიამოვნო ფიქრში ჩაძირული იყო კვალმაძიებელი, როცა ცეცხლსასროლი ვაზნის ექსპერტის ცნობა შემოიტანეს: „ცხრა მილიმეტრიანი ერთჯერადი ხმარების ცეცხლსასროლი იარაღის ვაზნა არ განეკუთვნება მსოფლიო შეიარაღების სისტემას, შესაძლებელია კუსტარული იყოს, თუმცა ასეთი სიზუსტით დეტალის დამზადება შეუძლებელია. ვაზნას ტყვიის მაგივრად უნდა ჰქონოდა ლაზარის

სხივის ამპულა, რომლის სამოქმედო მანძილი 800–1000 მეტრი ივარაუდება.

ვაზნაში დენთის ნაცვლად უნდა ყოფილიყო რომელიღაც ქიმიური შენაერთის მასალა, რომელიც ლაზერის სხივის გადატყორცნას უხმაუროდ ახდენდა. ჩვენი ვარაუდით, ცეცხლსასროლი იარაღი მიეკუთვნება იმ სახელმწიფოს, რომელიც ახალ საბრძოლო გამოგონებას ზესაიდუმლოდ ინახავს.

– აგაშენა ღმერთმა! – სინანულით წარმოთქვა კვალმაძიებელმა – თუ რომელიღაც ზებუნებრივად განვითარებული ქვეყანა საქართველოს განადგურებით დაინტერესდა, მოგვწყობია ხელი და ეგ არის. სად ვეძებო ახლა მე ეს ქვეყანა, და შემდეგ ამ ქვეყანაში შენიღბული ბოროტმოქმედი?

– რას ფიქრობ, ბატონო ბადრი? – შეეხმიარა არჩილი და ფიქრი გააწყვეტია კვალმაძიებელს.

– გალში უნდა წავიდე და მაკონა ჯალაღონიას ოჯახი მოვინახულო, ცოდოა. მკვლელს არ უნდა შერჩეს ახალგახრდა ადამიანის სიკვდილი, ვინ იცის, იქნებ სხვა გზაც გაგვიხსნას მაგ ბოროტმოქმედებამ.

– ხელწერა ერთი და იგივეა?

– არა. ვისაც დავეძებთ გატაცებაა, უგზო–უკვლოდ არის გაუჩინარებული –

– ეჰ, დაიწყო მგონი ძველჟამობა საქართველოში. თუ ძველებურად დაიწყეს გატაცებები და ქართველთა მამელუქობა, გაგვიჭირდება ცხოვრება.

– კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო არჩილ, გალში მივდივარ, იმედია კიდევ შევხვდებით – უთხრა კვალმაძიებელმა და გულთბილად გამოემშვიდობა კოლეგას.

გალი პატარა ქალაქია. ყველა ერთმანეთს იცნობს და არც ბადრის გაჭირვებია ჯალაღონიების სახლის მიგნება, პატარა ორსართულიანი აგურის სახლი, ლამაზადაა მწვანეში ჩაფლული, ჭიშკართან მაგნოლია ჰყვავის, სახლის წინ პალმა იწონებს თავს. დაიძახეს, შუახნის ლამაზმა მანდილოსანმა

გამოიხედა, კვალმაძიებელმა მაკონას მიამსგავსა მასპინძელი – „ალბათ დედაა“ გაიფიქრა და გამოელაპარაკა.

– გამარჯობათ! –

– გაგიმარჯოს, ვერ შეგიცანით, უცხოები ჩანხართ, შემობრძანდით სახლში – შეიპატიჟა სტუმრები დიასახლისმა.

– არა, დრო არა გვაქვს, მაკონა აქ ცხოვრობს?

– კი, აქ ცხოვრობს, ცუდი ამბავი ხომ არაფერი მოგიტანიათ?

– არა, ქალბატონო, უბრალოდ ნახვა გვინდოდა მისი.

– სახლში არ არის, დღეს დილით გავიდა სახლიდან ჯერ არ დაბრუნებულა, არ ვიცი სადაა, არ დაუბარებია.

– ყოფილა ასეთი შემთხვევა რომ დილიდან საღამომდე სახლში არ მოსულა?

– კი, ხანდახან ღამეც დარჩენილა ხოლმე ამხანაგთან!

– ვისთან მეგობრობს?

– აქვე ცხოვრობს პაპასკუა თამუნა.

– გმადლობთ ქალბატონო, ჩვენ წავალთ თამუნას გავესაუბრებით – ცნობისმოყვარეები ეზოებიდან იცქირებოდნენ, ზოგიერთი თავხედი ქუჩაშიც კი გამოსცულიყო და საუბარს ისმენდა. თითქოს მთელი ქუჩა გრძნობდა მოსალოდნელ უბედურებას, ვერცერთი ადამიანის სახეზე ღიმილს ვერ შეამჩნევდით. მწუხარება ნისლივით ჩამოწოლილიყო მთელს უბანში.

თამუნა პაპასკუა სახლში აღმოჩნდა, არხეინად წამოწოლილიყო ჰამაკში და მთელი არსებით ნებივრობდა, მხოლოდ საშო ჰქონდა დაფარული, დანარჩენი სხეული დედიშობილა იყო, უცხო მამაკაცის დანახვაზე არც შემკრთალა, მოხდენილად გადმოგორდა ჰამაკიდან, ლერწამივით ტანის მიმოხვრით კედელზე ჩამოკიდებულ ხალათს მიწვდა, მისი მაცდუნებელი სილამაზე რომელ მამაკაცს არ აღუძრავდა ქალის სურვილს, მკერდზე ბუსხალტერი არ ჰქონდა გაკეთებული და არც საჭიროებდა. ჰამაკიდან ჩამოხტომის დროს ოდნავადაც არ დაქანებულა დაბლა, ხალათი მოიცვა, მკერდზე მაცდურად მოისვა ხელი და ბადრის გაუღიმა

– ღმერთის გულისთვის, ასეთ სილამაზეს ნუ დამალავთ. დამატკბეთ თქვენი ცქერით! – კომპლიმენტით უთანაგრძნო ბადრიმ. ქალმა არაფერი უპასუხა. თავი გადააქნია და კომპლიმენტით ნასიამოვნები ღიმილად დაიღვარა, შემდეგ სავარძელზე მიუთითა – დაბრძანდით – ძლივს გაიმეტა ეს ერთადერთი სიტყვა. ბადრის თავპატიჟი არ დაუწყია. სავარძელში ჩაჯდა და ქალით მოხიბლულს ვეღარ წარმოედგინა, საუბარი საიდან დაეწყო.

ისევ ქალმა იაქტიურა:

– უცხო ბრძანდებით, გაკვირდებით და ჯერ კიდევ ჩემს მეხსიერებაში არ ამოტივტივდით, რით შემიძლია გემსახუროთ?

– მე პროკურატურის გამომძიებელი ბადრი ჩოხელი გახლავართ...

– ოჰო, თქვენღა მაკლდით, ნეტავი, რატომ დაინტერესდა ესოდენ სახელმოხვეჭილი კვალმაძიებელი ჩემი პიროვნებით.

– მაკონა ჯალაღონიას იცნობთ!

– ჩემი დაიკო, საბავშვო ბაღის „გარშოკიდან“ ვმეგობრობთ, მართალია ერთი დედის შვილი არა ვართ, მაგრამ ეს არ ყოფილა საჭირო დასავით გიყვარდეს შენი ტოლ–სწორი, მაინტერესებს, ან იმის პიროვნებით რატომ დაინტერესდით? ის ისეთს არაფერს ჩაიდენს, პროკურატურა შეწუხდეს. იმისი პროფესია სასჯელს არ ითვალისწინებს.

– რა პროფესია აქვს ასეთი?

– მაცდური ღიმილი, რის სანაცვლოდაც მამაკაცებისაგან ალერსს ღებულობს.

– მარტო ალერსს?

– ხანდისხან მარტო ალერსს, თქვენ რასაც ფიქრობთ, იმას ყოველთვის როდი იმეტებენ მამაკაცები ალერსის სანაცვლოდ? ხანდახან ისეთი მხეციც შეგვხვედრია, ყველაფერი რომ უნდა დაიტოვოს, პიროვნების გარდა. იცი რამდენჯერ გადაურჩა ჩემი მკერდი მოჭრას? ლამაზიაო და იმიტომ. ალერსამდე ლამის ცოლად წაყვანას გპირდება კაცი, შემდეგ

კი ფულს ვერ უხსენებ, არადა სილამაზე რომ გიყვართ? მამაკაცებს ფული ენანებათ, სილამაზის შენარჩუნებას ფინანსები სჭირდება. ამ სილამაზეს ხომ თქვენ გწირავთ!

– არ იცის, რისთვის ვარ მოსული, თორემ ასე მიმზიდველად არ ილაპარაკებდა – გაიფიქრა კვამაძიებელმა. თამუნას მისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია, ისე განაგრძობდა ფულზე საუბარს.

– ფული ერთადერთი ორატორია, რომელიც ყოველთვის გვარწმუნებს თითქოს მისი ძლიერება თვით ბუნების უკვდავებიდან იღებს სათავეს. აი, რატომ არის, რომ უბრალო, მაგრამ მდიდარი კაცი უკეთ გვეხმარება ცხოვრებისეული საკითხის გადაწყვეტა–მოგვარებაში, ვიდრე ენამჭევრი, ბრძენი, მაგრამ ღარიბი და არასმქონე. ფული ქალსა ჰგავს, უყვარს მოფერება და საზოგადოებაში გამოჩენა. ამით ბრწყინვალება ქალსაც ემატება, ფულსაც და მის მფლობელსაც. ქალმა რომ სილამაზე შეინარჩუნოს, მარტო მამაკაცის ალერსი არ ჰყოფნის, მარტო ალერსმა შეიძლება დააგლახაოს. მაგრამ ალერსის სანაცვლოდ მიღებულმა ფულმა, მით შეძენილმა ნოყიერმა საკვებმა და მკვებავმა მაზებმა შეიძლება მახინჯსაც შემატოს მშვენიერება.

– ქალბატონო თამუნა, მე თქვენთვის არც ფული მომიტანია და არც სილამაზის წასაღებად ვარ მოსული. უბრალოდ მაინტერესებს, თუ სად იმყოფება თქვენი მეგობარი მაკონა.

– უბრალო დაინტერესებით კვალმაძიებლები არ კითხულობენ ხოლმე, პირდაპირ მითხარით. რატომ დაინტერესდით, მგონია, მცდარ გზას მიჰყვებით, რადგან მაკონა არავითარი დანაშაულის ჩამდენი არ არის და უმჯობესია სხვა გზა ეძებოთ. ის დღეს დილით ერთ მათხოვარს უნდა შეხვედროდა, მათხოვარი უთხარი შენ, ათას დოლარს დაპირდა ალერსის სანაცვლოდ, უკვე დაღამდა და ძალიან გაუგრძელდათ ალერსი. ალბათ, ორიათასზედაც შეახუჭუჭებს, მაკონა ისეთი გოგოა.

– შენ იცნობ იმ მათხოვარს?

– კი, ახალგაზრდაა, სიბრმავეს იგონებს, ეკლესიის წინ დგას მუდამ თავისი განუყრელი ყავარჯენით.

– შეგიძლიათ შემახვედროთ, ან შორიდან დამანახოთ ის მათხოვარი?

– კი, როგორ არა, მაგრამ ახლა არა, მათ ეშმაკიც ვერ მიაგნებს. სად იქნებიან, ხშირად ის მათხოვარი ხიდის ქვეშ ათევს ხოლმე ღამეს, იქა აქვს მოწყობილი თავისი ბუნაგი.

– მერედა, ხიდის ქვეშ შეყვებოდა მაკონა იმ მათხოვარს?

– ათას დოლარად თქვენ უარს ეტყოდით?

ბადრის გულიანად გაეცინა და ძლივს წარმოთქვა:

– მე არც მილიონად დავთანხმდებოდი.

– დიდი ფულის პატრონი ყოფილხართ!

– არა, უბრალოდ მათხოვარ კაცთან ალერსი ვერ წარმომიდგენია და თქვენ ნამდვილად არ გეტყოდით უარს, თუ ათას დოლარს გაიმეტებდით.

– მე თუ გავიმეტებდი?

– ჰო, Моя золотая оправка.

– ჰოო, ინტერესში ჩამაგდეთ „послезе“ ვერ მოვრიგდებით?

– შემდეგში შეიძლება მოვრიგდეთ, ახლა დრო არა მაქვს ავტომანქანაში მეგობრები მელოდებიან, ჩვენ კიდევ შევხვდებით, შეიძლება ერთ ამოუხსნელ საკითხში დამჭირდეთ და იმედი მაქვს გამომადგებით.

– დიდი სიამოვნებით!

ბადრი წამოდგა გულთბილად გამოემშვიდობა თამუნას და რკინის ჭიშკარი გაიხურა.

– ახლა წავიდეთ, სასტუმროში დავიდოთ ბინა, დილით მათხოვარი უნდა დავაპატიმრო, უთხრა ბადრიმ ლაშასა და ნინოს, რომლებიც არც თუ ცოტა ხანს ელოდებოდნენ კვალმაძიებელს.

– რომელ კვალს მიაგენით, ბატონო ბადრი? – შეეკითხა ლაშა იმ იმედით, რომ მის სასარგებლოდ იტყოდა რაიმეს, მაგრამ იმედი გაუცრუვდა.

– მაკონას მკვლელს დავიჭერ ხვალ დილით, თუმცა ამ საქმეს აჩქარება არ შეიძლება სასამართლოს განაჩენით, კანონის შესაბამისად. უნდა ვცნოთ ბრალდებული დამნაშავედ.

– თუ აღიარა დანაშაული, წინასწარი პატიმრობა ხომ შეიძლება? იკითხა ლაშამ.

–კარგი სათქმელია, ,,თუ აღიარა, მაგრამ აღიარებს?

– ფაქტებს ვერსად დაემალება, თამუნას დაპირისპირებას სად გაექცევა?

– ვნახოთ, რას მოგვცემს ხვალინდელი დღე – თქვა ბადრიმ და ავტომანქანა სასტუმროს კარებთან გააჩერა.

არც თუ ისე უშფოთველი ძილი ჰქონდათ სტუმრებს ლაშას ხან გველხოკერა ელანდებოდა და ხან კიდევ, ქალის უსულო გვამი. არ უნდოდა, მაგრამ რატომღაც ლიკას სახე იკვეთებოდა იმ გვამში და მწუხარება ერეოდა, ცრემლი თავისთავად ასველებდა ბალიშს და უნებური ოხვრა ესმოდა ნინოს, რომელსაც თხელი კედელი ჰყოფდა ლაშას საწოლთან. – ,,ნეტავი ბადრი არ იყოს ჩვენთან, ვანუგეშებდი სიყვარულით დატანჯულ ლაშას" – ფიქრობდა ნინო და არც კი იცოდა, რით ენუგეშებია. იქნებ შეუყვარდა, იქნებ ებრალებოდა და ნუგეში იყო საჭირო დაევიწყებია ძველი და შემოებრუნებინა ახალი სიყვარულისკენ. ,,გავალ და ვანუგეშებ", წამოდგა კიდეც, მაგრამ ბადრიმ გვერდი შეინაცვლა ,,არ ძინავს" – უჩურჩულა თავის ორეულს და ისევ წამოწვა, ბადრის, მართლაც, არ ეძინა, გეგმებს აწყობდა, თუ როგორ დაეპატიმრებია დილით მათხოვარი და რა ბრალდებები წაეყენებია მისთვის. როგორც იქნა გათენდა არც თუ გრძელი ღამე, საუკუნედ რომ ეჩვენა თითოეულ მათგანს.

ზარი შემოჰკრეს, წირვაზე უხმობდა წმინდა გიორგის ეკლესია ხალხს, ბადრიმ ,,ფიტულმა" და ნინომ სანთლები იყიდეს,. წმინდა გიორგის ხატის წინ აანთეს და შესცქეროდნენ, თუ როგორ დნებოდა სანთელი და მკაფიო შუქით ნათდებოდა ღვთიური სახე.

ეკლესია თანდათან შეივსო მრევლით, მომრავლდნენ კარებთან მათხოვრები, მაგრამ ,,ბრმა" ჯერ კიდევ არ ჩანდა.

„ნუთუ იყნოსა და გაიქცა“ – გაიფიქრა ბადრიმ, ამ დროს ჯოხის კაკუნით, ეკლესიაში შემოსასვლელ კარებს ისიც მოუახლოვდა და გაჩერდა. ახალგაზრდა წარმოსადეგი და მაღალი იყო მათხოვარი, შავი წვერი შვენოდა, მედიდურად აეწია თავი მაღლა და ვერ გაარკვევდით სივრცეს მიჩერებოდა თუ ქრისტეს ხელთუქმნელ ხატს. უბრალოდ, მაგრამ სუფთად იყო ჩაცმული, ლამაზად გამოიყურებოდა, გამორიცხული არ იყო, მრავალი გასათხოვარი ქალიშვილისათვის აეჩქროლებია გული მის სილამაზეს, რომ არა მათხოვრობა. ბადრიმ კინაღამ გადაიფიქრა მისი დაპატმირება, მაგრამ შემოწმებას აუცილებლობა მოითხოვდა, ამიტომ მივიდა, მათხოვრებს ხურდა ფული ჩამოურიგა, ბოლოს ბრმას ქაღალდის ფული ჩაუდო ხელში და მკლავში ხელის გამოდებით გვერდზე გაიყვანა და ყურში უჩურჩულა:

– არავითარი წინააღმდეგობა, თქვენ დაპატიმრებული ხართ! –

მათხოვარს გაეღიმა, კიდევ უფრო მედიდურად ასწია მაღლა თავი და გაკვირვებით წარმოთქვა:

– ნეტავი რა დააშავა საბრალო ბრმამ?

– წამობრძანდით! მოწმედ გვესაჭიროები და რამდენიმე წუთის შემდეგ აქვე მოგიყვანთ.

– ვწუხვარ, მაგრამ არც მოწმედ გამოგაგდებით, თვალით უხილავი ვერ ვიტყვი, დავინახე–მეთქი.

– ხომ გაიგონებდი!

– ასჯერ მოსმენილს ერთჯერ დანახული ჯობია.

– შენც ასჯერ გაიმეორე მოსმენილი და ერთჯერ დანახული გამოგივა.

– როდესაც არც არაფერი გამიგონია?

– ისეთ ადგილზე დგახართ აუცილებლად გაიგონებდით რაიმეს.

– აქ თვალხილულებიც დგანან. ხომ არ აჯობებდა ისეთი დაგეკითხა, რომელსაც ყურთასმენაც აქვს და მხედველობაც.

– არა, მე თქვენთან გასაუბრება მირჩევნია, ვიდრე რომელიმე...

– კარგი, რა გაეწყობა წამოვალ, თუ ცოტაოდენ თანხას გადამიხდით, იმის ნახევარს მაინც, რაც დღეს უნდა მეშოვა.

– მაინც რამდენს?

– ორმოცდაათი დოლარის ეკვივალენტს. თუგინდ სულ ხურდა ფულით

– თქვენ არც თუ ცუდ სამსახურში ყოფილხართ!

– სამაგიეროდ ვარ მათხოვარი, სინათლეს მოკლებული, ბრმა...

– ვიცი, ვიცი, თანახმა ვარ, წავიდეთ.

ბადრიმ მათხოვარი პოლიციის განყოფილებაში მიიყვანა უფროსს მყუდრო კაბინეტი გამოსთხოვა, საქმის ვითარება გააცნო და ეჭვმიტანილი თავისი ხელით ჩასვა სავარძელში. შემდეგ ასანთი გაჰკრა და თვალებთან მიუტანა. „ბრმა“ არ შერხეულა. „კარგად ასრულებს ბრმის როლს“ – გაიფიქრა ბადრიმ, თვითონაც ეჭვმიტანილის პირისპირ ჩაჯდა სავარძელში და დაკითხვას შეუდგა:

– თქვენი გვარი და სახელი?

– არაფერსაც არ გეტყვით, წინასწარ დანაპირები ორმოცდაათი დოლარი გადამიხადეთ და შემდეგ ვილაპარაკოთ.

– არაფერსაც არ გადაგიხდი, სარდაფში ჩაგაყუდებ, გვარიანადაც მიგთეთქვავენ, დანაშაულსაც დაგიმტკიცებ და სასჯელსაც რიგიანად აგკიდებ.

– მე შენ წმინდა გიორგის ეკლესიის ზარებზე შეგრისხავ.

– მკვლელისაგან წყევლა არ მომივა!

– რაო? მკვლელისაგან? შენ ჩემში მკვლელს ხედავ?

– დიახ, ეჭვმიტანილი ხარ მკვლელობაში, მხოლოდ ეჭვმიტანილი და თუ შეგიძლია დაამტკიცე შენი უდანაშაულობა.

– მე კი არ უნდა დავამტკიცო, რომ უდანაშაულო ვარ, ეს თქვენ უნდა დამიმიტკიცოთ ჩემი დანაშაული.

– ვეცდები!

– ტყუილი მცდელობა გამოგივათ, რაც არ მომხდარა, ვერ დამიმტკიცებთ, ეს იგივე ქმედება იქნება, მუსლიმანმა რჯულის შეცვლა რომ მომთხოვოს.

– მაშინ დავიწყოთ.

– პირდაპირ მითხარით ვის მკვლელობას მაბრალებთ.

– მაკონა ჯალაღონია გაგიგონიათ?

– რაო, მაკონა მოკლეს? – წამოიძახა „ბრმამ“ და თვალით შესამჩნევად დაინახა კვალმაძიებელმა, თუ როგორ აეშალა წვერი და ყალყზე დაუდგა თმა.

შემდეგ ცრემლის მსხვილი მარცვალი გადმოუგორდა უსინათლო თვალთაგან და წვერზე დაეკიდა.

„განიცდის თუ თვალთმაქცობს“? – გაიფიქრა ბადრიმ ალბათ, თვალთმაქცობს, სიბრმავესაც ხომ დიდი ოსტატობით ასრულებს?

– სად იპოვეთ გვამი? – იკითხა ხმის კანკალით თვალ-ცრემლიანმა მათხოვარმა.

– შენ რა იცი, რომ გვამი ვიპოვეთ? – კითხვითვე უპასუხა ბადრიმ.

– თქვენ ხომ მითხარით, რომ მაკონა ჯალაღონია მკვდარია, სახლში რომ მომკვდარიყო, მეც არ დამკითხავდი, ესე იგი სადღაც იპოვეთ მიცვალებულის გვამი.

– „დიდი გაიძვერა ვინმე უნდა იყოს“ – გაიფიქრა ბადრიმ – „თვალნათლივ ჩანს სიამაყე„. დაუდევრობა და თვითდამჯერლობა ეჭვმიტანილში, თითქოს მეუბნება:

– ჰო, ამ საქმეში ჩემს სიტყვას საბოლოოდ ნუ მიიჩნევ და ნუ დაეყრდნობი. მაგრამ თქვენთან თუ ხმა ამოვიღე და საუბარი გადავწყვიტე ეს იმიტომ, რომ შენზე ძლიერიცა ვარ, კაცადაც გჯობივარ და ჩემგან ვერც ვერაფერს მიაღწევო“ – ოდნავი დუმილის შემდეგ კვალმაძიებელმა კითხვა გაიმეორა:

– თუ ჩემთან საუბარი გადაწყვიტეთ, ვისაუბროთ ყოველ-გვარი მიკიბ–მოკიბვის გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული გავხდები, თქვენი საქმე სხვა გამომძიებელს გადავცე, რომელიც ჩემსავით ლმობიერად არ მოგეპყრობათ.

— მაშინებთ?

— არა, გაფრთხილებთ!

— ჩემთვის სულერთია, ვინ რას შემეკითხება, მეტად თავზარდამცემ სიტყვას არავისაგან აღარ მოველი, რაც გავიგონე.

— შეგიძლიათ ადვოკატი აიყვანოთ და დაკითხვას დაასწროთ!

— ადვოკატი დამნაშავეებს სჭირდებათ, დანაშაულიდან თავის დასაძვრენად, მე პირადად ყველა დამნაშავედ მიმაჩნია, ვისაც ადვოკატი იცავს.

— ძალიან კარგი, იმედი მაქვს უდანაშაულობას ადვოკატის გარეშე დამიმტკიცებთ.

— მე არავის დახმარება არ მჭირდება, თქვენ კი უფლებამოსილი ბრძანდებით პროკურორს მოუხმოთ, რათა დამიმტკიცოთ დანაშაული.

— როგორც თქვენ არ გჭირდებათ ადვოკატი, ისე მე არ პროკურორი. იმედია, გულახდილად ვისაუბრებთ. მაშ დავიწყოთ: — თქვენი გვარი?

— კი არ დავიწყოთ, გავიცნოთ მე ლომური არაბული ვარ, ვეფხია არაბულის ძე.

— სწორი შენიშვნაა, მე ბადრი ჩოხელი ვარ, გიორგი ჩოხელის ძე, პროკურატურის ყოფილი გამომძიებელი, ამჟამად დეტექტივი! გუშინ დილით თქვენ უნდა შეხვედროდით მაკონა ჯალაღონიას, შეხვდით, თუ არა?

— არა მართალია, უნდა მოსულიყო, მაგრამ არ მოვიდა, მთელი დღე იმ ადგილას ვიდექი, საიდანაც თქვენ წამომიყვანეთ, ეჭვიც არ მეპარება, სიმართლეს დამიმოწმებენ ეკლესიის მოძღვარნი, სანთლის გამყიდველები, მათხოვრები და მრევლი რომელთაგანაც მოწყალება მიმიღია.

— როგორი ატმოსფერი გაკავშირებდათ მაკონა ჯალაღონიასთან?

— მე ის მიყვარდა!

— თქვენ ხომ ბრმა ხართ!

– მერე რა გგონიათ, რომ ბრმას არ შეუძლია სიყვარული? სითბოს გრძნობა ყველა თვალხილულზე მეტად ბრმას გააჩნია, ჩვენ, ბრმები ხელისშეუხებლად აღვიქვამთ ქალის სითბოსა და სიმშვენიერეს, გრძნობის თვალით მივჩერებივართ მასში ნაკლსაც და დიდებასაც. თქვენ კი, შემიძლია თამამად ვთქვა, თვალხილულთა უმეტესობა ქალში მხოლოდ ქალს მისჩერებიხართ და მეტს არაფერს. უფრო სწორად, სასქესო ორგანოს, მხეცური ჟინის დასაკმაყოფილებელ ხვრელს. კაბას, რომელსაც საშოს სურნელი დაჰკრავს თვალხილულთათვის, ისიც ქალია. ზოგიერთის ტვინამდე არ დადის, რომ ქალი არც ჭურჭელია, არც მხეცი და არც ანგელოზი, ქალი მთელი ცხოვრებაა, ქალი დედაა, დედა! და სწორედ ეს ვერ შევაგნებინე მაკონას. ის დაიღუპა და მასთან ერთად დაიღუპა ჩემი სიყვარულიც.

– რატომ იტყუებით, თქვენ ბრმა არა ხართ!

– სრული ჭეშმარიტებაა, მე ბრმა ვარ, საკუთარი თავი და საზოგადოებაც მოვატყუე, რომ ჩემს გრძნობას მაკონას მეტი არავინ დაენახა, ყოველდღე ვხვდებოდით, მხოლოდ გუშინდელი დღე იყო გამონაკლისი. ჩემი ქმედებისათვის კანონი თუ სასჯელს ითვალისწინებს, შემიძლია უდრტვინველად ავიტანო ყოველგვარი ტანჯვა.

– თქვენ თუ გქონიათ სქესობრივი კავშირი მაკონასთან?

– ამას რა მნიშვნელობა აქვს. ამ ქვეყნიდან ისე წავიდნენ ცნობილი ფიზიკოსი ისააკ ნიუტონი და ფილოსოფოსი იმანუილ კანტი, რომ მათ ქალის ხორციელი სიყვარული არ შეუგრძვნიათ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ ქალი არასდროს ყვარებიათ. რაც შეეხება ჩვენს სიყვარულს ეს პირადულია და მინდა მიწაში ჩავიტანო, ბოდიში, მაგ შეკითხვაზე პასუხს ვერ გაგცემთ.

– თქვენს მოძღვართან აღსარება გითქვამს?

– კი როგორ არა, რამდენიმეჯერ ვეზიარე კიდეც...

– ეს საიდუმლოც ხომ გაუმხილე!

– გავუმხილე, მაგრამ ის მოძღვარია, თქვენ კი გამომძიებელი, თქვენ შორის დიდი სხვაობაა, შეიძლება დღეს თქვენ

ძმობა შემომფიცოთ, დამაცდენინოთ ჩემი საიდუმლო, დამპირდეთ, რომ არავის ეტყვით, მაგრამ გვარ-სახელსაც არ შეცვლი, ისე გამოსცემ ხვალ წიგნად.

– ცდებით, გამომძიებელი იგივე მოძღვარია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მოძღვარი ღმერთს ემსახურება, კვალმაძიებელი კი ბოროტებას დევნის, ეს თითქმის ერთი და იგივეა.

– არა მგონია, ჩემი აზრით მოძღვარი ღმერთს კი ემსახურება მაგრამ, გამომძიებელი სატანას, ასე რომ არ იყოს ქრისტე არ იტყოდა: – „მიხედვა პატიმართა“, ვინ იცის, იქნებ ეს მწუხარება ვერ გადავიტანო და არ მინდა ეშმაკის სამსახურში მიხილოს მაკონას სულმა.

– რატომ ხართ მცდარ მოსაზრებაში ასე დარწმუნებული, გამომძიებელი სატანას არ ემსახურება. ასე რომ იყოს, მე თქვენ აქ არ წამოგიყვანდით და მაკონას დაღუპვით გამწარებული უბანი დღესვე შენ ჩაგქოლავდა, რადგან იციან, რომ მაკონა გუშინ შენ უნდა შეგხვედროდა. ისინი არავის დაუწყებენ გამოკითხვას, თუ სად იმყოფებოდი გუშინ, ჩაგქოლავენ და ძიებაც შენი სიკვდილით დასრულდება. მე კი მინდა თქვენი დახმარებით ვიპოვო ნამდვილი ბოროტმოქმედი და კანონის ძალით დავსაჯო, განა მკვლელი პატიმარი შესაწყნარებელი და დასანდობია?

– მე რით შემიძლია დაგეხმაროთ?

– მიპასუხეთ, გქონიათ ხორციელი კავშირი მაკონასთან?

– ჩვენ ერთად ვსწავლობდით, მაკონა სკოლის მერხიდან მიყვარდა, იმასაც ვუყვარდი, ერთად ვმეცადინეობდით, სულ ერთად ვიყავით და ვგრძნობდით, ერთმანეთის გარეშე არსებობა არ შეგვეძლო, სიმწიფის ატესტატი რომ ავიღეთ, ბანკეტი გადავიხადეთ და ახლაც არ ვიცი, როგორ აღმოვჩნდით ერთად ლოგინში, ჩემს ცხოვრებაში ის იყო პირველი და უკანასკნელი ქალი, მიხაროდა და მეამაყებოდა, რომ პირველი კაციც მე ვიყავი მისთვის. შეუღლების წინააღმდეგი იყო და ყოველთვის ფარულად ვხვდებოდით ერთმანეთს. ჩემი ალერ-

სი მისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა და მიღალატა, გავუგე, მინდოდა მეპატიებია და ისევ შევთავაზე ცოლობა და იცით რა მითხრა? „შემეშვი, თუ ღმერთი გწამს, ხომ ხედავ ავადმყოფი ვარო“.

– როგორ, ავადმყოფობას ამჩნევდით?

– არავითარი ავადმყოფობა მე იმისთვის არ შემიმჩნევია, ეს იყო მხოლოდ, რომ ხორციელი კავშირის დაწყებამდე ხშირად გრძნობას კარგავდა.

– დაწყებამდე თუ შემდეგ.

– დაწყებამდე!

– და შემდეგ გრძნობა უბრუნდებოდა?

– უბრუნდებოდა აქტის პერიოდში, მე ამას ავადმყოფობად არ მივიჩნევდი, მეგონა, რომ ყველა ქალი ასეთი იყო, იმისმა სიტყვამ კი დამაფიქრა და გადავწყვიტე ბერად აღკვეცილიყავი, რადგან სხვა სიყვარული ვერც კი წარმომედგინა, ჩემი გადაწყვეტილება მაკონას გავანდე, მან ცრემლიანი თვალები მომაპყრო და მითხრა:

– „ხომ გრძნობ, როგორ მიყვარხარ. უშენოდ არსებობა არ შემიძლია, ბერად რომ აღიკვეცო, ესე იგი ვეღარასოდეს გნახავ, ჩემთვის მკვდარი იქნები და იცოდე იმ დღესვე თავს მოვიკლავო“

– ნეტავი გამაგებინა ცოლობაზე უარს რატომ მეუბნები, ერთად ვცხოვრობთ, ერთად ვართ და კანონიერი ცოლ–ქმრობა სხვა რაღაა-მეთქი

– რომ გიღალატე, მაპატიებ?

– გაპატიებ!

– აი, სწორედ მაგიტომ არ გამოგყვები, არ მიყვარს ლაჩარი ხალხი, მე შენ იმიტომ გიღალატე, რომ მოგეკალი, შენ კი მპატიობო.

– რა ვქნა, მიყვარხარ და ეს გრძნობა უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ღალატი.

– არ გეგონოს, იმიტომ გიღალატე, რომ კაცის ალერსი მენატრებოდა. იმ საბედისწერო ნაბიჯის გადადგმის წინ და

შემდეგაც შენ მელანდებოდი. შენ მიყვარხარ და სწორედ შენს სიყვარულს მინდა შევწირო ჩემი არსებობა, სწორედ ამიტომ ვერ გამოგყვები ცოლად რომ მიყვარხარ, მე დედა არასოდეს აღარ ვიქნები, მე მკვლელი ვარ, შენი შვილი მოვკალი, შენ ეს არ იცი, შენს ფარულად ჩავიდინე ყოველივე.

– კარგი, რაც მოხდა მოხდა, მაგასაც გაპატიებ, შვილი ავიყვანოთ, გავზარდოთ.

– არა, ვერსად დავემალები ჩადენილ ცოდვას, საკუთარი შვილი მოვკალი და სხვისი გავზარდო? ვიყოთ ასე, როგორცა ვართ, შევხვდეთ ხოლმე ფარულად ერთიმეორეს, ვიცი დიდი ხნის სიცოცხლე არ მიწერია, ჩემი სიკვდილის შემდეგ დაქორწინდი, შვილს ჩემი სახელი დაარქვი და ამით შესძინე უკვდავება ჩვენს სიყვარულს.

ამ საუბრის შემდეგ დავიკარგე, ყველა დაღუპულად მთვლიდა, მხოლოდ მაკონამ იცოდა ჩემი ადგილ–სამყოფელი და ხშირად მნახულობდა. სამი წლის შემდეგ დავბრუნდი სამალავიდან, სიბრმავე მოვიგონე, ცოტა თავიც მოვიგიჟიანე და მათხოვრობა დავიწყე.

– შემდეგ გაცდუნა ეშმაკმა? – ჰკითხა თვალცრემლიან ლომურს გამომძიებელმა.

– რომელ ეშმაკზეა საუბარი. ეკლესიის წინ იმიტომ დავდექი და მათხოვრობაც იმიტომ დავიწყე, მაკონას ახლოს ვყოფილიყავი და მისთვის მელოცა.

– ძნელად მოსასმენი ისტორიაა!

– პირადად განსაცდელად კიდევ მეტი!

– მე შენს უდანაშაულობაში დარწმუნებული ვარ, მაგრამ აქედან მაინც ვერ გაგიშვებ, განრისხებულმა ჭირისუფლებმა რომ არ გავნონ.

– ძალიან დამავალებთ, თუ მფარველობით სამსახურს არ გამიწევთ, რადგან მაკონას შემდეგ სიცოცხლე არაფრად მიღირს და თვითმკვლელობით ვაპირებ სიცოცხლესთან გამოსალმებას.

– ღმერთი არ გწამს? არ იცი რომ თვითმკვლელობით, ღმერთის საწინააღმდეგო ნაბიჯს დგამ, მაკონას დანაბარებს

არ ასრულებ. მის სულს მეორედ კლავ და გვამს მიწაში აბრუნებ ესეც არ იყოს, მე შენ ძიებისთვის მჭირდები, ნუთუ არ გაინტერესებს ვინ არის ნამდვილი დამნაშავე, რომ საკადრისი მივაგოთ?

ასე ეუბნებოდა გამომძიებელი ლომურს, თუმცა უხილავი ხმა კარნახობდა, რომ მკვლელი მის წინ იჯდა, ამიტომ არ ჩათვალა მასთან საუბარი დამთავრებულად და კიდევ რამ-დენიმე შეკითხვა დაუსვა:

– შენ და მაკონა სად ხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს?

– ბინა მაქვს ნაქირავები ქალაქის გარეუბანში!

– აკი ხიდქვეშ მაქვსო თავშესაფარი!

– კი მაქვს, ხალხის თვალის ასახვევად, თორემ იქ ერთი ღამეც არ გამითევია.

– სამი წლის განმავლობაში სად გქონდა თავშესაფარი?

– ოჰ, ეს დიდი ისტორიაა. „ციგნებთან“ ვიყავი. მთებში, ნამდვილი თავისუფალი ცხოვრება იმათთან ვიგემე და ბუნებ-ის სიყვარულსაც იქ ვეზიარე.

– როდესაც მაკონა შენთან მოდიოდა ხოლმე იქნებ ვინმეს შეუყვარდა, ამაზე დაფიქრებულხარ.?

– ეს გამორიცხულია. „ციგნებს“ სხვა კანონი აქვთ. ისინი არ ემორჩილებიან ჩვენებურ აღვირახსნილ ცხოვრები-სეულ კანონებს.

– სად არის მათი ბანაკი?

– მთებში, მამისონის უღელტეხილთან ახლოს.

– მეგზურობას გაგვიწევ საკუთარი თვალით რომ ვიხი-ლო ბოშათა ბანაკი?

– ისინი ხომ მომთაბარე ცხოვრებას ეწევიან, სამი წლის წინ დავტოვე მათი ბანაკი, ისინი აიყარნენ, შუა აზიაში წავიდ-ნენ, მე კი აქ წამოვედი და, როგორც ხედავ, ასეთ ცხოვრებას ვეწევი.

– შეიძლება დაბრუნდნენ და იქვე დასცეს კარვები, სა-დაც შენ გეგულება, ისინი ხომ მომთაბარე ცხოვრებას ეწევიან, და რა გარანტია გაქვს რომ არ დაბრუნებულან?

– გამორიცხული არ არის, თუმცა იშვიათად ბრუნდებიან ძველ ადგილას, ქვეყანა დიდია, ისინიც ცოტ–ცოტა სილამაზეს წუწნიან ახალ–ახალ მიდამოს.

– კარგი, დღეს გვეყოფა საუბარი. არ გეწყინოს საკანში უნდა მოგათავსო, მერწმუნე, ამით ვუზრუნველვყოფ შენს ჯანმრთელობას და სიცოცხლეს ხვალ მოვალ გაგესაუბრები, შეიძლება ბოშებთანც წავიდეთ, შენი მეგზურობით.

ბადრიმ ზარის ღილაკს თითი დააჭირა, მორიგე ბადრაგი გამოიძახა და პატიმარი ჩაიბარა: შემდეგ პოლიციის უფროსთან შევიდა. უთხრა, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ პატიმრისთვის, სისხლი აეღოთ და „ტილის“ სისხლისთვის შეედარებიათ. პოლიციის უფროსიც დაპირდა ყოველგვარ დავალებას უყოყმანოდ შევასრულებო, – ხვალამდე უთხრა ბადრიმ, ერთმანეთს გამოემშვიდობნენ და კვალმაძიებელმა დატოვა პოლიციის შენობა.

საინტერესო საუბარი წარიმართა კვალმაძიებელსა და „ბრმას“ შორის რომელიც თქვენ უკვე მოისმინეთ ბადრის ლომერი გაუნათლებელი ეგონა, მაგრამ სინამდვილეში არც ისეთი „მათხოვარი“ აღმოჩნდა, როგორც ვარაუდობდა, ფრიად გაკვირვებული დარჩა საუბრის შემდეგ და თუ სწორს ამბობდა „მისაბაძი სიყვარული ცოდნიაო“ – ფიქრობდა თავისთვის.

როდესაც ბადრი დაკითხვის მიზნით, ლომერისთან საუბრობდა, ნინომ და ლაშამ ავტომანქანა ჩაკეტეს და ფეხით გაუყვნენ ქალაქის ქუჩებს. ლაშა გულჩათხრობილი ჩანდა, არავისთან ლაპარაკი არ უნდოდა, განმარტოება სურდა, საკუთარ თავთან უნდოდა მარტო დარჩენა, ნინო კი, პირიქით ლაპარაკის მუზაზე იყო მოსული და ერთი სული ჰქონდა როდის დაიწყებდა ვაჟი ლაპარაკს, მაგრამ რომ არ დაადგა საშველი მისი ხმის ამოღებას თვითონ დაიწყო:

–„ფიტული“, ძალიან გიყვარდა ლიკა?

– როგორ თუ ძალიან, სიყვარული სხვადასხვაგვარი არსებობს?

– ჰო, მე ბევრი ვაჟისგან მსმენია, ,,ქალის სიყვარული წელს ზევით არ უნდა აუშვა, თავი ყინულში უნდა შეინახო, ტვინს არ უნდა მიაკარო"

– მებრალება სიყვარული მასეთი ვაჟების ხელში და მესირცხვილება კიდეც ამ ამაღლებულ გრძნობაზე საუბარი.

– წუხელ ცუდად გეძინა ლაშა! შენი კვნესა და ტირილი მესმოდა, მინდოდა გამოვსულიყავი შენთან მაგრამ ბიძაჩემის მომერიდა. ნუ ჯავრობ ლაშა ვფიქრობ იპოვი ლიკას და თუ ვერ იპოვი მე არანაკლებ მეგობრობას გაგიწევ. მინდა რომ მყავდეს შენისთანა ერთგული სიყვარულისთვის თავდადებული მეგობარი.

– ნინო, მართალია, ლიკას ფიზიკურად გამსგავსებ, მაგრამ სულიერად ვერა. ჩვენ ნაღდი, ბავშვური სიყვარულით გვიყვარდა ერთიმეორე, შენ რომელ სიყვარულსაც მეუბნები ეგ სიყვარული სიბრალულით არის გამოწვეული, მე შენ გეცოდები, ხედავ თუ როგორ ვიტანჯები და შენი მოჩვენებითი სიყვარულით გსურს დარდი შემიმსუბუქო. ჩვენ შორის ეს სიყვარული იგივე იქნება რაც კომპიუტერული სიყვარული. ალბათ გსმენია ასეთ სიყვარულზე, რომელსაც მოჩვენებითი ჰქვია. სპეციალური კომპიუტერული პროგრამის საშუალებით შეგიძლია განიცადო ნებისმიერი სახის სიამოვნება. ვისთანაც გსურთ, ამისათვის საკმარისია გაიკეთო სპეციალური ,,სექსკაზმულობა" რომელიც კომპიუტერთან არის მიერთებული. ჩართო პროგრამა და გადაშვა ვნებათა სამყაროში. მართალია, ასეთი კიბერ–სექსი შოკში აგდებს ადამიანს და ხანდისხან კლავს კიდეც, მაგრამ რაც მეტია სიკვდილიანობა, მით მეტია მოთხოვნილება ამგვარი ფარული სექსისადმი, ჩვენი სიყვარულიც სწორედ კომპიუტერული იქნება, მე ემოციითა და მთელი გრძნობით ლიკასთან ვიქნები, ამ შემთხვევაში შენ ჩემთვის მხოლოდ კომპიუტერი იქნები და მეტი არაფერი.

– შენ მე ასე მკაცრად ვერ მომექცევი, როდესაც ჩემში კომპიუტერზე ძლიერ სიყვარულს დაინახავ.

– შესაძლებელია კომპიუტერზე ძლიერი სიყვარული დავინახო შენში, მაგრამ მჯერა, ლიკაზე ძლიერ სიყვარულს ვერცერთ ქალში ვერ ვიპოვი, შენი ლტოლვა ჩემდამი ორ-დღიანი გატაცებისა და სიბრალულის შედეგია, ეგ გრძნობა მალე დაცხრება და რა დამრჩება? სიბრალულზე აგებული სიყვარული? არ მინდა ვებრალებოდე ვინმეს, ტანში მზარავს, როდესაც თანამიგრძნობენ, ასე მგონია ეს ყველაფერი მოჩვენები-თია. იმის ნაცვლად, რომ ჭირში გვერდით ამომდგომოდნენ, უსულო და უგულო „ფიტული“ შემარქვეს. მათი სიბრალუ-ლი იმ ბავშვურ გატაცებასა ჰგავს, ჩიტს რომ ბუდეს დაუნ-გრევს, კვერცხებს დაუმტვრევს და მერე შეებრალება...

– საყვედური ჩვენზე არ ითქმის განა მე და ბიძაჩემი გვერდით არ გიდგავართ?

– ბიძაშენი კი! შენში კი რომანტიკულ გატაცებას ვხე-დავ.

– მაშ კარგი, მე შენ ლიკას დაგავიწყებ და ნაღდ სიყ-ვარულს გაზიარებ, ვფიცავ, წინააღმდეგ შემთხვევაში ლიკასავ-ით საკუთარი ნება–სურვილით დავიკარგები.

– ნეტა რამ ჩასახა შენში ასეთი გრძნობა, განა ცოტა შეგხვედრია ჩემზედ უკეთესი ვაჟკაცი? აგარაკიანი, ავტომან-ქანიანი, დედისერთა, ცხენივით ლამაზი და განიერი, ხარივით ჯანმთელი და ღონიერი, ვირივით მშრომელი და ლმობიერი, განათლებული, ოჯახის მუჭუჭი და მარწუხი? რატომ მათ არ შეიყვარებ,. განა უარს ეტყვის ვინმე შენს სიყვარულს? მე შენ როგორ გითხრა თანხმობა, როდესაც ზემოდ ჩამრთვლილ ყოველგვარ ბედნიერებას მოკლებული ვარ?

– მართალია, შენ არანაირი მატერიალური სიმდიდრე, არ გაგაჩნია, მაგრამ შეგიძლია სიყვარულისთვის თავდადება.

– თუკი შენ არ გეკუთვნის ეს თავდადება?

– უნდა მოვიპარო, უნდა გაგქურდო და უნდა დაგ-ისაკუთრო!

მოსეირნე წყვილს ბადრი შეუმჩნევლად თავს წამოადგა, მყისვე საუბარი შეწყვიტეს და ორთავეს სირცხვილის გრძნობამ

სახე აუწვა. როგორ გგონიათ კვალმაძიებელს გამოეპარებოდა მათი უხერხულობის მიზეზი? არაფერი უთქვამს ჩუმმა ღიმილმა მარცხენა ლოყაზე ფოსო გაუჩინა და ახალგაზრდები უხერხულობიდან რომ გამოეყვანა, თავისდაუნებლიედ წარმოთქვა:

– ასე და ამრიგად ორი საქმე უკვე გაიჩარხა.

– რა საქმეები, აბა, ანგარიში ჩაგვაბარე საჩქაროდ!

– მათხოვარი დავიჭირე და ბევრი მცდელობის შემდეგ ავალაპარაკე.

– როგორ ფიქრობთ დამნაშავეა?

– ჯერ არ ვიცი ხვალ „ტილის“ სისხლთან მისი სისხლის შედარება გვიჩვენებს სწორ პასუხს.

– მეორე საქმე?

– მეორე საქმე სიყვარულს ეხება ჯერ ვერ ვიტყვი საიდუალოდ ვინახავ –

– ყოჩაღ ბიძი, სიყვარულმა ასაკი არ იცის, მიაწექი რა, არსებობენ ისეთი ქალებიც, ასაკოვანი მამაკაცები რომ მოსწონთ.

ბადრის ახლა ნაღდად გაეღიმა, გულით ნათქვამმა კომპლიმენტმა ახალგაზრდული, აქამდე მიძინებული სიმი შეურხია და რატომღაც თამუნა პაპასკუა გაახსენა – „უჰ, მაგარი გოგოა“ – გაიფიქრა მაგრამ მთლად ახალგაზრდაა.

„მერე რა, არა და ასაკოვანი მამაკაცებიც მოსწონთო“. გულში გაივლო ნინოს ნათქვამი. მეორე დღეს ბადრი დილაადრიანად პოლიციის სამმართველოში მივიდა. პოლიციის უფროსი მოსული დახვდა, შესვლის ნებართვა არავისთვის უთხოვია პირდაპირ შევიდა უფროსის კაბინეტში.

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მაგრამ სასიხარულო ამბავი ნამდვილად ვერ დაგახვედრეთ, ლომური არაბულისა და „ტილის“ სისხლთა ჯგუფი სხვადასხვა აღმოჩნდა, უთხრა პოლიციის უფროსმა ბადრის დანახვისთანავე.

– ვინ გითხრათ, რომ ეს ცნობა ჩემთვის სასიხარულო არ არის? გეფიცებით ნამდვილად გამახარეთ, ჩემი მისია

ადამიანის დაჭერა კი არ არის, არამედ ბოროტმოქმედის იზოლირებაა.

– ჰო, ჯერ აღმოჩენა და შემდეგ იზოლირება – თითქოს შეუსწორა ნათქვამი პოლიციის უფროსმა.

– მე ისევ იმ ოთახში წავალ გუშინ რომ ვიყავი. გამოიძახეთ, ეჭვმიტანილი – წარმოთქვა ბადრიმ და უფროსის პასუხს აღარ დაელოდა კაბინეტიდან გავიდა, რამდენიმე წუთში ლომური არაბული მოიყვანეს, მის ცხოვრებაში ერთ ღამეს ნამდვილი გარდატეხა მოეხდინა, წვერი გუშინდელთან შედარებით აბურძგნილი ჰქონდა, თვალები ნამტირალევი, ჩასისხლიანებული, უპეები შესიებული, გამოხედვაში შურისძიების ცეცხლი უგიზგიზებდა.

– დაბრძანდით! – სავარძელზე მიუთითა ბადრიმ.

ლომურს სალამიც არ უთქვამს, უხმოდ ჩაჯდა სავარძელში.

– იცით რისთვის გამოგიძახეთ? – თბილი ღიმილით ჰკითხა გამომძიებელმა.

– ვიცი! გუშინ სისხლი ამიღეს დღეს რაღაც ბრალდებას შეთითხნით და მკვლელად მომნათლავთ, ვის სიამოვნებს ქალაქში მათხოვრები რომ დაძრწიან, ვფიქრობ დაიწყო ნელ-ნელა წმენდა, მაგრამ ნეტავი მკვლელობა არ მოგეკერებიათ ჩემთვის და ისიც საყვარელი ადამიანისა, განა არ შეიძლებოდა გამოგეჩხრიკათ ისეთი საქმე, რომელიც ჩირქს არ მომცხებდა და სიკვდილით დასჯით გამათავისუფლებდა ამ ჯოჯოხეთური ყოფისგან?

– რატომ გაქვთ მართლმსაჯულებაზე ისეთი წარმოდგენა, თითქოს ჩვენ ხალხის იზოლირება გვაინტერესებდეს და არა ბოროტმოქმედთა დასჯა?

– წარმოდგენა კი არა მაქვს, წინათგრძნობა მკარნახობს ამას ადამიანი, რომელიც ქვეყნისთვის არაფერს ქმნის, საზოგადოების მუწუკია და დროულად უნდა მოიშორო. ეს ბუნების კანონია. თქვენ თუ გინახავთ ფუტკრის სკა (ოჯახი) მის წინ უსათუოდ შეამჩნევდით რამდენიმე მკვდარ ფუტკარს,

რომელთაც მეფუტკრეობაში „პარაზიტ ფუტკრებს“ ეძახიან. კლავენ მუშა ფუტკრები „პარაზიტებს“, ესე იგი უმუშევრებს და ოჯახიდან აგდებენ. ეს ერთია და ბუნებაში ამის უამრავი მაგალითი გვხვდება.

– ცდებით! ადამიანებს ღმერთმა ჭკუა–გონება იმიტომ დაანათლა, რომ განესხვავებინა მწერებისა და მხეცებისაგან.

– განირჩევიან და იყენებენ მწერთა და მხეცთა მაგალითებს მკაცრადაც.

– ვერაფერს ვიტყვი, შეიძლება თქვენი შეხედულება საზოგადოებაზე სწორი იყოს, მაგრამ ფაქტია, თქვენი ლიკვიდირება საზოგადოებისაგან აზრადაც არავის მოსვლია სისხლი თუ აგიღეს და ხელის ანაბეჭდები, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ყველა მოქალაქის პასპორტში უნდა იყოს ნაჩვენები სისხლის ჯგუფი, რომ უბედური შემთხვევის შემთხვევაში დროულად გადავარჩინოთ პაციენტი.

– ჰო, ჰო, ვიცი მეტი საზრუნავი არა გაქვს თქვენ სულ იმაზე ფიქრობთ, როგორ გადაარჩინოთ დავრდომილი.

– განათლებული ადამიანი ჩანხართ, მაგრამ საზოგადოებაზე რწმენადაკარგული კაცი, იმ ფუტკარზე უარესია, რომელიც თქვენ წეღან აღწერეთ, განა კეთილი ადამიანები არ იყვნენ ისინი, ვინც მათხოვრობის დროს ხელს გიმართავდათ და საზრდოს გაწვდიდნენ? ასე მალე რატომ დაივიწყე მათი პატივისცემა?

– ისინი ყველანი ჩემსავით უთვისტომონი არიან და იმიტომაც ვებრალები.

– ადამიანთა შორის უთვისტომობა არაფერს ნიშნავს, ოსმანთა სამეფოს დამაარსებელი ბურთი–ჩინო – მგელმა გამოზარდა, და შემდეგ უძლიერეს სახელმწიფოს განაგებდა.

– მერე. მგელს ადარებ შენ ადამიანს? საბრალო მგელი!

ბადრის გულიანად გაეცინა, ჩაფიქრდა, გამოსავალს დაუწყო ძებნა, თუ როგორ შემოებრუნებია რწმენადაკარგული ადამიანი საზოგადოებისაკენ და თითქოს გამოსავალი ნახა:

– შენ ხომ ღმერთის ტაძრის წინ მათხოვრობდი, ყოველთვის ხელს გიმართავდა უფალი და ადამიანებს შორის რწმენა თუ დაგიკარგავს ღმერთს რა პასუხს აძლევ? „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი და მტერი შენი, ვითარცა მოყვასი შენი“ – გვასწავლის უფალი.

– ეჰ, გამოვცადე, მაგრამ:

*– „ბოროტს ვთესავდი მსჯიდა უფალი,*
*სიკეთეს ვთესავ, მსჯის და რატომღა?*
*უწინ თუ მქონდა ბნელი საკანი*
*დღესაც ბნელია ჩემი კატორღა“.*

– მოკლედ, თავი გამომილაყა შენმა ფილოსოფიამ. გააღე კარი და წადი აქედან. როგორც გინდა, ისე იცხოვრე. მე კი შორიდან გადევნებ თვალყურს, როგორ ივლი საზოგადოებისა და ღმერთისაგან გარიყული.

ლომურს თვალები გაუფართოვდა, შემდეგ ნელ–ნელა ცრემლის გუბით აევსო და პასუხის გაცემა ვეღარ მოახერხა, ბადრიმ რომ დაინახა ამ გზით გამარჯვებას მიაღწია, შეტევაზე გადავიდა:

– რაღას ელოდები, ადექი და წადი, რომ გეუბნებიან! – ხმა გაიმკაცრა გამომძიებელმა.

– არსადაც არ წავალ, თქვენ რომ წახვალთ მაშინ წამვალ და სულ თქვენთან ვიქნები, სანამ მაკონას მკვლელს არ მაპოვნინებ! – კატეგორიულად განაცხადა ლომურმა.

ბადრის გაეღიმა, მიზანი მიღწეულად ჩათვალა და საუბარი სულ სხვა კუთხით წარმართა, რადგან იცოდა კომპლიმენტი მარტო ქალებისათვის არ იყო სასიამოვნო მოსასმენი, მამაკაცებსაც უღვივებდა მიძინებულ ტვინის უჯრედებს.

– ურწმუნო ხარ ბიჭო! არ გეწყინოს ბიჭოს, რომ გეუბნები, ზედმიწევნით განათლებული ჩანხარ, სად და როდის მიიღე ესოდენ დაფარული და საჭიროების შემთხვევაში გამოსაყენებელი განათლება?

ლომურს მართლაც ესიამოვნა მეგობრული ტონით წარმოთქმული ქება, თითქოს გაიზარდა, სავარძელში შეირხა, გასწორდა, და დაუფიქრებლად წარმოთქვა:

– სამი წელიწადი ბოშათა ბანაკში ვცხრვრობდი, კარგად ავითვისე მათი ენა, თუკი რამ დადებითი ზნე–ჩვეულებანი მჭირს, მათი ღვაწლია...

– რომელი სახელმწიფოს ენაზე ლაპარაკობენ ბოშები ან ვისი შთამომავალნი არიან?

– ბოშებს დიდი ისტორია აქვს. ჩვენ ქართველები ვამაყობთ ჩვენი წარსულით, მაგრამ, უკაცრავად, ბოშათა ძირძველი წარსული მსოფლიოს ყველა ხალხის ისტორიას აღემატება და ერთი ხელის მოსმით მათი უგულებელყოფა არ შეიძლება.

– სიამოვნებით მოგისმენდით, არ მეჩქარება, თანაც ალღო მკარნახობს, მათ შორისაა მაკონას მკვლელი.

– მადლობელი ვარ საკანში რომ გამომკეტეთ, ფიქრის საშუალება მომეცით და თქვენეულ დასკვნამდე მიმიყვანეთ. როდესაც ბოშათა ბანაკიდან წამოსვლა დავაპირე, ისინი უკვე შუააზიაში წასასვლელად აიყარნენ, მათი ბელადი ცხენს კაზმავდა და ფარულად მაკონას უმზერდა, მაკონაც შეცქეროდა, თითქოს ეუბნებოდა „ჩვენ კიდევ შევხვდებითო“. მე მათს მზერას წავაწყდი და სირცხვილით, უხერხულობისგან თვალები დახარეს. ისინი წავიდენენ, ჩვენ დავრჩით ეს იყო და ეს. ნეტავი ჩვენც მათთან ერთად წავსულიყავით. რამდენს მეხვეწებოდნენ მერე, არ შევისმინე მათი მუდარა. თუ მართლა გამათავისუფლე, მათთან წავალ, შეიძლება მაკონას მკვლელსაც მივაგნო. შესაძლებელია სამუდამოდაც დავრჩე იქ, ვინ იცის, როგორ წარიმართება ცხოვრება. ჰო, მართლა თქვენ შემეკითხეთ, რომელ სახელმწიფო ენაზე ლაპარაკობენო ბოშები! მათი წარმოშობის ფესვი და ძირძველი სახელმწიფო ჩრდილო ინდოეთია და ანწიკურ ენაზე ლაპარაკობენ.

– ეს რომელი ენაა, ასეთი სასაუბარო ენა პირველად მესმის.

– რას გაიგებ, სასაუბრო ენები მართლაც, ბევრია მსოფლიოში, დღევანდელი მონაცემებით 5651 ვითვლით. რა თქმა უნდა, მხედველობაში არ გვაქვს კუთხური ენები, მონაცემები აღებულია სახელმწიფო სამეტყველო ენებიდან. აქედან ერთ–ერთი ანწიკური ენაცაა, ისე როგორც ქართული, რომელსაც გააჩნია თავისი სახელმწიფო სტატუსი და დამწერლობა.

– როგორ, ბოშებს დამწერლობაც აქვთ? – დაინტერესდა ბადრი.

– იმ თოთხმეტ დამწერლობათაგან, რომელიც მსოფლიოში მოქმედებს ინდური დამწერლობაც აღირიცხება და ანწიკური ენა ინდური დამწერლობით სარგებლობს.

– კიდევ რა იცი მათ შესახებ?

– მათთან სამი წელი ვცხოვრობდი და შემიძლია თამამად ვთქვა, იმაზე მეტი ვიცი, რაც უნდა ვიცოდე და ბევრად მეტიც, რაც თვითონ ბოშებმა იციან, რადგან ყოველგვარ საიდუმლოს „ტომის დედა“ ინახავს და ის კი ჩემ დედად თვლიდა თავს...

– „ტომის ბელადი“ რომ ყავდათ ვიცოდი. „ტომის დედობა“ კი პირველად მესმის.

– „ტომის დედა“ უფრო მეტი პრივილეგიებით სარგებლობს, ვიდრე „ტომის ბელადი“. მას შეუძლია ბელადის მოხსნა, დასჯა და ახლის დანიშვნა, „ტომის დედას“ კი თვითონ ტომი ირჩევს. მას უმადლიან. რომ მათ დღემდე შეინარსუნეს ენა, დამწერლობა და რწმენითი იდეალები. ამავე დროს მათ ბევრი ისწავლეს და შეითვისეს იმ ქვეყნის ხალხთა კულტურიდანაც, რომელთანაც უხდებოდათ ურთიერთობა. უხსოვარი დროიდან აქვთ შემონახული წარსულის მრავალი გადმონაშთი, ტომობრივი ორგანიზაცია, ბელადების ინტელექტი, დედათა ავტორიტეტი და სხვა. განვითარებული აქვთ პატრიარქალური დამოკიდებულება უფროსთა ხელისუფლებისადმი. შეთვისებული აქვთ ყოველგვარი ხელობა, არიან შესანიშნავი მუსიკოსები, მოცეკვავეები და მომღერლები,. ქალები უმთავრესად მკითხაობენ და ნურვინ იტყვის, რომ ვერაფერს

ხვდებიან. კაცები ხელოსნობენ და ქურდობენ. უმეტესწილად იპარავენ ცხენებს. ეწევიან მომთაბარე ცხოვრებას,ძირითადად ცხოვრობენ კარვებში, დაუძლურებულს კლავენ და მარხავენ იქვე, სადაც ცხოვრობენ. სულ ეს არის. კიდევ რა გაინტერესებს?

– საიდან არიან წარმოშობით, რატომ ეწევიან მომთაბარე ცხოვრებას, მე, როგორც გამომძიებელს, მათი წარმოშობის გენები მაინტერესებს,.

– ოო, ეს დიდი ისტორიაა ვფიქრობ, მოსაწყენი იქნება მოსასმენად და არც დაგაინტერესებთ ასეთი წარსული.

– ხომ გითხარი, მე მათ ბანაკში მკვლელი მეგულება და მათ შესახებ ყველაფერი მინდა ვიცოდე, მტერს ისე ვერ დაამარცხებ, თუ არ იცი, როგორ ებრძოლო მას, ამიტომ მათი სუსტი მხარეც მინდა ვიცოდე და ძლიერიც.

– დაახლოებით 3500 წლის წინათ ჩვენ ერამდე ინდოეთში ბოშათა სამეფო „მოხენჯო–დირო“, უძლიერესი ტექნიკისა და ცივილიზაციის კერა იყო, ვამბობ „იყო“–მეთქი და არა „ყოფილა“. ვინაიდან „ტომის დედა“ ერთი–მეორის ტრადიციულად გადასცემს თავისი ერის წარსულს, ყოველგვარი შელამაზების გარეშე. „მოხენჯო–დირო“ აყვავებული სამეფო მრავალსართულიანი შენობებითა და სკვერებით, შადრვნებითა და ბაღებით, ყვაოდა სიცოცხლე, ვიდრე ატომური აფეთება მოხდებოდა. თანამედროვე მეცნიერება ამ აფეთქებას ატლანტიდის დაღუპვას უკავშირებს. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მკვლევარებმა დამღვალი აგურებითა და ქვებით მომხდარი დაადგინეს, ატომური აფეთქება! სადაც ნაპოვნია რადიაციული დამუხტვის კვალი და ყოველივე ეს იგივეა რაც ხიროსიმასა და ნაგასაკში მომხდარი ტრაგედიის შედეგი,. ამასვე მეტყველებს ძველი ინდური ეპოსის ხელნაწერი „მახაბხარატა“, რომლის დამწერლობაც შეესაბამება მომხდარი კატასტროფის თარიღს.

ბოშები დასაბამიდანვე განთქმულნი იყვნენ წინასწარმეტყველებით და იწინასწარმეტყველეს მოსალოდნელი კატას-

ტროფა. მიატოვეს „მოხენჯო–დირო“ და უმეტესობა მთებს შეეხიზნენ, უფრო გულადები ადგილზე დარჩნენ და დაიღუპნენ. მთაში შეხიზნულ რაჯუპთა ტომს ესეიგი ბოშებს თავს დაესხნენ დამპყრობლები რაჯუპები დამარცხდნენ. გადარჩენილებმა და ყველაზე ამაყებმა, მონობაში რომ არ ყოფილიყვნენ, მიატოვეს მშობლიური მხარე და სხვა სამშობლოს დაუწყეს ძებნა. ასე მოედვნენ მთელ მსოფლიოს ბოშები თავიანთ თავს „რამინე–ჩავეს“, ანუ ინდუსთა ღმერთის „რამის შვილებად“ მოინათლნენ.

ბოშები დაინტერესებულნი არიან ახლის ძიებით, საიდუმლოს შენახვის ნიჭითაც არიან დაჯილდოებულნი. უმთავრესად მომთაბარე ცხოვრებას იმიტომ ეწევიან, რომ ეშინიათ ახალი ატომური კატასტროფისა, რომელიც თავიანთ თავზე გამოცადეს და, ხომ იცით, „დაშინებული ძაღლი მთვარეს უყეფს“.

– ღმერთმა დაგვიფაროს ატომურ ომისაგან და „მოხენჯო–დიროს“ მსგავსი კატასტროფა, არა მგონია, ჩვენთან იყოს მოსალოდნელი.

– ასე გგონიათ? არც „მოხენჯო–დიროში“ მომხდარა ატომური ომი, გადმოცემის თანახმად, გაუთვალისწინებლობით მოხდა აფეთქება. დღეს მსოფლიოში იმდენი ატომური მფეთქებადი ნივთიერებაა, შეიძლება დედამიწა ნამსხვრევებად იქცეს, განა ცოტა მოხდა რა „მოხენჯო–დიროს“ მსგავსი აფეთქება? იაპონიაში, 1981 წელს ცეროგის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი აფეთქებით დასხივება 59 მუშამ მიიღო და ზღვის სანაპიროს ვრცელი ნაწილი რადიოაქტიური ნაწილაკებით დაბინძურდა, გერმანიაში, კომპანია „ბადიშე ანალინ–ფაბრიკის“ საამქროებში აფეთქების შედეგად ქარხანა მთლიანად განადგურდა, ასევე განადგურდა ქარხნის ახლო მდებარე ორი სოფელი, ქალაქი ოპაუ კი ნანგრევებად იქცა. დაიღუპა 500 და დასახიჩრდა მილიონნახევარი ადამიანი. 1957 წელს ატომური ნარჩენების საყარზე კასლში მოხდა აფეთქება. რადიაციით მოიწამლა 13 ტბა, ოცდაათი

ქალაქი კი საერთოდ გაქრა საბჭოთა კავშირის რუკიდან, დაიღუპა ათასობით ადამიანი, ათიათასობით კი დაშავდა. ამ კატასტროფის დაწვრილებითი ცნობები დღემდე გასაიდუმლოებულია. რაც გასაიდუმლოებულია და სინამდვილეში მოხდა ჩერნობილში, პრიბეტის ორასზე მეტი სოფელი განადგურდა, მოგიყვე? იქნებ გაინტერესებს ინდოეთის ქიმიური ქარხნის „იუნიონ კარბაიტის“ აფეთქების ისტორია, რომელიც მეოცე საუკუნის უძლიერეს აფეთქებად ითვლება. მოსალოდნელსაც გეტყვი: – 2011 წლის იაპონიის ატომური ტრაგედია შემზარავი იქნება...

– კარგი რა, გვეყო ამდენი ტრაგედიის მოსმენა, შენ ის მითხარი ბოშებთან მიიღე ეს განათლება?

– ძირითადად მათთან, დანარჩენი კი თვითგანათლებით, მაგრამ მთავარი ეს როდია, მთავარი ისაა, რომ მეცნიერებამ დაარღვია დედამიის ჰარმონია და თუ არ შეჩერდა პლანეტის დაღუპვა გარდუვალია. ერთ საინტერესო ამბავს მოგითხრობთ, რომელიც „ტომის დედასაგან“ საიდუმლოდ მსმენია:

აფხაზეთსა და ჩხალთის ქედს შორის იდგა ჩვენი ბანაკი ერთი დღის სავალზე მარუხის უღელტეხილია. მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელებს იქ სამხედრო აეროპორტი ჰქონდათ. აეროპორტიდან არც თუ ისე შორსაა ტბა სუფთა ცრემლივით მოკამკამე, სწორედ ამ ტბაში ჩაუყრიათ გერმანელებს თავიანთი საბრძოლო ტექნიკა კავკასიის დატოვების შემდეგ, მაგრამ საინტერესო ეს როდია სანამ გერმანელები მარუხის უღელტეხილს გადაკეტავდნენ და საბრძოლო ტექნიკას შემოზიდავდნენ, საჭირო გამხდარა ადგილმდებარეობის ძირფესვიანად დათვალიერება და რუკის შედგენა. სწორედ ამ მიზნით გერმანელებმა მარუხის უღელტეხილზე შვიდკაციანი მთამსვლელთა ბრიგადა გადმოსვეს, რომლებიც ერთობ საკვირველ ნისლის მთას წააწყდნენ. მთა თოვლით დაფარული მწვერვალებით ყოფილა შემოგარსული. დაინტერესებულან და ახლოს მისვლა განუზრახავთ, მაგრამ სასწაულებრივ დანახული მთა ჩვეულებრივი ხეობიდან ამომავალი ნისლი

გამომდგარა. მთამსვლელები ერთი–მეორეს მიყოლებით ჩაშ-ვებულან ხეობისაკენ, ბევრი წვალების შემდეგ „ბარში“ ჩასუ-ლან და დაუნახავთ დაახლოებით ათი კვადრატული კილო-მეტრის ვაკე მინდორი, ოთხივე მხარეს მთებით შემოგარსუ-ლი, მთებიდან კი ცხელი წყაროებით გადმომდინარე, და მინ-დორიც ათასი რჯულის ყვავილებით. აყვავებული, წყაროე-ბიგან წარმოქმნილი თბილი ჰაერი ზევით მიისწრაფოდა და როდესაც თოვლით დაფარულ მწვერვალებს უახლოვდებოდა გაუმჭირვალე ნისლად იქცეოდა, და ამიტომ თვალით შეუმჩ-ნეველია ეს ადგილი და რომ „ტომის დედას“ არა, ჩემთვისაც მუდამ საიდუმლოდ დარჩებოდა იმისი არსებობა.

– „ტომის დედამ“ საიდან გაიგო, ასე უწოდოთ „ნისლის მთის“ არსებობა?

– ვფიქრობ, იქ ნამყოფია „ტომის დედა“. თუმცა ამის შესახებ არაფერს ამბობს. ეს ადგილი სწორედ იქ მდებარ-ეობს, რომელიც ძალზედ უყვარს „ტომის დედას“ და მუდამ „ნისლის მთას“ შესცქერის, თითქოს რაღაც სასწაულს მოე-ლის ამ ადგილიდან.

ბოშათა „ტომის დედის“ თქმით, იმ შვიდმა მთამსვლელმა გერმანელმა რუკაზე აღნიშნეს ბუნების სასწაული ადგილი, აღწერეს ყოველივე წვრილმანიც კი და კანარისს წარუდგინეს, როგორც ამობენ კანარისს თავისი თვალით შეუმოწმებია ადგ-ილ–მდებარეობა, მოწონებია და ფიურერთან შეთანხმებით, სა-ბჭოთა პლენებით იქ ქვემოთ ბაღნარში ქალაქის აშენება განუზრახავს. აუშენებიათ კიდეც და რამოდენიმე წარჩინებუ-ლი გერმანელი პირი, გამომგონებელი და მეცნიერი იქ ჩასახ-ლებულა, შედის იქ საავტომობილო გზა, მაგრამ „ტომის დედამაც“ არ იცის, რომელი გვირაბით. გერმანელებს აქვს აშენებული უზარმაზარი ატომური ქარხანა და განუსაზღვრელი ატომური ბომბის მარაგი, ქალაქი შესახედავად არის ნახატი, მაგრამ არავინ იცის მისი არსებობა დიდი შიში იმალება ოთხ მთას შუა. მე და „ტომის დედა“ ხშირად განვმარტოებულვართ და შევცქეროდით ნისლის მთას... აღუწერელია მისი სილამაზე

ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ფონზე, ხშირად შეგვიმჩნევია, თუ როგორ ამოსულა ნისლიდან ცეცხლივით ბურთი. რამდენიმეჯერ მიხილავს საკუთარი თვალით მწვანე შუქის მფრქვეველი სფერო. რომელსაც ჩვენ უცხოპლანეტელთა მფრინავ თეფშს ვუწოდებთ. არავითარი უცხოპლანეტელები არ არსებობენ, მფრინავი თეფშები სწორედ ამ ხეობიდან ამოდის.

– შენ ან გიჟი ხარ, ან ჩემი გაგიჟება გინდა შეთხზული ფანტაზიით. მფრინავი თეფშები და სხვა პლანეტასთან კონტაქტი ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე არის მოხსენებული, ერთ–ერთი მათგანი ალექსანდრე მაკედონელსაც აქვს აღწერილი და შენ მიმტკიცებ, თითქოს გუშინ შექმნეს გერმანელებმა.

– მე არ ვუარვყოფ, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჰქონდა დედამიწასთან კონტაქტი დიდად ცივილიზებულ პლანეტას, მაგრამ ის თავისმა ცივილიზაციამ დაღუპა. მას „ფაეტონი“ ერქვა, მისი ნამსხვრევები დღესაც დაფრინავს ატმოსფეროში და მისი დაღუპვის შემდეგ რამდენიმე საუკუნე შეწყდა საუბარი მფრინავ თეფშებსა და უცხო პლანეტელებზე, ეს ვერსია კარგად გამოიყენა გერმანელმა ხალხმა და სწორედ ჩვენს ერამდე აღწერილი მფრინავი ობიექტების საფუძველზე შექმნა ახალი, რომლებიც გამოცდის მიზნით დასეირნობენ დედამიწის ყველა კუთხეში.

– კარგი მაგას დაგიჯერებ. მაგრამ ის როგორღაა, ზოგი მფრინავი ობიექტის ეკიპაჟი სამ მეტრს რომ აღემატება და ზგიერთი კი ჯუჯაა. მე როგორც ვიცი, გერმანელები არც ჯუჯები არიან და არც სამმეტრიანები.

ლომურს გაეღიმა ბადრის გულუბრყვილობაზე და კითხვითვე უპასუხა:

– თქვენი აზრით, რამდენიმე ცივილიზებულმა პლანეტამ გადაწყვიტა დედამიწაზე თარეში? ერთი პლანეტა ჯუჯების სახით მოგვევლინა და მეორე – სამმეტრიანი გმირების სახით? არა ეს ორივე მცდარი ვერსიაა, მფრინავი ობიექტის ეკიპაჟები ადამიანის სახის მქონე რობოტები არიან. დიახ, ხელოვნურად შექმნილი ხორციელი რობოტები.

– თუ შენი ვერსია ოდნავ მაინც სიმართლეს შეეფერება, მაშინ მსოფლიო აგენტურა შეძლებს შეაღწიოს „ნისლით მთის“ ქალაქში?

– ვერ შეძლებს, რადგან ისინი რობოტები არიან და არ იციან ადამიანური პროგრამა. ისინი თავიანთ კომპიუტერულ პროგრამას ასრულებენ, ცოცხალი არსების შესვლა ან იქიდან გამოსვლა შეუძლებელია.

– ბოლოს და ბოლოს თუ მსოფლიოს „ნისლის მთის“ ქალაქიდან კატასტროფა ემუქრება, ხომ დაბომბავენ მას ჰაერიდან?

– ამით ხომ მსოფლიო კატასტროფას დააჩქარებენ. ვიმეორებ, იქ იმდენი ბირთვული იარაღი ინახება, მსოფლიო მარაგს ბევრად რომ აღემატება და, თქვენ წარმოიდგინეთ, უზარმაზარი ენერგიის ერთად აფეთქება, რას მოუტანს დედამიწას. როგორ გაიფანტება ატმოსფეროში ფაეტონივით?

– აბა რა უნდა მოვიმოქმედოთ? გულუბრყვილოდ წარმოთქვა დეტექტივმა.

– ჩვენ არაფერი. ამ საკითხზე მეცნიერებმა იფიქრონ. კატასტროფა „ნისლის მთის“ გარეშეც მოხდება, თუ კაცობრიობა არ დაუბრუნდა ღვთიურ ცხოვრებას, თუ არ მოისპო მკვლელობები, ომები, არ აღიკვეთა პროსტიტუცია, ამპარტავნობა, ანგარება, შური და სხვა ამგვარი. თვითონ ვღუპავთ სამყაროს. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის ფიზიკის გაერთიანებულ ინსტიტუტში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ ჩვენი პლანეტის ზედაპირი ყოველდღიურად ორი კუბური კილომეტრით იზრდება, აქამდის ასეთი მაჩვენებელი შემჩნეული არ ყოფილა, ახლა კი დედამიწის ბუშტივით გაბერვა რისი მომასწავებელია, მეცნიერებას ვერ აუხსნია.

ამერიკელებმა ჰავაის კუნძულებზე დედამიწის ქერქში აღმოაჩინეს ნაპრალი, რომლის შესწავლამ მსოფლიო შეაშფოთა, ნაპრალი ხმელეთიდან წყლის სიღრმეში იკარგება და ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანემდე აღწევს და მისი ზომები

ყოველდღიურად მატულობს, სიგანემ რამოდენიმე ათეულ მეტრს მიაღწია, სიღრმე კი აზომვას არ ექვემდებარება. მეცნიერებმა გამოთვალეს და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ დედამიწა ათასჯერ ნაკლებს იწონის, ვიდრე ეს ადრე იყო მიჩნეული, მეცნიერების დასკვნით, დედამიწის ასეთი სიმსუბუქე განპირობებულია იმით, რომ მისი შუაგული თითქმის ცარიელია და ის წარმოადგენს დაახლოებით ასი კილომეტრი სისქის გარსის მქონე სფეროს, გავიხსენოთ ბიბლია, რომელიც სწორედ მიწის ქვემოთ, ქვსკნელში მიოიაზრებს ჯოჯოხეთს – ცოდვილთა სულების სატანჯველ ადგილს. ჰავაის ნაპრალი განგაშის პირველი ზარია, ატომურმა აფეთქებებმა შეიძლება ნაპრალის გაფართოება დააჩქაროს და დედამიწა ფაეტონივით გასკდეს, რომლის ნამსხვრევები, როგორც ვარაუდობენ, მარსსა და იუპიტერს შორის იფრენენ...

– კარგი რა, თავი დამიმძიმდა ამაზე საუბრით. უკვე სულ სხვა თვალით ვუმზერ სამყაროს. ეს მითხარი, რომელ ადგილზეა „ნისლის მთა“ და საუბარი დავამთავროთ.

– „ნისლის მთა“ აფხაზეთსა და ჩხალთის ქედს შორის მდებარეობს, მდინარე აწკარას მარჯვენა მთის გადაღმა, ჩვენი ბანაკი აქ ახლოს იდგა და დღისით თუ ღამით ყოველთვის სიამოვნებით ვუცქერდი.

– გზა საიდან მიუდის?

– აფხაზეთიდან შეიძლება მისვლა, მაგრამ რუსეთიდან ჯობია, მარუხის უღელტეხილს გადმოლახავ თუ არა, შორი აღარ არის.

– რატომ ჯობია რუსეთის მხრიდან მისვლა?

– გზა არის კარგი, აქედან კი ცხენსაც გაუჭირდება...

– მეგზურობას გაგვიწევ, რომ წავიდეთ?

– სიამოვნებით!

– ცხენები ვიქირაო, თუ ავტომობილით წავიდეთ?

– არც ერთი, არც მეორე. ავტომობილით მხოლოდ აფხაზეთამდის მივალთ, შემდეგ ერთი ცხენი ვიქირაოთ, რომ ზურგით არ მოგვიწიოს კარვებისა და სურსათ–სანოვაგის ტარე-

ბამ და ფეხით შევუყვეთ ნელ–ნელა. დავტკბეთ ბუნების იშ-ვიათი სილამაზით.

– კარგი, წადი, მოემზადე და ხვალ დილით ავტოსად-გურთან დაგველოდე.

– ვერ მოვასწრებთ მომზადებას, კარვები საყიდელი გვექნე-ბა, სურსათ–სანოვაგეც და კიდევ ათასი წვრილმანი იჩენს თავს.

– მაგაზე მე ვიზრუნებ. შენ იქ დამელოდე სადაც გეუბ-ნებიან.

– კეთილი, მე მხოლოდ გიტარას წამოვიღებ

– თუ გემღერება წამოიღე!

– არ მემღერება, მაგრამ ტირილითაც შეიძლება სიმღერა.

– ბოშებმა გასწავლეს?

– ხომ გითხარით, რაც სიკეთე მაქვს იმათი ბრალია–მეთქი.

ორივე ერთად გამოვიდა კაბინეტიდან, ბადრიმ პოლიცი-ის უფროსს ძიების შედეგი მოახსენა: – ,,ეჭვმიტანილი მიმყავ-სო'' – უთხრა და გამოემშვიდობა. როდესაც ლომური თავი-სი ფილოსოფიით ტვინს უბურღავდა ბადრის, ამ დროს ლაშა ბადრიზე უარეს დღეში იმყოფებოდა.

– ,,ფიტულ'' ადამიანს იმიტომ აქვს ყველა ცხოველზე მეტად განვითარებული ტვინი, რომ თავი დააღწიოს მწუხ-არებას, – უთხრა ნინომ ლაშას და გვერდით ჩამოუჯდა.

– შემეშვი თუ ქალი ხარ, არაფერსაც არ ვწუხვარ, როგორც ღმერთს უნდა, ისე ცხოვრობს ყველა და მე გამონაკლისი ხომ არ ვიქნები? ან ღმერთი მიპატრონებს, ან სატანა. შენ კი ერთგულებას რომ მპირდები, ვინა ხარ, ანგელოზი თუ ეშმაკი?

– შენ თუ აქამდის ვერ გიცვნივარ ვინა ვარ, კარგად ყოფილა შენი საქმე.

– კარგად! ცხენი მაკლია, თორემ ტარიელობა დაწყებუ-ლი მაქვს. დავეძებ ნესტან–დარეჯანს.

– ხუმრობა საუკეთესო საშუალებაა ამ ქვეყად, იგი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ეძლევა ადამიანს და

სულაც არ აშფოთებს, რომ უვიცია, რადგან თვითონ შეუმჩნეველი რჩება ეს სენი. ადამიანს რომელსაც გადარჩენითა და სიცოცხლის შენარჩუნებით ემუქრები, არ უნდა უკუაგდოს ლამაზი ქმნილების წინადადება. მართალია ქალის ტვინი ორასი გრამით ნაკლებია მამაკაცისაზე, მაგრამ სამაგიეროდ თავის ტვინის მარჯვენა ნახევარსფერო განაპირობებს ინტუიციას, წარმოსახვას, ჰიპნოზს, ამ თვისებას კი მამაკაცი მოკლებულია ამიტომ ქალის აზრი უხილავ სამყაროსთან ურთიერთობის ერთადერთი ენაა და რატომ არ უნდა ენდო მის რჩევას?

– შენ საკუთარ თავს რჩევას ვერ მისცემ? მე კი ეს არჩევანი არ შემიძლია გადავწყვიტო, სანამ ლიკას მდგომარეობას არ გაარკვევ, ჩემზე უკეთ ვერავინ მირჩევს ვერაფერს.

– გწამს თუ არა, რომ ლიკას ბედი მეც მაფორიაქებს და ღმერთს გეფიცები, რომ სანამ ცოცხალი ვარ, მის მოძებნაში დაგეხმარები, მაგრამ თუ ეს ნაბიჯი შენთვის სახიფათო იქნება, ხელს შეგიშლი.

– ბოლოს და ბოლოს შენ ვინა ხარ, რომ ყოველ ნაბიჯს მიკონტროლებ.

– სულელო, შენ ამას მაშინაც ვერ გაიგებ როდესაც...

– რა როდესაც, ჰო დაამთავრე სათქმელი!

– რა როდესაც და ქალს დიდი ძალა აქვს. ღმერთმა ზოგიერთ ნაკლთან ერთად ქალს „მელიის სიეშმაკეც“ დაანათლა და თუ მან მოინდომა მამაკაცს ყოველთვის დაამარცხებს, რადგან თქვენ, როგორც ძლიერნი, უძლურნი ხართ სუსტი არსების წინაშე.

– მე ერთადერთი უძლიერესი მამაკაცი ვარ ყველას წინაშე.

– ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს:

„მე არ მივბაძავ გრძნეულ მედეას.

არ დაგარისხებ მცხეთის ზარებზე“...

– დამარისხე, ამაზე მეტად ვეღარ შემრასხავ: „რადგან ვტირივარ ვით მეფე ლირი, ლირი ყველასგან მიტოვებული“...

კარგია ახალგაზრდობა, პოეზიაც შეიძლება შეიგრძნო მისგან და სიყვარულიც, მაგრამ ახლაც ბოლომდე მათ გრძნობის გაღვივებას ისევ ბადრის მოსვლამ შეუშალა ხელი.

– როგორ მიდის საქმე ახალგაზრდებო, – სასტუმროს ნომერში შემოსვლისთანავე ჰკითხა ბადრიმ ნინოსა და „ფიტულს“.

– ჩვენი საქმე არც თუ ძალიან კარგად, მაგრამ შენი საქმე უფრო მეტად გვაინტერესებს, როგორ წარიმართა ძიება ეჭვმიტანილთან? – შეეკითხა ნინო.

– ეჭვმიტანილთან ძიება დამთავრებულია, ხვალ ის მეგზურობას გაგვიწევს და აფხაზეთის მთებში წავალთ. სოხუმამდე ავტომანქანით მივიდეთ, სოხუმში კი ცხენს დავიქირავებთ. ავკიდებთ კარვებს, სურსათ–სანოვაგეს და მგზავრობისათვის სხვა აუცილებელი საჭურველს და გაუდგებით გზას ბოშათა ბანაკისაკენ. ნინომ ცხენის გაგონებაზე ხმამაღლა გადაიკისკისა – აი, ეს მწამს – სწორედ ცხენზე ოცნებობდა „ფიტული“, ახლა კი ნაღდი ტარიელი იქნება და, ვინ იცის, იქნებ ლიკა; ნესტან–დარეჯანსაც მიაგნოს.

მეორე დღეს დილით ბადრის ავტომანქანა გალის ავტოსადგურთან გაჩერდა. იქ მათ ლომერი ელოდებოდათ, დინ რიდივით მხარზე ეკიდა გიტარა და არხეინად მიმოდიოდა ავოსადგურის ბაქანზე. ბადრი შეამჩნია, დაუკითხავად გააღო ავტომანქანის უკანა სალონის კარები, ჩაჯდა და ნელი სვლით გაუყვნენ აფხაზეთისაკენ მიმავალ გზატკეცილს, რამდენიმე საათის შემდეგ ავტოსადგომიც ნახეს, სურსათ–სანოვაგეც იყიდეს და ცხენიც დაიქირავეს წასასვლელად.

– ერთი წუთით დამელოდეთ! – წამოიძახა ლომურმა და პასუხს არც დაელოდა სადღაც გაუჩინარდა, მართლაც რამდენიმე წუთში მხარზე ორასიოდე მეტრი სიგრძის თოკ გადაკიდებული დაბრუნდა – მთამსვლელებისთვის აუცილებელიაო! – თქვა და ცხენის ტვირთს დაუმატა. შეუდგნენ გზას – „გზას ვამბობ თორემ რა გზაა ვიწრო ბილიკი ხევზედა“... მაგრამ ახალგაზრდები ამ მგზავრობას ტურისტულ მოგზაუ-

რობად მიიჩნევდნენ და სიცილ–კისკისით მიუყვებოდნენ ბილიკს. ლამაზია საქართველოს ბუნება, მგზავრი შეიძლება ვერც დატკბეს ამ ღირსშესანიშნავობების ხილვით. ძნელია კალმით იმ სიმშვენიერის გადმოცემა, თუ როგორ ებრძვიან მთის ჩანჩქერს კალმახთა ჯარი, აქ საავტომობილო გზა არ არის, მგზავრიც იშვიათია, მხეცთა სიმრავლე ჭარბობს, სამალავიდან ადევნებ თვალს თუ როგორ დგება უკანა ფეხებზე ბაჯბაჯა დათვი, როგორ ისრუტავს ჟანგბადს, პანტის ხეს არხევს და ბელებს უხმობს ღრიალით.

ჩამოღამდა. მგზავრებმა ვაკე ადგილი შეარჩიეს და დასცეს კარავი. მთის ღამე არანაკლებ ლამაზია დღეზე, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა მიწიერი სილამაზის მიტოვებასა და ვარსკვლავეთში გასეირნებას სთავაზობს მგზავრს, ბადრი მთვარე ჯერ კიდევ დათოვლილი მთის მწვერვალზეა შემომჯდარი და სინათლის მომატებას არ ჩქარობს. თვალგაუტეხლად მთვარის დისკოს მიშტერებული ლომური ძლივს გასაგონად ამბობს:

– გინდა მოგიყვეთ დედამიწაზე მთვარის გავლენაზე და თითოეულ ადამიანზე?

– მოგვიყევი, მოგვიყევი ლომურ, ალბათ ეს ბოშებთან შეძენილი სიბრძნეა – გაამხნევა ბადრიმ.

– ბოშათა სიბრძნე ფანტაზია არაა. ეს სიბრძნე მათ მრავალი ასეული წლების ხეტიალითა და წარსული ცივილიზაციით შეითვისეს და შეისისხლხორცეს.

– როგორ გეკადრებათ, თუ „ნისლის მთა“ მივიღეთ რეალობად, რომელიც არც გვინახავს და არც გვსმენია იმის შესახებ, მთვარეს როგორ მივიღებთ საოცრებად როდესაც ჩვენგან თვალხილულია?

– არა, შეიძლება არ დამიჯეროთ, რომ მთვარე აშუქებს ადამიანის სულის იდუმალ სიღრმეს, ბოშები სავსე მთვარის შუქზე შეუცდომლად მკითხაობენ და სწამთ, რომ მათმა წინაპრებმა მთვარის გავლენით იწინასწარმეტყველეს თავიანთი ქვეყნის დაღუპვა, დღესაც ბოშები მთვარის შუქზე ამზა-

დებენ განსაკუთრებულ სასმელს, რომელიც კურნავს და აახალგაზრდავებს ადამიანს. ბოშები სავსე მთვარეს არყით სავსე ჭიქით ხვდებიან. სურვილს ჩაიფიქრებენ და მთელი ღამე სასმელს გარეთ ტოვებენ, დილით ისევ გაიმეორებენ ჩანაფიქრ სურვილს და მთვარის იდუმალი სხივით დამუხტულ არაყს სვამენ, სურვილი უსრულდებათ, ასეთი რამ მეც გამიკეთებია და არ გეუბნებით, მერწმუნეთ–მეთქი, მაგრამ ჩანაფიქრი შემსრულებია.

– თუ ეს სინამდვილეა, შენ ხომ გიყვარდა მაკონა, რად არ ჩაუთქვი შეუღლების სურვილი? – შეეკითხა ბადრი.

– იმიტომ, რომ მაკონა შეუღლების წინააღმდეგი იყო და მე თვითონ არ მინდოდა მთვარის ზეგავლენით შევყვარებოდი. – „ფიტულმა“ ნინოს გადახედა და ყველასგან შეუმჩნევლად თვალი ჩაუკრა, მხოლოდ ორისთვის იყო აზრი გასაგები. – ესე იგი თქვენ უკვე მიმიხვდით, რომ მთვარე ადამიანზე ახდენს ზეგავლენას – გააგრძელა თავისი ფილოსოფია ლომურმა – მაგრამ ეს კიდევ არაფერი, თუ სავსე მთვარეს სამჯერ მოუხრით ქედს, მომავალ მთვარის გავსებამდის დაზღვეული იქნებით ხიფათისაგან, ან კიდევ, თუ ცოლს ამ პერიოდში შეირთავთ, ბედნიერი ცოლ–ქმრობა გარანტირებულია.

ნინომ გადახედა „ფიტულს“ და წასჩურჩულა: – „სავსე მთვარეა“. „ფიტულს“ შეუმჩნევლად გაეღიმა.

– კიდევ ბევრი რამ შემიძლია გითხრათ მთვარეზე, რაც ქართველი ხალხმა კარგად იცის და იმედი მაქვს, თქვენც კარგად გეცოდინებათ მაგრამ ყველამ როდი იცის, რომ ამერიკელმა კოსმონავტებმა, რომლებიც 1970 წელს მთვარეზე დასხდნენ და გრუნტი წამოიღეს, მთვარის მოძრაობის ცენტრი დააზიანეს და მთვარის მტვერი კოსმოსში გაიფანტა. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 512 კილომეტრით შემცირდა ჩვენი თანამგზავრის დიამეტრი. თუ ასე გაგრძელდა 2025 წლისთვის დედამიწიდან მთვარე შეუმჩნეველი გახდება, მთვარის დაღუპვა კი კარგს არაფერს მოუტანს დედამიწას.

მისი ზემოქმედებით დედამიწის ღერძი გაწონასწორებულია და თუ პლანეტებს შორის გაწყდა მიზიდულობისა და ზემოქმედების ძაფი, ერთი პლანეტის დაღუპვა მეორის კატასტროფას გამოიწვევს.

– კარგი რა, თუ ღმერთი გწამს, შენ და შენი ბოშები დედამიწაზე ხან ნაპრალებს აღმოაჩენთ ხოლმე და ხან პლანეტთაშორის მიზიდულობის ძაფებს, კაცმა რომ მოგისმინოთ, ცხოვრებაზე ააღებინებთ ხელს – უთხრა ბადრიმ.

– მე ჩემსას ვამბობ და ნება თქვენია, გინდ მოისმინე, გინდ არა. ერთმა მოსამართლემ დამნაშავეს სასჯელი გამოუტანა, პატიმარმა უთხრა: – „კი, როგორც შენ იტყვი სწორედ ისე მოვიქცევიო“ – არ უნდოდა მოსამართლის განაჩენი დაეჯერებინა, მაგრამ დააჯერეს.

– იცი, რას გეტყვი, ჩემო ლომურ? ერთ საგიჟეთში თურმე ჭკუიდან გადასული დამამშვიდებელი პერანგით გაკოჭილი ჰყავდათ, რადგან სულ ერთსა და იმავეს გაიძახოდა: „დედამიწის დაღუპვის დღე და საათი უნდა გამოვიანგარიშოო“. შეშინდნენ მართლა არ გამოიანგარიშოსო და გაკოჭეს. ასე არ მოგივიდეს შენც.

– თუ არვის სჯეროდა იმ გიჟისა, რისთვის გაკოჭეს? შეიძლება ისეთივე გიჟი იყო როგორიც მონტე–კრისტო, რომლის სიმდიდრესაც არავინ ივჯერებდა და შეშლილად თვლიდნენ. კარგი, ძალიან შევყევით, მოდი ახლა ვიმღეროთ, – თქვა ლომურმა და გიტარას მისწვდა. დაკვრის დროს გიტარას შიგადაშიგ ზურგზე შემოიტარებდა ხოლმე, ისე რომ მელოდიას არ წყვეტდა. ბოლოს მსმენელი სირინოზის ხმით მოხიბლა:

*„დაკეტილია ჩემთვის საყდრის წმინდა კარები,*
*ჩამომჯდარი ვარ ეკლესიის კიბის კიდეზე,*
*გაუთავებლად ბუტბუტებენ ირგვლივ სულები*
*და ჩემთან ერთად ზეიმობენ სასაფლაოზე“.*

ტაშით დააჯილდოვეს აზარტში შესული „მომღერალი“, რომელიც განაგრძობდა:

*„შენ მოწყალე ხარ, მოწყალება არის სიკეთე,*
*სამოთხის კარი ცოდვილს რატომ გამომიკეტე.*
*თუ მორჩილს მინდობ ვერაფერი მოწყალებაა,*
*ცოდვილს შემინდო, ამაშია ღმერთო სიკეთე!“*

ისევ ტაში და ლომურმაც გიტარა არყის ხესთან მიაყუდა, – კიდევ, კიდევ გვიმღერე რამე, შეეხვეწა ნინო, მაგრამ ის სიმღერას აღარ აპირებდა.

– ვივახშმოთ, თორემ მწვადის სუნი მაღიზიანებს, შემდეგ დაიძინეთ, მე დარაჯად დაგიდგებით, დილით ადრე გავუდგეთ გზას, შორი მანძილი გვაქვს გასავლელი, თუ არ დავისვენებთ, მალე დავიქანცებით, ველარ ვივლით და შევრცხვებით.

– თუ ვერ ვივლით, ამაზე უკეთეს ადგილს სად წავალთ? დავრჩეთ და როცა მოგვეწყინება, მაშინ წავიდეთ. – თქვა ნინომ.

– ვახშმობამდის ერთი კიდევ გვიმღერე და ღმერთთან გიშუამდგომლებ, რომ ცოდვები შეგინდოს – უთხრა ბადრიმ.

ლომური ისევ მისწვდა გიტარას. პირველად რომელიღაც ბოშური ჰანგები გაისმა შემდეგ ქართულზე გადავიდა:

*„ვით მე არ მინდო ცრემლიან საწუთრომ,*
*ეგრეთვე ვგონებ არც შენ დაგინდოს,*
*შენ მე მიბრძანე ცოდვილს შენდობა?*
*ღმერთმა შენ შენი ცოდვა შეგინდოს“.*

ხარხარი და ტაში ერთმანეთში აერია. მართლაც, სასწაული იყო მთაში სიმღერა, თითქოს ერთი კაცი კი არა მთელი ესტრადა ასრულებდა ჯერ არგაგონილ ჰანგებს, რომელიც დასაბამიდან დღემდე კაცთა ყურს არ მოესმინა.

– კარგი იყო, მართლა კარგი, ასეთმა ნიჭის პატრონმა მათხოვრობა როგორ დაიწყე? ნამდვილად დაგიჭერ და ციხეში ჩაგსვამ. მელოდიის გადამალვისათვის – გაეხუმრა ბადრი და ბეჭებზე ხელი შემოუცაცუნა.

– ეჰ, ეს რა არის, სიმღერა ის იყო მე და მაკონა რომ ვმღეროდით ერთად. მუსიკითა და სიმღერის ნიჭით დაჯილდოებული ბოშებიც კი განცვიფრებაში მოგვყავდა. ახლა ჩემი სიმღერა ერთი მათხოვარი კაცის სიმღერაა, რომელსაც აღარც რწმენა აქვს და აღარც ჯოჯოხეთის შიში.

– ნუ დარდობ ლომურ, შენი სიმღერით უკვდავებას მიაღწევ, ამ საქმეში მე დაგეხმარები, ოქროს მედალს, რომლითაც ნიკოლო პაგანინი ვენამ დააჯილდოვა, ასეთი წარწერა ჰქონდა: „ბგერები ქრებიან, მხოლოდ დიდებაა მარადიული“ და, ვინ იცის, შენც პაგანინივით ეზიარო მარადიულობას, – უთხრა ბადრიმ და ნინოს მიერ კოცონთან სახელდახელოდ გაშლილ სუფრაზე თხილის ჯოხებზე შემწვარი ცხელი მწვადი მიიტანა. ივახშმეს, მთვარე დასავლეთის მთას მიფარებოდა და ჰაერში გარიჟრაჟის სუნი იგრძნობოდა. როგორც მოითათბირეს, ყველამ თავის საძინებელ კარავს მიაშურა, ლომური დარჩა დარაჯად.

მზემ დაასწრო ამოსვლა ღამენათევი მგზავრების გამოღვიძებას, პირველად ბადრი გამოვიდა კარავიდან და სიცილი ვერ შეიკავა როდესაც ცხენის ფეხებს შუა მხვრინავი დარაჯი დაინახა, მაშინვე ნინო და „ფიტული“ გააღვიძა და ლომურის დარაჯობა უჩვენა.

– გაუშვი ეძინოს, თვითონ იცის თავის საქმე, ცხენი ადამიანზე უკეთესი დარაჯია, – თქვა ბადრიმ, მაგრამ მისი ჩუმად ნათქვამი ლომერის სმენას მისწვდა რომელიც ყველას მძინარე ეგონა, ლომური ბრწყინვალედ ასრულებდა დარაჯის „საპატიო“ მოვალეობას.

აიშალა ბანაკი სიცილ-კისკისით და ჟრიამულით დაეშვნენ ნაკადულისაკენ.

– რად გინდათ მდინარე, განა ცვარი საკმარისი არ არის? – წამოიძახა ლომურმ და დაცვარულ, ნოხივით მო-

ქარგულ მინდორზე გადაკოტრიალდა, დიდხანს იბუღრავა ბალახებში, ათასნაირად ივარჯიშა ტანიც დაიზილა ცვრით. დაიღალა, შემდეგ პირდაპირ ბორცვიდან ნახტომი გააკეთა ნაკადულის მორევში და ჩაიყურყუმალავა, ამოვიდა, შეიმშრალა და ომახიანად დასჭექა:

– „გზის გაგრძელება მიბრძანებია“.

– სამივენი გაკვირვებით შესცქეროდნენ ლომურს. მისით აღფრთოვანებულმა ბადრიმ წამოიძახა:

– ბრმა და მათხოვარიც ამას მიქვიან: ახალგაზრდა კაცი ხარ, გაიმეორე „ფიტული“ – უთხრა ლაშას.

– განმეორება კი არა, ვკვდები სიცივით, სანამ მზე კარგად არ ამოვა პირსაც ვერ დავიბან, ნაკადულს რომ უყურებთ ხედავთ საიდან გამოედინება? – ხელი გაიშვირა დათოვლილი მწვერვალისაკენ ლაშამ და ყველა მზის სხივით გაბრწყინებულ მწვერვალს მიაცქერდა. მართლაც ყველაფერს აქვს თავისი სილამაზე მკაცრი და მიუვალი, მწვერვალი შორი მანძილიდან ისეთი სისპეტაკით შემოგცქერის, ერთი სული გაქვს, როდის დაადგამ ფეხს მის მომაჯადოებელ უმაღლეს წერტილს, თუგინდ სიცოცხლის ფასად დაგიჯდეს.

– სამოთხეს რომ იტყვიან, – სწორედ ესაა, – ნაზად თქვა ნინომ.

– ეს ბუნებრივი სილამაზე, მაგრამ ხელოვნურად შექმნილი სილამაზე ნაკლები ნახე? მარტო ის რად ღირს, ცვარის ტბაში მოცურავე ადამიანს რომ შეხედავ. არა ამას ვერ დახატავ, ამისათვის განცდაა საჭირო – თქვა კვალმაძიებელმა.

– არა, ბატონო ბადრი, არ მინდა ასეთი სილამაზე, დღე სიცხე, ღამე-სიცივე. შეიძლება ისე ვიწრო კუბოში ვეღარავინ გამასწოროს – თქვა ლაშამ.

– ლიკა რომ იპოვო და აქ ცხოვრება გადაწყვიტოს? – შეეკითხა ნინო.

– მაშინ კი! ეჰ ლიკა, ლიკა! სად არის ნეტავი ახლა! – ამოიხრა ლაშამ. მსუბუქად ისაუზმეს და შეუყვენ აღმართს,

ხიფათი მუდამ თან სდევს ადამიანს მით უმეტეს, კვალმაძიებელს. მაგრამ უმჯობესია ჩვენ იქ მივიდეთ დროულად, სადაც დეტექტივს ინტელექტი კარნახობს და ბოროტმოქმედი ეგულება ამიტომ ეს მცირედ ხიფათიანი დღე ჩქარა დავაღამოთ და ღამის მოკლე ეპიზოდს შევავლოთ თვალი.

დაღამდა კარვები ააგეს, ლომურმა ისევ შეხედა ცას და თქვა:

– რაც უფრო მაღლა მივიწევთ, მით უფრო ვუახლოვდებით ცის უსაზღვროებას და ახლა უფრო ნათლად ჩანს ცდომილთა სამყარო, ხედავთ ვენერას?

– კარგად დაუკვირდი თუ კაცი ხარ, იქნებ ლიკაც აღმოაჩინო! – სიცილით უთხრა ნინომ.

– დაანებე თავი, თორემ ჩამოაგდებს ახლა მაგ პლანეტას ეს ბოშათა მოსწავლე და დავიღუპებით ყველანი – თქვა ლაშამ, ბადრის გულიანად გაეცინა, თვითონაც გაეღიმა ლომურს და თითქოს ნაწყენმა წარმოთქვა:

– იცინეთ, იცინეთ თქვენ და ნახავთ თუ არ დაგვეჯახება!

– აუჰ, ხომ ვთქვი, მოდი ღამით ნუ მოახდენ ამ ამბავს, ვაკე ადგილზე მაინც მიგვიყვანე ფეხბურთს ვითამაშებდით.

– ფეხბურთი რა შუაშია?

– ჰო, თუმცა ბურთისოდენაც არ არის, სადღაც დაგვეკარგება ტყეში!

ლომური მიხვდა, რომ ამასხარავებდნენ და გაჩუმდა – გვიმღერე რამეო მაინც!“ სთხოვეს. მაგრამ „ღამენათევი ვარო“ – თქვა და დასვენება მოიმიზეზა. ღამის მორიგეობა ლაშამ იკისრა, ყველამ თავის კარავს მიაშურა. დაიძინეს, შუაღამე იქნებოდა, ლაშას ყვირილმა აშალა ბანაკი, ბადრი პისტოლეტაღმართული გამოვარდა კარავიდან. ლომურს ხელში თოკის ქამანდი ეჭირა „მტრის“ შესაპყრობად. ნინო კი თავის ბიძას ეფერებოდა, საშიში არაფერი ჩანდა, ლაშას, ლომურის მსგავსად, ცხენის ფეხებშუას განუზრახავს ძილი, ცხენს კი მკერდზე დაუდგამს ფეხი და უნიათო ცხენოსანს გასრესით დამუქრებია, ღრიალებდა საბრალო „ფიტული“ და შველას

ითხოვდა,. ლომურმა, ეს რომ დაინახა, – არ დააცლიან ადამიანს მოსვენებასო – თქვა უკმაყოფილოდ და კარავში შებრუნდა დასაძინებლად, ბადრიმ კი ძლივძლივობით ააწევინა ცხენს ფეხი და ნახევრად გულშეღონებული „ფიტული“ გამოაძვრინა ცხენის ფეხებიდან. ბადრიმ ამჟამად მორიგეობა ცხენს დააკისრა და კარავის წინ დაბა. ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა, მეორე დღეს, ნაშუადღევს გამოჩნდა. „ნისლის მთა“ ცოტა ხანში ბოშათა ბანაკიც გამოჩნდა...

ყველამ გაიხარა ლომურის ნახვით, განსაკუთრებით კი „ტომის დედამ“, გულთბილად გადაეხვია „ტომის ბელადი“ და მაკონა მოიკითხა.

– მაკონა ორიოდე დღის წინ წავიდა სადღაც, ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა, ვინ იცის სად არის – უპასუხა ლომურმა.

– ვერ სწვდებით ქალის ბუნებას! – ჩაიბუზღუნა „ტომის ბელადმა“ და თვალი აარიდა ლომურის მზერას.

სტუმართა პატივსაცემად კვიცი დაკლეს,. საღამოს ოთხი კოცონის შუაში სუფრა გაშალეს და შეიქნა ნამდვილი ნადიმი. ცოცხალი მუსიკა, ცეკვა და სიმღერა, ქალთა ტანის რხევა და ტანსაცმლის შემოძარცვა. ამას მხოლოდ აქ, ბოშათა ბანაკში იხილავს კაცი, ეს საოცრებაა და არა ტალანტი, რომლის აღიარებაც სცენაზე შეიძლება, ბუნებაში კი განა ყველას მიეცემა იმის საშუალება, რომ დატკბეს ამ ფარული მშვენებით?

„ტომის ბელადმა“ ადრე დატოვა ნადიმი, განმარტოება მოისურვა, „ტომის დედამ“ თვალი გააყოლა და ლომურის წასჩურჩულა“: – „ეს სამი დღეა რაღაც უჩვეულოდ იქცევა ბელადი, წუხელ სავსე მთვარეს ვესაუბრე, დიდი მწუხარება აქვსო გულში ჩახვეული.

– რა მწუხარება უნდა ჰქონდეს ასეთ ბუნებაში მოქეიფე ბელადს? – გაიკვირვა ლომურმა.

– საწუხარს რა გამოულევს ბელადს, სამი წელია რაც სულიერ აფორიაქებას ვამჩნევ, წელს არ გვინდოდა აქ განმე-

ორებით წამოსვლა, მაგრამ მის დაჟინებულ თხოვნას ვერ აღვუდექით.

– შენი წინასწარმეტყველება რას გეუბნება?

– ხომ გითხარი დიდი მწუხარება ტანჯავს საბრალოს, სიყვარულთან უნდა იყოს დაკავშირებული, ჩვენი ტომის არ არის მაგის რჩეული.

– ბელადს ხომ ჰყავს ცოლ–შვილი და სხვის სიყვარულს უკრძალავს კანონი.

– სიყვარულმა შვილი როდი იცის. ცოლიანობა და უცოლობა, ასაკი და თვისტომეულობა, შეიძლება სულ მოკლე ხანში გააგიჟოს სრულიად ბრძენი ადამიანი.

– სწორედ ასე მომხდარა. სიბრძნე როდი აკლია ბელადს, მაგრამ...

გამთენიისას დაიშალა მოქეიფე ბოშათა ღრეობა, ჩააქრეს კოცონი და თითოეული თავისი სადგომისკენ წავიდა.

მზე ჯერ კიდევ კარგად არ იყო ამოსული, ბადრი ლომურის კარავში რომ შევიდა და საწოლზე ჩამოუჯდა, ლომერს არ ეძინა. ტუჩზე თითის დადებით ანიშნა – „არ ილაპარაკო გვისმენენო“ – ბადრი ჩაფიქრდა, შემდეგ პიჯაკის ჯიბიდან რვეული ამოიღო, ავტოკალამი მოიმარჯვა და დაწერა:

– როგორ ფიქრობ, ბელადია მკვლელი?

ლომურმა ავტოკალამი გამოართვა და კითხვას ქვეშ პასუხი მიაწერა:

– ეჭვიც არ მეპარება!

– როგორ ფიქრობ, შევძლებთ აქ მის დაპატიმრებას?

– ფიქრიც გამორიცხულია, მთელი ბანაკი დაიღუპება და ბელადს მაინც არ დაგანებებენ!

– აბა, როგორ მოვიქცეთ?

– არ ვიცი, გამომძიებელი ბრძანდებით, თვითონ იფიქრეთ!

– მე რომ არ დავიჭირო, შენ კი შეარჩენდი მაკონას სიკვდილს?

— არა, სიკვდილით ვაზღვევინებდი. დაჭერა ჩვენი ტომის ფუნქციაში არ შედის!

— მომისმინე, ასე უნდა მოიქცე: დღეს „ტომის ბელადს“ მოელაპარაკე, რომ შეგულებული გაქვს ცხენის ფერმა და გესაჭიროება მისი დახმარება მათი მოპარვისათვის. ის დაგთანხმდება, რადგან ბანაკში გაჩერება უმძიმს. ცხენებით წადით, სადმე გალთან ახლოს ღამე ბუნებაში გაათიეთ და მარჯვედ ხელებზე ბორკილები დაადე. პოლიციაში მიიყვანე, უფროსს მე დავუკავშირდები აქედან. თვითონ ვუხელმძღვანელებ ძიებას, ასე რომ, შენ პრობლემები არ შეგექმნება.

— გამყიდველი არასოდეს ვყოფილვარ, ვერც პოლიციის თანამშრომელი გავხდები, ჩემგან ეგ საქმე არ გამოვა.

— აბა, რას აპირებ?

— დღეს საღამოს მოვკლავ, თქვენ აქედან დღესვე წადით, თორემ განრისხებული ბოშები ნაკუწებად გაქცევენ.

— შენ კი მოგეფერებიან?

— არა, მეც მომკლავენ!

— ჰოდა ყოველივე უსიამოვნება თავიდან რომ ავიცილოთ, ისე მოიქეცი, როგორც გეუბნები.

— არა, მაგის დაპატიმრებით ვერაფერ სიამოვნებას ვნახავ. უნდა მოვკლა!

— იქნებ არ არის დამნაშავე, ცოდვას სად მიუდიხარ?

— სხვა ეჭვი ხომ არ არსებობს?

— ეჭვი არ არის საფუძვლიანი მტკიცება და ეჭვის საფუძველზე განაჩენს ვერავინ გამოიტანს.

— აბა თქვენ როგორ დაუმტკიცებთ მკვლელობას.

— თვითონ იტყვის!

— კი, გქონდეს იმედი, ვერავინ ერთ სიტყვასაც ვერ ათქმევინებს.

— ნუ ჯიუტობ, გააკეთე ის, რასაც გეუბნები — დაწერა რვეულში ბადრიმ ლომურს წააკითხა და კარავიდან გავიდა.

მარტოდ დარჩენილი ლომური საგონებელში ჩავარდა — შეიძლება გამომძიებელი მართალს ამბობს და ხომ შეიძლე-

ბოდა ბელადს თვალითაც არ ენახა მაკონა და სხვისი სიყვარულით ყოფილიყო გაბოროტებული? ბოლოს, ბევრი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა გამომძიებლის წინადადებას დათანხმდებოდა, ადგა, დაიბანა და ბელადის კარვისაკენ წავიდა, რომელიც ბანაკის თავში გამორჩეულ ადგილზე დაედგათ. სწორედ იქ, სადაც ამ სამიოდე წლის წინ იმყოფებოდა, ბელადი კარავში არ დაუხვდა და იქვე დალოდებას ტყეში გავლა არჩია ნაცნობი ადგილების მოსანახულებლად. ბევრი ხეტიალის შემდეგ თამბაქოს კვალი იყნოსა, ჰაერი ღრმად შეისუნთქა და კვამლის მიმართულებით წავიდა, დიდი მანძილი არ გაუვლია, ნაძვნარში ერთი ხის ძირას წამოწოლილი ბელადი შენიშნა. ჩაფიქრებული ჩიბუხს აბოლებდა, შეუმჩნევლად მიუახლოვდა, გადაწყვიტა თავს დასხმოდა და კნუტივით გაეგუდა, მაგრამ გადაიფიქრა. არც ბელადი იყო ჯაბანი, ფარულად შეიძლება არ შერკინებულიყო და მთლიანად ჩაეფუშა გამომიებლის გეგმა. ამიტომ თავშესაფრიდან გამოვიდა და ღიმილით წავიდა ბელადისაკენ. ამ უკანასკნელმა გვიან შენიშნა, ცეცხლი დაკვესა თვალებიდან და ზეზე წამოიჭრა.

– რას მათვალიერებ, ლომურ!

– არა გრცხვენია მიშელ? შენ კი არ გითვალთვალებ, მომენატრა ნაცნობი ადგილების ხილვა და გადავწყვიტე აქეთ გამომევლო, შენ რას აკეთებ აქ? გატყობ რაღაც სევდა შემოგწოლია, ძმას და მეგობარს არ გამანდობ სატკივარს? – ანწიკურ ენაზე გაესაუბრა ლომური.

– სევდას სხვაც მამჩნევს, მაგრამ არაფერია, გაივლის, უბრალოდ, მთამ დამცადა ალბათ.

– არა, მთა არაფერ შუაშია. გულის ბრალია შენი სევდა, მიშელ!

– გულის ბრალი თუ არის, ამას ახლავე ჩემი ხელით ამოვიღებ მკერდიდან – წარმოსთქვა ბრაზიანი ხმით ბელადმა, სახე შეეცვალა, ნიკაპი აუკანკალდა, ფართო ქამარში გარჭობილი დანა დააძრო და გადაღეღილი მკერდისკენ გააქანა, მოასწრო ხელის შეშველება ლომურიმ, მაგრამ დანამ კარგა

გვარიანად გაშალთა მკერდი, სისხლი სახეში შეესხა ლომურის, ტანსაცმლით სისხლით შეიღება, მეორედ დანის დარტყმა აღარ დაანება, ოსტატურად შეძლო ბელადის განიარაღება და ბოშებს მოუხმო დასახმარებლად, მთელი ბანაკი აიშალა და ბელადი დაჭრილი რომ დაინახეს, კინაღამ ჩაქოლეს ლომური, მაგრამ ბელადმა თვითონ შეაჩერა აღელვებული ბრბო.

ბადრიმ, ლაშამ და ნინომ პირველებმა მოირბინეს შემთხვევის ადგილზე, გამომძიებელმა შეკითხვის თვალით გადახედა ლომერს, რომელიც მყისვე მიუხვდა კითხვას და უარყოფის ნიშნად თავი გააქნია. ბადრიმ ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ვითომ სისხლის შესაჩერებლად მკერდზე დაადინა დაჭრილს, ცხვირსახოცი მალე გაიჟღინთა სისხლით. „ტომის დედაც“ მოვიდა, გულდასმით შეამოწმა დაჭრილი და ბალახების ფხვნილი მოიტანა, ჭრილობა საგანგაშო არ აღმოჩნდა, თუ თვითონ მოისურვებდა დღესვე შეძლებდა ცხენების მოპარვას, ბადრიმ მკერდიდან ცხვირსახოცი მოაშორა დაჭრილს და „ტომის დედამ“ ახალი საფენები დაადო. ბადრი ჩქარი ნაბიჯით დაბრუნდა კარავში. ზურგჩანთაში კოლბა მოძებნა და სისხლით გაჟღენთილი ცხვირსახოცი კოლბაში ჩაწურა, ცხვირსახოცში სათუთად შეახვია და კოლბასთან ერთად სპეციალურ პაკეტში მოათავსა. ამ დროს ბელადიც მოიყვანეს თავის კარავში, ბადრიმ ჭიქაში ვალერიანის წვეთები შეაზავა და დაჭრილთან მივიდა“

– დალიე, სისხლსაც შეგიჩერებს, გულსაც გაგიმაგრებს და ნერვებსაც დაგიმშვიდებს – უთხრა ბელადს და ჭიქა გაუწოდა. დაჭრილმა ჭიქა ჩამოართვა, დაყნოსა, სასიამოვნო სუნი რომ იგრძნო სულმოუთქმელად გადაკრა სითხე, ბადრიმ ცარიელი ჭიქა ჩამოართვა, ძირსა და კიდეში მოკიდა ხელი, მიშელის თითების ანაბეჭდი რომ არ წაეშალა და კარავში დაბრუნდა, ჭიქა სპეციალურ კოლოფში მოათავსა და სისხლიან კოლბასთან ერთად შეინახა. ბელადმა თავისი კარავიდან ყველა დაითხოვა – მარტოდ ყოფნა მინდაო – განაცხადა და

მხოლოდ თავის ცოლს დართო ნება მასთან ყოფნისა. „ტომის დედაც“ გამობრძანდა და თავისი კარვის წინ დაჯდა, ბადრიმ შენიშნა თუ არა განმარტოებული ქალი, მივიდა თავი დაუხარა, თაყვანი სცა და გამოალაპარაკება სცადა.

– დაჯექი ჩემს გვერდით – უთხრა ქალმა.

ბადრი მის გვერდით ჯირკზე ჩამოჯდა და დაელოდა, როდის დაიწყებდა საუბარს,. ქალი კი პირიქით ფიქრობდა, მაგრამ დუმილს ვერ გაუძლო და ბადრის უთხრა:

– გული მიგრძნობს საკაიკაცოდ არა ხართ მოსული, პირველ დღესვე უბედურება მოიტანეთ, აწი კიდევ მეტია მოსალოდნელი, ვინა ხართ, ან რისთვის მოსულხართ ჩვენს ბანაკში?

ბადრიმ შეამჩნია, ქალი სუფთა ქართულით ლაპარაკობდა და ხელოვნურად ცდილობდა კილო-კავის შეცვლას.

– საინტერესო კითხვა დამისვით, ქალბატონო, თქვენ ინდოეთიდან მოსული ერთ-ერთი ტომის წარმომადგენელი მეკითხებით, თუ რატომ ვარ და ვისვენებ საკუთარ მიწაზე?

– რატომ, სხვა ადგილზეც ხომ შეგეძლოთ დასვენება?

– მე აქ მინდოდა, თქვენ შეგერჩიათ სხვა ადგილი, მაგრამ არ გეწყინოს ჩვენ დღესვე წავალთ, თუ გგონიათ რომ ჩვენ უბედურება მოგიტანეთ, სრულებითაც არ გვინდოდა აქ მოსვლა, მაგრამ ლომური ამაყობს თქვენით. ამბობს, რომ თქვენი გაზრდილია და თქვენი მონახულება გადაწყვიტა, კარგად ბრძანდებოდეთ, ჩვენ დღესვე წავალთ აქედან, დიდი მადლობა ტკბილი მიღებისათვის.

– არა, შეჩერდით, ნუ წახვალთ, ლომურთან საუბარი მსურს, კიდევ ის ბიჭი მომწონს ძალიან, თქვენ რომ გახლავთ, რა ჰქვია?

– ლაშა!

სხვა ვერავინ შეამჩნევდა, მაგრამ გამომძიებლის თვალს არ გამოპარვია, ქალი გაფითრდა და თავისი იერსახე რომ შეენარჩუნებინა, სახე შეიბრუნა.

– წადი, ცოტა მოგვიანებით ვისაუბროთ, – წარმოთქვა ხმის კანკალით ქალმა, რომელსაც ქართული ენის დამახინჯება აღარ უცდია.

– აქ რაღაც საიდუმლო იმალება – გაიფიქრა კვალმაძიებელმა და თავისი კარვისაკენ წავიდა, ლომური მოსული დაუხვდა, ლაშასთან და ნინოსთან საუბრობდა.

– წამოდით „ნისლის მთისკენ“ გავისეირნოთ! – კარავში შესვლისთანავე წარმოთქვა ბადრიმ. სამივე უხმოდ ადგა და აღმართს შეუყვა. ახლოს მივიდნენ „ნისლის მთასთან“, რომელიც სწორედ ისეთი გამოდგა, როგორიც ლომურმა აღწერა, შორიდან კი არა, ახლოსაც არავინ იფიქრებდა, რომ ნისლის ქვეშ რაიმე ბუნების საიდუმლო იმალებოდა, ლამაზად გამოიყურებოდა „ნისლის მთა“, ჩვეულებრივი მთასავით იყო აღმართული ნისლი ოთხი მყივნარებით დაფარული მწვერვალებით შემოგარჩული. ნისლი რაც უფრო ზევით იწევდა მით უფრო გამჭირვალე ხდებოდა და, მართლაც, ზღაპრული კოშკივით მოჩანდა გვერდით თოვლიანი მწვერვალი, სიღრმიდან ნელ-ნელა ამომავალი ნისლი კი ქულა ღრუბლებს ქმნიდა და ზეცის უკიდეგანო სივრცეში იკარგებოდა.

– გული მიგრძნობს, რომ ლიკა ცოცხალია და ამ ქალაქში იმყოფება! – თქვა ლაშამ.

– ოჰ, აბა ის ხომ დიდი ფიზიკოსი იყო და არ გაუშვებდნენ მოუტაცებელს – გამოაჯავრა ნინომ.

– ვიპოვით, აქ არის თუ სხვაგან, ზეცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, მაინც ვიპოვით – დაბეჯითებით თქვა ბადრიმ.

– ოჰ, კარგი რა, თქვენ მაკონას მკვლელი უკვე იპოვეთ. ახლა ლიკას დაეძებთ! – უპასუხა ნინომ.

– სწორედაც რომ ვიპოვე მაკონას მკვლელი. ხვალ დილით ლომური გაუდგება გზას, გულიდან სისხლისა და ხელის ანაბეჭდების პასუხს მომიტანს და „ტომის ბელადს“ დავაპატიმრებ.

– როგორც ლომური გამოდგა დამნაშავე, ისე აღმოჩნდება „ტომის ბელადიც“,

– არ აღმოჩნდება და სხვას მოვძებნით!

– დააჩქარე, ბატონო ბადრი, თორემ თუ მკვლელი ასაკოვანია, ნამდვილად მოგვასწრებს სიკვდილის ღრმა მოხუცებულობით.

– გაიჩუმე, გოგო, ენა შენ. ლომური თქვენ კი მოემზადეთ, დილით ადრე უენდა გაემგზავრო გალში, პირდაპირ პოლიციის უფროსთან მიხვიდეთ და რასაც გაგატანთ ხელუხლებლად უნდა გადასცეთ, მართალს გეუბნებით, ხელი არაფერს ახლოთ, იქ ჩვეულებრივ ჭიქაა, ხელის ანაბეჭდი არის ზედ „ტომის ბელადის“ და შედარება უნდა მოახდინოს ექსპერტმა მაკონას გვამზე აღმოჩენილი ხელის ანაბეჭდისა, ახლა მე დაველაპარაკები საექსპერტო ჯგუფის უფროსს და თვითონ მოისმენ, როგორც მიხვალ, არ დაგაყოვნებენ – ბადრიმ მობილურზე ნომერი აკრიბა და არჩილს დაუკავშირდა:

– გამარჯობათ, ბატონო არჩილ, დიახ, ბადრი ვარ, სად ვიმყოფები და ჯუნგლებში, საქართველოში ასეთი ადგილი თუ არსებობდა, ნამდვილად არ ვიცოდი. მგონია მივაკვლიე, ჰო, მაკონას მკვლელს, გიგზავნი სისხლსა და ჭიქას, საჩქაროდ მომაწოდე შედარების პასუხი. „ჰო, ტილის“ სისხლი და ხელის ანაბეჭდები კი ჭიქაზეა. მაკონას კი თვითონ იცი სხეულზე ბლომად აღმოაჩნდა, თუ ძმა ხარ, არ დააყოვნო პასუხი. ლიკას შესახებ ჯერ არაფერი. ვაწარმოებთ ძიებას, ვნახოთ რას მოგვცემს შედეგი, ჰო, ლიკას კვალმაც აქ მოგვიყვანა, გმადლობთ, კარგად – ჰოდა ლომური როგორც გითხარით, უნდა იჩქარო, დილით ადრე გაუდგე გზას და ოთხ დღეში თუ არა, ხუთ დღეში მაინც ჩვენთან გაჩნდეთ.

– ბატონო ბადრი, სხვაგან გამაგზავნე სადმე, თუგინდ ჯოჯოხეთში, მე ხომ ბრმად მიცნობენ გალში და თავი მომეჭრება, შეიძლება აფერისტობის მუხლით გამასამართლონ, რა შეუშლით ხელს, მაინც გადაკიდებული მყავს მთელი პოლიცია.

– ადექი და შენც ბრმად მიდი პოლიციაში, გაყევი კედელს ჯოხის კაკუნით, არ გეშლება ახლა შენ მაგი, როგორ უნდა მოიქცე.

– კარგი, რაც არის, არის – თქვა ლომურმა და, მართლაც, დილით, ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, რამოდენიმე კილო-მეტრი ჰქონდა გავლილი., ნინო, ლაშას ერთი წუთითაც არ ტოვებს მარტო, სულ ერთად არიან, „ტომის დედამ“ ერთად მოსეირნე წყვილი შენიშნა – მოდით ჩემთანო“ – ხელის დაქნევით ანიშნა ქალმა. ნინომ აბგიდან ყველაზე დიდი და ლამაზი ვაშლი ამოიღო, „ტომის დედას“ დაუძახა, დაიჭირეო და ვაშლი ესროლა. ქალმა ვაშლი მუხლებით დაიჭირა და დიდი მადლობა გადაუხადა ნინოს, შემდეგ გვერდით მოისვა ახალგაზრდები და საუბარი გააბეს:

– ყველა „ტომის დედას“ გეძახის, სინამდვილეში რა გქვიათ თქვენ?

შეეკითხა ნინო და დედასავით მიუალერსა.

– ჩემი სახელი მართლაც არავინ იცის. სხვას კი არა, მეც დამავიწყდა საკუთარი სახელი, ყველა „ტომის დედას“ მეძახის. თუმცა სანამ „ტომის დედა“ გავხდებოდი ოგუმას მეძახდენ.

– ოგუმა კარგი სახელია, მე ნინო მქვია, ამას ლაშა – უთხრა ნინომ და გაუღიმა.

– ვიცი მაგას ლაშა რომ ჰქვია, ვიღაცას მაგონებს ეს ბავშვი, საიდანა ხართ, აქ რისთვის მოსულხართ?

– ბუნებამ გაგვიტაცა, ვსუნთქავთ ცოცხალ ჰაერს და ვისვენებთ.

– ვგრძნობ, მარტო ჰაერისათვის არა ხართ აქ მოსულნი. თუ არ გინდათ, ნუ იტყვით, მაგრამ შეიძლება გამოგადგეთ რამეში და უმჯობესი იქნება, თუ არ დამიფიცავთ.

– თქვენ კი არაფერს დაგვიფიცავთ?

– სამშობლოს გეფიცებით, არაფერს დაგიფიცავთ თუ თვითონ თქვენ იქნებით ჩემთან გულახდილნი.

– შევთანხმდით, ხვალ შევხვდეთ და ვისაუბროთ, ახლა გვეჩქარება, დროებით! – წამოიძახა ნინომ და წასასველად მოემზადა, მაგრამ ოგუმამ გააჩერა.

– სად გეჩქარებათ, სად მიდიხართ?

– აი იქ ნისლი რომ ამოდის, იმ მთის სილამაზით გვინდა დავტკბეთ,

– რაო?! საიდან მიაგენით იმ ადგილს, ფრთხილად იყავით, იქ სიარული არ შეიძლება.

– რატომ დეიდა ოგუმა?

ოგუმას გული შეეკუმშა, აღარ ახსოვს როდის ლაპარაკობდენ ასე ტკბილად მასთან, ალბათ, „დეიდა“ არავის დაუძახია მისთვის არასდროს.

– არ შეიძლება და იმიტომ! ხმაში სიმკაცრე გამოურია ოგუმამ.

– ჩვენ ხომ გულახდილობაზე შევთანხმდით, ყველა საიდუმლო უნდა გავანდოთ ერთიმეორეს, თქვენ კი რაღაც ნისლის ამბავს მიფიცავთ და საკუთარ თავზე რას გვეტყვით?

– რა იცი, რომ იმ ნისლთან არ არის ჩემი ცხოვრება დაკავშირებული?

– ეს კიდევ მეტად საინტერესოა, მოგვიყევით რა დეიდა ოგუმა, გვესაუბრე თქვენს წარსულზე და პირობას გაძლევთ თქვენს მონაყოლს საიდუმლოდ შევინახავთ.

– ახლა არა, სხვა დროს, მხოლოდ ახლა ამას მომაფერეთ – თქვა „ტომის დედამ“ და ლაშას ჩაეკონა, დაუწყო კოცნა ხელებზე, ფეხებზე და ყველგან, სადაც შიშველი ადგილი უჩანდა. ოგუმა ატირდა გულამოსკვნით, შვილმკვდარი დედის ცრემლებით. ლაშა გაიტრუნა, რაღაც გამოუცნობი სითბო ჩაეღვარა სხეულში, მასაც უნდოდა მშობლიური სიყვარულით მოფერებოდა ქალს, მაგრამ ვერ ბედავდა, ეხათრებოდა, სამაგიეროდ, სიამოვებდა მშობლიური მოფერება და ცრემლი გულს არ უკოდავდა... ასე გაგრძელდა რამდენიმე წუთს, შემდეგ ქალი გონს მოეგო, ცრემლები კაბის სახელოთი შეიმშრალა, წელში გაიმართა, თითქოს გაახალგაზრდავდა, გაღიმება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა და უხერხული მდგომარეობიდან რომ თავი დაეღწია, თქვა:

– ხვალ დილით „ნისლის მთასთან“ შევხვდეთ ერთმანეთს, აი, ამ დროს, ახლა კი წადით, დამტოვეთ მარტო, მინდა

საკუთარ თავთან მარტო დავრჩე და აზრები დავაწყო თქვენ-თან სასაუბროდ.

ლაშა და ნინო თავდახრილები გაეცალნენ ოგუმას, მან თვალი გააყოლა, „სიარულითაც რომ ჰგავს“ – ჩაილაპარაკა თავისთვის და თვალებზე ხელი მიიფარა. ნინომ აბგიდან ორი ცალი ვაშლი ამოიღო, ხელი ჩაჰკიდა ლაშას და ტყეში განმარტოვდნენ.

– „ფიტული,“ სანაძლეოს ვდებ, რომ „ტომის დედა“ მამაკაცია! – უთხრა ნინომ, როდესაც ტყის სიღრმეში განმარ-ტოვდნენ და დარწმუნდნენ არავინ უსმენდათ ლაშას გული-ანად გაეცინა – რას ამბობ, ნინო, ქალია კაცი? იქნებ გინდო-და გეთქვა, „კაცია-ადამიანი?!“

– მე რაც მინდოდა მეთქვა, ვთქვი კიდეც, მოუფიქრებელი სიტყვა არასოდეს მითქვამს და დამიჯერე, რომ ის მამაკაცია!

– უფრო დაგიჯერებდი, „დედაა შენიო“, რომ ეთქვა ვინმეს, ვიდრე შენს ნათქვამს.

– ასე რომ დაჯექი აქ – უთხრა ნინომ და ნაძვის ძირში ქვაზე დასვა ლაშა, შემდეგ ხუთიოდე მეტრით მოშორდა და უთხრა:

– ახლა ვაშლს გესვრი და დაიჭირე!

ნინომ ვაშლი ისე ისროლა, რომ ლაშას ის მუხლებით დაეჭირა და დაიჭირა კიდეც – ახლა მეორეც – უთხრა და მეორე ვაშლი ესროლა, მდგომარეობა განმეორდა – ახლა მე დავჯდები, შენს ადგილზე და შენ მესროლე ვაშლი – უთხრა ნინომ და ლაშას ადგილზე დაჯდა. ლაშამ ვაშლი სწორედ იმ ადგილიდან ესროლა, სადაც წუთის წინ ნინო იდგა და ვაშლი ხელებში ჩაუვარდა ნინოს – ცოტა ძირს ისე, რომ ვერ შევძლო დაჭერა – უთხრა ნინომ. მართლაც მეორე ვაშლი მუცლისკენ დაუმიწნა ლაშამ, ნინომ იმის ნაცვლად რომ ფეხ-ები ერთმანეთთან მიეტანა და ვაშლი დაეჭირა, მან მუხლები გაწია და ვაშლი კაბით დაიჭირა,

– შეამჩნიე რაიმე? – შეეკითხა ნინო.

– როგორ არა, უნიათო ხარ ვაშლის დაჭერაც არ შეგი-ძლია, იურიდიულდზე კი სწავლობ კაცის დამჭერი ხარ?

– აი ხომ ხედავ უნიათო და დაუკვირვებელი თვითონ შენა ხარ, ბუნებას ვერ შეუცვლი ცოცხალ სამყაროს, როდესაც ვაშლი გესროლე, მუხლებით დაიჭირე, ესე იგი მუხლები შეაკავშირე, ეს გენი მამაკაცის ბუნებას მიეკუთვნება ხოლო როდესაც მესროლე ვაშლი, იმის ნაცვლად, რომ მუხლები შემეკავშირებინა, პირიქით, გავშალე და ვაშლი ვერ დავიჭირე. აქიდან გამომდინარე მამაკაცისა და ქალის გენი განსხვავდება და არა მგონია, ვცდებოდე, თორემ ხვალ გავიგებთ ყოველივეს, თუ ოგუმა გახსნის საიდუმლოს.

– მეტი ვერაფერი შეამჩნიე?

– კი როგორ არა, როდესაც ოგუმა შენ გეფერებოდა თოვლივით თეთრი მკერდი გამოუჩნდა ეს ქალი ბოშათა რასას არ უნდა მიეკუთვნებოდეს. სახეს, ხელებსა და ფეხებს რაღაც კრემით იმოსავს, რომ ბოშებს ფიზიკურად დაემსგავსოს.

– საინტერესოა, ეს კი არ შემიმჩნევია.

– ხომ გითხარი, ქალის ბუნება დიდად განსხვავდება მამაკაცის ბუნებისაგან მეთქი, ჩემი აზრით, გამომძიებლები ქალები უნდა იყვნენ, რადგან მათ უფრო მეტად შეუძლიათ ადამიანის სულში ჩაძვრენა, კარგი კვალმაძიებელი მამაკაცები, როგორ არ არიან მაგრამ ჩემი დაკვირვებითა და რწმენით, მათს გენში რაღაც ქალური ურევია და ეს გენი ჭარბობს კიდეც. შენ საერთოდ არაფერი შეგიმჩნევია ოგუმასათვის მე კი მისთვის დამახასიათებელ მესამე ბუნებასაც გაგიმხელ, ის რომ ქართველია, ისიც ადასტურებს, რომ ქართულად უაქცენტოდ ლაპარაკობს, რაც არცერთი რჯულის ადამიანს არ შეუძლია, ცდილობს დაამტვრიოს ქართული ენა და ბოშათა სასაუბრო ენა ქართულს დაამსგავსოს.

– მაგ საკითხში გეთანხმები, შეიძლება იყოს ქართველი, მეც კი შევიგრძენი, როდესაც მეფერებლდა, ისეთი სითბო ჩამელვარა სხეულში, განშორება გამიძნელდა.

– აი, ხომ ხედავ მკამაკაცებსაც ჰქონიათ სითბოს შეგრძნების გენი, თუმცა შენში არ მეგონა თუ იყო, ალბათ შენც გეპარებოდა ეჭვი და მადლობა ღმერთს, რომ აღმოაჩინე.

— ნინო ნუ მლანძღავ, ნუთუ ვერა გრძნობ, რომ მე შენ მიყვარხარ, მაგრამ არ შემიძლია, რომ შეგიყვარო. სიცოცხლეზე მეტად ვუყვარვარ ლიკას და სანამ არ გავიგებ იმის ასავალ-დასავალს, შენ თვითონ მომიწონებ ვინმეს შეყვარებას?

— სულელო, ტვინიდან ამოიგდე ეგ მცდარი აზრი, მართლა ხომ არ გგონია მიყვარდე. უბრალოდ გამასხარავებ, საბრალო, შენ კი მგონი მართლა შეგიყვარდი, დღეიდან შეგიბრალებ და მეგობრები დავრჩებით მხოლოდ, რაც შეეხება ხორციელ სიყვარულს, ფიქრადაც არ გაივლო გულში არასდროს.

— რატომ იტყუები ნინო, როგორც ქალი გრძნობს მამაკაცის მიმართ სიყვარულს — ასევე მამაკაცი.

— მგრძნობიარობა გკლებია, ჩემო კარგო და საერთოდ თუ გაქვს, ვგონებ გღალატობს.

— თუ სიმართლეს ლაპარაკობ, ვფიქრობ შეყვარებული გყავს ნინო.

— არც მყოლია, არც მყავს და არც მეყოლება, ნეტავი რისთვის შევიყვარო მამაკაცი, რომ მეძებოს? მე დაკარგვას არ ვაპირებ და არც ძებნა არავისი დამჭირდება თუ დავიკაგები, მართალია, ადამიანს როგორც პიროვნებას, აქვს სათაყვანებელი ადამიანის სიყვარულის უფლება, მაგრამ შეყვარებამდე უნდა იცოდეს, ვის შეყვარებას აპირებს, რადგან უფლისგან ბოძებული საჩუქრის წართმევა — მისაკუთრება დასაკუთრება არავის შეუძლია ის მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება.

— ძალიან კარგი, სიყვარულის უარმყოფელთან მე მეგობრობა არ შემიძლია. სწორედ სიახლოვემ იცის სიყვარული და მეშინია არ შემიყვარდე.

— ღმერთო ჩემო, შენ ხომ ლიკა გიყვარს!

— იმ შემთხვევაში ვაპირებდი შენს შეყვარებას. თუ ლიკას ვერ ვიპოვიდი და შენზე მადლობელი ვიქნებოდი, ჩემს გადარჩენას შენ დაგაბრალებდი.

– სიყვარული კაცთა ფიქრსა და ემოციებზე დაფუძნებულ სიჯიუტეს არ ემორჩილება, არც ტყე-ღრე ხეტიალს ექვემდებარება, არც პირველი სიყვარულის დაღუპვის შემდეგ მეორე სიყვარულის გამოჩენას და არც შურისძიებას. სიყვარული სულ სხვა მცნებაა, რომელსაც ყველა ადამიანი თავისებურად აღითქთვამს, შენ ჯერ ბავშვი ხარ, და ამ თემაზე საუბარი ნაადრევია, ეს შენი რომანტიკული გატაცებაა, სიყვარულს რომ ეძახი და ტყეში დაეხეტები. შეკითხვა გაქვს? რა თქმა უნდა, არა და ახლა წავიდეთ, ჩემო „ფიტული," კვალმაძიებელი ვნახოთ შეიძლება კიდეც იპოვა შენი „რომანტიკა" და მეც მსურს მასზე თვალის შევლება.

– კარგი ორატორი ყოფილხარ, ნინო, და არც მიკვირს ჩემს ტყეში ხეტიალს რომ ძრახავ. ვისაც არაფერი დაუკარგავს, ის არც არაფერს დაეძებს, მე კი დავეხეტები და ვაჟა მახსენდება – „მკვდარნი ვეკარგვით სიყვარულს, ისე ის რჩება ცოცხლადა".

ბადრი კარავში დაუხვდათ, რაღაცას წერდა თუ ინიშნავდა რვეულში, ახალგაზრდების დანახვაზე რვეული დახურა და მზერით გამოთქვა საყვედური – „სად დაეხეტებითო" ნინომ ადვილად შეძლო თვალებში ამის ამოკითხვა. ეს პირველი შემთხვევა არ იყო, აღმზრდელ ბიძიასთან თავი იმართლა:

– „ტომის დედასთან" ვიყავით, თვითონ დაგვიძახა. „ტომის დედა" კი არა, ოგუმა რქმევია სახელად. ბევრი ვილაპარაკეთ, ლაშა თავიდან ფეხებამდის დაკოცნა, ვიღაცას მაგონებო. კიდევ აღმოვაჩინე რაღაც საიდუმლო, ამის შესახებ ხვალ მოგახსენებ, თუ გამართლდა ჩემი ანგარიში.

– რა არის ასეთი?

– ის, რომ ხვალ ოგუმასთან გვაქვს შეხვედრა, შედეგს ხვალვე მოგახსენებთ.

– მეც შემიძლია თქვენთან ერთად წასვლა?

– ამის შესახებ არაფერი უთქვამს, დაუკითხავად რომ წამოხვიდე შეიძლება ეწყინოს და აღარ ალაპარაკდეს.

– მაშინ არ წამოვალ, არაა საჭირო, თქვენი საშუალებით ხომ გავიგებ შეხვედრის შემდეგ ყველაფერს ჰოდა, ესეც საკ-

მარისია. დღეს ჩვენი კარავი „ნისლის მთასთან“ უნდა ავიტანო და იქ დავრჩე ძიების დამთავრებამდის.

– ვფიქრობ, რომ ეს შეუძლებელია ოგუმამ გაგვაფრთხილა „ნისლის მთას არ გაეკაროთ, იქ სახიფათოაო სიარული“,. ალბათ, იცის რაღაც. ჩვენც შევჩერდეთ ხვალამდე და თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, მერე გადავიდეთ.

– კარგი, იყოს ნება შენი, ლომურის მოსვლამდე დროა, ბოშებიც არ მოგვჩერებიან ცუდი თვალით და წასვლამ შეიძლება სიტუაცია გაგვიფუჭოს, შენ თქვი, რომ ლაშას ეფერებოდაო? საინტერესოა, იქნე შეყვარებული ჰყავდა და ლაშას ამგვანებს?

– არა მგონია, მად რაღაც უფრო დიდი საიდუმლო იმალება, დაველოდოთ ხვალინდელ დღეს.

და მართლაც, მეორე დღე მათ ცხოვრებაში წარუშლელი და ყველაზე მძიმე აღმოჩნდა. „ტომის დედა“ დიდხანს ელოდდა ახალგაზრდებს და როდესაც გამოჩნდნენ, თვალები გაუბრწყინდა, ოგუმას „ნისლის მთასთან“ ახლოს თავშესაფარი ჰქონდა, მიწათხრილი ისე იყო ხავსით შებურული, რომ აქ რამდენიმეჯერ გავლილებმა ერთხელაც ვერ შეამჩნიეს. ახლა ქალმა თვითონ გადაწია მწვანით დაფარული შესასვლელი და სტუმრებს მცირე სენაკში შეუძღვა, სანთელი აანთო, იქვე ოქროს ჯაჭვით წმინდა გიორგის მედალიონი ეკიდა, ოგუმამ სანთლის შუქზე, სუფთა ქართულით „მამაო ჩვენოს“ ლოცვა აღავლინა ის აღარ ცდილობდა ქართული კილოკავის შეცვლას ნინო პირჯვარს იწერდა ლოცვის დასტურად, ლაშა კი სანთელთან ჩამოკიდებულ „წმინდა გიორგის“ მედალიონს ვერ აშორებდა თვალს და ვერ გაეხსენებინა, სად ენახა ეს მედალიონი, ოგუმამ ლოცვა დაამთავრა, მოდი, ბიჭო, შენ აქ, მკაცრად უბრძანა ლაშას და ხელში ხელი მოჰკიდა, ლაშაც წინააღმდეგობის გარეშე დაჰყვა ქალის ნებას – „შენგან დუმილი მსურს, ჩემს მიერ გაცემული საიდუმლოს სანაცვლოდ, უნდა შემომფიცო, რომ საიდუმლოს სიკვდილამდე ერთგულად შეინახავ“ გიმეორე რასაც ვიტყვი. შემდეგ სანთ-

ლის ალზე ხელი გააჩერებინა და წარმოთქვა: ვფიცავ წმინდა გიორგის ძლიერებას და წმინდა სანთლის შუქს რომელმაც უნდა გამინათოს ღმერთთან მისასვლელი გზა, რომ საიდუმლოდ... ნინომ შემწვარი ხორცის სუნი შეიგრძნო და შეჰკივლა: – კმარა რას ჩადიხართ, აჰა ჩემი ხელი ახლა მე გავაგრძელებ, – ,,ტომის დედას" ყურადღება არ მიუქცევია ნინოს წრიალისთვის. მარცხენა ხელი თვალებზე ააფარა და სათქმელი დაამთავრა. ლაშამ ხელი მომუჭნა ქონმა ჩამოწვეთა, მაგრამ ამ წუთში ტკივილით არ ტკიოდა, ხუმრობის გუნებაზეც კი დამდგარიყო, ეამაყებოდა რომ გაუძლო დამწვრობას და ერთიც არ დაუკვნესია. ნინოს გადახედა, რომელიც გაფითრებული იდგა და ვერ გადაეწყვიტა, რა მოემოქმედა. ლაშას ნინოს აფორიაქებაზე გაეღიმა და უთხრა:

*მე გუშინდლამდე ძლიერ მიყვარდი*
*და გუშინ უცებ გადაგიყვარე*
*და რომ დავრწმუნდი, აღარ მიყვარდი,*
*დღეს გაოცებით ლამის ვიყვირო,*
*ისევ მიყვარხარ!*

ნინომ არაფერი უპასუხა, ოგუმას წინ დადგა და ხელი გაუწოდა, ქალმა თვალებში ჩახედა, გაეღიმა, თავზე ხელი დაადო და უთხრა:

– არა შენ არ გინდა, შენ ყველაფერს აიტან და ფიცის გარეშე შეინახავ საიდუმლოს იმის სიყვარულისთვის – ხელი ლაშასკენ გაიწოდა, შემდეგ სანთლებით განათებულ სენაკის კუთხეში დაჯდა და სტუმრებს ანიშნა, ხის ტოტებით გაკეთებულ ტახტზე დამსხდარიყვნენ, რომელსაც დათვის ტყავი ჰქონდა გადაფარებული. ,,ნისლის მთასავით" ჩამოწვა მდუმარება, ვერცერთი ვერ ბედავდა მყუდროების გარღვევას, რომელშიც რაღაც ჯადოსნური ძალა იმალებოდა. სიჩუმესაც სცოდნია საუბარი. მსმენელს გააჩნია, როგორ აღიქვამს მას, ერთი და იგივე სიჩუმე შეიძლება ერთმა სიყვარულის გაუმჟღავნებელ

სიჩუმედ აღითქვას. მეორემ –მარტოობის მდუმარებად – მესამემ – ტანჯვის სიჩუმედ – და სწორედ ეს სიჩუმე, რომელიც ახლა სენაკში სუფევდა, თითოეულისათვის სხვადასხვაგვარი იყო. „ტომის დედისათვის“, ვიტყოდი, ტანჯვის სიჩუმე, რადგან სწორედ ახლა, მდუმარების შემდეგ უნდა გაღვიძებულიყო მიძინებული გრძნობები და გახსნილიყო დიდი ხნის შეხორცებული ჭრილობა. ნინოსვის ეს სიჩუმე დენთით გატენილი სამყარო იყო, რომელიც აფეთქებას ელოდა, რომ ბრძოლაში ჩაბმულიყო, ლაშასთვის კი რაღაც სასწაულის მოლოდინი, წყვდიადიც აბრმავებს ადამიანს და გადაჭარბებული სინათლეც, ზედმეტი ყველაფერი ცუდია, ნინომ ვეღარ გაუძლო გაჭიანურებულ მდუმარებას და გარეთ გამოსვლა დააპირა, მაგრამ მისი განძრევით უკვე დაირღვა მდუმარების ჰარმონია, გაწყდა სიჩუმით უხილავი ძაფი და ოგუმამ ჰკითხა:

– სად მიდიხარ?

– ვეღარ ვუძლებ ამსიგრძე პაუზას, გარეთ გავალ, ქარის ხმასა და ფოთოლთა შრიალს მოვუსმენ,

– მოდი, ახლა მე მომისმინე, ფოთოლთა შრიალს სხვა დროსაც მოისმენ, გულახდილობაზე ხომ შევთანხმდით, თქვენ გეტყობათ აქ დასასვენებლად არა ხართ მოსული, პირველად თქვენი განზრახვა მითხარით და შემდეგ ჩემი აღსარება მოისმინეთ.

– მართალს ბრძანებთ, მეგობარი დაგვეკარგა და კვალმა აქ მოგვიყვანა.

– კვალმაძიებლები ხართ?

– ჩვენ არა, აი, ის კაცია კვალმაძიებელი, რომელიც ჩვენ გვახლავს.

– როგორ გაუჩინარდა თქვენი მეგობარი?

– ჩვეულებრივად სკოლაში მიდიოდა და დაიკარგა უგზო–უკვლოდ, არც სკოლაში მისულა და აღარც სახლში დაბრუნებულა.

– როდის მოხდა ეს ამბავი?

– აპრილის ბოლოს!

ოგუმა ჩაფიქრდა, რაღაც გამოიანგარიშა – გასაგებიაო – თქვა და ახალი შეკითხვა დასვა:

– ლომური როგორ მოხვდა თქვენთან?

– ახლა ნინო ჩაფიქრდა, ვერ გადაეწყვიტა ეთქვა თუ არა მაკონას მკვლელობის ამბავი. ქალმა შეიტყო პასუხის დაყოვნების მიზეზი და გაამხნევა – ნუ გეშინია, თქვი ჩვენ ხომ ფიცი გვაკავშირებს.

– მაკონას იცნობდი? ლომურთან რომ გოგო მოდიოდა ხოლმე?

– კი კარგად მახსოვს.

– ჰოდა ის მკვდარი იპოვეს, ლომურიც დაეძებს თავის სიყვარულს, მკვლელობის კვალმაც აქ მოგვიყვანა.

– გასაგებია, მაკონას მკვლელს იპოვით, იმ თქვენი მეგობრის ასავალ-დასავალს კი ვერასოდეს გაიგებთ! – დაბეჯითებით წარმოთქვა ოგუმამ.

ისევ სიჩუმე ჩამოწვა, მაგრამ მტანჯველი წუთები რომ არ გაგრძელებულიყო, ნინომ წარმოთქვა:

– ჩვენს შესახებ ხომ ყველაფერი გაიგეთ, ახლა მე მაქვს რამდენიმე შეკითხვა –

– ბრძანეთ!

– თქვენ ქართველი ხართ და არავითარი ბოშა, ხომ სწორია?

– სრული ჭეშმარიტებაა!

– თქვენ კაცი ხართ და არა ქალი, ესეც ხომ სრული ჭეშმარიტებაა?

– ვიყავი კაცი ახლა ქალი ვარ, მთლად ზუსტი არაა თქვენი პასუხი.

– როგორ იყავით, მეორედ მოხვედით ამ ქვეყანაზე?

– ასე გამოდის!

– ვერაფერი გამიგია, ხომ არ აჯობებდა თვითონ დაგეწყოთ ამბის თხრობა ყოველგვარი შეკითხვების გარეშე?

– მიძნელდება, მაგრამ დავიწყებ: მე ადრე ლაშა მერქვა და იმიტომ ამაღელვა ამ ახალგაზრდის სახელის გაგონებამ

– როგორ თუ ადრე სიკვდილამდის?

– ჰო. სიკვდილამდის, თუმცა შენ როგორც გინდა ისე გაიგე: მეც ისე ვცხოვრობდი როგორც ყველა ჩემი თანატოლი, ვთამაშობდი, დავდიოდი სკოლაში და შევხაროდი სიცოცხლეს. სკოლა ჩვენი უბნიდან სამიოდე კილომეტრით იყო დაშორებული, ერთ დღეს მარტოს მომიწია სასწავლებელში წასვლა, ტყიანი ბორცვი გვქონდა გასასვლელი, ნისლიანი დილა იყო, მაგრამ გრილოდა და თამაშით მივუყვებოდი გზას, თორმეტი წლისა ვიყავი, მეოთხე კლასში ვსწავლობდი და ვოცნებობდი სიკეთეზე, ვერ წარმომედგინა თუ ქვეყნად ბოროტება გაიმარჯვებდა, საბავშვო ბაღიდანაც ხომ სულ ამას გვასწავლიდნენ ბოროტებაზე კეთილი უბრძოლველად იმარჯვებსო... ამით გვინერგავდნენ მასთან შერკინების აუცილებლობას... ასე ოცნებითა და თამაშით ბორცვზე გადასასვლელი გზა გადავკვეთე. სამანქანო გზას რომ გავუსწორდი, არაჩვეულებრივი სილამაზის ავტომანქანა დავინახე, კიდეც ვინატრე – ,,ნეტა შიგ ჩამაჯინა-მეთქი". ეს იყო და ავტომობილში აღმოვჩნდი. შემდეგ აღარაფერი მახსოვს, ჩემი სახლიდან წამოღებული და ჩემი ბავშვობის დამადასტურებელი მხოლოდ აი, ეს წმინდა გიორგის მედალიონი შემომრჩა,. ოგუმას წინადადება არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ლაშა ადგილიდან წამოფრინდა და ქალს ყვირილით და ტირილით ჩაეკონა: ბიძაჩემო, საყვარელო ბიძა, ვფიქრობდი სად მენახა ეს მედალიონი, ეს ხომ ის მედალიონია, ჩვენს სახლში, ბავშვს რომ აქვს გადიდებულ სურათზე გაკეთებული, მამაჩემი იმ სურათის დანახვაზე სულ ტირის, ჩემთვისაც სახელი ბიძაჩემის არ დავიწყებისათვის დაურქმევიათ, შენ კი ცოცხალი ყოფიდხარ, ბებია სულ მუდამ საკურთხს გიკეთებს და ტირის ,,მკვდარი მაინც გვეპოვა საფლავი მაინც გვცოდნოდა მისიო", შენ კი ცოცხალი ყოფილხარ და სახლში არ მოდიხარ, ნუთუ არ გენატრება ვინმე? მაინც გაუჩინარდი! ბავშვობაში ჩემს სიცელქეს სულ შენ გაბრალებდნენ, ბებია მეუბნებოდა: ,,მარტო სახით კი არა, ქცევითაც იმას გევხარო", მიკვირდა ასეთი თბილი

რომ იყავი, თურმე სისხლი გვქონია ერთი, შენ შემოგევლე, ჩემო მუდამ სანატრელო ბიძა, სკოლის წლები სულ იმ გზაზე, იმ მინდორზე დავდიოდი და ვფიქრობდი ნეტავი მეც დავიკარგებოდე და ბიძას შემახვედრა მეთქი. მისმინა ამ მედალიონის ძლიერებამ, მაპოვნინა შენი თავი და აწი არასოდეს აღარ დაგშორდები!

– შვილო, ლაშა, დანახვისთანავე აღმოვაჩინე შენში მსგავსება, ოჰ რა დღე გაგვითენდა ეს... დიდება უფალო, რომ დამიფარე მარტო ტირილისაგან...

ბიძა-ძმისშვილი განწირული მომაკვდავებივით ეხვეოდენ ერთიმეორეს და ცრემლად იღვრებოდნენ, ნინო პირველად განცვიფრებული შესცქეროდა, შემდეგ კი თვითონაც ატირდა. რა იყო ეს სიხარულის ცრემლი? ჰო, სიხარულსაც სცოდნია არანაკლები მწუხარებაზე ცრემლი, რომელიც ყოველი ადამიანისთვის საუკეთესო დამამშვიდებელი საშუალებაა, ბოლოს და ბოლოს ტირილით გული რომ იჯერეს ბიძა-ძმისშვილმა ძლივს დაწყნარდნენ და ხანდახან თუ ამოისლოკინებდნენ ხოლმე.

– მოგვიყევი, მოგვიყევი ჩქარა, როგორ დაიხსენი თავი ტყვეობიდან, სახლში რატომ არ მოდიხარ? – დააყარა კითხვები ლაშამ.

– სახლში როგორ მოვსულიყავი, ბავშვობაში ღმერთს მადლობას მხოლოდ იმიტომ ვწირავდი, კაცად რომ გამაჩინა და არა ქალად, როგორღა მოვსულიყავი განადგურებული და მამაკაცობის ღირსებადაკარგული?

– შენი აზრით, ყველა ქართველი ქალი უნდა გადაიკარგოს?

– ოჰ, ღმერთო ჩემო, რატომ ვერ გებულობ, ისინი ქალად იბადებიან მე კაცად დავიბადე და კაცი ვიყავი, კაცი, გესმის?

– ადროვე ლაშა! – ჩაერია ბიძა-ძმისშვილის საუბარში ნინო – შემდეგ დაწვრილებით მოგვიყევით რა მოხდა, ესე იგი თორმეტი წლისა იყავით რომ მოგიტაცეს, შემდეგ.

– ჰო, ჩამსვეს ავტომანქანაში, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე და წავიდნენ მე ტკბილად ჩამეძინა. მეძინა, მაგრამ

ბუნდოვნად ვგრძნობდი, რაც ხდებოდა ჩემს ირგვლივ, ღამით სადღაც გაჩერდნენ და ვერტმფრენში გადამსვეს. ფრენისას სწორედ ეს ნისლი გაფანტა და პატარა მინდორზე დაჯდა, კარებები გააღეს და სრული „თავისუფლება“ მომცეს, ყველა შემხვედრი მიღიმოდა და მეფერებოდა, უზრუნველყოფილი ვიყავი ყველაფრით, რასაც კი ვისურვებდი, ასე გრძელდებოდა თითქმის ერთი თვე, შემოვიარე მთელი ქალაქი, თავი სამოთხეში მეგონა. ზღაპრულ ქალაქს ჯერ უნახავს და გაუგონარს ვათვალიერებდი ყოველდღე. იყვნენ ჩემი ტოლი ბიჭებიც და გოგონებიც. ზოგი ერთი მათგანი ქართულადაც კი ლაპარაკობდა, მოსაწყენი ნამდვილად არ იყო პირობები, მაგრამ დედა უსაშველოდ მომენატრებოდა და გადავწყვიტე გავქცეულიყავი. ქალაქს შემოვუარე, მაგრამ ირგვლივ თვალუწვდენელი შენობებით იყო შემორკალური. იმის იქით კი ციცაბო კლდეები იწყებოდა. „განა ამაზე უარესზე არ ადიან მთამსვლელები?“ გავიფიქრე და საქმეს შევუდექი დაღამებას დაველოდე, თუმცა იქ დღე და ღამე ერთნაირია. მზე არასოდეს აღწევს ნისლში და ქალაქი მუდამ ელექტროშუქით არის განათებული,. ერთ-ერთ შენობაში შევიპარე, როგორც შემდეგ გავიგე ატომური ქარხანა ყოფილა, ხალხი ნიღბებით დადიოდა, ჩემთვის ყურადღება არავის მოუქცევია, თურმე ხალხი კი არა, რობოტები ყოფილან და ყველა თავის პროგრამას ასრულებდა. კიბეს ავუყევი და შენობის თავზე მოვექეცი. სავენტილიზაციო მილს თოკი ჩავაბი და ადვილად აღმოვჩნდი შენობების საწინააღმდეგო მხარეს. შედარებით ნაკლები ციცაბო ადგილი მოვძებნე და ავუყევი ვერტიკალურ კედელს,. როდესაც შენობების სიმაღლეს გავუსწორდი ლურჯი სხივებით განათდა მთელი ქალაქი, დამბლისებური დარტყმა ვიგრძენი მთელ სხეულში და ყირამალა გადმოვვარდი. როგორც შემდეგ შევიტყვე, ქალაქის ირგვლივ მთებზე გატარებული ყოფილა ლაზერის სხივი და მისი გადაკვეთის შემთხვევაში ირთვება ყველა ავტომატი და იმის სხივთა წვიმა ესხმის აკრძალული ზონის გადამკვეთს. მე დაბლადაცემული ამიყვანეს და ლაზარეთში მომათავსეს, მალე

მოვჯობინდი და ისევ ქალაქის ქუჩებში სიარულის ნება დამ-რთეს, რადგან დარწმუნებული იყვნენ იქ ვერც ვერავინ შევა და ვერც გამოვა, ისევ დავუბრუნდი ჩემს მეგობრებს. ზოგი დამცი-ნოდა და ზოგსაც მოსწონდა ჩემი გამბედაობა. ერთხელ, როდე-საც ვსეირნობდი, სადილის შემდეგ ჩემთან ერთად რუსი ბიჭი მოვიდა და დამტვრეული ქართულით მითხრა:

– ცოტ-ცოტა ქართული იმიტომ ვისწავლე, რომ შენთან მელაპარაკაო

– რა გინდა – ვკითხე.

– გაქცევა მინდა და მოდი ერთად გავიქცეთო.

– კარგი მეთქი, – უყოყმანოდ დავთანხმდი, მაგრამ როგორ მეთქი?

– ვერტმფრენითო მითხრა.

– აბა, მე საიდან ვიცი მაგის ტარება?.

– მე ვიციო.

და იმ საღამოს მე და კოლია ვერტმფრენში ჩავსხედით, ჩართა კოლიამ ძრავი და ნელ-ნელა ავფრინდით, მართლა ცოდნია მეთქი კინაღამ ვიყვირე სიხარულით, მაგრამ ნაადრევი გამოდგა ჩვენი გახარება, თურმე ჰაერშიდაც ყოფილა ეგრეთწოდებული ლაზარის ბადე და შენობების თავს რომ გავუსწორდით, თავს დაგვესხა ლურჯი სხივების წვიმა. ჩვენ გრძნობა დავკარგეთ, ვერტმფრენის აპარატურა გამოირთა და ძირს დავენარცხეთ. ისევ ლაზარეთში აღმოვნდი კოლიასთან ერთად, საიდანაც პირველად კოლია გაიყვანეს და მას შემდეგ აღარც მინახავს, მეორე დღეს მე გამიყვანეს, დამაძინეს და ოპერაციის შემდეგ ქალად გავიღვიძე. თავის მოკვლა გადავწყვიტე, მაგრამ არ ვიცი გამბედაობა არ მეყო თუ ამის საშუალება ვერ გამოვნახე, ხორციელი კავშირი პირველად ჩემთან რობოტმა დაამყარა, როგორც დავადგინე, ჩვენზე ცდებს ატარებდნენ, შეიძლება თუ არა ცოცხალ ორგანიზმზე რობოტის შედეგად განაყოფიერება.

– კი მაგრამ ქალები ვეღარ ნახეს, რომ შენ არ ეწვალებინე და ცდები ქალებზე ჩაეტარებიათ? – შეაწყვეტინა თხრობა ნინომ.

– ქალებთან ეს გამოკვლევა რამდენიმე წლით ადრე ჩატაარეს და დადებითი შედეგი მიიღეს...

– რობოტები როგორები არიან, რკინის მექანიკურები თუ ადამიანებს ჰგვანან?

– ადამიანებს ჰგვანან, ჩვეულებრივი ხორცშესხმულები, მხოლოდ ხელოვნურები. არ ვიცი მე მგონია ძვლები რკინისა აქვსთ, გულის მუშაობა, სისლმიმოქცევა და სხვა, ყოველგვარი ფუნქცია ადამიანისაგან აქვთ აღებული, ხმას არ იღებენ, მხ-ოლოდ დაპროგრამებულ ფუნქციას ასრულებენ.

– იქნებ ჩვეულებრივი ადამიანები არიან, კომპიუტერული სისტემით დაპროგრამებულები?

– შესაძლებელია, მაგრამ არა მგონია, რადგან კანში კაპილარული სისტემა არა აქვთ და მუდამ რუხი ფერისანი არიან.

ლაშას თავისი მომტაცებლები გაახსენდა,. ლაზარის ტყვიებიც მოიგონა და ეჭვი აღარ შეეპარა რომ ამ ქალაქთან ჰქონდა დამნაშავეს კავშირი

– შემდეგ, დააბოლოვე ბარემ, თავი როგორ დაიხსენი ტყვეობიდან.

– ერთ დღეს რაგბის ბურთის მსგავს თანამგზავრში ჩამსვეს, ჩემთან ერთად ორი ადამიანი იყო, ორიც რობოტი ნისლი რომ გავარღვიეთ და ავფრინდით, შვება ვიგრძენი, თითქოს სახლში ვბრუნდებოდი, თუმცა დაბრუნება აღარ მინდოდა, ფარულად მინდოდა მენახა ყველა, ვინც მენატრებოდა, მფრი-ნავმა იმ სიმაღლეზე აგვაფრინა, რომ ძირს ვეღარაფერს ვხე-დავდი. ისე კი ვგრძნობდი, საქართველოს ფარგლებს რომ გავცდი, არ ვიცი კიდევ რამდენ ხანს ვიფრენდით თანამგზავრ-ში წითელი სინათლდე რომ არ აციმციმებულიყო, თავისით ჩაირთო საგანგაშო სირენა. ეჭვგარეშე იყო თაგნამგზავრს რაღაც გაუფუჭდა, ან საწვავი გამოელია და მფრინავმა გადა-წყვიტა დამჯდარიყო. მაგრამ ისეთ ციცაბო ადგილებში ვიმყ-ოფებოდით, დაჯდომა ვერ მოახერხა, კატასტროფა გარდაუ-ვალი იყო, მიწასთან ახლოს ვფრინავდით, საგანგაშო სირენა

კი ძლიერდებოდა. მივფრინავდით ჩვენი მფრინავი აპარატის ფსკერი თითქმის ეხებოდა ხის კენწეროებს, აფეთქებამდის რამდენიმე წამი რჩებოდა ამ დროს ერთმა ეკიპაჟის წევრმა ლუქი გახსნა და ძირს გადმომაგდო, ნაძვის ტოტებში გავეჩხირე, არაფერი მტკენია, მხოლოდ ეს იყო, ხიდან ჩამოსვლა ვერ მოვასწარი, რომ ცა განათდა და გრგვინვა გავიგონე, თანამგზავრი აფეთქდა და ჰაერის ტალღამ ხიდან ჩამომაგდო, ცოტა დავიბეჟე, მაგრამ მოტეხილობა არ მქონდა... იქვე ახლოს ბოშათა ბანაკი ყოფილა, დაინტერესებულთან აფეთქებით და ოთხი მამაკაცი კატასტროფის ადგილზე მოვიდა, რა თქმა უნდა, იქ აფეთქების არანაირი კვალი აღარ ჩანდა, მხოლოდ ტყეს გასჩენოდა ცეცხლი და მალე ჩააქრეს, როდესაც მამაკაცები წავიდნენ, მათ ფარულად გავყევი უკან და ბოშათა ბანაკში აღმოვჩნდი. იმ ღამეს იქვე დავიმალე დილით კი გამოვჩნდი, დამინახეს თუ არა, იმწამსვე „ტომის ბელადთან“ მიმიყვანეს ბელადმა გამომკითხა; თუ ვინ ვიყავი და საიდან მოვედი აქ, ვუთხარი – ქართველი ვარ მეთქი – გაეხარდა და ქართულად დამიწყო ლაპარაკი,

– აქ როგორ მოხვდიო, მკითხა.

– არ მინდა კარჩაკეტილი ცხოვრება, სახლიდან გამოვიპარე, თქვენთან მინდა მეთქი ვუპასუხე.

ერთი თვე მათთან ვცხოვრობდი და ვადგენდი თუ სად ვიმყოფებოდი, ძალზედ გამიკვირდა, როცა გავიგე, რომ უზბეკეთის ტერიტორიაზე ვიმყოფებოდი, აქედან უკვე ადვილი იყო გაქცევა, არც ბოშები არ მეტყოდნენ უარს წასვლაზე, მაგრამ ჩემდა მოულოდნელად, „ტომის ბელადმა“ ცოლობა შემომთავაზა. მაშინ თვრამეტი წლისა ვიყავი, კარგი აყვავებული ქალბატონი, დავფიქრდი, ოჯახში ქალად მისვლა მეურხერხულებოდა და დავთანხმდი, თორმეტი წელიწადი ერთად ვცხოვრობდით თან „ტომის ბელადი“ შემიყვარდა და ბედნიერად ვგრძნობდი თავს. ეს ხალხი, არ გეგონოს, ტვინით დიდად გამოირჩეოდეს, მაგრამ „ტომის ბელადთან“ შეუღლების ექვსი წლის თავზე „ტომის დედად“ ამირჩიეს. ერთ დღეს საზარელი ამბავი

გავიგე ცხენების მოპარვის დროს ჩემი მეუღლე უზბეკებმა მოკლეს, მის შემდეგ ბოშათა ბანაკში ვარ, ბევრმა მთხოვა ხელი, მაგრამ არავის დავთანხმდი, ვეწევით მომთაბარე ცხოვრებას, ბევრი რამ შევითვისე ამ ხალხისაგან და ვარ გადაკარგული, როგორც ჩერქეზის ისარი.

— მძიმე წარსულია, შეიძლება ბევრს ზღაპრად მოეჩვენოს — თქვა ნინომ.

— აქ ნისლის მთის ქალაქში საავტომობილო გზა არის? — შეეკითხა ლაშა.

— არა! დაიწყეს გვირაბის გაჭრა, მაგრამ შეაჩერეს, მიზეზი არ ვიცი რატომ.

— მიშელი, „ტომის ბელადი“ შენი არის რამე.?

— არა, თითქმის ჩვენ ყველა ერთი ვართ, მაგრამ მაინც არაფერია, ჩემი ქმრის შვილია პირველი ცოლისგან, მე შვილი არა მყავს.

— აღარ უნდა ლაპარაკი მაგას, ჩემთან უნდა წაგიყვანო მამიდა — უთხრა ლაშამ.

— არა, შვილო, ძლივს ვეღირსე თავისუფალ ცხოვრებას დამაყენე ჩემთვის ახლა მე რომ სახლში დავბრუნდე, წარმოიდგინე რა ამბავი დატრიალდება, მომაწყდებიან ჟურნალისტები, აჭრელდება პრესა, დაიწყება გამოძიება, შეიკრიბებიან ცნობისმოყვარეები და ატყდება ერთი ალიაქოთი. ესეც რომ არ იყოს, კაცად წამოვედი და ქალად დავბრუნდე?

— შენ მაგის დარდი არ გქონდეს, ვიტყვი, ლტოლვილს გადავეყარე და შევეკედლე—მეთქი

— ეჰ, ხალხის გაუგებარი არაფერი რჩება, შვილო!

— იყნოსონ და ივარაუდონ რამდენიც უნდათ, თუ ოჯახი და პირადად შენ არ გასცემთ საიდუმლოს, შენი წარსული მუდამ საიდუმლოდ დარჩება.

— არ შემომიჩნდე, ბიჭო, თორემ მართლა მოვიფიქრებ რაღაცას!

— ჩათვალე რომ შენ უკვე მოფიქრებული გაქვს. თუ არ დამეთანხმები, იცოდე ფიცს გავტეხ და დედაშენს მოგგვრი აქ.

– ოჰ, ერთი ის მანახა და მერე მომკლა თუ გინდა – თავი ვერ შეიკავა და ცრემლები ამოიმშრალა ქალმა.

– ნუ დარდობ, მამიდა მაინც ქალად გაჩენას ნატრობდა თურმე. ბებია სულ იმას ამბობს, ნეტავი ქალად გაჩენილიყო, არავინ მოიტაცებდაო.

– ქალი თუ იყო, ლიკა არ მოიტაცეს?

– ერთი შეკითხვა მაქვს, ქალბატონო, – ლაპარაკში ჩაერია ნინო

– ბრძანეთ!

– თქვენ ხომ თქვენი დაუწერელი კანონები გაქვთ, როგორ ასამართლებთ დამნაშავეს?

– ჩვეულებრივად, ბანაკი ასამართლებს დანაშაულის მიხედვით, ხშირია დამნაშავის ჩაქოლვაც.

– ვინ ასამართლებს?

– „ტომის დედა“ და „ტომის ბელადი“.

– თუ „ტომის ბელადი“ თვითონ არის დამნაშავე.

– მაშინ „ტომის დედას“ გამოაქვს სარჩელი და ირჩევს ახალ „ტომის ბელადს“.

– დანდობა არ იციან?

– არავითარ შემთხვევაში. ჩვენთან დანდობა არ შეიძლება.

– კარგი ახლა დავამთავროთ, თორემ ისე დამიმძიმდა თავი, მგონი ვეღარც ვაზროვნებ – თქვა ნინომ და წამოდგა.

– სამივე გარეთ გამოვიდა. ლაშამ თვალი შეავლო „ნისლის მთას“ და ამოიოხა:

– სად არის ჩემი ლიკა ახლა?!

– შენი ლიკა ახლა კოსმოსშია! – დანანებით უპასუხა ოგუმამ.

– შენ საიდან იცი კოსმოსშია თუ სხვა პლანეტაზე?

– მე რაც არ ვიცი, არ ვლაპარაკობ. ხანდახან არც იმას რაც ვიცი. აპრილის ბოლოს, როგორც თქვენ თქვით, იქ ვერტმფრენით მოიყვანეს ერთი გოგონა, ორ კვირაში მოამზადეს და მაისის შუა რიცხვებში მფრინავი თეფში ამოფრინდა ნისლიდან. ვფიქრობ, იმ ხომალდში იყო ლიკაც.

– თქვენ მხოლოდ ფიქრობთ...

– ვფიქრობ და ფიქრთან ერთად ბოშათა წინასწარმეტყველებასაც ვფლობ, ასე რომ, ჩემი ფიქრი წინასწარმეტყველებასთან ერთად არასდროს ცდება.

აღარაფერი უთქთვამთ, სამივე უხმოდ დაუყვა ბილიკს ბანაკისკენ, ბადრი დიდხანს ელოდებოდა მათ და უკმაყოფილოდ შეხვდა ახალგაზრდებს, მაგრამ როდესაც საქმის ვითარებას გაეცნო, გაკვირვებულიც დარჩა და კმაყოფილიც, საღამოს დასაძინებლად ადრე დაწვნენ, მაგრამ ლაშას თვალს რული არ მიეკარა. ხან „ნისლის მთა“ ელანდებოდა, ხან გაბოშებული ბიძა თუ მამიდა და, ხან კიდევ ლიკა საპლანეტათაშორისო ხომალდში. შუაღამე გადასული იყო, ცა მოჭედილი ვარსკვლავებით, ლაშამ საწოლის ქვეშიდან ბაწრის რგოლი გამოიღო, მხარზე გადაიკიდა, ფრთხილად გამოვიდა კარვიდან გვერდით კარავს მიაყურადა, სადაც ბადრი და ნინო იმყოფებოლდ, – სძინავთ! ჩაილაპარაკა თავისთვის და ფრთხილი ნაბიჯით გაშორდა ბოშათა ბანაკს. „ნისლის მთასთან“ შეისვენა, ხავსს გადაწია, სენაკში შევიდა და „ნისლის მთას“ გახედა: – ვინ იცის, ეს ღამე უკანასკნელია ჩემთვის. ლიკას მაინც ვნახავდე და მერე რაც მოხდება მოხდეს, ნეტავი არ გავქცეოდი მდევრებს აქ მომიყვანდნენ, ლიკას ვნახავდი. ოპერაცია რომ გაეკეთებინათ? მართლა მე რომ მათ ქალად ვექციეთ და ლიკა კაცად? ოი, ღმერთო, დამიფარე, უსიამოვნო ფიქრმა ტანში გასცრა, გარეთ გამოვიდა, ბაწრის ერთი ბოლო ხეს მიაბა სიმტკიცის შესამოწმებლად მოქაჩა და გორგალი ნისლში გასტყორცნა.

– მაგრად ჩააბი? – შემოესმა ნაცნობი ხმა, აქ არავის ელოდა, შემობრუნდა, მის წინ ნინო და მამიდა იდგნენ. ამ დროს ნისლი განათდა – ჩქარა სამალავში! – იყვირა მამიდამ და სამივემ თავი სამალავს შეაფარა,. ნისლიდან სხვადასხვა ფერით განათებული ერთიმეორეზე დამხობილი თეფშის ფორმის ხომალდი ამოფრინდა.

– ჰო, დღეს ოცდაერთი რიცხვია, მარსის მორიგი გაფრენაა – თქვა ოგუმამ.

— ჰო, ის გაფრინდა, მაგრამ თქვენ რას დამდევთ, გამაგებინეთ ერთი, — წყენით უთხრა ლაშამ.

— კი არ დაგდევთ შვილო, გდარაჯობთ, რომ მცდარი ნაბიჯი არ გადადგა, შენ რა გგონია, გატყუებ, რასაც გეუბნები? რატომ არ გჯერა ჩემი წინასწარმეტყველების, მე ვიცოდი რასაც მოიმოქმედებდი და ნინოსთან წავედი, არც ამ საბრალო გოგოს ეძინა, გდარაჯობდა, მაინც როგორ გამოეპარე? შენ არ იცი, რასაც ჩადიხარ, გეუბნებიან და დაიჯერე, სადაც შენ ჩასვლა გაგიზრახავს იქ შენი ფერფლი ჩაცვინდება მხოლოდ, არ გჯერა? წადი, ბაწარი ამოიღე.

— არა!

— ამოიღე და ისევ ისე ჩააგდე რამდენ დროს წაგართმევს? ლაშა მივიდა, თოკს ამოწია, მაგრამ ორასი მეტრის ნაცვლად ოცი მეტრია თუ იქნებოდა, ბაწარი კაპრონის ყოფილა, ჯერ კიდევ წვეთავდა ბაწრის ბოლოდან გამღვალი სითხე.

— ხედავ. ჭკუის კოლოფო! მომწონს შენი ვაჟკაცობა, მეც ასეთი ვიყავი, თავის განწირვას არ უნდა შეუშინდეს კაცი, მაგრამ გააჩნია რას ეწირები. შენი ტოლი ბიჭები ტანკს უცვივდებოდნენ მუხლუხოებში და აფეთქებდნენ, მაგრამ უაზროდ არც ერთი არ მომკვდარა. შენ კი უაზროდ და უმიზნოდ იკლავ თავს. სადაც შენ ჩასვლას აპირებ, მსოფლიო უძლურია მაგ ქალაქის წინაშე და შენ გინდა გაიმარჯვო? ყოჩაღ! ხომ ნახე შენი ბაწარი. ახლა წადი, გიჟი იყოო, იტყვიან და ამით დამთავრდება შენი არსებობა.

— კარგი არ წავალ, დაგიჯერებ იმ შემთხვევაში, თუ შენც ჩემთან ერთად წამოხვალ სახლში.

— მე, შენ, ნინო, და ბადრი ერთად წავალთ აქედან და რა გგონია, სად მივალთ? შენთან სახლში. შენ რომ გგონია ბადრი წინააღმდეგი იქნება, ისე მოვაქცევ, პირველ ჭიქას აიღებს და ბედნიერებას მოგილოცავთ!

— არა, არა, მე არ მინდა, ქალბატონო, ამისთანა გიჟის მოჭკვიანება სად შემიძლია?!

– მართალია, მაგრამ მე ახლა ვარსკვლავებს დაუწყებ ცქერას და მომავალს წინასწარ განვჭვრეტ, თქვენ კი ჩაეხუტეთ ერთმანეთს.

როდესაც ვარსკვლავი მოწყდა და „ნისლის მთას“ გადაუფრინა, მხოლოდ მაშინ გადახედა ოგუმამ ახალგაზრდებს.

– მამიდა, თაფლის ფიჭას პატარა უჯრა რომ აქვს, შენ ოდესმე გამოგიწუწნია? განგიცდია იმის სიტკბოება?

– კი, როგორ არა!

– ჰოდა, მაშინ მიმიხვდები, ნინოსაც ისეთი ტკბილი და გემრიელი ტუჩები ჰქონია.

– სიყვარული, შვილო, ყველა ტკბილია, თუ ჭკვიანი ადამიანის გრძნობაში ბუდობს. ბოროტი ადამიანის გულში შხამი და გესლი ჭარბობს მუდამ და პირველი კოცნიდან ცხოვრებაც სიმწარით იწყება, თქვენში სიკეთის მარცვალი დევს და თქვენი ცხოვრებაც სიტკბოთი იმიტომ დაიწყო. სწორედ ამიტომ წმინდა გიორგი გაგიძღვებათ წინ, ქრისტეს ჯვრით, თეთრ ცხენზე ამხედრებული დაგიფარავთ განსაცდელისაგან თავისი ფარით და თქვენს მტრებს განგმირავს შუბით.

– ესეც წინასწარმეტყველებაა თუ სურვილები? – ღიმილით იკითხა ნინომ.

– წინასწარმეტყველებაა, ასეთ რაიმეს რომ ვამბობ, მეჩვენება თითქოს ღმერთთან ვსაუბრობ, შვილო.

– გმადლობთ კეთილი სურვილისებისათვის, ბიძია – მამიდა! – თქვა ლაშამ და ნინომ ისე ხმამაღლა გადაიკისკისა ტყეში ნადირი დაფრთხა. ოგუმასაც გაეღიმა.

– ნუ მიწყენ, ბიძია, – განაგრძო საუბარი ლაშამ – შენ ჩემს მეხსიერებაში მუდამ იმ დაკარგული ბიძის სახედ დარჩები, მეამაყება, რომ შენს სახელს ვატარებ და სანამ ცოცხალი ვარ, არ მოგცემ უფლებას შენი წარსული სახელი დაივიწყო. შენ ლაშა იყავი, ლაშა ხარ და ლაშად დაუბრუნდები მშობლიურ კერას, ისეთ შარვალ–კოსტუმში გამოგაწყობ და ისეთ ჰალსტუხს გაგიკეთებ, მრავალი მოისურვებს გაუჩინარებას, თუკი შენნაირი დაუბრუნდება მშობლიურ კუთხეს.

– ეჰ, შვილო, ცდები, შენი აზრები თავის მოტყუებაა და არა ხალხის, ასეთ ოპერაციას როდესაც აკეთებენ, როგორიც მე გამიკეთეს, ორგანიზმში კლავენ ყველაფერს მამაკაცურს. აი, ხომ ხედავს, წვერი არ ამომდის, ხმაც ქალისებურად დამიწვრილდა, მკერდი ზომაზე მეტად გამეზარდა, ესე იგი ჩემში არა მარტო სასქესო ორგანოები შეცვალეს, არამედ ბუნებაც შეცვალეს და ფიზიკური შეხედულებაც.

– რაში სჭირდებოდათ ასეთი ოპერაციის გაკეთება?

– მონად გადაქცევის ერთ–ერთი საუკეთესო საშუალებაა, შენს მბრძანებელზე ხარ დამოკიდებული და ემორჩილები იმის ნებისმიერ სურვილებს მედიცინა დასაბამიდან იცნობს მამაკაცთა დასაჭურისების ფორმასა და ფაქტებს, რომლებიც ყველაზე დიდი ნდობდით გამოირჩეოდნენ თავიანთი მბრძანებლის მიმართ.

– თუ რობოტების საუკუნეში ცხოვრობენ, ვიღას ესაჭიროება შენი ერთგულება?

–ასე ფიქრობთ? მერე და ხომ იცი ადამიანმა შექმნა ის რობოტიც, თუ ეს კომპიუტერი ესე იგი ადამიანი უფრო ძლიერია ვინემ მის მიერ შექმნილი ტექნიკური ძალა, აქედან როდესაც კოსმოსში მიფრინავენ, რობოტებთან ერთად აუცილებლად უნდა იყოს ჩვეულებრივი ადამიანი, რათა გაუთვალისწინებელი შემთხვევა კომპიუტერზე ანუსხოს. ეჰ, შვილო აქ უზარმაზარი საიდუმლოებანი დევს, განა მე კი ვიცი ყველანი?!

– ძირითადად ვინ არიან აქ და რას საქმიანობენ?

– ხელმძღვანელები ძირითადად გერმანელები არიან, მეცნიერები კი მსოფლიოს ყველა კუთხიდან არიან მოტაცებულნი, ქმნიან და ნერგავენ ჯერ არგაგონილ საომარ ტექნიკას, სწორედ აქ არის აწყობილი ,,დროის მანქანა", რომლის შეჩერებაც ახლა შეუძლებელია, აი, ამ მთებს რომ უყურებ, მელიის სოროსავით არის დახურული, მილიონობით ტონა ატომური საშიშროება ინახება ამ წიაღის შიგნით, ერთი შეცდომაც საკმარისია, რომ ჩვენი პლანეტა ,,იყო და არა იყო რა" გახდეს.

– როგორ ფიქრობთ, შეგნებულად ამ „დროის მანქანით“ კაცობრიობას საფრთხე ემუქრება?

– კაცობრიობას კი! პლანეტას არა! რადგან ამ „მანქანის მფლობელი ნაცისტია, მას უნდა მსოფლიო ბატონობა და არა პლანეტის დაღუპვა. უბრალოდ, ჰიტლერის გეგმების განხორციელება სურთ, რომლებიც მსოფლიოში მხოლოდ ერთი ერის ცხოვრებას ითვალისწინებს, მაგრამ უფალი არ დაუშვებს კაცთაგან ღმერთის საწინააღმდეგო გეგმების განხორციელებას. მსხვერპლი იქნება, მაგრამ ქვეყანა იგივე ნაირფერებით იარსებებს, როგორიც დღეს არის.

სიჩუმე ჩამოვარდა, ყველას თავისი საფიქრალი გაუჩნდა, მხოლოდ ჩიტების გალობა არღვევდა ტყის მყუდროებას, ნინომ დიდხანს ვერ გაუძლო ბუნებაში გაფანტულ სევდას და „ტომის დედას“ შეეკითხა:

– თქვენ ბრძანეთ, რომ ოპერაციის შედეგად თქვენში ყველა მამაკაცური გენი მოკლეს, ეს როგორ გავიგო, მე თქვენში დაკარგული მამაკაცობა ვაშლით აღმოვაჩინე!

– ვიცი! ვიცი! როგორც აღმომაჩინე, ქალები კაბით იჭერენ საგანს, კაცები მუხლებით, მაგრამ ეს გენები როდია, ეს ნერვული სისტემაა, რომლის სიკვდილის შედეგად ადამიანიც იღუპება... – სათავგადასავლო საუბარი ჯერ კიდევ არ დაუმთავრებიათ, ან კი როდის დაამთავრებდა „ტომის დედა“ თავის თავგადასავლის თხრობას, იქნებ ვერასდროს, მაგრამ ამჟამად მცირე საუბრის საშუალებაც ბადრის გამოჩენამ მოუსპო. ის მშვიდი, აუჩქარებელი ნაბიჯით მიუახლოვდა სამეულს, ბოდიში მოითხოვა – იქნებ უადგილო იყო ჩემი გამოჩენა და გთხოვთ, მაპატიოთო.

– როგორ გეკადრებათ, პირიქით, უხერხულად ვგრძნობთ თავს, რომ დაუკითხავად წამოვედით ამ ღირსშესანიშნავი ადგილის დასათვალიერებლად, უპასუხა „ტომის დედამ“.

– დიახ, ქალბატონო, კარგია რომ მოგაგენით. თქვენთან ფრიად საიდუმლო საკითხზე მსურს საუბარი.

– ახალგაზრდები დავითხოვოთ, თუ ხელს არ შეგვიშლიან?

– არა, ახალგაზრდებთან ერთად გადაწყდეს ეს საკითხი, რომელსაც ახლა მოგახსენებთ, ალბათ გაიგებდით ან ახალგაზრდების ენით ან კიდევ საკუთარი წინასწარმეტყველებით, რომ ჩვენ კვალმაძიებელთა ორგანოდან ვიმყოფებით, აღმოვაჩინეთ მკვლელი, როელმაც თქვენთვის კარგად ნაცნობი მაკონას სიცოცხლე შეიწირა. თქვენ, როგორც ,,ტომის დედა", დიდი პრივილეგიებით სარგებლობთ ტომში და მსურს რჩევა გკითხოთ: დავაპატიმრო მკვლელი, წავიყვანო და პასუხი ვაგებიო მართლმსაჯულების წინაშე, თუ თქვენ თვითონ გამოუტანთ განაჩენს?

– განაგრძეთ! მითხარით, ვინ არის მკვლელი და როგორ აღმოაჩინეთ!

– მკვლელი თქვენი ,,ტომის ბელადია", მიშელი, ახლახან დაბრუნდა ქალაქიდან ლომური, ექსპერტიზის დასკვნა მოიტანა ხელების ანაღბეჭდი, რომელიც მაკონას გვამზე აღმოაჩინეს მიშელს ეკუთვნის, სისხლის ანალიზიც მიშელის არის მაკონას გვამზე საკუთარი სისხლით გამაძღარი ტილი დარჩენია და ამან გახსნა მკვლელობის საქმეც.

– რაიმე დამამტკიცებელი საბუთი გაქვს, თუ ეს თქვენი ვარაუდია მხოლოდ?

– აქა მაქვს ექსპერტიზის დასკვნა და ვფიქრობ, თუ მიშელი ვაჟკაცია და ,,ტომის ბელადობის" ღირსი, დანაშაული აუნდა აღიაროს.

– ,,ტომის ბელადს" შენ აქედან არავინ გაგატანს, ჩვენ თვითონ გავასამართლებთ მიშელს, აქ დამელოდეთ, რამოდენიმე წუთში ტომის ყველა წევრი შეიკრიბება მტკიცედ წარმოთქვა ,,ტომის დედამ" და აჩქარებული ნაბიჯით დაუყვა ბილიკს. ტყეში საყვირის ხმა გაისმა და, მართლაც, ,,ნისლის მთასთან" შეგროვდა ბოშათა ბანაკის ყველა წარმომადგენელი, ,,ტომის დედა" და ,,ტომის ბელადი" მიუძღოდა მათ წინ.

ბადრის გარშემო წრე შეიკრა, ნაღვლიანი მდუმარება გამეფდა, გული ცუდს უგრძნობდათ.

,,ტომის დედა" და ,,ტომის ბელადი" ბრბოს გამოეყო, ბადრისთან ახლოს დადგნენ, თითქოს ბელადის ლურჯი ცხენიც

გრძნობდა პატრონის „ტომის ბელდობის“ დასასრულს, განუწყვეტლივ ბურტყუნებდა და ტორებით მიწას თხრიდა, რომ ბადრისთვის გასაგები გამხდარიყო პირველი სიტყვა ქართულად წარმოთქვა „ტომის დედამ“.

– ჩემო თანამემამულენო, ჩემო აღზრდილნო და ჩემი მფარველობის ქვეშ დავაჟკაცებულნო, დღეს თქვენ ახალი „ტომის დედა“ და „ტომის ბელადი“ უნდა აირჩიოთ, რადგან ჩვენ უძლურნი აღმოვჩნდით ღირსეულად გვემართა ესოდენ სახელმოხვეჭილი ბოშათა ტომი; – „ტომის დედამ“ საუბარი შეწყვიტა. შეკრებილთა შორის ახალგაზრდა ქალ–ვაჟი შეარჩია, გამოიყვანა და გვერდით დაიყენა. დიახ, იმას გეუბნებოდით – განაგრო „ტომის დედამ“ – ჩვენს მმართველობაში რაღაც შეცდომა დავუშვით ამიტომ მე და მიშელი დღეიდან ვტოვებთ ბანაკს. მწამს, წინამძღოლობას აღაი და ფატიმა ღირსეულად გაგიწევთ. ახლა კი მიშელმა თვითონ აღიაროს დანაშაული და სასჯელიც თქვენს მიერ დაიმსახუროს.

– რაში მდებთ ბრალს ვერ გამიგია, დედაო“, – წყნარად, მაგრამ ყველას გასაგონად წარმოთქვა მიშელმა.

– ჰო, კარგი, მაშინ მე შეგახსენებ – თქვა „ტომის დედამ“ შეკრებილთ თვალი მოავლო და განაგრძო:

– თანამემამულენო, თქვენ ყველას კარგად გახსოვთ, თუ როგორ მივიღეთ შვილად, ძმად და მეგობრად ლომური, ჩვენი ტრადიციის მიხედვით მეგობრის ღალატი კი არავის ეპატიება... თქვენ ისიც კარგად გახსოვთ ლომურთან მეუღლე მოდიოდა ხშირად მას მაკონა ერქვა, ჰოდა მაკონას მკვლელობაში ედება ბრალი თქვენს ბელადს. იმართლოს თავი მეგობრისა და თქვენს წინაშე.

– განაჩენი გამოტანილია ანწიკურ ენაზე დაიყვირა ლომურმა და ხანჯალშემართული მიშელისაკენ გაემართა. მიშელი არც განძრეულა თავდახრილი ელოდა განსაცდელს, მაგრამ ლომურმა ვერ მიაღწია მიზანს „ტომის დედამ“ ოსტატურად აართვა ხანჯალი და წარმოთქვა.

– შენ არა გაქვს უფლება! ხალხმა გადაწყვიტოს ბელადის ბედი. „ტომის ბელადმა“ თავი მძიმედ ასწია და დამტვრეული ქართულით წარმოთქვა:

– დამნაშავე ვართ სასჯელსაც ვიმსახურებ, მეგობრებო, ტომის ბელადობაზე ძლიერი სიყვარული აღმოჩნდა და შემაცდინა, მეგობარს ვუღალატე, თუმცა ყველაფერი ნებაყოფლობით მოხდა. დიახ მე შევხვდი მაკონას, მაგრამ მე ის არ მომიკლავს, ხორციელი სიამოვნება მასთან არ მქონია, ალერსის დროს შემომაკვდა, შემეშინდა, მივატოვე და გამოვიქეცი. კიდეც რომ მაპატიოთ დანაშაული, საკუთარ თავს არ ვაპატიებ, მოსვენებას არ მაძლევს მაკონას აჩრდილი, ვერც თავლაფდასხმული ვივლი თქვენ შორის, მძიმეა გაუმართლებელი სიყვარულისა და მეგობრის ღალატის ტვირთის ზიდვა... ჩაფიქრდა შემდეგ ანწიკურ ენაზე გამყინავად დაიკივლა – „გემშვიდობებით!“ ცხენს მოახტა, დეზი ჰკრა და ყველამ დაინახა, თუ როგორ გადაფრინდა მერანი მხედართან ერთად ნისლის ღრუბელში...

## სიყვარულის ქარტეხილი

მძღოლმა სარკეში დალანდა მესაზღვრის „ნივა“ და გვერდით მჯდომ თმაშევერცხლილ მამაკაცს შეხედა.

– გავებით, „კუდი“ მოგვდევს, ხედავ? – „ლინკოლნ–ნავიგატორის“ საჭესთან მჯდომმა ვართანმა თმაშევერცხლილ მამაკაცს მკლავი გაჰკრა და ფიქრებიდან გამოაფხიზლა.

თმაშევერცხლილმა, ავტომატური თოფი აიღო, სავარძელის საყრდენი გადაკეცა და უკანა სალონში გადაძვრა.

– სროლა არ გაბედო თორემ ვირთხებივით ამოგვჟუჟავენ! – გააფრთხილა ვართანმა თანამოსაქმე.

– „სანამ იმედის ერთი მაინც თრთის ფოთოლი“, ყოველგვარი მოქმედება დაშვებულია, – თმაშევერცხლილმა ჩახმახი შეაყენა.

– დაუფიქრებელი არც ქმედება ვარგა და არც ნაბიჯის გადადგმა შენ, ჰე, სარქის, მომისმინე, რომ გეუბნები, სიბრძნე ტვინშია, ჭაღარაში კი არა – გაბრაზებით წარმოთქვა მძღოლმა.

– მაშინ სიჩქარეს მოუმატე, რომ „კუდი“ ჩამოვიცილოთ.

– ამაზე ჩქარა როგორღა წავიდე, სადღაც გადავიჩეხებით.

– მაგათ ხელში ჩავარდნას გადაჩეხვა ჯობია!

– მოსახვევში „დიპლომატი“ გადააგდე და ზედ იარაღიც მიაყოლე, თუ გინდა შვებით ამოვისუნთქოთ. წყნარადაც ვივლით, აღარ შემეშინდება მათი დაწევის.

– რას ამბობ?! – შეუღრინა სარქისმა, – ათმილიონიანი „დიპლომატი“ საკუთარი ხელით მოვისროლო სანაგვეზე? კლიენტი გველოდება, მათთანაც პირს ხომ არ შევირცხვენთ?

– სულ მალე მაგასაც დაკარგავ, კლიენტსაც და მილიონების ნაცვლად ათწლიან კატორღასაც გამოჰკრავ ხელს!

– ოხ, შენი დედაც... თუ ცოცხალი დავნებდე, ჩვენზედ უკეთესი იარაღი მათ არ ექნებათ, გავანადგურებ!

– ბრძოლა მარტო იარაღზე არ არის დამოკიდებული, მას გამოცდილებაც უნდა!

– როგორ, მე არა მაქვს გამოცდილება?

– კი, როგორ არა, ხინკლის ჭამაში ყოველთვის ყველასთან იმარჯვებ!

ვართანმა სწორად ამოიცნო, „ნივა“, ქართველ მესაზღვრეებს ეკუთვნოდა, რომელშიც მძღოლი, ლეიტენანტი ნიკა თუთბერიძე, სასაზღვრო საგამოძიებო განყოფილების უფროსის მოადგილე დავით დავითაშვილი და ნაწილის შტაბის უფროსი, გივი მერკვილაძე, ისხდნენ.

– კარგ დროს შეგვატყობინა მოკავშირემ, თორემ ერთი საათი რომ დაეგვიანებია, მაგათ კვალს ვეღარ მივაგნებდით. – თქვა დავითმა.

– ჩვენც ხომ მოხერხებულად დავუხვდით ყაზბეგთან გამოსასვლელში? – თქვა გივიმ, მძღოლი ხმას არ იღებდა, თუმცა სურვილი ახრჩობდა გაეგო, რატომ არ უბრძანებდნენ, ყაჩაღებს დასწეოდა და დაეპატიმრებია.

– კი, მოგეცა ლხენა. აწი ჩვენს ჩანგალზე წამოეგებიან! – თვითდაჯერება იგრძნობოდა დავითის ხმაში.

– ხომ არ გადავუსწროთ და გზაზევე ავიყვანოთ ფაქტით ხელში? – იკითხა გივიმ.

– არა! მივყვეთ კვალში, მგონია ვიღაცას კიდევ მიიბამენ, მათ აუცილებლად ეყოლებათ გამსაღებლები და მათთან ერთად თუ გავაბამთ, ეს იქნება ნაღდი მიღწევა!

– ორის მაძებარმა ერთიც არ დავკარგოთ, უმჯობესია, დროულად ავიყვანოთ, თორემ ვგრძნობ, სანანებელი გაგვიხდება.

– გზაზე შეიძლება სროლა აგვიტეხონ. მე კი უსისხლოდ მსურს საქმის მოგვარება. მალე გორში შევალთ, იქ რომელიმე ჩიხში შევიმწყვდიოთ. ვფიქრობ, ასე უფრო გაგვიადვილდება ოპერაციის ჩატარება.

მართლაც, მალე შევიდა ორი მსუბუქი ავტომობილი გორში, მაგრამ საქმე ისე როდი წარიმართა, როგორც გამომძიებელმა

ივარაუდა. მიუხედავად იმისა, რომ „ლინკოლნ–ნავიგატორს“ – „ნივა“ კუდში მისდევდა, ავტოსადგურის მახლობლად, ერთ–ერთ მოსახვევში დამნაშავეების ავტომობილი გზიდან გადაყენებული, კარები დისტანციური პულტით ჩაკეტილი და მგზავრები გაუჩინარებული დაუხვდათ.

გამომძიებელმა პოლიციის განყოფილებაში გადარეკა. მთელი ქალაქი გადაჩხრიკეს პოლიციელების დახმარებით, მაგრამ ამაოდ, დამნაშავეები მიწამ ჩაყლაპა თუ ცამ მიიტაცა, ვერავინ გაიგო.

სადაც დამნაშავეების ავტომობილი იდგა, გვერდით ეზოდან დიასახლისი გამოვიდა და დამტვრეული ქართულით გამომძიებელს უთხრა:

– ორმა მამაკაცმა ეს ავტომანქანა აქ დააყენა, თვითონ კი თბილისისაკენ მიმავალ „იკარუსში“ ჩასხდნენ და წავიდნენ...

– აბა, საჩქაროდ! – დაიძახა გამომძიებელმა, ორი პოლიციელიც „ნივაში“ ჩაისვა და „იკარუსს“ გამოეკიდა, „ნივა“ მთელი სიჩქარით მიიწევდა წინ, „იკარუსს“ რომ დაწეოდა, მაგრამ, როგორც ჩანდა, არც „იკარუსის“ მძღოლი იყო ნაკლები და მხოლოდ კასპის მიდამოებში შესძლო „ნივამ“ დაწეოდა... ნიკამ „იკარუსის“ მძღოლს ანიშნა, გაეჩერებია. ისიც უყოყმანოდ დაემორჩილა და გზის ბარდიურთან დაამუხრუჭა.

„ნივას“ მთელი ეკიპაჟი „იკარუსში“ შევიდა, საბუთები მოთხოვეს მგზავრებს, ეს ალბათ ყასიდად, თორემ ნათლად ხედავდნენ, რომ ბოროტმოქმედები ავტობუსში აღარ იყვნენ. მძღოლი დაკითხეს და მანაც აღიარა, რომ ორი მგზავრი გორში ჩაუჯდა ავტობუსში, მაგრამ ორიოდე კილომეტრში ისევ ჩამოვიდნენ. მძღოლმა სიმართლე თქვა, მართლაც დააყენეს თუ არა საკუთარი ავტომობილი, იმ წამსვე „იკარუსში“ ჩასხდნენ ვართანი და სარქისი. მგზავრები შეათვალიერეს. ნივთების დასაწყობ თაროზე ზუსტად ისეთივე „დიპლომატი“ შენიშნეს, როგორიც თვითონ ჰქონდათ და თავისი „დიპლომატიც“

მგზავრის „დიპლომატის“ გვერდით მოათავსეს. შემდეგ სარქისი სანდომიანი ახალგაზრდა ყმაწვილის გვერდით დაჯდა თავისუფალ ადგილზე და მას გამოელაპარაკა.

– კარგი ახალგაზრდა ჩანხარ, – ღიმილი სახეზე დააფინა სარქისმა – სად მიბრძანდებით?

ახალგაზრდამ რაღაც აღუწერელი დაბნეულობა შენიშნა სარქისის ღიმილში, მაგრამ პასუხი მაინც გასცა

– თბილისში მივდივარ.

– ვახ, თბილისში? მეც თბილისელი ვარ, სად ცხოვრობ?

– თავისუფლების მოედანთან, ტაბიძის 28–ში – იცრუა ახალგაზრდამ.

– ჰო, მეც ტაბიძის ქუჩაზე ვცხოვრობ, მხოლოდ ვაკეში. სარქისი მქვია სარქისიანი ვარ გვარად, თქვენ რა გქვიათ?

– მე აკაკი ვარ წერეთელი! – ამჟამადაც იცრუა ახალგაზრდამ, სარქისი პასუხმა განარისხა!

– მე თქვენ სერიოზულად გელაპარაკებით და თქვენ დამცინით?

– როგორ გეკადრებათ, შემიძოლია პასპორტი გიჩვენოთ, მაგრამ რაში დამჭირდებოდა თქვენთან ტყუილი?

– ჰო, კარგი მჯერა, სხვაც ხომ შეიძლება იყოს აკაკი წერეთელი და არა მკვდრეთით აღმდგარი პოეტი?

– დიახ, ასეა – დაემოწმა ახალგაზრდა.

– ერთი სათხოვარი მაქვს – წარმოთქვა ყოყმანის შემდეგ სარქისმა – შენს მაღლა თაროზე „დიპლომატი“ არის დადებული, მიაქციე ყურადღება, ვინ წაიღებს, ბოლომდის მიჰყევი და დაიმახსოვრე იმის მისამართი, ახალგაზრდას სიყვითლის ფერმა გადაჰკრა სახეზე. „დიპლომატი“ მას ეკუთვნოდა, მაგრამ შეძლებისდაგვარად არ შეიმჩნია და სარქისს დახმარება აღუთქვა.

გორიდან გამოსვლის შემდეგ, ორიოდე კილომეტრში, ვართანმა მძღოლს ავტობუსი გააჩერებინა, სარქისმა „დიპლომატი“ შეუმჩნევლად შეცვალა და ორივენი ავტობუსიდან ჩავიდნენ.

* * *

კვალმაძიებელმა, დავით დავითაშვილმა, ავტობუსში დამნაშავეები რომ ვერ აღმოაჩინა, ისევ „ნივას“ მიაშურა.

– მელიის ხლართებს გვიკეთებენ, მაგრამ კარგი მეძებარი მელას სოროდან გამოადგებს, მაინც ვერსად დამემალებიან.

– გითხარი თავის დროზე აგვეყვანა, ახლა ეძებე მელა და იმისი სორო, შემდეგ ისიც მოსინჯე როგორი გამოსაყვანია სოროდან მელა?

– რატომ არ გესმის, სისხლის დაღვრას მოვერიდე, ღმერთო ჩემო, ისინი ჩვენზედ უკეთესად არიან შეიარაღებულნი და გგონია დაგვნებდებოდნენ?

– აბა ახლა რაღას აპირებ?

– აი ნახავ რასაც ვაპირებ! – თქვა დავითმა და მობილურით ყველა საგზაო საგუშაგოს დაუკავშირდა. გადასცა „ლინკოლნ ნავიგატორის“ ფერი, სახელმწიფო ნომერი, მგზავრების აღნაგობა და დაუყოვნებლივ დაკავება ბრძანა.

– კვალმაძიებელო, შეცდომას ხომ არ უშვებთ? – შეეკითხა, მობილურზე საუბრის შემდეგ, გივი.

– არა მგონია, მაინც რაში ხედავ ჩემს შეცდომას?

– იმაში, რომ დამნაშავეებმა იციან, მათ კვალს მივდევთ. იმიტომ მიატოვეს თავიანთი ავტომობილი და ავტობუსში გადასხდნენ, შემდეგ ავტობუსიც მიატოვეს და ღმერთმა უწყის, საით გაუჩინარდნენ. ეჭვგარეშეა, რომ გზას გვიბნევენ.

– მართალს ბრძანებთ, მაგრამ არა მგონია თავიანთი ახალთახალი ავტომობილი გაანადგურონ, იმედი მაქვს იგივე ტრანსპორტით გაუდგებიან გზას და მეც ამიტომ ვაცნობე ყველა საგუშაგო პუნქტს ავტომობილის ნომერი და მგზავრების დაკავება.

– შესაძლებელია ავტომობილი არ გაანადგურონ, მაგრამ გაანადგურონ ცეცხლსასროლი იარაღი და ის ნივთი, რისთვისაც დაპატიმრებას ვუპირებთ.

– მერე რა, ვიდეოფირს სად გაექცევიან? ნარკოტიკი ჩვენ მაინც უნდა გაგვენადგურებინა და მათ გაანადგურონ, რა მნიშვნელობა აქვს?

– მერე და ნივთმტკიცება?

– ვიდეოფირი ნივთმტკიცება არ არის?

– ეჰ, ჩემგან არ გესწავლება, მაგრამ ბევრჯერ იგემა კაცობრიობამ ძიებაში დაშვებული შეცდომების სიმწარე, თვით იესო ქრისტეც ჯვარს აცვეს განუკითხაობით, მართლმსაჯულებას დიდი ხნის საინტერესო და მკაცრი ისტორია აქვს. მის სიმკაცრეს ლეგენდებსა და თქმულებებშიდაც კი ვკითხულობთ, ძიების წარმოდგენისას თვალწინ გვიდგება შერლოკ–ჰოლმსი, მაგრამ შერლოკ–ჰოლმსის მსგავსად, ყველას როდი შეუძლია წარმართოს ძიება.

– კარგი რა, გივი, ისეთი შეცდომა არ დამიშვია, რომ არ გამოსწორდეს. სულ სხვა თვალით მიჩერებიხარ ძიებას, ლიტერატურაში წაკითხული დეტექტივით გამომძიებლის ალღოს ვერ ეზიარები, ეს თანდაყოლილი სიბრძნეა. ისე, როგორც მწერლის ან პოეტის, მას ჰარისმატული ნიჭი სჭირდება, გამომძიებლის პრაქტიკულად დახვეწა შეიძლება, მაგრამ მიდრეკილების გარეშე შეუძლებელია თეორიული ცოდნით გახდე პროფესიონალი შეიძლება ვერ გამიგო, მგონი, თავიც შეგაწყინე საუბრით...

– არა, განაგრძე, ამ წუთში შეიძლება კვალმაძიებლის უტყუარი ალღო დამისურათო, ერთი საათის შემდეგ კი შენი უტყუარი ალღოს თანხლებით ხელმოცარულები დავბრუნდებით უკან.

– კიდევ გიმეორებ, ისე არ მოხდება, როგორც შენ წარმოგიდგენია. ძიების ღრმა ცოდნა ერთ დღეში არ ფორმირდება, ის არც დეტექტიური ფილმის ნახვის შემდეგ და არც დეტექტიური რომანის წაკითხვის შემდეგ შეიძლება შევიძინოთ. ეს ბუნებრივი ნიჭია, ღემრთის წყალობა,. ამ ნიჭით დაჯილდოებული შეიძლება დღეს სადღაც ნახირს მწყემსავდეს, ისე როგორც ხალხური სიბრძნის მთესველი მელექსეები...

სახელი გაითქვა იურიდიულმა ფაკულტეტმა, რომელსაც ყოველგვარი მიდრეკილების გარეშე ამთავრებენ ბობოლათა

შვილები და, შემიძლია ვთქვა, კრიმინალური საქმის უვიცები პროკურორის პორტფელს ატარებენ. მადლობა ღმერთს, ჩვენ ასეთ პლეადას არ ვეკუთვნით.

აზარტში შესულ დავითს კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა და ჩამოეყალიბებინა თავისი შეხედულება კვალმაძიებლის ბუნებრივ ნიჭზე, მაგრამ საუბარი მობილურის გაბმულმა ზარმა შეაწყვეტინა. – ხაშურის ავტოსაგუშაგო „ლინკოლნ–ნავიგატორისა“ და მისი მგზავრების დაკავებას იტყობინებოდა...

– მოვდივართ! – მოკლე პასუხი გასცა დავითმა მოსაუბრეს და მესაზღვრის „ნივა“ მთელი სიჩქარით ხაშურის მიმართულებით დაიძრა.

– გაებით?! – საგუშაგოს შენობაში შესვლისთანავე წარმოთქვა კვალმაძიებელმა და დაბორკილ დამნაშავეებს გადაჰხედა.

– ნეტავი რა დავაშავეთ? – წყენით წარმოთქვა თმაშეევერცხლილმა.

– უდანაშაულონი არ გარბიან და არც არავინ მისდევს!

– არც არავის გავქცევივართ და არც არავინ გამოგვკიდებია, მგონი რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი.

– კარგი, კარგი ყველაფერს ძიება გვიჩვენებს. ახლა კი ყოველგვარი სისულელის გარეშე ცეცხლსასროლი იარაღი დადეთ მაგიდაზე და „დიპლომატი“ გახსენით!

– ხა, ხა, ხა! ცეცხლსასროლი იარაღი ნეტავი თქვენც არ გქონდეთ, თვალით დასანახადაც კი მეჯავრება, ღმერთმა დამიფაროს თქვენთან და იარაღთან ურთიერთობა, რაც შეეხება „დიპლომატს“, თავად გახსენით!

– ავტომობილი შეამოწმეთ და გულდასმით გაჩხრიკეთ! – უბრძანა პოლიციელებს დავითმა.

– რა უფლება გაქვს ჩვენი დაპატიმრებისა და ავტომობილის ჩხრეკისა. პროტესტს ვაცხადებ და პროკურორის სანქციას მოვითხოვ! – მკაცრად წარმოთქვა ვართანმა, მაგრამ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, პოლიციელები ავტო-

მობილის გასაჩხრეკად წავიდნენ, გივიმ კი „დიპლომატის“ გაღება სცადა, დაკეტილი აღმოჩნდა.

– გასაღები მოგვეცი! – ბრძანების კილოთი მიმართა სარქისს დავითმა, მაგრამ როდესაც მისგან უარი მიიღო, იძულებული გახდა თვითონ ამოეცალა ჯიბიდან გასაღებების აცმა. ესეც უშედეგოდ დამთავრდა, არც ერთი გასაღები არ მოერგო „დიპლომატის“ საკეტს და გივი იძულებული გახდა საკეტი გაეტეხა...

წესრიგის დამცავებს კი არა, ბოროტმოქმედებსაც გაუფართოვდათ თვალები,როდესაც „დიპლომატი“ გაიხსნა,მასში ნარკოტიკის მაგივრად ზეწარში გახვეული, ჯერ კიდევ სისხლშეუმშრალი, სახსარში გადაჭრილი მარჯვენა ხელის მტევანი აღმოჩნდა. ყველა აღშფთებული დასცქეროდა ამ შემზარავ სანახაობას, ყველაზე ადრე დავითი გამოვიდა მდგომარეობიდან და სარქისს მიმართა:

– თქვენ ხომ უდანაშაულონი ბრძანდებით, განა ეს დანაშაული არ არის?

– ეს, ეს, ჩემი არ არის! – ძლივს ამოილუღლუღა სარქისმა.

– აბა ვისია?

– არ ვიცი, მოვიპარე და არ ვიცოდი შიგ რა ინახებოდა!

– მოიპარე! განა ქურდობა დანაშაული არ არის? შენი „დიპლომატი“ სადღაა?

– რომელი „დიპლომატი“, მე არანაირი „დიპლომატი“ არ მქონია.

– აი, იმ „დიპლომატს“ გეკითხებით, რომელშიც ნარკოტიკები გქონდა!

– მე „დიპლომატი“ არ მქონია და ნარკოტიკების არსებობაც პირველად მესმის.

– ეს „დიპლომატი“ სად მოიპარე?

– ბაზარში!

– ბაზარში თუ ავტობუსში? კარგად დაფიქრდი და გაიხსენე!

— ავტობუსში ათი წელი იქნება, რაც არ ვმჯდარვარ!

— კარგი, მაგრამ რომ ამოგიცნონ მგზავრებმა და ავტობუსის მძღოლმა, შემდეგ სიმართლესაც აღარ დაგიჯერებენ და იცოდეთ მდგომარეობა გაგირთულდებათ.

— არ ვიცი, თქვენ შესძლებდით, მძღოლისა და რამოდენიმე მგზავრის მოსყიდვას, მაგრამ საბოლოოდ მე გავიმარჯვებ, ადამიანის უფლებათა დაცვის სამსახურს შევატყობინებ და თუ როგორ უნდა უდანაშაულო ადამიანის დაჩაგვრა, შემდეგ ვნახოთ! — დავითს გაეღიმა. ამ სიტყვებს ისე ომახიანად ამბობდა სარქისი, ეჭვიც არავის შეეპარებოდა იმის უდანაშაულობაში. საგუშაგოში პოლიციელები შემოვიდნენ და დავითს მოახსენეს, რომ ძირფესვიანად გაჩხრიკეს დანაშაულში ეჭვმიტანილთა ავტომობილი და დანაშაულის ნივთმტკიცება ვერ აღმოაჩინეს.

— ჰო, ეძებე ახლა ქარი, მინდორში, შესაძლებელია ახლა ნარკოტიკების მთელი დასტა და იარაღების არსენალი ისეთი ბოროტმოქმედის ხელში მოხვდეს, მთლიანად მოწამლოს რესპუბლიკა — წარმოთქვა გივიმ და გამარჯვებული კაცის იერით დავითს გადახედა.

— ნუ დარდობ, გივი, უნდა გეამაყებოდეს, რომ ჩვენ კიდევ ერთი ბოროტმოქმედი აღმოვაჩინეთ — უთხრა დავითმა.

— რომელ ბოროტმოქმედზე გაქვს საუბარი?

— აი,იმაზე,ვისაც მოჭრილხელიანი ,,დიპლომატი'' ეკუთვნის. ამ ვაჟბატონებმა ცეცხლსასროლი იარაღი სადღაც გადამალეს,რომელსაც თვითონ აღიარებენ,ხოლო თავიანთი ,,დიპლომატი'' რომელიღაც მგზავრ–ბოროტმოქმედს შეუცვალეს ავტობუსში. ახლა საქმე სამოქალაქო პროკურატურასაც გაუჩნდა და ეჭვიც არ მეპარება მოკლე დროში დავადგენთ ყოველივეს.

გივისთან მოკლე გასაუბრების შემდეგ, დავითმა გამომძიებლის ჩვეული ღიმილით მიმართა სარქისს:

— ყველაფერი ვიდეოფირზეა აღბეჭდილი, თუ ვისგან მიიღეთ ნარკოტიკების მთელი ფუთა, რომლის საერთო ღირე-

ბულება ათ მილიონ დოლარს აღემატება. თქვენ არც ისეთი უგუნურები ხართ, რომ უპატრონოდ მიგეგდოთ ავტობუსში ესოდენ დიდი თანხა, უმჯობესი იქნება, აქვე აღიაროთ, ვის გადაეცით ნარკოტიკებით სავსე „დიპლომატი“, გამოიჩინეთ ზებუნებრივი ადამიანობა და თვითონ გაგვიწიეთ დახმარება, რათა არ მოიწამლოს უდანაშაულო ახალგაზრდობა.

– კიდევ გიმეორებთ, მე არავითარი ნარკოტიკი არ მქონია. ვიდეოფირით კი არა, მსოფლიო მოწმეებითაც ვერ დამიმტკიცებ დანაშაულს, რადგან მოწმეების მონახვაც შეიძლება და ვიდეოფირით ყოველგვარი ზღაპრის გადაღებაც, თქვენს ხელში მტერი ჩავარდა. ვიცი, თქვენ რა ხალხიც ბრძანდებით, ალბათ არც გამოცდილება გაკლიათ და არა ერთი გეყოლებათ ჩემისთანა უდანაშაულო გაბმული, მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება, რომ გამოუცდელი და უდანაშაულო ადამიანი ბრძენ გამომძიებელზე არანაკლებ გაივლის შეუცდომლად ძიების საშიშ მონაკვეთს. მართალია, ეს იშვიათი გამონაკლისია, მაგრამ მაინც არის ცოტაოდენი გადარჩენის შანსი.

– მე მესმის შენი, სარქის. შენ სიბრძნე ნუ გგონია ბავშვობიდანვე თანდაყოლილი გენიალობა, დღევანდელი შენი მცდელობა თავგანწირული ფხაკურია და მეტი არაფერი. კიდევ გიმეორებთ, რომ ჩვენ გაგვაჩნია უტყუარი ნივთმტკიცება, რომლის სიმართლესაც ექსპერტიზა დაამტკიცებს.

– ექსპერტიზაც თქვენია, განა სხვისი?

– შე დალოცვილო, თუ ყველა ჩვენია თავს რაღას იტკივებ, ბარემ აღიარე სიმართლე და...

– მე სიმართლე უკვე ვაღიარე, არაფერი არ ვიცი–მეთქი, ზეწოლის შემთხვევაში მსოფლიო დამეხმარება სიმართლის ზეიმისათვის.

– ძალიან კარგი, მაშინ წავიდეთ! – თქვა დავითმა და წამოდგა.

– მოიცათ, შეჩერდით! – წამოიძახა აქამდის წყნარად მჯდომმა ვართანმა – მე არ მინდა თქვენი ძიებისგან საკუთარი ძვლების მსხვრევის ხმა მესმოდეს,,,დიპლომატი“ ტაბიძის

28–ში ვინმე აკაკი წერეთელთან შეიძლება იყოს! – ყველას გულიანად გაეცინა.

– შენ იცი ვინ იყო აკაკი წერეთელი? – გაკვირვებული იერით მიმართა კვალმაძიებელმა.

– ვიცი, მწერალი იყო, მაგრამ სხვაც ხომ შეიძლება იყოს იგივე სახელისა და გვარის ადამიანი? რატომ დამცინით? თუკი არის და ყველანი კარგად ვიცნობთ ნუგზარ წერეთელს, გიგი წერეთელს, ირაკლი წერეთელს, რატომ არ შეიძლება იყოს აკაკი წერეთელი?

– ძალიან მეეჭვება, მაგრამ შევამოწმებთ! წავიდეთ! – ახლა კი მტკიცედ წარმოთქვა დავითმა და საგუშაგოს კარები ფართოდ გააღო.

მესაზღვრის „ნივა“ დედაქალაქის პროკურატურის შენობის წინ გაჩერდა. გენერალური პროკურორი ადგილზე დაუხვდათ და ყოველგვარი ლოდინის გარეშე მიიღო გივი და დავითი. მისალმებისა და ურთიერთმოკითხვის შემდეგ დავითმა შეხვედრის მიზეზი გააცნო პროკურორს და მოჭრილხელიანი „დიპლომატი“ გადასცა. კოლეგები დიდხანს არ გაჩერდნენ, ბევრი საქმე გვაქვსო და წავიდნენ, პროკურორმა კი ახალგაზრდა კვალმაძიებელი ელგა აბაშიძე გამოიძახა. „დიპლომატი“ გახსნა და შემზარავი სურათი გადაუშალა. მართლაც ამაზრზენი იყო. მით უმეტეს ქალის სათუთი გრძნობისათვის, სახსარში გადაჭრილი ხელის მტევანი, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეშრობოდა სისხლი, ყოველგვარი ეჭვის გარეშე მოჭრილი ხელი მამაკაცს ეკუთვნოდა, ჯერ ერთი იმდენად ზორბა იყო, რომ ქალის ხელის კი არა მრავალი მამაკაცის მტევანს აღემატებოდა, მეორეც თითები და მტევნის ზურგი შავი სქელი თმით იყო დაფარული, შუა თითს ოქროს ბეჭედი ეკეთა, რომელსაც პლატინის ოთხკუთხედის ფორმა ჰქონდა და ზედ ოთხკარატიანი ბრილიანტი იყო ჩამაგრებული. ელგას არასასიამოვნო ხილვით გული შეეკუმშა, მაგრამ არ შეიმჩნია, სათუთი გრძნობა არ გამოააშკარავა პროკურორთან და ომახიანად წარმოთქვა:

– მგონი ძნელი დასადგენი არ იქნება, მოჭრილი ხელის პატრონის ვინაობა, ქირურგიული დახმარების გარეშე დაზარალებული ვერ იმკურნალებდა. საავადმყოფო კი აუცილებლად აცნობებდა ადგილობრივ პოლიციის განყოფილებას, დღესვე დავუკავშირდები ყველა ორგანოს მუშაკს და დაუყოვნებლივ დავადგენ დაზარალებულის ვინაობას!

– ხომ შეიძლება კერძო კლინიკაში მკურნალობდეს დაზარალებული და მესვეურნი მკაცრად ჰყავდეს გაფრთხილებული, მტკიცედ შეინახონ საიდუმლოება?

– რა თქმა უნდა, ყველაფერია შესაძლებელი, მაგრამ იმედი მაქვს, თქვენს ნდობას ჩრდილს არ მივაყენებ და რამოდენიმე დღეში ძიების შედეგსაც მოგახსენებთ.

– შენ ჯერ ახალგაზრდა კვალმაძიებელი ხარ, ეს პირველი საქმეა, რომელსაც განდობ და აბა, შენ იცი, თუ არ შეირცხვენ თავს, გახსოვდეს, გამოძიება ჭაობსა ჰგავს, სადაც ჰგონიათ იოლად გავალთო, სწორედ იქ იხრჩობიან... ამჟამად ჩვენ დაზარალებული კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ დამნაშავე, რომელიც არა მგონია ადვილი აღმოსაჩენი იყოს. რა თქმა უნდა, ძიება დაზარალებულისგან უნდა დავიწყოთ, თუ დახმარება დაგჭირდათ, ნუ მოგერიდებათ, წარმატებას გისურვებთ!.. დამრიგებლური სიტყვები ტყვიასავათ ჩაეჭედა ტვინში ელგას, პროკუპრორმა კი ხელი ჩამოართვა და გამარჯვება უსურვა.

კაბინეტიდან გამოსული ელგა სატელეფონო პულტს მიუჯდა, არ დასჭირვებია რესპუბლიკის ყველა პოლიციის ორგანოსათვის შეტყობინება მომხდარი ბოროტმოქმედების შესახებ, მხოლოდ მესამე მცდელობის შემდეგ გორის პოლიციის განყოფილებიდან აცნობეს „დაზარალებული ჯალილ უსმანოვი ქალაქის პირველ საავადმყოფოში მკურნალობსო“.

– არ გავაწბილებ პროკურორს, დღესვე წარვუდგენ ძიების შედეგს! – წარმოთქვა მტკიცედ ახალგაზრდა კვალმაძიებელმა და საკუთარი „ჟიგულის“ საჭეს მიუჯდა,. გადაუჭარბებელი სიჩქარით სულ რაღაც ერთ საათში ქალაქ გორ-

ში იყო, პირველი საავადმყოფოს ეზოში გააჩერა თავისი ავ-ტომობილი. მთავარ ექიმს საბუთები წარუდგინა და უს-მანოვთან გასაუბრების ნებართვა გამოსთხოვა.

ჯალილ უსმანოვი მთასავით კაცი აღმოჩნდა, საწოლზე რომ ვერ ეტეოდა მუხლებში მოხრილიყო და უხეირო მხ-ატვრის მიერ დახატულ ციკლოპს ჰგავდა, მარცხენა თვალი შეხვეული ჰქონდა, საიდანაც მოვარდისფერო სისხლს გამოე-ჟონა. უზარმაზარი ულვაშები საავადმყოფოს ხალათის საყელომდე სწვდებოდა, მისი შავგვრემანი, ოდნავ ჩასუქებუ-ლი თუ წამოსიებული სახე მრისხანების გამომეტყველებას ტოვებდა, მაგრამ თაფლისფერ თვალში ჩაგუბებული ცრემლი უმალ წარმოდგენას შეგიცვლიდათ და სიბრალულით აგევსე-ბოდათ გული. ღოლბანდით სქლად შეხვეული მარჯვენა უმტევნო მკლავი მკერდზე დაესვენებია და ხანგამოშვებით ისე მძლავრად უბერავდა სულს, რომ ზეწარი ფრიალებდა.

– გამარჯობათ, ჯალილ! – პალატაში შესვლისთანავე მიესალმა ელგა და ავადმყოფის სასთუმალთან ტაბურეტზე ჩამოჯდა.

ჯალილმა მართლაც ციკლოპივით ცალი თვალით ისე გამოჰხედა, მასში უთუოდ ნაცნობი უნდოდა აღმოეჩინა, მა-გრამ ასეთი ადამიანი, რომ ვერ გაიხსენა, მომსვლელის სალ-ამი უპასუხოდ დატოვა და თავი საწინააღმდეგო მხარეს გადააქანა.

– ბატონო, ჯალილ! მე პროკურატურის საგამომძიებლო ორგანოდან გახლავართ, რიგითი გამომძიებელი, ელგა აბაშიძე, მევალება იმ პირის აღმოჩენა, რომელმაც სხეულის მძიმე დაზიანება მოგაყენათ და გთხოვთ, რამოდენიმე შეკითხვაზე მიპასუხოთ, რათა მთელი სიმკაცრით დაისაჯოს ბოროტმო-ქმედი.

– არაფერსაც არ გეტყვით, ყველაფერი დამსახურების შედეგად მივიღე. ღმერთმა არასდროს არ მაპატია უკუღმარ-თი ნაბიჯი, არც დღეს დამინდო უფალმა და გთხოვთ თავს ნუ შეიწუხებთ ჩემთან საუბრით...

ეს სიტყვები წმინდა, უაქცენტო, ქართულით ისე წარმოთქვა ჯალილმა ელგასათვის არც კი შეუხედავს. გამომძიებელს არ შეეძლო ჯალილის გაკერპებას დაყრდნობოდა და პროკურორთან „კუდამოძუებული“ დაბრუნებულიყო, ამიტომ სკამი კიდევ უფრო ახლოს მისწია ავადმყოფისაკენ, შუბლსა და თმაზე ხელი გადაუსვა, შემდეგ ჩანთიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ერთადერთ თვალში ცრემლი ამოუმშრალა, ჯალილს რაღაც გამოუცნობი სითბო ჩაეღვარა მთელ სხეულში, ტუჩები საცოდავად აუკანკალდა, სასაცილოდ აფართხალდა ულვაშები, რომელმაც მთელი სახე დაუფარა, ახლა უკვე თვალში ცრემლი კი არ ჩაუდგა, ერთთავად გამოარღვია წამწამთა ჯებირი და წვიმის შემდგომი ნიაღვარივით სახეზე გადმოედინა. ელგამ ბრწყინვალედ იცის ცრემლის შედეგი, გრძნობს ცრემლი დააწყნარებს ჯალილს და, ბოლოს და ბოლოს, ალაპარაკდება, ამიტომ თვალიდან ცრემლის ამოწმენდას მოუხშირა, ჯალილმა კი ტირილს ვერ გაართვა თავი... ასე გაგრძელდა რამდენიმე წუთს, შემდეგ ახლად ცრემლმოწმენდილი თვალით ჯალილმა გულდასმით შეათვალიერა ქალიშვილი და ისე წარმოთქვა თითქოს აქამდის არა მომხდარიყო რა:

– ვინ ვარო, როგორ ბრძანეთ?

– ნუთუ არ გახსოვს, ახლა არ გელაპარაკებოდი, პროკურატურის გამომძიებელი ვარ-მეთქი? თუ თავს ცუდად გრძნობ, ხვალ მოვალ და ვისაუბროთ. ახლა კი წავალ! – უთხრა ქალმა და გაუღიმა.

– არა! ღვთის გულისათვის არ წახვიდე. თავს ჩინებულად ვგრძნობ, ამაზე მეტი გასაჭირიც გადამიტანია, ამასაც გადავიტან! თქვენ ჩემში გამოუცნობი სითბო ჩაღვარეთ, ალბათ ეს გრძნობა მამაშვილურია, რომელიც აქამდის არასოდეს არ განმიცდია, მე თქვენ ამჟამინდელს კი არა, მთელს გულს გადაგიშლით, რადგან მძიმეა ადამიანისათვის სულის ტანჯვა, იმდენად მძიმე, რომ ერთ კაცს მისი ტარება არ შეუძლია, არ იფიქრო, რომ ჩემს სატანჯველს ტვირთად აგკიდებთ, არა, გულთან არ მიიტანო ჩემი სატკივარი. გვიან ჩავწვდი, რომ

ჩვენი სული სათუთია და ყველას ისე ჭირდება მოფრთხილება, როგორც საკუთარს, ამიტომ ვალდებულად ვთვლი თავს, ერთმანეთს გავუგოთ, გავუფრთხილდეთ და უკვდავყოთ სულში ჩაუფურთხებელი სული, რომ არც ახლა და არც შემდგომში მარტონი არ დავრჩეთ. თქვენ მე მომეფერეთ გამიღიმეთ. ჩემს ცხოვრებაში პირველად, ალბათ, თქვენც კარგად იცით ძალა ღიმილისა. ეს ხომ ამობრწყინებული მზეა ადამიანის სახეზე და თან ძალზედ იშვიათი ჩვენს ეპოქაში, ბევრმა იცის ძალი ღიმილისა, მაგრამ იშვიათად იმეტებენ მას. ადამიანს როდესაც უგუნებო და უკმაყოფილო სახე აქვს, სწორედ მაშინ სურს მას მოძმის ღიმილი, ზოგიერთს თითქოს არაფრად უღირს ღიმილიანი თანაგრძნობა, მაგრამ ნუთუ არ იციან რომ ეს უკანასკნელი უზარმაზარი იმედის მომცემია? ღიმილის ზემოქმედება წამიერია, მაგრამ ხსოვნაა უკვდავი, ღიმილი ბედნიერების მომტანია, როგორც ოჯახში, ასევე საზოგადოებაში ამტკიცებს მეგობრობას და ნისლიან გუნება–განწყობილებას ამზიურებს, ღიმილი მხოლოდ ისეთი უნდა იყოს, როგორითაც თქვენ გამიღიმეთ, გულწრფელი, ნებაყოფლობითი და გულიდან გამომდინარე, სწორედ ასეთი ღიმილია მოსვენება ტვირთმძიმისათვის, მზის სხივი მწუხარისათვის, რომლის ყიდვა, გამოთხოვა, მოპარვა თუ გასესხება შეუძლებელია. სწორედ ამგვარმა ღიმილმა გადამაწყვეტინა გულის კარი გაგიხსნათ. შემეკითხეთ რაც მოგესურვებათ, მე მოლოდინს გადავაჭარბებ, იმაზე მეტს გეტყვით, რაც გწადიათ...

– როგორც მოგახსენეთ, ბიძია ჯალილ, თქვენი უბედური შემთხვევის გამოძიება მაქვს დავალებული და გთხოვთ, ყოველივე უნაკლოდ მომითხროთ!

– თბილისში ვცხოვრობ, ჩემს მამა–პაპასაც აქ უცხოვრია, ქართულად მისწავლია და ქართული ზნე–ჩვეებიც მიმიღია, ვარკეთილის მეურნეობაში ნაკვეთი მაქვს და ბროწეულის ბაღი მაქვს გაშენებული, კარგი მოსავალიც მომყავს და ზამთარ–ზაფხულ ბროწეულით ვვაჭრობ, თორმეტი წელია ახალგაზრდა კაცი დამდევს, ვგრძნოლდი, ჩემი მოკვლა უნდო-

და, ამიტომ თბილისში ვაჭრობას თავი დავანებე და გორში გადმოვედი, ბაზართან ახლოს ბინა ქირით ავიღე და ვაჭრობა დავიწყე, მეგონა, რომ აქ ვერ მომაგნებდა, მაგრამ შევცდი, გუშინ საღამოს გამომეცხადა და შიშმა ამიტანა...

– რატომ გეშინოდა მთასავით კაცს ვიღაც ახალგაზრდის?

– არ ვიცი იმის მიმართ შიშის გრძნობა ახლაც ვერ გამომიდევნია გულიდან. ასე მგონია, ის ამ ტრამვას არ დაჯერდება, კიდევ მომიმზადებს ახალ განსაცდელს.

– ის ახალგაზრდა შენთვის სრულებით უცნობია?

– არც უცნობი, არც ნაცნობი, არც სახელი ვიცი, არც გვარი, ერთი სიტყვაც არ გამიგონია მისგან წარმოთქმული, ნახვით კი ბევრჯერ მინახავს, მოვა შემომხედავს, თვალს თვალში გამიყრის, მე იმის მზერას ვერ ვუძლებ, როგორც შემომხედავს თავს იმწამსვე ძირს ვხრი, თავს რომ ავწევ ის აღარ ჩანს.

– როგორ გამოიყურება?

– საშუალო სიმაღლისაა, ჩაფსკვნილი, წაბლისფერი თმა აქვს, თაფლისფერი თვალები, თეთრი, ნათელი, ძალზე ლამაზი სახე აქვს, მარჯვენა ხელზე საჩვენებელი თითი აკლია, პირველსა და მეორე სახსარს შუა აქვს მოკვეთილი ჰოდა, როგორც მოგახსენეთ, ეს ახალგაწზრდა გუშინ გამომეცხადა. შემომხედა და წავიდა, თითქოს მაგრძნობინა ფრთხილად იყავიო. საღამოს გვიან დავამთავრე მუშაობა, დარჩენილი ბროწეული საწყობს ჩავაბარე და დასასვენებლად დაქირავებული ბინისაკენ წავედი, როგორც კი ჭიშკრის გაღება დავაპირე, არ ვიცი ციდან ჩამოფრინდა თუ მიწიდან ამოძვრა, ჩემს წინ ის ახალგაზრდა აღიმართა, არ დავიბენი, ყველაფერი ჩემს ვაჟკაცობას მივანდე და ქამარში გარჭობილი დანა დავაძვრე, მაგრამ აღმართვაც ვერ მოვასწარი,რომ სახეზე რაღაც სითხე შემაფრქვია, გრძნობა არ დამიკარგავს, ყველაფერი მახსოვს, მხოლოდ ძალა დავკარგე, დანა ხელიდან გამივარდა, მუხლებმა ჩემს სიმძიმეს ვეღარ გაუძლო და წავიქეცი. მან ჩემს თავთან ჩაიჩოქა, საჩვენებელი თითის გვერდითა, შუა თითი აღმართა,

ჩემს თვალებთან გააჩერა რამდენიმე წუთს, შემდეგ კი გამეტებით თვალში მატაკა, თვალი ბუდიდან გადმოვარდა და ძარღვებით დაეკიდა ჩემსავე სახეზე, აუღელვებლად მოკიდა ხელი, ძარღვები ჩამოგლიჯა, თვალები კი ნიგვზის კაკალივით გახეთქა და გვერდზე მისროლა. მე ღრიალი დავიწყე, მაგრამ მალე ვიგრძენი ჩემი ხმა ჩემსავე ბაგის გარეთ არ გადიოდა, ჩემსავე ყურთასმენას, ჩემივე წყნარი ხავილი ესმოდა მხოლოდ, ამიტომ გადავწყვიტე ბედს შევრიგებოდი და მოთმინებით ამეტანა თვალის დაკარგვა, მაგრამ ახალგაზრდა ამას როდი დასჯერდა, ძირს დაგდებული ჩემი დანა აიღო და ჯალათის მანერით სწრაფად მომაჭრა მარჯვენა ხელის მტევანი. როგორც ჩანს, ჩემი სიკვდილი არ უნდოდა, მკლავზე ლახტი შემომიჭირა, სისხლისაგან რომ არ დავცლილიყავი. შემდეგ ჩემი ხელი აიღო და რამდენიმეჯერ სახეში მითავაზა. ასე რომ, საკუთარი ხელით კარგა გვარიანად მცემა და წავიდა, ჩემი ხელის მტევანიც წაიღო.

– ფული გქონდათ?

– კი, როგორ არა!

– ხომ არ წაურთმევია?

– არა!

– თქვენი ხელის შუა თითზე ძვირფასი ბეჭედი ვნახე, შეიძლება ეს იყო ბოროტმოქმედების მიზეზი?

– არა, გაძარცვა გამორიცხულია, თორემ ფულსაც წაიღებდა...

– აბა, თქვენ როგორ ფიქრობთ, რა მიზანი უნდა ჰქონოდა სხეულის მძიმე დაზიანებას?

– რა და, ახალგაზრდები ძირფესვიანად გაფუჭდნენ – თავი წამოყო ჯალილის გვერდით საწოლზე, წოლით რეჟიმში მყოფმა სამოცდაათიოდე წლის მამაკაცმა – სულიან–ხორციანად გაიხრწნენ, ბოროტნი და უსულგულონი გახდნენ. ისინი ვერასოდეს შეძლებენ ჩვენს დროინდელ ახალგაზრდობის მიბაძვას. დღევანდელ თაობას არ შესწევს იმ კულტურის შენარჩუნების უნარი დღემდე რომ მათთვის შემოგვ-

ინახავს. აღვირახსნილობა, სექსუალური გახრწნილება და მუშტის მოღერებაა მათი საქმე...

– რას ამბობ, რას? ძალიანაც ცდები მეზობელო! – შეეპასუხა ჯალილი – შენ რასაც ამბობ, იმავეს ამბობდა ჰეროდოტე VIII საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე: – „თუკი დღევანდელი ახალგაზრდობა ხვალ მართვალ–გამგებლობის სათავეებს ხელთ იგდებს, ჩვენი ქვეყნის მომავალზე ყოველგვარი იმედი დამეკარგებაო, რადგან ამჟამინდელი ახალგაზრდობა სასტიკად აუტანელია, თავაშვებული, ერთი სიტყვით, საშინელზე საშინელიაო“ და არა მარტო ჰეროდოტე. აი, რას წერს VIII საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე სოკრატე: „თანამედროვე ახალგაზრდობას ფუფუნება უყვარს. ცუდად იქცევიან, დასცინიან უფროსებს და ოდნავადაც არ სცემენ პატივს მოხუცებს, ახლანდელი ბავშვები ტირანებად იქცნენ, უზრდელობენ, ოთახში შემოსულ ხანდაზმულ ადამიანს ფეხზე ადგომით არ ეგებებიან, მშობლებს ეურჩებიან ერთი სიტყვით, ძალზედ ცუდები არიან“...

ხუთი ათასი წლის წინანდელი ეგვიპტელი ქურუმის ნაღაღადევი კი ასეთია: – „ჩვენმა სამყარომ კრიტიკულ სტადიას მიაღწია, ბავშვები უხეშობენ, მშობლებს აღარაფერს უგონებენ, ეტყობა ქვეყნის დასასრული მოგვიახლოვდა“. ასეთი ქადაგებების შემდეგ მრავალმა „უგერგილო“ ახალგაზრდამ შემოგვიანახა მსოფლიო და იმ ახალგაზრდათა ნაშიერი ხარ შენც, კმაყოფილი არასოდეს ყოფილა უფროსი თაობა უმცროსზე, მაგრამ მაინც ისინი პირველნი ეგებებიან განსაცდელს,. მათ ატყდებათ თავს ომები და რევოლუცია, შიმშილი და განუკითხაობა. რატომ გიკვირთ, რომ თანამედროვე ახალგაზრდას არ მოსწონს ჩვენი ზნე–ჩვეულებანი? კულტურული პროგრესი წინ მიდის, განათლებისა და ცივილიზაციისაკენ. როგორც შენ არ მოგეწონებოდა დღეს გამოქვაბულში მცხოვრებ წინაპართა კულტურა, შეიძლება ისე არ მოეწონოს თანამედროვე ახალგაზრდას შენი ყოფითი მისია და ამიტომ განა დასაძრახნი არიან?

– კარგი რა, თუ ღმერთი გწამს – შეეპასუხა ისევ მეზობელი – ელგა კი გამალებით იწერდა ყოველ სიტყვას. მიუხედავად იმისა, რომ მიკროფონი ჩართული ჰქონდა და გამალებით ტრიალებდა მაგნიტოფონის ფირი. – იცი შენ მე რისთვის მოვხვდი ტვინის შერყევით საავადმყოფოში?

– არ ვიცი, მაგრამ ვგრძნობ არც ადრე გექნებოდა ტვინი დალაგებული. მოგვიყევი, ალბათ ჩვენს ახალგაზრდა გამომძიებელსაც დააინტერესებს შენი ტვინის შერყევის ამბავი. ოღონდ ცოტა ფრთხილად, ახალგაზრდების ლანძღვას მოერიდე.

– არც არაფერს დავაკლებ და არც არაფერს მივუმატებ, როგორც მოხდა, იმასვე მოგახსენებთ, ერთი კვირის წინ თბილისში ვიყავი შვილიშვილების სანახავად, იქ სწავლობენ, რამდენი ხანია დედაქალაქში აღარ ვყოფილვარ, ქალაქს მთლად უცვლია იერი, რუსთაველის პროსპექტს დავუყევი და ქაშუეთის ეკლესიას რომ გავუსწორდი, წმინდა გიორგისათვის სანთელის ანთება მომინდა, მეორე მხარეს გადასვლა დავაპირე, მაგრამ გადასვლა არ გინდა.? ერთი ერთმანეთს კუდში მიჰყვებიან და წივილით მოძრაობენ ავტომობილები, მაინც რა ქარხანამ გამოუშვა ამდენი, იქვე ახალგაზრდები კოკა–კოლას წრუპავდნენ, ერთ–ერთმა შემამჩნია, რომ მეორე მხარეს მინდოდა გადასვლა და მომიახლოვდა. – ბაბუ, მეორე მხარეს გინდა გადასვლა? – თავაზიანად შემეკითხა. კი–მეთქი თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე, – მოდი მე დაგეხმარებიო. ხელი გამომდო და ავტომობილების მოძრაობისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია, გზის ცენტრამდის მიმიყვანა, იქ სადაც თეთრი ხაზია გავლებული დამტოვა და თვითონ უკან გამოიქცა. საგონებელში ჩავვარდი, ვიღუპები კაცი, ვეღარც წინ მივდივარ და ვეღარც უკან მოვდივარ. ასე ვიდექი რამდენიმე საათს მართალია ეკლესიაში შესვლა ვერ მოვახერხე, მაგრამ იქიდან კარგად ჩანდა ქაშუეთი და ყველა ლოცვები ადგილზევე ჩამოვილოცე რაც ვიცოდი. ამ განსაცდელში ვიყავი, ჩემთან ერთმა ახალგაზრდამ მოირბინა – სად მიდიხარ ბაბუ, ამ შუა გზაზე რომ დამდგარხარ, გორელი

ხომ არა ხარო?! მითხრა, ვიფიქრე, შევუცნივარ, რომ გორელი ვარ–მეთქი და გამეხარდა – მოდი მე დაგეხმარები და მეორე მხარეს გადაგიყვანო – მითხრა, ხელკავი გამიკეთა და ისევ უკან გადმომიყვანა. გამიხარდა. ისე გაიხარა თქვენმა მტერმა, მიმატოვა და ისიც სადღაც წავიდა, ვიფიქრე ამათი გასაცუცურაკებელი ვარ–მეთქი და წასვლა დავაპირე, მაგრამ ამ დროს კიდევ სხვა ახალგაზრდა მოვიდა ჩემთან – სად მიდიხარ ბაბუ, მეორე მხარეს თუ გინდა გადასვლა მე დაგეხმარებიო, მოთმინების ფიალა ამევსო და ვუპასუხე: – ბაბუ, იცი რას გეტყვი? ჩვენი დროის ხალხი ცოლს რომ ირთავდა, სამი თვის ფეხმძიმობის შემდეგ აღარ ეკარებოდა, ექვსი თვე ცოლთან აღარ წვებოდა, ახლა კი ბავშვის გაჩენამდე სარეცელს არ სცილდებიან ცოლთან, ამიტომ დაბადებამდე, დაბადების შემდეგაც შენცა და შენი ამხანაგებიც ყველანი პიდარასტები ხართ. ეს რომ ვთქვი მახსოვს, ისიც მახსოვს, ახალგაზრდამ ხელი რომ აიქნია, მაგრამ არ მახსოვს, ქარმა წამაქცია თუ დარტყმამ და საავადმყოფოში ამოვყავი თავი.

– შე მამაცხონებულო კაცისათვის გითქვამს პიდარასტი ხარო და აბა, რას მოელოდი მისგან? – გაეპასუხა ჯალილი.

– როგორ არ იყო თუ? – ისევ გაბრაზება დაეტყო „მეზობელს“.

– თუ იყო, საკადრისიც მიიღე, რას დამდგარხარ უსაქმურივით ქუჩაში, სადაც მიდიოდი ვერ მიდი დროულად?

– არ გესმის, მინდოდა მელოცა–მეთქი?

– ხომ ილოცე გზაზე, რატომ არ გიშველა წმინდა გიორგიმ?

– აბა, რას გაიგონებდი ამდენი მანქანის ხმაურში და მაინც მიშველა, უბრალოდ ტვინის შერყევით გადავრჩი.

– ტვინი ადრეც გქონია შერყეული, თორემ ქაშუეთის ეკლდესიასთან მიწისქვეშა გადასასვლელია და იმით ვერ ისარგებლე?

– ქაშუეთის ეკლესიასთან, სადღაც ახლოს აღა–მაჰმად–ხანის განძიც არის დამარხული, მაგრამ მიგნება არ უნდა?

ასე ვერ მივაგენი მეც იმ მიწისქვეშა გადასასვლელს, რომელიც საერთოდ არ ვიცოდი, არსებობდა თუ არა.

– გულიანად გამაცინე ბაბუ, ცხოვრებისეული ანეკდოტი მოგვიყევი – წარმოთქვა ელგამ.

– ანეკდოტი კი არა, ის ვთქვი, რაც თავს გადამხდა! – მუშტრის თვალით შეხედა მოხუცმა.

– ჰო, კარგი, შენებურად იყოს, მხოლოდ ახლა მაპატიეთ, ჯერ საუბარი ჯალილთან არ დამიმთავრებია, გთხოვთ, ბიძია ჯალილ, საუბარი განვაგრძოთ, ისევ გიმეორებთ შეკითხვას, რა მიზანი უნდა ჰქონოდა თქვენი სხეულის დაზიანებას?

– არის მიზეზი, ცხოვრებაში ჩემ მიერ დაშვებული შეცდომა და ქართველების სიძულვილი!

– მაინც რა არის ასეთი?

– ძნელი ისტორიაა, თავს შეგაწყენ, ალბათ!

– ნუ მოგერიდებათ!

– როგორც მოგახსენეთ, ბროწეულით ვვაჭრობ–მეთქი. ამ თორმეტიოდე წლის წინ ვარკეთილში, „თათრის ბაზარს“ რომ ეძახიან, იქ გავაწყე დახლი, ლამაზად მოვაწყე ბროწეულები, ერთი ცალი გავხლიჩე, რომ უფრო მიმეზიდა მყიდველი, გახლეჩილი ბროწეულიდან ერთმა წვეთმა ჩამოჟონა და დახლზე დაეცა. ბროწეულის ეს ერთი წვეთი მზის სხივზე ისე აკიაფდა, თითქოს ბრილიანტის წმინდა თვალი ყოფილიყოს და შიგ ჩაწნული მთელი მზე, ამ ერთი წვეთის სამზერლად მრავალი გამვლელიც კი შეჩერდა, გამვლელთაგან ჩემ წინ ერთი ბავშვი შედგა, პირველად ბროწეულებს შესცქეროდა და გაღიმებული სახით შემდეგ მზერა იმ ერთ დაღვრილ წვეთზე გადაიტანა და საჩვენელი თითი გააპარა, რათა შეხებოდა იმის სილამაზეს, მაგრამ დღესაც არ ვიცი, რა ბუზანკალმა მიკბინა, ალბათ ქართველების სიძულვილმა იჩინა თავი, უყოყმანოდ დანას დავწვდი, მოვიქნიე და წვეთს მიახლოებული ბავშვის თითი დახლზე დარჩა, ერთი წვეთი სისხლიც არ დაღვრილა, ბავშვმა მარცხენა ხელი იტაცა თითზე და გაიქცა, თორმეტი–ცამეტი წლის თუ იქნებოდა, შვიდი ნოემბერი იყო რა დამა-

ვიწყებს, ქვეყანა არეული იყო და არ ვიცი, ალბათ მეც ამ არეულობითა და განუკითხაობით ვისარგებლე. კანონის გამ-კითხავი აღარავინ იყო, ყველა ეროვნულ–პარტიულ მოძრაობაში იყო ჩაბმული, აყალიბებდნენ ახალ პარტიებს, დევნიდნენ უძლურებს და სათავეში ძლიერები იკავებდნენ ადგილს, არავის არ ესმოდა, რომ ხალხს სიკეთეს არ მოუტანდა მორალურად დაძველებული, ეროვნულ–პატრიოტული მოტივებით გაჟღენ-თილი თანამედროვე ახალგაზრდების ქუჩური გამოსვლები, ყველგან ლოზუნგები. მოღერებული მუშტები, ყვირილი, გნია-სი. სამშობლო, დემოკრატია, თავისუფლება, კარგი იყო ეს სიტყვები, როდესაც პირველად ითქვა პარიზის კომუნის დროს, მაგრამ ახლა გაუფასურდა ზედმეტი ხმარებისაგან და როგორც სხვებთან, ჩემშიც უკურეაქცია გამოიწვია, ყველა თავისებურად ებრძოდა ცხოვრებას, მეც ჩემებურად შევებრძოლე და აი, ბრძოლის შედეგიც, თავად ხედავთ. გვიან მივხვდი არ უნდა მივყოლოდი ცხოვრების დინებას, მე ისევ ჩემებურად – ძველე-ბურად უნდა მეცხოვრა, დინებას მხოლოდ მკვდარი თევზები მიჰყვებიან, მე დინების საწინააღმდეგოდ უნდა გამეშალა იალქანი და მაშინ ვიქნებოდი კარგი მესაჭე, მაგრამ ახლა ამაზე ფიქრი წყლის ნაყვაა.

ჰო, იმას გეუბნებოდი, პირველად ის ბავშვი, რომელსაც თითი მივასხიპე, თითშეხვეული მომელანდა, შემდეგ დოლბანდ-შეხსნილი და უთითოდ, ჩემს თვალს წინ იზრდებოდა და თანდათან მიპყრობდა შიში, თქვენ კი კარგად მოგეხსენებათ, შიშს შეუძლია ადამიანის ფსიქიკა დაარღვიოს და ფეხების ჩაკვრა გამოიწვიოს, რასაც მედიცინის ენაზე ლოტოსი ჰქვია. იგი თავის ტვინთანაა დაკავშირებული და შეიძლება ადამიანის მთლიანი დაკრუნჩხება, ან დაკოჭლება. ამიტომ გადავწყვიტე თბილისს გავრიდებოდი და სხვა ქალაქში გადავსულიყავი, მაგრამ როგორც ხედავთ აქაც მომაგნო ჩემმა ბედისწერამ, შეიძლება მკითხოთ, რატომ არ წავედი საქართველოდან. მარ-თალია უფრო თავდაზღვეული ვიქნებოდი, მაგრამ მე საქართვე-ლოს გარეშე ცხოვრება არ შემიძლია, მიყვარს საქართველო

და სიყვარული კი, მოგეხსენებათ, ყველაზე ძლიერი ნარკოტიკია, რაც კი ოდესმე კაცობრიობას გაუსინჯავს, განშორება მას ვერ ჰკურნავს და არც არანაირი წამალი არ არსებობს მის განსაკურნავად. სიყვარული მარტო ქალ–ვაჟის გატაცება არ არის, რომელიც მე არ გამომიცდია. სამშობლოს სიყვარული გაცილებით ძლიერი მეჩვენება ყოველგვარ სიყვარულზე, ის თავის ნებაზე ატარებს ყველას და ბოლოს ან მოგკლავს, ან ნებას მოგცემს გამოწუწნო და დატკბე მისი ნექტარით. ასეთი სიყვარულის დამარცხება შეუძლებელია, მკვდარსაც მიაქვს თავისი სიყვარული იმ ქვეყნად. ახლა მგონი ვამთავრებ თქვენთან საუბარს და არა როგორც გამომძიებელთან, არამედ როგორც ადამიანთან. ერთი თხოვნა მაქვს, რომელიც ქართველის მტკიცე ფიცით უნდა შემისრულო. თუ ჩემს დამხეიბარებელს იპოვით, ჩემს წაჭრილ მარჯვენაზე რომ ბრილიანტის ბეჭედია, ჩემგან საჩუქრად მიართვით და თუ სხვა დანაშაულიც არაფერი აქვს, ჩემი დახეიბრება აპატიეთ!

– თქვენი თხოვნის შესრულება კანონით მართლმსაჯულებისაგან შეუძლებელია, ბეჭედი თქვენ დაგიბრუნდებათ, როგორც დაზარალებულს და შემდეგ, თქვენი სურვლისამებრ გაასაჩუქრეთ. რაც შეეხება თქვენი სხეულის დაზიანებას, თუ მას თქვენი მხრიდან მომჩივანი არ ეყოლება, სასამართლო გაიზიარებს ამ მდგომარეობას და ვნახოთ, რა განაჩენს გამოიტანს.

– ხომ შეიძლება სასამართლომდე არ მივიყვანოთ საქმე?

– როგორ შეიძლება, როდესაც ნივთმტკიცება, თქვენი მოკვეთილი მარჯვენა, პროკურორთან ინახება?

– ასე ჩემთანაც ინახება წაკვეთილი თითი, მაგრამ მისმა პატრონმა ნაღდი ქართველობა გამოიჩინა, პოლიცია კი არ დამაყენა თავზე, თვითონ გამისწორდა.

– ახლა თქვენც გინდათ მართლმსაჯულებას აარიდოთ თავი და პირადად გაუსწორდეთ?

– ღმერთმა დამიფაროს, ოღონდ ის არ ჩაიდებდეს გულში ბოროტ ზრახვებს და ღმერთთან დავიფიცებ, რომ ბარი–ბარში ვართ.

– შეიძლება ის ადამიანი დესპოტია და არაერთი დანაშაული ჩაუდენია, მსგავსი ამ დანაშაულისა?!

– ჯერ ერთი გთხოვთ, თუ სხვა დანაშაული არა აქვს ჩადენილი, ჩემი სხეულის დაზიანება აპატიეთ–მეთქი, მეორეც დესპოტები, მართალია, სხეულზე ხმარობენ ძალადობას და სულზედაც ბატონობენ, მაგრამ ის ადამიანი არა მგონია იმ წრეს განეკუთვნებოდეს, აი, თქვენ თუ ამ საქმეს არ მოაქრობთ, შემიძლია დესპოტად ჩაგთვალოთ და მართალიც ვიქნები, რადგან სახელმწიფოსაც და ადამიანებსაც ზარალს მიაყენებთ, ადამიანს სულიერად გარდაქმნით კეთილიდან ბოროტისაკენ, რადგან ციხე, როგორც თქვენ იცით გამოსასწორებელი ადგილი კი არა, გარყვნილთა ბუდეა, საიდანაც უწყინარი მტრედი მტაცებელ ორბად გამოვა. მეორე, სახელმწიფო ზარალი რომ გავითვალისწინოთ, თქვენ კანონი ვალდებულს გაგხდით, ერთი თვე, შეიძლება მეტიც, იმდენი ქაღალდი დაწეროთ ამ უმნიშვნელო საქმეზე, რომელიც მინიმუმ ოთხმოც კვადრატმეტრ ოთახს გააშპალიერებს. რა თქმა უნდა, თქვენ იშრომებთ და ხელფასიცა და ქაღალდის ხარჯიც სახელმწიფომ უნდა გაიღოს.

– ერთობ მაკვირვებს თქვენი განათლება ბიძია ჯალილ, რა პროფესიის ბრძანდებით?

– მე განათლება არა მაქვს, უბრალოდ კარგი მახსოვრობის უნარი მაქვს და წიგნების კითხვა მიყვარს. ყველაზე მეტ წიგნს ვინ კითხულობს იცით? პატიმარი, დრო აქვს და წიგნები, რა უნდა გააკეთოს უფრო სასარგებლო თავის თავისთვის, თუ არა წიგნთა სიბრძნის ათვისებისა, წიგნებს აქვთ უკვდავების ძალა, წიგნი ადამიანური საქმიანობის ყველაზე დღეგრძელი ნაყოფია – „წიგნი იყვნენ შენდა საზრდოდ და განსძლიე საამო საზრდელითა, ისინი იყვნენ შენდა ლოგინად და დაიძინო მშვიდობიანი ძილითა“ – ამბობს ბრძენი.

– რა დანაშაულისათვის იხდიდით სასჯელს?

– მე არ მითქვამს სასჯელს ვიხდიდი–მეთქი, თქვენ უთქმელადაც მიმიხვდით და მაინც მოვიხადე მოსახდენი, ახ-

ალგაზრდობაში შემხვდა პატარა გაუგებრობა, რომელიც ძიებ-ბის მომენტში საკმაოდ გაიზარდა და გვარიანადაც მომის-აჯეს.

— სად მოიხადეთ სასჯელი?

— შორს, ძირითადად ტიუმენის ოლქში!

— კიდევ ერთი შეკითხვა და საუბარიც დასრულებულად ჩავთვალოთ, ბიძია ჯალილ თქვენ როგორც აღნიშნეთ, ძლიერ ხართ შეყვარებული საქართველოზე, მაგრამ ქართველები კი არ გიყვართ. ხომ ვერ მეტყვით, რა არის ქართველთა სიძულ-ვილის მიზეზი?

— ქართველთა სიძულვილის მიზეზი ის ადგილებია, სა-დაც სასჯელს ვიხდიდი, მათ მომაყენეს სხეულისა და სუ-ლის ჭრილობა, რომელიც სიკვდილზე ათასწილ უარესია.

— მართალია, დღევანდელ ძიებასთან არავითარი კავშირი არა აქვს თქვენს წარსულს, მაგრამ მაინტერესებს ქართველ-თა სიძულვილის მიზეზი და გთხოვ მითხრა მხოლოდ სიმა-რთლე და არა ისე, რომ საკუთარი თავი გაამართლო და სხვა გაამტყუნო...

— ასეთი ჩვევა არა მაქვს, საუბარი ლოცვასა ჰგავს, ლოცვით ღმერთის წინაშე უნდა იყოს მართალი და საუბრით ადამი-ანის წინაშე, თორემ დადგება განკითხვის ჟამი და ყოველი სიტყვისათვის მოგვეკითხება, „მოარიდე ენა შენი სიცრუისა, საკუთარის კარგად და სხვისას ავად ხსენებასა. ნაცვლად სიცრუისა ბაგენი შენი გალობდნენ ტკბილ ჰანგთა სიმართ-ლის საგალობელს“. თხოვნას შეგისრულებ, მაგრამ ვშიშობ, ვერაფერსაც გამიგებ, ჩვენი პედაგოგები გიჟები ხომ არ გგონია თეორიულ სწავლებასთან ერთად პრაქტიკული გამოცდილე-ბაც რომ შეიტანეს სასწავლო პროგრამაში? ჩემი მონათხრობი თეორია იქნება და განა გაიგებ იმის გემოს, შავი პურის ქერქის ნაცვლად არყის ხის ფესო და ქერქი რომ გვიჭამია? პრატიკულად უნდა გამოსცადო სიბნელე, დღის, სინათლის ფასი რომ გაიგო, პატიმრის ცხოვრება იგივეა, უყურო მირაჟს და დაელოდო მზის ამოსვლას. წყვდიადში მყოფი, პატიმარი

ელოდება მზის ამოსვლას – თავისუფლებას! – შორიდან უყურო პატიმართა ცხოვრებას, ეს სულაც არ ნიშნავს რომ შენ ის დაინახე. თუ გსურს ჩაწვდე ამ სამყაროს სუნთქვას, ის შინაგანად უნდა დაინახო, ყოველი პატიმრის სხვადასხვაგვარად გადადგმული ნაბიჯი უნდა დაითვალო და გაისიგრძეგანო. ამ საქმეს არ ჰყოფნის ერთდღიანი რომანტიკული ექსკურსია. წლები სჭირდება რომ „იქაური“ სამყარო ისე აღწერო, როგორიც სინამდვილეშია, განა ცოტა მწერალმა აღწერა უდანაშაულო თუ საშიშ ბოროტმოქმედთა ცხოვრება ციხის პირობებში? მელნის ზღვაა დაღვრილი ადამიანთა ძალმომრეობის ისტორიის აღსაწერად და მაინც ცოტაა, რადგან არცერთ ღირსშესანიშნავ მწერალს საკუთარ მხრებზე არ დაუდგამს პატიმრის უღელი.

– როგორ, ბიძია ჯალილ, თქვენ მისურვებთ იმას, საკუთარი თვალით ვნახო ის განსაცდელი, რომელიც თქვენ იწვნიეთ?

– ღმერთმა დაგიფაროს, შენ კი არა, იმასაც არ ვუსურვებ ვინც ასე დამასახიჩრა. ჰო, იმას გეუბებოდი, ქართველთა სიძულვილზე. აბა, როგორ მიყვარდეს, მე მათ მთელი არსებით შემძრეს, სიცოცხლე მომისპეს, გამწირეს და დამკოდეს, ერიც შემაძულეს.

– როგორ, დაგასაჭურისეს?

– არა, მაგ სიტყვის მნიშვნელობა მეც კარგად მესმის, ვიცი რაც არის დასაჭურისება, მაგრამ კი არ დამასაჭურისეს, დამკოდეს ისე, როგორც ხარებს კოდავენ და მერე იცი რისთვის? „ცოლად“ შევირთე ერთი ბაქოელი, ჩემი რჯულისა და ჯილაგის ახალგაზრდა ბიჭი. ქართველებმა არ მაპატიეს, რატომ გააფუჭეო ახალგაზრდა „კაცი“ და დამკოდეს, ეს ამბავი ზონაში გახმაურდა, სირცხვილსა და შეურაცხყოფას ვეღარ გაუძლო იმ ჩემმა „ცოლმა“ და თავი ჩამოიხრჩო. ასე დაგვღუპეს ქართველებმა, ის–ხორციელად, მე კი–სულიერად.

– ყოჩაღ, ქართველებო, არც შორეულში დაუკარგავთ ვაჟკაცობა და სიმართლის სამსახური.

– გაიძახით სიმართლე–სიმართლე, სად არის სიმართლე ან რომელ ეპოქაში იყო ის მამაცხონებელი სიმართლე, განა ჩემი დაკოდვით სიმართლე დამყარდა დამნაშავეთა სამყაროსა და მთელ ქვეყანაზე? მოისპო მამათმავალთა თარეში ზონებში? იმ ქართველებმა კიდევ დაიცვეს სიმართლე და კინაღამ ყველა კავკასიელი შეეწირა იმ სიმართლეს. სომხებს აუჯანყდნენ რუსები, რას ჰქვია თქვენ კათოლიკები ხართო. რა თქმა უნდა, ეს საქმე ზემოდან იყო ჩაწყობილი და ატყდა ზონაში ერთი ალიაქოთი. ქართველებმა იმ წამსვე აისხეს აბჯარი და სომხებს მიეხმარნენ, მეც გადავეშვი ბრძოლაში და სწორედ მაშინ შემარქვეს „бурый медвьедь“ არ დავიტრაბახებ და მე რომ მათ არ დავხმარებოდი, ქართველები ვერ გაიმარჯვებდნენ.

– არადა ქართველები მძულსო? რატომ დაეხმარე?

– ქართველები რამდენადაც მძულს, იმაზე მეტად მიყვარს! მძულს, ვინც პირადად ჩემი დამღუპველნი არიან, მიყვარან ისინი, რომლებიც სიმართლის კანონებს ერთნაირად ემსახურებიან მტრის ბანაკშიც და მოყვასის საზეიმო სუფრაზეც,. „გიყვარდეს მტერი შენი“. ეს სიტყვები ერთ–ერთი ღვთიური მცნებაა, მტრის სიყვარული სამოთხის რკინის ჭიშკარია, რომელიც მხოლოდ სიყვარულით იღება და გვაზიარებს ღვთიურ საიდუმლოს, ეს არის სინათლე წმინდა სანთლისა, რომელიც აცისკროვნებს უფლისკენ მიმავალ გზას და ვაღწევთ ღმერთის ხელუთქმელ ტაძრამდე. ვიცი, თქვენ შემედავებით, თუ გვეყვარება ჩვენი მტერი მაშინ, არ უნდა ვიბრძოლოთ უსამართლობისა და ბოროტების წინააღმდეგ, მაგრამ „გიყვარდეს მტერი შენი“ სულაც არ ნიშნავს, გიყვარდეს ბოროტება, ცოდვები და უსამართლობა, ერზე განრისხებულიც კი თითოეულ ადამიანში უნდა ვხედავდეთ ღვთის ხატებას, თითოეული ადამიანი სალოცავი უნდა იყოს ჩვენთვის, თუგინდ ის პატიმრობის ჭუჭყსა და მტვერში იყოს ჩავარდნილი, რადგან ერთ–ერთი მცნებაა „განკითხვა პატიმართა“. მტრის სიყვარული სულიწმინდის საჩუქარია და ყვე-

ლას როდი ეძლევა, მას მხოლოდ ღირსეული ადამიანები ღებულობენ უფლისაგან და სიყვარულისაკენ სამ სათნოებას მივყავართ: შერიგებას, მოწყალებასა და თავდაჭერილობას, როდესაც სიძულვილი და შურისძიება დულს ჩვენს გულებში, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი მტერიც, ისე როგორც თითოეული ჩვენგანი, ღვთის მსგავსი და ხატია. ჩვენ რა უფლება გვაქვს ღვთის ხატთან ვილოცოთ და გვძულდეს მისი ხატება? ქართველების დახმარების ჩემი მეორე მიზანი ისიც იყო, რომ მე კავკასიელი ვიყავი და საერთო მტერი გვებრძოდა. თუ ქართველებს დაამარცხებდნენ ვიცოდი, მეც გამანადგურებდნენ.

– ბიძია ჯალილ, ამდენი სიბრძნე ჯერ არავისგან მომისმენია! ახლა წავალ და სულ მოკლე დროში კიდევ გეწვევი – თქვა ახალგაზრდა კვალმაძიებელმა და წასასვლელად წამოდგა, ჯალილს არ შეუჩერებია მხოლოდ პოეტური რიხით წარმოთქვა:

*„იძირება ხშირად მძიმე ხომალდი,.*
*კაცის ღონე ფუჭად დაიხარჯება...*
*სიბრძნის სიტყვა სიმსუბუქით გადმოგეც,*
*მე წავალ და ის კი თქვენთან დარჩება!..“*

ელგას კმაყოფილების ღიმილმა გაუპო ბაგე და ლამაზ ღაწვზე ფოსო გაუჩნდა, გულდასმით გამოეთხოვა პირველად ძია ჯალილს, შემდეგ მის მეზობელს და საუბრით, მართლაც, ტვინდამძიმებულმა დატოვა საავადმყოფო. გვიანი იყო, როდესაც სახლში დაბრუნდა, მშობლებს დაგვიანების მიზეზი ვერ აუხსნა, უხმოდ ივახშმა, ლაპარაკის თავი აღარ ჰქონდა და თავის საძინებელ ოთახში, წამოწვა, მაგრამ ფიქრებმა მოსვენება არ მისცა, ერთი და იგივე აზრი აეკვიატა: ვინ არის „უთითო რაინდი“, რა ჰქვია, რა გვარისაა, როგორ იპოვოს, რა ცოდვაა ახალგაზრდა კაცი უთითოდ, ეს ერთ–ერთი ნაკლია მისი სულით მდიდარი ორგანიზმისა, თუმცა ჯალილიც ხომ

ცოდვაა, მაგრამ მის სულში ეშმაკი მჯდარა სიყმაწვილიდანვე და ახლა ლაპარაკობს ფერადი სიტყვებით. ვინ იცის, ახლაც ეშმაკის მსახურია – ერთს ფიქრობს და მეორეს ლაპარაკობს. „უთითო რაინდი“ მთელი საქართველოა, მის წაკვეთილ თითში საქართველოს რელიქვიებს მივჩერებივარ, იმ ნანგრევებს, რომელიც შემოსევებსა და დრო–ჟამს დაუნგრევია და რომელთა ხილვაც ჯერ კიდევ შეიძლება, მე იმ უცნობის სახით, რომელმაც თავისი ნაკლის დიდება დაიცვა, ვხედავ, დიდი გონების ადამიანის ღვთაებრიობას, მან დამოუკიდებლად შეძლო, რისი აღსრულებაც თანამედროვე ახალგაზრდისაგან შეუძლებლად მიმაჩნდა, ეს აღმოჩენა სიძულვილს კი არა ბოროტმოქმედისადმი (თუ ამას ბოროტმოქმედება ჰქვია) უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს...

გვიან ჩაეძინა ფიქრებით დამძიმებულ ელგას და სიზმარშიც „თითწაჭრილი რაინდი“ გამოეცხადა, სწორედ ისეთი ჯალილმა რომ აღწერა, სრულებითაც არ ჰგავდა ზღაპრულ მეომარს, რომელსაც ხელი ხმალზე ჰქონდა დადებული და მზად იყო რბევისა და სისხლისღვრისათვის. არა, პირმცინარი ყმაწვილი ელგას მიესალმა, შემდეგ მოჭრილი თითიდან ბეჭედი წაიძრო და შუა თითზე გაუკეთა ქალიშვილს, ეს იყო და ეს. მოჩვენება გაქრა და ელგასაც გამოეღვიძა, დილის რვა საათი სრულდებოდა საჩქაროდ ჩაიცვა, ეჩქარებოდა, პროკურორისათვის გუშინდელი ძიების ანგარიში უნდა ჩაებარებინა.სამსახურში ადრე გამოცხადდა. ჯერ პროკურორიც არ იყო მოსული, მაგრამ დიდი ხნის ლოდინიც არ დასჭირვებია. პროკურორს, ფეხზე ადგომით მიესალმა ყველა დამხვდური, მანაც სალმითვე უპასუხა და ელგა კაბინეტში მიიწვია:

– აბა, მომახსენე გუშინდელი ძიების შედეგი!

ელგამ დაწვრილებით უამბო ყოველივე და ჯალილის ნაამბობიდან ჩვენების რამოდენიმე ფურცელი წინ დაულაგა.

– მდა, ძალიან კარგი, პირველი დღე წარმატებით ჩაგიტარებია, მაგრამ ჯალილის აღმოჩენა და იმისი ჩვენება არაფერი

ბედენაა ჩვენთვის, საჩქაროდ გვესაჭიროება იმ თითმოკვეთილი ყმაწვილის მოძებნა არა იმიტომ, რომ მან შური იძია თითის წამკვეთზე და ჩვენ გვეჩქარება იმისი დასჯა, არამედ სავარაუდოა, რომ მასთან ინახება ჰეროინის დიდი პარტია, და თუ საზოგადოებაში ამ საწამლავმა გააღწია, შესაძლებელია მთელი ქალაქის ახალგაზრდობა საფრთხეში ჩავაგდოთ.

– რას მირჩევთ თქვენი გამოცდილებიდან ბატონო გიორგი? – შეჰკადრა პროკურორს გამომძიებელმა.

– ის პიროვნება არა მგონია ნარკომანი იყოს და არც ვფიქრობ, ჰეროინი გამოიყენოს. არც ქალაქიდან მგონია გასული, შენ ხელთ გაქვს ნიშანი იმის ამოცნობისა და იმოქმედე დამოუკიდებლად, გახსოვდეს ადამიანის ფსიქიკა და ძიებისათვის გამოიყენე.

– ძირითადად რა გაქვთ მხედველობაში?

– ის, რომ დამნაშავე აუცილებლად მოინახულებს დანაშაულის ადგილს და შენც იმ ადგილებში იტრიალე, სადაც ჯალილ უსმანოვს ხელი წაჰკვეთეს. თუ საჭიროდ მიგაჩნიათ, რამდენიმე სამოქალაქო ფორმაში გადაცმული პოლიციელსაც გამოგაყოლებთ.

– არა, მგონი საჭირო არ იქნება, გმადლობთ რჩევისათვის, ბატონო გიორგი!

„მართალია, ბატონი გიორგი – ფიქრობდა პროკურორის კაბინეტიდან გამოსულ ელგა – მაგრამ სად ესეირნა მარტოდმარტოს ქუჩაში და ეძებნა დამნაშავე? უმჯობესი ხომ არ იქნება ჩემებურად მოვიქცე? გაიფიქრა და, მართლაც, თავისებურად მოიქცია: „დეზერტირების ბაზარზე“ წავიდა, ორი ყუთი ბროწეული და ორი ყუთი ლეღვი იყიდა, ეს ორი ხილი ამ დროისათვის იშვიათობა იყო და მოთხოვნილებაც მეტის ჰქონდა, რადგან ბროწეული ახლა შემოდიოდა ბაზარში, ხოლო ლეღვის სეზონი მთავრდებოდა. შეძენილი ყუთები საკუთარი ავტომობილის საბარგულში მოათავსა და გორის საკოლმეურნეო ბაზარს მიაკითხა, ბაზრის დირექტორისაგან გაიგო, თუ რომელ ადგილზე ვაჭრობდა ჯალილ უსმანოვი. მართალია

ადგილი დაკავებული იყო, მაგრამ დირექტორის დახმარებით მიზანს დაუბრკოლებლად მიაღწია და დახლზე ჯალილის ადგილი დაიკავა, თავის პროდუქციას, რომ არავის ეყიდა, ორმაგი ფასი დაადო. თუ ვინმე შეეკითხებოდა, „ასე ძვირად რატომ ჰყიდიო“, ღიმილით ეუბნებოდა, მეც ძვირად ვიყიდე, თბილისში და ცოტა მოგება ხომ უნდა დამრჩესო“, მთელი დღე დახლთან იდგა და თან გამვლელ–გამომვლელს ათვალიერებდა, მაგრამ პირველმა დღემ უშედეგოდ ჩაიარა, ვერც ერთი კილოგრამი ვერ, თუ არ გაყიდა თავისი პროდუქციიდან და საღამო ხანს ყუთები საწყობს მიაბარა, თვითონ კი თბილისში დაბრუნდა, გული უგრძნობდა, საწადელს მიაღწევდა და მეორე დღეს პროკურატურაშიც არ შეუვლია პირდაპირ გორის, „საკოლმეურნეო ბაზარს“ მიაშურა, დილიდანვე თავისი ადგილი დაიკავა, ლოდინით გული გადაელია, მაგრამ მოთმინებით იტანდა ყოველივეს და თავს მაინც ბედნიერად გრძნობდა. „მოლოდინი, რომელიც იცი აგისრუდება, განა ბედნიერება არ არის?“ მხოლოდ ამ სიტყვებით იიმედებდა თავს...

მზე გადახრილი იყო, ნაშუადღევის ორი საათი სრულდებოდა, სწორედ იმ ახალგაზრდას მოჰკრა თვალი, რომელიც სიზმარში ნახა, შორიდან მზვერავის თვალით უყურებდა ჯალილის ყოფილ სავაჭრო დახლს, ელგას ქალისა და გამომძიებელის ალღომ ერთდროულად უკარნახა, თუ როგორ არ გაეშვა ანკესზე წამოგებული მსხვერპლი, ხელში ბროწეული აიღო, მზის სხივზე გახედა და გაუღიმა, ყმაწვილი გველისგან მონუსხული ბაყაყივით წამოვიდა, თვითონაც არ იცოდა, ბროწეულმა მონუსხა თუ მისმა გამყიდველმა, ახლოს მივიდა, ცოტახანს შეჩერდა, სიმორცხვემ სძლია და წასვლა დააპირა, მაგრამ გამყიდველმა შეაჩერა:

– რაო, ყმაწვილო, პროდუქცია არ მოგწონს თუ გამყიდველი? – მიმზიდველი ღიმილით შეეკითხა ელგა.

– ორივე სანუკვარია, მით უმეტეს მაშინ, თუ ორივე სარეალიზაციო. – უპასუხა ყმაწვილმა.

– არა, სამივე მე ხომ ლეღვიცა მაქვს გასაყიდად?

– ოო, ლეღვი მართლაც დეფიციტია ამ დროს, რა ღირს შენი პროდუქტი?

– შენ რომელი გაინტერესებს. ბროწეული თუ ლეღვი?

– გამყიდველი!

– ო, გამყიდველი ძვირი დაგიჯდებათ, ფულზე არ იყიდება, მას სიყვარული უნდა, რომელიც ყველამ არ იცის და ფულით ვერასდროს იყიდით!

– ეჰ, ცუდად არის ცხოვრება აწყობილი, ადამიანი ყოველთვის იმას ნატრობს, რაც არა აქვს. მეც შენსავით ვნატრობ სიყვარულს, მაგრამ რატომღაც იგვიანებს და აღარც მგონია, თუ მოვა ოდესმე.

– ადამიანი იმედით ცხოვრობს, მოვა! – თქვა ელგამ და მხოლოდ ახლა შეამჩნია, მარჯვენა ხელზე საჩვენებელი თითი არ ჰქონდა ყმაწვილს, გაეღიმა, თავისმა აღმოჩენამ გაახარა ქალიშვილი, მაგრამ ყმაწვილმა იმის ღიმილში ვაჭრის ღიმილი ვერ აღმოაჩინა და დაიბნა, წასვლა უხერხულად ჩათვალა და მდგომარეობიდან რომ გამოსულიყო, საუბარი უნდა გაეგრძელებია, ინსტიქტურად წამოიძახა:

– რა ღირს თქვენი ლეღვი?

– თქვენ არა ხართ ამის მყიდველი, მაგრამ მაინც, სამი ლარი! – კეკლუცად უპასუხა ელგამ.

– რა ამბავია სამი ლარი, გეთსამანიის ბაღში ხომ არ დაგიკრეფიათ ასე ძვირს რომ აფასებთ?

– რა შუაშია გეთსამანიის ბაღი, ასეთი გამოთქმა პირველად მესმის!

– პირველად როგორ გესმის ყველა ქრისტიანმა იცის, რომ იერუსალიმში, გეთსამანიის ბაღში დგას ლეღვის ხე, რომლის ქვეშაც იესო ქრისტემ უკანასკნელი ღამე გაათია, ეს ხე ახლა დაახლოებით სამი ათასი წლისაა, მაგრამ ნაყოფს მაინც იძლევა და ყველა მორწმუნე ქრისტიანი ცდილობს მიიღოს იმის ნაყოფი, რადგან სჯერათ ღვთიური ძალა გადმოვა მათზე.

– არა, ძვირფასო, ჩემი ლეღვი გეთსამანიის ბაღში დაკრეფილი არ არის და ვერც მოგატყუებთ, მასზე ღვთიური ძალა

არ გადმოდის, საკუთარ ბაღში დავკრიფე და სიყვარულით არის გაჟღენთილი, – ელგას თვითონ უკვირდა ასეთი თავაშ-ვებული საუბარი ვაჟთან. ეს პირველი მამაკაცი იყო, რომელთ-ანაც ასე თამამად საუბრობდა სიყვარულზე, და რამ განა-პირობა ეს, თვითონაც ვერ აეხსნა. მართალია ვაჟი მოშორე-ბით იდგა ელგასაგან, მაგრამ იმხელა სითბოს გამოსცემდა, ფარულ ცეცხლს უკიდებდა საუბრისას და თავისკენ ეწეოდა, რათა ხელები მოეთბო ან დაფერფლილიყო ამ ცეცხლის ალზე, მაგრამ ეს ხომ შეუძლებელი, იყო მას ბოროტმედი უნდა აღმოეჩინა და არა სიყვარული. ვინ იცის, კიდევ რამდე-ნი დანაშაული აქვს ჩადენილი. არა, არ იკადრებდა, სიმპათი-ური ახალგაზრდაა, ჰო, ყველაზე სიმპატიური ყმაწვილი იყო ლუჩანო, მაგრამ მსოფლიო აალაპარაკა ჩადენილი ბოროტმო-ქმედებით, კითხვებს თვითონვე სცემდა პასუხს და ვერ წარ-მოედგინა კანონისათვის ეღალატა თუ ახლად მოფრენილი სიყვარულისათვის.

იგივეს ფიქრობდა და განიცდიდა ყმაწვილიც, თუმცა, უხილავი ძალა სიფრთხილისაკენ ექაჩებოდა ადამიანი ყოვ-ლად უხეიროა და უნიათო, როდესაც სერიოზული საქმის გადაწყვეტა თავის სასარგებლოდ უხდება, მაგრამ მოგეცა ლხენა, თუ სხვისი საქმეა გადასაწყვეტი ბრძენთა–ბრძენია, ჭკვიანი და მსაჯული, ქვეყნის გამკითხავი. ასე იყვნენ ეს ახალგაზრდებიც, თითქოს სიყვარულის ღმერთმა მიაჯაჭვა ერთმანეთს და თვითონვე დაარქვეს ამ განცდას სიყვარული, რადგან სხვაგვარი არა გამოეცადათ რა. კაცობრიობას ჯერ კიდევ ვერ ამოუხსნია სიყვარული შთამომავლობით თანდაყ-ოლილი გენიალობაა თუ ახალგაზრდობის დროებითი გატა-ცება. სიყვარული შეიძლება ცოლის, შვილის, მშობლების და ყველა ახლობელი ადამიანის მიმართ გამომჟღავნდეს, მაგრამ ნაღდი სიყვარული მცდელობაა, მოსიყვარულეს გვერდით ყვე-ლა ბედნიერი იყოს, რადგან ის ძალზედ გულუხვი გრძნობაა და ყველა ადამიანის მიმართ სიკეთით არის გამსჭვალული, სიყვარულს ადამიანი პირადი სიკეთისა და კარიერისათვის

კი არ უნდა იყენებდეს, არამედ საკუთარ თავზე მაღლა უნდა აყენებდეს იმ პიროვნებას, რომელიც უყვარს და რომელსაც აღმერთებს, რომ სიყვარული მთელ ცხოვრებაზე და შთამომავლობაზე გავრცელდეს.

– ბოლოს და ბოლოს, შენ ლეღვს იყიდიდი თუ ბროწეულს? – ფიქრებიდან გამოიყვანა ვაჟი ქალიშვილის შეკითხვამ.

– არც ერთს! სამგზავრო ფული აღარ მრჩება, თორემ აი, იმ სოკოს ვიყიდიდი ახალგაზრდა ბიჭი რომ ყიდის!

– საით არის შენი მარშრუტი, შეიძლება ერთი გზა გვაქვს და მე წაგიყვან საკუთარი ავტომობილით

– თბილისში მივდივარ.

– თბილისელი ხართ.

– კი არსენას ქუჩაზე ვცხოვრობ, უმაღლესი სასამართლოს ზემოთ,

– ოჰოჰო, მთაწმინდელი ყოფილხარ, მე კი დიდუბეში ვცხოვრობ, წერეთელზე, პანთეონის გვერდით.

– სასიამოვნოა, რომ თბილისელი ბრძანდებით. ჩვენ უკვე გავიცანით ერთიმეორე, მე გაგი მქვია, მშვენიერაძე ვარ გვარად.

– გვარიც შესაფერისი გქონიათ და სახელიც. მოხარული ვარ თქვენი გაცნობით, მე ელგა ვარ აბაშიძე, შეგიძლიათ იყიდოთ სოკო, სახლამდის უხიფათოდ მიგიყვანთ და მეუღლეს ჩავაბარებ თქვენს თავს თუ არ იეჭვიანებს.

– დიდი მადლობელი დაგირჩებით, მეუღლის კი რა მოგახსენოთ, ჯერჯერობით ამ ბედნიერებას არა ვარ ნაზიარები.

– აბა, სოკოს თვითონ დაამზადებთ?

– დედა მყავს სახლში, მაგრამ სოკო განა იმისათვის მინდა, რომ გამოვძღე? ის სოკო საწამლავია, მინდა ვიყიდო და გადავყარო, რადგან ვიცი ვიღაცას მოწამლავს.

– ასე კარგად ერკვევით სოკოს გამოცნობაში?

– არა, მაგრამ ერთი კვირის წინ ასეთი სოკოთი მოწამლული სამი ადამიანი მოიყვანეს ჩვენთან საავადმყოფოში და ვერცერთი ვერ გადავარჩინეთ.

– ექიმი ბრძანდებით?

– დიახ!

– თუ ასეა, საჩქაროდ იყიდე, სხვამ არ დაგასწროს.

გაგი სოკოს გამყიდველთან მივიდა.

– რა ჰქვია ამ სოკოს?

– ქამა ბატონო! – იყო პასუხი.

– ჰო, ძალიან ჰგავს, მაგრამ ეს სოკო ქამა როდია, ყველა სოკოს აქვს თავისი ორეული, მათ შორის ქამასაც და ამას „თეთრი ქამა“ ჰქვია, აი დაუკვირდი, ქამას კირწზე გვირგვინი აქვს. ამას კი არა, ეს ერთი განსხვავება, მეორე – ქამას ძირა ფურცლები ვარდისფერი აქვს, ამას კი თეთრი. ამ სოკოს შხამს ვერც ხარშვა და ვერც თერმული დამუშავება ვერ სპობს.

– მერე რისთვის ყიდულობ, სიკვდილი გინდათ?

– სხვამ რომ არ იყიდოს, მე გავანადგურებ! – მტკიცედ წარმოთქვა გაგიმ, ყმაწვილს სოკოს საფასური გადაუხადა და ყველას თვალწინ სოკო სანაგვე ყუთში ჩაყარა.

– ადამიანს შეხედვით ვერ გამოიცნობ, სრულებით არ გეტყობათ ამხელა კეთილშობილება! – უთხრა ელგამ.

– არც თქვენზეა მორგებული ვაჭრის ხალათი, მაგრამ თვალი ეჩვევა! – თქვა გაგიმ იმ გაგებით, რომ „თქვენს სილამაზეს არ შეფერისო ვაჭრობა“, მაგრამ ელგამ სხვაგვარად აღითქვა ვაჟის ნათქვამი და ლოყები გაუვარდისფრდა, ვაჟმა თითქოს ვერ შეამჩნია ქალიშვილში ეს ცვლილება და უხერხულობის განმუხტვა მოინდომა.

– დღევანდელი დღე ვაჭრობაში წარუმატებლად და სიყვარულის აღმოჩენად ჩავთვალოთ, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, წავიდეთ.

– თანახმა ვარ! – წარმოთქვა ელგამ, ბროწეულისა და ლეღვის ყუთები ავტომობილის საბარგულში ჩააწყეს, შემდეგ ქალიშვილი საჭეს მიუჯდა და ავტომობილიც ნელი სვლით დაიძრა თბილისისაკენ, პირველად წყნარად მიდიოდნენ, ორივეს ეხათრებოდა მყუდროების დარღვევა, მაგრამ ზედმეტი დუ-

მილიც ლაყბობაზე უარესია. დუმილის გარემოებაში ადამიანი უძლურია, ის ვერ უმკლავდება შექმნილ მდგომარეობაში გამძვინვარებულ სტიქიონს, ამიტომ ერთ–ერთმა, მდგომარეობიდან გამოსავალი უნდა ნახოს და დროულად დაარღვიოს მყუდროება, სანამ უხერხულობა მორცხვობაში გადაიზრდებოდეს, თორემ შემდეგ სიწითლე და გაუგებარი ლუღლუღი მოსდევს უთავბოლო შეკითხვებს, ეს კარგად იცის გამომძიებელმა და მყუდროებაც პირველად მან დაარღვია:

– თქვენ ბრძანეთ ექიმი ვარო, არა?!

– დიახ!

– ალბათ ქირურგი ბრძანდებით!

– დიახ!

– ხელების მოკვეთის ოპერაციას ხშირად აკეთებთ?

– საჭიროების შემთხვევაში! იცი რას გეტყვი? თქვენ არა ხართ ბროწეულზე მოვაჭრე, ამას თქვენი სათუთი ხელები და გრძელი ფრჩხილები მაფიქრებინებს, არც ისეთი თავხედი ბრძანდებით, როგორც ვაჭარს შეეფერება, ამიტომ მოდი გულახდილები ვიყოთ, რად გვინდა კუკუ–დამალობანას თამაში, თუ არ ვცდები და ჩემი გუმანი არ მატყუებს, თქვენ პროკურატურის თანამშრომელი უნდა ბრძანდებოდეთ და ორი დღეა რაც ჩემს აღმოსაჩენად გაისარჯეთ, თქვენ გუშინაც ამავე ადგილზე „ვაჭრობდით“, მაგრამ არაფერიც არ გაგიყიდიათ, გამვლელ–გამომვლელს მეტად აქცევდით ყურადღებას ვიდრე მუშტარს, მე შორიდან გითვალთვალებდით და მეცინებოდა თქვენს გამოუცდელობაზე. დღეს გულმა ვეღარ მომითმინა და გამოგეცხადეთ, არ იფიქროთ, რომ მე თქვენ გემალებოდეთ, დანაშაულზე ადამიანმა მანამდის უნდა იფიქროს, სანამ ჩაიდენდეს, შემდეგ წუწუნი ვაჟკაცობად არ მიმაჩნია, არ მიყვარს ლაზღანდარა ბოროტმოქმედი, დამნაშავე რომ არის და გიმტკიცებს უდანაშაულობას, რატომღაც ეს ხალხი ხეპრე, უნიათო და უმწეონი მგონიან, ადამიანს მოფიქრებული ბოროტმოქმედება უნდა ეამაყებოდეს, უნდა იყოს საფუძვლიანად მედიდური და უსაზღვროდ მხიარული, არასოდეს არ უნდა უარყ-

ოს თავისი დანაშაული მართლმსაჯულების წინაშე, დარდი ნუ გაქვთ თუ გამომძიებელი ბრძანდებით, თავს არ აგატკიებთ „არ ვიცის“ ძახილით, მიუხედავად იმისა, რომ თქვენში დიდი სითბო აღმოვაჩინე და რომ არ დაგიფიცოთ, შემიყვარდით კიდეც. ვეცდები ეს რომანი სასჯელის დამთავრების შემდეგ გავაგრძელო, რადგან ახლა თქვენს მიერ სასჯელს მოველი და არა თანაგრძნობას.

– კარგი გაგი, რადგან ჩემში პროკურატურის კვალმაძიებელი აღმოაჩინეთ, ნება მიბოძეთ რამოდენიმე შეკითხვა მოგცეთ:

– ბრძანეთ! მხოლოდ თქვენი შეკითხვა არ უნდა გადაცილდეს ჩადენილ დანაშაულს, არ უნდა შეეხოს ჩემს წარმოშობას, განათლებას, მშობლების ვინაობას და ასე შემდეგ.

– აბა, ჩადენილი დანაშაულის ვითარება ძალიან კარგად ვიცი. თუ როგორ შეაფრქვიეთ სახეში ჯილალ უსმანოვს სითხე, რომელმაც დამბლა განავითარა და წინააღმდეგობის უნარი წაართვით მსხვერპლს, შემდეგ ამოთხარეთ თვალი და ქირურგის უშფოთველობით მოსჭერით მარჯვენა ხელის მტევანი, როგორც თქვენ ბრძანეთ ალბათ ამ ქმედებას არც უარყოფთ, მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს, რამ გამოიწვია ასეთი დანაშაულის ჩადენა?

– სწორედ ამ შეკითხვას მინდა თავი ავარიდო, რადგან ეს ის შეუკითხვაა, რომელიც ჩემს პირად ცხოვრებას ეხება, ამ კითხვის პასუხი საბრალდებულო დანაშაულში შესატანი არ არის, თქვენ იცით ჩადენილი დანაშაულის არსი, დაწერეთ, ხელს მოგიწერთ და საქმეც გაუზვიადებლად დამთავრდება.

– სიტყვას გაძლევთ, არავითარ ოქმში არ შევიტან თქვენს მონათხრობს, უბრალოდ მითხარით, რამ განაპირობა დანაშაულის ჩადენა?

– თქვენ ისე ახლოს არ გიცნობთ, რომ ჩემი ცხოვრების დეტალები გადაგიშალოთ და მაპატიეთ თუ თქვენს თხოვნას ვერ ავასრულებ.

– მაშინ იძულებული ვიქნები განყოფილებაში წაგიყვანოთ, საკანში მოგათავსოთ და მოფიქრების საშუალება მოგცეთ.

– დიდად დავალებული და კმაყოფილი ვიქნები თქვენი.

– რატომ არ გესმით, მე არ მინდა დანაშაულის ძიება გავაზვიადო, რაც არ უნდა იყოს ინტელიგენტთა საზოგადოებიდან ბრძანდებით და ძიება შეიძლება თქვენს სასარგებლოდ შემოვაბრუნოთ.

– ეს როგორ, სასჯელის გარეშე დავიძვრენ თავს?

– შესაძლებელია, ასეც მოხდეს!

– ოო, ეს არ მინდა, დანაშაულისათვის პასუხისგება აუცილებელია, რომელსაც არავითარი ემოციებით არ შვხვდები, რაც უნდა მკაცრი იყოს განაჩენი.

– თქვენ გამო, რომ არავინ დასჯილა?

– მე ვაპატიე.

– ასე გაპატიათ ჯალილმაც, ის კი არა და წაკვეთილი ხელის შუა თითზე, რომ ძვირფასი ბეჭედია ის თქვენ მოგიძღვნათ სამახსოვროდ.

– წყალმა წაიღოს ისიც და იმის ბეჭედიც. თქვენი თხრობიდან გამომდინარე, ვხვდები, რომ უკვე იცით დანაშაულის დედააზრი და რაღა საჭიროა ჩემგან მოისმინოთ იგივე?

– ძიება მოწმეებზე არ არის დამოკიდებული, დამნაშავემ უნდა აღიაროს დანაშაული, რის საფუძველზედაც მსჯელობს სასამართლო, კარგი, ეს საკითხი შემდეგისთვის გადავდოთ, ახლა კი მხოლოდ ერთ შეკითხვაზე მიპასუხეთ, რომელიც ძირითადად დანაშაულს ეხება და რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ოჯახურ საკითხებთან. ძიებისათვის კი ძირითადია, რადგან ძიება დაკარგული „დიპლომატიდან“ დაიწყო, რომელიც ეჭვგარეშეა თქვენთან ინახება.

– ოო, ღმერთო ჩემო, თქვენ მგონი მართლა მფარველ ანგელოზად მომევლინეთ, ვერაფერი ვერ მოვუხერხე იმ „დიპლომატს“, ასჯერ ვცადე გადაგდება, მაგრამ თავიდან ვერ მოვიშორე, ღვთის გულისათვის მხოლოდ წაიღეთ, პატივისცემას მე თუ ვერ შევძლებ, ღმერთი გადაგიხდით.

– ესე იგი, ის „დიპლომატი“, რომელიც ავტობუსიდან წამოიღეთ, თქვენთან ინახება?

– რასაკვირველია!

– გახსენით?

– არა, გასაღები ვერ მოვარგე, გატეხვა კი არ მიცდია, რა ვიცი, შეიძლება აფეთქდეს კიდეც, განა ცოტაა ასეთი შემთხვევა?

– თქვენთან როგორ მოხვდა ის „დიპლომატი“.

– ვიღაც ჭაღარა კაცმა შემიცვალა ავტობუსში!

– თქვენ შეამჩნიეთ, რომ შეგიცვალათ?

– არა, სახლში რომ მოვიტანე და ვერ გავხსენი, მაშინ მივხვდი. ვფიქრობ, იქ რაღაც დიდი დანაშაული ინახება, რომელიც მე შემომაჩეჩა. მაგრამ არც ჩემი „დიპლომატი“ იყო უდანაშაულო.

– რად მინდოდა მოკვეთილი ხელი რომ მოგქონდა?

– უნდა დამესპირტა და შემენახა, ერთ–ერთი ჩემი ორგანოს სანაცვლოდ.

– ახლა გულისყურით მომისმინეთ, აი თქვენ საშვი, ხვალ ცხრა საათზე დილით, იმ „დიპლომატიით“ ჩემთან გამოცხადდით, ოთხას მერვე კაბინეტში, ძალიან კარგი თუ „დიპლომატი“ გაუხსნელია, ეს თქვენს სასარგებლოდ ილაპარაკებს, ჩვენ მას პროკურორს გადავცემთ და შემდეგ თავიანთი საქმე იციან.

– საინტერესოა, რა გეგულებათ იმ „დიპლომატში“, ასე გულდასმით რომ დაეძებთ?

– ჯერ თქვენ ისე ახლოს არ გიცნობთ, ძიების საიდუმლო რომ გაგანდოთ.

– ეს საიდუმლო კი არა, პირადად მე მეხება, შეიძლება „დიპლომატში“ ისეთი რამ ინახება, გაუხსნელი დანაშაული იყოს და ეს ბოროტმოქმედებაც მე მომაკეროს შენმა პროკურორმა.

– ნუ გედარდება, პროკურორი კარგი კაცია ლმობიერი და გამგებიანი, „რკინის კაცს“ ეძახიან.

– ეს გამოთქმა უკვე ვიცი, მაგრამ მაგ „რკინის კაცი“ ხელახლა გასაჭედი ხომ არ გახდება ჩემგან?

– ნუ გედარდება, თუ მასე წარიმართება საქმე, მჭედლის მოვალეობას მე შევასრულებ!

– გენდოთ?

– წარბშეუხრელად, რადგან თქვენგან პირველად მოვისმინე სიტყვა, რომელსაც არ შემიძლია ვუღალატო, „მე ვარ გზა, და თქვენ არ მომმართავთ, თუ არ იქნებით ბედნიერი მე ნუ დამადანაშაულებთ“... ამბობს ქრისტე და არა გაქვს უფლება ქრისტეს მოძღვრებას გადაუხვიო, რადგან თქვენთან საუბრობს ჭეშმარიტების დესპანი.

ავტომობილმა თხინვალის ქუჩა გადაკვეთა და არსენას ქუჩაზე გავიდა, ელგამ ერთ–ერთი სახლის წინ გააჩერა, გაგის ღამე ნებისა უსურვა, ხვალ არ დაიგვიანოო – შეახსენა და თავისი სახლისაკენ დაძრა „ჟიგული“.

„ვინ უნდა იყოს ეს გაგი? – ფიქრობდა გზადაგზა – ვიღაც გაქექილი ბოროტმოქმედი ხომ არა? რომელიც ქალებში ნდობას სიყვარულის ეთიკით იხვეჭს და ფიქრი კი მატერიალურ გამოძალვაზე აქვს, სითბოს კი რომელსაც ის გამოსცემს შესაძლებელია თანდაყოლილი აურის ზემოქმედებაა; ეს კი, თითქოს დიდი ხნის ნაცნობი იყოს და გამოუცნობი ძალა, რომელიც იმისაკენ მეწევა, ჯერჯერობით სატანურ ზემოქმედებას მივაწერ, რადგან ადამიანის ორგანიზმში ბუდობს ღვთიური ან სატანური ძალა, უცნობი ადამიანის მიმართ ამ უკანასკნელისაგან უნდა დავიზღვიოთ თავი, ვინაიდან ღვთიური ძალი თვითონ იჩენს ადამიანის ორგანიზმში თავს სიკეთის გზით. სიცოცხლის არსიც სწორედ ამაში მდგომარეობს, თუ როგორია თითოეულის ცხოვრების იდეალი, რომელიც გვასწავლის სიკეთეს, სინდისს ან სათნოებას, პირველყოვლისა, ჩემი მოვალეობა „თემიდას სასწორია“ არანაირი სითბოსა და გამოუცნობი გრძნობისკენ გადახრა, პირველ რიგში, როგორც მფრინავები მღეროდნენ ხოლმე მეორე მსოფლიო ომის დროს: „Первым делом первим делом - самолеты, а девочки... а девочки потом!“..

თითქმის იმავე ფიქრმა გაიტაცა სახლში შესული და თავის ოთახში ჩაკეტილი გაგი: ვინ უნდა იყოს ელგა? „რკინის კაცისაგან“ გამოზრდილი მლიქვნელი თუ ადამიანთა სიყვარულისა და მოწყალების ქალღმერთი? მახსენდება „ნარიყალაზე“ ნაპოვნი ლურჯი ქვა, რომელსაც ექსკურსიამძღოლმა „მეხის ნატეხი“ უწოდა. სწორედ ასეთი „მეხის ნატეხია“ ქალიშვილის ერთდღიანი გაცნობის შედეგი, რომელსაც ალბათ სიყვარული ჰქვია, ამ გრძნობამ უკუაგდო ყოველგვარი შიში, მოსალოდნელი დაპატიმრებისაც კი ძლიერი ყოფილა ეს გრძნობა, რომელიც არა მგონია მთელი არშინით არ აღემატებოდეს სიყვარულის მომგონ ქალღმერთსაც, ნეტავი მართლა წავეყვანე და გამოვეკეტე საპყრობილეში. აუტანელია ცუდის მოლოდინი და დღევანდელი მოჩვენებითი სიმშვიდე, რომელსაც მხოლოდ დროებით არ არღვევს არც ვნებათა ღელვა, არც გართობა და არც მოლოდინი ცოდვათა შემსუბუქებისა, ვარ ყველას მიმართ დამოუკიდებელი, უპატრონოდ მიტოვებული, უბადრუკი, მარტო არსება, რით შემიძლია შევავსო ეს სიცარიელე? – ნუგეშით? – ვისგან მოველოდე მას? – რას არ ასწავლიან ადამიანს, მათემატიკურ მცნებებს თუ ასტრონომიულ უსაზღვროებას, სიყვარულს კი არავინ ასწავლის, პირიქით, „სიყვარულსა მალვა უნდაო“, ეს განცდა თურმე თვითონ უნდა ისწავლო, შეისისხლხორცო და თანაც უნდა დამალო, მაგრამ დგება გამოაშკარავების ჟამიც, როდესაც ცდილობენ თავი გამოიჩინონ სიყვარულით, რომელიც არასოდეს უსწავლებიათ, მაშ საიდან სწავლობენ? – მგონია ღვთიური ძალა ურევია ამ წმიდათაწმიდა საქმეში. კაცი სანამ ცოცხლობ, კიდეც უნდა გიყვარდეს, უნდა იწვოდე და სხვასაც წვავდე, სრული სიმშვიდე სიკვდილია და სანამ ცოცხლები ვართ, სიმშვიდეში სრულყოფილება უნდა ვეძებოთ, ან კი რატომ უნდა ვეძებოთ სრულყოფილება სიყვარულში, თუკი ჩვენი ღირსება მოქცეულია სწორედ ამ გრძნობაში, რომელიც ესოდენ გვამაღლებს? ჭეშმარიტი სიყვარული ფერწერაა, ტილოა, რომელიც საუკუნეებს უძლებს, მაგრამ უნდა ვეცადოთ ეს

ტილო უხეირო მხატვრის შემოქმედებას არ დავამსგავსოთ, ისე ლამაზად შექმნილი დავუტოვოთ შთამომავლობას...

– ოჰ, მგონი გავგიჟდი, ვის ვესაუბრები? – ხმამაღლა წარმოთქვა გაგიმ და თვალი გაუსწორა საძინებელ ოთახში ჩამოწოლილ სიბნელეს. კიდევ რამდენიმეჯერ იცვალა გვერდი გვიან ჩაეძინა. ტომარამოკიდებული ქალი ესიზმრა, მსუბუქად მოდიოდა გაღიმებული სახით, ქალმა ტომარა მოიხსნა და მას გადაკიდა მხარზე, მძიმე იყო ტვირთი, გაგიმ ვერ გაუძლო იმის სიმძიმეს და ჩაიკეცა, უნდოდა უკან დაებრუნებინა ტომარა ქალისთვის, მაგრამ ის უკვე წასულიყო, გამოეღვიძა, ოფლში ცურავდა, საათის ისარი შვიდს უახლოვდებოდა, გაახსენდა, ცხრა საათზე სადაც უნდა ყოფილიყო და ძლივს აითრია სიზმარში ნაგვემი სხეული.

პროკურატურის კარებთან მდგომ პოლიციელს საშვი წარუდგინა, შემდეგ ოთახების ნუმერაციას გაჰყვა და აი, ოთხასმერვე ოთახიც, კარებზე მორიდებით დააკაკუნა, მობრძანდით – გაისმა ქალის გასაოცრად წკრიალა ხმა, გაგიმ გულის ცემის გახშირება იგრძნო, ძლივს მოახერხა კარების გაღება, ელგა ელოდა, მაგრამ უხერხულობა მაინც დაეტყო. ზეზე წამოდგა, პირველი ის მიესალმა მოსულს და პირისპირ დადგმულ სავარძელზე მიუთითა:

– დაბრძანდით! – ძლივს გასაგონად წარმოთქვა კვალმაძიებელმა.

– „აჰა, მოვედი შენი გულის კართან და ვაკაკუნებ, თუ გააღებ ამ კარს, მაშინ მოვალ და შენთან ვივახშმებ და შენ – ჩემთან“, მისალმების ნაცვლად წარმოთქვა ქრისტეს მოძღვრება ვაჟმა და სავარძელში ჩაჯდა. ელგას კმაყოფილების ღიმილმა გაუპო ბაგენი და ქათინაურით კმაყოფილება, რომ არ გამოემჟღავნებია პირდაპირ საქმეზე დაიწყო საუბარი.

–„დიპლომატი“ მოიტანე?

– აი, თქვენს წინაშეა!

– ახლა მე წავედი, პროკურორს ძიების შედეგს მოვახსენებ შენ კი ათი წუთის შემდეგ შემოდი ჩვენთან შენი

„დიპლომატით“, დაბრკოლებას არ წააწყდები, მდივანს გავაფრთხილებ.

– „შენი „დიპლომატით“ ხომ გითხარი ამ საქმეს ამკიდებთ–მეთქი!

– დარდი ნუ გაქვთ, სანამ იურიდიულ ცოდნას მივიღებდი, ადამიანობა და სიტყვის გაუტეხელობა ვისწავლე!

– მეც დოსტაქარად რომ მზრდიდნენ, დაავადებული სხეულის მოკვეთა მასწავლეს, მაგრამ არც საღი სხეულის მოკვეთაზე ამიკანკალდა ხელი.

ყმაწვილმა კედელზე ჩამოკიდებულ საათს მიაქცია ყურადღება, მოეჩვენა ჩვეულებრივზე ნელა მოძრაობდა წუთების ისარი, მართლაც ნელა გადიოდა დრო ლოდინში, ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, პროკურორს უნდა შეხვედროდა პირისპირ, ვრცელ კაბინეტში დაიწყო წინ და უკან სიარული,. შემდეგ გამომძიებლის მაგიდაზე გადაიტანა მზერა, სადაც მხოლოდ ერთი ფურცელი და საწერი კალამი „დარჩენოდა“ გამომძიებელს, ფურცელზე ლამაზი შრიფტით ორადორი სიტყვა ეწერა – გაგი მშვენიერაძე. ვაჟს გაეღიმა, რას უნდა ნიშნავდეს ეს? პასუხი ვერ მოძებნა, საათმა კი თორმეტი წუთი ჩამოთვალა ელგას წასვლიდან, საჩქაროდ დასწვდა „დიპლომატს“ და პროკურორის პირისპირ აღმოჩნდა. კაბინეტში შესვლისთანავე შეამჩნია, ელგას მოესწრო პროკურორთან ბოროტმოქმედის შესახებ საუბარი.

– დაბრძანდით! – წამიერი შეთვალიერების შემდეგ წარმოთქვა პროკურორმა და გაგის კუთხეში დადგმულ სკამზე მიუთითა.

– მოიტანე? რა გაქვს „დიპლომატში“? – ცოტაოდენი დუმილის შემდეგ იკითხა ისევ პროკურორმა.

– არ ვიცი, არ გამიხსნია! – მიუგო გაგიმ.

– მაგას ვერ დავიჯერებთ!

– მე სიმართლეს მოგახსენებთ და თქვენ როგორც გენებოთ...

– რომ არ დავიჯერო შედეგი გაქვთ წარმოდგენილი?

– კი! შედეგი დაახლოებით ისეთი იქნება, საწყალმა კაცმა ოქროს უნაგირი რომ იპოვა და მეფეს მიართვა, საიდანაც მეტ წყალობას მოელოდა, მეფემ კი წყალობის მაგივრად ცხენი მოსთხოვა, აბა სად ჰყავდა საწყალსა და გაჭირვებულს ცხენი და ისიც მეფის საკადრისი? ამიტომ საბრალო დილეგში გამოამწყვდიეს.

– ეს იყო მეფობის ხანას საქართველოში, ყოველივე ისტორიას ჩაბარდა. დრომ შვა ცივილიზაცია, პროგრესი და დღეს შენი შიში უსაფუძვლოდ მეჩვენება, – ჩვეული ღიმილით წარმოთქვა დავითმა, – ახლა კი თავისუფალი ხართ! ჰო, თუმცა შენს წასვლას მე ვინ მეკითხება, ეს შენს გამომძიებელზეა დამოკიდებული. მე ხომ შენი დაპატიმრების სანქცია მაქვს გაცემული.

– „დიპლომატი“ დატოვეთ და ჩემს კაბინეტში დამელოდეთ“ – წარმოთქვა ელგამ ისე, რომ „დამნაშავისათვის“ არც კი შეუხედავს.

გაგიმ მყისვე შეასრულა ბრძანება, ისედაც ერთი სული ჰქონდა როდის გამოვიდოდა...

სამდივნოში გამოსვლისთანავე ახალგაზრდა კაცი შეეჩეხა, რომელიც მდივანს ეკამათებოდა, ახლა კი იერიში გაგიზე გადმოიტანა.

ახალგაზრდა კაცი ახალი ქართველის ტიპური განსახიერება იყო, ბლომად აჩნდა ვენებზე ნანემსარები, თმა ისე გადაეპარსა, რომ თავზე ჯვარი ჰქონდა გამოსახული, სახეზე ღინღლი გაუპარსავი, თავს წვეროსანს ეძახდა. თვალებში ნისლი ჩადგომოდა, სადაც უნდობლობასა და თავის ძლიერებას თუ ამოიკითხავდით. ლაპარაკობდა რაღაც გაუგებარ ენაზე, პროკურორის კაბინეტიდან გამოსვლისთანავე გაგის მხარზე დაჰკრა ხელი:

– შენ, ჰეი, ძმაკაც, „ფარაონი“ სახლშია?

– ვინ არის „ფარაონი“? – გულწრფელად იკითხა გაგიმ.

– რა ტუპოი როჟა შეიკერე, არ გინდა მაგეთები, „ნეკნის ნაწარმი“ ხომ არა ხარ, „მეგობრობის დასაწყისით“ გელაპარაკო.

– ქართულად მელაპარაკეთ, რა გნებავთ გამაგებინეთ! – სისხლი თავში მოაწვა გაგის.

– მე ქართულად გელაპარაკები ძმაო, სუფთა, ახალი ქართულით, ჯვრისწერის დოკუმენტები ხომ არ წარმოგიდგინოთ?

გაგიმ შარის ჩამოშორება განიზრახა, ხელით კედლისაკენ გასწია მოსაუბრე და გზა გაათავისუფლა, რომ გაევლო, მაგრამ მოწინააღმდეგე წინ გადაეღობა:

– ხელებით ნუ მელაპარაკები, ტო, წუხელის ვრედნი „ღამის სტუმარი“ ხომ არ გწვევია, ახლა მოვდივარ ძმაო, კაი ბიჭებს გაგება უნდა, ძაღლები არ მაყენებენ, „ფარაონთან“ მოვსულვარ, ჩამომაშორონ თორემ ჩემი დედა... ვიღაცას დავბრიდავ.

– საიდან მოდიხარ ცხოვრებაზე ასე გაგულისებული?

– საიდან მოვდივარ და „ბოლო კეთილიდან“, კარცერში მამყოფეს სიმონ, ეს კიდევ ნერვებს მიწეწავს, „კტო ანა ტაკაია“ – ხელი გაიშვირა მდივანი ქალისაკენ.

– გეუბნები არ შეიძლება, პროკურორს გამომძიებელი ჰყავს ელგა აბაშიძე და ძიების შედეგს ეცნობიან – უთხრა გაკაპასებულმა მდივანმა.

– ვახ, ჩემი დედა... არ შემაგინებინო ახლა, ძუკნა თუ ჰყავდა ვერ თქვი?

– წამოდი მე შენ ფსიქიატრიულში წაგიყვან, უფასოდ გიმკურნალებ, – უთხრა განაწყენებულმა გაგიმ.

– შენ რაებს ბედავ სიმონ, შენგან სიტყვა ითქვა? პასუხიც, აგე, კარგმა ბიჭებმა გაგირჩიოს საქმე, მე შენთან მოვდივარ ახლა ფარაონს მაინც არ სცალია ძუკნაზე იქნება გადაბმული...

ახლა კი აენთო გაგი, ვერ აიტანა ელგას შეურაცხყოფა პროკურორის კაბინეტის პირველი კარები წყნარად გამოაღო და მოსაუბრეს ისე მაგრად ამოჰკრა საჯდომზე ფეხი, მეორე კარები გააღო და პროკურორის მაგიდასთან მოადინა ზღართანი.

გაგი, ელგას კაბინეტში დაბრუნდა, სავარძელში ჩაჯდა და ფიქრს მისცა თავი: – ნუთუ კვდება ქართული ენა და მის სიკვდილს ისევ–ისე ქართველები მცდელობენ? საიდან მოიტანეს ეს ახალ–ახალი სიტყვები? ნუთუ „დამნაშავეთა სამყაროდან“ მოედინება ეს შავი ჭირის ნიაღვარი? რა აღმოაჩინეს ქართულ ენაში არაკანონზომიერი, რომ მისი შესწორება განუზრახავთ, მე ენათმეცნიერი არა ვარ, მაგრამ იმდენი გამეგება, რომ არ შეიძლება თანამედროვე ქართული ენის სიკვდილი და თუ გარდაუვალია – ნაადრევია! ნებისმიერ ქართველს ამაყად შეუძლია თქვას: როგორც უძველესი, მდიდრული და დღემდე შეუბღალავი, შინაგანი თვისებით ქართული ენა, მსოფლიო ენაა!

გაგი სავარძლიდან წამოდგა, კაბინეტში გაიარა – ელგა იგვიანებს, წასვლა დააპირა, მაგრამ ეს ხომ სასჯელის თავის არიდება იქნებოდა – მყისვე გადაიფიქრა განზრახვა, ფურცელი და საწერკალამი ისევ თავის ადგილზე იდო გამომძიებლის სავარძელში ჩაჯდა, ფურცელი აიღო და სადაც გაგი მშვენიერაძე ეწერა გასწვრივ მიმატების ნიშანი დასვა და შემდეგ – ელგა აბაშიძე დაწერა, მოეწონა თავისი განზრახვა, გაიღიმა და ისევ კაბინეტში დაიწყო სიარული, რომ ელგა შემოვიდა, მოღრუბლული, სწორედ ისეთი ქართველები, რომ იტყვიან — „საწვიმრად გამზადებული“ – ნათლად ეტყობოდა პროკურორის კაბინეტიდან ხასიათმოწამლული დაბრუნდა. შემოსვლისთანავე თავის სავარძელში ჩაჯდა, მაგიდაზე ფურცელი შენიშნა ოთხი სიტყვის წარწერითა და დიდი მიმატების ნიშნთ, კიდევ უფრო მოეღრუბლა სახე, თვალებიდან გადმოცვენილი ნაპერწკალიც შენიშნა გაგიმ, ელგამ ფურცელი მოჭმუჭნა, საქაღალდე კალათში მოისროლა და თითქოს თავისთვის, ისე რომ გაგის ყურადღება მიექცია, დაიბუზღუნა:

– თუ ღმერთი გწამს, თავს ნუ აიტკიებ და ნურც მე ამიფორიაქებ გრძნობას, ჯერ არსად გამიგონია ბოროტმოქმედი, რომელიც პასუხისგებაშია მიცემული, დაპატიმრების ორდერი გაცემულია და არც თუ შეღავათიანი სასჯელი

ელოდება, სიყვარულს უხსნიდეს თავის გამომძიებელს, ყველასათვის კარგი იქნება, თავის ჩარჩოში ჩაეტიოს და პატივი სცეს თავის ნიჟარას.

– პროკურორის რისხვას ველოდი და თქვენი კი დავიმსახურე

– მე არავის არ ვრისხავ. ვემსახურები სამშობლოს და ვემორჩილები კანონს. აჰა, ფურცლები და საწერი კალამი. შენ თვითონ დაწერე, რის საფუძველზე ჩაიდინეთ დანაშაული, როდის და როგორ, ვფიქრობ დაწერა არ გაგიჭირდებათ, კარგი კალიგრაფია გქონიათ...

ელგამ ცეცხლგამძლე ყუთი გამოაღო, რამდენიმე ფურცელი გამოიღო და საწერ კალამთან ერთად გაგის წინ დაუწყო, გაგიმ ფურცლები გაასწორა, საწერკალამი აიღო და თავზე ორივე ხელი შემოიჭირა, რამოდენიმე წუთს იყო ასე ჩაფიქრებული, ელგამ კარები გაიხურა და კაბინეტიდან გავიდა, რომ თავისუფალი წერის საშუალება მიეცა დამნაშავისათვის, თითქოს კარების დახურვის ხმამ გამოაფხიზლაო, წერა დაიწყო:

,,ექვსი ნოემბერი მორწმუნესათვის არანაირი დღესასწაული არ არის, მაგრამ მე და დედაჩემი მარეხი მაინც წავედით ,,ქაშუეთის" წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში, რათა უფლისათვის მადლი შეგვეწირა ჩემი გაჩენისათვის, რომელიც მეორე დღეს უნდა აგვეღნიშნა შვიდ ნოემბერს ჩემი დაბადების დღეზე.

დიახ, მეორე დღეს ცამეტი წელი მისრულდებოდა და, ჩემზედ უკეთესად მოგეხსენებათ, ეს ის ასაკია, როდესაც ახალგაზრდის ბუნება ახლის ძიებაშია, ვერ აშინებს ფათერაკი და რომანტიკული ცხოვრებისაკენ ილტვის.

დედასთან ერთად პირველად ვიყავი ეკლესიაში,. პირველად ავანთე ღვთისმშობლის წინაშე სანთლები და დედის ლოცვებს სიტყვა–სიტყვით ვიმეორებდი, თაღზე დედა–ღვითსმშობლის ხატება დავინახე ყრმით ხელში. ეს გუდიაშვილის ნახატია, სრულებით არ ჰგავს წინა საუკუნეების მხატვართა

მიერ დახატულ ღვთის მშობელს, არც ყრმა ჰგავს იესოს, მაგრამ სწორედ ამ არასახიერებით მხატვარმა ქართველ ქალში აღმოაჩინა დედაღვთისმშობლის მსგავსება, მისი სიმტკიცე და სიყვარული. ღვთისა და ერისა, არა მარტო რწმენით, არამედ ყველა მართლმადილებელი ქართველის რწმენით, ასეთი არის დიდი ღვთის მშობელი, რომელიც თავის წილხვედრ საქართველოს მფარველობს და ასეთი არის ქართველი დედაც, იესოს ხატებაც მომავალი ქართველი ვაჟკაცის განსახიერებაა და რაღა ბევრი გავაგრძელო, მე ეს სურათი დანახვისთანავე შემიყვარდა, რა თქმა უნდა, როგორც ღმერთის პორტრეტი, როგორც დედის სურათი და ცხოვრებაში დავიწყე ძებნა, საქართველოს მომავალი დედა, ჩემი მეუღლეც, გუდიაშვილის ნახატის მსგავსება უნდა ყოფილიყო... იქვე დავიჩოქე და დედა ღვთისმშობელს შეწევნა ვთხოვე, ჩემი მხრიდან კი აღთქმა დავუდე, რომ არავის შევიყვარებდი, სანამ მის მსგავსებას არ ვიპოვიდი. ნუ მიწყენ, თუ სიმართლე მოგახსენე, შვიდ ნოემბერს ოცდაოთხი წელი შემისრულდა, ბევრი ვეძებე სიყვარული, მაგრამ ისე გაფრინდა ახალგაზრდობის წლები, ვერ აღმოვაჩინე, დღეს ვიპოვე, შენში აღმოვაჩინე ის მსგავსება, რომელსაც თერთმეტი წელი დავეძებდი. მართლაც სასაცილოა, ჩემგან სხვაგვარ აღსარებას ელოდით და მე კი რას ვწერ, ეს ნაწერი, პროკურორს რომ მიუტანოთ ხელის მოსაწერად, წარმოდგენილი მაქვს რა ორომტრიალი და ქრისტეს ცრემლის ღვრა შეიქმნება, მაგრამ მე არ მეჩქარება სასჯელის მიღება და ნურც თქვენ აჩქარდებით ჩემი დასჯით, დანაშაულის არსს და მის მოქმედებას თქვენთან ერთად დავწერ, უფრო სწორად, თქვენს კითხვებზე გავცემ ამომწურავ პასუხს. არ გეგონოთ ამ სტრიქონებს იმიტომ ვწერ, თავი გამოგილაყოთ ქალწულის სიყვარულზე და თქვენგან შეღავათს მოველოდე მცირე სასჯელის სახით. არადა და არა! ღმერთი იყოს მოწმე, რომელიც უეჭველად ხედავს და ისმენს ჩემს წმინდა გულით ნაღაღადევს. ვითხოვ მხოლოდ ღვთისა შემწეობას და ნებას თქვენსას, თუ ამ ქმედებით

ვცოდავ, იქ გამომწყვდეული, უფრო მხურვალედ ვილოცებ, რომ შეისმინოს უფალმა ჩემი ვედრება და ლოდინი ისეთივე აუტანელი გახადოს შენთვის, როგორიც შენგანაა ჩემზედ.

ვიცი იტყვით, ასეთ მცირე დროში, როგორი სიყვარული შეიძლებაო – არ ვიცი შეიძლება ჭეშმარიტება იყოს თქვენი ნაფიქრი, მაგრამ მე სხვაგვარი სიყვარული არც მსმენია. ყველა სიყვარული ერთი დანახვით მოდის, დანარჩენი კი პირველ დღეზეა აკოწიწებული...

ჰო, კარგი მე ჩემს ნიჟარაში ჩავძვრები და ჩემს ჩარჩოში ჩავეტევი, როგორც მიბრძანეთ, მაგრამ ამით გგონიათ საქმეს ეშველება? სიყვარული უზენაესი ძალაა, რომელიც ცხოვრებაში ღვთიურ ნებით კანონდება და არავის არაფერს ეკითხება. უფალმა აკურთხოს ჩემი სიყვარული! ხვალ დილით გეახლებით, იმედია, სამუდამო კატორღით არ დამსჯით".

გაგიმ მაგიდაზე დატოვა წერილი და საწერკალამი, თვითონ ფეხაკრეფით გავიდა კაბინეტიდან და ხალხმრავალ ქუჩას შეერია.

ელგამ დაინახა, რომ ქურდული ნაბიჯით მიიპარებოდა გაგი, მაგრამ არ შეაჩერა, იცოდა ხვალაც მოვიდოდა, ზეგაც და მანამ ივლიდა, სანამ ქალს თანხმობას არ დასტყუებდა, შემდეგ უფრო მოუხშირებდა სიარულს შეუღლებამდე და...

ერთი სული ჰქონდა წაეკითხა გაგის ჩვენება, თუ როგორ და რისთვის მოსჭრა მარჯვენა ხელის მტევანი ჯალილ უსმანოვს. კითხვა დაიწყო, მაგრამ ეს რა არის? განა ეს ვუთხარი, სიყვარულის თეორემა აეხსნა ჩემთვის? გაბრაზდა, მაგრამ წერილი რაღაც გამოუცნობ სითბოს გამოსცემდა და რაც უფრო ღრმად კითხულობდა, მით მეტად მშვიდდებოდა, დაამთავრა, თვალები დახუჭა და წერილზე შუბლით დაეყრდნო. ისეთი შვება იგრძნო, რომელიც არასოდეს განეცადა, ფიქრმა გაიტაცა, ყურში უხილავი ძალა ჩასწიოდა – „ის ბოროტმოქმედია, და შენ ვალდებული ხარ დასაჯო. ნუთუ ვერ ამჩნევ, რომ სიყვარულით უნდა შეგაბას გამოუცდელი გოგონა?" – მგონი სწორს მეუბნება ეს უხილავი ძალა. მართლაცდა, რად

მინდა ფიზიკური ნაკლის მქონე უთითო ადამიანი, ბოროტმოქმედი, ნაციხარი, განა ცხოვრებაში გამიგებს? ამიწყობს ნაბიჯს?". მერე რა, რომ ვაჟკაცია, შურისმაძიებელი და ლამაზი. არა, ჩემგან დასაწუნი არ არის, მაგრამ მაინც რა მინდა, ხვალ დილით მოვა, კიდევ მეტად მოღუშული დავხვდები, ჩვენებას ჩამოვართმევ და გამოსატეხ საკანში ვუკრავ თავს, ბევრი ექნება თავისუფალი დრო. იფიქროს, გაუმართლებელ სიყვარულზე... შემდეგ? ამხელა სითბოს უარყოფას შევძლებ? მეც ხომ თითქმის ისე ვარ დაავადებული, როგორც ის, წერილიც მომნუსხველია, თავისი სითბო და ენერგია შემორჩენია ავტორისაგან...

წამოდგა! საქაღალდე კალათში მოჭმუჭნული ფურცელი მოძებნა, გაასწორა, გაელიმა! – ბავშვური ილეთია, სკოლის მოსწავლეები ვაკეთებდით ასე, როდესაც სიყვარულის გამხედა გვიჭირდა. კარგი იყო სკოლის პერიოდი, სტუდენტობა, ყველასთან მეგობრულად ვიყავი, რაც მართალია მართალია, სიყვარული კი ნამდვილად არ მწვევია დღემდე, ან დღეს რა დასაჯერებელია გაგის სიყვარული. მე დასაპატიმრებლად დავეძებ, ის თვითონ მპოულობს და სიყვარულს მიხნის. მით უმეტეს, იცის ვინც ვარ და მაინც თავხედობს... ეს რომ გაიგოს, პატიმარს ელაპარაკებაო, რას იტყვის დედა? ნამდვილად გაგიჟდება მამა!

ელგამ დროებით დაამთავრა მიკროკამათი საკუთარ თავთან, წერილი სეიფში ჩაკეტა, მიხურა კაბინეტის კარიც და ახლა შეამჩნია, რომ სამუშაო საათები დიდი ხნის დამთავრებული იყო, პროკურატურის შენობიდან ყველაზე ბოლოს გავიდა...

დილით სამსახურში გვიან გამოცხადდა, იმ იმედით, გაგი კარებთან დამელოდებაო, მაგრამ შეცდა გაგი ჯერ კიდევ არ მოსულიყო... ნეტავი რა შეემთხვა? რატომ დაიგვიანა? – გულის სიღრმეში რაღაც ტკივილი იგრძნო. კაბინეტის კარები გააღო, სავარხელში ჩაჯდა. საქმეს გული ვერ დაუდო". – რატომ არ მოვიდა? იქნებ თავი აარიდა პასუხისმგებლობას და საერთოდ მიიმალა, თუ მოვიდა აუცილებლად ჩავსვამ

საპყრობილეში, თუ არა, ერთ საათში პოლიციელების თანხლებით წავალ და დაბორკილებულს მოვიყვან აქ“... კარებზე ვიღაცამ წყნარად დააკაკუნა:

– მობრძანდით! გასაოცარი ხმით წამოიძახა ელგამ თითქოს ეგრძნო, რომ ეს გაგი უნდა ყოფილიყო, შეყვარებულები ხომ ფეხის ხმაზედაც ცნობენ ერთმანეთს, ტელეფონის ზარითაც კი. და, რა რასაკვირია, ელგას კარებზე დაკაკუნებით ეცნო გაგი? მოემზადა რისხვით დახვედროდა ჭაბუკს, მიზეზი ბევრი ჰქონდა, თავი დახარა და მოიღრუბლა, არ შემცდარა, კაბინეტში გაგი შემოვიდა, მიესალმა დამხვდურს ქალმა არ უპასუხა, თავი ნელა წამოწია, რომ საყვედურების ქოქოლა დაეყარა ვაჟისათვის, მაგრამ თვალი გაუსწორა თუ არა, ღრუბელი ყურის ბიბილოებთან შეეყინა, გამოიდარა და გაიღიმა, ვაჟი გაათამამა ქალის ღიმილმა და დაუკითხავად ჩაჯდა პირისპირ სავარძელში. წუთიერი სიჩუმე ჩამოვარდა. აქ არ იგრძნობოდა სამსახურებრივი მოვალეობის დუმილი, არც შიშის, არც მარტოობის და არც ხალხმრავლობის. აქ რაღაც გამოუცნობი დუმილი დაფარფატებდა და სათუთი გრძნობით დაკანკალებდა წყვილ მიჯნურს, მყუდროება ვიღაცას უნდა დაერღვია, რომ უხერხულობიდან ეხსნა ქალ–ვაჟი, და ეს „ვიღაცა“, უფრო გამბედავი, ელგა აღმოჩნდა.

–მე თქვენ გიბრძანეთ, ჩვენება დაგეწერათ ჩადენილ დანაშაულზე, თქვენ კი სასიყვარულო ბარათი მომიძღვენით, რომ არ წამეკითხა და პროკურორისათვის მიმეტანა, როგორც ძიების შედეგი, როგორ წავიდოდა ჩვენი საქმე? – ელგას, ღიმილი რომ არ გამოემჟღავნებინა, თავი დახარა.

– ადამიანი პირველ რიგში იმას აკეთებს, რაც აწუხებს, მე სასჯელი უკვე მივიღე თქვენი გაცნობით, ის სასჯელი, რისთვისაც ჩვენებას მოითხოვთ, ჩემთვის მეორეხარისხოვანია.

– რატომ არ გესმით ყმაწვილო, რომ ამ თემაზე საუბარი დღეს არ შეიძლება, თქვენ სასჯელი გელოდებათ!

— სასჯელს მოვიხდი, თუ თქვენი ლოდინის იმედი მექნება! —

— ნუ გექნებათ იმედი, მე არ ვიცი ხვალ რა მოხდება ჩემს ცხოვრებაში, სიყვარულზე სასჯელის მოხდის შემდეგ ვილაპარაკოთ, როდესაც თქვენ სახელგანთქმული ექიმი იქნებით, მე კი დამსახურებული კვალმაძიებელი. თქვენ მე ღვთისმშობელს შემადარეთ, ღმერთმა გაპატიოთ ასეთი შედარება, მართლა ღვთისმშობელი ხომ არ გგონივართ, რომ სასჯელისგან გიხსნათ და სიყვარულშიც გითანაგრძნობთ?

— თუ ეს დანაშაულია, ღმერთმა მას შეუნდოს, დედა ღვთისმშობლის მსგავსება ქართველ ქალთან, ვინც ქაშუეთი მოხატა და შემდეგ ვინც აკურთხა, მე კი თქვენში შედარება არ მომიხდენია, მსგავსება აღმოვაჩინე, არც მითხოვია სიყვარულში ფუჭი თანაგრძნობა და მოსალოდნელი სასჯელის შემსუბუქება, ამგვარი რამ რომ შეგამჩნიოთ, ნამდვილად შემძულდებით, მე ჩემი წილი მხოლოდ, სიყვარულიც მინდა, სასჯელიც და სიკვდილიც.

— ბოლოსა და ბოლოს თქვენთან პროკურორის თანდასწრებით ხომ არ ვილაპარაკო ჩვენება რომ ჩამოგართვათ?

— საავადმყოფოში უნდა გავიქცე, წუხელი ვმორიგეობდი, ოთხი მოიყვანეს ავტოკატასტროფით დაზარალებული, ორი გარდაიცვალა, ორის სიცოცხლეც საფრთხეშია ჩემი იქ ყოფნა აუცილებელია...

— მე თქვენ საპყრობილეში უნდა გამოგამწყვდიოთ. რა ვქნა, პროკურორის ბრძანებაა, თქვენ კი სამსახურში იჩქარით... უთქვენოდაც არავის მოკლავენ, ნუ დარდობთ.

— შეიძლება თქვენს მაგივრად სხვამ გამოიძიოს, დაშვებული შეცდომა აღმოაჩინოს და რაღაცას ეშველოს, მაგრამ იქ უჩემოდ ვერაფერს გააკეთებენ და თუ გააკეთებენ და შეცდომას დაუშვებენ, იმ შეცდომას გამოსწორება აღარ უწერია.

— ყველა თავის მოვალეობას ასრულებს, ნება მიბოძეთ მე ჩემი მოვალეობა შევასრულო!

– ყველა მოვალეობაზე მაღლა, ადამიანური მოვალეობა დგას, რომელსაც თითოეულმა უნდა შეუთანხმოს მოქალაქეობრივი ვალი. მართალია, მყარი პრინციპიებით ძნელია სწორი გზით სვლა, ციცაბო და ეკლიანი, მაგრამ, სამაგიეროდ, კეთილშობილური.

– ჩემთვის ასეთი რამ არ უსწავლებიათ, მე მასწავლეს ბრძანების შესრულება.

– ადამიანობასა და სიყვარულს არავი ასწავლიან. ეს თვითონ უნდა ჩამოუყალიბდეს პიროვნებას სიყმაწვილიდანვე. სიცოცხლის შესანარჩუნებლად არ შეიძლება დავაგვიანოთ. ამიტომ გთხოვთ, თქვენი ავტომობილით საავადმყოფოში წამიყვანოთ და ზედამხედველობა გამიწიოთ, რომ დარწმუნდეთ თავს არ ვარიდებ პასუხისმგებლობას.

– კარგი რა, ახლა მძღოლის მოვალეობა შევასრულო? შემდეგ კიდევ მომთხოვ რაღაცას, ისე იქცევი თითქოს „მამა აბრამის ბანკანი“ იყო. შენ არ იყავი კაცს საღი მარჯვენა ხელი რომ მოაჭერი? – ეს ყველაფერი სიცრუეა, თითქოს გინდოდეს ვიღაც დამტვრეულს დახმარება აღმოუჩინო.

– მას ხელი თუ მოვაჭერი, ლახტი მოვუჭირე და ამისი სიცოცხლე უსაფრთხო ვყავი, ის ხელის მოჭრის ღირსი იყო და სიკვდილის არა! რომლითაც ახლა ვმკურნალობ, სიცოცხლის ღირსია! მე წავალ და მალე გეახლებით! – თქვა გაგიმ და ზეზე წამოდგა.

– მოიცა წაგიყვან! თუ სხვა დროსაც არ გამეორდება მსგავსი შემთხვევა!

„ჟიგული“ მთელი სიჩქარით მიიკვლევდა გზას ავტომობილების ტევრში, მძღოლი და ერთადერთი მგზავრი ფიქრს მისცემოდა, მაგრამ როგორც ყოველთვის მძღოლმა დაარღვია მყუდროება:

– ახლა მაინც მითხარი დანაშაულის მიზეზი, რომ პროკურორს წარვუდგინო ძიების შედეგი!

– დაწერე რაც გინდა, ხელს მოგიწერ!

– აბა, მე რა ვიცი შენ რა მოიფიქრე და შემდეგში კიდევ რას მოიფიქრებ!

– შენ ყველაფერი იცი!

– ბოლოს და ბოლოს, იძულებულს ნუ მხდი კანონის მონა–მორჩილი გავხდე!

– მაშინებ?

– არა, ადამიანი მინდა დავრჩე თქვენს თვალში და არც კანონი შევბღალო, მე კი თქვენს სიჯიუტეში ცუდ შედეგს მივჩერებივარ, პირადად ჩემზედ ილაშქრებთ, თითქოს რაიმეში ვიყო დამნაშავე, ცდილობთ ზემდგომი ორგანოებიდან საყვედური მივიღო, იქნებ სამსახურიდანაც დამითხოვონ...

– არა ელგა, სიყვარულს გეფიცებით, მე ყოველ თქვენს ნაბიჯს ვუფრთხილდები, უბრალოდ ძლიერ მეძნელება იმის მოყოლა, რაც ჯერ არავისთვის მითქვამს და არც არავინ იცის. მეშინია ჩემი აღსარებით თქვენ არ დაგკარგოთ, მე უშენოდ არსებობა არ შემიძლია, ამიტომ ფიცი მომეცით, რაც არ უნდა გაიგოთ ჩემზე არ შემიძულებთ, იქნებ მეტად შემიყვაროთ კიდეც...

– ასეთ ფიცს ვერ მოგცემთ, მე ჯერ კარგად არ გიცნობთ, იქნებ მიუტევებელი ცოდვა გაწევს, თუ სიძულვილს იმსახურებთ მე როგორ შეგიყვარო?

– მართალი ბრძანდებით და ნუ იდარდებთ, არანაირი ცოდვა არ მიმიძღვის არავის წინაშე, უბრალოდ ყველა ადამიანში ბევრ გადახრას ვამჩნევ, რომელსაც ცოდვად აღვიქვამ და არც მე მგონია თავი დაზღვეული ამ განსაცდელისაგან. სანამ ჩემს ამბავს მოგითხრობდეთ, სითამამე რომ ვიგრძნო, თქვენს შესახებ მიამბეთ რაიმე, თუ გინდ ორიოდე სიტყვით.

– ძალიან ბევრს არ ითხოვთ? მე მაქვს დავალებული გამოვიძიო თქვენი დანაშაული, თქვენ კი ჩემს ამბავს კითხულობთ, როგორ გავიგო? თუმცა გეტყვით, ჩემი წარსული ორიოდე სიტყვით მოიხაზება – დავბადებულვარ პირველ სამშობიაროში, ნორმალური წონისა და აგებულებისა, ზუსტად იმ წელს და იმ რიცხვში როცა თქვენ მოვლენიხართ ამ ქვეყანას, მხოლოდ თქვენ ნოემბერში მე კი ივნისში, ასე რომ შენზე უფროსი ვარ მთელი ხუთი თვით. ბავშვობა და სიყრმე აქვე

გავატარე, სადაც დღეს ვცხოვრობ, მყავს მშობლები, დედა და მამა, ვარ დედისერთა წელს დავამთავრე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის განხრით და ზემდგომი ორგანოების ჩარევით წელსვე ვიშოვე სამსახური, ეს არის სულ, თუმცა შენ რაც გაინტერესებს ის არ მითქვამს, შეყვარებული არ მყოლია, არ ვიცი რატომ, მცდელობა ბევრს ჰქონდა, მაგრამ მიზანს ვერავინ მიაღწია, ალბათ, შენ გელოდებოდა ჩემი სიყვარული...

– და, „მე დაგიჯერებ, რადგან არის ტყუილი, რომელიც გინდა დაიჯერო და იჯერებ!“

– როგორ ჩემი აღსარება ტყუილი გგონია? „ღმერთო შეუნდე, რამე თუ არ იცის, რას ფიქრობს“.

– ძლიერ გამახარე ელგა, ახლა კი თავისუფლად შემიძლია მოგითხრო ჩემი წარსული, რომელიც ბევრად არ აღემატება შენს წარსულს, მხოლოდ ცოტა უფრო საინტერესოა.

„ჟიგული“ საავადმყოფოს ეზოში შევიდა, გაგიმ თეთრი ხალათი ჩაიცვა და მისივე ბრძანებით ელგაც თეთრი ხალათით შემოსეს, საავადმყოფოს მთავარი ექიმისაგან საყვედური დაიმსახურა:

– სადა ხარ აქამდის, იქნებ თავი იმართლო, წუხელი რომ იმორიგევე, ნუთუ ვერ გაიგეთ, რომ ექიმის პროფესია, სამუშაო, განსაზღვრულ დროს არ ექვემედებარება, როგორ შეიძლება ავადმყოფების ასე უპატრონოდ მიტოვება, როდესაც სასწრაფო ოპერაციაა გასაკეთებელი?!

– ჩემი ბრალი არ არის, ბატონო ბორის, აი ამ ახალგაზრდამ არ გამომიშვა, გაიცანით პროკურატურის ახალგაზრდა გამომძიებელი, ელგა აბაშიძე.

ბორისმა სათვალე მოიხსნა, გულისყურით შეათვალიერა ქალიშვილი, შემდეგ მძიმედ წამოდგა, თავი დაუკრა და ხელი გაუწოდა,

– რაო, რა მინდაო? რისთვის დაინტერესდა თქვენი პიროვნებით მართლმსაჯულება? – თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ბორისმა და მზერა გაგის მიაპყრო.

– უბრალოდ, ბატონო ბორის, ოპერაციაზე უნდა დასწრება, რაღაც დეტექტივს წერს და მასალა სჭირდება.

– სიყვარულის წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ შეიძლება თავისუფალი დრო გამოვნახოთ, დეტექტივის მწერალს ეს ქალიშვილი ისე არ ჰგავს, როგორც შენ მატყუარას, მაგრამ მაინც ცდილობ მომატყუო, – სამივეს ერთდროულად გაეღიმა...

– დრო არ ითმენს, წარმოთქვა ბორისმა და სამივენი საოპერაციოსაკენ წავიდნენ, მედიცინის დებს ავადმყოფი საოპერაციოდ გაემზადებინათ. ბრძოლა სიკვდილის დასამარცხებლად ოთხი საათი მიმდინარეობდა და როდესაც საოპერაციოდან გაღიმებული სახეებით გამოვიდნენ, ავადმყოფის ჭირისუფლებს სიხარულისა და მადლიერების ცრემლები გადმოსცვივდათ.

– საინტერესოა შენი პროფესია, გაგი – წარმოთქვა ელგამ, როდესაც ავტომობილით საავადმყოფოს ჭიშკარს გასცდნენ.

– თქვენი პროფესია განა ნაკლებია?

– დიდად განსხვავდება, თქვენ სნეულებს ებრძვით, ჩვენ ჯანმრთელებს...

– ესე იგი თქვენი ბრძოლა მეტად სახიფათოა, ვიდრე ჩვენი. პარაზიტებისაგან წმინდავთ ქვეყანას, პარაზიტი კი როგორც მოგეხსენებათ, სიკვდილის წინ სხმარტალებს, ცდილობს დაგგესლოთ, ამიტომ კოდალას ალღო უნდა გაგაჩნდეთ, რომ ხიდან უვნებლად ამოიყვანოთ მსხვერპლი.

– არა, ქალის საქმე მაინც არ არის იარაღშემართულ ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ ბრძოლა, ქალის ხელი მეტად სათუთია, ოპერაციას უფრო უმტკივნეულოდ გააკეთებს, ვიდრე მამაკაცი.

– რას მოითხოვთ, პროფესიები შევიცვალოთ? პროკურატურის მუშაკად არ გამოგადგებით, ხომ ხედავთ საჩვენებელი თითი არა მაქვს, პისტოლეტს ვერ ვიხმარ.

– სამაგიეროდ, დანას ხმარობთ ისე ოსტატურად ბევრ ქილერს შეშურდება – უთხრა ელგამ და გაგის მოჭრილ

თითს დააკვირდა, გულის სიღრმეში ტკივილი იგრძნო, შემდეგ მზერა ფრჩხილებზე გადაიტანა და საუბარი გააგრძელა:

– გაგი თქვენ იშვიათი ადამიანი ბრძანდებით!

– აჰ, თქვენ გინდათ მითხრათ „უნიკალური ჯიშის?“

– არა, ხუმრობად თუ არ მიიღებთ და კრიმინალურ მეცნიერებას, ცოტა რამ თუ მაინც დაეჯერება, ყველა საქმეს ბრწბინვალედ ართმევთ თავს, ცდილობთ დაწვრილებით შეისწავლოთ ყველა დეტალი, საგანი თუ მოვლენა, რომელიც თქვენს ირგვლივ გაუგებრობას ჰქმნის. გამოირჩევით დაუცხრომელი ენერგიით, გიხარია ყოველი წარმატება და ბედნიერი წუთი, თუმცა ცხოვრებაში ასეთი წუთები იშვიათია.

– თქვენ იმდენი „კომპლიმენტი“ მომაყარეთ... ვინ გასწავლათ ასეთი მკითხაობა?

– არა ეს მკითხაობა არ არის, კრიმინალური მეცნიერებაა, რომელიც ფრჩხილების ფორმითა და განლაგებით ხსნის ადამიანის ბედს და მის ხასიათს.

– ძალზე ბევრი დადებითი თვისებები აღმოაჩინეთ ჩემში, ამიტომ გთხოვთ ერთი ფრჩხილისოდენა რაღაც გამოაკლოთ, მე ხომ საჩვენებელი თითი აღარ მაქვს, რომელზედაც კანონით ფრჩხილი უნდა ყოფილიყო?

– თუ ბევრს ილაპარაკებთ, სიყვარულში წარუმატებლობას აღდგითქვამთ, თუმცა თქვენი ფრჩხილები წარმატებას მეუბნებიან.

– თქვენი წინასწარმეტყველება თუგინდ ტყუილი იყოს, მოსასმენად ძალზე სასიამოვნოა, ეს ბიძგია მარადიულობისაკენ, უსაზღვრო ენერგიისა და მომავლის რწმენისაკენ, ღვთის ენით წარმოთქმული სიტყვა უტკბესია ყველა სიტკბოებაზედ. გმადლობთ, ელგა, თააგრძნობისათვის!

ავტომობილი პროკურატურის შენობის წინ გაჩერდა.

– ისევ აქ მომიყვანე? ბოლოს და ბოლოს გამიღე საკნის კარები და დაისვენე, იქნებ არც ვღირდე შენთვის იმდენი, რაც ჩემზე საწვავი დახარჯე...

– რა ვქნა გაგი, პროკურორს ძიების შედეგი უნდა წარ-ვუდგინო, რატომ მაგდებ უხერხულ მდგომარეობაში, ხომ შემ-პირდი ,,ყველაფერს მოგიყვებიო“ – არ მინდა ,,ყველაფერი“ ვიცოდე თუ რა არის გასამხელი, ცოტა რამ კი აუცილებელია დავწეროთ! – ელგამ კაბინეტის კარები გააღო, დაელოდა გაგი როდის ჩაჯდებოდა სავარძელში, სეიფიდან ფურცლები და ავტოკალამი გამოიღო, წინ დაუწყო დამნაშავეს და მხოლოდ შემდეგ დაჯდა, გაგიმ ფურცლები უკან დაუბრუნა:

– კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ, იქნებ თვითონ დაგეწ-ერათ, მარცხენა ხელით წერა არ მეხერხება, მარჯვენა ხელის ცქერა კი აუტანელია ჩემთვის, სანამ თითს მომაჭრიდენ, მწ-ერლობაზე ვოცნებობდი, ადრინდელი ლექსები და პატარ–პატარა ნოველებიც მაქვს ახლაც მაქვს შენახული, შემდეგ კი თითის დაკარგვამ მწერლის უკვდავებაც დამაკარგვინა, ხანდის-ხან ახლაც მომდის ისეთი მუზა, მწერლობის სურვილს რომ აღმიძრავს, მაგრამ წაჭრილ თითს, რომ დავხედავ, ცრემლიანი სტრიქონების წერა მინდება. ადამიანები მეტად ლმობიერნი ვართ, ყველაფერს ვივიწყებთ და სულს ვიწყნარებთ, ტკივილ-საც კი. მეც მივივიწყებდი ამ ფიზიკურ ნაკლს, რომელიც მომაყენეს. რომ ყოველწუთიერ სამიზნედ არ იყოს გამო-აშკარავებული. ახლა კი თქვენც დამეხმარეთ ელგა. ცოტა წერეთ, რომ არ დაიღალოთ, ბევრი ვისაუბროთ, როდესაც წერაც და საუბარიც მოგეწყინება დედიკოებს მივაკითხოთ, დაღლა მოვიმიზეზრთ და დავიძინოთ.

– თანახმა ვარ, მხოლოდ პირველ რიგში დანაშაულის კვალდაკვალ დავწეროთ, შემდეგ კი... ჩემი და თქვენი სურ-ვილისამებრ ვისაუბროთ.

– ვეცდები თქვენს კითხვებს ამომწურავი პასუხი გავცე, თქვენ კი რომელიც გენებოთ ის დაწერეთ. ზოგიც მოისმინეთ, ზოგიც დაიმახსოვრეთ, ნება თქვენია, შეგიძლიათ ქარს გაა-ტანოთ ყოველი სიტყვა.

– რა თქმა უნდა, ზოგს ქარს გავატან და ზოგსაც აგერ სანაგვე–საქაღალდე ყუთში ჩავყრი, ახლა კი პირველი შე-

კითხვა, რაც დიდი ხანია ყველაზე მეტად გვაინტერესებს: – „რამ განაპირობა თქვენი დანაშაული?“

– ვრცლად მოგითხროთ თუ მოკლედ?

– რა თქმა უნდა ვრცლად! მოკლედ დავწერ, ვრცლად მოვისმენ!

– თქვენ უკვე მოგწერეთ ქაშუეთის ეკლესიაში რომ ვიყავით მე და დედაჩემი, მეორე დღეს კი შვიდ ნოემბერს ჩემი დაბადების დღე უნდა აღგვენიშნა, ცამეტი წელი მისრულდებოდა ხუმრობა საქმე ხომ არ არის, კაცად მომქონდა თავი და მომავალზე ვოცნებობდი.

ეკლესიიდან სახლში რომ დავბრუნდი, დედას შევეკითხე თუ ვინ ჰყავდა მოწვეული ჩემს დაბადების დღეზე, მან რამდენიმე მეზობელი დამისახელა, ყველა ქალი მე კატეგორიულად მოვითხოვე, რომ ჩემი დაბადების დღეს მამაჩემი დასწრებოდა, მან კი როგორც ყოველცთვის მიპასუხა, რომ მამა არ მყავდა როგორ თუ არ მყავს, ქრისტესაც კი ჰყავდა მამაღმერთი და ბოლოსა და ბოლოს მეტყვი ვინა ვარ თუ არა? მან იგივე გაიმეორა: – დამიჯერე შვილო, მე ხომ შემიძლია მოგატყუო, რადგან ადრე თუ გვიან სიმართლე იჩენს თავს, კიდევ გიმეორებ, შენ არასოდეს არ გყოლია მამა! ღმერთს გეფიცები, არასოდეს არ განმიცდია მამაკაცის ალერსი:

– გამაგიჟებს ეს ქალი, აბა, მე როგორ მოვევლინე ქვეყანას, წერომ მომიყვანა თუ ბაზარზე მიყიდე? თქვი ნაშვილები ვარ?

– არა, შვილი ხარ, ნაღდი, ჩემი სისხლი და ხორცი, ჩემი ტკივილი, ჩემი ცრემლი და ჩემი ღიმილი!

– როგორ! როგორ! მითხარი საიდან! – ვიღრიალე მე.

– მეც არ ვიცი და რა გითხრა, როგორ აგიხსნა? – მიპასუხა წყნარად, და ამ სიწყნარით ჩემს დამშვიდებას ცდილობდა, რამაც უფრო გამაღიზიანა ზეზე წამოვიჭერი და კატეგორიუოად განვუცხადე, რომ მეორე დღეს ჩემს დაბადების დღეს არ დავესწრებოდი, თუ სუფრასთან მამაჩემიც არ იქნებოდა, ან ფიზიკურად, ან კიდევ მისი სურათი, თუ მკვდარი

იყო. ზეზე წამოვიჭერი, კარები გამოვიჯახუნე და სიბნელეში გავუჩინარდი, დედამ მეზობლები შეჰყარა და მთელი ღამე მეძებდნენ, მაგრამ იმ დროს ჩემისთანა აცვენილი ნახევარი თბილისი იყო და მეც მათ რიცხვში გავერიე, ის ღამე ბაზრის დარაჯთან გავათენე. „ნარზე“ ვიყავი წამოწოლილი თბილად და უდარდელად, დილა მშვიდი, მზიანი და თბილი გათენდა, მზე ისე ახლოს მომეჩვენა ხელით შეხებას ვლამობდი, მართალია დიდი ხნის დაშორებული არ ვიყავი, მაგრამ დედა მომენატრა. შემებრალა კიდეც და სახლში დაბრუნება გადავწყვიტე. დარაჯს მადლობა გადავუხადე და ხილის დახლებს გამოვუყევი, ერთი მამაკაცი ბროწეულს ჰყიდდა. ასეთ მამაკაცს იშვიათად თუ ნახავს ადამიანი, ნამდვილ ზღაპრულ დევს მოგაგონებდათ, თქვენ ის ნანახი გყავთ... ბროწეულის გამყიდველ დევ–კაცს,. ერთი ცალი ბროწეული გაეხლიჩა, რომ მყიდველი მიეზიდა და, მართლაც, სასწაულად გამოიყურებოდა ბროწეულის მთელი მთა, მაგრამ უფრო სასწაული ბროწეულის ერთი წვეთი იყო, რომელიც გახლეჩილი ნაყოფიდან დახლზე იყო დაწვეთებული. ეს წვეთი მზის სხივზე სხვადასხვა ფერს გამოცემდა, რაღაც ზღაპრულად იყო შემკობილი მზის სხივჩაწნული საოცრება და მის სილამაზეს თვალი ველარ მოვწყვიტე. ეს „დევი“ დარაჯობდა, სიცოცხლეზე მეტად მომინდა ხელით შევხებოდი ამ მზეთუნახავს და თუ ვერ გავანთავისუფლებდი ამ „ურჩხულისაგან“ მენუგეშებინა მაინც, ჩუმად გავაპარე საჩვენებელი თითი, რომ წვეთს შევხებოდი, მივუახლოვდი კიდეც, მაგრამ ბოლომდის ვერ მივაღწიე, დანის ელვარებას შევასწარ თვალი და ჩემი საჩვენებელი თითი დახლზე დარჩა ბროწეულის წვეთთან მიახლოვებული. მაშინვე ტკივილი არ მიგრძვნია, სისხლმაც მხოლოდ ორიოდე წუთის შემდეგ იფეთქა, ცხვირსახოცით გადავიხვიე თითი და დედასთან გამოვიქეცი, დედამ დამინახა, იკივლა და გული შეუწუხდა...

რაც დრო გადიოდა გულს მიკლავდა საკუთარი სიმახინჯე და მხოლოდ შურისძიებაზე ვოცნებობდი, ავადმყოფო-

ბად გადამექცა, ყოველდღე მენახა ჩემი დამსახჩრებელი და შურისძიების ახალ–ახალ გეგმებს ვადგენდი. დანარჩენი თქვენც იცით. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც თვით დაზარალებულმა მოგითხროთ.

– ფრიად საინტერესოა თქვენი წარსული. თუ ნებას დამრთავთ, დედათქვენს გავესაუბრები, რომ ამოვხსნა მამის საიდუმლო.

– არავითარ შემთხვევაში, დედამ თავი მოიწამლა ჩემი დაჟინებული თხოვნის გამო და ძლივს ვიხსენით სიკვდილისაგან, მის შემდეგ გადავწყვიტე სიტყვაც აღარ დავძრა ამ საკითხზე.

– თქვენ დედის გვარს ატარებთ?

– რასაკვირველია!

–მამის გრაფაში რა წერია?

– დედის სახელი!

– როგორ გაატარეს დაბადების მოწმობაში მდედრობითი სახელი მამის სახელად?

– ალბათ არ არის ძნელი ასეთი რამ, თორემ ღიად დატოვებდნენ „მამის“ გრაფას?

– ამხანაგებისგან ხომ არ განგიცდიათ დაცინვა, ან რაიმე უკმაყოფილება უმამობის გამო?

– არა! ჩვეულებრივად ყველა „მარეხიჩს“ მეძახის და ალბათ ვერც წარმოუდგენიათ, რომ მარტო ქალის სახელია და არა კაცისაც, ახალგაზრდობა ტკბილად და გემრიელად გავატარე, დავამთავრე ქალაქის პირველი საშუალო სკოლა, შემდეგ სამედიცინო ინსტიტუტი და როგორც ფრიადოსანი, დიპლომის დაცვისთანავე დამაკმაყოფილეს სამსახურით

– დედა გიყვართ?

– უცნაური შეკითხვაა დედა ვის არ უყვარს, ფრინველსაც და ცხოველსაც უყვარს დედა. დედაჩემი სიყვარულის განსახიერებაა არა მარტო ჩემთვის, არამედ ყველა ნაცნობისთვის, ზედმიწევნით განათლებულია და თავაზიანი, სიმართლის დამცველი და ღარიბთა განმკითხავი. მხოლოდ ერთი

ნაკლი აქვს, მამაკაცები ეზიზღება თვალის დასანახავად, მე ერთადერთი მამაკაცი ვარ, რომელიც ვუყვარვარ, თუმცა ჩემზე-დაც ხშირად უთქვამს – „რატომ არ დაიქცა ის დღე, კაცად რომ გამიჩნდი და არა ქალადო“.

– ალბათ, ახალგაზრდობაში შეაცდინა მზეჭაბუკის სილ-ამაზემ, რომლის ნაყოფიც ხარ შენ და მას კი მამაკაცის სამუდამო სიძულვილი დაუტოვეს.

– ასეთ რამეს დედა არ დამიფიცავდა. მერე რა, რომელ ქალს არ მოსვლია სიყვარულით შეცდომა? რომელ შვილს არ უპატიებია დედისათვის უიღბლო სიყვარულის შედეგი? მაგრამ გასაოცარი ის არის, რომ ჩემს გაჩენაში მამაკაცის ალერსი არ ურევია, სამედიცინო პრაქტიკის დროს გამოვი-კითხე და მივაკვლიე ჩემი დაბადების ისტორიას, მე ოპერ-აციის შედეგად დავბადებულვარ და ჩემი დედა დღესაც ქალ-წულია. ეს დამიმტკიცა ექიმმა ელიზბარ ბარათაშვილმა, რომელმაც დედას ოპერაცია გაუკეთა და მე ამიყვანა, კიდევ საეჭვოდ მივიჩნიე ეს ამბავი, წამოვედი და დედას ნაოპერა-ციევი ჩემი თვალით ვუნახე, გავსინჯე კიდეც. არ ვიცი დედამ როგორ გამაჩინა, ეს ალბათ საიდუმლოდ დარჩება ჩემს შთა-მომავლობას, მაგრამ ეს სავალალო არ არის, საქმე ის არის, რომ არა ვარ სიყვარულის ნაყოფი, დედას არასოდეს ყვარე-ბია მამაკაცი და მამაკაცთა სიძულვილს გარკვეული მიზეზიც აქვს, ბაბუაჩემი ე.ი. დედაჩემის მამა იოსებ მშვენიერაძე ულ-ამაზესი კაცი ყოფილა, ვაჟკაცი და განათლებულიც, ცოლად სიყვარულით ბებიაჩემი ხათუნა სხირტლაძე შეურთავს გაგიჟე-ბულა ბებიაჩემის დაქალი, მარიკა სამნიაშვილი, რომელსაც ფარულად ჰყვარებია იოსები და მისი ხელში ჩაგდება განუზრახ-ავს, ქალი რა არსებაა თვითონ მოგეხსენებათ, არ არსებობს ისეთი სიძნელე, მოანდომოს და ვერ აასრულოს. მარიკასაც განზრახვა სისრულეში მოუყვანია და რამოდენიმე თვის შემ-დეგ ბაბუაჩემის საყვარელი გამხდარა. საყვარლობით არ დაკ-მაყოფილებულა და ბებიაჩემის ადგილი მოუსურვებია, ამ განზ-რახვაზე კი მტკიცე უარი უთქვამს ბაბუაჩემს, გაგულისებუ-

ლა მარიკა, მაგრამ არა შეუმჩნევია რა და ისევ ქალური ალერსით მიუზიდავს თავისკენ იოსები, ერთ საღამოს საზეიმო მაგიდა გაუწყვია მარიკას, ღვინოში რომელიღაც აღგზნებადი თუ გამაგიჟებელი აბები გაურევია და ღვინო მიუძალებია ბაბუაჩემისათვის, თან ალერსით ათრობდა, ენით წამლავდა საყვარელს: – „იოსებ არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ რა ვქნა მიყვარხარ და მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. ცოლი გღალატობს, ჩემო გენაცვალე, აი ახლაც რომ მიხვალ სახლში, ის ან საწოლის ქვეშ იქნება, ან კარადაში. ჩემი თვალით მაქვს ნანახი ყოველივე, ის მოსასპობი ვისში გცვლის მერე, ადამიანს მაინც ჰგავდესო". ბაბუაჩემს ბოღმა რომ ჩაეკლა მოწამლულ ღვინოს მიძალებია და გაუგიჟებია კიდეც. ტვინის მხოლოდ ერთი წერტილიღა უმუშავებდა თურმე სახლში საჩქაროდ მისულიყო რომ საკუთარი თვალით ენახა ბებიაჩემის საყვარელი, რომელიც ფაქტიურად არ არსებობდა, მაგრამ ენის ძალა დიდია, ყველა ძალას აღემატება ის.

დაბოღმილი წამოსულა სახლში ბაბუაჩემი, საყვარელიც უკან გამოყოლია ფარულად, რომ საკუთარი თვალით ენახა, თუ რას მოიმოქმედებდა ცოლიანი იოსები. მაშინ დედაჩემი კარგად წამოჩიტული გოგო ყოფილა, ხუთი თუ ექვსი წლისა და დღესაც ბრწყინვალედ ახსოვს: თუ როგორ შემოვარდნილა სახლში თვალებჩაწითლებული იოსები, სახის ნახევარი წითელი ჰქონდა, მეორე ნახევარი კი მწვანე, არა არ მომჩვენებია, ოფლიც სახის წითელნახევარზე მოსდიოდა მწვანეზე კი არა, პირზე რაღაც საპნისებური ქაფის დუჟი ჰქონდა მომდგარი და მის მოწმენდას არ ცდილობდა, ასეთი არასოდეს არ მენახა მამა – მომიყვა დედა, მან პირველად საწოლის ქვეშ დაუწყო რაღაცას ძებნა, შემდეგ კარადას მივარდა, ტანსაცმელები გადმოყარა, ხათუნას ღვინისგან ეგონა გაგიჟებული და დაწყნარება დაუწყო, მაგრამ ალერსმა უფრო გააგიჟა, სამზარეულოში გავარდა დედაც თან გაჰყვა, მაგრამ მამამ დანის აღება მოასწრო და გამეტებით ჩასცა მკერდში დედას, მარიკა კარებთან მდგარა, რომელიც ამდენს არ მოელოდა,

სახლში შემოვარდა და სახეში ფრჩხილებით ჩააფრინდა მამაჩემს: – რა ჩაიდინე, შე უბედურო, აზრზე მოდიო – უყვირა, მამაჩემმა რაღაც ავისმომასწავებლად გადაიხარხარა, თმაში ხელი წაატანა საყვარელს თავი გადაუწია და დანა ყელში გამოუსვა, მამა სისხლში მთლად გაწუწული გარეთ გაიჭრა და სიბნელეში გაუჩინარდა, მაგრამ იმ ღამესვე დაიჭირეს და იმავე წელიწადს ქუთაისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გარდაიცვალა.

რა თქმა უნდა, მე მარტო დედაჩემის ნაამბობს არ დავყრდნობივარ, კეთილ ნათესავებიც შევაწუხე, მილიციის ორგანოც და ფსიქიატრიული საავადმყოფოც ქუთაისში, დედაჩემის ნაამბობი სწორი აღმოჩნდა და ამიტომ მიყვარს დედა ყველაზე მეტად, ტანჯული ბავშვობა აქვს განვლილი, ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია, ბავშვობაში რომ ვაწყინე, ჰქონდეს ჩემი გაჩენის ერთი საიდუმლო, აღარასდროს მივაყენებ ტკივილს, ოღონდ გვერდით მყავდეს დედა! ჩემი დედა! ის ხომ დღეს სერიოზული ავადმყოფია, შიშზე ბავშვობიდან თანდაყოლილი ფსიქოზი აქვს...

– შენ მიმართ როგორია? – ჰკითხა საინტერესო ამბის მოსმენის აზარტში შესულმა ელგამ.

– ჩემს მიმართაც აქვს ალერგია, მაგრამ ეს სიძულვილს როდი ნიშნავს? არა დედას საკუთარ თავზე მეტადს ვუყვარვარ, ისე როგორც მე მიყვარს ის, მართალია, დედა თავისებურად მზრდიდა, საკუთარი მეთოდით, მაგრამ ალბათ ასე იყო საჭირო, მე ხომ არაჩვეულებრივად მოვლენილი ვიყავი ქვეყნად და დედის არაჩვეულებრივი კანონით უნდა აღვზრდილიყავი.

– რაში გამოიხატება დედის არაჩვეულებრივი აღზრდის კანონი?

– დედამ მოვალეობის მიზნით გამაჩინა, რომ სამშობლოსათვის თავის მაგიერი ადამიანი დაეტოვებინა, მოვალეობის შესრულება კი არსებობის გაგრძელების საშუალებას იძლევა და არა სიყვარულისას, პირველად მამაკაცის სიყვარული

უნდა განიცადო, რომ შეგიყვარდეს სიყვარულის ნაყოფი, დედას კი მამაკაცი არასოდეს ჰყვარებია, ესეიგი მე სიყვარული ნაყოფი კი არა, ტკივილის ნაყოფი ვარ, რომელიც მშობიარობის დროს განიცადა. ასეთი სიყვარული კი არასრულყოფილი სიყვარულია, გამოდის რომ მე დედამ სამკაულად გამაჩინა, რომ თავი მოეწონებინა საზოგადოებისათვის – „აი მეც მყავს შვილი და არა ნაკლები სხვაზე“ – ბავშვი კი სამკაული არ არის, საყელოზე დავიბნიოთ და თავი მოვაწონოთ ვინმეს. მშობელს თავის პირმშოზე უკეთესი ქვეყნად არავინ ჰგონია, აღზრდის თავისებურ მეთოდებს იყენებს, „იმასთან არ იმეგობრო“, „გარეთ არ გახვიდე“, „ისწავლე კარგად, თორემ გავგიჟდები“ და სხვა. ასეთი აღზრდით ბავშვს ბავშვობას ართმევენ, ადრე ამწიფებენ და საზოგადოებისთვის უვარგის ადამიანად ზრდიან, მრავალ დედას ვერ შეუგნია, რომ შვილი ბედნიერი უნდა იყოს და არა სწავლაში წარჩინებული...

– ბავშვის მოსაწონი ბავშვობა არცერთ თაობას არ ჰქონია, გაგი მარტო შენ რად ხარ ასე უკმაყოფილო გაჩენის? მე შენ მეტად შეგიყვარებ. შენი გულგატეხილობებითა და შეუმჩნეველი ნაკლოვანებებით, ვიდრე სრულყოფილებაში მყოფს შეგიყვარებდი, არასწორად მეჩვენება შენი მოქმედება, შენ დედა კი არ გიყვარს, – გებრალება და სიბრალულმა შეჰქმნა სიყვარული.

ბავშვობა წაგართვა? – მერე რა, ტკბილი ბავშვობა და ბედნიერი მომავალი რომ არ არის ჩვენს ეპოქაში? შენ გული გწყდება, მეტად თბილი უნდა იყოსო დედა! ადანაშაულებ უსიყვარულოდ ქვეყნად მოვლენაში, მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცთა მიმართ ალერგია აქვს, მაინც გაგაჩინა, იქნებ ხელოვნური განაყოფიერებით და თვითონაც არ იცის შენი მამა! – შენ ამ საკითხიზე ოდესმე გიფიქრია?

– დავფიქრებულვარ, როგორ არა, დედაჩემზე ინვიტროგანაყოფიერება გამორიცხულია, რადგან, როდესაც მე გავჩნდი საქართველოში „სინჯარით“ განვითარების მეთოდიც არ არსებობდა, მეორეც დედაჩემი დღესაც ქალწულია, შეუძლებელა

განაყოფიერება ქალწულზე ინვიროგანაყოფიერების მეთოდით მომხდარიყო. ამას არა აქვს მნიშვნელობა, თუ როგორ გავჩნდი, საქმე ის არის, როგორ აღვიზარდე, მე ჩემს აღზრდაში სრულყოფილებას ვერ ვხედავ, რადგან ქალის აღზრდიდი კაცი არასრულყოფილად მესახება, თვით ქრისტესაც კი მოუვლინა ღმერთმა აღმზრდელად იოსები, რომ მასში ადამიანური და ღვთიური სრულყოფილება გაძლიერებულიყო.

– დიახ, სწორი ბრძანებაა, – ადამიანური და ღვთიური სრულყოფილება – მერე შენ! შენც ორივე გნებავს? არა ძვირფასი შენ მხოლოდ ერთით უნდა დაკმაყოფილდე, ადამიანური სრულფასოვნებით, რომლისთვისაც შენს დედას ბრწყინვალედ გაურთმევია თავი. დედაშვილური სიყვარული, სექსუალური სიყვარული არ არის, ის წლებთან ერთად არ მიდის, შენ ვერასოდეს ვერ ჩაწვდები დედის სიხარულს, როდესაც ის თავის პირმშოს პირველად კოცნის და შვილი ამას ვერ გრძნობს. შვილები მხოლოდ მაშინ ხვდებიან დედის სიყვარულს, როდესაც უკანასკნელად კოცნიან და დედა ვერაფერს გრძნობს. თუ ნებას დამრთავ მე შევხვდები დედაშენს, როგორც გამომძიებელი და გავესაუბრები შენი გაჩენის თაობაზე, ვფიქრობ, ქალები უფრო გავუგებთ ერთიმეორეს.

– არავითარ შემთხვევაში, არ დამირღვიოთ დედაჩემის მყუდროება, არ შემირყიოთ იმის ნებისყოფა, მე ის მიყვარს საკუთარ თავზე მეტად დაე ჰქონდეს ეს ერთი საიდუმლო, რას ემართლებით?

– კი, ბატონო, არასოდეს არ მექნება მასთან ამ თემაზე საუბარი, მხოლოდ შენ გაისიგრძეგანე და აღიქვი დედის სიყვარული ისე, როგორც მას უყვარხარ სინამდვილეში. ,,ბავშვის სული უწმინდესია კაცობრიობის ტაძარში, მასშია მოქცეული მსოფლიო ბედნიერება და თავისუფლება, ბავშვის სულში გაერთიანებულია უღრმესი ცოდნა ქვეყნიერების მშვენიერებისა და სიკეთისა. შერწყმული სამართლის შეცნობის უძლიერეს ნებისყოფასთან. ბავშვის სული სარკეა ჩვენთა სათნოებათა და შოლტი ჩვენთა შეცოდებათა, ვინც ბავშ-

ვის სულის წინაშე სცოდავს, იგი მტერია ხალხისა, სიკეთისა და სიწმინდის. ასეთი ცოდვა არასოდეს არავის მიეტევება... თუ ბავშვი სულიერად და ხორციელად გაჭირვებაშია, კაცობრიობას ეს უფრო მწარედ ესაყვედურება, ვიდრე ამ ქვეყნიური შუღლი და სიმდაბლე ყოველნაირი". – ამბობს ერის მიუზამი. ამ სიტყვების დედააზრი ყველამ უნდა ვიცოდეთ და აღარ უნდა დავესესხოთ გარდასულ საუკუნეთა სიბრძნეს, ნუთუ ვეღარ ვისწავლეთ ბავშვის აღზრდა, რომ ბერძენ ფილოსოფოსებს არ ვკითხოთ და მათი მაგალითით არ ვიხელმძღვანელოთ? ხშირად გავიგონებთ: ,,სოკრატემ თქვა, პლატონმა ბრძანა, დიოგენმა აგვიხსნა, არისტოტელემ გვასწავლა" – ნუთუ არ დადგა დრო, ჩვენც ვთქვათ და გავაკეთოთ რაღაც ბრძნული, ნუთუ ბერძენ ფილოსოფოსთა სიბრძნით ამოიწურა ხალხის საუნჯე? მართალია, ბავშვის აღზრდა დიდ გონიერებას საჭიროებს, მაგრამ ნუთუ ვეღარ ვისწავლეთ, რომ ქართველთა შვილები, განსაკუთრებულნი თუ არ იქნებიან, სხვა ქვეყნის ახალგაზრდობას ნუ ჩამორჩებიან სინდის–პატიოსნებითა და ერის სიყვარულით. იმედი მაქვს არც ჩამორჩებიან, მხოლოდ მივცეთ ქართველ დედას დედობის უფლება–საშუალებანი...

– აგაშენა ღმერთმა. მეც შენი აზრისა ვარ და მიხარია, რომ კარგი დედა იქნები, მე მუდამ ვიამაყებ შენით, თუ შენს დიდებას არასდროს დაჩრდილავს ჩემი ფიზიკური ნაკლი.

– საყვარელი ადამიანის ნაკლი ვერ უნდა შენიშნო, ალბათ ამჩნევ, შენდამი გულგრილი არა ვარ, რადგან შენს ნაკლს ვერ ვხედავ.

– გმადლობ, ელგა თანაგრძნობისათვის, ახლა უკვე გვიანია, ალბათ სახლში წახვალ, მე კი ჩემს ,,ხეიბრებთან", ხვალ ისევ დილით შევხვდეთ, საქმეც რომ არ გვქონდეს, ვგრძნობ უშენოდ მაინც ვერ გავძლებ.

– ხვალ სამსახურიდან დახასიათება წამოიღე, შევაკოწიწოთ საქმე, იქნებ იოლად გამოვიდეთ.

– ჰო, აქამდე არ ვფიქრობდი ასე, ახლა იოლად გამოძრომა მირჩევნია დიდი ხნით შენთან განშორებას!

– შენ ისევ შენსას გაიძახი, მე კი გათხოვება საერთოდ არ მინდა.

– ჰო, ვიცი, ეს ქალთა მრავალგზის ნაცადი ილეთი, კაცებისათვის დიდი ხანია ცნობილია. ღალატამდე იშვიათად ამჟღავნებთ სიყვარულს, შემდეგ კი იერიშზე გადადიხართ. და, ვინ იცის, შეიძლება მეც ის ბედი მეწიოს, რაც ბაბუაჩემს.

– შეიძლება უარესიც! კარგად შემომხედე!

– გაგიმ გაუღიმა, მადლიერების გრძნობამ გული აუჩქარა და ქალიშვილს ხელზე ეამბორა, ეს იყო მათი პირველი სიახლოვე და ქალმა ინსტინქტურად დაადო თავზე თავისი ხელი, ვაჟმა თანხმობა იგრძნო და გათამამდა, კოცნამ მკლავზე გადაინაცვლა, შემდეგ ლოყაზე და ბეგემდე მიაღწია. აღარცერთს აღარ ახსოვს რამდენ ხანს იყვნენ ასე ერთ არსებად ქცეულნი.

მეორე დღეს უფრო დაახლოებულნი და გაშინაურებულნი ჯალილ უსმანოვის მოსანახულებლად წავიდნენ, სანოვაგით დატვირთული აბგით შეაღო ელგამ პალატის კარები, გაგიმ არ ისურვა ჯალილის მონახულება და კვალმაძიებელს მარტოს მოუწია დაზარალებულთან გასაუბრებამ. ხელახლა ჩამოართვა ჩვენება, ხელი მოაწერინა, ტკბილად გამოემშვიდობა და წასვლა დააპირა, მაგრამ ჯალილმა შეაჩერა:

– ელგა! თქვენ განათლებული ადამიანი ბრძანდებით, იმედი მაქვს გამიგებთ და დამეხმარებით, შემარიგეთ ის ახალგაზრდა, ჩემი „ქირურგი“ გაგი მშვენიერაძე და თუ მეშვილება მთლად უკეთესი, მე მიყვარს საქართველო და ქართველი ერი, მაჰმადიანი მყავდა დედა და მამა, მათი წინაპარიც, მე კი ქრისტეს ვეზიარე და ქართულად მოვინათლე, აქ ვარ ამ კურთხეულ მიწაზე დასამარხი და ჩემმა ხალხმა შეიძლება ერისა და სარწმუნოების მოღალატედ მიმიჩნიოს და დამმარხავიც არავინ გამომიჩნდეს.

– რა დროს თქვენი მასეთი ფიქრებია, ბიძია ჯალილ, თქვენ ხომ ჯერ ახალგაზრდა ხართ, ჯან–ღონით სავსე ადამიანი?

– რა ვიცი, ყოველთვის უარყოფითი ფიქრები მოსდის მარტოხელა ადამიანს თავში, წავიდოდი აზერბაიჯანში იქ ჩემი ახლობლები ცხოვრობენ, მაგრამ რა ვქნა, რომ არ შემიძლია საქართველოსთან განშორება.

– არ ხართ შემცდარი, ბიძია ჯალილ, საქართველოს სიყვარულში. მართლაც, ხომ ლამაზია ეს კურთხეული მხარე.

– კი, რა თქმა უნდა, ძალზედ ლამაზია საქართველო. თავისი ბუნებით, მთა–ბარითა და კლიმატით, მაგრამ ეს ჩვენი დამსახურება როდია, ჩვენ ლომის წილი საქართველოს გაყიდვა–განადგურებაში მიგვიძღვის, დაინგრა უნიკალური ქარხნები და ჯართის სახით გაიყიდა საზღვარგარეთ. გაიჩეხა ულამაზესი ბუნება და ისიც საზღვარგარეთ გაზიდეს,. ქვეყნები, რომლებიც განადგურების გზაზე იყვნენ, საქართველოს დოვლათით აშენდნენ, ქვეყნის დაჩეხვა და გაყიდვა კი გრძელდება, მე ბროწეულს ვყიდი, ის ვაშლს, სხვა კიდევ– მინდორ–ველს, მთა–ბარს, მონასტრებს, ეკლესიებს, მის ჩუქურთმებს, მამა–პაპათა ძვალშესალაგს, ვენახს – საფიცარს, ვაზს შვილივით გაზრდილს, თავით შვილსაც ცოცხალს მხოლოდ მშიერსა და შიშველს, ყიდიან წარსულს, მომავალს, აწმყოს, პოეზიას, ლიტერატურას, ისტორიას, სისხლით მოპოვებულ ორდენს, მედალს, ფარს, ხმალს, ხანჯალს, ჭურს, მარანს, ღვინოს, ყანწს, სტუმართმოყვარეობას, პატიოსნებას, იყიდება, ყველაფერი იყიდება და გული მტკივა, როგორც ერთ–ერთ ჭირისუფალს!

– მწარეა, მაგრამ სასიამოვნოა თქვენი საუბრის მოსმენა, ბიძია ჯალილ, განუსაზღვრელი დროით მოგისმენდით, მაგრამ მელოდებიან, ბოდიში, უნდა დაგტოვოთ, მოკლე დროში შეგატყობინებთ და სასამართლზე უნდა გამოცხადდეთ აუცილებლად.

– უკეთესი იქნებოდა თუ შემატყობინებდით – არ შედგა სასამართლო! ჰო, მართლა, სულ მავიწყდებოდა, თუ შეიძლება კარგი ვექილი დაუქირავეთ გაგის ჩემს ხარჯზე, ფულს წინასწარ ჩავრიცხავ.

– იმისი კარგი ვექილი თქვენს სასჯელზე ილაპარაკებს.

– ვიცი, და არანაკლებად სხვაზე, მე ხომ ციხის იურიდიული მაქვს დამთავრებული?!

– ასეთი ბრალდება ჯერ არ მსმენია, დაზარალებულს, ბრალდებულის გამართლება უნდოდეს და საკუთარი თავის გამტყუნება, მაგრამ მე მაინც ვეტყვი მშვენიერაძეს, თუ თანახმა იქნება...

– რაო, აღარ გამოგიშვა ჯალილამ? – უსაყვედურა გაგიმ. მოსვლისთანავე ელგას დაგვიანება.

– ნამდვილად აღარ გამომიშვა, შენთან სიტყვა დამაბარა, ჩემი ხარჯით დამცველი აიყვანოს და თუ მეშვილება კარგი იქნებაო.

– წყალმა წაიღოს თავისი თავი, დამცველი და შვილობილიც, მაგი რომ დედაჩემს სახლში მივუყვანო და ვუთხრა: მამაა ჩემი–თქო, ნეტავი წარმოიდგენდე რა კომედია დატრიალდება, დამცველი კი ნამდვილად არ მესაჭიროება, არ ვმალავ დანაშაულს, არ ვიმართლებ თავს და არც არავის ვავალებ გასამართლებას.

– დამცველს იმიტომ კი არ ინიშნავენ, ერთი მხარე გაამართლოს და მეორე გაამტყუნოს, არამედ დამცველმა უნდა დაინახოს ძიების დროს დაშვებული შეცდომა, ავლინოს ის და ჭეშმარიტებით დაუსაბუთოს მოსამართლეს.

– მერე და, გამომძიებელი შენ არა ხარ? ნუ დაუშვებ შეცდომებს ძიების დროს და ვექილიც აღარ დაგვჭირდება. რაც შეეხება ვექილს, არა მგონია იმ ფუნქციას ასრულებდეს, როგორც ამიხსენი, მე კიდევ დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის შუამავალი მგონია და ერთი თუ გაამართლა მეორე თავისთავად გამტყუნდება. ალბათ ეს ჯალილმაც კარგად იცის და თუ ამჩნევ საკუთარი თავის დასჯა ურჩევნია ჩემს დასჯას, შენი საუბრიდან კეთილად განვეწყვე მის მიმართ, ცუდი კაცი არ უნდა იყოს...

– ასი პროცენტით დაგეთანხმები, მე მის ცალ თვალში (რადგან მეორე თქვენ წამოთხარეთ) ბოროტება ვერ ამოვიკითხე.

– თქვენ ყველგან დაეძებთ სიკეთეს ან ბოროტებას: თვალებში, ფრჩხილებში, წარბებში, წამწამებში და კიდევ რა ვიცი სად... მაგრამ სრულყოფილად კი ვერცერთ ორგანოზე ვერ მკითხაობთ, მოდი ჩვენ მკითხაობის გარეშე შევხედოთ სინამდვილეს თვალებში და ვინაიდან ჯალილიც კეთილ ადამიანად მოგვევლინა და არც მე არ ვარ ბოროტი თქვენი წარმოდგენით, რადგან მომჩივანი არცერთ მხარეს არა ჰყავს, შეიძლება თუ არა საქმე ძიებაში, რომ დაიხუროს?

– არა! რა შუაშია აქ მომჩივანი? მოხდა დანაშაული, კანონმა უნდა განიხილოს ჩადენილი დანაშაულის არსი და კანონის შესაბამისად დაისაჯოს დამნაშავე! –

– ფული რომ წავაშველოთ?

– ფული?

– ჰო, ფული!

– ფული კანონმდებელია, ესე იგი კანონზე ძლიერი, მას შეუძლია თავდაყირა დააყენოს ყოველი, მეც არ მომწონს ადამიანზე ძლიერი რომ არის ფული, მას ისე სათუთად ეპყრობიან და ისე აღმერთებენ ხანდახან თვით ღმერთიც კი ავიწყდებათ, ვერ ამჩნევენ გულში ეშმაკი რომ ზის და ფულის მოყვარული კაცის სულსაც ეშმაკი განაგებს. ყველაფერი არაკეთილსინდისიერი გზით შეძენილი, ნაგროვები ფული და დოვლათი ეშმაკს რჩება. ფულით განებივრებული ადამიანი ამას ვერ ამჩნევს, ღალატობს ღმერთს და ამდიდრებს ეშმაკს.

– თუ ადამიანმა ამდენი იცის, რასაც შენ ამბობ, რატომ ხდება ფულის მონა?

– იმიტომ, რომ სიცოცხლის არსს წარმოადგენს და ცხოვრების კეთილდღეობას, უფულოდაც ძნელია ცხოვრება, აი, დღეს მე შენთან ერთად მინდა „არაგვში“ ვისადილო!

– მერე და ვინ გიშლის, მომეძებნება იმდენი თანხა საყვარელ ადამიანს გავუმასპინძლდე რესტორანში!

– რომ არ გქონდეს?

– თუ არ მექნება კიდევ უკეთესი, შენს გამზადებულ სადილს მივირთმევ. ფრანგული ღვინის მაგივრად ზედ იმერ-

ულ ნაღდი ჭურის ღვინოს დავაყოლებ და მდიდარი თუ არა, ბედნიერი ვიქნები.

ღმერთის კანონებს ეწინააღმდეგება სატანა, რომ ხალხში შუღლი და მტრობა დაენერგა. ფინიკიელებს სულში სატანა ჩაუსახლდა და ფული გამოაგონებინა. მის შემდეგ ფულით შენდება და ინგრევა გრანდიოზული ქვეყნები, სატანა მაინც არ ისვენებს, შექმნეს ახალი ვალიუტა „ევრო“, მე მგონი ეს ფუძემდებელია ელექტრონული ფულის.

– ელექტრონული ფულის? ეს რაღა არის?

– ეს ახალი გამოგონებაა, რა თქმა უნდა, ისევ სატანური, რომლის მიმოქცევაში შემოსვლას ჩვენ მოვესწრებით, სატანამ შექმნა მსოფლიოში უზარმაზარი კომპიუტერი „მხეცის“ სახელწოდებით, რომელშიც გაერთიანდება მსოფლიოში მაცხოვრებელი ყველა ადამიანი, ამისათვის შეიქმნა მიკროსქემა, რომელიც შესაძლებელია თავისუფლად მოთავსდეს სამედიცინო ნემსში და შეყვანილ იქნას ადამიანის ორგანიზმში. ცდებისთვის მრავალი ცხოველი გამოიყენეს და შემდეგ მრავალი პატიმარი, რათა გამოკვლევას მიზნისთვის მიეღწიათ, მიკროსქემა შედგება 250 000 შემადგენელი ნაწილისაგან, იმისათვის, რომ დაიტენოს ეს მიკროსქემა, საჭიროა ტემპერატურის სწრაფი ცვალებადობა, ადამიანის ორგანიზმში, ამ ადგილის დასაზუსტებლად დაიხარჯა რამოდენიმე მილიონი დოლარი, დედებს სცოდნიათ, რომ ეს ადგილი ბავშვის შუბლი და მარჯვენა ხელია. როდესაც იოანემ იხილა უფლისაგან გამოცხადება, მან იხილა სწორედ ეს პაწაწინა პლასტიკატი, რომელიც თავსდება ეპიდემიოლოგიურ ნემსში, იოვანეს გამოცხადებაში კი ნათქვამია „აიძულა ყველა პატარა და დიდი, მდიდრები და ღარიბები, თავისუფლები და მონები – მიეღოთ ნიშანი ხელზე ან შუბლზე“ (გამოცხადება 13.16) ორგანიზმში შეყვანილი მიკროპლასტიკატის შედეგად აღირიცხება პლანეტაზე მცხოვრები ყველა ადამიანი. მაგრამ რა მოხდება, თუ მწყობრიდან გამოვიდა მიკროსქემა? ორგანიზმში მომენტალურად მოხდება ცვლილება და პლასტიკატის

ადგილზე გაჩნდება ჩირქოვანი ჭრილობა, ამის შესახებ იოანე გამოცხადებაში 16,2 ნათქვამია: „წავიდა პირველი და გადმოღვარა მიწაზე თავისი თასი და გაუჩნდათ სასტიკი და საზარელი ჭრილობები ადამიანთ, რომელთაც მხეცის ნიშანი ჰქონდათ და მის ხატებას სცემდნენ პატივს – თაყვანს“.

სწორედ კოსმოსური სისწრაფით იგეგმება, რათა გააერთიანონ მსოფლიო საკრედიტო ბარათები და შემოღებულ იქნეს ელექტრონული ფული. ერთ–ერთი ქვეყნის პრეზიდენტის კაბინეტში ითქვა: „ვეცადოთ დაუყოვნებლივ მსოფლიოს ყოველი მოქალაქე მოიცვას ამ სისტემამ“.

ათასობით ბავშვმა და ზრდასრულმა სატანის მიმდევარმა გაიკეთა უკვე კანქვეშ ეს ზემოთაღნიშნული პლასტიკატი, და არავითარი უკუჩვენება არ გააჩნიათ, ვშიშობ, რომ მალე იგი მოიცავს მთელ საერთაშორისო ქსელს, რომელსაც წმინდა წერილი გვაუწყებს, სატანა ყოველმხრივ ცდილობს, სახელი გაუტეხოს ქრისტიანულ სარწმუნოებას და აშკარად ავლენს თავის ძალმოსილებას, მაგრამ ეს უნდა ვიცოდეთ ჩვენ, ჭეშმარიტმა ქრისტიანებმა და შეძლებისდაგვარად წინ აღვუდგეთ სატანურ მოძრაობას.

ფედერალური რეზერვების სისტემას აქვს ხუთი ბანკი, რომლებიც აკონტროლებენ მთელ მსოფლიო ფინანსებს, ამასთან უშუალო დამოკიდებულება აქვს როტშილდების ოჯახს, რომლებიც ჯერ კიდევ 175–იან წლებში ეროვნებით ებრაელი ბაუერები იყვნენ, მაგრამ სატანური გავლენის შედეგად როტშილდებად გადაიკეთეს გვარი და კიდევ სხვა თორმეტ მამაკაცთან ერთად შექმნეს ორგანიზაცია „13 საბჭო“, იგი მიეკუთვნება იეზუიტების ორდენს, ერთ–ერთ უძლიერეს სატანურ ორგანიზაციას, ეს საბჭო დღეისათვის აკონტროლებს მთელი მსოფლიოს ფინანსურ სისტემას. ასე რომ, თეოდალური რეზერვების ფული არ ეკუთვნის რომელიმე ქვეყნის მთავრობას, და მალე ჩვენ შევიტყობთ, რომ ეს რეზერვები ამოიწურა, რასაც ელექტრონული ფულის გავრცელება მოჰყვება.

ჩვენ ამჟამად ვიმყოფებით ისეთი პერიოდის ზღვარზე, როცა „მხეცის“ ნიშნით აღბეჭდავენ ადამიანებს და თუ ვერ შევძლებთ გარჩევას, შევიქმნებით მომაკვდინებელი სახელმწიფო სისტემის მონაწილენი, საუბედუროდ, მრავალნი ვერ იგებენ ანტიქრისტეს მმართველობის დასაწყისს.

– რომ მსოფლიოში ერთი ელექტრონული ფული იქნება, ეს შეუძლებლად გვეჩვენება, როდესაც ყველა ქვეყანას თავისი პრეზიდენტი ჰყავს და ქვეყნის თავისებური მართვის მეთოდები გააჩნია, ნუთუ ისინი დაუშვებენ ევროპაში შემოჭრილ სატანური მართვის მეთოდებს?

– ნუთუ ვერ ამჩნევთ, რომ ძალიან სწრაფად გვიახლოვდება ჟამი მსოფლიო ხელისუფლებისა. არ დარჩა დიდი დრო, ჩვენ ამ მოვლენას მოვესწრებით, მსოფლიოს ერთი პრეზიდენტი ეყოლება.

– ოჰ,. ახლა ეს უკვე მეტისმეტია, აქამდე ცოტა კიდევ რაღაც დაგეჯერებოდა, ახლა კი...

– რატომ? შეუძლებლად გეჩვენება? ამერიკის შეერთებულ შტატში ოცდათექვსმეტი შტატია გაერთიანებული, პრეზიდენტი კი ერთი ჰყავთ, უფრო გასაგებად გეტყვით, ყოფილ საბჭოთა კავშირში გაერთიანებული თხუთმეტი რესპუბლიკა იყო, ერთი გენერალური მდივანი ჰყავდა, ხოლო ყოველ რესპუბლიკას, თავისი მმართველი, რომელიც თავისი ქვეყნის მმართველობას გენერალურ მდივანთან შეთანხმებით აწარმოებდა, საქართველოში ჩაი და ციტრუსი რომ მოვიწიეთ, ყაზახეთში გავაგზავნეთ. ყაზახეთიდან კი ხორცეული მივიღეთ, შორეული ვლადივოსტოკიდან თევზი და ასე რომ, „ცხვრებიც სახეზე გვყავდა და მგლებიც მაძღრები“. რა მოხდება, რომ მსოფლიოში იგივე სისტემა განვითარდეს? ჩემი აზრით, მხოლოდ ამ გზით განვითარდება მშვიდობა მსოფლიოში ადამიანები გაცილებით უკეთ იცხოვრებენ, რამეთუ მილიარდები აღარ დაიხარჯება გამალებულ შეიარაღებაზე...

– მაინც შეუძლებლად მიმაჩნია, რადგან სარწმუნოებაზე მოახდენს დიდ გავლენას და გამორიცხული არ არის, სარწ-

მუნოებათა შორის ომები, პლანეტის პრეზიდენტი, რა თქმა უნდა, თავის სარწმუნოებას განამტკიცებს და სხვათა უკმაყოფილებას გამოიწვევს.

— როგორ გეკადრებათ, პლანეტის პრეზიდენტი არა მარტო ხალხის, არამედ ღმერთთა საერთო თათბირზე არჩეული პიროვნება უნდა იყოს, რომელიც ერთნაირად უხელმძღვანელებს ყველა ეროვნებისა და სარწმუნოების წარმომადგენელს, დაჰმობს სატანურ სექტებს, რომლებიც არცთუ ისე ცოტანი არიან ამჟამად და იმ ღვთიურ სარწმუნოებებს ეთაყვანება, რომელიც თვით უფალს შეუქმნია.

— ღმერთმა ინებოს, კარგს მოესწროს მსოფლიო კაცობრიობა, რადგან ცუდი მრავალგზით იგემა უკვე...

— ღმერთის წყალობით ჩვენ უნდა შევქმნათ კარგი მომავალი, ცხოვრება ბრძოლაა და მაშინ არის კარგი, როდესაც მას ებრძვი, ბრძოლის უნარი და ძალა კი ყველას შესწევს. მხოლოდ არ უნდა შეგეშინდეს, უძლეველი მხედართმთავარიც კი მარცხდება შიშით...

— შეუმჩნევლად მოვედით, კიდევ კარგი არაფერს დავეჯახე, ისე გამოვითიშე შენი საუბრით, სრულებით არ მიგრძვნია საჭესთან ვიჯექი თუ არა, ახლა ნამდვილად მწამს ღმერთის, მგონი ის მართავდა ავტომობილს.

თქვა ელგამ, როდესაც ავტომობილი გაგის ჭიშკართან გააჩერა. უხმოდ შეეხო ხელის თითები ერთმანეთს, მაგრამ ვინაიდან ტუჩები ორასჯერ უფრო მგრძნობიარეა, ვიდრე თითები, ალბათ ამიტომ შეეწებნენ ერთმანეთს.

— კარგი ახლა საკმარისია! — თქვა სიყვარულით მთლად გათანგულმა ქალმა — ხვალ ისევ შევხვდეთ! — კიდევ ერთი კოცნა და ავტომობილი ადგილიდან დაიძრა.

ნორმალურად არ ეძინა ელგას, თვითონაც არ ახსოვს რამდენჯერ იბრუნა გვერდი, რამდენჯერ დათვალა ასამდე, რამდენჯერ დაინამა ენით გაგის ნაამბორები ტუჩები, მაგრამ არ იქნა და არ ჩაეძინა. დილით ადრე მივიდა სამსახურში, სამუშაოს გული ვერ დადო, გაგის ელოდებოდა, ის კი იგვი-

ანებდა, – „ცუდი ხომ არაფერი შეემთხვა? რატომ იგვიანებს? მომკლავს ალბათ იმისი ლოდინი! რა უბედურება ყოფილა სიყვარული, ნეტა ადამიანმა სულ სიყვარულზე უნდა იფიქროს? როგორც გაზაფხულის პეპელა, უდარდელად დავფარფატებ და ვწუწნი სიყვარულის ნექტარს, წამერთვა ფიქრის უნარი, რა იქნება სიყვარულის შედეგი? ისევ ისე ასეთი ძლიერი სიყვარული და გამრავლება როგორც აბრეშუმის ჭიისა, თუ დაკარგვა სიყვარულისა და დარდი. არა, გაგი არ იკადრებს უშინაარსო სიყვარულს, სიყვარულის შინაარსი და შედეგი კი შთამომავალია, ბავშვი! არ მწამს ოჯახი ბავშვების გარეშე, უდიდესი ბედნიერება შვილია საყვარელი ადამიანისაგან, ოჯახური ბედნიერება სხვაგვარად ვერ იარსებებს, მხოლოდ სიყვარულით შეიძლება ქალ–ვაჟთა კავშირი და მტკიცე ოჯახის შექმნა. სექსი სიყვარულის გარეშე პირუტყვობაა. რა მეშველება გაგის ციხე რომ მიუსაჯონ? ღმერთო დაგვიფარე... ტელეფონის ზარის ხმამ შეაკრთო, ზეზე წამოიჭრა, ზარის ხმაზე იცნო, ვინც იყო და ყურმილის აღებისთანავე ჩასძახა:

– სად ხარ აქამდის, რატომ აგვიანებ, ხომ მშვიდობაა?

– როგორ მიხვდი, რომ მე დავრეკე?

– პირველად ზარის ხმით, ახლა კი ოფლის სუნით გცნობ!

– ჰო, მჯერა, მაგრამ უნდა მაპატიო ჩემო სიყვარულო, ოპერაციაზე შევდივარ და ცოტა კიდევ დამაგვიანდება.

– დაგაგვიანდება? მაშინ მე მოვდივარ!

– რა მოხდა, ვეღარ ითმენ?

– ასე გამოდის!

– მიმღებში ხალათი გამოითხოვე და უთხარი, რომ ჩემთან მოდიხარ. აბა, კარგად, გელოდები!

ტელეფონში გაბმული ზუმერი გაისმა.

– რაც მთავარია, კარგად არის და მელოდება, მე ველოდე, ახლა ის მელოდოს – ხმამაღლა გაესაუბრა თავის თავს და სეიფი გააღო – ცოტას წავიმუშავებ! სეიფიდან გაგის ძიების

საქმეები გამოიღო, თანმიმდევრობით დააწყო, დანომრა, კიდევ ერთხელ წაიკითხა, შეკრა და პროკურორთან წაიღო ხელის მოსაწერად, პროკურორმა საქმე გადაშალა შემდეგ ისევ დახურა, „გავეცნობიო“ თქვა და მაგიდის კუთხეში გასწია. ელგა წასასვლელად წამოვიდა.

– არ წახვიდეთ, დაჯექით! – წყნარად თქვა პროკურორმა, რომელიც ძალზედ ჩაფიქრებული ჩანდა, შემდეგ თითები მაგიდაზე აათამაშა და მოულოდნელად წარმოთქვა:

– მაგ ბიჭს როგორმე უნდა ვუშველოთ! სანამ შენ შემოხვიდოდი ერთი ჩინოვნიკი იყო, მაგ საქმით დაინტერესებული, დავპირდი „რაღაცას გავახერხებთ–მეთქი“,. გაეხარდა და მზერა აი, იმ რუკაზე გადაიტანა კედელზე რომ მსოფლიო რუკაა გაკრული, მისი მზერა დავიჭირე, იტალიას მისჩერებოდა და მეც რომ მესიამოვნებინა ვუთხარი:

– ჩექმას ჰგავს არა?

– კი, რა თქმა უნდა, ნაღდი ჩექმაა ძმობას გეფიცები! – მიპასუხა.

– მე მგონი ცოტა აქლემსაც წააგავს – გამომცდელად ვუთხარი ისევ.

– მოკლედ როგორი შედარება იცი, ზურგი ნაღდად აქლემისა აქვს.

– მუცელზე დაუკვირდი, მუცელზე, ნაღდად ვეშაპივით არის წამოწოლილი.

– კი! კი, სწორედ რომ ვეშაპსა ჰგავს, ქართველობას გეციცები! – მიპასუხა მან.

– და ეს პიროვნებაა გაგის საქმით დაინტერესებული? – შეეკითხა პროკურორს ელგა.

– დიახ, და უნდა გავუკეთოთ, სხვაგვარად არ შეიძლება, ყოველ შემთხვევაში დღეს სხვაგვარად არ შეიძლება, ხვალ კი შესაძლებელია მაგ პიროვნებაზე მოგვაკითხონ შეღავათისათვის.

– როგორც თქვენ ბრძანებთ, ბატონო გიორგი, ყოველ შემთხვევაში მომჩივანი არავინა ჰყავს მაგ ყმაწვილს, ადვილად შეიძლება თხოვნის მოგვარება.

– როგორ თუ მომჩივანი არა ჰყავს, ეს ხომ სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანებაა და ასე ადვილად თმობს მარჯვენა ხელს დაზარალებული?

– არა მარტო ხელს, ბეჭედსაც თმობს, რომელიც მოჭრილი ხელის შუა თითზეა და ბრალდებულს ჩუქნის.

– ასეთი რამ პირველად მესმის. მერე და რა არის ამის მიზეზი?

– თითი მოუჭრია ბავშვობაში დაზარალებულს და თავს ახლა თვითონ გრძნობს დამნაშავედ.

– ჰო, კარგი გავეცნობი საქმეს, თუ მომჩივანი არავინ ჰყავს, ვეცადოთ სასჯელის გარეშე გამოვიდეს.

გახარებული გამოვიდა ელგა, პროკურორის კაბინეტიდან და პირდაპირ საავადმყოფოსაკენ წავიდა, რომ გაგისათვის მიეხარებინა პროკურორის გადაწყვეტილება.

გაგის ოპერაცია დაუმთავრებია და კაბინეტში ელოდებოდა ელგას, გაეხარდა, რომ დაინახა, ზეზე წამოდგა, შეეგება, მაგრამ მაინც უსაყვედურა:

– რატომ დაიგვიანე?

– პროკურორთან ვიყავი, შენი საქმე დავხურე და ხელის მოსაწერად შეუტანე.

– მოაწერა?

– არა! თავი შეიკავა. ვიღაც ჩინოვნიკი დაინტერესებულა შენი საქმით!

– რა ჩინოვნიკი, რას ითხოვენ, მკაცრად და სამაგალითოდ დასჯას?

– არა, შელავათს!

– სიცრუეა, მასეთი მე არავინ მყავს და ჩემი მხრიდან არც არავინ იცის ჩემი დანაშაული, თქვენიდან კი მგონია საქმე არ გაჟონავდა.

– საინტერესოა, აბა, ვინ უნდა დაინტერესებულიყო შენი საქმით?

– არ ვიცი, არც მაინტერესებს და არც ვაძლევ დიდ მნიშვნელობას, ჩვენ შელავათს კი არა, ყოველთვის უარეს

უნდა ველოდოთ და ადვილად გავიმარჯვებთ. არც უბედურება დადის მარტოდმარტო და არც ბედნიერება. აი, ხომ ხედავ უბედურებას მოაკითხეს და თანამიგრძნობენ, მგონია, არც ბედნიერება დატოვონ უყურადღებოდ.

— ღმერთმა გისმინოს გაგი!

— ერთი წინადადება მინდა შემოგთავაზო, ელგა, არ ვიცი რამდენად გამართლებული იქნება და რამდენად მომიწონებ, ჩვენი პირადი სიამოვნება, მინდა სასიკეთოდ დავაგვირგვინო.

— როგორ გავიგო თქვენი იგავი მოძღვარო?

— მე მოძღვარი არა ვარ, არც სულიერი მამა, სიტყვა კი გასაგებად გითხარი, ჯვარი მინდა დროულად, რომ შენზე დავიწერო. ჩვენი პირადი სიამოვნება, ხალხის საკეთილდღეოდ დავხარჯოთ, შვილების სიუხვითა და სამშობლოს სამსახურით.

— რას ამბობ, გაგი, ეს ხომ ჯერჯერობით ყოვლად შეუძლებელია, შენ სასჯელი გემუქრება, მე რას მიპირებ, ვის საპატრონოდ მტოვებ?

— საქმეც ეს არის, რომ სასჯელი მემუქრება, შენ თუ ჩემი კუთვნილება არ გახდები, აბა, როგორ მოვისვენო კატორღაში?

— არაფრის დარდი არ იქონიო, სიცოცხლის ბოლომდე დაგელოდები, ასეთივე შეუბღალავი სინდისით, როგორიც ვარ დღეს.

— მჯერა, მაგრამ არ შემიძლია სასამართლომდე ხელიც რომ არ მოვაწეროთ და ჯვარიც არ დავიწეროთ, თუ ჩემს წინადადებაზე უარს იტყვი, ვიფიქრებ, რომ დროს სატარებლად გინდივარ და უმჯობესია ურთიერთობა შევწყვიტოთ, რადგან მწვერვალი ძნელად დასაპყრობი ჩანს ჩემთვის.

— კიდევ იგავი, რომელიც თითქმის გასაგებია ჩემთვის, მიაგრამ შენც კარგად იცი, რომ მწვერვალი უკვე დაპყრობილი გაქვს, შეუღლება კი ნაადრევი მეჩვენება. რას იტყვის ჩემი მშობლები, რომ პატიმარზე დავქორწინდე? რას იტყვის შენი დედა, სახლში რომ მიმიყვან რამოდენიმე წლით დამ-

შორდე? დედის მსახურად მიგყავარ თუ საკუთარ მეუღლედ? მართალია, მე სახლიდან არავინ გამომაგდებს, ჩემი მშობლებიც მიპატრონებენ, მაგრამ ხომ უნდა დაგელოდო იქ, სადაც დამტოვებ? შვილი გამიჩნდება და შევძლებ დამოუკიდებლად იმის გაზრდას? შენ დაფიქრებულხარ იმ ნაბიჯზე, რომლის გადადგმასაც აპირებ?

– დავფიქრებულვარ! გაცნობის დღიდან თვალწინ მიდგეხარ და ფიქრის მეტი რა გამიკეთებია, ახლა ჩემს ნაფიქრის გაგანდობ. აწონ–დაწონე, შენი ფიქრი შეუთავსე და პასუხი სამ დღეში მითხარი.

ბევრი ფიქრისა და ტვინის ჭყლეტის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ შენც დედისერთა ხარ და მეც, გვაქვს საკუთარი მეურნეობა და სახლკარი,. მაინც ბინის ქირით აღება გადავწყვიტე, რომლის არსებობა არავის ეცოდინება ჩვენ გარდა. ჯვრისწერის შემდეგ იქ შევხვდებით ხოლმე ერთიმეორეს, როგორც კანონიერი მეუღლეები, ვინაიდან აღიარებულად ჩვენი შეუღლება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, რადგან მშობლები არ მოგვცემს შეუღლების უფლებას. საკუთარ თავზე რომ წარმოვიდგინოთ, ალბათ არც ჩვენ მივცემდით საყვარელ შვილს უფლებას ჯვარი მსჯავრდებულზე დაეწერა, რომელსაც კანონი შვილთან რამოდენიმე წლით განაშორებს. ამ საკითხს არც დედაჩემი მოიწონებდა, რომელმაც ისიც არ იცის, რომ სასჯელი მელოდება, მოდი ცხოვრებაში პირველად ავუაროთ გვერდი მშობლების რჩევას და საკუთარი თავით გადავწყვიტოთ ჩვენი მომავალი, არა ვართ მცირეწლოვანნი, რომ ნაბიჯის გადადგმაში შევცდეთ, სხვის საქმეებს ვარჩევთ გულდასმით და ვიჩენთ სიბრძნეს, ნუთუ ჩვენ საკუთარი ცხოვრებისეული გზის გაკვალვა გაგვიჭირდება? – რად გაჩუმებულხარ, მითხარი, რამე!

– „ბრძნად მეტყველებაი ვერცხლი არს წმიდაი, ხოლო დუმილი – ოქრო რჩეული“, რა გითხრა, შენი მსჯელობა მრავალი დღისა და ღამის ფიქრის შედეგია, ერთი შეხედვით სწორი გადაწყვეტილებაა, მაგრამ მაინც ვერ გამიგია, რატომ შევუღლდეთ მშობლების დაუკითხავად, ფარულად?

ისინი ხომ არ გვიშლიან კარგი ოჯახის შექმნას, პირიქით, ხშირად გვახსენებენ კიდეც, განა შეშვენის ჩვენს ასაკს გაპარვა, ან რად გვინდა ოთახის ქირით აღება, ვერ გამიგია, სახლები თავად გვაქვს გასაქირავებელი და სირცხვილი არ არის ჩვენ ვიქირავოთ?

– ვერ გამიგე, ისევ იგივე უნდა გაგიმეორო, რაც გითხარით, ამბობ, რომ – მშობლები არ გიშლიან „კარგი ოჯახის შექმნას“ – მაგრამ სად არის ეს „კარგი“ მშობლების მოსაწონი ოჯახი? ჩვენს საქმეში რომ მშობლები ჩავრიოთ, რა თქმა უნდა, დაიწყებენ ძირფესვიანად საქმის გამოკითხვა–გამოძიებას. გაიგებენ, რომ ჩემმა ბაბუამ ცოლი და საყვარელი მოკლა, მე კი ისეთი ვარ წარმოშობით, რომელსაც მამი არა ჰყავს და დედამაც არ იცის, ვინ არის მამაჩემი, ამასთანავე ერთად გამაჩნია ფიზიკური ნაკლი, არა მაქვს საჩვენებელი თითი და მეორე, მძიმე დანაშაულისათვის ციხე მემუქრება. შენ რომ იყო შენი მშობლების ადგილზე ასეთ „კარგ“ ადამიანს, როგორიც მე ვარ, ცოლად შერთავდით საკუთარ ერთადერთ შვილს?

– შვილს კი არ შევრთავდი, მიუხედავად იმისა, რომ მიყვარხართ, მგონი მეც გადავიფიქრო...

– გაიგებენ შენი მშობლები ჩემს ნაკლოვან მხარეებს, მოგისჯიან „შინაპატიმრობას“ და კეთილი შედეგის მოლოდინის იმედიც გაქრება... მაგრამ არც ჩემს დედას ძინავს ყურზე. შენს წარსულსაც გაიკითხავს და იმის მაგივრად შერიგება ითხოვოს, „ქვას ააგდებს და თავს შეუშვერს“. თურმე შენს მამას აკაკი აბაშიძეს, დედაშენი მარინე მამამთავრიშვილი სიყვარულით შეურთავს სკოლის ასაკში. განაწყენებულა დედაშენის მშობლები და ერთადერთი ძმა, რას მიქვიან მარინე გაიპარაო და შერიგების ნაცვლად კაი გვარიანი მუქარაც შეუთვლიათ აკაკისთვის, გავიდა თითქმის წელიწადი, მშობლებმა დაივიწყეს მარინე, მაგრამ აკაკის მაინცდამაინც ეს არ ადარდებდა და ბედნიერად გრძნობდა თავს საყვარელ ქალთან. დრომ მოაღწია და შენც დაიბადე, ბიძაშენმა, დედაშ-

ენის ძმამ ვერ აიტანა, რომ აკაკიმ მუხლზე ჩოქვით არ მიაკ-ითხა მათ ოჯახს და პატიება არ ითხოვა, და როდესაც შენ ჯერ კიდევ დაბადებიდან ერთი თვეც არ შეგსრულებოდა, ბიძაშენი ამხანაგებთან ერთად მამაშენს მიუხტა და სახლი ავტომატური თოფით დაუცხრილა.

მამაშენმა არ იცოდა, ვინ იყვნენ თავდამსხმელები, საწი-ნააღმდეგო მხრიდან ფანჯარაში გადამხტარა და თავდამ-სხმელებს, სანადირო თოფით სროლითვე უპასუხა, რის შედ-ეგადაც ბიძაშენი და ერთი ბიძაშენის ამხანაგი ადგილზევე გარდაიცვალა. მამაშენი დაიჭირეს, დედაშენს შიშზე და ნერვ-იულობაზე რძე გაუშრა და შენი გაზრდის იმედი სასწორზე დაეკიდა, მაგრამ მისმა თავდადებულმა დედობამ გიხსნა გან-საცდელისაგან. ამავე შიშისა და ნერვიულობის შედეგია თქვენი დედისერთობა.

ერთი შეხედვით აქ არაფერი არ არის გაუგონარი,. მა-გრამ მაინც მკვლელის შვილი ბრძანდებით და, მით უმეტეს, საკუთარი ცოლის ძმისა, რომლის რძლობას, დარწმუნებული ვარ, დედაჩემი არ მოისურვებდა...

– ვაი, ცუდად ვარ გაგი, მიშველე! – წყნარად წარმოთქვა ელგამ და გულწასული მკლავებზე მიესვენა ვაჟს, კარგად ნათქვამი სიტყვა, აძლიერებს და აცისკროვნებს მსმენელის აზრსა და გონებას, რადგან თვით სიტყვის ძლიერება, ამშვე-ნიერებს, ამკობს, აცხოველებს და აფერადებს მის ხასიათსა და ბუნება–განწყობილებას, ხოლო იგივე სიტყვა ცუდად ნათქვამი, ავიწროვებს გულის კუნთის სისხლძარღვებს და ეგრეთ-წოდებულ გულისწუხილს იწვევს, ამ დროს მწარეა სიმარ-თლე მოსასმენად, მაგრამ მაინც უნდა იცოდეს სიმართლე ყველა ადამიანმა, მით უმეტეს ქალებმა, რომელთაც ჰგონიათ, რომ მათი ცოდვა შეუმჩნეველია და არავინ იცის.

– შენ გაიმარჯვე, გაგი! – წარმოთქვა ხუთიოდე წუთის შემდეგ გონს მოსულმა ელგამ – არავითარი სამი დღე, დღესვე წამიყვანე, სადაც გინდა, მხოლოდ არ მომეკარო ჯვარდაწერ-ამდე.

– დამშვიდდი სიყვარულო, დამშვიდდი, ჩემო ყველავ, ყველაფერს ისე მოვაგვარებ, როგორც შენ გაგეხარდება და როგორც სასარგებლო იქნება ჩვენთვის, დღეს ხუთშაბათია, წადი სახლში,. დაისვენე შენს მშობლებთან ერთად შაბათამდის, შაბათს, დილით ცენტრალური მმაჩის ბიუროში ხელს მოვაწერთ, ამასობაში წირვაც დამთავრდება ,,ქაშუეთში" და ჯვარსაც დავიწერთ. ჩემი მოძღვარი, ჩემი სულიერი მამა დაგვწერს ჯვარს, იცი რა ლამაზი მოძღვარი მყავს? დეკანოზი და მართლაც რომ იტყვიან: თავდადებული, ისე კი არა ზოგიერთები ღვთიურ სამსახურს, ხორციელი გამდიდრების მიზნით რომ იწყებენ. ჩემი მოძღვარი ასეთი არ არის, მცირედითაც კმაყოფილდება. სწორედ ის დაგვწერს ჯვარს, წინასწარ მოველაპარაკები, დარდი არ იქონიო დაბრკოლება არაფრის გვექნება. ჯვრისწერის შემდეგ იქ წავალთ, სადაც შენ გინდოდა ჩემთან ერთად გესადილა. ,,არაგვში", წინასწარ შეკვეთილ მაგიდას მივუსხდებით და აღვნიშნავთ ჩვენი გაბედნიერების დღეს.

მხოლოდ ამხანაგებიდან და არავითარ შემთხვევაში ნათესავებთან ერთად, ათიოდე ადამიანი წამოიყვანე, რომლებიც საიდუმლოდ შეინახავენ ჩვენს შეუღლებას დროებით მაინც. მეც ასევე ათიოდე ადამიანს წამოვიყვან, რომლებიც მომემსახურებიან ავტომობილებით, ვიდეო და ფოტოგადაღებებით. სუფრასთან ჩვენთან ერთად იქნება ჩვენი მოძღვარიც. მოკლედ მოვილაპარაკეთ, შაბათს შენი ამალით დამელოდე სანაპიროზე ცენტრალურ მმაჩის ბიუროსთან. ამ საკითხს აღარ დავუბრუნდეთ, საქმეს ასჯერ განმეორება არ უყვარს, ითქვა და მოვრჩით ახლა სხვა საკითხზე ვილაპარაკოთ...

– არ დაიღალე? რაღა გვაქვს სალაპარაკო, თავი რომ უცოდველი მეგონა, იმდენი ცოდვები გამომიჩხრიკეს, შენი ცოდვები მასთან შედარებით აღარაფერი მეჩვენება.

– მეც ცოდვები, შენც ცოდვები, მეცოდები, მეცოდები! – ჩაუღიღინა გაგიმ და მკერდზე მიიკრა ქორფა სხეული. შაბათისთვის საიდუმლოებით მოცული მეგობრების სია ჩამოწ-

ერა ორივე მხარემ, თითოეულს თავთავისი ფუნქცია დაევალა შესასრულებლად, ზოგს ფოტო გადაღებები, ზოგს ვიდეოგადაღებები, ზოგს ხელისმომკიდეობა. ზოგს კიდევ, რა და ზოგს კიდევ, რა... მოლაპარაკების თანახმად ელგა უნდა დალოდებოდა გაგის თავისი გუნდით, მაგრამ შაბათს, დილით პირიქით მოხდა, მთელი ნახევარი საათი ელოდნენ ელგას და როგორც იქნა გამოჩნდა... ორივე მხრიდან საკმარისი აღმოჩნდა მოწმე, ბრწყინვალედ ჩაიარა ხელისმოწერის ცერემონიამ, გადაიღეს ვიდეოფირები და ფოტოკადრები. სიმღერითა და ცეკვით ფეხით გაუყვნენ გზას ქაშუეთის ეკლესიისაკენ, სადაც სულიერი მამა, ჯვარდამწერი ელოდებოდათ.

წირვა დაემთავრებინა, ზიარება მიეღო მრევლს, მაგრამ ეკლესია მაინც გაჭედილი იყო მორწმუნეებით, მიუხედავად ხალხმრავლობისა, ეკლესიის მთავარ შემოსასვლელში გამოჩნდა თუ არა, ჯვარისდამწერი ლამაზი წყვილი თავისი ამალით, ხალხი შექუჩდა, გასასვლელი გაანთავისუფლეს და გზა დაუთმეს ნეფე–დედოფალსა და მექორწინეებს. ღვთის მსახური შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას, რომელმაც ღვთიური ძალით შეაკავშირა ერთიმეორესთან გაგი და ელგა, მრავალი სურათი და ვიდეოფირი გადაიღეს სანთლებით გაჩირაღდნებულ ეკლესიაში. არ ჩქარობდა დეკანოზი და ყველა სავალდებულო რიტუალის შესრულებას სამი საათი მოანდორმა, შემდეგ ანაფორაც არ გამოუცვლია, ლოცვა–კურთხევით წაუძღვა ახლადჯვარდაწერილებსა და მექორწილეებს რესტორნისაკენ, სადაც ზღაპრული მაგიდა დაუხვდათ გაწყობილი, მაგიდის ხელმძღვანელობა – თამადობა – ღვთისმსახურს დაავალეს, რომელიც არა მარტო სულითა და ხორცით მორწმუნე, არამედ კარგი თამადაც აღმოჩნდა. პირველი სადღეგრძელი მშვიდობის სადიდებელი შეისვა, უფალს შესთხვეს თავისი ძლევამოსილებით საქართველოს მფარველობა. ჩამომთავრდა და თამადამ ყანწი მოითხოვა მოართვეს ჯიხვი და ღვთიური ქართული ენით შეამკო ნეფე–დედოფალი: „არა ხოლო პურითა ცხონდების კაცი, არამედ სიტყვით, რომელი გამოვალს

პირთაგან ღმრთისა“ – ამბობს ლუკა და ნუ მიწყენთ თუ შეგახსენებთ, რომ გვესმოდეს სიტყვა ღმერთთან საგალობელი და გვფარავდეს სიტყვა უფლის პირთაგან ენით წარმოთქმული, ჩვენ ყველამ ვიცით, რომ მრავალი წელი ათეიზმი გვაშორებდა ღმერთთან, მაგრამ იგივე ძალით, ჩვენი ახალგაზრდობა დაუბრუნდა ჭეშმარიტ სარწმუნოებას, განახლდა ნათლობა, ზიარება, ჯვრისწერა და ყველა ის ღვთიური მითითებანი, რომელსაც თვით უფალი იესო ქრისტე გვასწავლიდა, დღევანდელ ჩვენი ახლადჯვარდაწერილ წყვილს მფარველობდეს ძალი ღვთისა და ჩვენს მოკვდავთა ენით ვუსურვოთ: მოშენება ერისა, მრავალშვილიანობა, ჯანმრთელი და ჭეშმარიტად ღვთისმოსავი შთამომავალი. ქართულ საღვთო ისტორიაში მრავლად არის შემონახული, ზოგი ლეგენდა და ზოგიც თვითმხილველთა გადმოცემა, თუ როგორ და რამდენჯერ იხსნა უფალმა საქართველო, პირადად ერთი თვის წინ გახლდით შირაზში, სადაც საკუთარი თვალით ვიხილე ფრინველი, რომელსაც ზოგი ეგვიპტის მტრედს ეძახის, ზოგი კი „გიურყუშს“ – რაც მათ ენაზე „ურჯულო ფრინველს“ ნიშნავს, მე საკუთარი ყურით მოვისმინე ამ ფრინველის შემოძახილი, რომელიც მომცრო ტონისაა. გვრიტის მაგვარი და გვრიტისოდენა, მაგრამ ვაჟკაცი კაცის ხმით გაჰყვირის, სუფთა ქართულის ენით – „ნუ გათათრდები“ – იქ მცხოვრებ მაჰმადიანს ვთხოვე მოეთხრო, თუ რას ნიშნავდა ამ ფრინველის გამოძახილი, მან ცას მზერა მიაპყრო – „ოი, ალაჰო“ თქვა და განმერიდა, მაგრამ ჩვენს ღმერთთან შერისხებით დავემუქრე და აი, ასეთი რამ მიამბო: – როდესაც საქართველოდან ტყვეები მოიყვანეს აი, იმ ციხეში შესხეს ყველანი – ციხეზე მიმითითა, რომელიც ნახევრად დანგრეული იყო, მაგრამ ყველაზე მაღალი ქონგური საღად შემორჩენოდა და მედიდურად გადაჰყურებდა თვალუწვდენელ ხევს – მოყვანილი ტყვეებისგან – განაგრძო მან – ჩვენებმა სარწმუნოების შეცვლა მოითხოვეს, მაგრამ არც ერთი ქრისტიანი არ დათანხმდათ რჯულის შეცვლაზე და ყველამ წამებით სიკვდილი

არჩია, მხოლოდ და–ძმანი არნახული სისწრაფით გამოეყვნენ ქართველთა ტყვეებს. აი, იმ ქონგურზე შესდგნენ „ნუ გათათრდებითო“ შესძახეს თავისიანებს და უფსკრულში გადაფრინდნენ, როდესაც და–ძმანი ხევში გადაეშვნენ იქიდან აი, იმ ფრინველთა გუნდი, ამოფრინდა ძახილით: „ნუ გათათრდებით“ – იმის შემდეგ ეს ფრინველი ყველა გამვლელს ეძახის „ნუ გათათრდები“. მეშინია თავი არ შეგაწყინოთ და აღარ მინდა შეგახსენოთ, თუ როგორი და რამდენჯერ იხსნა „წმინდა გიორგიმ“ საქართველო, რომელიც საკუთარი თვალითაც კი უხილავთ მეომრებს, ბრძოლის ველზე, თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდანი.

როგორც ღმერთის მსახურმა, ერთი რამ მინდა გითხრათ: – რასა, რომელსაც ჩვენ მივეკუთვნებით, მართლმადიდებლობა – ესეიგი მართლის მთქმელი და სიმართლის მადიდებელი ამ რასის არჩევანი ნათელი სულიერი ძალებია, დედამიწაზე მათ მოსვლისა და განვითარების დღიდან მოიტანეს სიკეთისა და ბოროტების ცნებები, მოიტანეს ყოველივე ის ცუდიცა და კარგიც, რომლითაც დღეს ვამაყობთ და დასაგმობს ვგმობთ კიდეც. მაგრამ როგორც ხედავთ თეთრმა რასამ მალე დაივიწყა ღვთიური კანონები. სიჯიუტემ, სიამაყემ, უმადურობამ, სიხარბემ... დააუძლურა და შავ ძალებთან ბრძოლის უნარი დააკარგვინა. გთხოვთ მიწიერი ენითა და ღვთის ჩაგონებით დაუბრუნდეთ იმ ჭეშმარიტ სარწმუნოებას, რომელსაც მრავალი საუკუნის მანძილზე თაყვანს სცემდა ჩვენი წინაპარი, რათა ღვთის მადლით ჩვენც შემოუნახოთ ეს კურთხეული საქართველო ჩვენს შთამომავლობას და პირნათელინი წარვსდგეთ წინაპართა სულებთან – ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, ამინ!

– ამინ! – იგრიალა მთელმა მაგიდამ, მაგრამ ერთი უნირო მაინც გამოჩნდა და ხმამაღლა დაიძახა – კარგი რა მამაო, გამიშრა ყელი და მოძმარდა ყანწში ღვინო. ზოგმა უკმაყოფილოდ გადახედა ახალგაზრდას, ზოგმა ღიმილით. თამადამ ყანწი პროკურორს გადააწოდა, – „ბატონო გიორგი, დაგვილოცე ახალგაზრდები“.

– „ბატონებო და ქალბატონებო, ძვირფასო საზოგადოებავ, საყვარელო ახლად ჯვარდაწერილო წყვილნო, ძნელ საქმეს, მაგრამ საზოგადოსა და აუცილებელს მოჰკიდეთ ხელი აწ ღმერთი იყოს თქვენი შემწე და ჭაბუკობა დაუღალავი შრომისმოყვარეობით აღსავსე. ეს უღელი ქრისტესია, რომელიც თქვენ უნდა გასწიოთ და არ შედრკეთ,. რადგან „ქრისტეს უღელი ტკბილია და მისი ტვირთი მსუბუქი“. სიყვარული უფსკრულის კიდეზე ამოსული ყვავილია, დიდ გამბედაობას მოითხოვს მისი მოწვეტა და დასაკუთრება, ყველა ვერ ბედავს შეებრძოლოს უფსკრულს, მას გამორჩეული გმირები სჭირდება... გიყვარდეთ ერთიმეორე ბოლომდე ისე, როგორც დღეს გიყვართ – აი, ეს არის ჭეშმარიტი ქრისტიანობა, გიძღოდეთ ქრისტეს ძლევამოსილება ცხოვრების გზაზე.

ახლა კი ძვირფასო ბატონებო და ქალბატონებო, ყველამ კარგად უწყის აქ შეკრების მიზეზი, მაგრამ ყველამ როდი იცის, სად მდებარეობს ხმელთაშუა ზღვის კუნძულოვანი სახელმწიფო „მალტა“, რომელიც ტერიტორიით მხოლოდ სამასი კვადრატული კილომეტრია. მოსახლეობა კი ნახევარ მილიონს არ აღწევს, საერთოდ ამ ქვეყნის ბუნება, მზის სხივის დახრა უნიკალურია მთელს პლანეტაზე და ამიტომაც იზიდავს დამსვენებლებს მსოფლიოს ყველა კუთხიდან, მე მინდა ჩვენმა დღევანდელმა წყვილმა თაფლობის თვე გაატაროს და ტკბილად დაისვენს კუნძულ მალტაზე. ამისათვის წინასწარ ვიზრუნე, ვიშოვე ერთთვითნი ორი ცალი დასასვენებელი საგზური, რომელშიდაც შედის კეთილმოწდობილი სასტუმრო, უმაღლესი დონის მომსახურებით, ოთხჯერადი კვება, უფასო სამედიცინო მომსახურეობა და, ასე გასინჯეთ, უფასო პოლიციაც კი – გიორგი ელგასთან და გაგისთან მივიდა, მაგიდაზე დაუწყო საგზურები, ორი ცალი ავიაბილეთი და საუბარი განაგრძო: – მეგობრებო, თვითმფრინავი სამშაბათს საღამოს თექვსმეტ საათზე გაფრინდება აეროპორტიდან, ყველანი ვინც აქა ვართ, უკლებლივ გავაცილებთ ბედნიერი დასვენების გზაზე, ბედნიერ წყვილს, მხოლოდ ერთი რამ

გვახსოვდეს, რადგან ჩვენს ახლად შეუღლებულებს, მშობლების ფარულად გადაუწყვეტიათ შეუღლება, ჩვენც ფრთხილად ვიყოთ მათ დაბრუნებამდე, მოვიქცეთ ისე, ,,ქეთო და კოტეში" რომ არის: ,,ფრთხილად, ფრთხილად არვინ გაგვიგოს".

გისურვებთ წარმატებას, მე მივესალმები ყველა სიყვარულს.

*,,... ვისაც ამ ქვეყნად უცხოვრია უსიყვარულოდ.*
*მე ვცხოვრობდიო, მას ამის თქმის არ აქვს უფლება"!..*

გიორგის სადღეგრძელო ტაშით შეამკეს, მან კი დაცლილი ყანწი შეავსო და ქირურგიული განყოფილების მთავარ ექიმს გადააწოდა: ,,ბატონებო, თქვენ კარგად მოგეხსენებათ თუ რას ნიშნავს პოლიტიკურად განათლებული ადამიანი, რაც მინდოდა მეთქვა, ბატონმა გიორგიმ დამასწრო მე მხოლოდ ერთი რამ დამრჩენია, ბედნიერება, ჯანმრთელობა, მოშენება და მომრავლება ვუსურვო ახლად შეუღლებულებს და საჩუქრად გადავცე ჩემი საკუთარი ახალთახალი ავტომანქანის გასაღები.

ბორისის სიტყვა მქუხარე ტაშმა დაფარა...

ყანწი ,,ყელგამშრალმა" ახალგაზრდამ აიღო თვითნებურად, და რიხიანად წარმოთქვა ,,მართალია აქ უმეტესობა ღარიბები ვართ, მაგრამ ჩვენც გავმდიდრდებით, მეც შევირთავ ცოლს, ახლა კი ბარაქიანი სიტყვით მინდა მივულოცო ბედნიერება ჩვენს ნეფე–დეჟოფალს, თუმცა ვიცი, ბარაქიან სიტყვას საჩუქარი სჯობია". ამ სადღეგრძელოსაც ტაშით უთანაგრძნეს.

ახალ–ახალი სადღეგრძელოებით ამდიდრებდა მაგიდას თამადა, გვიან დამთავრდა პურობა, სიმღერა და ცეკვა–თამაშში ყველას ეძნელებოდა ერთი–მეორის განშორება. მაგრამ რადგან ბუნებაში ყველაფერს დასასრული აქვს, ლხინის მაგიდაც ბოლოს მოძღვარმა და ნეფე–დედოფალმა დატოვა.

თავისივე სახლამდის მიაცილა გაგიმ ელგა, თბილად ჩაიკრა მკერდში და უთხრა:

— ნუ ავჩქარდებით, თორემ ვშიშობ ჩვენი ურთიერთობა თავს არ დამალავს და ხელს შეგვიშლის, გადადებს ან შეაფერხებს ჩვენს მოგზაურობას. სამშაბათამდის მოვითმინოთ არ არის დიდი დრო დარჩენილი და მალტაში ვეზიაროთ ნამდვილი სისხლით დაკავშირებულ ცოლქმრულ სიყვარულს!

— კარგი ხარ, გაგი, გმადლობთ, არ მეგონა თუ მოითმენდი! უთხრა ელგამ და კოცნით გამოხატა ვაჟის მიმართ თანაგრძნობა.

— მე კიდევ ერთი საფიქრალი გამიჩნდა — თქვა გაგიმ — პროკურორისაგან სასჯელს მოველოდი, მან კი საგზურით დაგვასაჩუქრა, როგორ გავიგოთ ეს, ან რას მივაწეროთ ეს წარმატება?

— დასაჩუქრება უნდა მომხდარიყო, ეს ერთი წლის წინ თათბირზე თვითონ აღნიშნა გიორგიმ. საქმე ის არის, რომ ჩვენთან თორმეტი ქალ–ვაჟია დასაქორწინებელი და პროკურორმა განაცხადა: ვინც პირველი დაგვირგვინდებოდა საზღვარგარეთის საგზურით დაასაჩუქრებდა. ჰოდა, პირველები ჩვენ აღმოვჩნდით, მართალია, არ ესიამოვნა ჩემი არჩევანი, მაგრამ ველარაფერი ველარ ჰქნა და სიტყვასაც არ გადავიდა.

— ძალიან კარგი, მაგრამ სასამართლოს როდემდის გადადებენ? ნუთუ ჩვენს დაბრუნებას დაელოდებიან?

— მაგ ამბავს ორშაბათს შევიტყობ, მეც არ ვიცი რა აქვს პროკურორს განზრახული.

— კარგი კაცი ჩანს გიორგი. არ უყვარს ადამიანის განწირვა, წინ არ აღუდგა ჩვენს სიყვარულს და რომ მოენდომებინა, გგონია საწინააღმდეგო მიზანს ვერ მიაღწევდა?

— როგორ ვერ მიაღწევდა, კანონის თანახმად, იზოლიატორში გამოგამწყვდევდა, და ესეც იკმარებდა ჩვენს სიყვარულს ჩასაშლელად.

— მაგარია, ბორისსაც მაგან შეაწერა ტექნიკურად ავტომობილი. არ შეირცხვინა თავი. ქვეშ არ გამოვიდა პროკურორის წინაშე თორემ არა აქვს მაინცდამაინც თავზე საყარი არაფერი, უარი უნდა ვუთხრა, ამხელა საჩუქარი როგორ შეიძლება, ეს

ხომ ვალია, რატომ ჩავიგდო თავი განსაცდელში, ორი ბიჭი ჰყავს საცოლოები, შევძლებ კი ასეთი დიდი საჩუქრის მიტანას? – თქვა გაგიმ და თეთრი ფერის ავტომობილს გადახედა.

– არც გიორგის გაუღია მცირე საჩუქარი, მაგრამ დავუბრუნოთ?

–გიორგი ჭკვიანი კაცია, ის უცოლოებისა და გასათხოვრების ხარჯზე ორმაგს იშოვის, განა თქვენ შეუსწორებთ? როგორც იტყვის ისე იქნება, „ლომს თუნდაც ცალთვალს, ვინ შეჰბედავს ელამი ხარო!“ – ელგას გაეცინა და თითქოს ვიღაცამ შეაშინაო, თავი შეაფარა გაგის ფართო მკერდს, თავისთავად იწყო ქალ–ვაჟის სხეულში სითბომ განაწილება, მართალია კანონიერი ცოლ–ქმრობა აკავშირებდათ ერთიმეორესთან, მაგრამ დათქმულ დრომდე მოთმინება იყო საჭირო და მთლად რომ არ ამღვრეოდით გრძნობა და გაუთვალისწინებელი რამ არ ჩაედინათ, გაგიმ ამჟამად განშორება ამჯობინა:

– ელგა, სახლში მოამზადე მშობლები, უთხარი, რომ ტურისტული საგზურით მიდიხარ მალტაში, შენებურად აუხსენი არ იჯავრონ, მეც ასევე გავაფრთხილებ ჩემს დედას, საიდუმლოდ შევინახოთ დაბრუნებამდის ჩვენი შეუღლება, შემდეგ კი მგონია კმაყოფილებით აღივსონ...

გაუჭირდათ, მაგრამ გაშორდნენ ერთმანეთს, განშორებამ კიდევ მეტად იცის სიყვარულის მოთხოვნა, რომელიც აბობოქრებული ვნების გაშმაგებაა, სიყვარული ბუნების კარნახით, ნებაყოფლობითი ხელშეკრულებაა ქალ–ვაჟთა შორის, ხელშეკრულების დარღვევა არაღვთიურია და ვისაც ღალატში ედება ბრალი, ღმერთი არჩევს მათ საქმეს, ქალის მოვალეობა ყოველთვის მეტია, ვიდრე მამაკაცის, დედობით მისი მოვალეობა იზრდება, რადგან ბუნებამ შთამომავლობის ბედი მიანდო. ქვეყნად რაც სილამაზეა და მშვენიერება, მოვლენილია არა ბუნებით, არამედ შექმნილია ადამიანის მიერ, რომლებშიც ქალის გონივრული ხელი ურევია. ესეც ხომ ქალის ხვედრია,

განშორების შემდეგ ფიქრი, უძილო ღამე, ხშირად ცრემლით დასველებული ბალიში?

ორშაბათს თავის კაბინეტში არ შესულა ელგა. პირდაპირ პროკურორთან ითხოვა შესვლა. გიორგი კარგ გუნებაზე დახვდა, ხელი ჩამოართვა, დიდი ხნის უნახავივით მოიკითხა

– როგორ არის შენი საქმე, როგორ გაატარე პირველი ღამე რჩეულთან, ხომ არ გიჩხუბიათ? – მამაშვილური ღიმილით ჰკითხა გიორგიმ.

–არც თუ როგორ, ხმელთაშუა ზღვაზე...

– ყოჩაღ ბიჭო, მომწონს ასეთი თავდაჭერილობა და გადაწყვეტილება.

– ბატონო გიორგი, კმაყოფილი ვარ, რომ მოიწონეთ ჩემი რჩეულის გადაწყვეტილება, მაგრამ ორივეს ძლიერ გვაინტერესებს, როდის იქნება და როგორ წარიმართება სასამართლო პროცესი?

– სასამართლო პროცესი ისე მოეწყო, რომლის მსგავსი არ მსმენია, ჯალილ უსმანოვს სახელგანთქმული ვექილი დაუქირავებია, არა თავისთვის, არამედ დამნაშავესათვის, ვექილმა კიდევ ძიებაშივე მოინდომა საქმის მოქრობა და პარლამენტარი შეაწუხა, რომლის შესახებაც უკვე გესაუბრე, ასე რომ, რადგან მომჩივანი აღარავინა გვყავს, გადავწყვიტეთ საქმის ძიების მოქრობა, დავიბარე ჯალილ უსმანოვი, ხელახალი ჩვენება ჩამოვართვი და მის ვექილთან ერთად დავაწერინე, რომ არავიზედ მომჩივანი არ არის. ძალზედ გაიხარა როდესაც თქვენი შეუღლების ამბავი გაიგო, თავისი ბეჭედი გაგის დაუტოვა სამახსოვროდ, შენ კი აი ეს ბრილიანტის თვლიანი ბეჭედი მოგიძღვნა ბედნიერების დღის აღსანიშნავად.

– ეს რასა ჰგავს, ბატონო გიორგი, დაზარალებული უსმანოვი დავსაჯოთ და ბრალდებული მშვენიერაძე ,,ორდენით'' დავაჯილდოვოთ?

– ჩვენ არაფერი არ გაგვიკეთებია კანონსაწინააღმდეგო, მართლმსაჯულება ისეთი მცნებაა, შეიძლება გამოვიყენოთ სიმკაცრეც და ლმობიერებებიც, კანონმდებელი კი ორივე

შემთხვევაში მართალი იქნება. უსმანოვმა უღრმესი სიყვარული გამოიჩინა თქვენდამი და გგონიათ იმ საჩუქრით დაკმაყოფილდა, რომელიც გადმოგეცით? არა, ძვირფასი საქორწინო კაბა გადმოგცათ საჩუქრად. გაგის კი, აი, ეს უძვირფასესი შარვალ–კოსტუმი, ამასთანავე ერთად აღგითვქათ სამასკაციანი ქორწილი პირველი კლასის რესტორანში და ხარჯების გადახდა თვითონ იკისრა.

– ასეთი რამ პირველად მესმის!

– ჩემი აზრით, დიდი შეცდომა დაუშვა გაგიმ, რომ მკლავი ბეჭში მოეჭრა, ნაღდად საკუთარ თვითმფრინავს გიყიდიდით და აღარ დაგჭირდებოდათ „აირზენას“ თვითმფრინავით წასვლა დასასვენებლად,

– მაინც საიდან აქვს ამდენი ფული?

– თავისი დღე და მოსწრება, კომერციას ეწევა და ფული იმდენი აქვს ნებისმიერ მილიონერს გააკვირვებს.

– როდესაც ჩვენ ამდენი საჩუქარი მოგვიძღვნა, თქვენთვის არაფერი გაიმეტა?

– ჩემთვის არა, მაგრამ ვექილი და პარლამენტარი კი ნამდვილად კმაყოფილი დარჩნენ შენი გამოძიებული საქმით.

– ბატონო გიორგი, ახლა წავალ, ხვალისთვის სამგზავროდ ვარ მოსამზადებელი. იმედი მაქვს აეროპორტში თქვენც მობრძანდებით.

ელგამ, გახარებულმა დატოვა პროკურორის კაბინეტი და საავადმყოფოში წავიდა გაგის სანახავად, რათა მიეხარებინა ის, რაც პროკურორისგან შეიტყო.

ნახა, მიახარა და ჯალილის ნაბოძები საჩუქარიც გადასცა...

გაიხარა და ახლა, მართლაც, გულიანად შეუდგა სამგზავრო სამზადისს ყმაწვილი.

აეროპორტი გაჭედილიყო ხალხით. უფრო მეტი გამცილებლები იყვნენ, ვიდრე წამსვლელები. გაგის და ელგას გამცილებლებიც უკლებლივ მოსულიყვნენ. აქ იყო ჯალილ უსმანოვიც. მას წვერი გაეპარსა, ულვაშები შეემოკლებინა,

შაჰ–აბასის მსგავსად დაეყენებინა, ახალთახალი კოსტიუმი ეცვა და ისე ლამაზად გამოიყურებოდა, ბევრ გასათხოვარ ქალს აუჩქროლებდა გულს და ბევრი გათხოვილი ასეთ შვილს ინატრებდა.

ავტომობილიდან გაგი და ელგას გადმოსვლა ჯალილს მხედველობიდან არ გამოპარვია და დარბაისლური ნაბიჯით მათ შესახვედრად წამოვიდა, ორივე ადგილზე გაქვავდა, ჯერ კიდევ არ იცოდნენ, თუ რა განზრახვით უახლოვდებოდა მათ ეს მთასავით დევკაცი. მართალია ღიმილით მოდიოდა, მაგრამ გველი ხომ მაშინ იგესლება, როდესაც იცინის? მაგრამ არა, ჯალილი პირველად გაგისთან მივიდა, ფართო მკერდში ჩაიკვრა ახალგაზრდა და ბეჭებში მოჭრილი ხელი მოუთათუნა, რომელზეც „პროტეზი“ ისე ჰქონდა მორგებული, რომ გამოცდილი თვალიც ვერ გაარჩევდა საკუთარისაგან. ჯალილმა გაგის მოკვეთილ თითს დახედა, თავი გადააქნია, კიდევ ერთჯერ ჩაიკრა მკერდში და ყურში უჩურჩულა – „ვაჟკაცი ყოფილხარ“ – ახლა ელგასკენ შემოტრიალდა და ხელი გაუწოდა, მაგრამ მადლიერების გრძნობის გამოსახატავად ქალმა კოცნა მოუნდომა... მშობლიური სითბო რომ იგრძნო, პირველად ცრემლი ბროლის თვალიდან წამოუვიდა და შემდეგ საღიდან, პროკურორი ჯალილის ყოველ მოძრაობას თვალს ადევნებდა და მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთმანეთს ღიმილით განშორდნენ, „მაკაროვის“ ბუდე გადაკეტა.

რეისი ტაბლოზე დაიწერა და თვითმფრინავში ჩამსხდომთა რეგისტრაცია გამოაცხადეს. ყვავილების გვირგვინში გახვეულნი, ოვაციით მიაცილეს ახლად ჯვარდაწერილი წყვილი თვითმფრინავამდე, ჩასხდნენ! ილუმინატორებით მანამდის უცქერდნენ მოზღვავებული გამცილებლების ხელის ქნევას სანამ თვითმფრინავი ღრუბლებში არ მიიმალა. სტიუარდესა გულუხვად გაუმასპინძლდა მგზავრებს, გასამხნევებლად „სირჩა“ კონიაკიც კი მიართვა მსურველებს, ზოგიერთი მოქანცა მგზავრობამ და ჩაეძინა, ელგასაც მიედო თავი გაგის მკერდზე და ტკბილად ეძინა, როდესაც გამოაცხადეს: „ქამრები შეიკარით,

თვითმფრინავი დასაჯდომად ეშვებაო“ – ილუმინატორიდან ხმელთაშუა ზღვის კუნძულები გამოჩნდა... პირველად კუნძულ „გოცოს“ გადაუფრინეს, შემდეგ შედარებით პატარა კუნძულებს და კუნძული „მალტაც“ გამოჩნდა, ცოტაც და მალტას დედაქალაქ ლა–ვალეტაში მსუბუქად დაეშვა თვითმფრინავი, აქ დამსვენებლებს ექსკურსიათმძღოლი და სამარშრუტო ტაქსი ელოდებოდათ. უმეტესობა ინგლისურად ლაპარაკობდა და არც ჩვენ წყვილს გაჭირვებია მათთან საუბარი, რადგან ორივენი კარგად ფლობდნენ მსოფლიო ენას. ექსკურსიამძღოლმა სტუმრები საუკეთესო ოტელში მოათავსა, ბედნიერი დასვენება უსურვა და დაჰპირდა მეორე დღიდან გააცნობდა ქვეყნის ღირსშესანიშნაობებს.

მართლაც პატარაა მალტა, გაუმაძღარი ქართველის მამულის ტოლიც არ არის, მაგრამ სანახავად და დასასვენებლად ღირს. ვერ ვიტყვი საქართველოს ჯობია–მეთქი, ვინაიდან საქართველო ერთადერთია და ისიც ჩემი. მაგრამ ამ ქვეყნის ბუნება დედამიწის უმშვენიერეს ნაწილად მომეჩვენა, ჩემი აზრით, ქართველი კაცი აქ არ უნდა ჩამოვიდეს დასასვენებლად, რადგან ორივე საუცხოო ღვთაებრივი ადგილია, საქართველო სარკეა და მალტა სარკის ანარეკლი მზეთუნახავი, თბილისი ადამისა და ევას სამოთხის ბაღია, ღვთიური და ზღაპრული ქალაქი, ლა–ვალეტა კი მიჯნურთა საამებლად აშენებული და გაშენებული კუნძულია და უზარმაზარი თიხის ჯამს ემსგავსება ვარდისფერი ღვინით სავსეს, რომელშიდაც ყურძნის ერთი მარცვალი დაცურავს მალტასავით, დაცურავს ბუნების გენიით გამთბარი უტკბილესი ბადაგით გაბრუებული და ამ ბადაგით ათრობს და იზიდავს დამსვენებლებს მსოფლიოს ყველა კუთხიდან. ქვეყნის ძირითადი შემოსავალიც დამსვენებლებია.

– ელგას ძალზედ მოეწონა მალტა, თითქმის ფეხით შემოიარა ეს პატარა ქვეყანა, გადაიღო სურათები, გაეცნო მის ღირსშესანიშნაობებს. კარგა გვარიანადაც გაირუჯა ხმელთაშუაზღვის ნორმალურად მცხუნვარე მზის ქვეშ, მაგრამ მაინც

მალე მოიწყინა, თავისი თბილისი მოენატრა, მოუსვენარი და გადარეული, ხალხითა და სიახლეებით სავსე.

ასე, სამშობლოსა და მშობლიური ხალხის მონატრებაში, თაფლობის თვის სიყვარულში და „პატარა ევროპელის“ სულის ჩადგმაში, შეუმჩნევლად გავიდა ერთი თვე, თვითმფრინავი ოდნავ დაგვიანებით დაეშვა თბილისის აეროპორტში, შეხვედრა არავის მოუწყვია, არავინ უწყოდა მათი დაბრუნების შესახებ... გაგიმ ტაქსი დაიქირავა და საკუთარი სახლის კარები შეაღო, დედა სახლში დაუხვდა და აფრინდა ქალი სიხარულით.

მარტო არ მოვსულვარ, დედა, ცოლი შევირთე! – უთხრა გაგიმ მარეხს და ელგა წარუდგინა. ელგა მივიდა გადაკოცნა ქალი და მკერდში ჩაუმალა სახე. ქალიც მოეფერა თავისებურად, თმაზე გადაუსვა ხელი, შემდეგ მკლავის სიგრძეზე დაწია წინ და დააკვირდა.

– ვინ არის, ბიჭო, ფრანგია თუ იტალიელი?

– რა მოგეფრანგ–მოგეიტალიანა დედა, ნუთუ ვერ ატყობ, რომ ნაღდი ქართველია?

– სადაური ქართველია?

– თბილისელი!

– რა გვარის ქალი ხარ შვილო? – ახლა ელგას შეეკითხა მარეხი.

– აბაშიძის ქალი ვარ, დედა! – წყნარად უპასუხა.

– რომელი აბაშიძის, აკაკი აბაშიძის ხომ არა გოგო! – ისევ იკითხა მარეხიმ და ცუდის მოლოდინში ტახტზე ჩამოჯდა.

– დიახ, აკაკი აბაშიძის ვარ, დედა! – ისევ წყნარად უპასუხა ელგამ.

– ვაი! არ ესმის ჩემს ყურთასმენას, და ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენ ერთად ყოფნა არ გიწერიათ! – თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა მარეხიმ, მაგრამ გაგის არცერთი სიტყვა არ გამოპარვია მისი ნათქვამიდან და დედას შეუტია:

– რა მოგდის შენ, დედა, აქამდის სულ იმას ჩამჩიჩინებდი ცოლი შეირთეო, და ახლა კი „ერთად ყოფნა არ გიწერიათო“, ეს არის დედის ლოცვა?

– არ მინდა ჩემს ოჯახში მკვლელის შვილი იყოს, ნეტავი მომკლავდეთ. ჩუმად, ფრთხილად, რომ არავინ გაგიგოთ!

– რას მოითხოვ, გამაგებინე!

– სიკვდილს, ან თქვენს განშორებას!

– რატომ, რისთვის, რა არის მიზეზი?

– არ მინდა ჩემს ოჯახში მკვლელის შვილი იყოს!

– ცდები დედა, აკაკი მკვლელი არ არის, კაცმა თავისი ოჯახის ღირსება დაიცვა და ბანდიტები შემოაკვდა, მკვლელი მამაშენი იყო იოსები, ქალზე აღმართა ხელი და ისიც საკუთარ ცოლზე.

– სწორედ ეგეც მადარდებს, თქვენი შვილი მკვლელი კი არა, ვამპირი დაიბადება.

– ახლა ზედმეტია მაგ საკითხზე საუბარი, როგორიც ჩაისახა ისეთი უნდა დაიბადოს, ჩვენი პატარა ერთი თვისაა უკვე.

– რა თქვი? – იკითხა მარეხიმ. მაგრამ პასუხი აღარ გაუგონია. ის გულწასული დაეცა ტახტზე, გახადეს თბილად ჩააწვინეს და როგორც იქნა მოიყვანეს აზრზე, ელგა სასთუმალთან ჩამოუჯდა, ალერსიანად გადაუსვა თმაზე ხელი.

– რატომ გაგვიწყერი დედა? რით დავიმსახურეთ თქვენი რისხვა? – მარეხიმ არაფერი უპასუხა, მას ჭერზე ერთი წერტილისათვის მიეპყრო ცრემლიან თვალთა მზერა. დიდიხნის დუმილის შემდეგ, წყნარად ძლივს გასაგონად წარმოთქვა:

– შენს მშობლებს დაურეკე, ახარე შენი ბედნიერება და მიეცი მისამართი სადაც იმყოფები.

ელგა უხმოდ დაემორჩილა მარეხის ბრძანებას, ჩანთიდან საკუთარი მობილური ამოიღო და ნომერი აკრიფა“

– „გამარჯობა დედა... კარგად... შენ როგორ ხარ... ჰო, ჩამოვფრინდი... არა ერთი საათის მოსული ვარ... არსენას ქუჩაზე ვიმყოფები... შეგიძლია მომილოცო... გავთხოვდი... ვის... და არის ერთი ასეთი ახალგაზრდა გაგი მშვენიერაძე... რამდენჯერ უნდა შემეკითხო, ხომ გითხარი ვისაც!“ –

როგორც ჩანს, არც დედაჩემია კმაყოფილი, ყურმილი დამიკიდა.

– ფეხებზე მკიდია მაგათი არჩევანი. ყველა თავის ნიჟარაში ჩაეტიოს! – წყრომით თქვა გაგიმ და დედის საძინებელი ოთახის კარები გაიჯახუნა.

ელგას საუბრის შემდეგ ერთ საათსაც არ გაევლო, რომ გაგის სახლის ჭიშკართან ტაქსი გაჩერდა და იქიდან მთლად გაფოფრილი ელგას დედა, მარინე მამამთავრიშვილი გადმოვიდა, რომელსაც ძლივს აკავებდა თავისი მეუღლე აკაკი აბაშიძე.

– გარეთ გამომიყვანეთ ჩემი კახპა, ჩემივე ხელით უნდა მოვკლა, – ეზოში გაჰყვიროდა ის და სახლში არ შედიოდა.

– წყნარად, ქალო, მეზობლები შეიყარა, უკვე სირცხვილია! – ამშვიდებდა მეუღლეს აკაკი.

– ვისი გრცხვენია, სირცხვილი იცის შენმა ქალიშვილმა? წყალში ჩამიყარა მთელი ცხოვრება, მთელი შრომა, მთელი ამაგი, ნუთუ მე არ ვიყავი იმისი ღირსი ეკითხა რჩევა. ვერაფრით ვერ დავტოვებ აქ, უნდა წავიყვანო, თუ დავტოვებ, მხოლოდ მკვდარს!

– რა გინდა, ქალო, მშვენიერი ვაჟია...

– აქ ოჯახი კი არა მკვლელის ბუნაგია, მაგისმა ბაბუამ საკუთარი ცოლი მოჰკლა, ისე მოუვა შენ ქალიშვილსაც.

– დაწყნარდი, ქალო, არავინ არ არის უცოდველი ამ ქვეყნად. მაგას ბაბუა ჰყავდა მკვლელი და შენს ქალიშვილს მამა ჰყავს. თუ ეს არის მაგათი განშორების მიზეზი,საყვირლად მაგათ ჰქონიათ საქმე და შენ კივიხარ?

– შემეშვი აკაკი, გამომიყვანეთ გარეთ ეგ კახპა, გათახსირებული, უნდა გავწიწკნო.

ახლა კი ველარ მოითმინა გაგიმ და წინ აესვეტა სიდედრს.

– რატომ ილანძღები, მე შენზედ უკეთესად ვიცი, როგორი გათახსირებულიც არის ელგა, ხელის მოწერისა და ჯვრისწერის შემდეგ მე ჩამაბარა უმანკოება!

– უკვე? – წამოიძახა მარინამ და ხელით გაიწია, რომ სახეში მიწვდომოდა გაგის, მაგრამ ვერ მიწვდა და აკაკის შეადნა ხელში, ჩაიკეცა მთლად გაფითრებული, გაგიმ სახლში დაუპირა შეყვანა, მაგრამ „მთლად გადაირევა, რომ მოვა გრძნობა-ზეო“ – თქვა აკაკიმ და ისევ ავტომანქანაში ჩასვეს სახლში წასაყვანად.

გაგი სახლში შევიდა, მეზობლებიც დაიშალნენ, ყველაზე ახლობლები კი ელგას სანახავად მოვიდნენ. აინტერესებდათ, თუ ვინ იყო ასეთი მზეთუნახავი, გაგის რომ წუნობდნენ...

– ადამიანი ყველაფერს ეჩვევა, ნუ გეშინია არ მოვკვდები! – უთხრა დედამ გაგის და მოეფერა – პირველად მართლა ცუდად ვიყავი, ასე მომეჩვენა თითქოს შენი თავი წამართვეს!

მეზობლები ყველა წასულიყო. ოთახში ელგა შემოვიდა, მარეხიმ ნაძალადევად გაუცინა და ხელით ანიშნა მოდიო ჩემთან! ელგა თავთან ახლოს ჩამოუჯდა, მარეხიმ ისევ სცადა გაღიმება, მაგრამ არ გამოუვიდა და წყნარად წარმოთქვა – „მაპატიე“.

– არაფერი დაგიშავებია ისეთი, ბოდიში რომ მოიხადო, დედა! – უთხრა ერთი სიტყვით ნასიამოვნებმა... ეს იყო და ეს, ამის მეტი სიტყვა არ თქმულა მათ შორის; ტელევი-ზორიც არ ჩაურთავთ, ტელეფონი რეკავდა, იკლავდა თავს, არავინ აიღო ყურმილი.

გვიან, თითქმის გამთენიისას დაწვნენ. ალბათ არც ეძინათ, დილით ადრე ადგნენ ელგა და გაგი სამსახურში უნდა წა-სულიყვნენ, მარეხი მოინახულეს ის ისევ ისე იწვა, როგორც დატოვეს, ჭერს მიშტერებული, აშკარად ჩანდა, რაღაც აწუხ-ებდა, მაგრამ რა?

– დედა სამსახურში უნდა წავიდეთ, შენ ხომ არაფერი გინდა? – შეეკითხა გაგი.

– წადით, არ დაიგვიანოთ...

– შენ დღეს სამსახურში არ წახვალ?

– წავალ ცოტა მოგვიანებით, ჩემი დარდი ნუ გექნებათ, საკუთარ თავს მიაქციეთ ყურადღება.

– ჰო, კარგი, დედა – თქვა ელგამ, აკოცა მარეხის და წყნარად გაიხურა კარები.

მარეხი როდესაც დარწმუნდა, რომ სახლში აღარავინ იყო ადგა, შხაპის ქვეშ დადგა. ცოტა გამოფხიზლდა, შემდეგ საწერი მაგიდის წინ ჩაჯდა სავარძელში, ცოტახანს ჩაფიქრდა, შემდეგ ფურცელი და საწერკალამი აიღო. ნახევარი საათი რაღაც წერა, ნაწერი იქვე დატოვა მაგიდაზე და ჩაცმა დაიწყო, რაც ხელში მოყვა ის ჩაიცვა, აუცილებელი ნივთები შეაგროვა, ჩანთაში ჩააწყო. წმინდა გიორგის ხატის წინ დაიჩოქა, ილოცა, კარებს ჯვარი გადასახა, გამოიხურა, გასაღებით არ დაუკეტავს, ქუჩაში გამოვიდა, ტაქსების გაჩერებასთან მივიდა და...

თითქმის იგივე განმეორდა აკაკი აბაშიძის ოჯახში, მხოლოდ განსხვავება ის იყო, რომ მარინე მთელი დღე რაღაცას წერდა, დილით კი როდესაც აკაკი სამსახურში წავიდა, თავისი ნაწერები მაგიდაზე დააწყო, ყვავილების ვაზის ქვეშ და ჩაცმა დაიწყო, ჩაიცვა ყველაფერი რჩეული, აუცილებელი ნივთები კი ჩანთაში ჩააწყო, კარები გამოიხურა და ავტობუსების გაჩერებისაკენ წავიდა...

სამსახურიდან დაბრუნებული გაგი, სახლში შესული არც კი იყო, სიცარიელე იგრძგნო, მართლაც დედის საძინებელი ოთახი ცარიელი აღმოჩნდა, არც სხვა ოთახებში იყო დედა, საწერ მაგიდაზე ფურცლები შეამჩნია, ცუდი უგრძნო გულმა, სასწრაფოდ ჩაჯდა სავარძელში და კითხვა დაიწყო:

– ,,შვილო გაგი, უფალს მუდამ ერთსა და იგივეს ვევედრებოდი, რომ დაოჯახებული მენახე, რომ შეგძლებოდა დამოუკიდებელი ცხოვრება,. მისმინა უფალმა და მე კმაყოფილი ვარ შენი ბედნიერებით. ხომ იცი, მე ადამიანს ვერ ვგუობ, უფრო სწორედ მე ვარ ცუდი ასატანი და საგუებელი. საკუთარი უხიაგი ხასიათის გამო ბევრჯერ ჩავკეტილვარ აბაზანაში, მომიშვია ონკანი და მიტირია ჩუმად, რომ შენ არ გაგეგონა. ჩამომიბია თოკიც, მაგრამ შენს სუნთქვას გადავურჩენივარ, კი არაფერს გაყვედრი, მაგრამ შენ არ უნდა გადა-

გედგა ჩემს დაუკითხავად ეს ნაბიჯი და მუდამ შენთან ვიქნებოდი. მიუხედავად იმისა, მამაკაცის სუნთქვას ვერ ვიტან... ახლა კი არ შემიძლია თქვენთან ყოფნა, არც დაშორება შემიძლია თქვენი, ჩემი განშორება კი მიზანშეწონილად ვცან, რადგან მშობელი ვალდებულია გაშორდეს შვილს. ნუ დაუწყებ ჩემს გზას ძებნას, არ იფიქრო ძალით დამაბრუნო ოჯახში, თორემ შენს თავს ვფიცავ, ერთ მშვენიერ დღეს აბაზანაში დაგხვდები ჩამოკიდებული.., მე მწამს მაგ ქალთან შენი ბედნიერი იქნები და მეც რომ შენთან ვიყო, ძალზედ მსუყე იქნება შენი ბედნიერება, ამიტომ ბედნიერებაში ცოტა ცრემლიც თუ არ ურევია, არასრულფასოვანია ცხოვრება. ცხოვრებაში ცრემლის მეტი რა მინახავს იმას მეტი სიმშვიდე მოაქვს ადამიანისათვის ვიდრე უსიყვარულო მამაკაცის ტორღიალს, თუმცა მე რა ვიცი, რომელია უსაფუძვლო და რომელი საფუძვლიანი ტორღიალი. მე ხომ დღესაც ქალწული ვარ და მამაკაცის არავითარი ალერსი არ განმიცდია, ამიტომ ღრმად ვარ დარწმუნებული, ჩემი გზა უფლის სასახლისაკენ მიდის ქრისტეს სადიდებლად, იცოდე მე დღეიდან მონაზვნად ვარ აღკვეცილი და ჩემს განზრახვაზე ვერავინ ამაღებინებს ხელს, ვფიქრობ, ჩემი სიცოცხლის დარჩენილი წლები ლოცვაში გავატარო. ღმერთი იყოს შენი მფარველი, შვილო, თუ რამ ცოდვა მიგიძღვის უფლის წინაშე, მე ვიტვირთებ, შევთხოვ უფალს, რომ ქრისტეს უღელი მედგას და შენი ცოდვების ტვირთიც ვიტვირთო ჩემს ცოდვებთან ერთად. ბედნიერად იყავით, შვილებო – მშვიდობით! მარეხი!

– ვერაფერი ვერ გავიგე, ახლა მოუნდა მონაზვნად აღკვეთა დედაჩემს, როდესაც იმისი დახმარება გვესაჭიროებოდა? – თქვა გაგიმ და ელგას გადახედა.

– არ ვიცი, მეგონა თუ ბედნიერებას შემოვიტანდი ამ ოჯახში, შენც კიდევ ღვთისმშობელს მიმამსგავსე, შემაცდინა კომპლიმენტმა, გენდე, თურმე გონჯი ვყოფილვარ, მახინჯი, დედაც კი გაგირბის სახლიდან, რა განუკითხაობაა, რატომ უნდა წავიდეს სახლის პატრონი ოჯახიდან და ვიღაც მო-

სულმა დაიკავოს იმისი ადგილი, უფრო სამართლიანი იქნება მე წავიდე! – თქვა ელგამ და წასასვლელად შემობრუნდა.

– თუ ქალი ხარ დაეტიე ადგილზე, ნუ შემიწუხე შეწუხებული გული, ვისაც გული არ ეტევა წავიდეს, მე შენ მაგათ საჯიჯგნად არ მომიყვანიხარ, ადამიანი თავისუფალი არსებაა, ვისაც როგორც სურს ისე მოიქცეს, შენ თუ არა ხარ კმაყოფილი შენი ბედით, შენც შეგიძლია მიღალატო...

– გაგი შენ არ შემცდარხარ არჩევანში, მე მოღალატე არასოდეს ვიქნები...

* * *

აკაკი გვიან დაბრუნდა ოჯახში, ცოტა ნასვამი იყო, კარები გააღო თუ არა მაშინვე დაიწყო მობოდიშება, ყოველთვის ასე იცოდა, როცა დალევდა.

– რა მოხდა ქალო, დავლიე და სწორადაც მოვიქეცი. ბავშვების გაბედნიერების დღე აღვნიშნე, შენ ისე იქცევი თითქოს ახალგაზრდობა არ გამოგეცადოს, შენ არ იყავი სკოლიდან რომ გამოიპარე? შენმა შვილმა კიდევ დიდხანს შეინახა თავი. უმაღლესი დაამთავრა და სამსახურში ჩადგა, სწორედ არ მოველოდი ამდენს. გასათხოვარი უნდა გათხოვდეს, საცოლემ უნდა მოიყვანოს, აბა როგორ გინდა შენ, ბუნების საწინააღმდეგო კანონი გინდა შემოიღო? არა, მაინც ვერ გავიგე, იმ ბიჭს რა აქვს შენი დასაწუნი? უმაღლესი განათლებით ყოფილა ისიც, თანაც ექიმი. აბა, შენ რა გინდა შენი გოგოსავით პოლიციელი იყოს? – აკაკის რომ არავინ გამოეპასუხა საუბარში, ხმამაღლა დაიძახა – ქალო, სადა ხარ? – პასუხი კიდევ არავინ გასცა. რაღაც ცუდი გრძნობა დაეუფლა, თითქმის გამოფხიზლდა კიდეც და ყველა ოთახის კარი შეაღო, მარინა ვერსად აღმოაჩინა, ზალაში მაგიდაზე დაწყობილი ნაწერი ფურცლები შენიშნა, იცნო საყვარელი მეუღლის ხელწერა. ვინ მოთვლის, რამდენი წერილი მიუღია იმის ხელით დაწერილი, სავარძელში ჩაჯდა და კითხვა დაიწყო:

–,,აკაკი კაცი არც ტკბილი უნდა იყო და არც მწარე, თორემ ქალები ტკბილს გადაყლაპავენ და მწარეს გადმოაფ-ურთხებენ, შენ ძალზე ტკბილი გამოხვედი და მრავალჯერ გადაგყლაპე. ქალი თუ შენთვის გინდა, თავისუფლება უნდა მისცე, მე კი თავისუფლება განუსაზღვრელი მქონდა, ალბათ, გეშინოდა მარტო დარჩენის, რომელიც ბოლოსა და ბოლოს გარდაუვალი გახდა. ცოდვაა მარტოდ, კენტად დარჩენილი ადამიანი, ღმერთმა პირველმა შეამჩნია ეს და კაცს არაჩვეუ-ლებრივი ქმნილება, არაჩვეულებრივი მასალისაგან შეუქმნა, თუ როგორ და რა მასალისაგან, ეს შენც კარგად იცი. ისიც იცი, რომ ქალის გაჩენაში მელიის სიცბიერე ურევია. ჩემს გაჩენაში უხვად უპკურებია უფალს სიცბიერე და ბედიც ეშმაკის ზეგავლენით წარიმართა და არა უფლის განგებით. როდესაც სკოლიდან გამოვიპარე და შენ გამოგყევი სკოლის მასწავლებლებმა და ამხანაგებმა ყველამ დამცინა, თითქმის სალამზედაც აღარავინ მპასუხობდა, მხოლოდ ერთი მასწავ-ლებელის გარდა, იმ წელს დანიშნეს, როდესაც მე გამოგყევი, ჩემზე ხუთი წლით უფროსი, ის იყო ჩემთან ახლოს, მეტი არავინ, ახალგაზრდა იყო, სილამაზის განსახიერება, მოწყვეტილი ვარსკვლავივით, რომ იტყვიან სწორედ ასეთი. ერთი ნაკლი ჰქონდა, მამაკაცის სიახლოვეს ვერ იტანდა, თვალებზე ცრემ-ლი მოსდიოდა და გული ერეოდა, ბევრმა სცადა მასთან გამიჯნურება, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. გათხოვების შემ-დეგ ეს ქალი ხშირად დადიოდა ჩემთან, თავისუფალ დროს მეც ვეწვეოდი ხოლმე, ასე თანდათან განმტკიცდა ჩვენი მეგო-ბრობა და ერთი დღეს მთხოვა, რომ მისთვის მეჩვენებინა თუ როგორ მკოცნიდა ქმარი, პირველად არ გამომივიდა, მაგრამ შემდეგ ისე დავოსტატდი, ახლა შენც ბევრად გაჯობებ... ფეხმ-ძიმობა, რომ შემამჩნია მთლად გაგიჟდა, ბავშვებზე იყო უზო-მოდ შეყვარებული და თვითონაც უნდოდა ეტვირთა დედის უღელი, მაგრამ ჩვენგან ამის განხორციელება, შეუძლებელი იყო; ვურჩიე გათხოვილიყო, სასაცილოდაც არ ეყო, ,,ნეტავი მამაკაცები თვალით არასდროს დამანახაო", მიპასუხა, მეც ეს

მინდოდა. ისე შევეჩვიე ალბათ ვერ ავიტანდი მის განშორებას. ერთ დღეს მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ, შენთვის სპერმა მომეპარა, სწორედ აქ გამომადგა მელიის სიცბიერე და როდესაც ჩემთან სქესბრივი კავშირი მოინდომე, მე დაგარწმუნე, რომ სპერმა ნაყოფზე უარყოფით გავლენას ახდენდა, ამიტომ შემოგთავაზე პრეზერვატივი...

– სადა მაქვს ქალო პრეზერვატივი, ან სად ვიშოვო ამ შუაღამეზე? – მითხარი მაშინ.

– ვიცოდი, რომ არ დამაყენებდი და მე თვითონ ვიყიდე! – ჩემივე ხელით მოგხსენი, ტუალეტში გავედი, უნიტაზში წყალი მოვუშვი, თითქოს ის ჩავაგდე, სინამდვილეში კი ბამბაში შევახვიე და თბილ ადგილზე შევინახე. დილით შენ სამსახურში წახვედი, მე კი ტელეფონს ვეცი და ,,საყვარელს" დავურეკე – საჩქაროდ ჩემთან გაჩენილიყო – სანამ ის მოვიდოდა პირუტყვის ორმოცდაათ გრამიან შპრიცში ჩავტუმბე შენი სპერმატოიზოიდი, მეტალის ნემსის მაგივრად წვრილი პლატმასის მილი გავუკეთე და ბალიშის ქვეშ შევინახე თბილად, დიდი დრო არ გასულა, ჩემი ,,საყვარელიც" მოვიდა, გაიხადა და ლოგინში შემომიწვა, არ ვძრახავ კაცებს თუ ყველა ქალის სხეული ასეთი სასიამოვნოა, მე მას ორგაზმი განვაცდევინე და შპრიცი ავიღე, დაუბრკოლებლივ გავიარე საშვილოსნოს ყელი და შენი სპერმა იმის საშვილოსნოში მოვათავსე. პირველივე მცდელობამ წარმატებით ჩაიარა, ჩემი ,,საყვარელი" დაორსულდა. ეს იყო და ეს. მის შემდეგ ის აღარ მინახავს ბინა და ტელეფონიც კი გამოიცვალა, რომ არ შემეწუხებია, გავიგე რომ მას ბიჭი შეეძინა მინდოდა მენახა თუ ვის ჰგავდა, მაგრამ გადავიფიქრე. თუ დედამისს არ ვუნდოდი, მე სრულებითაც არ მეხატებოდა გულზე. მის შემდეგ ოცდაოთხი წელიწადი გავიდა. ალბათ რომ შემხვედროდა ვეღარც მიცნობდა, არც არასოდეს მომსვლია მათი ნახვის სურვილი, მაგრამ დღეს თავზარი დამცა მისმა შეხვედრამ. გულიც იმიტომ შემიწუხდა, ჩემს წინ შენი ახაგაზრდობა იდგა. პირადად ჩემი დანაშაულით, ჩვენი სიძე შენი შვილია...

ახლა არ ვიცი ამ საქმეს რაღა ეშველება, ნეტავი მომკლავდე, რისი ღირსიცა ვარ, თუ ოდესმე ჩემი ნახვა გადაწყვიტო, არავითარ შემთხვევაში პატიება არ გაივლო გულში, მე შენგან სასჯელს ველოდები. თუ მოინდომებ, მომაგნებ კიდეც. მონაზვნად უნდა აღვიკეთო. ღმერთს უნდა შევთხოვო პატიება, ვიცი რომ ეს ცოდვა შეუნდობელია, მაგრამ იქნებ შვილების მიმართ შემსუბუქდეს როგორმე, რადგან ისინი არაფერ შუაში არიან, არც არაფერი იციან და ვერც ვერაფერს გაიგებენ, თუ შენც იქნები მდუმარედ. შენ ყოველთვის გამოირჩეოდი ჭკუითა და სიბრძნით. ახლაც გადაწყვიტე, როგორ უნდა მოიქცე თვითონ, ხომ არ აჯობებდა შენც ჩემს გზას დადგომდი? – მარინე.

P.S. მე შენ მიყვარხარ, მაგრამ ცოდვა შენთან ყოფნას მიკრძალავს“.

აკაკი სრულებით გამოფხიზლებული, თავზე ხელეშემოჭერილი, რამდენიმე საათი იყო წერილს დამხობილი – მართლა ეშმაკია ქალი – გაიფიქრა ბოლოს – საიდან მოიგონეს ასეთი სისაძაგლე, მამაკაცი ხომ ამის მსგავსსაც კი ვერასოდეს მოიფიქრებს – ღმერთო შეუნდე თუკი არსებობს შენდობა ამგვარ ცოდვაზე – მარინემ უშველა თავს, შეარჩია ადგილი, სადაც შეიძლება ჰპოვოს სულის სიმშვიდე, მაგრამ მე რა მეშველება? წავალ, ჩემი შვილების მოძღვარს ვნახავ, ვკითხავ რჩევას, როგორც მეტყვის, ისე მოვიქცევი.

ადგა წერილს სანთებელი გაუკრა და ალმოდებული ფურცელი ვაზაზე დააგდო, დაფერფვლას არ დალოდებია. კარები გაიხურა და ქაშუეთის ეკლესიისაკენ წავიდა, ეკლესიაში შესვლისთანავე იცნო მოძღვარი, მაღალი, წარმოსადეგი, ლამაზი, მოკლედ შეკრეჭილი თეთრი წვერით, მიუახლოვდა სალამი უთხრა და ჯვარზე ემთხვია: – ,,მამაო, ფრიად მნიშვნელოვანი და საიდუმლო საქმე მაქვს თქვენთან:

– რას მოითხოვ შვილო, გაიღე აღსარება, გაზიარებ და ცოდვები შეგიმსუბუქდება.

– არა, მამაო რჩევა მინდა და დარიგება: აი, სურათი გემახსოვრებათ ამ ახალგაზრდებს ჯვარი რომ დაწერეთ ერთი თვის წინათ – მოძღვარმა სურათს დახედა.

– კი, როგორ არა, რესტორნის გემოც მახსოვს მაშინდელი...

– ჰო, და ასეა ჩემი საქმე – თქვა აკაკიმ და ძირფესვიანად მოჰყვა წერილის შინაარსს, მოძღვარი გაოგნებული მიჩერებოდა. თვალის გუგები ხან უწვრილდებოდა და ხანაც უფართოვდებოდა გაკვირვებისაგან, აკაკი პასუხს ელოდებოდა, მოძღვარი კი დუმდა, ვერ გადაეწყვიტა, როგორი რჩევა მიეცა ცოდვილისათვის. ეთქვა, რომ ბავშვები ერთმანეთისთვის გაეშორებინა? ცოდვა ჩადენილი იყო და ცოდვის ნაყოფი რჩებოდა, ნაყოფიც მოეკლათ? ამ ცოდვას სარწმუნოება არავის აპატიებდა, და–ძმანი ერთად დარჩენილიყვნენ, ეს ცოდვაც ხომ მიუტევებელი იყო? – საგონებელში ჩავარდა მოძღვარი... როგორც იქნა ბოლოს ამოილუღლუღა:

– ასეთი რამ არც გამიგონია, არც საღვთო წერილში და არც სამოქალაქო კანონში წამიკითხავს მსგავსი რამ, არც მისწავლია.

– არ გისწავლია, ეს იმას არ ნიშნავს, არ იცოდე! ჩვენისთანა ხალხმა შექმნა დედა–ენა, საღვთო წერილიცა და სამოქალაქო კანონიც,. უნდა შეძლოთ ახალი მუხლი შეიტანოთ ღვთის ნებით, საღვთო წერილში და ერის ხმით სამოქალაქო კანონში.

– ეს შეუძლებელია, სატანამ ყველაფრის მოპარვა ასწავლა ადამიანს და ასევ უმსგავსოებასაც თუ მოიგონებდა, არავის ეგონა. შენ პირადად დიდი ცოდვა არ გაწევს კისერზე. პრეზერვატივით კანონიერ მეუღლეებთან ინტიმი, იგივეა რაც მრუშობა, ასეთ ცოდვას შეგინდობს უფალი, მეც შემიძლია აღსარება მივიღო შენგან და გაზიარო, რაც შეეხება შენი მეუღლისა და მისი დობილის ცოდვას... შენს მეუღლეს კარგი ადგილისათვის მიუგნია, ღმერთმა განიკითხოს მისი ცოდვა, რაც შეეხება თქვენი შვილების ცოდვას გადმოვა მშობლებზე, რად-

გან „არ ცოდნით“, უცოდველნი არიან. მათი განშორება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, რამეთუ თვითონაც არ იციან წარმოშობის სინამდვილე, რომელიც მხოლოდ ოთხმა ადამიანმა ვიცით და საიდუმლოდ უნდა შევინახოთ. არავინ იცის, როგორი იქნება მათი ჩანასახი, ღვთიური თუ სატანური, მაგრამ ნაყოფი მაინც უნდა გაიზარდოს, როგორიც არ უნდა იყოს ის... რაც შეეხება თქვენს მარტო დარჩენას, გირჩევთ თქვენც ბერად აღიკვეცოთ, რადგან მართლმადიდებლის გული ვერ აიტანს საკუთარი შვილების ცოლ–ქმრულ ცხოვრებას...

– ესე იგი, რაც მიშრომია, მიწვალია, შემიქმნია, ყველაფერი მივატოვო და ბერად აღვიკვეცო?

– როგორ? გენანება ღვთის სამსახურს შესწირო ყველაფერი, რაც აქამდის გიშოვნიათ?

– არა, არ მენანება. იყოს ნება უფლისა, მაგრამ ბერად თუ არ აღვიკვეცები, საქართველოს დავტოვებ, რაც ყველაზე მეტად გამიჭირდება.

– რისთვის უნდა დატოვო მშობლიური მხარე, გაგიჭირდება ბავშვებისა და სამშობლოს ერთდროულად მიტოვება.

– აქ ყოფნა მეტად გამიჭირდება, ვერ გავძლებ შვილების უნახავად, ყოველთვის დამაინტერესებს მათი ბედი და რაღა ბერობაა,თუ გამოვიპარები და შვილებს მოვინახულებ ხოლმე?

– სად აპირებ წასვლას?

– საფრანგეთში უნდა წავიდე, იქ საქართველოს გასაბჭოების დროს გაქცეული ჩემი წინაპრები ცხოვრობდნენ. ახლა მათი შთამომავლები არიან, მაქვს მათთან მიმოწერა და კავშირი, მაგრამ ფულიც არ შემომრჩა სამგზავრო. – ბოლო სიტყვა ძლივს გასაგონად თავისთვის წაიჩურჩულა...

– ჰო, კარგი ასეც მოიქეცი, მხოლოდ ჩემთან ნუ დაკარგავ კავშირს, ღმერთი იყოს შენი მფარველი!

– გმადლობთ მამაო! – თქვა აკაკიმ და წასასვლელად შებრუნდა, მაგრამ მოძღვარმა შეაჩერა:

– მოიცა, ლოცვა–კურთხევას გაგატან თან! – უთხრა და თავის სენაკში შევიდა, შუბლზე მირონით ჯვარი

გამოუსახა და წითელ მატერიაში შეხვეული რაღაც ჩაუდო ჯიბეში.

– ეს რა არის მამაო? – შეეკითხა აკაკი.

– ფული გლახაკთა გნსაკითხავად გასაცემი. მე მგონია სამგზავროდ გეყოფა, იქ კი ღმერთი მოგიმართავს ხელს.

– ისევ სამღვდელოებაა ცოდვა–მადლის გამკითხავი, თორემ ვის ებრალები... – გაიფიქრა აკაკიმ და ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა სახლისაკენ, რათა სახლის კარებები ჩაეკეტა, გასაღები შვილებისთვის გადაეცა და საჩქაროდ დაეტოვებინა მშობლიური მხარე... სახლში მოვიდა, მაგრამ ეს რა არის? ეზო სავსეა ხალხით, სახლის მაგივრად ნასახლარი ჩანს და მხოლოდ მსხვილი მილები ბოლავენ. გაახსენდა ალმოდებული წერილი, რომ ბროლის ვაზაზე დააგდო, ბროლმა სიმხურვალეს ვერ გაუძლო, გასკდა და წერილის ცეცხლიანი ენა გალაქულ მაგიდაზე აღმოჩნდა, ცეცხლი ელვის სისწრაფით მოედო მთელ სახლს.

– „ხალხი იფიქრებს, ძალით დაწვა და წავიდაო!“ – გაიფიქრა აკაკიმ და სადღაც გულის სიღრმეში ტკივილი იგრძნო. ცრემლი მოიწურა, იქ მყოფთ არავის შეუმჩნევია მისი გამოჩენა – ასეც შეძლებულა, ერთი წუთის შედეგია გაბოროტებული კაცის ცხოვრება – წარმოთქვა თავისთვის და აეროპორტისაკენ მიმავალ სამარშრუტო მიკროავტობუსში ჩაჯდა...

* * *

მას ავტოგრაფებით მოქარგულ–მოხატული, თეთრი ფერის სკოლის ფორმა ეცვა, მიწისქვეშა გადასასვლელით არ უსარგებლია. პირდაპირ გადაჭრა ქუჩა, ავტომობილების გაბმული სირენბისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია და ქაშუეთის, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში შევიდა, სანთლები იყიდა, მათხოვრებს ხურდა ფული ჩაუჩხრიალა და დარბაზში დედა–ღვთისმშობლის ხატის წინ დაიჩქოქა. ილოცა, შემდეგ მოძღვართა შორის ერთ–ერთი

შეარჩია. ტანადი, დაბლად შეჭრილი თეთრი წვერით და მომღიმარი სახით.

– დამლოცე მამაო, – უთხრა და მკერდზე დასვენებულ ჯვარს ემთხვია. მოძღვარმა თავზე ხელი დაადო და ლოცვა წყნარი ხმით წარმოთქვა. ქალიშვილი გაირინდა, თითქოს ათასმა წყეულმა კივილით დატოვა ბინა მისი ორგანიზმისა და სადღაც გადაიკარგა. სიმსუბუქე იგრძნო, შეგრძნებით სატანის ტვირთი მოხსნეს და ქრისტეს კვართით შემოსეს.

– მამაო! – წარმოთქვა ჯერ კიდევ სიტკბოების ბურუსში გახვეულმა – მინდა თქვენ იყოთ ჩემი მოძღვარი, დღეს დავამთავრე სკოლა, ხვალიდან დიდი ცხოვრების კარიბჭესთან ვდგები, მიიღეთ ჩემგან აღსარება და დამილოცეთ ხვალინდელი გზა.

– რატომ მაინც და მაინც მე შემარჩიეთ? – ნასიამოვნები ღიმილით მიმართა მოძღვარმა.

– აი, იმ ხატის მსგავსება აღმოვაჩინე! – ხელი წმინდა მარკოზის ხატისაკენ გაიშვირა ქალიშვილმა.

– ყველა მოძღვარი წმინდანსა ჰგავს, თქვენთვის ნებისმიერი შეიძლება სულიერი მამა გახდეს, ვარდი უმანკო ბავშვის ხელში იქნება თუ მკვლელის ხელში, ამით სურნელება არ მოაკლდება. ღამურას თუ არ მოსწონს მზის სხივი, განა ამით მზეს სიკაშკაშე და მცხუნვარება აკლდება?

– არა, მამაო. მე თქვენ ყველანი მომწონხართ, მწამს რომ ყოველი თქვენგანი ღმერთთან შუამდგომლობთ და ქრისტეს გზით მატარებთ. მაგრამ მრავალ რჩეულთაგან ხომ შეიძლება ერთი შევარჩიო?

– კი, როგორ არა. დღეს მივიღებ თქვენგან აღსარებას, ხვალ კი გაზიარებთ, რა გქვიათ, სახელი?

– ქეთი ქებაძე, – უპასუხა ქალიშვილმა. მოძღვარმა თავზე წმინდა კალთა დააფარა და აღსარება მიიღო.

– გყვარებია?

– მიყვარს!

მოძღვარს გაეღიმა და თავზე მრავალგზის ჯვარი გადასახა.

– არ გირჩევთ, ჯვარდაუწერლად შეუღლდეთ! – დაარიგა მოძღვარმა.

– ჯვრისწერის სასტიკი წინააღმდეგია. ეკლესიაშიც არ მომყვება.

– იქნებ ჩემამდე მოიყვანო როგორმე, ვეცდები მოვაქციო ჭეშმარიტი სარწმუნოებისაკენ, რამეთუ ქრისტეს მოძღვრების მოწყალებათა საქმენი სულიერნი გვასწავლის: „მოქცევა ცოდვილთა“ და „სწავლება უმეცართა“.

– ვეცდები მამაო, უფლისა და თქვენი დახმარებით იქნებ მივაღწიოთ მიზანს.

– უფალი ყველაფერში დაგვეხმარება შვილო, შენ კი აი, ეს ლოცვანი საჩუქრად გქონდეს. შეისწავლე და შეისისხლხორცე უფლის ყოველი მცნება. ხვალ დილით კი წირვას დაესწარი, საჭმელს ნუ შეჭამ და წყურვილსაც თუ მოითმენ, კარგი იქნება. ზიარების წინ სათქმელი ლოცვანი იღაღადე და საკურნებლად სულისა და ხორცისა გაზიარებ. ღმერთი იყოს შენი შემწე და მფარველი შვილო! – მოძღვარმა კიდევ გადასახა ჯვარი ქალიშვილს და ხალხმრავალ სამლოცველო დარბაზში დატოვა.

ქეთი მსუბუქი ნაბიჯით დაბრუნდა სახლში, თითქოს დღემდე შეუგრძნობი ძალა დღეს ამოქმედდა, სატანური ტვირთი, რომელიც ქვესკნელისაკენ ეწეოდა, ამ უხილავმა ძალამ მხრებიდან მოხსნა, სიმსუბუქე იგრძნო და ამაღლედა, – „ასე კარგად არასოდეს მიგრძვნია თავი, ნუთუ ღვთიური ძალა გადმოვიდა ჩემზე? სად ვიყავი აქამდე, რატომ დავიგვიანე? წმინდა მარიამი ხომ სამი წლისა მიიყვანეს იერუსალიმის ტაძარში და შესწირეს მამა ღმერთს, სადაც თოთხმეტ წლამდე იზრდებოდა. მე კი ჩვიდმეტი წლისამ გადავდგი ღვთიური ნაბიჯი ღმერთის დახმარებით, თორემ ჩემს მშობლებს არც ახლა უაქტიურია. ღმერთო, არ მიმატოვო, როგორ სიმსუბუქეს ვგრძნობ, თითქოს აზროვნებაც მომემატა, დიდება შენდა, უფალო, კაცობრიობისთვის ნაწამებო და მხსნელო ქვეყნიერებისა“. – წარმოთქვა ქეთიმ და მოძღვრისგან ნაჩუქარი ლოც-

ვანი გადაშალა. დიდხანს კითხულობდა, თითოეულ სიტყვას აკვირდებოდა. სჯიდა და ისე აღიქვამდა, როგორც სინამდვილეში უნდა ყოფილიყო. გვიან გაახსენდა, რომ თავის პირველ სიყვარულს შეხმიანებოდა, ის ხომ მოძღვართან უნდა მიეყვანა რწმენის გასამტკიცებლად? ფიჭური ტელეფონის აპარატზე ნომერი აკრიფა:

– ელგა დეიდა ბრძანდებით? საღამო მშვიდობის. მე ქეთი ვარ! კარგად ნიკა მინდოდა, არ მოსულა? სკოლიდან ერთად წამოვედით, აბა სად წავიდოდა? კი ყველაფერი კარგად დამთავრდა, დღეს ბოლო ზარი გვქონდა, ერთ კვირაში კი გამოსაშვები გამოცდები დაგვეწყება... სწორედ ეს მინდოდა მეკითხა, სად უნდა შეიტანოს საბუთები? მე ჟურნალისტი მინდა გამოვიდე, აქვე, ვარკეთილში, ჯავახეთის 7–ში რომ „ჩირაღდანი"–ს რედაქციის კოლეჯია, იქ მინდა სწავლის გაგრძელება... კარგი, ნიკა რომ მოვა გადმომირეკოს. კარგად ბრძანდებოდეთ!

– შენც თუ დედა ხარ კიდევ! – ზიზღით ჩაილაპარაკა ქეთიმ და ტელეფონის აპარატი საწერ მაგიდაზე მოისროლა.

– რომ ჰკითხო დედობაზე და შვილის აღზრდაზე თავს დებს, უკვე თერთმეტი საათი სრულდება და არც კითხულობს, სად არის მისი ვაჟი. თავს არხეინად გრძნობს, შვილია გარეთ თუ მოზვერი, სულ ერთია, ხვალ დილით მოძღვართან როგორ მივიდე, ნიკა თუ არ გამომყვა? რამ შემაყვარა ეგ ოხერი, ცოტა ნორმალური შემყვარებოდა ვინმე. განა ცოტანი არიან ვაჟკაცები? მაგრამ ყველას მაინც ნიკა სჯობს, როგორ ემსგავსება ჯოჯოხეთს, როცა ბრაზდება და სხვაზე ერთი ხელის დაკვრით ანადგურებს მოწინააღმდეგეს.

ქეთისთვის არასოდეს უთქვამს – მიყვარხარო! მაგრამ უთქმელადაც შეიძლებოდა ამის მიხვედრა, რადგან ქალიშვილს ახლოს არ იკარებდა. ცხონებული გოგი, ცხრაჯერ სცემა, მაგრამ მაინც ჩემკენ ილტვოდა. ძლიერ ვუყვარდი ალბათ და ვერავითარმა ცემამ ვერ შეაჩერა. ნიკას რომ ვერ მოერია

და ვერ დამისაკუთრა, სიყვარულმა გააგიჟა. ღამით ადგა საცვლებისამარა და ხიდიდან „მტკვარში“ გადახტა.

ქეთი წარსულის არჩდილებს თვალს რომ უსწორებდა და მწუხრის მოგონებებში იძირებოდა, სწორედ იმ დროს ნიკა მეგი მესხის პირისპირ იჯდა და მშვიდად ესაუბრებოდა:

– ყავას მიირთმევთ? – ჰკითხა მეგიმ, სახლში შემოპატიჟებისა და მაგიდასთან დასხდომის შემდეგ ნიკას.

– თუ არ დამამადლით, დიდად მადლობელი დაგრჩებით!

ქალმა სხვადასხვა ხილით სავსე ვაზა, ფრანგული კონიაკი და ბრაზილიური ყავა მოიტანა, ყველაფერი ახალგაზრდა კაცის ახლოს დააწყო მაგიდაზე და თვითონაც ჩამოჯდა. ყავა მოსვა, თითქოს ძალა მოიკრიბაო და წყნარად წარმოთქვა:

– ცხონებული ჩემი ქმრის დაღუპვის შემდეგ ბინა სამჯერ გამიქურდეს. ვამბობ გამიქურდეს–მეთქი, მაგრამ ერთი ნემსის საფასურიც არაფერი წაუღიათ, თუმცა წასაღებს როგორ ვერ იპოვიდნენ ამხელა ოჯახში ალბათ, ქურდები სხვა რაღაცას დაეძებდნენ, სახელდობრ, რას, ჯერჯერობით ჩემთვის უცნობია...

ნიკას ერთი ნერვიც არ შერხევია, ყურადღებით უსმენდა მოსაუბრეს და კონიაკს მოთმინებით წრუპავდა.

– ალბათ გაგონილიც გექნებათ – განაგრძო ქალმა – ჩემი ქმრის უცნაური დაღუპვის ამბავი, მის შესახებ ერთი წლის წინათ გაზეთებშიც წერდნენ: – ავტომანქანა, რომლის საჭესთანაც თვითონ იჯდა, გვირაბში ნახეს გაჩერებული. თვითონ კი ნაგავსაყარზე მკვდარი, რომელსაც არავითარი ფიზიკური ძალადობა არ აღენიშნებოდა.

– კი, ბუნებაში ხდება ასეთი შემთხვევებიც ქალბატონო. მიუწვდომელია კაცთათვის მიწის წიაღის ქვესკნელის მაგიური ძალა, ამ ათიოდე წლის წინათ, ნეაპოლის მახლობლად მათში გაჭრილ გვირაბში შევიდა და გაუჩინარდა სამგზავრო მატარებელი, რომელშიდაც იმყოფებოდა 1127 მზავრი, მემან-

ქანე და მისი ორი თანაშემწე... საექსპერტო კომისიამ საგულ-დაგულოდ შეამოწმა გვირაბის ყოველი მილიმეტრი სპეციალ-ური ლაზერული დანადგარით, მაგრამ ამაოდ, მატარებლის კვალს ვერ მიაგნეს. საგულისხმოა, რომ გასული საუკუნის ასი განმავლობაში, დედამიწის სხვადასხვა კუთხის გვირაბში გაუჩინარდა ოცდათოთხმეტი მატარებელი. მათ შორის ოც-დასამი სამგზავრო თვისი მგზავრებით, დანარჩენი კი – სატვირ-თო, თავისივე ტვირთით... ჩემი აზრით, არაფერიც არ „გამქრა-ლა“, ისინი უბრალოდ ჩვენთვის უცნობ, სხვა განზომილებაში მოხვდნენ.

– თქვენ გინდათ დამამშვიდოთ, რომ ჩემი ქმარი სხვა განზომილებაში მოხვდა და დაველოდო დაბრუნდებას?

– არა, ის თქვენ მკვდარი იხილეთ, აღარასოდეს დაგი-ბრუნდებათ!

– თქვენი აზრით, რატომ იღუპებიან ასეთ ამოუცნობ პირობებში, როდესაც თქვენ სხვა განზომილებაში გადასახ-ლებას ეძახით?

– როგორც ზეციური ძალები ზრუნავენ ადამიანთა კეთილ-დღეობისათვის, ასევე ქვესკნელის ძალები ცდილობენ გზამ-რუდი ადამიანების მიზიდულობას.

– ჩემი ქმარი გზამრუდი არ ყოფილა, ღმერთის მორწ-მუნე კაცი იყო და ბოროტი ძალები მასთან ვერ გაიმარ-ჯვებდნენ.

– როგორც კეთილი საქმეა საიდუმლებით მოცულნი, ასევე ბნელი საქმენიც, სიბნელით არის დაფარული. თქვენი მეუღლე რომ დამნაშავე არ ყოფილიყო ღმერთთან ან სატა-ნასთან, დღესაც ცოცხალი იქნებოდა, როგორც კეთილი საქ-მენი არ იკარგება, ასევე ბოროტებაც არ იკარგება, ქალბა-ტონო. ღმერთი სულგრძელია. არასდროს გასწირავს მრავალს ერთისათვის. სატანა კი პირიქით ერთისათვის მრავალს შეი-წირავს. თქვენ როგორ ფიქრობთ, ატლანტიდა რომ ჩაიძირა, ან დედამიწის მასიური წარღვნა რომ მოხდა, ყველანი ბოროტები და ღმერთის მგმობელები იყვნენ? მაგრამ კატასტროფა მოხ-

და, გარჩევა არ ყოფილა. შემდეგ კი ზოგი ზეციურ განზომილებაში გადასახლდა, ზოგიც კიდევ ქვესკნელის განზომილებაში...

– კარგი თუ ღმერთი გწამს, მთლად „უტოპიაში“ ნუ გადამაგდებ. ის ჯობია პირდაპირ მითხრათ, რატომ მაინცდამაინც ჩემი ავტომანქანის ყიდვა განიზრახეთ, როდესაც გაცილებით უკეთეს ავტომანქანას შეიძენდით იმის მეოთხედ ფასადაც კი რამდენიც მე შემომთავაზეთ?

– ავტომანქანა ქალს ჰგავს, ქალბატონო, ზოგს გამარჯვების კვარცხლბეკზე მდგომი მოსწონს, ზოგს ნამყოფი და გამოცდილებით გაუფასურებული.

– მაგრამ მაინც კარგი წარსულის მქონეს, იღბლიანს დაეძებენ. ეს კი არც მე მაქვს და არც ჩემს ავტომობილს, ერთსაც დაელუპა პატრონი და მეორესაც. მგონია არც ახალი პატრონი იქნება იღბლიანი და საინტერესოა, რატომ იგდებთ თავს განსაცდელში? იცით, რას გეტყვით, ყმაწვილო? მე არც მჯერა და არც არასოდეს დავიჯერებ შენს „ზებურნებრივ განზომილებას“, სამაგიეროდ ვენდობი ქალის წინასწარი გრძნობების სიბრძნეს, რომელიც ალბათ ღმერთმა დაანათლა და რომლის საშუალებითაც ვგრძნობ, რომ ჩემი ბინის რამდენჯერმე გაქურდვაში... ოჰ, საუბარი გაგვიგრძელდა, ყავას კიდევ ხომ არ მიირთმევთ?

– სიამოვნებით!

ქალი სამზარეულოში გავიდა, შედარებით მეტი დრო დაჰყო, ვიდრე ყავის მოდუღებას სჭირდებოდა. ორი ფინჯანი ერთდროულად შემოიტანა, ერთი თვითონ დაიდგა მეორე კი ნიკას დაუდგა. შემდეგ ჭურჭლის სათავსო კარადა გამოაღო და ქართული კონიაკის გაუხსნელი ბოთლი დადგა მაგიდაზე. დაჯდა, აღელვებული ჩანდა ცოტა ნამტირალევიც. ყავა მოსვა, ძალა რომ მოეკრიბა და საუბარი გაეგრძელებია. სიამოვნების ნაცვლად ტუჩი აიბზუა.

– ფუჰ! დამწვია, მწარე გემოს ტოვებს! – თითქოს თავისთვის ჩაიბუზღუნა და ნიკას ანიშნა: – „შენც გასინჯეო“

– ნიკამ ყავა მოსვა, ესიამოვნა, მაგრამ ქალს უთანაგრძნო: – „მართალია ცოტა დაგწვიათ, მაგრამ მაინც სასიამოვნოა“ – თქვა. თავი დახარა და ქალის გასამხნევებლად წარმოთქვა:

– განაგრძეთ, რასაც ამბობდით, ნუ მოგერიდებათ, – აქ ჩვენ გარდა არავინ იმყოფება. ჩვენ კი საიდუმლოს ალბათ იმქვეყნადაც შევინახავთ.

– ჰო, იმას ვამბობდი, რომ ჩემი ბინის რამდეჯერმე გაქურდვაში, დარწმუნებული ვარ... შენ მიგიძღვის ბრალი, (ნიკას ერთი ნერვიც არ შერხევია. პირიქით, ქალის გამბედაობაზე გაეღიმა კიდეც). მაგრამ, სავალალოდ, რასაც ეძებდით ვერ იპოვეთ, ის ნივთი კი რომელიც ამდენი მცდელობის შემდეგ ვერ ნახეთ, ავტომანქანაში გეგულებათ და იძულებული ხართ ავტომობილის ღირებულებაზე ათჯერ მეტი ფასი გადაიხადოთ, ოღონდ დაეპატრონოთ იმ განძს, რომელიც მოსვენებას არ გაძლევთ არ ვიცი რა არის ეს განძი, ალბათ, „ცისფერი ბრიალიანტია“ პატარა ზომის და შეუფასებელი, თორემ ავტომობილში მე თვითონ შევამჩნევდი, რადგან არა ერთხელ გადმოვიღე იმის სალონი და ძირფესვიანად გავრეცხე კიდეც... აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, ჩემი ქმრის მკვლელობაშიც რომ გქონდეს ხელები სისხლით გასვრილი.

ქალმა კონიაკი დაისხა, სულმოუთქმელად გადაჰკრა. შემდეგ ყავა შეანჯღრია და ყავის ფინჯანიც დასცალა, ნიკამაც იგივე გაიმეორა.

– ჰე, ხმა ამოიღე, თავი იმართლე, არ დაგრჩენია დიდი ხნის სიცოცხლე და მინდა გამარჯვებულმა ღირსეულად დამტოვო... ის განძი, რომელსაც დაეძებდი, შენთვის უკვე გამოუსადეგარია, იქნებ მე მიანდერძო, აა? – თვალებში ჩახედა და ღიმილი შეაფრქვია ყმაწვილს.

– ქალბატონო, მეგი, ვეთაყვანები თქვენს მიხვედრილობასა და წინდახედულობას, თითქმის ყველაფერი ისეა, როგორც ბრძანეთ. – ცოტა დუმილის შემდეგ აღსარებასავით დაიწყო ნიკამ. – მაგრამ ის კი გამოგრჩათ მხედველობიდან, თუ რატომ ჩავიდინე ესოდენ საძაგელი ბოროტმოქმედება.

— რაც გამოგრჩათ, თქვენ თვითონ აღიარეთ, გახსოვდეს, სიკდვილის წინ არ ცრუობენ!

— კი, ბატონო, ყურადღებით მომისმინეთ, შეიძლება არც კი ვიყო სიკვდილის ღირსი და ჩემი სიკვდილის შემდეგ საკუთარ თავს არ აპატიო ჩადენილი ბოროტმოქმედება, მაგრამ მკვდრები სინანულით როდი ცოცხლდებიან... შენი ქმარი, ჩემი ძმა და მეგობარი იყო. ჩემი სიყვარულისა და ჩემი შინაგანი სულიერი გაგების ადამიანი, მხოლოდ ჩვენს შორის ის განსხვავება იყო, რომ მას სიმდიდრე აინტერესებდა. მე კი-არც მაინცდამაინც. ერთ დღეს მის ნასროლ ანკესზე ჭინჭყილა თევზივით წამოვეგე, შემომთავაზა ლომბარდის გაქურდვა და მეც დავეთანხმე. ოპერაცია მშვიდობიანად ჩავატარეთ. ნაძარცვი მასთან დავტოვე, მეორე დღეს რომ გაგვეყო, მაგრამ საქმეში ხარ? წილი კი არა, ნაძარცვის შეხსენებაზე, სიკდვილით მემუქრებოდა. ბოლოს და ბოლოს იძულებული გავხდი, დამესწრო და თავიდან მომეშორებინა. გამოვიყენე ის ძალა, რომელიც თქვენ ახლახან ზღაპრად მოგეჩვენათ და გადავასახლე იმ განზომილებაში, რასაც ჯოჯოხეთი ჰქვია. თუ როგორ მოხდა გვირაბიდან იმის გატაცება, ეს მრავალი საუკუნის განმავლობაში კაცობრიობისათვის ამოუხსნელი დარჩება და ნურც თქვენ მთხოვთ განმარტებას. რა თქმა უნდა, თქვენი ქმრის სიკდვილის შემდეგ დავიწყე განძის ძებნა და სამჯერ გავქურდე თქვენი სახლი, მაგრამ ამაოდ, ბოლოს ეჭვი თქვენს ავტომობილზე შევაჩერე და მართლაც გამიმართლა. თქვენი ავტომობილის ბენზინის ავზი ორმაგი აღმოჩნდა, ამაში თქვენ თვითონ დამარწმუნეთ, როდესაც ბენზინგასამართზე „წამოგცდათ“ — „ყველა ავზში ორმოცი ლიტრი ჩადის, ჩემსაში კი ოცდარვაო“ — შევამოწმე და ჩემი განძი თქვენი ავტომობილის ავზში აღმოვაჩინე. არა, ის განძი ბენზინში არ ცურაობს. ავზს ორმაგი ფსკერი აქვს მიდგმული. თქვენი ავტომობილის ყიდვა და უზარმაზარი თანხის გადახდა იმიტომ გადავწყვიტე, რომ წილი არ დამეკარგა თქვენი ქმრისათვის და თქვენ გამოგეყენებინათ მისი კუთვნილი თანხა

– „ნახეთ, თუ ოქრო რასა იქმს კვერთხი ეშმაკთა ძირისა“ – ვინ იცის იმ განძმა შენი ქმრის სიკვდილამდე რამდენი სიცოცხლე შეიწირა და რამდენს შეიწირავს კიდევ. ეს არის ჩემი სიკვდილის წინ ნათქვამი აღსარება და თქვენი ყავა კიდევ რამდენ ხანს მაცოცხლებს.

– გარიჟრაჟამდე! ალბათ კიდევ ორი საათი, სრულებითაც არ მებრალებით, ესე იგი განძი ბენზინის ავზშია?

– დიახ ბენზინის ავზშია, მაგრამ ვწუხვარ, თქვენ მას ვერ მოიხმართ. ყავას დამწვრის გემო თქვენს ფინჯანში ჰქონდა, ჩემი ძალზედ სასიამოვნო დასავლევი იყო. როდესაც კონიაკი კარადიდან გადმოიღეთ, ამ დროს ფინჯანი შეგიცვალეთ; მართალია მე ღუთიური არაფერი მწამს, მაგრამ ხშირად ვიმეორებ მათ წინასწარმეტყველებას: – „და ვითარცა იგი თქვენ გნებავს, რაითა გიყოთ კაცთა, თქვენცა ეგრეთვე მსგავსად უყოფდით მათ“ – ეს სიტყვა თქვენი უფლისა, ოქროს კანონად არის წოდებული და მანვე მოგიზღათ იგივე, რაც ჩემთვის მოისურვეთ. მე არ მესაჭიროება თქვენი ავტომობილი, მე დავფრინავ, თქვენ მოგახმაროთ მშვიდობაში, ჯოჯოხეთსა შიგან...

ვწუხვარ, რომ არ შემიძლია თქვენი გადარჩენა ქალბატონო, იმედი მაქვს სიცოცხლის დარჩენილ დროში, კარებს ჩაკეტავთ, ჩემი წასვლის შემდეგ, ჭურჭელს დარეცხავთ, თავს მოიწესრიგებთ და ღირსეულად შეხვდებით იმ განსაცდელს, რომელიც მე მომიმზადეთ...

– აქაც მიმუხთლა ბედმა! – სინანულით წარმოთქვა მეგიმ, ნიკას სადარბაზომდე გაჰყვა და კარები შიგნიდან ორჯერ გადაკეტა...

დილით ისევ დარეკა ქეთიმ ნიკასთან. ამჟამად ნიკას მამამ, გაგიმ აიღო ყურმილი, – „ნიკა ამხანაგთან იყო. დიდი ხანი, არ არის რაც მოვიდა და ღრმა ძილით ძინავსო“ – უპასუხა ქალიშვილს.

ქეთი იძულებული გახდა ეკლესიაში მარტო წასულიყო, წირვას დასწრებოდა, ზიარებაც მიეღო.

– როგორ არის საქმე, შენი რჩეული მოიყვანე? – ჰკითხა ზიარების შემდეგ მოძღვარმა.

– არა, ეკლესიაში მოსლვაზე კატეგორიულ უარს აცხადებს, შეხვედრა კი სურს თქვენთან, მამაო, ხომ ვერ გამონახავდით დროს, რომ ეკლესიის ეზოს გარეთ შევხვდეთ და გავესაუბროთ?

– კარგი, ორშაბათს ვისვენებ, კაფე „გაზაფხულში“ შევხვდეთ ერთმანეთს, ნაშუადღევის სამი საათის შემდეგ ფინჯან ყავაზე დაგპატიჟებთ და ვისაუბროთ კიდეც, ვინძლო მოვაქციო ქრისტიანობისკენ შენი რჩეული! – ქეთიმ სახლში დაბრუნებისთანავე დაურეკა ნიკას, ყურმილი ნიკამ აიღო, „მადლობა ღმერთს“ გაიფიქრა ქალიშვილმა. როგორც იქნა სახლში ვიპოვე.

– სადა ხარ, ბიჭო, სად დამეკარგე? – უსაყვედურა. კარგი იყო სკოლაში, რომ დავდიოდით, ყოველდღე გნახულობდი, შემოძვერი ქურდულად ჩემს გულში და ახლა აღარც იხედები ჩემკენ, ნეტა ვიცოდე, სად დადიხარ, არც დღე ხარ სახლში და არც ღამე.

– კარგი ქეთი, ნუ ამიკელი, უბრალოდ, არ მქონდა დრო, თორემ არა მგონია, შენ მეტად გინდოდეს ჩემი ნახვა, ვიდრე მე შენთან შეხვედრა.

– თუ ასეა, გელოდები. მარტო ვარ, ახლავე ჩემთან გამოცხადდი...

– მაპატიე ქეთი, არ გეწყინოს, ახლა არ შემიძლია, მე თვითონ გეახლები სულ მოკლე დროში.

– გასვლითი რეპეტიცია გაქვს? სად დადიხარ, ნეტა ვიცოდე მაინც ყველა როდია სიყვარულის ღირსი!

– კარგი რა, არც ისეთი უღირსი ვარ, ყველაფერს თავისი დრო აქვს, ახლა გამიგე. შემდეგ დარწმუნდები!

– ორშაბათს ჩემს მოძღვარს უნდა შევხვდე კაფე „გაზაფხულში“, თუ იცი, გექნებათ დრო?

– ყოველ ორშაბათს ყველა დღეზე მეტად ვარ დაკავებული, მაგრამ მე მგონია მოვახერხებ, მხოლოდ ნახე და უთხარი

სამოქალაქო ტანსაცმლით მოვიდეს, არ დაიწყოს ანაფორას ფრიალი და ცხვირის წინ ჯვრის ტრიალი.

– ცოტა თავაზიანად მოიქეცით, ყმაწვილო! პატივი ეცი შენს სარწმუნოებას, მოძღვარს და მანდილოსანს, რომელიც თქვენთან იქნება!

– რამდენჯერ გთხოვეთ პატიება, ვეღარ დავითვალე... ჰო, ყველას პატივს ვცემ, მაგრამ დამსახურებისამებრ! მე მგონია ორშაბათამდე განახავ, პირისპირ შეეხვდებით და უფრო დალაგებულად ვისაუბრებთ.

– დაპირებები იცი, მაგრამ ფუჭ სიტყვას ასრულება არ უწერია.

– როდის ვიცრუე შენთან?

– არასდროს, მაგრამ ახალი გზები არ მომწონს შენკენ სავალი და ვგრძნობ, ყოველი სიტყვა ფუჭი და სიცრუეა...

– ჰო, დღეს ასე იყო. ხვალ დაგარწმუნებ, რომ შენებურად არის, ტელეფონით ბევრი ვისაუბრეთ. არ მომწონს, როდესაც სასიყვარულო ბარათს კითხულობენ... ჩაო, მალე შეგხვდები...

ქეთის კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვაჟმა ყურმილი დაუკიდა და მთლად აფორიაქებული დატოვა. ტელევიზორის ეკრანი აციმციმდა, სადგურმა გადაცემა შეწყვიტა. ნიკა წამოდგა მთლად შავ სპორტულ ტანსაცმელში გამოეწყო და კარები უხმაუროდ გამოაღო, მაგრამ... ალბათ უდარაჯებდნენ, წინ ელგა დაუდგა:

– სად მიდიხარ, შვილო? რომელი საათია ახლა, ამ დროს მხოლოდ ბოროტი სულები თუ დაძრწიან გარეთ! – უთხრა განაწყენებულმა და დედის რისხვა დაატეხა შვილს.

– დედა შემოქმედი ადამიანისათვის დღეს და ღამეს არა აქვს განსხვავება, ყველაზე ძნელი დროის ფუჭად დაკარგვაა. მთავრიანი ღამეა, გავალ აქვე გავისეირნებ და მალევე დავბრუნდები.

– არსადაც არ გაგიშვებ, ქვეყანა არეულია, შენ არ დაუშვებ. სხვა დაგიშავებს. შენ არ მოკლავ, სხვა მოგკლავს! დაეტიე სახლში და ფეხი არ გაადგა გარეთ....

– ცოცხალი ვის რას ვუშავებ დედა, მკვდარი ვის რაში გამოვადგები. კარგი ადამიანისათვის ცხოვრებაა ძნელი, თორემ სიკვდილი რა ბედენაა, დარდი ნუ გაქვს, არც არავის მოვკლავ და ვერც ვერავინ მომკლავს.

– შეეშვი ქალო, ვერ ატყობ, რომ შეყვარებულია? – საძინებელი ოთახიდან გამოსძახა გაგიმ მეუღლეს.

– იყოს, ბატონო, ვინ უშლის სიყვარულს, მაგარმ ყველაფერს თავისი დრო და წესი აქვს, დღისით არ შეიძლება საყვარელი ადამიანის ნახვა?

– პაემანი ღამით ჯობია, არ გეშლება მაგი შენ! ბავშვისთვის როგორც ვატყობ პირველი პაემანია, სადაც პირველი სიყვარულის პირველი კოცნა უნდა აჩუქოს ქალიშვილს და აბა, დღისით ამას როგორ მოახერხებს?

– რა კარგია, რომ ხუმრობისგუნებაზე ხარ, მაგრამ შეგეცვლება საზეიმო განწყობილება, დათეთქვილს რომ მოგიყვანენ სახლში...

– კარგი რა დედა, ხულიგანი ხომ არა ხარ, სულ ჩხუბსა და ცემაზე რომ მესაუბრები? – ჩაერია ნიკა მშობლების კამათში და სცადა მდგომარეობს სგანმუხტვა, მაგრამ ქალს, ისიც დედას, ასე ადვილად ვინ დააწყნარებს, როდესაც ღამით შვილი გარეთ ეგულება? დედა დამთმობია შვილის მიმართ, მის გუნება–განწყობილებას ესალბუნება, ნემსის ყუნწში ძვრება მისი სიამოვნებისათვის, თავს განსაცდელში იგდებს და წინასწარ უდგამს დიდების კვარცხლბეკს, ნამდვილი ხასიათის დამალვა ძალიან დიდხანს შეუძლია, მაგრამ არა მუდმივად, ერთ მშვენიერ დღეს მოსწყინდება შვილის ხელისგულზე ტარება, მისი ლოლიავი, და გაუგებრობის საფუძველზე გაუგონრად აფეთქდება შვილს გაუკვირდება, ამდენი ლმობიერების შემდეგ მოულოდნელი სიმკაცრე, მაგრამ აღმოჩნდება, რომ შვილს ვერ გაუგია და ასე ერთბაშად, ნამსხვრევებად იქცევა ზღაპრული იდეალური სახე, რომელიც დიდი შრომით, ენერგიითა და უზარმაზარი სიყვარულით იყო ქალის მიერ მოპოვებული... შემდეგ კი რაღაც გაუგებრობა ხდება: დედა გაბუტუ-

ლივითაა ოჯახში, შვილი კი შეურაცხყოფილად გრძნობს თავს და დაეძებს გზას, პირველად სად დაუშვა შეცდომა და შემდეგ შეცდომის გამოსწორებას ლამობს.

ჰოდა, ნამდვილი ხასიათი ვეღარ დამალა ელგამ და აფეთქდა:

– რატომ არ დაიწვა ის დღე, როცა შენ გამიჩნდი! მეგონა ვაჟი შემეძინა და კაცად გზრდიდი! შენ კი ღამურა გამოხვედი დღე გძინავს და ღამე დაეხეტები!

– ვის აყვედრი ნეტა გამაგებინა, მეც მინდოდა მყოლოდა და–ძმა, ვერ გააჩინე, რომ დღეც მათთან ვყოფილიყავ და ღამეც, გამეზიარებია ჩემი ტკივილი ჩემი ტოლისთვის. კი, როგორ არა, შენც გეტყვი, მაგრამ გამიგებ? ჭკუის დარიგებას დამიწყებ და საწინააღმდეგო მიმართულებით წამიყვან, ვიცი მე ეს...

– შენ ხმა ნუ აიმაღლე, ყმაწვილო, მშობლების საქმეში ნუ ერევი, ალბათ იყო პრობლემა, მრავალშვილიანობა კი არა შენი შენარჩუნებაც სასწაულებით მოხდა – გამოეპასუხა დედა –შვილის კამათს გაგი.

– მამა ანტიკურ მითოლოგიაში განაყოფიერების ღმერთად პრიაპი არის ცნობილი. უნდა შეგეთხოვა და ჩემით უკმაყოფილო დედას კარგ დამჯერე შვილს არგუნებდა – უპასუხა თითქოს ხუმრობით, მაგრამ მთელის სერიოზულობით ნიკამ.

– შვილო, დედაშენს არ უთქვამს, რომ შენით უკმაყოფილოა, მაგრამ არ თქმა როდი ნიშნავს კმაყოფილებას, არც მე ვარ კმაყოფილი, რა საჭიროა ღამით მარტოდმარტო ქუჩებში ხეტიალი ან ქალიშვილთან პაემანის დანიშვნა? როდესაც დღისით შეიძლება მოგვარდეს ეს პრობლემა? გეტყობა, შეყვარებული ხარ და არც შენი მშობლები არიან სიყვარულის წინააღმდეგნი, არც ასაკი გაქვს დასაწუნი და არც ვაჟკაცობა, მაგრამ ჩვენ წინააღმდეგი ვართ იმ ქალიშვილის ცოლად შერთვისა, რომელიც ახლა მარტოდმარტო ქუჩაში გელოდება. შეიძლება თქვენ ერთმანეთის ხასიათს სწავლობთ

და ცდილობთ ერთმანეთს ასიამოვნოთ. ეს ასე არაა, გავიწყ-დებათ, რა წყენინებასა და ტკივილს აყენებთ მშობლებს, თუ სიყვარულთან ერთად გულთან სხვა გარემოებაც არ მიიტა-ნეთ, თუ ბუნებით კეთილი არა ხართ, ძალდატანებით კეთი-ლად ვერ გარდაგქმნით ადამიანი. არ არის საჭირო მშობლების მოტყუება და თვალის ახვევა, ნაკლიცა და ღირსებაც ადამი-ანის ადამიანობის შედეგია, ქალიშვილს ისეთი უნდა უყვარდე, როგორიცა ხარ, თუ არა და როგორი ხელოვნური შარა-ვანდედითაც არ უნდა შეიმოსო, ეს ყალბი სიყვარული იქნება, რომელიც სულ მალე დაკარგავს ღირსებასა და ბრწყინვალე-ბას... მგონი დაგაგვიანეთ, შვილო. არ უყვართ ქალებს, როდე-საც პაემანზე ელოდებიან, ახლა წადი და შემდეგისთვის თუ ღამით აღარ იხეტიალებ, კარგი იქნება.

– არა, ვერსადაც ვერ გავუშვებ! – ისევ წინ გადაეღობა შვილს ელგა – ცუდს მიგრძნობს გული, მაშინ მეც უნდა წავყვე, სიყვარულით ვერავინ გამაკვირვებს. მეც მყვარებია, შორიახლოს გიდარაჯებთ, ნუ გეშინია ჩემი თვალი არ ეცემა შენს სიყვარულს.

– გაუშვი ელგა, – უთხრა გაგიმ ის უკვე საწოლიდან ამდგარიყო და ფანჯარასთან სიგარეტს აბოლებდა. შვილი რომ დააკავო, მის ასაკსა და ახალგაზრდობას ვერ დააკავებ! მერე რა, რომ ახალგაზრდობას სიბრძნე აკლია, სამაგიეროდ თავისებური მიზიდულობა და ხიბლი აქვს. სიბრძნის უქონ-ლობა არ არის განუკურნავი სენი, წლოვანება მიდის, სიბრძნე მოდის, პაემანზე მყოფი შვილის დარაჯი მშობლისაგან კი უზნეობად მეჩვენება. არც ჩუმად ქვითინი მიყვარს, კარგი ვერ აღმიზრდია და საკუთარი თავის დადანაშაულება უნდა შევ-ძლო. შვილსა და მშობელს შორის მუდმივი მიზიდულობის ძალა არსებობს, სადაც ჯერ კიდევ გამოუცნობი პარადოქსუ-ლი წინააღმდეგობა იმალება. რა თქმა უნდა, შვილი მშობლი-სათვის და ასევე მშობელი შვილისათვის ყველაზე ახლობე-ლია, მაგრამ ერთმანეთთან გულღია და ბოლომდე გახსნილნი არ არიან და არც შეიძლება იყვნენ. არ ვიცი ამის მიზეზი

ასაკია თუ ცხოვრებისეული გამოცდილება, თუმცა ჩვენ რამდენიც არ უნდა ვეცადოთ, შვილი მშობლისათვის მაინც დარჩება ბოლომდე გამოუცნობი „ჩემი სიხარული და აღმაფრენა შვილია, ჩემი... ტკივილი, შვილთა ჩემთა უმადურობა“ – გაგიმ სიგარეტის ნამწვი საფერფლეზე დასრისა და ახალს მოუკიდა აშკარად ეტყობოდა, რომ სიგარეტის კვამლი არ სიამოვნებდა:

– მაპატიეთ, თუ გაწყენინეთ! – წყნარად წარმოთქვა ნიკამ, კარები გამოაღო და ქუჩაში გავიდა.

სახლს, რომლის სადარბაზოშიც ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შევიდა შავ სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი ყმაწვილი, დიდი ხანია კაპიტალური შეკეთება სჭირდებოდა. ზოგიერთ ადგილებზე არა მარტო ბათქაში, არამედ აგურებიც ჩამონგრეულიყო. ეს მხოლოდ მაცხოვრებლებს კი არა, ქუჩაში გამვლელებსაც საფრთხეს უქმნიდა.

მესამე სართულზე, ერთ–ერთ ბინაში შესვლისას ყვავილების სამყაროში აღმოჩნდა, ოთახსა თუ სამზარეულოში, სხვადასხვა ფორმისა და ზომის ქოთნები ეწყო, რომელშიც უნიკალური ჯიშის ვარდები და ყვავილები ყვაოდა, ოთახის ერთ კუთხეში ძველებური ტახტი იდგა, რომელზეც წელზევით შიშველი კაცი გაშოლტილიყო და უდარდელად ფშვინავდა, ტახტის საპირისპიროდ წიგნებით გამოჭედილი კარადა... ეს იყო სულ აქ მაცხოვრებელი ადამიანის სიმდიდრე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტანსაცმლის კარადასა და სამზარეულოს მოწყობილობას. მძინარი კაცი უშფოთველად სუნთქავდა, უშიშარი კაცის გული ყოველთვის წყნარი და ზომიერი რიტმით მუშაობს, ასევე მუშაობდა პატარა მაღვიძარა საათი, რომელიც კაცს სასთუმალთან ახლოს დაედგა ღამის ჭაღის ფიტონზე. ნიკამ საათი მომართა, შემდეგ ზარის მაჩვენებელი ისარი დროს შეუსაბამა და თავის ადგილზე დადგა. წუთიც არ გასულა, საათმა განგაში ატეხა... კაცს თვალები არ გაუხელია, მარჯვენა ხელი საათისკენ წამოიღო, რომ გაეჩუმებინა, მაგრამ ხელი სანამ საათს შეეხებოდა, ნიკამ

თავისი ხელი შეაგება და ვაჟკაცურად ჩამოართვა. კაცმა თვალები გაახილა და იხილა რა თავის მარჯვენა უცნობი კაცის ხელში, ღიმილით წარმოთქვა – გაუმარჯოს!

ნიკამაც ინსტიქტურად გაიმეორა კაცის ნათქვამი – ბოდიში მეტი საწოლი არა მაქვს. თუ გეძინება, ფეხებში შემომიწექი აი, ბალიში! – წარმოთქვა კაცმა და გვერდზე გადაბრუნება დააპირა.

– მე აქ დასაძინებლად არ მოვსულვარ! – მკაცრად წარმოთქვა მოსულმა.

– თუ გშია, სამზარეულოში გაბრძანდი, იქ ყველაფერია, იმედი მაქვს, კარგად დანაყრდებით!

– არ გასაძღომად მოვსულვარ, გაიგე?!

– აბა, რისთვის მოსულხართ, რას მოითხოვთ?

– უნდა მოგკლათ!

– მერე მაგისთვის გამომაღვიძე?

– არ გეშინიათ?!

– რისი?

– სიკვდილის!

– სრულებითაც არა!

– მე შენ ჯოჯოხეთში წაგიყვან და მუდამ ჩემი მსახური იქნები!

– ვშიშობ მსახურად არ გამოდგებით. აგერ, ჩემი ოთახის პირდაპირ ქურთის ქალი ცხოვრობს, ფიანდაზა, ის კი ნამდვილად გამოგადგებათ, დაუზარელი ქალია, დაფიქრდით.

– მე არ გამიჭირდებოდა იქ მისვლა. ფიანდაზა რომ მდომებოდა, მაგასაც მოვახერხებდი, შენთან მოსვლა ვარჩიე. კარები რატომ გაქვს ღია, ვერ შემოვიდოდი დაკეტილი რომ გქონოდა...

– მწერლის, მკურნალისა და მოძღვრის სახლის კარი არასოდეს არ უნდა იკეტებოდეს და შიგ შემსვლელმა თვითონ უნდა იცოდეს, აქვს თუ არა შიგნით შესვლის უფლება. ლომის სადგომს სულაც არა აქვს კარები, მაგრამ შიგ შესვლას ტურები ვერ ბედავენ. – უჰ, უხერხულია, დაწოლილი

გესაუბრებით. შებრუნდით საცვალი მთლად წესრიგში არა მაქვს ზოგიერთ ადგილებზე დაცრეცილია, ჩავიცვამ! დაბრძანდით ვისაუბროთ გათენებამდე დიდი დროა, მოასწრებთ განზრახულის სისრულეში მოყვანას.

კაცმა შარვალი და ხალათი ჩაიცვა. სტუმარს საწერ მაგიდაზე მიდგმულ სავარძელზე მიუთითა, შემოსულმა შეთავაზებულ სავარძელზე უარი თქვა, ოთახში გაიარ–გამოიარა, სახე დაემანჭა, ახლა კი ნამდვილად ურჩხულს დაემსგავსა, მაგრამ კაცის ყურადღება მაინც ვერ მიიქცია, ნიკა უყურადღებობამ უფრო გააშმაგა და კბილებში გამოსცრა:

– რაო, რაო, ლომთან ტურები არ შედიან? ესე იგი, შენ ლომი ხარ და მე ტურა?

– აბა, რა გიწოდო, ლომის სადგომში ვერ შედის, კარებში არ ეტევა...

– შენ ვინა ხარ, ლომი?!

– არა, მწერალი!

– რას წერთ?

– ყველაფერს, თუმცა ახლა ახალი მასალა მომეცა, დავწერ, თუ როგორ მოინდომე ჩემი გაქურდვა და რომ ვერაფერი ნახე, იძულებული შეიქმენ გაგეღვიძებინეთ...

– მე ქურდი არა ვარ!

– მაშინ ყაჩაღი, ან ბანდიტი!

– არც ერთი, არც მეორე!

– აბა ქილერს არ გავხართ და კიდეც რომ იყოთ, ჩემთან არ მოხვიდოდით!

– ვითომ რატომ, ვერ გავბედავდი?

– არა, უბრალოდ არავის აძლევს ხელს ჩემი სიკვდილი. ერთ თეთრსაც არავინ დახარჯავს ჩემი გულისთვის, ქილერი კი უფულოდ არავის ჰკლავს.

– მე არა ვარ ქილერი, არც გავქირავდები და ვერც ვერავინ მომისყიდის, ფულზე არ ვმუშაობ, გამიგე?

– ვერ გავიგე, აბა ვინა ხართ, ან რა გინდათ, არ იტყვით?

– მე სატანა ვარ, სატანა, ვამპირი! გაიგე?

– კარგი თუ ღმერთი გწამს, ნუ მაშინებ, სად ვნახავ ახლა ვინმეს ამ შუაღამისას, რომ გამომილოცოს, რა დროს სატანობა და ვამპირობაა, როდესაც ყველა, ვისაც კი ადამიანი ჰქვია, ან სატანაა, ან კიდევ ვამპირი.

– შენ რომელი ხარ?!

– ხომ გითხარი, მე მწერალი ვარ–მეთქი, მართალია შენსავით არ ვგუდავ და არ ვწოვ სისხლს, მაგრამ იგივე შემიძლია გავაკეთო კალმით. შენზე დიდი მადლობელი ვარ, ყმაწვილო, შენმა აქ გამოცხადებამ კარგი წიგნის მასალა მომცა, თითქმის ამდაგვარი რამ პუშკინსაც დაემართა, მოგეხსენებათ ის კარგი მწერალიც იყო და კარგი მექალთანეც, შესახედავად კი სილამაზით არ გამოირჩეოდა. ფიზიკურად შენსავით მახინჯი იყო ისიც...

– რა, მე მახინჯი ვარ?! – ნიკას სიბრაზისაგან მთლად დაემანჭა სახე და ნაღდ ვამპირს დაემსგავსა.

– რომ გაიძახი, სატანა ვარო. აბა, ვის უნახავს ლამაზი ანგელოზის ფრთებით სატანა? ყმაწვილო, გახსოვდეთ, რომ სტუმრად იმყოფებით, მე თქვენ აქ არ მომიწვევიხართ, რადგან თქვენმა სატანურმა მაღალკეთილშობილებამ ინება მობრძანება ღარიბი მწერლის ოჯახში, გამოიჩინეთ თქვენი მაღალჯოჯოხეთური სიბნელე და როდესაც ვსაუბრობ, გთხოვთ მომისმინოთ. ჰოდა, იმას გეუბნებოდით, პუშკინი არ იყო სილამაზითა და ვაჟკაცობით განთქმული, მაგრამ ენა კი... ნებისმიერ ქალს ხიბლავდა თავისი მრავალჯერ ნაცადი კომპლიმენტებით და პირველსავე ცდაზე ისაკუთრებდა კიდეც. დოლი ფიკელმონი, ავსტრიის ელჩის მეუღლე, მეცხრამეტე საუკუნის ულამაზეს ქალად იყო აღიარებული, მისმა სილამაზემ რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე პირველიც კი დაატყვევა, პუშკინმა კი ერთ საათში შეძლო დოლის მოხიბვლა და ქალმა პაემანიც დაუნიშნა. მოლაპარაკების თანახმად პუშკინი დოლის სასახლეში მალულად შეიპარა და შეთანხმებისამებრ დივნის ქვეშ დაიმალა, მალე დოლიც დაუბრუნდა მეჯლისიდან, შეყვარებულებმა საძინებელ ოთახში გადაინაცვლეს და ალერსით დაღლილებს

თავზე დაათენდათ, შიშისაგან თავზარდაცემულმა დოლიმ კინაღამ გრძნობა დაკარგა, მაგრამ ქალი ხომ უკიდურეს მდგომარეობაშიც პოულობს გამოსავალს და შინამოსამსახურეს მოუხმო, რომელსაც პოეტის შეუმჩნევლად გაყვანა უბრძანა, ფეხის ხმამ დოლის მეუღლე გრაფი ფილკელმონი გამოაღვიძა – „რომელი ხარ?“ – იკითხა გრაფმა. „მე ვარ“ – უპასუხა მარჯვე მოახლემ, მეორე დღეს პუშკინმა ფილკელმონების მოახლეს ათასი ოქროს თუმნიანი უბოძა საიდუმლოს შენახვისათვის, თვითონ ამ არაჩვეულებრივი პაემანის საფუძველზე ააგო და დაწერა ღირსშესანიშნავი ნაწარმოები – „პიკის ქალი“. ვფიქრობ, მწერლობაში განმეორდა შემთხვევა და მე შენი თავდასმით დავწერ უნიკალურ დეტექტიურ ნაწარმოებს.

– მწერალო! თუ ასეა, მე შენ ახლა არ მოგკლავ, დაწერე ჩემზე სხვებზეც და სანამ ორმოცდაათი ტომი არ გექნებათ არ შეგეხებათ, მერე მოგკლავ, ტკბილი ან მწარე სიკვდილით.

– შენი ჭკუისგან მჯერა, რომ ასე იზამ, მაგრამ როგორ დავიმსახურო „გემრიელი“ სიკვდილი?

– თუ კარგ ტომებს დაწერ ტკბილი სიკდვილით მოკვდები თუ არ მომეწონება, ისე მოგკლავ, როგორც ესპანელი ტომასო ხავედო მოკლეს, რომლის რომანიც ადგილობრივმა ხელისუფლებამ ზედმეტად პორნოგრაფიულად მიიჩნია, წიგნის მთელი ტირაჟი გაანადგურეს, ბოლო წიგნი კი ავტორს საჯაროდ შეაჭამეს და სიკვდილით დასაჯეს.

– სიტყვას გაძლევ, ნამდვილად დავწერ შენს მოსაწონს და „გემრიელ“ სიკვდილსაც დავიმსახურებ, მხოლოდ აგერ, ხატის წინ შემომფიცე, რომ ტომეულების დამთავრებამდე არ მომკლავ.

– სიტყვას გაძლევ, რომ ხელსაც ვერავინ გახლებს, ხატის წინ კი ვერ დავიფიცებ, არა მწამს მე შენი ხატი.

– მე კი შენი სატანა არა მწამს და აბა, შენი სიტყვა როგორ ვიწამო?

– ვაჟკაცის სიტყვას ზებუნებრივი ძალების დამოწმება არ უნდა, სიტყვით ვენდოთ ერთიმეორეს...

– კარგი, იყოს ნება შენი, როდესაც ორმოცდაათ ტომეულს დავამთავრებ და ბოლო წერტილს დავსვამ, შეგატყობინებ. ახლა წადი, თორემ დაგათენდება და ძალას დაკარგავს შენი დემონური ღირსება.

– სიტყვა–სიტყვაა, ვაჟკაცის პირიდან წარმოთქმულ სიტყვას ვერც დემონი გატეხს და ვერც ქრისტიანი – თქვა ნიკამ და კარებში გავიდა.

მწერალმა ქუჩის მხარეს ფანჯარა გამოაღოდა ნიკას სადარბაზოდან გასვლისას გასძახა:

– ვამპირ! – ნიკა შემობრუნდა და ცეცხლის მფრქვეველი მზერა სტყორცნა ფანჯარას.

– შენ აქ ნუღარ მოხვალ, მე ორმოცდაათ ტომეულის წერას ვიწყებ, მაგრამ არასოდეს დავამთავრებ მას! – მტკიცე ხმით გასძახა მწერალმა.

– შენ რა მუდამ გინდა იცოცხლო? – გაციებული მამალივით შეჰყივლა ნიკამ.

– არა, ქრისტეს მოსვლას უნდა დაველოდო. თქვენი განადგურება ვნახო და ტომეულებიც დავამთავრო.

– მომატყუე! – სულ დაკარგა ხალხმა სინდისი, ჯოჯოხეთში უფრო კეთილსინდისიერი ეშმაკი მოიძებნება, ვიდრე ამ ქვეყნად ადამიანი! – ჩაისისინა ნიკამ და საჩქაროდ გაეცალა იმ ქუჩას, სადაც იმყოფებოდა. მწერალი საწერ მაგიდას მიუჯდა, სუფთა რვეული გადმოიღო, ყდაზე გამოიყვანა ბგერები „სიყვარულის ქარტეხილი“ და დაიწყო წერა...

ქეთის ძილში ჩაესმა თავისი სახელი, სიზმარში ეგონა თავი. მაგრამ ყურის ბიბილოზე ტუჩების შეხება რომ იგრძნო, ერთბაშად გამოფხიზლდა, მკერდზე საბანი აიფარა და წამოჯდა:

– არ შეგეშინდეს, ნიკა ვარ! – ჩაესმა ჩურჩული.

– არ მომეკარო! – თქვა ქალიშვილმა და მაგიდის ნათურა აანთო, რომელიც სასთუმალთან იდგა სქელტანიანი წიგნის გვერდით.

– აქ რამ მოგიყვანა, რა დროა ახლა? – ქეთიმ საათს შეხედა, ორი სრულდებოდა.

– სიყვარულისთვის დრო და ასაკი არ არსებობს, ახლა მომინდა შენი ნახვა და დაუბრკოლებლად მოვედი.

– მარტო შენს გულისთქმას რომ აყოლილხარ, მე როდის მომინდა შენი ნახვა, იცი?

– რამ შეგიშალა ხელი, რატომ არ მნახე?

– მე უნდა მენახე?

– თუ გენატრებოდი, უნდა გენახე, მე როდესაც მომენატრე, კიდეც მოგინახულე!

– აქამდის არ მოგნატრებივარ?

– არ ვიცი, როგორია მონატრება, ალბათ ასეთი, სულ შენთან მინდა ვიყო, მესმოდეს შენი სუნთქვა, დავტკბე ამბორით და გავცვალო გენეტიკური ენერგია!

– ეს ყოველივე რაც ჩამოთვალე ქალის ნებაყოფლობითი სურვილის შემდეგაა სასიამოვნო, მოპარული კი არც ამბორია სასარგებლო და არც სიყვარული...

– კარგი მათრახია, მაგრამ ისე ტკბილად გეძინა და ისეთი ლამაზი იყავი, არ შემეძლო არ მეკოცნა, მით უმეტეს ყურზე კოცნა აძლიერებს და ამახვილებს სმენის ორგანოს, ტუჩებში კოცნა კი ექიმებისა და მეცნიერების აზრით, ხელს უშლის კარიესის წარმოქმნასა და განვითარებას. აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას და კალორიებს ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად წვავს, აყოვნებს სიბერის პროცესს და ამაღლებს ცხოვრების ტონუსს. ერთმა ახალგაზრდამ მთვრალი ლოთისაგან ისწავლა კოცნა და ისე მოეწონა იერიში თავის მასწავლებელზე, მწერალ ტომ რობინსონზე მიიტანა, მწერალი კი ისე აღფრთოვანდა ამ ,,ხელოვნებით", რომ საქვეყნოდ გამოთქვა თავისი აზრი: ,,ადამიანს რაც კი რამ დღემდე შეუქმნია, ამისთანა კარგი არაფერი გამოუგონებიაო",შენ კი, ალბათ, იმიტომ მიწუნებ ბაგეთა შეხებას, რომ ეს ამბორი იყო და არა კოცნა.

– ასეთი რამ სკოლაში არ გვისწავლია, ამ ორიოდე დღეში ნეტავი სად დახელოვნდი? – ქეთის სიმორცხვის სიწითლემ გადაურბინა სახეზე, თუმცა ამბორიცა და აზრიც ძლიერ მოეწონა.

– ქუჩა მდიდარია სიბრძნით, ჩვენ ახლა ვიწყებთ ცხოვრებას და ცხოვრებაში შესასვლელ ჭიშკარს აწერია: – „ზომით შეიძინე შენთვის ოქრო, ხოლო სწავლა უზომოდ, როცა გამრავლდეს მწუხარება, სწავლა იქნება შენთვის განსვენება, სიტკბოება და სიხარული“. კარგი ნათქვამია, მაგრამ თანამედროვე ახალგაზრდობას არ ესმის ეს შეგონება. ისე ვლაპარაკობ, თითქოს მე ხნიერი ვიყო, მაგრამ მაინც არ მომწონს: უნიფხვო და უბუსხალტერო გოგონების მოდა, ვაჟკაცი ბიჭების საყურეები და ხელოვნურად საჯდომის გასქელება.

– მერე რა მოხდა, მოდა მუდმივი განცხრობის საგანი არ არის. შეიძლება ხვალ შეიცვალოს და გული შემოგყაროს ჩაკუნთული ქალების ცქერამ ესეც ერთგვარი თავისუფლებაა, ვაჟებს თუ მოსწონთ საყურეები, რატომ უკრძალავ? ატარონ! იქნებ ვინმეს ბაძავენ და თავი უნდათ სწავლულად მოგვაჩვენონ, შექსპირიც ხომ ატარებდა საყურეს?

– მერედა, შექსპირს ბაძავენ? ჩემი აზრით, უკეთესი იქნებოდა ჰომეროსისათვის წაებაძათ და ბლუყუნი დაეწყოთ, ის ხომ ენაბლუ იყო?!

ქეთის გაეღიმა, არასოდეს არ მოუსმენია ასეთი მჯელობა ნიკასაგან, ვერ მიმხვდარიყო ახლა სიამოვნებდა თუ წყინდა თანამედროვეთადმი საწინააღმდეგო აზრი. ამიტომ ჰკითხა:

– ჩემი რა არ მოგწონს, როგორც თანამედროვე ახალგაზრდისა? ხანდახან ხომ მეც დავდივარ უპერანგოდ ჭიპშიშველი?

– შენ მიყვარხარ და თითქოს ამ ნაკლს ვერ ვამჩნევ, მაგრამ იცი, რომ ამ წუთში უფრო ლამაზი ხარ მკერდზე საბანაფარებული, ვიდრე ქუჩაში ჭიპშიშველი მონავარდე? ახლა შენში ზნემაღალი ქალის კდემამოსილება ჩანს, ქუჩაში სეირნობის დროს კი სულ სხვა ქალის გამომწვევი მზერა.

– გეფიცები, ნიკა არასოდეს ვივლი შენი შეხედულებისა და სურვილის საწინააღმდეგოდ. ახლა კი ის მითხარი, რა მოგწონს!

– შენში ყველაფერი მომწონს, ნაკლი თუ გაქვს, შეიძლება ის სხვამ აღმოაჩინოს, ვისაც მოსწონხარ. მე კი შენს ნაკლს ვერასოდეს შევამჩნევ, იმიტომ რომ მიყვარხარ, ჩვენ ხომ პირველი კლასის მერხიდან ერთად გავიზარდეთ და ისე შევეჩვიე შენს თვისებებს, როგორც საკუთარს. დიდი ხანი არ არის, რაც სკოლა დავამთავრეთ, თუმცა ისევ სკოლის მოსწავლედ და ბავშვად მინდა მესახებოდე, მაგრამ მოულოდნელ გარდატეხას გამჩნევ, თითქოს ახლახან შეიცან სიყვარულისა და ცხოვრების ჭეშმარიტება, მეჩვენება თითქოს დროზე ადრე აღიქვი ყოფიერების საიდუმლო, რომელსაც ადამიანთა უმეტესობა, მხოლოდ თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მიწურულს აგნებს...

– მეც, ნიკა, თითქოს რაღაც ახალი აღმოვაჩინე შენში, ვერ გამიგია ასე უცებ სად გაქრა სკოლის ბიჭის ანცობა, ყველას მიმართ მტრული განწყობა, შენ და სიბრძნე? ღმერთო ჩემო, ამას ვინ დაიჯერებს, მუდამ წინააღმდეგი იყავი სწავლისა და მეცნიერების, დამადლებული სამებით დაამთავრე სკოლა. გახსოვს ისტორიის მასწავლებელმა რომ გითხრა: – „შენ არ გიწერ ნიშანს, მერხს ვუწერ, რომელმაც ყველაფერი შენზე მეტი იცისო“.

– მახსოვს, როგორ არა, მაგრამ ისიც ვიცი, ქრისტემ ოცდაათი წლისამ დაიწყო ხალხთან მოღვაწეობა. მას მამა ღმერთი კარნახობდა და მის ნებას ასრულებდა, შეიძლება მეც მიკარნახოს ვიღაცამ. რაღაც, რა იცი?...

– „ვიღაც“ რას მიქვია, ქრისტიანს ღმერთი უნდა უჩვენებდეს ჭეშმარიტ გზას და კარნახობდეს მასზე უხიფათოდ სიარულს.

– მე არ ვუარვყოფ, ქეთი, ღმერთის ძლიერებას, მაგრამ სხვა ძალებიც არსებობენ. თუ გიყვარვარ, ხორციელად ჩემი უნდა გახდე, სულიერად კი ჩემს ძალებს უნდა დაემორჩილო...

– უწინამც სული გამძრომია, მანამ ქრისტეს მოძღვრებას არ ვუღალატო, სიყვარული რას მიქვიან, პირველ რიგში მე ღმერთი მიყვარს, შემდეგ ყველაფერი, რაც ღმერთს გაუჩენია და უთქვამს ადამიანისათვის – გიყვარდეს!

– ესე იგი, შენ ჩემი სიყვარულის უარყოფა შეგიძლია?

– უყოყმანოდ! თუ სიყვარულში ახალ კანონებს შემოიტან და მას არ დავემორჩილები, ღმერთი არ დამსჯის!

– შენი პრინციპებით იძულებულს მხდი დრო დავაჩქარო და შენთან დავწვე!

– ეგ ნატვრა მხოლოდ ჯვრისწერის შემდეგ აგისრულდება!

– ძალადობა რომ ვიხმარო და გაგაუპატიურო?

– უწინამც შენი ხელით მოვკვდები და უსულო გვამთან მიაღწევ მიზანს!

– ქეთი ვის ელაპარაკები?! – გაისმა მეზობლის საძინებელი ოთახიდან ქეთის დედის, როზას შეშფოთებული ხმა.

– არავის, წიგნს ვკითხულობ! – გამოიყენა ქალის თანდაყოლილი სიცბიერე ქეთიმ, მაგრამ ქალი ქალს სიცბიერით ნაკლებად მოატყუებს.

– წიგნს რა, ორ ხმაზე კითხულობ? ახლავე გამიღე კარი, ვნახოთ რა წიგნიცა გაქვს... როზას მბრძანებლურ ხმას საწოლის ჭრიალი მოჰყვა. როგორც ეტყობა ადგა და ქეთის ოთახისაკენ წამოვიდა.

– ვაი, რაღა ვქნათ? მხოლოდ ტუჩების მოძრაობით წარმოთქვა ქეთიმ და სახე გრძნობის დაკარგვამდე გაუფითრდა.

– ნუ გეშინია, გაუღე! – ასევე წყნარად წარმოთქვა ნიკამ და ტანსაცმლის კარადაში ჩაიკეტა.

ქეთიმ იცოდა, როზა კარადას გამოაღებდა, მაგრამ კარების გაუღებლობაც არ შეიძლებოდა და ბედს დაემორჩილა. ოთახში ღამის პერანგისამარა დედა შემოუშვა. როზამ ჭაღი აანთო, ოთახი გულდასმით დაათვალიერა, შემდეგ ტახტის ქვეშ შეიხედა და ტანსაცმლის კარადაც გამოაღო, ქეთიმ თვალებზე ხელი აიფარა და რისხვის მოლოდინში თავი მუხლებზე დაიდო.

– საოცრებაა პირდაპირ, ჩემი ყურით გავიგონე მამაკაცის ხმა ამ ოთახიდან! – წარმოთქვა ქალმა. ქეთიმ მხოლოდ ახლა ასწია თავი. თვალებიდან ხელი ჩამოიღო და გაოცე-

ბულ დედას არანაკლებ გაოცებულმა შეხედა, მაგრამ როდესაც როზას იმედი გაუცრუვდა, იმედმოცემულმა ქეთიმ უთხრა:

– მოლანდებები დაგეწყო, ალბათ, დედა! „და რომელმან გაცდუნოს ყურმან შენმან, წარიკვეთე ის“ რად გინდა მასეთი ყურები, რომელთაც არასწორად ესმის, მოიჭერი დაგადაყარე შორს ჩვენგან.

– კარგი! – ორაზროვნად წარმოთქვა ქალმა ეს ერთადერთი სიტყვა და თავი მძიმედ გადააქნია, იმაში დარწმუნებულმა, რომ ნამდვილად გაიგონა მამაკაცის ხმა ამ ოთახიდან. კიდევ ერთხელ შეათვალიერა ოთახი და წყნარად გაიხურა კარები. როზა ოთახიდან გავიდა თუ არა ქეთი ლოგინიდან წამოფრინდა ტანსაცმლის კარად გამოაღო. სადაც ნიკა ეგულებოდა. „დედამაც დაინახა, მაგრამ ზედმეტ უსიამოვნებას მოერიდა, რომ შოთას (ქეთის მამას) არ გაეგო და ქალიშვილის საიდუმლო არ გაამჟღავნა“, – მაგრამ არ გამართლდა ქეთის ნაფიქრი, კარადაში ნიკა არ აღმოჩნდა... ახლა მეტად შემოაწვა ქალიშვილს სევდა, რაღაცა ცუდმა გრძნობამ გულზე მარწუხივით მოუჭირა და ლიმონივით დაუწყო ნელ–ნელა გამოწურვა.

– ნუთუ მართლა სატანაა, ნუთუ მართლა აქვს ჯოჯოხეთის შავ ძალებთან კავშირი? სად უნდა გამქრალიყო, ხომ დავინახე კარადაში შევიდა და ჩაიკეტა. გააღეს და აღარ არის, კარგი ფოკუსია, მე და ჩემმა ღმერთმა, ეს ნომერი ციკრში რომ უჩვენო, მაყურებლის ოვაციას დაიმსახურებ, ვნახოთ რას იზამს ორშაბათს, უნდა ვაზიარო, ჩემი მოძღვარი დაამარცხებს ეშმას და გამოდევნის სატანას მაგის ორგანიზმიდან, არა, მაინც სად უნდა წასულიყო? ფიქრი მშობლების საძინებელი ოთახიდან გამოსულმა ხმაურმა შეაწყვეტინა, მამას სამსახურში წასასვლელად ამზადებდა დედა, სამზარეულოდან ჭურჭლის მოურიდებელი ხმა გამოდიოდა, ეტყობოდა რაღაცას ნერვიულობდა და თეფშებზე იყრიდა გულის ჯავრს. ქეთიც ნერვიულობდა. იცოდა, რომ დედას ნერვიულობის მიზეზი თვითონ იყო და მამის სამსახურში წასვლის შემდეგ, დამსახ-

ურებულ რისხვას მოელოდა მისგან. ბრძნული ნათქვამია – ქალს შეუძლია ოჯახის დანგრევაცა და აშენებაც, სანამ ოჯახს დაანგრევდეს, ქალს ადვილად შესწევს ძალა კაცის თავიდან მოშორებისა. მაგრამ შვილს რას ეუბნები? სწორედ შვილია ოჯახის დამქცევიცა და ამშენებელიც. ავად არ მომწონს ჩემი საქციელი, მივიღე კაცი ღამის ორ საათზე და გავუბი მასლაათი. ვის დააჯერებ, რომ ჩვენს შორის პატიოსანის საუბარი იყო და სხვა არაფერი?

შოთამ კარები გაიხურა, ქეთიმ გაგიგო, თუ როგორ გააღო მამამ ავტოფარეხის კარები. ახალთახალი „მერსედესი“ გამოაგორა და სამსახურში წავიდა.

– გამოდი, ისაუზმე! – სამზარეულოდან გამოსძახა როზამ შვილს.

– ჯერ არ მინდა! – უპასუხა ქეთიმ, თუმცა იცოდა დედა რისთვისაც ეძახდა. დღემდე საწოლში მოჰქონდა საუზმე, ახლა კი...

– გამოდი, საქმე მაქვს! – დედის ხმაში სიმკაცრე გაერია და იძულებული გახდა ქეთი სამზარეულოში გასულიყო, მდგომარეობა რომ არ გაემძაფრებინა როზამ უხმოდ დაუდგა წინ მსუბუქი საუზმე, თვითონ ყავა მოიდუღა და პირისპირ დაუჯდა შვილს, ზოგიერთი დედა თმით დაითრევდა და თეფშებს დაამტვრევდა თავზე, მაგრამ როზა სიბრძნით გამოირჩეოდა მთელ უბანში, იცოდა სიყვარულის ფასი, სად ჩხუბი ესაჭიროებოდა საქმეს და სად დუმილი, ესეც ბრწყინვალედ იცოდა, ოჯახურ სიწმინდესაც ხომ შენახვა უნდოდა, ჰო, ცხოვრებისეული ყველაფერი იცოდა. ისეთ ოჯახში იყო აღზრდილი, არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა ცხოვრების ავ–კარგი და უავკარგოდ აღეზარდა შვილი მომავლისათვის. მის კანონში არ ეწერა სიმკაცრით შვილის აღზრდა, დედას კარგად ესმოდა, რომ სასტიკი მოპყრობა შვილს შეშინებულ და დამფრთხალ მონად აქცევდა, ბავშვი თავისუფალი, ამაყი, ზნეკეთილი და ღვთის მოსავი უნდა აღიზარდოს, არჩევდეს ცუდსა და კარგს, ასხვავებდეს ბოროტს კეთილისაგან, ტყუილს

– სიმართლისაგან, არ იცრუოს – „აღირჩიე შენთვის შიში ღვთისა, დასაბამი ყოველი სიბრძნისა და პატივი ეცი მშობელთა შენთა, იმიტომ, რომ მათი ლოცვა დაგიფარავს შენ“. – როზა დარწმუნებული იყო, რომ ყველა ცოდვა უვიცობიდან მოდიოდა, ამიტომ თავის ცოდნასა და გამოცდილებას არ აკონსერვებდა, ყველას უზიარებდა, შვილს კი ვალდებულს ხდიდა შეესწავლა და შეესისხლხორცებინა მისი აზრი, ახალგაზრდებს აკლდათ ცხოვრებისეული წესების ცოდნა. მათი გონება მუდმივ ძიებაშია, ისინი ცდილობენ ახლის აღმოჩენას და ხშირ შემთხვევაში ვერ ამჩნევენ შეცდომას, რომელიც სერიოზული კატასტროფით მთავრდება, ისინი კი ამ კატასტროფას შეფერხებას უწოდებენ, რატომ ატარებენ დედის საამაყო სახელს მაშინ, როდესაც შვილს ეუბნებიან: – „მე ვისწავლე, ჩემით მივაღწიე, თუ არ ისწავლი კისერიც მოგიტეხია“, – მიუგდებენ წიგნს, გაიხურავენ კარებს და წავლენ სასეირნოდ, რაც ახალგაზრდობაში დააკლდათ, იმის ანაზღაურებას ცდილობენ, სკოლის მასწავლებელივით ცოდნის ნახევარი კი არ უნდა გადასცე, უნდა ჩაუნერგო შენი ცოდნა–გამოცდილება, თორემ ნახევარი ცოდნით აღჭურვილი, დღენაკლული ბავშვივით, ნახევრად გახელილ–დახუჭული თვალებით იცხოვრებს, ლაბირინთებში გაიხლართება და ვის შეაწუხებს? რა თქმა უნდა, ისევ მშობელს, ბავშვს დაბადებისთანავე სჭირდება მხარში დგომა, რათა დროულად შეითვისოს ზნეობრივი ქცევის ნორმები, თორემ ცხოვრება როდი გვაპატიებს შეცდომას. თუ არ ვიცით, რა არის სიცოცხლის აზრი და მისი არსებობის საწყისი, როგორ უნდა განსაზღვრო ადამიანური ცხოვრების იდეალი, როგორ უნდა მივაღწიოთ წარმატებას და როგორ უნდა მოვიპოვოთ გამარჯვება, რომ დავრჩეთ ცხოვრებაში სამაგალითო, სათნო და სინდისიერი.

დედას შვილი ზრდასრულად წარმოუდგა. ამიტომ ეთიკური აღზრდის საკითხებით დაეწყო საუბარი. გადაწყვიტა, რაღაც ცხოვრებისეული რომანი შეეთხზა და მისი სული

შეერყია, შეერცხვინა, ისეთი რამ უამბო, რომელიც სინამდვილეში არ მომხდარა და ისე იფანტაზიორა თვითონვე უკვირდა.

– ყველა ქმედებაზე საძაგელი მშობლის მოტყუებაა, – დაიწყო როზამ – ნუ გგონია სიცრუე განსაკუთრებული ადამიანის თვისებაა, რომელსაც ვერავინ მიუხვდება ან აღიარების შემთხვევაში არავის ეპატიებოდა, მეც გავიარე ახალგაზრდული გზა და მაგ მაცდური გზის ლაბირინთებიც ვიცი, მეც მქონია შემთხვევა მომეტყუებინა მშობელი, მაგრამ მცდელობას ყოველთვის უშედეგოდ ჩაუვლია, მაშინ სასაფლაოსაკენ ვცხოვრობდით, მიყვარდა და ვამჩნევდი, იმასაც ვუყვარდი, მიუხედავად იმისა, რომ დღისით მუდამ ერთად ვიყავით, ღამით მაინც მოადგებოდა ხოლმე ფანჯარას და გისოსებში ერთიმეორეს თავდავიწყებამდე ვკოცნიდით, მამაჩემს შეუნიშნავს ეს უკანონო სიყვარულობანას თამაში და შეუმჩნევად დაგვიდარაჯებია. ერთ საღამოს დაპატიმრებული შემომიყვანა ჩემს ოთახში, მიწა რომ გამსკდომოდა და ჩავვარდნილიყავი ის მერჩია. შემრცხვა მშობლის, მაგრამ გაფუჭებულ საქმეს რაღა ეშველებოდა? თავის მართლებაც არც მიცდია, რადგან მცდელობას აზრი აღარ ჰქონდა. არც მამას შეუყრია ქვეყანა, უბრალოდ ჰკითხა ჩემს რჩეულს – ,,ვინა ხარ და რას დაძვრები სხვის ეზო–შემოგარენშიო" – ბიჭმა თამამად განუცხადა: – ,,მიყვარსო შენი ქალიშვილი" – აბა, თუ გიყვარს, მე გაჩვენებო სეირს, ადგა და ამ შუაღამისას მის მშობლებს დაურეკა: – ,,შენი შვილი დანაშაულზე წავისწარი, დაპატიმრებული მყავს და ახლავე ჩემთან გამოცხადდით, თორემ სასჯელს დავადებ და შემდეგ გვიანი იქნებაო". ათ წუთსაც არ გაუვლია აქოშინებული, ჩემი რჩეულის მშობლები გამოცხადდნენ. – ,,მე რაღაც დიდი დანაშაული მეგონა, მაგ საქმეს ადვილად ეშველებაო" – თქვა შოთას მამამ და ჩვენი შეუღლების საკითხიც იმ ღამით გადაწყდა.

– ყოჩაღ მამა, როგორც ჩანს ახალგაზრდობაში მუსუსი ყოფილა! – წამოიძახა გათამამებულმა ქეთიმ.

— იყო, როგორ არ იყო, მაგრამ კანონიერ შეუღლებამდე სახლში არასოდეს მომიყვანია ის, შენ კი ერთ დანაშაულს მეორეს უმატებ, მატყუებ კიდეც, როდესაც შენი ოთახის კარებთან ნახევარი საათი ვიყავი აყუდებული და თქვენი საუბარი საკუთარი ყურებით მოვისმინე, ყურების მოჭრას მირჩევ? მე თქვენს შორის რომანი დიდი ხანია შევამჩნიე, იცოდე ვერაფერს გამოაპარებ დედის გულს, ვიცნობ შენს რჩეულს, მის ოჯახსაც, კარგი არაფერი აქვთ, მაგრამ არც დასაწუნი არიან, რომ ნახო, უთხარი მშობლების თანდასწრებით მოვიდეს ჩვენთან.

— არა, ის არ მოვა დედა!

— რატომ?

— არ ვიცი, რაღაც თავისებურია, ამაყი!

— ესე იგი ჩვენ მივაკითხოთ და შევეხვეწოთ, რომ შეგირთოს?

— არ ვიცი, დედა, არა, მისი გამოცხადებაც მოულოდნელი იყო, თავი სიზმარში მგონია, დამიჯერებ, რომ არც მოსვლა გამიგია მისი და არც წასვლა?

— კარგი ახლა, გინდა დამარწმუნო, რომ შენს რჩეულს უჩინმაჩინის ქუდი ხურავს?

— არ გაჯერებ, მაგრამ დაახლოებით მასეა...

— რას მიქვიან მასეა, ბავშვობიდან შენთან შეზრდილი ადამიანი დღემდე ვერ გაგიგია ვინ არის?

— ყველაფერი სკოლის დამთავრების შემდეგ დაიწყო, სულ რამოდენიმე დღეში ჩვეულებრივი ადამიანი არაჩვეულებრივად იქცა. იქნებ არ დამიჯერო, მე თვითონ შემეშინდა, როდესაც ჩემს ოთახში შენი შემოსვლის შემდეგ ის გაუჩინარდა...

— ქეთი ნუ მაშინებ, თუ ღმერთი გწამს, ხომ იცი მასეთი მოვლენების მე არაფერი მწამს, შენ თუ სიყვარულმა გაგაგიჟა და ავსულებს აბრალებ, ეს ვერაფერი შეღავათია, უმჯობესი იქნება ფსიქიატრთან იმკურნალო.

— შენს ადგილას არც მე დავიჯერებდი.

— ისეთ რამეს არც დავიჯერებ და ნურც დამაჯერებ, რაც არ არის დასაჯერებელი, შენ უმჯობესია შეყვარებულის

როლი უნაკლოდ ითამაშო და შემდეგ მეუღლის ფუნქცია შეასრულო, ამისათვის საჭიროა მამაკაცის სულში გადასახლდე, მისი ფიქრით იფიქრო, მასავით გძულდეს და მასავით გიყვარდეს და არა შენებურად, ადამიანზე გარეგანი დაკვირვება შედეგს არ გამოიღებს, ეს მეცნიერების მეთოდია ბუზებზე ან სხვა მწერებზე დაკვირვება, გიყვარდეს და მიეცი საშუალება მასაც უყვარდე, ასრულებდე ოჯახში ქალის მოვალეობას, მაგრამ არასოდეს არ წაართვა მამაკაცს თავისი უფლებები და არ ისარგებლო მისი მოვალეობით, ნურასდროს ეცდები პარტნიორის გადაკეთებას, ნუ დაიწყებ მისი ფარული ღირსებების აღმოჩენას, მთავარი ღირსეული ადამიანის პოვნა კი არ არის, საკუთარი თავის შეცნობაა, რომ ავად იყო ღირსეული, ნურასოდეს აბუზღუნდები და ნურასოდეს შეამჩნევ ქმრის უმნიშვნელო ნაკლს, ნაპოლეონს უსაზღვროდ უყვარდა ეჟენი ცება და ცოლადაც შეირთო, მაგრამ ეჭვიანობით გაგიჟებულმა ეჟენმა ყოველდღიური ბუზღუნით ოჯახი დაანგრია.

დღევანდელი ქალების მატერიალური მოთხოვნები გაიზარდა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ქმარი ოჯახში ფულის შემომტანი მანქანაა, ის ხომ სიყვარულია, შენი ცხოვრების მეგზური, შენი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, როგორ შეიძლება გულის გასაღები ვერ უპოვო, ვერ მოაქციო? ვერ შეაყვარო თავი? ისე, მთლად მინდობაც არ შეიძლება კაცისა, არ უნდა სჯეროდეს, რომ ძლიერ გიყვარს, თორემ გიღალატებს...

„გქონდეს იმედი უფლისა, დაიცევ გზაი მისი, ხვიდოდე ყოველთაებრ მცნებათა მისითა, მაგრამ ნუ მიანდობ იმედსა შენსა კაცსა, იმიტომ, რომ ის უეცრად დაჭკნების, თითქოს არც კი იყო იგი“.

– აი, სწორედ ეგ მიჭირს დედა, როგორ მოვაქციო უფლის გზაზე, როდესაც, როგორც თვითონ ამბობს, შავ ძალებს ემსახურება?

– ეს ავადმყოფური ჩვევაა მამაკაცებში, ხშირად დაუჯერებელს ტრაბახობენ შეყვარებულთან, რომ ხათრთან ერთად

შიშიც ჩაუნერგონ. – ,,შენ მტკიცე მოიმედე იყავ ღვთისა, იმიტომ რომ ღვთის მოიმედენნი ნეტარ არიან“... – ადამიანი ღვთის ძალით გაჩნდა და არ შეიძლება შენი რჩეული შავ ძალებს ემსახურებოდეს, თუ რომელიმე ძალამ გავლენა მოახდინა მასზე, ჩვენ შევძლებთ ღვთის ნებით მის მოქცევას.

– ორშაბათს მინდა ჩემს მოძღვარს შევახვედრო, ვფიქრობ, თავისი ლოცვებით მიაღწევს სასურველ შედეგს.

* * *

მართლაც ლამაზად გამოიყურებოდა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი მოძღვარი, რომელმაც კაფე ,,გაზაფხულში“ სამი ყავა და სამარხვო ნამცხვარი შეუკვეთა. დიდ დროს არ გაუვლია ნიკა და ქეთიც გამოჩნდნენ. მოკრძალებით მიესალმა მოძღვარი მოსულთ და კუთხეში მიდგმულ მაგიდას მიუსხდნენ. ცოტა ხანს წყნარად ისხდნენ, ვერც ერთს ვერ გაებედა საუბრის წამოწყება, ყველაზე მეტად ნიკას ემჩნეოდა მოუსვენრობა და საუბარიც პირველმა დაიწყო:

– ხომ შემოგითვალეთ, ბატონო მოძღვარო, ჯვარისგარეშე მობრძანებულიყავით? მე თქვენი ყოველი სიტყვა მტკივა, თითქოს მცემდეთ.

– ვგრძნობ ღვთიური ძალი გადმოდის თქვენზე, უფლის დახმარებით შევძლებ, სატანა განვდევნო თქვენგან!

– ამას თვით ქრისტეც ვერ შეძლებს, რადგან ჩემზე შავი ძალები ზემოქმედებენ!

– თქვენ საიდან იცით ეს? იქნებ ანტიქრისტე ხართ?

– არა, ანტიქრისტე, მოვა იმას მე უნდა შევხვდე, ისე როგორც ქრისტეს დახვდა იოანე ნათლისმცემელი და განანათლა...

– შენ, როგორ, ქრისტესაც ეთაყვანები და ანტიქრისტეს ელოდები?

– თქვენც ხომ გწამთ შავი ძალების, სატანა, ჯოჯოხეთი, ასევე გწვამს ჩვენც იესო ქრისტეს არსებობა, ასე რომ არ იყოს, ბრძოლასაც არ გამოვუცხადებდით.

– გწამს გამარჯვების?

– არა, ქრისტე ღმერთის წინაშე უძლურები ვართ! ჩვენ დავმარცხდებით, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, ბრძოლაზე ავიღოთ ხელი, სანამ ქრისტე მოვა, ჩვენ მრავალ სასწაულს მოვახდენთ, ანტიქრისტეს მრავალი ადამიანი აჰყვება და აცდუნებს კიდეც!

– ამდენი თუ გესმით, რატომ აჰყოლიხარ ბნელ ძალებს, რატომ არ იწამებთ ჭეშმარიტ სარწმუნოებას?

– ქრისტეს მოსვლამდე ვერავინ შეძლებს ჩემში მოკლას სატანა, მე მათი გზით უნდა ვიარო, იქნებ არც მომწონდეს მათი გზა, მაგრამ სხვაგვარად არ შემიძლია, ურჩებს სხვაგვარად ეპყრობიან, ადამიანიცა ვარ და სატანაც, ამიტომ ჩემი დამარცხება ძნელია...

– ეს შეუძლებელია ადამიანიც იყო და სატანაც!

– რატომ? ქრისტეც ხომ ადამიანიც იყო და ღმერთიც?!

– ის ქრისტე იყო და არის, შენ კი ვინა ხარ?

– მე სატანა ვარ, სატანა, ვამპირი, გაიგე?

– შენში თუ ადამიანი არის და ადამიანური გრძნობები გაგაჩნია, ღმერთის ნებასაც უნდა ემორჩილებლოდე, ეკლესიაში უნდა იარო, უსმინო ლოცვებს და განიწმინდო სულით და ხორცით. ღმერთმა ხომ თავისულიფალი ნება მიანიჭა ადამიანს, რაც ცოდვების შესაძლებლობასაც გულისხმობს და თავისუფლების ბოროტად გამოყენებასაც, ჩვენთვის მოკვდავთა მაგალითი უნდა იყოს ანგელოზთა დაცემა, რომელიც თავისმა სილამაზემ აცდუნა, მოიხიბლა და სიამაყის გამო საკუთარი თავი ღმერთს დაუპირისპირა.

– მერე და სად არის თავისუფალი ნება? რატომ არ შეგვიძლია დაუპირისპირდეთ ყოვლად შემოქმედსაც კი? რატომ არ შეიძლება ქალი ეკლესიაში თავსაბურავის გარეშე შევიდეს და ილოცოს?

– თქვენ გეშლებათ თავისუფალი ნება აღვირახსნილობაში, თქვენ თავისუფლებას ღვთიური კანონების უარყოფაში ხედავთ, ქალი გამომწვევად არ უნდა გამოიყურებოდეს ღვთი-

ურ ტაძარში, რათა თვალმა არ აცდუნოს კაცი. ღმერთი კი ცოდვას ყველას მიუტევებს. ყველა ადამიანი ღმერთის შვილი მანამ არის, სანამ უცოდველია. თუ ცდუნებას აჰყვა და ცოდვა ჩაიდინა უნდა გამოისყიდოს დანაშაული, და მოინანიო თუნდაც ჯვარს ეცვას. შენ ჯერ კიდევ გაქვს დრო, რომ სულს სამუდამო საზრდო მოუმზადო – „მოუმზადე შენს სულს კეთილ საქმეთაგანს საგზალი, სანამ ჯერ კიდევ გაქვს დრო, და შეიძლება, რომ ამა სოფლიდან გასვლის შემდგომ არ გაგიჭირდეს“.

– მწამს, მოძღვარო, რომ თქვენ კარგად ფლობთ თეოლოგიას, ეს მეცნიერებათა შორის უპირველესია და არაფერია უფრო მშვენიერი, ვიდრე წვდომა ღვთის სიბრძნისა, უფლისადმი არასაკმარისი სიყვარულის გაღრმავებისა. მე ვხედავ თქვენს გულს, ის ანგელოზებს უჭირავს ხელში. ტვინი კი – უფალს, მაგრამ უცოდველი არა მგონია ბრძანდებოდეთ, თქვენ ხომ ღვთის ტაძარში მსახურობთ და ყველა მორწმუნეს ემსახურებით, თუ გიკითხავთ ოდესმე რატომ ღირს ათი გრამი სეფისკვერი ერთი კილოგრამი პურის ფასი? იცი რამდენ მორწმუნეს ვერ უყიდია, რომ მოიგონოს თავისი მიცვალებული? ბევრს სანთელიც ვერ შეუძენია, ჩემი აზრით, სალოცავი ტაძარი მდიდრებისათვის კი არ აუგიათ, მორწმუნეთათვის არის ნაკურთხი, ზოგიერთი ღვთისმოსავი კი „ეშმაკის კვერთხის“ მონაა, წმინდა ანალოგია ფულით არის დაფარული. რას ნიშნავ ეს? ქრისტეს მობრძანებას ელოდებით, რომ შოლტით დაამყაროს წესრიგი? – მე ვაღიარებ, ვარ სატანა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, არ მიყვარს ჩემი სამშობლო და ჩემი ხალხი, ადამიანებმა მეტი ჭეშმარიტება უნდა დაინახოს თქვენში, რომ მრევლი მიიზიდოთ, სიწმინდე წმინდა ტაძრიდან უნდა მოდიოდეს, თორემ ხალხი საკუთარი ძმის აღზევებასაც ვეღარ იტანს და სატანებს გვაბრალებენ ყველაფერს...

– შეიძლება შენ სიმართლეს ქადაგებდე, მაგრამ არავის აქვს უფლება დაინახოს ის, რაც ხდება ღმერთის ტაძარში, აქ შემოწირული ფული, თუ სხვა ძვირფასეული ნივთი საქველ-

მოქმედო საქმეს ხმარდება, ძირითადად ტაძრების შეკეთებასა და ღატაკთა განკითხვას, ღმერთი თვითონ ხედავს ყველაფერს, ის ყველგან და ყველაფერშია, მაგრამ მისი ხილვა არავის ძალუძს, თუმცა თვითონ შეუძლია როცა მოისურვებს მაშინ ეჩვენოს ადამიანს. ასე რომ, ღვთიური საქმის განსჯის უფლება არავისა აქვს.

– მე ღმერთის განსჯის უფლება არცა მაქვს და არც მიფიქრია, მაგრამ კაცთა ცოდვის დანახვის უფლება ნამდვილად მაქვს.

– თვით „არს ღმერთი ცისა შორის გამოცხადებული საიდუმლოებისა“. შენ ცოდვად ისიც გეყოფა, რომ თვითონ აღიარებ ვინა ხარ, მაგრამ ჩემი ვალია მოგაქციო, ლოცვით მივაღწიო მიზანს. ღმერთი მოწყალეა გაპატიებს, წამოდი ეკლესიაში, მოგნათლავ, ნაკურთხ წყალს გაპკურებ და გაგბან ცოდვებისაგან.

– არა, მოძღვარო, ცოდვებისაგან არა მგონია ასე ადვილად განიბანოს ცოდვილი, ევამ აკრძალული ხილი შეჭამა და დღემდე ვიხდით მის ცოდვას მისი შთამომალვობა და თქვენ ჩემი ცოდვები ასე ერთი ხელის მოსმით გინდათ წაშალოთ? არ შეიძლება მოძღვარო ჩემი ცოდვების წაშლა, რადგან ცხოვრებაში ორივე არსებობს – კეთილიცა და ბოროტიც. კეთილი თქვენ ბრძანდებით, ბოროტი მე, ანუ დაბადებიდან შენ ადამი მე გველი, რომელიც ვცდილობ კეთილი გზიდან ვაცდუნო ადამიანი, მე თუ თქვენ კეთილად მაქცევთ, სადღა იქნება ბოროტი? არა და უიმისოდ ცხოვრებაც არ შეიძლება, ჩვენ ცხოვრებამ გარდაგვქმნა თორემ დაბადებიდან ორივენი კარგები ვიყავით, შენ ადამი, უცოდველი, ედემის ბაღის მშვენება, მე კი ყველაზე ლამაზი ანგელოზი ლიციფერი, თუმცა ყველა ასე როდი ფიქრობს, მაგრამ მე ჩემი სილამაზე შემრჩა გველი ნურას უკაცრავად, არ არის ულამაზო, მართალია სილამაზეს შური და მტრობა მოსდევს, შურსა და მტრობას კი სიძულვილი, მაგრამ ყველას როდი ვმტრობთ, ვისაც მიდრეკილება აქვს ჩვენს მიმართ და აღმერთებს ცხოვრებას, მას ვიზ-

იდავთ, რადგან ცხოვრება ჩვენია. გერმანიაში, ვორმსის ტაძარში დგას ქანდაკება, რომელსაც ჰქვია „ქალი ქვეყანა“. თუ ამ ქანდაკებას წინა მხრიდან შეხედავთ, უტურფესი ასული დაგიდგებათ თვალწინ, ხოლო ზურგის მხრიდან შემზარავ სურათს იხილავთ: თხემიდან ტერფამდე დაფარულია გველებითა და მატლებით. ამ ქანდაკებით სრულად არის განმარტებული ევასგან ადამის ცდუნების პარაბოლური შინაარსი.

– შენ საიდან იცი ეს?

– მე მას ახლაც ვხედავ.

– მართალი ხარ ევასა და ადამის ცდუნება მიუტევებელ ცოდვად დაედო კაცობრიობას. იმ პირველი ცოდვის შემდეგ ყველა ადამიანი ცოდვილია. სწორედ ამ ცოდვის გამოსყიდვის მიზნით მოავლინა ღმერთმა ძე თვისი ქრისტე. ქალმა იტვირთა და მანვე გამოასწორა თავისი შეცდომა, ევას შეცდომა წმინდა მარიამმა გამოასწორა ქრისტეს შობით, აქედან გამომდინარე, ღმერთია უკვდავების საწყისი, გველი – ცხოვრების! ლოგიკურია, რომ ღმერთმა სიმდიდრის მოსახვეჭად არ შექმნა ადამიანი, ის თავის ხატებად, ედემის ბაღის მშვენებად შექმნა.

– მოძღვარო, ედემის ბაღში ადამისა და ევას გარდა კიდევ ხომ არავინ ცხოვრობდა?

– რა თქმა უნდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ანგელოზებს.

– მაშ, ვისთვის შექმნა ღმერთმა ის აკრძალული ხილი, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა მიირთვეს?

– ეს იყო ხე ცნობადისა, კეთილისა და ბოროტისა. რა თქმა უნდა, ღმერთმა ადამიანისათვის დარგო ეს მცენარე, მაგრამ ადამიანი ჯერ არ იყო მზად რომ ეს ხილი ეგემა და განესხვავებინა კეთილი ბოროტისაგან. დღეს რატომ არ აჭმევენ დედები თავიანთ ჩვილებს წიწაკას, ან არ ასმევენ არაყს? იმიტომ, რომ ამისათვის არ არის მწიფე მათი ორგანიზმი. ასე იყო ადამი და ევაც, მაგრამ აცდუნა ეშმაკმა ჩვენი წინაპარი და დაგვრჩა ცოდვის ტვირთი საზიდად. ეშმაკს რომ არ

ეცდუნებინა ადამი და ევა, ღმერთი მათ უკვდავებასაც აზიარებდა, რადგან ედემის ბაღში უკვდავების ხეც იყო დარგული.

– კარგია თქვენთან საუბარი, მოძღვარო, მაგრამ ბოდიშის მოხდით უნდა დაგტოვოთ, მეც უამრავი საქმე მელოდება, – თქვა ნიკამ და წასასვლელად მოემზადა, მაგრამ ქეთიმ შეაჩერა:

– მოიცა! სად მიდიხარ, მე სრულებითაც არ მაინტერესებს თქვენი მოსაზრებები, მაინტერესებს როგორი შედეგით დამთავრდა ჩვენი მსჯელობა და როგორ მოვიქცეთ დღეის შემდეგ?

– მე ვარ სატანა, შენ უნდა დაგღუპო, მაგრამ მიყვარხარ და დასაღუპავად არ მემეტები, ნებაყოფლობით წამომყვები, ჩემს ანტიქრისტეს გაზიარებ, და თუ არა სიყვარულით დაგტანჯავ! – მტკიცედ წარმოთქვა ნიკამ და კაფე–ბარიდან აჩქარებული ნაბიჯით გავიდა.

– მამაო, შენ რა სიტყვი? – ჰკითხა ქეთიმ მოძღვარს, რომელიც ღრმა ფიქრებში ჩაძირულიყო!

– როგორც ჩანს მოახლოვდა განკითხვის ჟამი, მე რა გითხრა, ქრისტე თვითონ იტყვის თავის სიტყვას, წამოდი ეკლესიაში უფალი დაგვეხმარება, ლოცვებით იქნებ დაგვავიწყოს მაცდურის სიყვარული.

დიდხანს იყო დაჩოქილი ღვთისმშობლის ხატის წინ, ლოცულობდა და ცრემლად დნებოდა ქალიშვილი, მოძღვარს წმინდა კალთა დაეფარებინა თავზე, ზედ მოოქროვილყდიანი სახარება დაედო და ლოცვებს კითხულობდა. თანდათან ჩაღვარა ღვთიური სითბო ქალიშვილს სხეულში და სხვა დღეებთან შედარებით დამშვიდებული დაბრუნდა ოჯახში. უჭირდა პირველი სიყვარულის უარყოფა, მაგრამ სხვა გზა არ იყო. მართალია, სიყვარული სიხარულისა და სიამოვნების ელექსირია, ჩვენი ულამაზესი სამყაროს დედოფალია. ყველა ემონება მის ძლევამოსილებას, უხსოვარი დროიდან უმღერიან, უამრავი ლეგენდა და თქმულებაა მასზე შეთხზული, ბევრიც პოეტად აქცია სიყვარულმა და წერდნენ მაშინ, როდესაც სიყვარულს

უნდა ეკარნახა კალმისთვის და არა მაშინ, როდესაც პიროვნებას სურდა სიყვარულზე დაეწერა რაიმე.

მატიანეც განარჩევს ორგვარ სიყვარულს – კეთილსა და ბოროტს, პირველს აღამაღლებს, მეორეს – ჰმგობს. თვითონ ღმერთმა შეჰქმნა სიყვარულის ძლევამოსილება და მასთან ერთად უკეთური ძალებიც, არ იქნების სიყვარულის შემქმნელის ღალატი, რადგან ღმერთია პირველი, სულიერი სიყვარული, ის ყველას შეაძლებინებს ხორციელი სიყვარულის უარყოფას, ხორციელი სიყვარული ქალ–ვაჟთა სახიფათო თამაშია, რომელიც წარმოგვიდგენს ბარბაროსული მდგომარეობის გაშიშვლებულ ნიშნებს, მაგრამ მას მაინც ეტრფიან და სიცოცხლის ფასად ინარჩუნებს ავტორიტეტული საზოგადოება, თუმცა რამდენადაც მეტია სიყვარულში მათი წარმატება, მით უფრო სექსუალურია და არა ღვთიური ქმედება. – ფიქრობდა ქეთი და პირველ ხორციელ სიყვარულს დაკარგულად თვლიდა.

თითქმის იგივეს ფიქრობდა ნიკა, რომელიც ტახტზე წამოწოლილიყო, თვალები სიბნელისათვის ჰქონდა გასწორებული და ამჟამად სიყვარულის განწირულებაზე ქეთის აჩრდილს ესაუბრებოდა.

– კი, მე შენ მიყვარხარ, ქეთი, თუ ამას სიყვარული ჰქვია, მე უფრო ხორციელ ლტოლვას დავარქმევდი, ასე რომ არ იყოს, რატომ კლავენ შეყვარებულები ერთიმეორეს? განა შეიძლება საყვარელი ადამიანის მოკვლა? ჰო, ვიცი შენ ეშმაკს დააბრალებ – „აცდუნა და მოკლა“ – მაგრამ ასე არ არის, უბრალოდ არ არსებობს სიყვარული, ეს წარსულის გადმონაშთია, ომებსაც კი სიყვარულის მიზეზით იწყებდნენ თუ სიყვარული არსებობს, მაშინ ღალატი არ უნდა არსებობდეს და შენ რომელი სიყვარული გინახავს, ერთ სიყვარულს დასჯერებოდეს? მართალია დიდი ოვაციებით უმღერიან ამ გრძნობით უკვდავებას, მაგრამ ტყუილია, სიყვარული უკვდავება კი არა, სიკვდილისაკენ მიმავალი უმოკლესი გზაა, ეს არის მხოლოდ, სიყვარულს სიკვდილის არ ეშინია და რად-

გან ადამიანი საერთოდ არ არის უკვდავი და რაკი მაინც განწირულია, სჯობს რაღაც დიდი საქმისათვის მოკვდეს ან მოკლას, ვიდრე სულელური სიყვარულისათვის, მე შავი ძალები ჩამძახის, რომ შენ მოგკლა და იმ ქვეყნად ჩემი მსახური გაგხადო, ამ ქვეყნად კი ჩემს მაგიერ სატანა დავტოვო. მაგრამ არა, სასიკვდილოდ ვერ გაგიმეტებ, ამ სიყვარულს უმჯობესი იქნება სიბრალული ვუწოდო, რადგან შენ ქვეყნისათვის ჯერ არაფერი გაგიკეთებია, არც ცუდი და არც კარგი, ამიტომ რაღაც მიზეზი ხომ უნდა ჰქონდე შენს სიკვდილს? ღვთიური კანონის მორჩილებისათვის ადამიანს არ კლავენ. შენ ხომ ამასთან ერთად ხელისუფლებასაც მორჩილებ და მეც მორჩილებას მპირდები თუ შენს ინტერესებს დავიცავ, რაც ღმერთის მორჩილებაში მდგომარეობს? ესე იგი, წესიერი ადამიანი ხარ და უსამართლობის ჩამდენი ადამიანი ბევრად უბედურია, ვიდრე უსამართლოდ დასჯილი, მართალია ადამიანებს არ უყვართ როდესაც მიჩვეულ (და არა შეყვარებულ) ადამიანს შორდებიან, (რამეთუ სიყვარულიც შეჩვევაა და სხვა არაფერი) არც მე ვარ გამონაკლისი, ნამდვილად მიმძიმს შენთან განშორება, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს. უნდა გავუძლოთ, მიზნად დავისახოთ ძლევა საკუთარი თავისა, მივაღწიოთ უზენაეს იდეალს და ჩამოვყალიბდეთ უძლიერეს პიროვნებებად. ვიცი ცხოვრებაში ორი განზომილება არსებობს: ღვთიური რომელსაც შენ მსახურებ, შექმნისა და ამაღლების საღი სულია, მისი საწყისი თვისებაცაა სიბრძნე, სიდინჯე და ზომიერება. სატანური ჩემი ცხოვრების მიზანი კი ნაკლოვანებაა, აღვირახსნილი დროსტარება, თრობა, ნარკომანია, შვება და შემდეგ ტანჯვა, რითაც ცოდვილი უერთდება ჯოჯოხეთურ ქმნილებას. ეს მე ვიცი, ჩემი ხვედრიც ესაა, მაგრამ არ შემიძლია ვუღალატო დღევანდელ რეალობას, რადგან მხოლოდ ამ გზით მყავს მფარველი და სხვაგვარად მიწიერ ცხოვრებას ვერ ვეზიარები. თუ ქალი ხარ არ დაიწყო ახლა ჯოჯოხეთით ჩემი შეშინება. მე კი არა, მსოფლიოში ყველაზე ბრძენ მეფედ ითვლებოდა ისრაელის ხელმწიფე სოლომონი, რომელ-

საც ათასამდე საყვარელი და შვიდასამდე ცოლი ჰყავდა, მაგრამ გამოჩენილი და სახელგანთქმული ფიზიკოსი ისააკ ნიუტონი და ფილოსოფოსი იმანუელ კანტი ისე წავიდნენ ამ ქვეყნიდან, რომ ქალის ხორციელი სიამოვნება არ შეუგრძვნიათ და თქვენ როგორ ფიქრობთ, რომელი იმყოფება სამოთხეში და რომელი ჯოჯოხეთში? დიახ, ესენი ერთად არიან.

ქეთი მხოლოდ შენ გეტყვი სიმართლეს, მე რომ სხეულის რაღაც ნაწილი არ მაკლდეს, მეტად აგრესიული ვიქნები, მაგრამ ახლა ჩემში ადამიანური გრძნობები ჭარბობს და ლმობიერად გეტყვი, დამივიწყო. მოძებნო შენსავით კეთილი ვინმე და შექმნა ოჯახი, რომ შენც ისე არ დაგემართოს, როგორც მერი შერვაშიძეს, რომელიც ერთ–ერთ თავყრილობაზე მივიდა, ადგილი არცერთმა ახალგაზრდამ არ დაუთმო. ერთმა კი უთხრა: – „ჯერ არავინ გაგიჩენია ქვეყანაზე, რომ შემდეგ მან მე დამითმოსო ადგილი“. – ის ხომ მსოფლიოს ულამაზეს ქალთა შორის ერთ-ერთი გვრგვინოსანი იყო. ამიტომ გთხოვ და გიბრძანებ კიდეც, რადგან ღვთის სამსახური აგირჩევია, ღვთიურად გაუძღვე ცხოვრებას და შექმნა ოჯახი...

ახლა კი ბოდიში, არ მაყენებენ, დროა ჩემი ღამე ხეტიალისა! – ბოლო სიტყვები ხმამაღლა წარმოთქვა ნიკამ და ოთახიდან გაუჩინარდა ბევრს არ სჯეროდა, მაგრამ მართლა ჰქონდა რაღაც მაგიური ძალა, სადაც გაივლიდა სინათლე ქრებოდა, ალბათ ასე ერჩია, სიბნელეში ხეტიალი. სახლი, სადაც მიეჩქარებოდა, ერთ–ერთ მაღლობ ბორცვზე იყო წამოჭიმული და ზღაპრულ ბროლის კოშკს მოგაგონებდათ, არა მთლად ბროლის არ იყო, მაგრამ ბროლზე ძვირფასი მასალით იყო ნაგები, ოქროსწინწკლებ ჩაქსოვილი გრანტით, თვით ნიკა ეშმაკმაც არ იცოდა რამდენს ფასობდა. მართალია ჭიშკარი დისტანციურ მართვას ემორჩილებოდა, მაგრამ ნიკას არ დასჭირვებია ჭიშკრით სარგებლობა, ის ათმეტრიანი სიმაღლის კედელზე იყო ჩამომჯდარი და ეზოს ათვალიერებდა, რომლის სილამაზემ თვალი მოსჭრა და სახლში შესვლას არ ჩქარობდა. მართლაც, მსოფლიოს ექვსი საოცრების გა-

ნადგურებიდან ერთ–ერთი, ალბათ „არტემიდას ტაძრის“ პროტოტიპს წარმოადგენდა. სასახლე, რომელიც, არც მეტი არც ნაკლები, „ჩინეთის კედლით“ იყო გარშემორტყმული. კოშკზე დაცვას ეძინა, ეზოში აშვებული უზარმაზარი ნაგაზები თვლემდნენ. ნიკა წამოიმართა და ჰაერი ღრმად შეისუნთქა. სინათლე არა მარტო ამ სასახლეში, არამედ მთელ უბანში ჩაქრა, მაგრამ როდესაც ვამპირი სასახლის მფლობელის საძინებელ ოთახში აღმოჩნდა, სინათლე ჩაირთო და ოთახიც სასიამოვნო მკაფიო შუქით განათდა. სასახლის პატრონი, რომელსაც ლორდი ერქვა და კიდეც ამართლებდა მატერიალური შეძლებით თავის სახელს, სპილოს ძვლით მოჩუქურთმებულ ტახტზე, თექვსმეტიოდე წლის გოგონასთან ერთად სრულიად შიშველი იწვა. ორივეს ღრმად ეძინათ, ნიკამ ოთახში გაიარ–გამოიარა, შემდეგ ვაზაში ჩადებული ფარშევანგის ფრთა ამოიღო, ლორდის სასთუმალთან რბილ სავარძელში ჩაჯდა და მძინარე მილიარდერს ფრთა თვალებზე გადაუსვა, ლორდიმ სასაცილოდ აათამაშა ცხვირი და ტუჩები, ნიკას გაეღიმა და ფრთა ახლა ცხვირსა და ტუჩებზე ჩამოუსვა. ლორდიმ ხელი ჰაერში გაიქნია და ნამძინარები თვალები გამოახილა, სასთუმალთან მჯდომი ახალგაზრდა კაცი რომ იხილა, თვალები გაკვირვებისაგან კინაღამ ბუდიდან გადმოუცვივდა და ჩახრინწული ხმით დაიბუბუნა: „რა ხდება აქა“? თან შეკითხვას ბოყინი ამოაყოლა, რომელსაც უცხოური არომატული ღვინისა და შემწვარ–მოხრაკულის სუნი ამოაყოლა...

– რა ხდება აქ, ჩემთან როგორ შემოხვედი?! – კითხვა გაიმეორა ლორდიმ და ხელი ბალიშის ქვეშ გააპარა.

– ნუ ეძებთ, მაგისთვის მე უკვე ვიზრუნე! – წამოთქვა ნიკამ და „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი ხელში შეათამაშა. ლორდიმ სიბრაზისაგან მოწოლილი ნერწყვი ხმაურით გადაყლაპა.

– აქ როგორ მოხვედი, დაცვა მოისყიდე? – დაინტერესდა ლორდი.

– არა, საჩეჩელზე დავკარი საჯდომი, გადმოვაფრინდი ათმეტრიან ღობეს და თქვენს საძინებელ ოთახში აღმოვჩნდი.

– მაგ ხერხით აქედან ვეღარ გახვალ!

– ეგ კიდევ საკითხავია ვინ გავა და ვის გაიტანენ!

– თქვი ბოლოს და ბოლოს რისთვის მოსულხარ, იცოდე, ერთ თეთრსაც ვერ მიიღებ, შენ კი არ შეგწევს ძალა მე მომკლა, იცოდე აქედან ვერავითარ შემთხვევაში ვერ გახვალ და თვითონ მოგთხოვ პასუხს გამოღვიძებისათვის.

– თუ გამოიღვიძებ, გადარჩები, მაგრამ შენ ისევ გძინავს!

– აქედან გაეთრიე!

– ბევრი ფულის შეძენას ცოტა ზრდილობა შეგეძინა ჯობდა – კბილებში გამოცრა ნიკამ და მარჯვენა ხელის ხუთივე თითი ისე ღრმად ჩაასო მკერდში, რომ ლორდს გული შეეკუმშა.

– ბოლოს და ბოლოს, თქვი რისთვის მოსულხარ რამდენი გინდა?!

– არაფერიც არ მინდა! მე შენი განკითხვის დღე ვარ!

– ისევ დაიწყო სიმდიდრის ძიება, საიდან და როგორ?

– არა, არ იფიქროთ მდიდარსა და საქმოსან ხალხს არ ვაფასებდე! ეს უბრალოდ მე მაინტერესებს, საიდან აღსარება უნდა ჩამაბარო, სხვაგვარად არ შეიძლება.

– მე არც ფულებს ვარიგებ და არც აღსარებას!

– მეც მინდა იოლი გზით ვიშოვო ორი კაპიკი, მასწავლე!

– კიდეც რომ გასწავლო, დღეიდან შენ მას ვერ გამოიყენებ! – წარმოთქვა ლორდიმ და ფარულად გოგონასკენ წაიღო ხელი, რომ გამოეღვიძებინა. მართლაც გამოეღვიძა და უცხო მამაკაცი რომ დაინახა საბანს დაუწყო ძებნა, რომელიც იატაკზე გადავარდნილიყო, დაიფარა, ნიკამ ტუჩზე თითის მიდებით ანიშნა, გაჩუმებულიყო. გოგონამ საბანში თავი ჩარგო და კედლისკენ გადაბრუნდა...

– ნუთუ ასე ძნელია ავკაცობით დოვლათის შეძენა?

– ჰო, ძნელია და არც შენ იძენ სინდისიერი გზით, თუმცა შენგან არჩეული გზა უფრო სახიფათო მეჩვენება. ფული, ჩემო

კარგო, არწივის მართვეა და როგორი მოსატაცებელია კედელზე მიმაგრებული არწივის ბუდიდან მართვე, შენთვის საიდუმლოს არ უნდა წარმოადგენდეს. შემდეგ მართვესაც მოვლა უნდა. რომ დაფრიანდება, შეიძლება გაგიფრინდეს, უამრავი მტერი ჰყავს... ლამაზია მართვე...

— არა, ცრუობით, ფული არწივი კი არა სატანაა. აბა გაიხსენეთ პირველი ნაბიჯი, თუ როგორ უღალატე მეგობარს, თქვენ ხომ ერთად დააყაჩაღეთ და მეგობრისთვის კუთვნილი წილის მიცემა დაგენანა? ფულისთვის არ უნდა მოგეკლა, სატანამ გაცდუნა, რომელიც ფულის სახით გამოგეცხადა, მეორედ კიდევ სხვა მეგობარი გაიჩინე, იმასაც პირველის ბედი ეწია, მესამესაც და მეცხრესაც, ბიუჯეტი კი ძალზე გაგეზარდა, მგონი აღარც გსურს მეათე მეგობრის სისხლი. ხომ გაგიგიათ მილიარდელთა სნობი გამოთქმა: — „ნუ მკითხავთ, რა გზით ვიშოვე პირველი მილიონი!“

— დიახ, მე ისინი მოვკალი ტყვიით, მაგრამ შენ იგივეს არ ჩადიხარ? — ტახტზე წამოჯდა ლორდი — მე ნელ–ნელა მოვიპოვე ეს სიმდიდრე, ცხრა მეგობრისა და ორმოცდაშვიდი ადამიანის ფასად, შენ კი ერთი ადამიანის გულზე გადავლით გინდა მთლიანად წაიღო, განა შენი ქმედება კანონიერია? განა შენში არ სახლობს სატანა? შენც ხომ ჩემგან ის სისხლიანი ფული უნდა წაიღო, მეც რომ სისხლით მოვიპოვე, განა შენ ჩემი თანამოსაქმე არა ხარ?

— მე თვითონ ვარ სატანა და იმიტომ არ განადგურებ, რომ ჩემი გზით დადიხარ. მადლობელი ვარ. შენ სასახლეებიც ჩემთვის ააშენე, მაგრამ კანონზომიერება დაარღვიე ძლიერ, შენ ლიუციფერივით მოიქეცი, ის ანგელოზი იყო, ღმერთს შეეჭიდა, შენ უბრალო, ჯერ კიდევ უჩლიქო ეშმაკი ხარ და სატანას ეჭიდები...

— კი არ ვეჭიდები, ყველა ჩემზე დაბალი მგონია და უძლური, სატანასაც ბრძოლას ვუცხადებ და უფალსაც!

— ჰო, მეტისმეტი მოგეცა და გაგაგიჟა, ასე იცის „ეშმაკის კვერთხმა“. ამასაც ტვინი უნდა და გამბედაობა, შენ

რომ ნაშოვნის თუნდაც ერთი პროცენტი მათხოვრებისთვის მიგეცა და დაგენუგეშებინა, სხვაგვარად წავიდოდა შენი ცხოვრება. რატომ იფიქრე, რომ ფულით მიაღწევდი დიდ მიზანს? ნუთუ არასოდეს არ გიფიქრია, რომ არსებობენ ძლიერზე უძლიერესნიც, მე შენს სულს წავიღებ და კიდევ გამოგიყენებ! – წარმოთქვა ნიკამ და ლორდის კუთვნილი პისტოლეტი შეაყენა.

– არ მომკლა, ყმაწვილო, მთელ ჩემს ქონებას შენ დაგიმტკიცებ, მონად დაგიდები, არ მომკლა მხოლოდ!

– შენ რომ კლავდი, ისინიც ხომ ასე გევედრებოდნენ, არ შეისმინე მათი ვედრება და მე რატომ შევისმინო? აბა, პირი გააღე, მსუბუქსა და ტკბილ სიკვდილს გაზიარებ. აი, ასე... სიკვდილის წინ მაინც მოიხმარე ჭკუა... ტყვიამ ტვინიც გაიყოლია და კედელში გაიჭედა, სროლის ხმაზე ქალიშვილი შეკრთა, მოიკუნტა, საბანში ჩაიმალა და აკანკალდა.

– შემომხედე! – ტყვიის წივილივით გაისმა ნიკას ხმა.

ქალიშვილი შემობრუნდა, საბანი მკერდზე ჩამოიფარა და თვალებში შიშჩამდგარი მზერა უცნობისკენ გამოაპარა, შიში სხეულის სასიცოცხლო ნიადაგის ველურ გამოხედვაში ისახებოდა, ამყაყებულ ჭაობში ჩაძირული კანკალებდა და ფულის გულისთვის მსხვერპლად განწირული, ნაძალადევ ღიმილს აფრქვევდა. დიახ, ღიმილს, კაცის მოხიბლვის უკანასკნელ საშუალებას ეპოტინებოდა ქალიშვილი, მაგრამ ნიკა ხიბლს ვერ ამჩნევდა ამ ღიმილში, ხლა უფრო ნათლად წარმოუდგა თვალწინ „ქალი ცხოვრების“ გარეგნული მომხიბვლელობა, სულში თითქოს მატლები და შხამიანი მორიელები დაფათურობდნენ, ქალი, რომელიც ერთი საათის წინ სხვა მამაკაცს ეხვეოდა, კოცნიდა, სიყვარულს ეფიცებოდა და განცხრომას ეძლეოდა, ახლა მის სისხლში ცურავდა და უცხოსკენ აპარებდა მომხიბლავ ღიმილს, რა იყო ეს? გადარჩენის უკანასკნელი იმედი, სიკვდილის შიში, თუ ვნებათა დაუოკებლობა?

ნიკამ ქალისადმი ზიზღი ვერ დამალა, გულისრევა იგრძნო და კბილებში გამოსცრა:

– ვინა ხარ, შენ, რა სულიერი, როდის მოასწარი ამორალური ზნეობის ასე სრულყოფილად ათვისება?

ქალი დუმდა, მაგარმ მამაკაცის აღგზნების კიდევ ერთ ილეთს მიმართა, საბანი თითქოს შემთხვევით გადააცურა და შიშველი ბარძაყი გამოაჩინა. რა იცოდა, ნიკა სატანა რომ იყო, რომ ვერ ჩასწვდებოდა მის ფიქრებს, და მასზედ სრულებითაც არ იმოქმედებდა ქალის ინტიმური ქცევები, თორემ ქალი უამრავი თავის გადარჩენის ჩვევებიდან სხვა რაღაცას კიდევ გამოიყენებდა.

– ვერ გიტან! ჩაიცვი, საზიზღრობავ! – წარმოთქვა ნიკამ და კედლისკენ შებრუნდა, რომ ჩაცმის დროს შიშველი ქალი არ დაენახა...

– ცოცხალი რომ დაგტოვო, აი ამის სიკვდილს დაგაბრალებენ და ტანჯვაში ამოგაძრობენ სულს, – წარმოთქვა ნიკამ და ქალის პასუხს არ დალოდებია განაგრძო – არადა მებრალები, სიკვდილიც არ მინდა შენი, არც მესაჭიროება შენისთანა მსახური, ჯოჯოხეთშიდაც ვერ გაჩერდები წესიერი კაცი თქვენს გვერდით!

– ჯოჯოხეთში წესიერ კაცს რა უნდა? – ისევ ღიმილით წარმოთქვა ქალმა.

„ნამდვილად აკლია, – გაიფიქრა ნიკამ, – კარგია რომ ყველა ვერ წვდება ადამიანის თავის ტვინს, თორემ ვინ იცის, რამდენი ამისთანა ტვინნაღრძობი დაბოგინობს ამ ქვეყანაზე და ბილწავს წესიერი ადამიანების სარეცელს. გამჭვირვალე რომ იყოს თავის ქალა და ყველა ხედავდეს, შიგ რა ფიქრებია ჩადებული, მაშინ ნახეთ, ჯოჯოხეთის, უკეთური ადამიანებით ავსება, ნეტავი რა აცინებს, სასაცილოდა აქვს ახლა ამის საქმე“?!

– რა გაცინებს?! – წყრომით გამოხატა თავისი ნაფიქრი.

– არა, არ ვიცინი, ეს გედის სიმღერაა, ამ ღიმილით საკუთარ თავს ვემშვიდობები! – წარმოთქვა წყნარად.

– რა იცი, რომ მოკვდები, იქნებ არა ხარ განწირული.

– მე კი მინდა, მომბეზრდა, ყველა მამაკაცი მომბეზრდა, სისხლმა ვამპირად მაქცია, ეს მესამე მკვდარია, რომელიც

ჩემი გულისთვის მოკლეს. გუშინ ამან მოკლა თავისი მცველი, ჯერ კიდევ დაუმარხავი სარდაფში აგდია, მოკლა და დამისაკუთრა, შენ ხომ არ გგონია სიყვარულით ვწევარ მასთან, არა, შიშით! ახლა კი გავთავისუფლდი ყოველგვარი შიშისაგან. ალბათ ასე იცის, სიკვდილს რომ მიჩერებიხარ თვალებში, შიში ქრება.

— თავიდან რატომ აირჩიე ეს უკეთური გზა?

— ამარჩევინეს! აფხაზეთის ომში მშობლები მომიკლეს და მე კი ჯერ კიდევ მთლად ბავშვი ვიღაც წვეროსანმა ურჯულომ, რომლის გახსენებაც მზარავს და გულს მირევს, გამაუპატიურა და ქალწული რომ აღმოვჩნდი, ამის სანაცვლოდ სიცოცხლე მაჩუქა, თითქოს კარგი რამ გამიკეთა. მოვეკალი და ადრე განვრიდებოდი ამ ქვეყნის უსამართლობას არ სჯობდა? საკუთარი სხეული მეზიზღება, რომელიც რამოდენიმეჯერ გავყიდე და უვარგისი ნივთივით ყოველთვის უკან მიბრუნებენ! შენზე კი სამუდამო მადლობელი დავრჩები, რომელსაც უსასყიდლოდ მიგაქვს ჩემი სული.

— ცდები! მე შენ არ მოგკლავ! აქედან გაგაპარებ და კეითლსინდისიერ ცხოვრებას დაუბრუნდი, ულამაზესი გოგონა ხარ, იქნებ გათხოვდე კიდეც...

— არა, არა, თუ ვაჟკაცი ხარ განმარიდე ამ წუთისოფელს! გავთხოვდები არა, ბოროტი ზღაპრის კეთილი დასასრული! ვის რად ვუნდივარ, ყელამდე ვალებში მყოფი, რომელიც ლუკმა პურისთვის დღითიდღე იზრდება.

— მერე რა, ვალებმა შეგაშინა? შენ კი არა, აბრამ ლინკოლნი, ამერიკის პრეზიდენტი იყო და იმდენი ვალი ჰქონდა, იმისმა ქვრივმა ყველაფერი გაყიდა, ძვირფასელუობა, სამკაულები, ბეწვეული, კაბები და ასე გასინჯე გარდაცვლილი მეუღლის პერანგებიც კი, თვითონაც ისე გარდაიცვალა, ვალების უზარმაზარი ნაწილი გაუსტუმრებელი დარჩა.

— იმან ერთი დრო მაინც გაატარა კარგად, როდესაც იძენდა სამკაულებს და საყვარელ მეუღლეს ურეცხავდა იმ პერანგებს, რომელიც გაჭირვების დროს გაყიდა, მე კი ბევრი

ფული რომ მქონოდა არაფერს ვიყიდიდი აბრაამის ქვრივისგან, ლინკოლნის ბალიშის მეტს, საინტერესოა როგორ ეძინა ამდენი ვალების პატრონს, მე ორი ლარი გამოვართვი გუშინ მეზობელს პურის საყიდლად და დღეს სულს შემიგინებს, იმის ვალი რომ მიმყვება გაუსტუმრებელი...

ნიკა კუთხეში დადგმულ სეიფს შეეხო, სეიფი ხმაურით გაიღო, იცოდა ეს სახარჯი სეიფი იყო, მთავარი კი სარდაფში ჰქონდა დამალული ლორდს, ამიტომ სახარჯ სეიფში შედარებით მცირე ფული აღმოჩნდა, მაგრამ მაინც გაუფართოვდა თვალები ქალიშვილს საზღვარგარეთული ბანკნოტების დანახვისას.

– აიღე რამდენიც გინდა, ვალები გაისტუმრე, თუ ჭკუა გაქვს, მშვენივრად გამოიყენებ ქონებას, მართალია მისი მოპოვება უსამართლო გზით საშინელებაა, მაგრამ გეპატიება, არც ამის პატრონს ჰქონდა მოპოვებული სამართლიანი გზით...

– ეჰ, მხოლოდ ჩემი თავი მეგონა უგნური, ვფიქრობდი გაჭირვებამ გამომალენჩა–მეთქი, ახლა მეღიმება, ჩემისთანა კიდევ ყოფილა, საბრალო! საკითხავი ის არის, აქ როგორ შემოაღწიე და მერე ის, აქედან როგორ აპირებ გასვლას და ფულის გატანას?

– როგორც შემოვედი ისე გავალ, ეს პრობლემა მოხსნილად ჩათვალე, შენ ფული აიღე რამდენიც გინდა, არ გაღორდე მხოლოდ. ცოტაც მოითმინე, მალე ანტიქრისტე მოვა, ჩემი ძმა და მეგობრები, ის მთელი სისრულით წარმოაჩენს ცოდვის სისაძაგლეს, მოვა ქრისტეც და ის დაგამარცხებს, თუმცა ჩვენი იდეები დიდად არ განსხვავდება, ის კეთილი გზისკენ მოუწოდებს ცოდვილებს, ურჩევს ცოდვათა მონანიებას და შეუნდობს კიდეც, ვინაიდან ადამიანი მეუფეა ხილული სამყაროსი, ქრისტე გიჩვენებთ ცოდვათა თავდაღწევის კონკრეტულ საშუალებასაც, ადამიანი მეუფედ იწოდება არა იმიტომ, რომ ლამაზია გარეგნულად და შემოსილია ძვირფასი ტანსაცმლით, არამედ მას მოსავს სულის სიწმინდე და სათნოება, რომელიც გამოხატავს მის ჭეშმარიტ მეფობას და

გვიჩვენებს, მისი სიმართლის გვირგვინის ბრწყინვალებას, ქრისტეს აზრით, ეს არის ჭეშმარიტი ადამიანის ღირსება და გვასწავლის, რომ ეს დიდება არ შევბღალოთ ცოდვით, დიდსულოვანს უყვარს მიტევება, იბრძვის არ გასწიროს ადამიანი, ის ხომ ჯვარს გაეკრა ნებით ადამიანთა ცოდვების გამოსასყიდად?!

ჩვენ კი არა ვართ ისეთი, დაიბადე ჭეშმარიტების გზით, იარე სინათლით! შეცოდე? კეთილი ინებე და ნუღარ ცდილობ ჩენი კლანჭებიდან თავის დახსნას!

– ესე იგი, ჩემი სული ჯოჯოხეთს ეკუთვნის?

– ეგ ჯერ ვინ იცის, აიწონება შენი ცოდვა მადლი, ახლა კი იჩქარე, აიღე შენთვის საჭირო თანხა.

მიუხედავად გაფრთხილებისა ქალმა აქაც გამოავლინა თავისი სიხარბე, ჩანთა პირთამდე აავსო და მხარზე რომ წამოკიდა სიმძიმისაგან წამოიკვნესა.

– ხელი არ შემახო, უწმინდურო, გველების ბუდევ! მომყევი! – ბრძანა ნიკამ და სიტყვა დამთავრებულიც არ ჰქონდა, სინათლე ჩაქრა მთლიანად უბანში...

ქალს გვიან გამოეღვიძა თავის ლოგინში და ჯოჯოხეთური ღამე გაახსენდა, რომელიც სიზმარი ეგონა, მაგრამ ჩანთა ფულით სავსე რომ ნახა, სიამოვნებამ და შიშმა ჟრუანტელმა ერთად დაურბინა მთელს სხეულში.

ნიკა თავის სახლს მიუახლოვდა, ჭიშკარი გააღო და ეზოში შევიდა თუ არა, მკერდის არეში ძლიერი დარტყმა იგრძნო, რისგანაც ჯერ ჰაერში ავარდა და შემდეგ კი მიწას დაენარცხა.

– არ მელოდი? – უზარმაზარმა ურჩხულმა ფეხი დააბიჯა მკერდზე, რომელსაც ადამიანის წინამგვანო სახე ჰქონდა, ტანი მთლიანად შიშველი და წაბლისფერი თმით დაფარული, ნიკამ გაიბრძოლა, წამოდგომა სცადა, მაგრამ ფეხი უფრო ძლიერად დააწვა მკერდზე და სუნთქვა შეეკრა, ურჩხულმა აგრძნობინა – „დამნებდი, ხომ ხედავ შენზედ ძლიერი ვარო!“ – და ნიკაც დანებდა.

– მე შენ აქ ღატაკთა განმიკთხავად და მშვიდობის დასამყარებლად მოგავლინე თუ ვამპირად და ჯოჯოხეთის გასამდიდრებლად? – რაღაც შემზერავი ხმით დაიბოყინა ურჩხულმა.

– მე ორივე უნდა ვაკეთო, სიკეთეც და ბოროტებაც, რადგან ადამიანიცა ვარ და სატანაც! – წარმოთქვა ნიკამ და ფეხზე წამოდგა, რადგან ადგომის საშუალება მისცა ურჩხულმა.

– არა, ქრისტე ვერ აცდუნა სატანამ, ისიც ადამიანია და ღმერთი, შენ რატომ გაცდუნა ადამიანთა სიბრალულმა.

– მე არა ვარ ანტიქრისტე და არც ვაპირებ ქრისტესთან ბრძოლას.

– დაგწვავ ჯოჯოხეთში! – ისევ დაიბოყინა ურჩხულმა და ექვსთითიანი ბრჭყალი აღმართა ნიკას სახის ჩამოსაკაწრავად, მაგრამ მსხვერპლმა მოასწრო და ხელი დაუჭირა.

– ვერაფერსაც ვერ მავნებ, მე ანტიქრისტეს უნდა შევხვდე და კუპრში უნდა ვაწრთო, ასეა დაწერილი! – წარმოთქვა ნიკამ და ბრძოლისათვის მოემზადა.

– მე შეგცვლი, თუ უღალატებ ჩვენს გზას, შენ კი შეგწვამ და შეგახრამუნებ.

– ტყუილად მაშინებ! მე ჩვენი გზისთვის არ მიღალატია!

– აბა, რა იყო ეს, ვიღაც ძუბახი ჩვენი სიმდიდრით დააჯილდოვე!

– დიახ, ჩენი სიმდიდრით, რომ ჩვენთან იყოს მუდამ და არა ლოცვებით, რომ ღმერთს მიუახლოვდეს.

– ქეთი რატომ გაუშვი უვნებელი?

– ისეთები არ არის საჭირო ჯოჯოხეთში, ჩვენ ვერ ვიბრძოლებთ მის სულთან, რადგან ეკლესიები მასზე ლოცულობენ და ანგელოზების გუნდი ახვევია მცველად!

– მერე და გეძნელება მათთან ბრძოლა?

– მეძნელება და არც მაქვს უფლება ანტიქრისტეს მოსვლამდე უშედეგო ბრძოლა გავმართო და საკუთარი თავის დამარცხებას ვუცქირო?!

– შენ უნდა იბრძოლო. ან ღმერთი, ან სატანა, ან ერთი, ან მეორე, აირჩიე ორივეში ვერ მოთავსდები, შენი გზა უშენოდ აირჩიეს! დაემორჩილები ჩვენს ძალებს, თორემ...

– რა თორემ მაშინებ? ასე ადვილად არ შევშინდები მე ქართველად ვარ დაბადებული და შემდეგ მოახდინეს მაგიურ-მა ძალებმა ჩემზე ზემოქმედება, ვერც ჯოჯოხეთით შემაშინებ და ვარც სამოთხით მომიხიბლავ, რადგან აქ, სადაც დავიბადე ორივე მინახავს, აქვე ჯოჯოხეთიც ბლომად არის და სამოთხეც, მე სრულებითაც არ მომწონს შავი ძალების ზემოქმედება და ღმერთის შეცდომად ვთვლი, რომ მოღალატე ანგელოზები უფსკრულში ჩაყარა და, საერთოდ, არ გაანადგურა, მაგრამ უფალი დიდსულოვანია, თუმცა დანაშაულის პატიებასაც აქვს საზღვარი, ეს საუკუნე შავი ძალებით განდაგურების საუკუ-ნედ შევა ბიბლიაში.

– შენ ყველაზე ადრე გაგანადგურებ, – დაიროხროხა ურჩხულმა და ხელის განთავისუფლება სცადა, მაგრამ ნიკას ისე ღრმად ჩაესო ფრჩხილები მაჯაში, რომ თითების ერთ-მანეთთან შეხებას გრძნობდა.

– ყველაზე ადრე გამანადგურებ? ვიცი რაც მომელის, მივესალმები კიდეც ჩემს სიკვდილს, თუ ჩემთან ერთად ყველ-ანი გაწყდებით!

– რამ განაპირობა შენი ასეთი თავხედობა, იქნებ ვერ გმართავთ ისე როგორც საჭიროა?

– რატომ გიკვირს? ჩემში ადამიანი ჭარბობს, მებრალება ჩემი ხალხი და მიყვარს ჩემი სამშობლო. შენ მუდამ ღამით დადიხარ, თუ დაგინახავს გვირგვინით მოჩითული მთვარე, რომელსაც მკრთალი შუქის რკალი აკრავს. მას ბაკმი ჰქვია, დაგინახავს იმ ბაკმიდან გამოტაცებული შუქის ბრწყინვალე-ბა? თუ არ გინახავს, შენ ვერ შეიგრძნობ საქართველოს ღამის მშვენიერებას, დღის სინათლეზე რომ აღარაფერი ვთქ-ვა, რადგან მას შენც ისე გაურბიხარ, როგორც მე, განუმორე-ბელია მთვარის შუქით განათებული საქართველოს სილ-ამაზე, ისე როგორც შენს ჯოჯოხეთში კვნესა–კივილი, ქართველი

ქალის კივილიც გამიგონია და ვაჟკაცის სიღმერაც, ეს სიმღერა არა ჰგავს ფსიქიატრიულ საავადმყოფოდან გადმოღვრილ შოუს. ქართული „მრავალჟამიერი“, „იანვნანა“ თუ „ურმული“ სულ სხვაა, მასში სულის უკვდავების სიმი ჟღერს, აღმაფრენის განუმეორებელი წამი, ყველაფერზე ძვირფასი სულში დაუნჯებულ გრძნობათა ღელვაა, ასეთი სიცოცხლეა საქართველოში და ასეთ ცხოვრებაში, მომავალზე ფიქრი—სწორედ არ არის ამაოება.

შენ არ გინახავს ამომავალი მთვარე და არ მოგისმენია ურმის ჭრიალი, არც გამთენიის გარიჟრაჟს დასწრებიხარ და არ იცი იმის სილამაზე, რადგან მამლის ყივილს გაურბიხარ იმიტომ, რომ შენში მხოლოდ სატანა ბუდობს. რომ გქონდეს ცოტა ადამიანურიც, ისე როგორც ჩემში, სხვაგვარად შეხედავდა სამყაროს!

— ბოლოს და ბოლოს, რას მოითხოვ ნეტავი გამაგებინა!

— ბევრს არაფერს, მინდა საკუთარით ვალით იხილო ის სილამაზე, რაც ღმერთს ადამიანისათვის შეუქმნია და ადამიანების სიყვარულს ეზიარო, თუ ამას ყოველივეს საკუთარი თვალით ნახავ აქედან წასვლას შენი ნებით აღარ შეეცდები...

— ხვალ მთვარის ამოსვლას გომბორზე დავესწრები, შენც იქ დამელოდე, — სატანას სიტყვაც არ ჰქონდა დამთავრებული, საქათმეში მამალმა დაიყივლა, ნიკამ იგრძნო, თუ როგორ აუკანკალდა ხელი და ძალაგამოლეულმა სცადა მკლავის განთავისუფლება. დაკავება ნიკასაც აღარ უცდია და ურჩული ძუნძულით გარიჟრაჟის ბურუსში გაუჩინარდა...

* * *

— სამჯერ შევამოწმე ნიკას საძინებელი ოთახი, — უთხრა ელგამ გაგის, — და ადგილზე ერთხელაც არ დამხვდა, გათენდა, ახლა კიდევ შევამოწმე, დალოცვა ღმერთმა, მოსულა, ბავშვს სერიოზულად უნდა მოველაპარაკოთ, მამა ხარ, შენ მეტი გეთქმის! ცოტა სიმკაცრეც გამოიჩინე. როგორც ვხედავ ლმობიერებამ აწყინა, უკვე აღარაფრად გვაგდებს, დღისით ძინავს,

ღამით სად დადის, ვერ გაიგებ... ვერც წასვლას ვგებულობ მაგისას და ვერც მოსვლას.

– შენ დედა ხარ, შენც გეთქმის სიტყვა, ორივე ერთად მოველაპარაკოთ, დაუძახე!

– ახლა ძინავს, როგორც ჰგავს ახალი მოსულია, ფეხსაცმელები სველია ისევ!

– იქნებ ქეთისთან დაძვრება, მოდი, შოთა და როზა მოვინახულოთ და შევამოწმოთ სიმართლე!

– არა, შოთას ოჯახთან უმსგავსოება გამორიცხულია. არც ქეთი არ არის ის გოგო, ქუჩაში დაუდგეს კაცს და საღამოდან დილამდის ინებივროს!

– კარგი რა, თითქოს ახალგაზრდა არ ყოფილხარ, რას გაიგებ ქალისას...

– რას ამბობ გაგი, როგორ არ გავიგებ, შენ ოჯახის ქალი, შვილი წარმოშობილი ნაღდი ედემის ბაღიდან, სანეხვეზე მოწყვეტილი ვარდი ხომ არ გგონია, ეს ვარდები ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებიან, სურნელებაც სხვა აქვს, სილამაზეც და მიზიდულობაც!

– მერე და რომელი ახალგაზდა შეყვარებულები გრძნობენ ვარდის ჭეშმარიტ დამათრობელ სურნელებას? ჩვენი შვილის ასაკში ქალს ფეხებიდან ზომავენ, მხედველობას საჯდომზე აჩერებენ და მათი წარმოდგენით ქალიც ეს არის, კაბაც ქალია, თუ მას საშოს სურნელება დაჰკრავს, რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ და კიდევ ვერ შეგიცანი ვინა ხარ შენ, არ არის ადვილი შეიცნო ქალი, ზოგი მხეცია, ზოგი – ანგელოზი, თუ დასჭირდა ორივე ერთად...

– შენ რა, ახლა ჩემზე მოიტანე იერიში? ნეტავი გამაგებინა, რა არ მოგწონს ჩემში!

– არა, ძვირფასო, შენ ერთი ხარ ქვეყანაზე, შენისთანები აღარ იბადებიან, მაგრამ ქალი ხარ და მაინც ამოუცნობი, აი, ახლაც შენთვის რომ მეთქვა – „შენში არ მომწონს ერთშვილიანობა–მეთქი“ – სულ სხვაგვარად შეხვდებოდი ჩემს სიტყვას, მაგრამ პირველად ნათქვამმა კომპლიმენტმა ისე

მოგაქცია, მეორედ ნათქვამი სიმართლე ხუმრობად ჩათვალე.

– ნეტავი მე რას მადანაშაულებ, შენ თვითონ დართე ექიმებს უფლება, მხოლოდ შვილი გადაერჩინათ და მე კი ღორივით გამომშიგნეს, მე მაქვს სასაყვედურო და შენ მსაყვედურობ?

– არა, არ გსაყვედურობ, ალბათ ასეთი იყო ბედი ჩვენი და ღვთის განგებას ვინ გაქცევია ჩვენ რომ გავექცეთ? ახლა ნიკა დავაქორწინოთ დროულად და მივცეთ მრავალშვილიანობას გასაქანი...

– ღმერთმა გისმინოს, დღესვე მოველაპარაკოთ, თუ ქეთი უყვარს, ერთი წუთითაც არ დავფიქრდები, მე ვიცნობ მათ ოჯახს, წესიერებისა და პატიოსნების განსახიერებაა, განათლებულები არიან, რომ მკითხონ, არისტოკრატთა წრეს მივაკუთვნებდი.

– ყოველგვარი უკულტურობა, უხამსობა, ღალატი და საყვარელთა თაყვანისცემა მაღალი საზოგადოებიდან მოდის, რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე მეორემ თავის საყვარელთან, გრიგორი ორლოვთან საუბრის დროს ვითომ წამოცდა: – „ხომ ვერ დამეხმარებოდი იმპერატორ პეტრესთან დაკავშირებული პრობლემის გადაწყვეტაში?“ – გრიგორიმ სწორად გაიგო ეკატერინეს ნათქვამი და ძალიან მოკლე დროში ეკატერინეს მეუღლე, პეტრე მესამე, მხეცურად მოაკვლევინა შეთქმულებს, – ეს იყო მეფეთა საგვარეულო შტო და შენ შოთას არისტოკრატიულ ოჯახზე ამყარებ იმედებს?

– თავის დროზე გქონოდა ასეთი წარმოდგენა ცხოვრებაზე, როგორიც დღესა გაქვს, დამერწმუნე უცოლო იქნებოდი, მე–გაუთხოვარი, თავისთავად არც ნიკა იქნებოდა ამ ქვეყნად და საზრუნავიც არაფერი გვექნებოდა, მაგრამ ახლა, რადგან ესოდენ დიდი შეცდომა დავუშვით, შვილსაც უნდა გავუზიაროთ ამ ქვეყნიური სიტკბო და სიმწარე, ცოლი შევრთოთ!

– დილა მშვიდობის, ხალხო! – შეუმჩნევლად წამოადგა ტკბილად მოსაუბრე ცოლ–ქმარს ნიკა თავზე.

— ო, ო, — ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! მოდი, ბიჭო, ჩამოჯექი, რას მოგვანატრე თავი, შენთან სასაუბროდ ვეღარ მოვიცალეთ — სიხარულით შეეგება გაგი.

— როდის გამონახავდით დროს, ღამე მე არა ვარ სხალში და დღე—თქვენ, დღეს კვირაა თორემ ვერც დღეს ვნახავდით ერთიმეორეს...

— რადგან ასე გადაგვიშალე გული, იქნებ ისიც გვითხრა, სად დადიხარ ღამ–ღამობით? გამოცდილი გვაქვს შენი ასაკი, სიყვარული არც მშობელს ეკითხება და არც საყვარელს, მოულოდნელად იცის ჩიტივით შემოფრენა. როდესაც ჩამოყალიბდა ასაკი, იშვა სიყვარულიც და უმალ სხეულმა იგრძნო ტანჯვა. ვიცით ჩვენ ეს და რად იტანჯავ, შვილო, თავს, გაგვაცანი ის შენი გულის სატრფო და ისეთ ქორწილს გადაგიხდით, „მტერსაც კი გაუკვირდება!“

— ნეტავი ეგრე იყოს, სხვა საფიქრალი არ მქონდეს და მაგ საქმეს ეშველებოდა რაღაც, მაგრამ მე სხვა, მეტად სერიოზული მაწუხებ მამა!

— არ არსებობს ისეთი დაბრკოლება, გამოსწორება რომ არ შეიძლებოდეს თქვი, შვილო, დედაშენიც გვერდით დაგვიდგება, ხომ იცი, თუ დაჭირდა, ვეფხვია დედა!

— აბა, ვის ვუთხრა, ვის გავანდო გულის ხვაშიადი, ვინა მყავს თქვენზე კეთილი და ახლობელი? ხომ გახსოვს მამა მოსანათლად რომ წამიყვანეთ, კარგი წამოჩიტული ბიჭი ვიყავი, მეც მახსოვს ყოველი მომენტი, შენმა სულიერმა მამამ ემბაზზე ნაკურთხი წყალი დაასხა, შიგ უსუპი დაასველა და წყალი მაპკურა. ყველამ შეამჩნია, ეს არ იყოს წყლის წვეთები, უსუპს ცეცხლოვანი ნაპერწკლები დაცვივდა და ცეცხლი მომეკიდა. აი, მაშინდელი დაღებია ეს, ნაყვავილარივით რომ დამრჩენია სახესა და სხეულზე, მაშინ ყველა წმინდანი ჩარჩოდან გადმოფრენას ცდილობდა და „გარეთ გადიო“, გარკვევით მესმოდა მათი ხმა. კარგად გემახსოვრება მაშინ ნათლობა არ შედგა, ალბათ ვერ გავუძელი ხორციელ ტანჯვას და მოუნათლავი სახლში წამოვედით. მას შემდეგ აღარც გაგვხსენებია

კიდევ გვეცადა ბედი და ასე შემოვრჩი მოუნათლავი, ახლა კი ჩემს სულსა და ხორცს შავი ძალები დაეპატრონენ, ისინი ისე მამოძრავებენ, როგორც რობოტს, მათი პროგრამის მიხედვით ვასრულებ ყოველგვარ დავალებას, მითხრეს, რომ მე სატანა ვარ, მამა! კიდევ მეტი, – ვამპირი! – მართალია, სისხლი არავისი დამილევია, როგორც ამას ვამპირები აკეთებენ, მაგრამ ბევრი უკადრისი საქმე ჩამადენინეს...

– ვაი, შვილო! ვიცოდი, რომ ეს ასე იქნებოდა! – წამოიკითვლა ელგამ და თმაში წაივლო ხელი.

– თუ იცოდი, რად არ მომკალი, დედი?

– სხვისი ენით ადვილი სათქმელია, რად არ მოკლა დედამ შვილი, მე კი ამას ვერ აგიხსნი, დედისაგან შეუძლებელია!

– მე რაღაც ნაწილი მაკლია, დედა მითხარი, რა ნაწილია ეს?

– ასეთი არაფერი მახსოვს, ახალშობილს ჭიპი ძვრება მხოლოდ... სხვა რა უნდა იყოს?

– როგორ არა – საუბარში ჩაერია გაგი – შენ ექვს–ექვსი თითი გქონდა ხელებსა და ფეხებზე, ექიმებმა მირჩიეს, რომ ოპერაცია გაგვეკეთებინა, მეც დავთანხმდი...

– ჰოდა, ახლა არც სატანა ვარ და არც ადამიანი, სატანისათვის ძალა არ მყოფნის, ადამიანის ჩარჩოში კი ვერ ვეტევი, როდესაც სრულყოფილი არ დავიბადე, უნდა მოგეშორებინეთ, ვერ გამიმეტეთ? მე ხომ სატანა ვარ, იქნებ ხვალ მიბრძანონ თქვენი სიკვდილი, როგორ მოვიქცე? მე ხომ მათი გავლენის ქვეშ ვიმყოფები, რომ შევასრულო მათი ბრძანება, ხომ მეტად დავიტანჯები?

– ნუღარ იდარდებ შვილო, რაც გითხრან ის გააკეთე, შეასრულე მათი ბრძანება, ჩვენ უკვე მოვკვდით იმ ამბის მოსმენით, რომელიც მოგვიყევი! – თქვა ელგამ და თავზე შემოიჭირა ხელები.

– ეჰ, შვილო, ვიცოდი რაღაც ამდაგვარი რომ გამოხვიდოდი, მაგრამ რომელ მამას გაუწირავს შვილი მოსაკლავად?

– თავის მართლება დაიწყო გაგიმ – რომ არ დაგიფიცო, შენ და დედაშენს სამკვიდრო–სასიცოცხლო ბრძოლა გქონდათ გამართული. ან შვილი უნდა გადარჩენილიყო, ან დედა, როცა მკითხეს, რომელს ვამჯობინებდი, მე შენზე შევაჩერე არჩევანი, მაგრამ დიდება უფალს, სასწაული მოხდა და ორივე გადარჩით შენ კი მეუბნები „რატომ არ მოგკალით, როცა სრულყოფილი არ დაიბადე“ შენ მაშინ ჩემთვის სრულყოფილიც იყავი და მზეჭაბუკიც, რადგან მშობელი იშვიათად ამჩნევს შვილის ნაკლს. შენ პირველი შვილი იყავი ჩვენი და შენს არასრულყოფილებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო, როგორც ღმერთი ინებებს, ისეთი უნდა გაზრდილიყავი, ალბათ გაგეგონება შაჰ–აბასს შვილებიც ბევრი ჰყავდა და შვილიშვილებიც, მაგრამ სასიკვდილოდ არცერთი არ ემეტებოდა, ერთ–ერთმა შვილმა სეფი – მირზამ ყიზილბაშ დიდებულთა წერილი მიიღო, – „მოგვეხმარე მამაშენი ტახტიდან გადავაგდოთ და შენ გამეფდიო“. არც კი დაფიქრებულა მირზა, წერილი მამას გადასცა და შეთქმულები ამხილა, მაგრამ შაჰს მაინც შეუჩნდა ეჭვის ჭია, – „მართლა რომ მოუნდესო მირზას ტახტის წართმევა“ – ეჭვით დაბრმავებულმა შაჰმა ბებუთ–ხანი იხმო და უფლისწულის სიკდვილი დაავალა. ბებუთ–ხანმა დაუყოვნებლივ შეასრულა შაჰის ბრძანება და მირზას მოკვეთილი თავი განრისხებულ ბრძანებელს მიართვა, შაჰმა იხილა რა შვილის მოკვეთილი თავი, მთლად გაგიჟდა და ბნელში ჩაიკეტა... ათი დღე არც უსვამს და არც უჭამია, იჯდა ბნელში ტიროდა და გლოვობდა შვილს, მეთერთმეტე დღეს ბნელიდან გამოვიდა, ისევ იხმო ბებუთ–ხანი და უბრძანა ყველა იმ დიდებულთა მოკვეთილი თავები მიერთმია, ვინც მირზას დასჯა ურჩია, ბებუთ–ხანმა ეს დავალებაც ბრწყინვალედ შეასრულა. შემდეგ შაჰმა ახალი დავალება მისცა ბებუთ–ხანს: – „ჩემი შვილის თავი რომ ასე უცებ მომირბენინე, ახლა წადი და შენი შვილის თავიც მომიტანე!“ – ბაბუთ–ხანმა პირნათლად შეასრულა მეფის ბრძანება, შვილს მოჰკვეთა თავი და იმ დარბაზში ჩამოატარა სადაც მეფის წინაშე დიდებულები

შეკრებილიყვნენ, ის ყველას აჩვენებდა შვილის მოკვეთილ თავს: – „შეხედეთ ბატონებო, რა მშვენიერი ნიმუშია, განა ყველა შეძლებს ასე უნიკალურად თავის მოკვეთას“? – აკვირვებდა იქ დამსწრეთ „უნიკალურ ნამუშევარს“ – შეიშალე?! – კბილებში გამოსცრა შაჰმა – ამიერიდან გეცოდინება, რა განიცადა ჩემმა გულმა, როცა მომიკალ შვილი, ახლა შეგიძლია თავი ინუგეშო, მე და შენ ერთ ბედქვეშა ვართ“. ეს როდესაც ვიცოდი, აბა როგორ შემეძლო მომეკლა შვილი და საკუთარი ხელით ამომეთხარა მომავალი ცხოვრების ნერგი?

– არ მაინტერესებს, მამა, ასეთი მითები, ახლა იმასაც არ მომიყვე ივანე მრისხანემ როგორ მოკლა შვილი კვერთხით, როგორ ჩამოახრჩო სპილო, რადგან მის წინაშე არ დაიჩქა და სხვა... განა ისტორიას ცოტა რამ საოცრება აქვს ჩვენთვის შემონახული? მე მაინტერესებს შეიძლება თუ არა თავის დახსნა ამ განსაცდელისაგან რომელ ხიფათშიდაც ვიმყოფები?

– უნდა გაუძლო, შვილო, ხორციელ ტანჯვას, უნდა მოინათლო, იქნებ შეძლოს დიდმორწმუნეებმა შენი ორგანიზმიდან ეშმაკის განდევნა!

– არა, მამა, ეს შეუძლებელია, ჩემი განთავისუფლება მხოლოდ ქრისტეს შეუძლია, არ დარჩა დიდი დრო მის მობრძანებამდე, შევძლებ! დაველოდები!

– აბა, შენ რას გვირჩევ, შვილო, როგორ მოვიქცეთ, თვითონ როგორც ამბობ, მეტი უნდა იცოდე, შავ ძალებთან გაქვს საქმე...

– ამ საქმეს აღარაფერი ეშველება, მხოლოდ ნუ დამიშლით ღამით სიარულს, მე სახლში მაინც არ გამაჩერებენ და თქვენი დაჟინებული თხოვნით – „გარეთ არ გავიდე“, – მეშინია თქვენც არ დაგიშავდეთ რამე!

ელგა ისევ თავზე ხელებშემოჭერილი და გაოგნებული იჯდა, გაგის კი თვალწინ წარმოუდგა შვილის დაბადების დღე და ფიქრებმა გაიტაცა:

– თქვენი თანხმობა გვესაჭიროება, ბატონო გაგი! – უთხრა გინეკოლოგმა, კოკი დარჩიამ, სამშობიარო სახლის წინ დერეფანში მოლოდინე გაგი მშვენიერაძეს.

– რაში მდგომარეობს ჩემი თანხმობა, ბატონო კოკი? – შეიცხადა ექიმის ნათქვამი, თვითონ ექიმმა გაგი მშვენიერაძემ.

– ბავშვი არ ტოვებს დედის ორგანიზმს, გარდაუვალია ოპერაცია და ამიტომ თქვენი თანხმობაა საჭირო.

– რაც აუცილებელია უნდა გაკეთდეს, ამისათვის სრულებითაც არ არის ჩემთან შეთანხმება საჭირო.

– საქმე ისაა, რომ შეიძლება ოპერაცია უშედეგოდ დამთავრდეს, ან ერთ–ერთის დაღუპვით, ორივეს გადარჩენა მხოლოდ სასწაულს შეუძლია!

– იმოქმედეთ! ნუღარ დააყოვნებთ! იჩქარეთ!

ორიოდე საათის შემდეგ მომღიმარი სახით გამოვიდა საოპერაციო ოთახიდან კოკი დარჩია და გაგის მიუახლოვდა:

– მომილოცავს ვაჟის შეძენა, გაგიზარდოს ღმერთმა, ნამდვილად უნიკალური ექსპონატია!

– დედა? დედა როგორ არის?

– სასწაულით ისიც გადარჩა, მართალია რეანიმაციაში მოვათავსეთ, მაგრამ გადარჩენის სრული გარანტიაა, თუმცა შენმა ვაჟკაცმა თავისი დედა ერთი შვილის ამარა დატოვა.

– ეს როგორ გავიგოთ, ექიმო?

– სამწუხაროდ, მომავალ შვილებზე ფიქრიც ზედმეტია!

– თვითონ ბავშვი როგორია, ნორმალური დაიბადა?

– კი ნორმალური, წონით, ზომით, მაგრამ ჩემი ნახევარსაუკუნოვანი მუშაობის პრაქტიკაში მსგავსი შემთხვევა არ მქონია და ვფიქრობ, მედიცინის ისტორიაში იშვიათ შემთხვევად ჩაიწერება.

– იშვიათი შემთხვევა? კარგ შემთხვევასთან გვაქვს საქმე თუ ცუდთან?

– აბა, როგორ აგიხსნათ? ხომ გითხარით, მსგავს შემთხვევასთან საქმე არ მქონია–მეთქი, ბავშვი ნორმალური დაიბადა, ნორმაზე მეტიც, ექვსი კილოგრამი და ექვსასი გრამი. სიგრძით სამოცდაექვსი სანტიმეტრი, ნამდვილი ვუნდერკინდია, ამიტომ გაუჭირდა დედის ორგანიზმის დატოვება.

– მერე ეს კარგია თუ ცუდი?

– ალბათ, კარგია, ბავშვი ასაკოვანივით გამოიყურება, მაგრამ რაც მოგახსენეთ ეს როდია გასაოცარი, ბავშვს ტანი მთლიანად დაფარული აქვს წაბლისფერი თმით, თავის უკანა მხარეს, რომელსაც თხემი ეწოდება, შავი თმის მოზრდილი ასოებით სამი ექვსიანი აწერია, ხელებსა და ფეხებზე ექვ–ექვსი თითი აქვს, თქვენი გამოთვლითა და საექიმო ექსპერტიზმის დასკვნით, ბავშვი შვიდი თვისა და ოცდაერთი დღისაა ესე იგი ორასოცდაცამეტი დღის, რაც ექვს თვეს, ექვს კვირას და ექვს დღეს შეადგენს. ბავშვი მეექვსე თვეს დაიბადა, ექვს რიცხვში, ექვს საათზე. ნამდვილად მაოცებს ამდენი ექვსიანები, რაც, არა მგონია, შემთხვევითი იყოს და ალბათ შენც კარგად მოგეხსენება იმის ძალა და მნიშვნელობა...

– თქვენ იმდენ რამე მითხარით, რქები და ჩლიქებიც ხომ არა აქვს, კოკი ბატონო?

– არა! როგორც მოგახსენეთ, რქების ადგილზე სამი ექვსიანი აწერია შავი თმით ამოსვირინგებული, ხოლო ჩლიქების ადგილზე ექვს–ექვსი თითი აქვს. თუ თქვენი თანხმობა იქნება, თითების ოპერირება გავუკეთოთ, რომ გაზრდილს ნაკლებად დაეტყოს ნაოპერაციები და არც ბავშვის მახსოვრობაში დარჩება ზედმეტი სხეულის არსობა.

– ხომ არ აჯობებდა, როგორც ღმერთს გაუჩენია, ისე გაიზარდოს?

– ეს ჯერ კიდევ არავინ იცის, ღმერთმა გააჩინა თუ სატანამ, მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს, ბუნებაში გამორჩეული, არასოდეს არ არის ლამაზი, აბა სად გინდა ექვსთითიანი ბავშვი გამოაჩინო? ყოველთვის შეკვეთებით უნდა შეუკეროთ, ხელთათმანები და ფეხსაცმელი, ვერც ვერასოდეს გაიხდის, რომ არავინ დაინახოს.

– კარგი, იყოს ნება თქვენი, დაამსგავსეთ ადამიანს და სულიერი მამა–ნათლია გახდებით ბავშვის.

– ყველაფერი გითხარით, მაგრამ, რაც მთავარია, ჯერ კიდევ არ მითქვამს.

– კიდევ რაღა გინდა, ნაღდად გამაგიჟებ, კოკი, მითხარი მართლა ეშმაკი ხომ არ მიმეპარა ცოლზე?

– რა მოგახსენოთ, ეშმაკს ყველაფერი შეუძლია, არასოდეს ვყოფილვარ ეგ, ვერაფერს გეტყვით ეშმაკის არსებობის შესახებ, მაგრამ მსგავსი რაღაც რომ არსებობს ბუნებაში, ამაში ეჭვიც არ მეპარება...

– დაასრულე ბარემ, კიდევ რა ნახე იმაზე უარესი, რაც მიამბე!

– რა ვნახე და ბევრი მინახავს და ბევრიც ამიყვანია პერანგით ან ქუდით დაბადებული, მაგრამ პირველი შემთხვევაა, თქვენს ვაჟს სისხლით სავსე პერანგი ხელში ეჭირა, ისტორიულად მხოლოდ ერთი შემთხვევაა ცნობილი, ჩინგიზ–ყაენი (თემურ–ჩინი) დაბადებულა ასეთი!

– კოკი ბატონო! ეს მსგავსება კარგ მდგომარეობას მივაწეროთ თუ ცუდს? – აბა, რა გითხრათ, ჩინგიზ–ყაენი მართალია დაპყრობით ომებს ეწეოდა და, მართლაც სისხლიანი ჰქონდა პერანგი, მაგრამ თავისი ერისთვის როდი იყო ცუდი, მან გააერთიანა მონღოლთა მომთაბარე ტომები, დაიპყრო უზარმაზარი ქვეყნები, მათ შორის ჩინეთიც და ჩინეთის დამწერლობა და უძველესი კულტურა თავის ქვეყანაში შემოიტანა, განავითარა და ზენიტში აიყვანა მონღოლთა ნახევრად ველური, მომთაბარე ტომები და შექმნა მსოფლიოში უზარმაზარი სახელმწიფო, ახლა თქვენ თვითონ განსაჯეთ კარგი იყო თუ ცუდი ჩინგიზ–ყაენი. თუ კარგს ვიტყვით, მაშინ ის უნდა შევადაროთ ალექსანდრე მაკედონელს, დავით აღმაშენებელს, სუვოროვს, ნაპოლეონს და სხვა გამოჩენილ მხედართმთავარებს, მაგრამ თუ ცუდს ვიტყვით, იგივე შედარებები უნდა მოვახდინოთ, რადგან ყოველი მხედართმთავარი თავისი ქვეყნის გაძლიერებისათვის იბრძოდა. ერთი სახელმწიფო თუ ძლიერდებოდა არ დაკნინდებოდა მეორე?

– ესე იგი, თქვენი წინასწარმეტყველებიდან გამომდინარე, ჩემი ვაჟიც მხედართმთავარი უნდა გამოვიდეს!

— მაგის გარანტიას ვერ მოგცემ. მით უმეტეს წინასწარ-მეტყველების არაფერი მწამს. გაიზრდება, დრო გვიჩვენებს, კარგიც ბევრი გვინახავს და ცუდიც. ეს ქვეყანა ყველას დაიტევს, ესე იგი თქვენ თანახმა ხართ ბავშვს ზედმეტი თითების ოპერირება გავუკეთოთ.

— დიახ!

— თქვენ თვითონ ხომ არ იკისრებდით ოპერაციის გა-კეთებას?

— არა, არა, საკუთარ შვილზე ნუ ამაღებინებ დანას, იქნებ თვითონ მოაგვაროთ ეს საქმე, კოკი ბატონო.

და მართლაც, კოკიმ იმ დღესვე მოაგვარა ეს საქმე, გამოცდილ ქირურგს მოუხმო და ხუთ–ხუთი თითი დადუ-ტოვა ახალშობილს.

ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს იქნებოდა ფიქრებში ჩაძირ-ული გაგი, რომ ნიკას არაამქვეყნიური ცივი ხელი არ შეხე-ბოდა.

— რას ჩაფიქრებულხარ, მამა, შიშმა ხომ არ შეგიპყრო? ხელსაც ვერავინ გახლებს, შეიძლება ჩემი აღზრდისთვის აღაგზევონ კიდეც!

— აღზევება არ მინდა შვილო, სიკვდილის არ მეშინია, მინდოდა მხოლოდ შენ გაგემართლებინა ჩვენთვის და სამ-შობლოს მოსიყვარულე ქრისტიანი გამოსულიყავი. მადლობა ღმერთს, შენს აღზრდაში შეცდომა არსად დაგვიშვია, მაგრამ როგორც თვითონ მეუბნები ქრისტიანული აღზრდა რას გიშ-ველიდა, როდესაც ეშმაკი იყო შენს სულს დაპატრონებული? მე და დედაშენს, შვილო, ღმერთიც გვწამს და ეშმაკიც, სამოთხეც და ჯოჯოხეთიც, რადგან ერთი თუ არსებობს, არა მგონია მეორე არ არსებობდეს, რადგან კეთილი ბოროტის გარეშე არ შეიძლება იყოს ისე, როგორც ტკბილი მწარეს გარეშე. საქართველოს და ქართველ ერს თუ ჰყავს მფარველი, ესე იგი ჰყავს მტერიც, და გახსოვდეს, ბიჭო, მშობლის შეგონება: შენ ვინც არ უნდა იყო, სატანა თუ მფარველი ანგელოზი, ამას მნიშვნელობა არა აქვს, ოღონდ არ გახდე სამშობლოს მტერი!

– მამა, ხომ გითხარი, მე დღისით ვარ მხოლოდ ადამიანი, ვაზროვნებ ისე, როგორც თითოეული თქვენგანი, მაგრამ ღამით, ჩემზე მოქმედებს რაღაც ამოუცნობი ჯოჯოხეთური ძალები და ვმოქმედებ მათი სურვილისამებრ!

– მეც შენთან ერთად წამოვალ, მინდა საკუთარი თვალით ვიხილო, ვინ გამოქმედებს და რას მოქმედებ...

– მიუწვდომელია შენი ოცნება, შენ ვერ გადალახავ იმ დაბრკოლებებს, სადაც მე დავდივარ, როდესაც ვშორდები ჩემს ადამიანურ ორგანიზმს ვველურდები და საკუთარი თავი მეზიზღება, მაგრამ არ შემიძლია წინ აღვუდგე იმ ძალას, რომელიც მამოძრავებს, ეს იგივეა, სიგარეტის მწეველს რომ კვამლი ეზიზღება, მაგრამ ვერ უძლებს ცდუნებას და მაინც ეწევა, თუ ადამიანური გრძნობები შემრჩა, ვეცდები შენი ანდერძის მიხედვით ვიცხოვრო, ჩემზე კი ცუდი ფიქრი არ გაივლო გულში, არ მოკვდები ქრისტეს მოსვლამდე და ვერც დამიჭერენ, რადგან მე ვერ მაკავებს ვერც ერთი ცხრაკლიტ-ული, არა გჯერა? დაკეტეთ ყველა კარები და დაინახავთ, რომ მთვარის ამოსვლის შემდეგ სახლში აღარ ვიქნები...

– ამას მაინც შევამოწმებ, შენც ჩვენთან ერთად დაიძინებ დღეს ამ ოთახში! – თქვა გაგიმ და არა მარტო გასაღებით ჩაკეტა კარები არამედ ლურსმნებით ჩაჭედა კიდეც, ასევე ფანჯრებიც და კედლებში ჭიანჭველას ხვრელიც კი ამოქო-ლა, თუ სადმე იყო.

– კარგი რა, გაგი, – თავი ნუ მატკინე ამდენი რახუნით, თქვა აქამდის გაჩუმებულმა და თავზე ხელებშემოჭერილმა ელგამ.

– აბა, როგორ მოვიქცე, რას გვარწმუნებს, არ გესმის?

– ვაი შენ, თუ მაგისი გჯერა, ვერ ამჩნევ რომ ჭკუაზე არაა? კარებები კი არ უნდა ჩაკეტო ფართოდ უნდა გააღო და ფსიქიატრთან წავიყვანოთ...

– ფაქტი სახეზეა, ღამით დადის

– კარებები როგორც არ უნდა ჩაკეტო, შეიძლება აქედანაც გავიდეს, არის ასეთი ავადმყოფობა, მას – მთვარეული ჰქვია!

– კარგი რა... მგონი მეც გადამაგდოთ ცრუ რწმენაში და ალბათ ვეღარასოდეს ვეღარ ამოვალ ჯოჯოხეთიდან, თუ საერთოდ არსებობს.

– მე თქვენ არ შემიწუხებიხართ, უთქვენოდ ვიყავი ექიმთან – თქვა ნიკამ – ყველაფერი ვუამბე ჩემს ავადმყოფობაზე, მაგრამ აბსოლუტურად ჯანმრთელად მცნო, მხოლოდ საზღვარგარეთიდან ჩამოსულმა ერთ–ერთმა ექიმმა თქვა: – „არის ახალი დაავადება, რომელსაც „ანჰიდრატული ეკტოდერმალური დისპლაზმია“ ჰქვია, დაავადებულს არ გააჩნია საოფლე ჯირკვლები, ამიტომ გაურბიან მზეს, რადგან მზის სხივით დამწვრობას ღებულობენ, მათზე გავლენას ახდენს, ჩვენთვის ჯერ კიდევ მიუწვდომელი და ამოუხსნელი მაგიური ძალებიო“ – რომ ვუკვირდები ასეთი რამ აღმენიშნება მე და თქვენ ფსიქიატრთან მიპირებთ წაყვანას.

– აბა, შვილო, თვითონ თქვი სად წაგიყვანოთ, საჭიროებ თუ არა მკურნალობას და ყველაფერს გავაკეთებთ შენი ჯანმრთელობისათვის.

– არაფერიც არ გააკეთოთ, დედა, გამიშვით ჩემს ნებაზე ვიცი სიმდიდრე არ გიზიდავთ, თორემ ბრილიანტებით ავავსებ თქვენს სახლს ნუ დარდობთ, არავისაც არ მოვპარავ, განა ცოტას აქვს ოხრად შეძენილი? ასეთი სიმდიდრე კანონით მე მეკუთვნის...

– ხანდახან როგორ ჭკვიანურად ლაპარაკობ, შვილო, მაგრამ ბოლოს აურევ ხოლმე, შენს ნათქვამზე ჯერ გაეცინება კაცს და მერე შეეცოდები, ნუთუ შენ ვერ ამჩნევ ამას?

– ჰო ამაღამ დარწმუნდები, კარგად მომდექი მხოლოდ, ერთი კი გახსოვდეთ, არსად დაიწყოთ ტრაბახი, ჩემი შვილი, უჩინმაჩინიაო. ყველაფრის შემძლეაო და სხვა, თორემ სულ გადავიკარგები!

– აბა, კარგი შენმა აჯობოს, ჩემი გაჭედილი ხატი თუ ვერ მიცვნია ვინღა ვყოფილვარ, განა პირველად მესმის შენი ასეთი ტრაბახი? – თქვა ელგამ და ტანსაცმელიც არ გამოუცვლია ბაზარში წავიდა, საიდანაც მალევე დაბრუნდა და ოციოდე

მეტრი კაპრონის თოკი მოიტანა, ფანჯრებში საღამოს ბინდის ჩამოწოლამდე ნიკა საგულდაგულოდ გაკოჭა, რაც პოლიციის თანამშრომელ გამომძიებელს არ ეშლებოდა, როდესაც თოკის სიმტკიცესა და ნიკას გაკოჭვის ვარგისიამნობაში დარწმუნდა, გაგის უბრძანა თოკის მეორე მხარე თავისთვის ჩაება და ისე გაეკოჭა, როგორც შვილი გაკოჭა გაგიმ უყოყმანოდ შეასრულა ელგას თხოვნა და დაბორკილი დედა–შვილი არაბულ ტახტზე მიაწყო. გვიანობამდის სამივემ ერთად უსმინა ტელევიზორს, შემდეგ ელგას აღარ ახსოვს როდის ჩაეძინა, მთვარის მკრთალი შუქი ფანჯარაში იცქირებოდა. ელგა შებორკილი აღარ იყო, თოკი ლამაზად აეხვიათ და ტახტის თავზე გადაეკიდა ვიღაცის უხილავ ჯადოსნურ ხელს. ახლა კი ნამდვილად საგონებელში ჩავარდა ქალი და ირწმუნა შვილის ძლევამოსილება, ამ დროს ნიკა გომბორის მთის ყველაზე მაღალ ადგილზე იყო და დემონთან ერთად მთავარის ამოსვლით ტკბებოდა...

– როგორია? ხომ გითხარი ასეთ მშვენიერებას ვერსად იხილავ–მეთქი, – წარმოთქვა ნიკამ, რომელიც ამომავალ მთვარეს ბადროს სიხარულით შესცქეროდა.

– მართლაც ლამაზია! – ჩაიბუბუნა დემონმა.

– ჰო და, ვისაც სული უდგას, ასეთ სილამაზეს დასაღუპავად არ გაიმეტებს და არ მოუსპობს ადამიანს იმის ტრფობის საშუალებას...

– ადამიანს რომ ჰქონდეს მერე მე რა?

– შენც უცქირე და ადამიანმაც უცქიროს, სილამაზე ცქერით როდი ცვდება?! ამით შენ რა დაგიშავდება?

– არ მინდა მე ადამიანთან მეგობრობა!

– ჩემთან თუ მეგობრობ, რა არის ცუდი?

– შენ ეშმაკი ხარ!

– მე ორივე ვარ, ეშმაკიც და ადამიანიც, ამიტომ ვარ ძლიერი, არ გინდა იყო ჩემსავით ძლიერი?

– არ მინდა, თუ დაგჭირდე დამიძახე, მე ჯინი მქვია! – ისევ დაიბუბუნა დემონმა და ტყეში გაუჩინარდა...

* * *

ნაწარმოების ეს სიუჟეტი ვიღაცას ზღაპრად მოეჩვენება, თუმცა შემოქმედებაში ახალი არ არის დემონთა თარეში დედამიწაზე. ერთ დროს პუშკინიც წერდა მსგავს ზღაპრებს ნუთუ ასეთი ზღაპრები იყო მისი შემოქმედებაც? ნუთუ იმ დროსაც ბატონობდნენ შავი ძალები დედამიწაზე?

* * *

ახალდაბის ავეჯით გაწყობილ საძინებელ ოთახში ნიკამ სინათლე ჩართო, ტახტზე გაშოტილი მამაკაცი შეიშმუშნა, თვალებში მუშტი ამოისვა და ბრძანების კილოთი წარმოთქვა: – გამორთეთ! – მაგრამ როდესაც მისი ბრძანება არავინ შეასრულა, გაკვირვებულმა თვალები სინათლეს შეაჩვია და შემდეგ გაახილა, ფეხებთან ტახტზე ჩამომჯდარი მამაკაცი, რომ დაინახა, მოულოდნელობისაგან გამოშტერდა და ტახტზე წამოჯდა.

– საღამო მშვიდობისა, ბატონო კოკი! – წყნარად წარმოთქვა უცნობმა – მგონი არ მელოდით, მგონი ვერც მიცანით მე ნიკა ვარ შენი ნათლული, სულ დამივიწყე ამ ბოლო დროს, ასე უნდა მირონის დავიწყება? მერე რა, რომ არ შედგა ჩვენი ნათლობის ცერემონიალი, ვერ მომაქციე, ვერ მომარჯულე, რა შენი ბრალია?!

– ვინ ვარო? ნიკა? ნათლული? ასეთი არ მაგონდება, თუ გინდ მახსოვდეს კიდეც, მერე რა გინდა? – თვალების ჭუტვითა და ნამძინარევი ხმით იკითხა კოკო დარჩიამ.

– არაფერიც არ მინდა ნათლი, შენ რომ დამივიწყე იმიტომ მოვედი, თავი მინდა შეგახსენო და ცოდვებისაგან გაგანთავისუფლო.

– თუ კაცი ხარ ნუ მაწუხებ, აქედან წადი და კარები გაიხურე, ყველამ თავის ცოდვებს მოუაროს, მე კი არა, ადამმა სცოდა, მაგრამ შეუნდეს?

– შენი და ადამის ცოდვა განსხვავდება. ის სიკეთის ცნობაა, შენ ბოროტების მსახური – მკვლელი!

– თქვენ გეშლებათ, მე არავინ არ მომიკლავს, მე მკურნალი ვარ, ექიმი მქვია, შეცდომა კი, მოდის ცხოვრებაში...

– შეცდომაც მოდის და ფულიც, ხომ სწორია?

– მას ფული არ ჰქვია, მას შრომის ანაზღაურებას ეძახიან, გაიგე?

– კარგი პროფესია გაქვს ექიმო, სიკდვილშც ფულს გიხდიან, ზოგს კი ციხეში სვამენ.

– შემთხვევას ვერ დაემალები, ძალით კი არავინ მომიკლავს!

– აბორტი ნებაყოფლობითია?

– აბა, ძალით მიუვარდი ვინმეს და მუცელში წიხლი ჩავცხე? ამას დედის მუდარის შემდეგ ვაკეთებ და რა ჩემი ბრალია?

– იმ დედასთან ერთად შენც ხომ სიკდვილის მონაწილე ხარ, დაგითვლია რამდენი გენიოსი მოგიკლავს?

– მათ შორის სატანაც ბევრი იქნებოდა, ვის შეუძლია ამის გარჩევა?

– არა შენ სატანას არ კლავ, მას მხოლოდ თითებს აჭრი, რას მემართლებოდი, ვყოფილიყავი ისეთი, როგორიც დავიბადე, შენ მე ძალა წამართვი, ახლა არც ადამიანი ვარ და არც სატანა.

– მე ყოველთვის ვაკეთებ სიკეთეს და თუ ისე არ გამოდის, როგორც საჭიროა, ჩემი ბრალი არ არის. მე შენ ადამიანური სილამაზე დაგიბრუნე, ცოდვად არ მეთვლება, თუ შენი სული ეშმაკს გამოვტაცე, ვიცი ერთ დღეს მომკლავენ სიკეთისათვის, მაგრამ რიჩარდ ბეკინიც ხომ მოკლეს სათვალის გამოგონებისათვის. მიზეზად ის მოუდეს, რომ ქვეყანას ისე უნდა უცქირო, როგორც ღმერთმა შეგქმნაო... კლდეზე მიაჯაჭვეს პრომეთე ადამიანის გათბობისათვის, მე კი ეშმაკისეული თითის მოჭრისთვის მიპირებენ სიკვდილს, დაილოცოს უსამართლობა, რადგან ამას სამართალი არ ჰქვია ...

– დიახ! სწორად გამოუტანე შენს თავს განაჩენი, მინდოდა მეცქირა ქვეყნისათვის ისე, როგორიც დავიბადე. მე ჩემს

სიმახინჯეში უზარმაზარ სილამაზეს მივჩერებივარ და სხვას თუ არ მოვეწონები დიდად არც ვნაღვლობ.

– მე სულ არ მინდა გადაგვარდეს ეს ლამაზი ქვეყანა და მშვენიერების ნაცვლად საშინელებამ დაისადგუროს ვიცი გავიმარჯვებ, რადგან სიმახინჯეს ვებრძვი, შენ კი სილამაზეს, მე ბოროტებას, შენ სიკეთეს და თუ ოდესმე „ბოროტსა სძლია კეთილმან“, გამარჯვება ჩემია!

– რომელ სიკეთეზე ლაპარაკობ აბორტმახერო, შენი ხელები ჩვილთა სისხლითაა გაჟღენთილი, ერის კაცს ეძახი საკუთარ თავს, სამშობლოს სადღეგრძელოს ჯიხვის ყანწით მიირთმევ და განა ვერ ამჩნევ, რომ იმის სისხლით ქეიფობ, ვისაც რამოდენიმე საათის წინ სიცოცხლე მოუსპე? უდღეურ ბავშვებს სანაგვეზე ყრი, შვილმკვდარ დედას უკანასკნელ კაპიკებს ართმევ, რომ თვითონ მოოქროვილ ტახტზე ინებივრო. აი, ამ წუთში შენი პაციენტი სისხლისაგან იცლება და ტკივილებით იტანჯება, შენ მიერ უხეიროდ გაკეთებული ოპერაციის შედეგად, შენ კი მთქნარებისაგან კვდები, როდესაც მათ გასაჭირს იგონებ. „გიყვარდეს მოყვასი შენი ვითარცა თავი შენი“, გითხრა შენ იმან, ვისაც უნდა უსმინო და არ უსმენ. შენ მხოლოდ შენი თავი გიყვარს, მოყვასს ფულში ცვლი, ამას რა ჰქვია, ერის სიყვარული?

– შემეშვი, არ მოვკვდე ამდენი შეგონებებით შინ და გარეთ, შენც ხომ ჩემი თანამოსაქმე ხარ, ფულს რომელსაც ახლა მოგცემ, იმ შვილმკვდარ დედისაგან არის მოცემული, რომელიც ძალზე გებრალება, როგორ მოიქცევი ფულს დატანჯულ დედებს მიუტან თუ თვითონ გამოიყენებ?

– საბრალო, სიკდვილის წინაც ფული გელანდება? მე ხომ ფულისთვის არ მოვსულვარ, ნუთუ არ იცი, რომ ცხოვრებაში არსებობს სხვა ანგარიშსწორებაც!

– რა ანგარიშსწორება, რა მმართებს შენი?

– თითები!

– თითები კი არა, სიმახინჯე!

– დიახ! სიმახინჯე, კეთილი ინებე და დამიბრუნე ჩემი სიმახინჯე!

– მორჩი რა ბაზარს, ყველას მიეცა ლაპარაკის უფლება, შენისთანები მილიონი მყავს გადაყრილი სანაგვეზე, ლაწირაკები, მოდიან და ვისთან ლაპარაკობენ არ იციან!

– მომისმინე ნათლი, რატომ ხარ ასე აგრესიულად განწყობილი? მეც რომ სანაგვეზე არ მომისროლე? ო, ო, ო, ძალზე დიდი სიკეთე არგუნე ხალხს ჩემი გაჩენით, სანამ ისინი დაგიფასებდნენ ამაგს, მე გადაგიხდი პატივისცემას არა, მოემზადე, ადექი! – ცეცხლოვანი თვალები შეანათა ნიკამ აბორტმახერს და მოხდა საოცრება, კოკო მონუსხულივით ადგა ლოგინიდან.

– გამოაღე ფანჯარა! – ისევ გაისმა ნიკას ხმა და კოკომაც უხმოდ შეასრულა ბრძანება.

– შედექი ფანჯარაზე და ის ვარდი მოწყვიტე ფანჯრის მიღმა რომ მოჩანს!

კოკო ფანჯრის რაფაზე დადგა, წინ ხელი გაიწოდა და გაფრინდა.

– ეჰ, მაღალია მეცხრე სართული, როდის ჩაფრინდება ბოლომდის! – სინანულით წარმოთქვა ნიკამ და როგორც რამდენიმე წუთის წინ უბრძანა კოკომ – კარები გაიხურა...

* * *

– გაიღვიძე გაგი, გაიღვიძე! – შეანჯღრია საყვარელი მეუღლე ელგამ, როდესაც საკუთარი თავი ბორკილებისგან გაითავისუფლა და თოკი ტახტზე გადადკიდებული დალანდა. – გაგიმ ზანტად გაახილა თვალები და გაიღიმა:

– შენ თვითონ გაითავისუფლე თავი და გინდა შემაშინო?

– არა, შენს თავს ვფიცავ, აი, ასე გამომეღვიძა როგორც მხედავ.

– არც წასვლა გაგიგია?

– არა!

– კარები და ფანჯრები შეამოწმე, ისევ ჩაკეტილია?

– როგორც ჩაჭედე, განძრეულიც არ არის არაფერი!

– დიდება უფალს, მგონი ვიწამო სასწაულები, იცი, ელგა? არ მჯეროდა მოსკოვის ციხის სასწაულები და მგონი ახლა ყველაფერი ვიწამო. მოსკოვის საგუბერნიო ციხე 1771 წელს ააშენა არქიტექტორმა ვინმე კაზაკოვმა და დღესაც განთქმულია შეუვალობით, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამ ციხიდან ვინმე გაქცეულიყოს, მაგრამ მისი არარაობის დასამტკიცებლად ამერიკიდან ცნობილი მაგი გარი ბუდინი ჩამოვიდა, გარის ხელებზე და ფეხებზე ბორკილები დაადეს, პატიმრების გადასაყვან საგანგებოდ შეკრულ მეტალის ყუთში ჩასვეს და ჩაკეტეს. ოცდარვა წუთის შემდეგ ყუთში დამსხვრეული ბორკილები იპოვეს, გარი გუდინი კი ციხის კედლების მიღმა დასეირნობდა, ამ ამბავს პრესის გასამდიდრებელ მასალად ვთვლიდი, ახლა კი მწამს ჩვენი შვილიც შეძლებს გუდინის მსგავს ფოკუსებს!

– გაოგნებული ვარ, არც მჯეროდა, თუ არსებობდა ადამიანზე მაღალი ზებუნებრივი ძალები, ყოფილან, მაგრამ რაღა ჩვენს ოჯახში დაიბადა მაგები და ქაჯები, ნეტავი რა დანაშაული მიგვიძღვის ღმერთის წინაშე, ან ვინ იყო ჩვენი წინაპარი მაგი, რომ ნიკა მას დამსგავსებოდა?

– ეჰ, ვინ იცის, რამდენი ოჯახური საიდუმლოა ბურუსით მოცული, ეს ჩვენთვის რჩება ფასეული. თურმე ღმერთი ყველაფერს ხედავს და საშვილიშვილოდ ასწორებს ანგარიშს, ვინ იცის, იქნებ არ გვპატიობს უფალი წინაპრებისაგან დაღვრილ სისხლს და ანგარიშსწორება ჩვენ გაგვიწია...

– არასწორად მესახება ასეთი სამართალი, წინაპრებმა დააშავეს. ადამმა, ევამ, გველმა თუ პრომეთემ ყველაზე ჩვენ ვაგოთ პასუხი? ამას ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსი ჯობია, ამ ფონზე ის უფრო ჰუმანურად მეჩვენება.

– როგორ გეკადრება, ყველაფერი სწორად არის გათვლილი და გათვალისწინებული, რადგან ადამიანი მოკვდავია და შთამომავლობისათვის იბრძვის, ესე იგი თვითონ ქმნის

უკვდავებას, გვარის გაგრძელებითა და შთამომავლობის გაძლიერებით, ამიტომ ცოდვებსაც უნდა მოერიდოს, რათა შთამომავალი არ ჩავარდეს განსაცდელში, წინაპართაგან გაუთვალისწინებელი ცოდვების გამო. ზოგი ამბობს – „მე ჩემი ავაგორ–ჩავაგორე, აწი ქვა–ქვაზეც დადულებულაო“ – უარეს სიტყვას ვერ იტყვის ვერც ერთი ზნედაცემული ეგოისტი, ღმერთი დასაღუპავად არავის იმეტებს, წესრიგი ადამის დროიდანვე დააწესა უფალმა, ადამიანები კი ღმერთის საწინააღმდეგო კანონებს ქმნიან, შეთითხნილი მორალით უზნეობისაკენ მოუწოდებენ მოძმეთ, ამით ხომ ღმერთსაც ვაწუხებთ და ადამიანებსაც, ვერ ვამჩნევთ, რომ არ დადის კაცის შეგნებამდე, რომ ღმერთზე უკვეთესად ჩვენ ვერაფერს შევქმნით, შენ კი მეუბნები: „ჩვენი კანონები ჯობიაო ღმერთისას“. თვითონ ცოდავ და წინაპრებს აბრალებ, ყველა უმეცარი ქადაგებს თავის უმეცრებას, რადგან ბრძენად უნდათ მოგვაჩვენონ თავი, ღმერთი კი დუმს და დამსახურებისამებრ გვანიჭებს სიბრძნეს, მე და შენ ცხოვრების სიდუხჭირე გვერგო წილად, თუ გულთან მივიტანეთ ეს სიმძიმე, შეიძლება გასკდეს, ალბათ გრძნობასთან უკვე მივიტანეთ, სიჩლუნგეს ვამნევ თავს მგონია, ტვინი დამრჩა საღი... ვიფიქროთ, იქნებ გამოვნახოთ ნიკას გადარჩენის გზა...

ნიკა ამ დროს აუჩქარებელი ნაბიჯით გავიდა ქალაქგარეთ. გარიჟრაჟს უნდა შეხვედროდა ტყეში, მოხიბლულიყო ამქვეყნიური სილამაზით, შეხვდა კიდეც და უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა – რა მოკლეა, ვერ მოასწრებ დატკბე ამ მომხიბლავი სილამაზით და უკვე გათენებულია...

მზე ამოვიდა, სხივები უსაშველოდ აცხუნებდა, თმას ურუჯავდა და ჩრდილს ეტანებოდა, დღის სინათლეს მაგიური ძალა გამოსცლოდა და დაღლას გრძნობდა. ფერდობზე კაცი შენიშნა, ყანას თოხნიდა, მიუახლოვდა, სალამი უთხრა და მუხის ჩრდილში ჩამოჯდა, კაცმა ქუდით მოიწმინდა ოფლი, თოხი დაასო, ყუაზე მიწა ფეხით შემოაყარა, რომ არ წაქცეულიყო და მგზავრთან მივიდა.

– კეთილი იყოს თქვენი ფეხი – კაცმა ხელი გაუწოდა.

– კარგ მოსავალს გისურვებ! – ხელი შეაგება ნიკამ.

– გმადლობთ, მაგრამ რაღა კარგი მოსავალი, გვალვები დაიჭირა ნამეტანი, თუ ასე გაგრძელდა მიწაშივე ამოუხმება ფესო ჭირნახულს.

– ეჰ, როდის იყო ისეთი კარგი მოსავალი, გლეხი რომ გაძღა? მიწას ებრძვი ზამთარ–ზაფხულ, დილიდან–საღამომდის, და რას იმკი?

– რატომ, შვილო, შარშან კარგი მოსავალი იყო?!

– რას ეძახი კარგ მოსავალს?

– ნორმალურად მოვიდა სიმინდი, ლობიო, კარტოფილი, კომბოსტო, ყურძენიც ბლომად მოვიწიეთ, კარგი ღვინო დადგა!

– იშრომო, მოიყვანო, შეჭამო, ამას ჰქვია ცხოვრება? მხოლოდ მუცლისთვის უნდა ღვარო ოფლი, მჭადი და ლობიო თუ გაქვს საძღომად, კარგი ცხოვრებაც ამას უნდა დავარქვათ?

– ეჰ, შვილო, ჯერ ახალგაზრდა ხარ, როგორც გატყობ არ იცის შრომის ფასი, ჭირნახულს თუ ოფლის სუნი არ დაჰკრავს, გემოს ვერ გაუსინჯავს მშრომელი კაცი, იმიტომაც ჰქვია ადამიანის საკვებს ჭირნახული. მისი მოპოვებისათვის კაცმა ოფლი დაღვარა და ჭირი შეიყარა, მაღაზიაში პურს, რომ ყიდულობთ, თუ დაფიქრებულხართ რომელი ხე ისხამს? ალბათ გიკვირთ, ასე იაფად რომ კრეფენ... მეც რომ თქვენსავით ვიფიქრო და ჩემმა მეზობლებმაც, იმ ხალხმა, ვინც პურსა და საკვებს გიგზავნით და ქალაქში თავის სარჩენად, რა მოხდება? ჩვენ თუ არ ჩამოვიტანეთ, თქვენ რას იყიდით?

– რას ჰქვია ბედნიერება, ლუკმისთვის ოფილისღვრას? რას გაძლევს შენი ნაშრომი, ცხოვრობ კომფორტულად? გაქვს საკუთარი სახლი, ავეჯი, საკუთარი ავტომობილი?

– რაც ჩამოთვალე ეს ყველაფერი ფუფუნების საგნებია, სრულებითაც არ მჭირდება უზარმაზარი სახლი, რომლის დასუფავებასაც დიასახლისი ვერ შეძლებს, არც ,,გაპრიალე-

ბული ჯირკები“ იმპორტული ავეჯი მჭირდება, რომლის ლეიბები სინთეტიკური ნარჩენებით არის გამოტენილი, ჩვენებური ქართული მირჩევნია, მატყლისაგან დამზადებული, ლეიბი და საბანი, მადლობა უფალს, ავტომობილი მაქვს, საჭიროების შემთხვევაში მემსახურება კიდეც. ამასთან ერთად, იალაღზე გაშვებულ ჯეირანის ჯოგს ვგავარ ოჯახით, ოთხმოცდათორმეტი წლის კაცი ვარ, ჯერ წამალი არ გამისინჯავს. შვილები, შვილიშვილები და მათი შვილები სიგარეტსაც კი არ ეწევიან. ჯანმრთელობაზე უკეთესი რა უნდა ინატროს კაცმა?! ჩვენი „მრავალჟამიერი“ ღმერთს ესმის და, ასე მეგონია, ჩემი ოჯახის ლოცვითა და სიმღერით მთელ საქართველოს ვაწვდი სულიერ სარჩოს.

– მგონია ქალაქის ცხოვრება ჯობია მაინც. შრომა არ არის დიდი!

– ადამიანს შრომის არ უნდა ეშინოდეს, შვილო, შრომა სპორტია, სპორტი კი ჯანმრთელობა და სიცოცხლის ხანგრძლივობაა, ჩემი უმცროსი ძმა ცხოვრობს ქალაქში, შეძლებულ ოჯახში შევიდა ზედსიძედ, სახლი მუზეუმი გეგონება, რომელი ქვეყნის ჭურჭელი გინდა, რომ იქ არ იყოს გამოფენილი, ბევრჯერ წვეულებაც ჰქონდათ ოჯახში, ქორწილიც, მაგრამ საგამოფენო ჭურჭელი არავის უხმარია, არც გამოუღიათ კარადიდან. ეს რას ნიშნავს, რაც არ გვესაჭიროება, რისთვის ვიძენთ? მაკვირვებ მოოქროვილ თეფშებს, დამისხი ზედ ლობიო, უფრო ახლოს დავინახავ და ვისიამოვნებ იმის სილამაზით, „შენახული ეშმაკის არისო“ – უთქვამს ჩვენს წინაპარს და ქრისტიანმა ღვთის მსახურმა კაცმა ეშმაკს როგორ უნდა შეუნახო განძი და დიდება? ნუთუ არა გყავს ვინმე ახლობელი, თუ არა გყავს, გახსოვდეს, ყველა ადამიანი შენი ახლობელია და გაეცი ის, რაც არ არის შენთვის წილი?

– ეშმაკსაც ხომ უნდა ადამიანისაგან თავისი წილი?

– ეშმაკს ეშმაკმა მისცეს, ღვთიური ადამიანისაგან, რომელსაც ქრისტე მფარველობს ანგელოზებით. ვერაფერს წაიღებს სატანა.

– სასიამოვნოა თქვენთან საუბარი, კეთილი ადამიანი ბრძანდებით, გნებავთ ამ ყანას გაგითოხნით უსასყიდლოდ!

– არა, არ მინდა, დიდი მადლობა, ყანა რომ შენ გაგათოხნინო, მერე მე რაღა გავაკეთო? ხომ მოვკვდი ტყუილა ყოფნით?

– კარგად ბრძანდებოდეთ, დიდი მადლობა საუბრისთვის, – თქვა ნიკამ და ფეხზე წამოდგა, თუმცა ძალზე უჭირდა მთის სასიამოვნო ჰაერისა და ჩრდილის დათმობა, მაგრამ მაინც უნდა წასულიყო!

– მოიცა, კაცო, სად მიდიხარ? – ფეხზე წამოიჭრა მოხუცი – სოფელში რომ კაცი შემოვა, ის მთელი უბნის სტუმარია, როდი გკითხეთ სად მიბრძანდებით, ან სად ბრძანდებოდით, მე ჩემი მოვალეობა მაკისრია, თქვენ–თქვენი. აგერ, საგზალი მაქვს წამოღებული, დამილოცე ყანა, ვინ იცის, შენმა ლოცვამ წვიმაც კი მოიყვანოს... მოხუცი ჭაბუკივით ტრიალებდა, ამ სიტყვებთან ერთად მუხის ტოტზე ჩამოკიდებული აბგა ჩამოხსნა, ჩრდილში ტილო გაფინა და ზედ კეცზე შემწვარი წიწილა დახია, ყველი, პური, მწვანილი და მჟავე. ჰო, მჟავე, მკვახე პამიდვრისა, შუაზე გაჭრილი და ნივრიანი მწვანილით ამოტენილი, სიმინდის ნაქუჩით თავდახურული დოქიდან ალისფერი ღვინო გადამოიღვარა... ნიკა პირველად შეესწრო ასეთ საგზალს და გაკვირვებული შესცქეროდა ხან სუფრას და ხანაც მასპინძელს.

მოხუცმა სუფრას ჯვარი გადასახა და ღვინით სავსე თიხის ჯამი აიღო. ნიკას გააჟრჟოლა, მაგრამ ადამიანურმა ცდუნებამ სძლია, ღვინით სავსე ჯამს ხელი გადაუსვა, თითქოს ჯვარის გამოსახულება მოაშორა და მოხუცს მოუჭახუნა.

– დიდებაი მაღალსა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა მშვიდობაი და კაცთა შორის სათნოება! დიდება უფალს, ცხოვრება ჩვენი ღმერთისაგან არს ნათელი, მოგვმადლოს უფალმა და გადმოღვაროს ნათელი ჩვენზე – დაილოცა მოხუცმა და ჯამი დასცალა.

ნიკამ ვერ შეძლო გაემეორებინა მასპინძლის წარმოთქმული სადღეგრძელო, მაგრამ გამოსავალი მაინც გამონახა:

– შენ გაგიმარჯოს, კეთილო კაცო! შენს ოჯახს გაუმარჯოს! შენს ყანასა და ვენახს გაუმარჯოს! შენს ჯიშსა და ჯილაგს გაუმარჯოს, შენს სამშობლოს, შენს საქართველოს გაუმარჯოს! – ნიკამ ჯამი გამოსცალა, სხეულში რაღაც არაადამიანური სითბო ჩაედვარა მოხუცმა ჯამები შეავსო, ახალი სადღეგრძელო წარმოთქვა. ახლა კი სიტყვა– სიტყვით გაიმეორა ნიკამ მოხუცის ნათქვამი, რადგან სადღეგრძელოში შემოქმედი არ უხსენებიათ, ჯამები დაცალეს, წუთიერი სიჩუმე ჩამოვარდა. სტუმარმა გადაწყვიტა მოხუცი გაეკვირვებია და წარმოთქვა:

– თქვენ მგონი წვიმა ინატრეთ, გინდათ გავაწვიმო?

– ერთსაც თუ დალევ ბიძიკო, შეიძლება მოათოვიო კიდეც! – ღიმილით წარმოთქვა მოხუცმა.

– როგორ, არა გჯერათ? – გაიკვირვა ახალგაზრდამ.

– როგორ არ მჯერა, მაგრამ არ მინდა დავსველდე, ნამეტანი ხალვათად ვარ წამოსული... – ისევ გაეღიმა მოხუცს. არა და რომელ წვიმაზე შეიძლებოდა საუბარი, ცაზე ერთი ქელა ღრუბელიც არსად მიეძებნებოდა და მზე ისე მძლავრად აცხუნებდა დედამიწას, რომ სიმინდს ყანაში ფოთლები იხრუკებოდა... ნიკამ იგრძნო მოხუცის დაცინვა, ველარ მოითმინა, ჩრდილიდან გამოვიდა. მართალია, მზე ცეცხლს უკიდებდა თმაზე, მაგრამ მაინც მოაფათურა ცაზე ხელი, თუ სადმე ღრუბელი იყო, წამოიღო და მასპინძლის ყანის თავზე მოუყარა თავი. მუხის ფოთლებში მზე სხივის გამოპარებას ცდილობდა, ყანას კი შავი ღრუბელი ჩამოაწვა და კოკისპირული წვიმა დასცხო...

მოხუცმა ეჭვის თვალით შეათვალიერა სტუმარი.

– საიდან დაინახე, რომ ღრუბელი მოდიოდა? – წამოთქვა და ჯამები შეავსო მასპინძელმა. ნიკამ ჯამი აიღო. დიდი მადლობა გადაუხადა მოხუცს პურ–მარილისთვის.

– მოიცა კაცო, სად მიდიხარ ამ მეორედ მოსვლაში! – გასძახა მოხუცმა მიმავალ ნიკას და ყანისაკენ გაიქცა. რომ თავისი თვალით ენახა მზეში წვიმა და ცოტა გაგრილებულიყო კიდეც.

ნიკა კი მიდიოდა ჩაფიქრებული, თავზე გაზეთდაფარებული.

– ძნელია ასეთი ხალხის დამარცხება, შეუძლებელიც კი, – ხმამაღლა ელაპარაკებოდა საკუთარ თავს და მიდამოს ათვალიერებდა, გიჟი არავის ვეგონოო, თუმცა გიჟი გაცილებით ჯობდა და გაახსენდა თუ როგორ უთხრა ღორმა მეღორეს „შე მეღორეო“ – თითქოს ღორი ჯობდა მეღორეს...

– ქართველი კაცი, – განაგრძო ხმამაღლა ფიქრი – ჭამის წინ ღმერთს ახსენებს, სადღეგრძელოც ღმერთს ეკუთვნის პირველი, საკმეველსაც ღმერთს უნთებენ პირველად, დასაბამიდან სარწმუნოება აქვს სისხლში გამჯდარი, იცის პირველად ღმერთმა ადამიანი შექმნა, შემდეგ ეშმაკი, ესე იგი ღმერთი თუ უფრო ძლიერია ადამიანზე და ლოცულობს მასზე, ლოგიკურია – ადამიანი უფრო ძლიერი ყოფილა ეშმაკზე და ვალდებულია ეშმაკმა ილოცოს ადამიანზე, ეშმაკმა ადამიანი თუ არ შეიყვარა ღმერთს ვერ დაამარცხებს, რადგან გაერთიანებული ძალით ებრძვიან სატანას ჩვენ კი ადამიანსა და ღმერთს ერთდროულად დავუწყეთ ბრძოლა, აი, შეცდომაც! მართალია, ბევრი ადამიანი გადმოვიბირეთ. უმეტესობა ფულით, მაგრამ ბევრი მათგანი, რომ გაძღა, მაინც ღმერთს შესწირა მადლი წარმატებისათვის, არავის უნდა ჩვენი სიმდიდრე, ხალხმა დაინახა ჭეშმარიტება და სულის სიმდიდრეს დაეძებს! ხალხი სილამაზეს ჰქმნის! ჩვენ ვანგრევთ, ადამიანს ნაშრომსა და ნაოფლარს რომ გაუნადგურებ, როგორ შეგიყვარებს აი, იმ ბერიკაცისთვის ყანა რომ გამენადგურებია და პურ–მარილისათვის წიხლი მეკრა, შემიყვარებდა და ჯამით ღვინოს დამალევინებდა? ღმერთი სიკეთეს თესავს და ხალხსაც იმიტომ უყვარს. სიკეთით, ლოცვითა და დიდებით მოიხსენიებენ მუდამ, ჩვენი ბრალია ყველაფერი, ადამიანისთვის არ უნდა გვეჭმია კეთილისა და ბოროტის ცნობადობის ხილი, ვერც ის შეიცნობდა ვერასდროს კეთილსა და ბოროტს და ჩვენც ისე ვიქნებოდით ადამიანთან, როგორც ღმერთები, რადგან ვერ შეგვიცნობდნენ... ეშმაკს რა გამოულევს შავბნელ აზრებს.

ახალგაზრდას კიდევ ბევრი ჰქონდა საფიქრალი და საკამათო საკუთარ თავთან, მაგრამ კლდეზე მიშენებული მონასტერი დაინახა და უნებლიედ წამოიძახა:

– რა ლამაზია!

არავინ იცის, ნაგებობათა სილამაზემ მონუსხა მგზავრი თუ სახარებამ, გადაწყვიტა კი სანამ ადამიანს წარმოადგენდა, მონასტერში შესულიყო, თორემ სულში ეშმაკი რომ ჩაუსახლდებოდა და თავის ჭკუაზე წაიყვანდა, გაუძნელდებოდა ხატებთან ბრძოლა, ალაყაფის კარები დაკეტილი დაუხვდა, ამიტომ კლდიდან არჩია მონასტერში შეღწევა. ქალებმა მონასტრის ეზოში დაინახეს თუ არა ახალგაზრდა კაცი, ერთხმად იკივლეს, წრეში მოამწყვდიეს და ვინ ქვით შეიარაღდა, ვინ კიდევ ჯოხით... ქალთა ჯგუფს ჯვრიანი ჩიხტაკოპით თავწაკრული, ხანდაზმული მანდილოსანი გამოეყო, დარბაისლური სიტყვით წარუდგა ყმაწვილს, ეტყობოდა ის დამხვდურთა უფროსი იყო, რადგან სხვებისაგან სიდინჯითა და სიტყვა–პასუხითაც გამოირჩეოდა.

– შენ რა გინდა აქ, ყმაწვილო? აქ დედათა მონასტერია! – წარმოთქვა მანდილოსანმა და ჯვარის გადასახვა დაუპირა ნიკას, მაგრამ ახალგაზრდამ არ ისურვა ქალისაგან მიელო ლოცვა–კურთხევა, ჰაერში აღმართული ხელი დაუჭირა, ძირს დააშვებინა და მეორე ხელი მოფერების ნიშნად გადაუსვა ხელზე.

– თქვენ ბრძანეთ, რომ აქ დედათა მონასტერია? – იკითხა სტუმარმა და მომნუსხველი თვალებით, თვალებში ჩახედა დამხვთურს.

– დიახ!

ხმის კანკალით წარმოთქვა უკვე ძალაგამოცლილმა მანდილოსანმა.

– მერე რომელი თქვენგანი ატარებს დედათა საპატიო სახელს?

– რას კადრულობთ ყმაწვილო! აქედან გაბრძანდით! – მადილოსანს ახლა სხვა მანდილოსანი გამოესარჩლა და ნი-

კას ხელის შეხება აკადრა, მოსულს ქალის უძლურებაზე გაეღიმა და წყნარად მიუგო:

– იქნებ თქვენ ატარებთ დედათა ღირსეულ სახელს?

– დიახ, მე და ჩემი დები! განურჩევლად ყველანი!

– თქვენ ერთმანეთს ატყუებთ და ახლაც იტყუებით! ღმერთს ასეთი თვალთმაქცობით ვერ მიუახლოვდებით! თქვენ ღმერთი მებაჟე ხომ არ გგონიათ, ახალგაზრდობა გაიხსენოთ, მაცდური ღიმილით მოხიბლოთ და უკანონოდ დაარღვიოთ სამოთხის საზღვარი! ადამიანი ღმერთის შვილია და მანამ არსებობს ღმერთის შვილი, სანამ შეცოდავდეს, ამიტომ ახ-ალგაზრდობაში უნდა იქონიოთ კლდემამოსილება სანამ ღმ-ერთს ეკუთვნით, თორემ არსებობს ისეთი ცოდვებიც, რომელ-თა მიტევებაც არ შეიძლება! თქვენ მართალს ბრძანებთ, ეს მონასტერი დედათა მონასტერი იყო, აქ ლოცულობდნენ ომში დაღუპულ მეუღლეთა ცოლები, შვილდაღუპული დედები, და-ბადებიდან შეუბღალავი ქალწულები და ისეთები, რომელთაც სწამდათ და გრძნობდნენ ღმერთის სიახლოვეს... თქვენ შორის რომელია ისეთი, რომელიც მამაკაცის ხორციელ ერთ სიყ-ვარულს დასჯერებია, დღეს რომ ღმერთის სიყვარულით არის შეჯერებული? ამბობთ „დედათა მონასტერიო“ და მეცინება, დედათა მონასტერი კი არა, საროსკიპოა! ოდესღაც სახელ-განთქმული ბრწყინვალე მონასტერი დღეს როსკიპთა თავშ-ესაფარი გახადეთ! ახალგაზრდობაში ნანარკომანალმა, ნალო-თარმა, ნაჩათლახარმა და კიდევ ნარაღაცნაირალმა ყველამ აქ მოიყარეთ თავი ცოდვების გამოსასყიდად! რას ფიქრობდით ახალგაზრდობაში, ასაკის მორევამდე? აქ მაშინ მობრძანდით, როცა თქვენი ასაკისანი, კაცებმა აღარ გისურვათ? ბოდიში, აქ მოხუცთა თავშესაფარი არ გახლავთ!

– რას კადრულობთ, ყმაწვილო, აქ სინდის–პატიოსნებით შეუბღალავი ქალწულებიც იმყოფებიან! – ახლა კიდევ სხვა მანდილოსანმა ამოიღო ხმა.

– რომელია შეუბღალავი სინდის–პატიოსნების მქონე ქალწული, ხომ ვერ მიჩვენებთ?

– მე გახლავართ, ექსპერტთან ხომ არ წამიყვანდით? გამომწვევად წარმოთქვა ორმოციოდე წლის თვალსაჩინო მანდილოსანმა, რომელიც მართლა გამოირჩეოდა თავისი სილამაზითა და ზომაზე მეტად დიდი და სავსე მკერდით, სხვა მანდილოსნებისაგან განსხვავებით, ომახიანად წარმოთქვა სათქმელი, თავის სიტყვაში თავდაჯერებულმა, ტანის რხევით თავმომწონედ გაარღვია წრე და წინ დაუდგა მოსულს.

– ოო, შეგრჩენიათ ქალბატონო ძველი პეწი და დიდება ვერაფერი დაუკლია თქვენთვის წლებს, აქაც მიმზიდველად გამოიყურებით, ნაადრევი ხომ არ იყო თქვენი აქ მობრძანება? კიდევ ბევრის გასტუმრებას შეძლებდით ჯოჯოხეთში თქვენი მკერდის სილამაზის წყალობით, თქვენ მართალს ბრძანებთ, არაა ექსპერტიზა საჭირო ნამდვილად ქალწული ბრძანდებით, როგორ გაღიაროთ?

– თქვი! თქვით! – ერთხმად დაიგმინა ქალთა წრემ.

– იტყვი და თვალებს ამოგკორტნი! – გაკაპასებული ხმით წარმოთქმა მკერდსავსე ქალწულმა და გრძელფრჩხილებიანი ხელი აღმართა, მაგრამ ვაჟის ცეცხლოვან თვალებს, რომ წააწყდა, ხელი ჩამოუვარდა, დაუძლურდა, თითქოს დაპატარავდა კიდეც, ნიკას შეებრალა და იფიქრა ეღიარებინა თუ არა ქალის დანაშაული, მაგრამ მის მკერდზე მოლივლივე რამდენიმე მამაკაცის სული შენიშნა და წამოიძახა:

– წაიყვანეთ ეს მკვლელი დიაცი და ძუძები კარგად დაბანეთ, შეიძლება კიდევ ქონდეს ზედ შემორჩენილი უძლიერესი საწამლავი, რომელსაც „ციანიდი“ ჰქვია.

ეს ხომ ძუძებს ამ შხამით იპოხავდა, შეამჩნევდა თუ არა ძვირფას ავტომანქანიან მამაკაცს, ამისათვის სულ ერთი იყო ასაკი, წამსვე ხიბლავდა მაცდური ღიმილით, კაცსაც თვალები ღრმად მოჭრილი კაბისკენ გაურბოდა, საიდანაც მაცდურად იმზირებოდა ულამაზესი მოწამლული მკერდი და კაციც კახპას მონა ხდებოდა, მაგრამ მოკლე ხნით, ვნებით გაგიჟებული მამაკაცი მკერდს ბაგეს შეახებდა თუ არა, სიტყვის თქმასაც ვერ ასწრებდა მომენტალურად იღუპებოდა, ქალბა-

ტონზე არ მოქმედება თვალებღია დარჩენილი გვამი, ის ჯიბეებს უსუფთავებდა მიცვალებულს და ხან დიდი, ხანაც მცირე ნადავლით დატვირთული ახალ მსხვერპლს დაეძებდა... თექვსმეტი წლიდან ორმოც წლამდე ითარეშა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, ხანდახან კვირაში ათ–თხუთმეტ მამაკაცს ისტუმრებდა იმ ქვეყნად. ახლა თვით ღმერთმა დაიანგარიშოს რამდენი კაცის ცოდვა აწევს ჯერ კიდევ მიმზიდველ მკერდზე ამ ცოდვილს და შემდეგ იფიქროს აქ ყოფნით ეპატიება თუ არა ცოდვები, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაანებებდა თავს, რომ პოლიციას არ მიექცია ყურადღება, მაგრამ თვითონაც იყნოსა მოსალოდნელი ხიფათი და პოლიციაზე ჭკვიანი აღმოჩნდა, თავი შეაფარა „დედათა მონასტერს“.

– დიდოუ! როგორი ყოფილა?

– აბა, აბა თავი რომ მოჰქონდა!

– გაისმა ქალთა ჩურჩული და წრე თანდათან გაფართოვდა.

– დაწყნარდით! არც ერთი არა ხართ უცოდველი, იქნებ აქ ყოფნით დაგავიწყდათ, მოდით მე შეგახსენებთ! – მკაცრად წარმოთქვა „არამკითხე სტუმარმა“ და წრე შეათვალიერა, ქალები წასასვლელად და დასამალავად იყვნენ მზად, მაგრამ ერთი–მეორის ეხათრებოდათ ასეთია ქალის ბუნება, სანამ არავინ იცის მისი წარსული, თავს უმწიკვლოდ ასაღებს მეგობრებში, ყველაზე მაღლა უნდა დადგეს და დგება კიდეც, მაგრამ როდესაც აღიარებენ, თავის ადგილს მაინც ნახულობენ ცხოვრებაში.

– ჰო, თქვენ კიდევ გყავთ, ამ ქალბატონის გარდა აქ ქალწულები, რომლებიც თავიანთი ქალწულური სიამაყით ყველა ქალს და მგონი თვით მონასტერსაც ქედმაღლურად დასჩერებიან თავზე აი, ერთიც, მთლად ახალგაზრდა, დროულად აურჩევია წმინდა სავანე, მაგრამ არა მგონია ადვილად აცდეს ჯოჯოხეთის გნიასელს, ეს გოგონა იმიტომ ამოვარჩიე, რომ აქაც საწამლავია ხმარებაში, ერთობ გასაკვირი, ასე ახალგაზრდამ სად ისწავლა ამ საწამლავების ადამიანზე ზემო-

ქმედება საიდან შეიძინა ისე დიდი რაოდენობით, რომ მთელი ქორწილის სტუმრები დაეწამლა, შეიძლება თვითონ დაამზადა, არც ეს არის გამორიცხული, დღეს ახალგაზრდობამ იმხელა განათლება მიიღო, რომ ახალგაზრდა ქიმიკოსთა ჯგუფს შეუძლია ბაქტერიო – შხამ–ქიმიკატთა ომი გამოუცხადოს მსოფლიოს.

დიახ, ეს გოგონა, რომელიც უფრო ანგელოზად გყავთ მიღებული და დიდი პოპულარობითაც სარგებლობს თქვენს შორის, არც თუ დიდი ხნის წინათ შეყვარებული იყო, მხოლოდ ფარულად, თვითონ უყვარდა, ვაჟმა კი არაფერი იცოდა თქვენი ანგელოზის სიყვარულის შესახებ, ახლოს ცხოვრობდნენ, შორეულ ნათესავებადაც ერგებოდათ ერთმანეთი, ბოლოს და ბოლოს ვაჟი დაქორწინდა, დედისერთა იყო და ქორწილიც შესაფერისი გადაუხადეს როგორც სხვანი, სოფლის ახალგაზრდები, ეს ახალგაზრდაც ეხმარებოდა ოჯახს. სულ მზარეულთან ტრიალებდა, შეუმჩნევლად მოახერხა ყველა კერძის მოწამვლა, ასე გასინჯეთ ღვინისაც კი და შედეგად ამ პატარა მხრებზე ას სამოცდაექვსი ადამიანის ცოდვა წამოიკიდა, მექორწილეთაგან უვნებლად ერთადერთი მზარეული გადარჩა, რომელიც დღესაც ციხეში იმყოფება. როგორ ფიქრობთ, ღმერთი აპატიებს ასეთ შეცდომას? ვიცი თქვენ მეტყვით, რომ ეშმაკმა ჩაადენინა დანაშაული კი ბატონო, დაგიჯერებთ! მაგრამ თუ ეშმაკმა დანაშაული, ჩაადენინა, მაშინ ეშმაკის მსახური ყოფილა და აქ რა უნდა, ამ წმინდა სავანეში? მართალია, სარწმუნოებას უნდა დავუთმოთ ფართო გზა და მივცეთ საპატიო წოდება, თორემ ეშმაკები თავის ადგილს თვითონ ნახულობენ ცხოვრებაში, მაგრამ მორწმუნეთა ადგილი უნდა განსხვავდებოდეს ეშმაკის თავშესაფარისაგან თავისი სიწმინდით, მაღალი რწმენითა და ღვთის სიყვარულით! განა აქაც პატივიმოყვარეობა უნდა თრგუნავდეს ადამიანს და საპატიო ადგილს ეძებდეს? აქაც ეშმაკის სავარძელს უნდა ეპოტინებოდე? ერთ–ერთი აირჩიე შენი სულის გამგებლად, ან ღმერთს უნდა ეკუთვნოდე, ან ეშმაკს, ღმერთთან ლოცუ-

ლობდე და ეშმაკს ემსახურებოდე, ასეთ სამსახურს არც ღმერთი გაპატიებს და არც ეშმაკი! ცოდვა რადგან გამხელილი ჯობია, დადგა ჟამი ვამხილოთ ყველა ცოდვილი... ეს სიტყვები წარმოთქვა თუ არა ნიკამ, ერთი შუახნის მანდილოსანი წითელ ტურას რომ ჰგავდა, მოაჯირს გაუყვა და ფარულად გაუჩინარებას ფიქრობდა, მაგრამ ეშმაკს რას მოატყუებ, რაც მიწაშია ის იცის და მიწის ზევით რა დაემალება?! „არამკითხემ“ შეამჩნია და თითის დაქნევით დაუძახა:

– ქალბატონო, თქვენ აი, აქ მობრძანდით, არაფერი არ გჭირს დასამალავი, სხვაზე მეტი არც ცოდვა გაქვს და არც მადლი... – წითელი ტურის მსგავსი ქალი, თითქოს ჩიტიც არ აფრენია წინ, ამაყად და ჩვეული მამაკაცთა გამომჭერი ღიმილით მიუახლოვდა ნიკას. ამ ქალში იმაზე მეტი ზიზღი დაინახა, რომლებიც საწამლავებს ხმარობდნენ ზიზღი არც დაუფარავს, ტუჩის აბზუებით ჰკითხა ქალს:

– რა გაქვს სასაცილო, საბრალოვ, შვილის მკვლელ დედას უნდა ეცინებოდეს და ამ წმინდა კედლებს აფარებდეს თავს?

– არავინ გკითხავს შენ! მე ზოგ–ზოგები ხომ არ გგონივარ ქვების სროლით გაგაგდებ აქედან! – ქუჩური ილეთი გამოიყენა ქალმა.

– რაო, რა თქვი? გრძელი ენაც გქონია. აბა, საკუთარი ენით აღიარე შენი აქ მოსვლის მიზეზი! – კი არ თქვა თითქოს ბრძანება გასცა ნიკამ და თვალებში ჩახედა.

– დიდი ამბავი ახლა – დაიწყო ქალმა თავის მართლებასავით – შემაცდინა. ცოლად წაყვანაზე უარი მითხრა, ის არის დამნაშავე, ცხოვრებაზედაც იმან ჩამაქნევინა ხელი! შემდეგ მეორე კაცის ალერსი მეტად მომეწონა, მესამე მეორეზე ძლიერად და ყოველდღე ახალ–ახალმა აჯობა, ვერ გავიგე ვისგან დავორსულდი, თორემ ბავშვს ნამდვილად არ მოვკლავდი ჰო, თუმცა მე არ მომიკლავს, აბა, სად მქონდა იმისი მოკვლის თავი, ძალიან ცუდი მშობიარობა მქონდა, დედამ მამშობიარა,

ბავშვი აიყვანა, ბიჭი იყო, „გაიზარდოსო“ თქვა და საჯდომზე შემოკრა ხელი, მაგრამ მე არ ვქენი და მოვაგუდვინე, იცი, რა კარგი ბავშვი იყო? მე თქვენ უჯიშო ხომ არ გგონივართ...

– დედა... დედა... რა უქნია! – წაიწუწუნა იქვე მდგომაა, შავგვრემანმა ქალმა – საკუთარი შვილი რავა მოკლა, ადამიანო მარტო თავისი სული კი არა საკუთარი დედაც ჩაუგდია ჯოჯოხეთში, მართლა სად მოვსულვარ აქ, მეგონა უცოდველ ხალხთან თუ მოვდიოდი და ბოროტმოქმედთა სამყაროში ამომიყვია თავი.

– თქვენ კი უდანაშაულო ბრძანდებით? – წყნარად შეეკითხა ნიკა.

– არა! უდანაშაულო რომ ვიყო აქაც არ მოვიდოდი ცოდვების გამოსასყიდლად, მაგრამ მე ასე მგონია ჩემი დანაშაული სხვებთან შედარებით, ჯოჯოხეთში ანგელოზის გამოჩენა იქნება და ვფიქრობ, შენდობასაც ექვემდებარება...

– მაინც რა არის ასეთი უმნიშვნელო დანაშაული, რომელიც ცოდვად არ მიგაჩნია?

– ენა! ჭორაობა მიყვარს ნამეტანი, დიდ სიამოვნებას მგვრიდა მეზობლებს რომ წავაჩხუბებდი და სეირს ვუყურებდი! ჩემს უბანში ორი მეზობელი უბრალო რაღაცაზე ერთი მეორეს ემდუროდა, რაღა ქალი ვიქნებოდი, თუ მათ შემდურებას არ გავამწვავებდი და ხეირიან ჩხუბს არ ვუყურებდი? ავდექი და მეც ერთ–ერთს ჭიშკარზე ძაღლის თავის ქალა ჩამოვუკიდე. ბუნებრივია, ძაღლის თავის ქალა ჯადოდ ჩაითვალა და მომდურავ მეზობელს დააბრალა... შეიქმნა მაგრამ, რა შეიქმნა, თბილისის ომი არაფერი გამოჩნდებოდა იმ ომთან, უბანი ორად გაიყო და ვერც კი წარმომედგინა ამდენი ცეცხლსასროლი იარაღი თუ ექნებოდათ ჩემს მეზობლებს, არა, სიკვდილით ბევრი არ მომკვდარა, ექვსი ადამიანი მოკვდა მხოლოდ და ცხრა სახლი დაიწვა, ერთმა მეზობელმა ეს აურზაური ჩემზე იეჭვიანა და მითხრა: – „გიჯობდის ენა თითის დასასველებლად და თითი წიგნის გადასაფურცლად გამოიყენო, თორემ ენამ დამბლა იცის და ხელებმა დაბუჟე-

ბაო“ – რაღა ქალი ვიქნებოდი, ასეთი ქარაგმულად ლაპარაკი რომ მეპატიებინა. ავდექი და მისი ღორები, მუხის ძირში რომ ჰყავდა დაბმული, სხვა მეზობლის ყანაში შევრეკე, მაგრამ ეს მეზობლები ჩემზე ჭკვიანები აღმოჩნდნენ დაიჭირეს ყანაში ერთ–ერთი ბურვაკი, დაკლეს და მთელი უბანი აქეიფეს უსინდისოებმა. მე კი არ დამპატიჟეს ჩემს წამოწყებულ საქმეზე, განა ეს მოსაწონია მათი მხრიდან და შეცოდება ჩემი მხრიდან? დიდება უფალს, ღმერთი გაარჩევს მტყუანსა და მართალს.

– და შენ მართალი გგონია თავი? – ჰკითხა იქვე მდგომმა სანდომიანი სახის საშუალოზე ოდნავ მაღალიმა გოგონამ, რომელსაც შვილის ნუკრის თვალები ძირს დაეხარა...

– ნეტა ვიცოდე, რაში ვარ დამნაშავე, გოგო! – გაიკვირვა პირველმა.

– არაფერში, როგორც ბრძანეთ ღმერთი გაარჩევს მტყუანსა და მართალს, მე კი აქ სიწმინდე იღვრებოდა მეგონა თითოეული ადამიანის სხეულიდან და სულიდან, თორემ არ მოვიდოდი! მეგონა როგორიც ჩვენი დედები იყვნენ უმწიკვლონი, ისეთივე იქნებოდით მათთვის ხომ დედათა მონასტერი სალოცავი ხატი იყო და არა თავშესაფარი რომლითაც უახლოვდებოდნენ უფალს და, პირველ რიგში, თავის სამშობლოს ავედრებდნენ, მეგონა, ჩვენმა თაობამ წინაპარზე მეტი იცოდა, რადგან თვითონ ეგზელერაცია წავიდა წინ, მაგრამ შევმცდარვარ, რადგან ცოდნის პროგრესი კი არ ყოფილა, უვიცობის ჭაობში ჩავვარდნილვართ და ვიხრჩობით! ქვეყნის დასაბამიდან ჩვენი მამული და ქართველი ერი გამოირჩეოდა ღვთისმოსაობით, არც ღმერთი გვივიწყებდა სარწმუნოების მტკიცედ დაცვისა და შენახვისათვის, უფალი რჯულს, ენასა და ზნე–ჩვეულებებს გვინარჩუნებდა ქართველი ერი არასოდეს ყოფილა სხვისი მონა, სახელი და ხმა ერისა, მხნეობა და მამაცობა ყოველთვის ქუხდა მთელს მსოფლიოში! მტერი ყოველთვის ფერხთ გვეგებოდა, ახლა კი ვხედავ, რაც მოგვსვლია! შეგვირცხვენია წინაპართა საფლავი და ეს არის! განა ჩვენ არა

ვართ შვილნი მამა–პაპათა, განა ჩვენ არა გვაქვს ძალა და არ შეგვწევს სიმხნევე, რაოდენიც ჩვენს წინაპრებს ჰქონდათ? მაშ, რატომ ვსუნთქავთ ან რისთვის ვარსებობთ?

დედათა მონასტერი საქართველოს დედოფალთა წმიდათაწმინდა სალოცავი იყო მუდამ, თვით პეტრე პირველის ცოლი, ევდოკია ლოპუხინა, მონაზვნად აღიკვეთა რუზდალსკში – პოკროვსკის დედათა მონასტერში და ევდოკია ელენედ მონათლა! მუდამ სახელი იყო ლოცვით ღმერთთან მიახლოვება, ერი – თუ ბერი, გლეხი – მდაბიო, თუ მეფე – არისტოკრატი თაყვანს სცემდა უფალს! როგორც გაზაფხულის მზე აცოცხლებს ბუნებას, ანიჭებს სითბოსა და ნაყოფიერებას, ასევე სარწმუნოება ანათებს ადამიანის გონებას, გულსა და უკვდავ ქმნის სულს! ვიცი მკითხავთ, „რატომღა ვარ აქ და საჩქაროდ გადმოვალაგო ჩემი ცოდვები“. – გეტყვით: – არცა მაქვს ცოდვები და არც ვინანიებ საკუთარ ცოდვებს მოვსულვარ ცხრა აპრილს დაღუპულ მამულიშვილთა სულის სადიდებლად და ღმერთთან აღთქმა მაქვს დადებული, სანამ მათ დიდების ძეგლს არ დაუდგამან იქ, სადაც დაეცენ, მეც აქ ვიქნები და ვილოცებ მათი სულის სადიდებლად!

– ბარაქალა შენს ქალობას! ვიცოდი, საქართველოს ეყოლებოდა შენისთანა ქომაგი! – უთხრა ნიკამ და ღრმად ჩახედა თვალებში, რადგან უფრო სარწმუნოდ გაეგო, თუ რაიმე იფარებოდა სულის მიღმა, რომ ვერაფერი ხინჯი აღმოაჩინა განაგრძო, – თქვენ თუ არ ვცდები, ეკა გქვიათ, ხომ სწორია?

– დიახ! საიდან იცით?

– არსაიდან, უბრალოდ შემთხვევით წარმოვთქვი, მიყვარს ეს სახელი! გთხოვთ, ამ წუთში დატოვოთ აქაურობა და ქალაქის პირველ საავადმყოფოში წახვიდეთ, იქ მედდად მიგიღებენ, სწორედ იქ ჭირდები სამშობლოს!

– არავითარ შემთხვევაში, მე არ ვუღალატებ ფიცს, აქ დედები თუ ახლები არიან, კედლებია ძველი და წინაპართა სული ტრიალებს ამ მონასტერში!

– გიბრძანებ! – კბილებში გამოცრა ნიკამ და თვალებში ჩახედა გოგონას.

– საავადმყოფოში ვინ ვიკითხო? – წყნარად შეეკითხა ქალიშვილი.

– მთავარი ექიმი იკითხე გაგი მშვენიერაძე, უთხარი, რომ ნიკამ გაგაგზავნა. შენი ადგილი აქ არ არის, ხომ ხედავ რა უხამსობა იმალება ამ კედლების მიღმა, ნარკომანია, ლოთობა, პროსტიტუცია, მკვლელობა, ქურდობა და გაუგონარი საზარელი ბანიც კი. სპერმაზოიდის მოპარვა გაგიგია? დიახ ასეთი ქურდიც აფარებს აქ თავს.

ეკა მონასტერში აღარ შესულა, კარებთან ამოკვეთილ ჩუქურთმას ეამბორა, პირჯვარი გადაისახა და ტანსაცმელიც არ გამოუცვლია, ჩქარი ნაბიჯით დაუყვა დაღმართს...

* * *

მეორე დღეს, დილით ხალხი განცვიფრებული შესცქეროდა ნანგრევებად ქცეულ დედათა მონასტერს ყველა ერთხმად ამტკიცებდა, მიწისძვრის ეპიცენტრი იყოო მონასტერი და ხალხსაც სჯეროდა, მაგრამ ბუნებრივ მოვლენებში უფრო ღრმად ჩახედულმა მამაკაცმა თქვა:

– რა მიწისძვრა, რისი ეპიცენტრი, როდესაც ირგვლივ არცერთ შენობას ბზარიც არა გასჩენია, უდავოა, აქ ბოროტმოქმედის ხელი ურევია!

– რას ამბობ, მონასტერს ააფეთქებდნენ? – გამოესარჩლა ვიღაც ჭარმაგი მამაკაცი პირველ მთქმელს.

– არ მინდა ეჭვით ვილაპარაკო, მაგრამ ფაქტი მალაპარაკებს! ვიღაცას ხელს აძლევდა ამის დანგრევა, ბევრი საიდუმლო შეუნახავს ამ კედლებს და ამ საიდუმლოებასაც შეინახავს მე კი დღესვე გავუხსნი მშენებლობის სამმართველოს ანგარიშს და ხვალიდანვე დაიწყება დედათა მონასტრის ძველ ფუძეზე ახალი მონასტრის მშენებლობა! ყველა ღონეს ვიხმარ, არ დაიკარგოს ძველი მონასტრის არც ერთ ქვა, არც ერთი კენჭი და დედათა მონასტრის მშენებლობა, საჩქაროდ

დასრულდეს, რომ მოქმედებაში დედა–ღვთისმშობლის დაბადების დღიდან შევიდეს!

– ვინ არის? გაისმა ჩურჩული შეკრებილთა შორის.

– ვინ უნდა იყოს, ქართველია, ერისკაცი, მამულისათვის და სარწმუნოებისათვის თავდადებული! – უპასუხა ხმამ შეკრებულთა შუა ადგილიდან და დასძინა: – მე კი გასამრჯელოს გარეშე ვიმუშავებ მონასტრის დამთავრებამდე!

ადგილზევე შედგა უფასო მშენებელთა სია. მშენებლობა მეორე დღიდან უნდა დაწყებულიყო, იმ დღეს კი საგანგებო სიტუაციების სამსახურის თანამშრომლები ნანგრევებიდან გვამებს იღებდენ.

* * *

– სადა ხარ, ბიჭო. შენზე დარდითა და ლოდინით ამომიღამდა თვალები – უსაყვედურა ელგამ შვილს და უძილარი თვალებიდან ცრემლი მოიწურა.

– რას დარდობ, დედა ხომ გითხარი, ქრისტეს მოსვლამდე არ მოვკდები–მეთქი! – ღიმილით უპასუხა ნიკამ.

– შენზე მგონი მართლა მოქმედებს რაღაც ზებუნებრივი ძალები. აბა, როგორ შეიძლებოდა იმ თოკისაგან თავის განთავისუფლება, რომლითაც მე შეგბორკე, მამაშენი ვერაფრით ვერ დავაჯერე, რომ მე არ დაგეხმარე და კბილით არ გავხსენი თოკი!

– ახლა სად არის მამა?

– საავადმყოფოდან დაურკეკეს საჩქარო ოპერაციაზე, სადღაც, რომელიღაც შენობა დანგრეულა, შიგ მაცხოვრებელნი ყველანი დაღუპულან, ორი თუ სამი ადამიანი გადარჩენილა მხოლოდ, ისინიც ძლიერ ყოფილან დაშავებულნი.

– ჰო, მეც გავიგე ეს, დაშავებულები კი მამაჩემის ჩარევის გარეშეც გადარჩებიან, ალბათ არ იყვნენ განწირულნი ჯოჯოხეთისთვის! მამა რომ არ არის სახლში, კარგია, შენთან სალაპარაკო მაქვს, თანაც სერიოზული!

– მოყევი, ოღონდ ცუდი არაფერი მითხრა, შეიძლება გულმა ვერ გაუძლოს და სიკვდილს კი არ ვწუხვარ ჩემსას, არ მინდა შენ დაგამწუხრო!

– კარგს ვერაფერს გეტყვი, მაგრამ ვიცი, არ მოკვდები, რადგან ჩემს ცუდ განზრახვას კეთილი დასასრული აქვს..

– ეჰ, შვილო არა მგონია ჩემს ცხოვრებას კეთილი დასასრული ჰქონდეს, შენ იყავი ჩემი სიცოცხლეცა და სიკეთეც, ბევრი ღამე მითენებია შენს აკვანთან ტკბილი ფიქრებით, ეს ღამეც წავიდა, ვითარცა სიზმარი, მხოლოდ ამჟამად ტკბილი ოცნება ჯოჯოხეთურმა ფიქრებმა შეცვალა, მაქვს საგანი საძაგელი ფიქრისა, ნუთუ სადღაც დავუშვი შეცდომა და ვერ აღგზარდე ქრისტიანულად, ნუთუ არა ვარ კარგი დედა და ვერ აღვზარდე კარგად ერთადერთი შვილი, რადგან მეტი არ გაიმეტა ღმერთმა ჩემთვის? შეიძლება ცხოვრებაში ვერ შეეთვისო ადამიანს, მაღალი გრძნობის გეგონოს და უგულო გამოდგეს, ქრისტიანული სული ამაღლებული გეგონოს და საერთოდ არ გააჩნდეს. გონიერი გეგონოს და ადამიანური ნიჭი საერთოდ არ ჰქონდეს. შეიძლება მწუხარების ცრემლი მოსდიოდეს თვალთაგან, მაგრამ არა სიბრალულისა, შენ მიმართ ცრემლს ახლდეს ნიშანი ცბიერებისა და წვეთი საწამლავისა ცხოვრებაა ასეთი და ამ ტანჯვას შეეგუება ადამიანი, რადგან ფიქრობ არასწორად სატანურად აღუზრდია მშობელსა და საზოგადოებას, მაგრამ როგორ გინდა შეეგუო ფიქრს, როდესაც საკუთარი შვილი ვერ აღგიზრდია და გქვია დედა?

– რას ხედავ ჩემში დედა ცუდს, ან შენ რატომ იდანაშაულებ თავს, როდესაც ჩემს აღზრდაში აღზრდაში ბრალი არა გაქვს. ნეტა მანახა კაცი, რომ მადლიერი იყოს პირველად შვილის და შემდეგ ამ ქვეყნიური ცხოვრებისა! სულის სიმშვიდე, გულის უმანკოება, უმაღლესი სიამე, ჭეშმარიტი ბედნიერება არა არსებობს დედა! თუ არსებობს და შეუმჩნეველია! რადგან მწარეა ბოლო მისი! რაც შეეხება ჩემს აღზრდას, შენ უმანკო ხარ, ადამიანი სანამ დაიბადება, მანამ წყდება მისი

ბედი უზენაესისგან, ის ან ღმერთის მსახური უნდა იყოს, ან ეშმაკისა. შემეკითხები „ვინ წყვეტს ბედს კაცისას“ ღმერთი თუ ეშმაკი?“ – არც ერთი არც მეორე, ადამიანი თვითონ წყვეტს თავის ბედს, წინაპრის ცოდვა შეიძლება შთამომავალმა გამოასწოროს და ლოცვებით ამოიყვანოს ჯოჯოხეთიდან, მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოასწორებს თავის ცოდვებს წინაპარი, რომ გაანთავისუფლოს შთამომავლობით გადაცემული ცოდვებისაგან მომავალი თაობა! რას იზამ, ჩვენ ვიტვირთეთ წინაპართა ცოდვანი და უნდა ვზიდოთ!

– რაში მდგომარეობს მათი ცოდვა, მკვლელები არიან?

– არ ვიცი, მკვლელი იყო მოსე, მაგრამ ღმერთმა აპატია და ისრაელის მწყემსად დააყენა, ალბათ არსებობს მკვლელობაზე მეტი ცოდვაც, რომელიც შენდობას არ ექვემდებარება!

– „სერიოზული სალაპარაკო მაქვსო“. რომ მითხარი ეს იყო სულ, თუ კიდევ გაქვს რაიმე სათქმელი?

– ჯერ არც დამიწყია და არც ვიცი საიდან დავიწყო, მეშინია წყენა არ დავიმსახურო შენგან და ტკივილი არ მოგაყენო...

– თქვი, ნუ გეშინია, ამ ორიოდე დღეში ისე შემაჩვიე ვარამს, ალბათ შენგან სიკეთეს ველარც შევითვისებ.

– ცრუობ, დედა, ვერ მომატყუებ, რადგან ამჟამად ქვეყნის სიბრძნეს ვფლობ, ახლა მესმის შენი და ვგრძნობ იმ პირველი კოცნის სიტკბოსა და ძალას, როდესაც ახალშობილს მაკოცე და მე ვერაფერი გავიგე, არსებობს მეორეც ასეთივე კოცნა, შვილი ვალს უხდის მშობელს და მიცვალებულს კოცნის, ამ კოცნის ძალასა და სიტკბოს მშობლის სული იმ ქვეყნად გებულობს! დედა–შვილობა ტრაგედიაა, სიამტკბილობისა და ამასთან ერთად უსიამოვნების ოკეანე! სიყვარულითა და სიხარულით დაწყებული და წყენით და ცრემლით დამთავრებული, მაგრამ მაინც სათაყვანებელი და განუმეორებელი! მიმძიმს, დედა, შენთან განშორება! ამიტომ ჩემთან უნდა წამოხვიდე!

– ნეტა სად გადაგიწყვეტია წასვლა, შორს მიდიხარ?

– იორდანიაში.

– შორს გაგიწევია, რომ განაპირობა შენგან სამშობლოს დატოვება, აქ რომ ნორმალურად იცხოვრო, რა გიშლის ხელს?

– ნუ დამცინი, ეს ბრძანებაა და უნდა შევასრულო, საქმე ის არის, რომ იორდანიაში ტამპლინებმა ჩაფლეს წმინდა მარტინის ფარი ეს ფარი კი მის მფლობელს დიდ ძალას აძლევს, ფარი მე უნდა ამოვიღო, ასეთია ბრძანება!

– იორდანია სეიფი ხომ არ არის, მიხვიდე, გატეხო გამოიღო ძლევამოსილი მარტინის ფარი, და წამოხვიდე, მე როგორც ვიცი, იორდანია არც თუ ისე პატარა სახელმწიფოა ახლო აღმოსავლეთში, დაახლოებით ასათას კვადრატულ კილომეტრზე მეტი, სად გინდა მიაგნო ტამპლინების მიერ ექვსასი წლის წინ დამარხულ წმინდა მარტინის ფარს, დაჟანგებული იქნება ახლა ის ფარი...

– ისევ დამცინი, წინ წამიძღვებიან და მაჩვენებენ სადაც არის დაფლული, დაჟანგვით კი წმინდა მარტინის ფარი არ დაიჟანგებოდა ის წმინდაა და წმინდა საგნები არ იჟანგება!

– შენ რატომ გინდა გაითვისო ის ფარი, შთამომავლობით გეკუთვნის თუ ანდერძით?

– არა, ის მე არ მეკუთვნის, მაგრამ უნდა დავისაკუთრო, რომ გავხდე უძლეველი, მე მას დავისაკუთრებდი, რომ თითები არ დაეჭრათ ჩემთვის, ახლა კი მომიწევს ბრძოლა, შეიძლება დავმარცხდე კიდეც!

– ვისთან აპირებ ბრძოლას იმ ფარით, თუ დაისაკუთრე?

– ვისთანაც ანტიქრისტე მიბრძანებს!

– ანტიქრისტემ ქრისტესთან უნდა იბრძოლოს, ასეა დაწერილი, შენც ქრისტესთან აპირებ ბრძოლას? მე შენ უფრო ადვილად დაგთმობ, შვილო, ვიდრე ქრისტეს რჯულს, წადი ნახე ის ფარი, პირველად მე შემებრძოლე, დამამარცხე და შემდეგ წადი ქრისტესთან საბრძოლველად!

მე უშენოდ არსადაც არ წავალ, დედა! შენ უნდა წამოხვიდე ჩემთან!

– მერე მამაშენი დავტოვოთ?

– უნდა დავტოვოთ, თქვენ ბედნიერები ერთად არასდროს იქნებით, მამაჩემი ჯერ ახალგაზრდაა...

– რატომ არ იბრძვი საკუთარ თავთან, რომ ადამიანმა აჯობოს სატანას და ადამიანური გზით იარო?

– აი, ამიტომ მინდიხარ გვერდით, შენი დახმარებით შეიძლება შევძლო თავის დახსნა სატანისაგან...

– არა, შვილო, მე არსადაც არ წამოვალ, პირველად მამაშენი გავიცანი, მასთან ვეზიარე პირველ სიყვარულს და მასთან უნდა მოვკვდე, შემდეგ ხარ შენ ჩვენი სიყვარულის ნაყოფი! მართალია საკუთარ თავზე მეტად მიყვარხარ, მაგრამ მამაშენიც მიყვარს, ვერ ვუღალატებ, ვერ დავტოვებ მარტო! შენ შეგელევი, წადი ღმერთმა დალოცვილი გატაროს.

– ვიცი, რომ გიყვარს, დედა! მაგრამ გამიგე თქვენი ერთად ყოფნა არ შეიძლება, ცოდვაა კაცი უშვილძიროდ უნდა გადაშენდეს, თუ გიყვარს შენი სიყვარული მსხვერპლად უნდა შესწირო, რომ ერთ–ერთი თქვენთაგანი მაინც იყოს ბედნიერი, მეტი გზა არ არის. უნდა შეძლო, მე დაგეხმარები.

– ეს შეუძლებელია, მე გაგი შემძულდეს, განა ის აიტანს, ჩვენს განშორებას?

– იმას უკვე შეუჯდა სიძულვილის ჭია, სხვა უნდა შევაყვარო, ვიცი გიჭირს, მაგრამ მოემზადე, მამის მოსვლამდე უნდა წავიდეთ, დაყოვნება არ შეიძლება დამიჯერე, ვიღუპებით და ვღუპავთ მამასაც, უდანაშაულო და უმწიკლო ადამიანს!

– გამოვმშვიდობებოდით მაინც!

– არა, შემდეგ გაგიჭირდება განშორება!

– წერილიც არ დავუტოვოთ?

– წერილი კი, მე გიკარნახებ და რასაც გეტყვი, სიტყვა–სიტყვით დაწერე.

ნიკამ წიგნების კარადა გამოაღო, რამდენიმე ფურცელი და საწერკალამი გამოიღო, საწერ მაგიდაზე დააწყო, სავარძელი გამოწია და დედას თხოვა დაბრძანებულიყო, უჭირდა ელგას საყვარულ მეუღლესთან გამოსათხოვარი წერილის

დაწერა, მაგრამ მაინც ჩაჯდა სავარძელში, ფურცლები გაასწორა, საწერკალამი აიღო და წერილის დასაწყისში მოქარგა მისთვის ყველაზე ლამაზი სიტყვა:

– „გაგი“!

როდესაც ამ წერილს ვწერ, ნეტა იცოდე როგორ მიძნელდება, არა, წერილის დაწერა კი არა, სიმართლის თქმა: საქმე ის არის, რომ მთელი ცხოვრება გატყუებდი და ახლა მეტი აღარ შემიძლია, გადავწყვიტე სიმართლე გითხრა, სირცხვილით თვალებში ვეღარ შემოგხედო და სამუდამოდ გაგეცალო, თითოეული ადამიანი სიმართლის სანთელი უნდა იყოს, უნდა იწვოდეს და გზას ინათებდეს ჭეშმარიტებისაკენ, ქრისტე კი სანთელ–ადამიანზე ამბობს: „სხეულის სანთელი არის შენი თვალი, თუ შენი თვალი სუფთაა, მთელი შენი სხეულიც ნათელი იქნება. ამიტომ ნახე, რა არის შენში, ნათელი თუ ბნელი? თუ ნათელით აღსავსე ხარ, ისე რომ ერთი კუნჭულიც არა გაქვს ბნელი, მაშინ შენი სხეული მთლიანად ნათელი იქნება ისე, თითქოს სანთლის ელვარება ბრწყინავდეს შენში“.

ჩემში კი არ ბრწყინავს ელვარება სანთლის და მინდა გამობრწყინდეს. მოძღვარს ვთხოვე შენდობა. მითხრა, რომ პირველად შენ უნდა მაპატიო, წინააღმდეგ შემთხვევაში ღვთიური ზიარებაც არ გადმოვა ჩემზე. მე სადაც არ უნდა ვიყო, შენს გულში ნათქვამ პატიებას იქ იგრძნობ და მადლიერების გრძნობით დავიფერფლები. ვიცი ძნელია ოჯახის დანგრევა, საკუთარი ოჯახის კვამლი ჯობია სხვის მოგიზგიზე ბუხარს, მაგრამ რა ვქნა, როდესაც სხვაგვარად არ შემიძლია?

გაგი! ოჯახის დამხობა, გათახსირება და მავანთა შეურაცხყოფა მაშინ იწყება, როდესაც ქალი თავის ოჯახურ მოვალეობას ივიწყებს და აღვირახსნილობას იწყებს, ამრიგად მამაკაცებმა არ იცით, რომ ქალების კატეგორია მრავალგვარია და მრავალფეროვანი, სწორედ იქ წაგაქცევს ქალი წუმპეში და ამოგსვრის, სადაც არ მოელი, ტყუილად კი არ

დაანათლა ღმერთმა კაჭკაჭის ენა, მხარს მოგიქცევს, ღრუბლის ცრემლს მოიშველიებს და სხვის ჩახდილს ამოგაწევინებს! ამიტომ კაცმა უნდა იცოდეს, რომ ქალის ცრემლსა და ენას, ყოველთვის წვიმა და მუნჯის ენა ჯობია. შენ არ იფიქრო, ყველა ქალი ისე აზროვნებს, როგორც მე! როგორ გეკადრება, ქალს სიყვარულიც შეუძლია! ამიტომ შეარჩიე, ჯერ შენ ახალგაზრდა კაცი ხარ, ცხოვრება წინ გაქვს, ოჯახსაც შექმნი და შვილებიც შეგეძინება შენი, ნაღდი და არა ისეთი, როგორიც მე გაგიზარდე. იქაც გიღალატე და აქაც გღალატობდი გაგი! მე შენ არასოდეს არ მყვარებიხარ, გულს მირევდა შენთან სიახლოვეც, მაგრამ ვითმენდი, მეგონა შეგეჩვეოდი, არ გამოვიდა, ვერ შეგეგუე – ბავშვიც შავი მაგიით შეპყრობილი გამოვიდა და თავის სამშობლოსაკენ ეწევა გენები, რა ქნას, იქაური მამა ეძახის! შენ კი სამოგზაუროდ ნუღარ წახვალ, ოჯახში, შენს სახლში მოიყვანე ის, ვინც შენს გულში ჩასახლდება, რომელიც ღმერთმა გამოგიგზავნა... თუ გიყვარდი, შეგიძლია გამომიტირო, ეს ნაბიჯიც ხომ იგივე სიკვდილია, რადგან ჩვენ ვეღარასოდეს ვერ ვნახავთ ერთმანეთს, ალბათ, საიქიოშიც გაიყრება ჩვენი გზები!

– „ელგა.“

– რა ჰქენი, დაწერე როგორც გიკარნახე?

– დავწერე, მაგრამ მაინც ვერ გამიგია, რისთვის ვიცრუო, რატომ დავისხა თავს ლაფი და იმ კაცს მოვაჩვენო მოღალატედ თავი ამ წუთშიც საკუთარ სიცოცხლეზე მეტად მიყვარს; გესმის?!

– სწორედ მაგ სიყვარულში გამოიხატება შენი სულგრძელობა დედა! „ერთის უბედურების გარეშე, მეორის ბედნიერება არ არსებობს“ მამა ღირსია იყოს ბედნიერი!?

– უბრალოდ სიმართლე დამეწერა, რომ მიყვარს, მაგრამ არ შემიძლია არ მივატოვო!

– თუ შენს სიძულვილს არ იგრძნობდა, დიდხანს ეყვარებოდი, დაიტანჯებოდა კაცი და ცოლის მოყვანას არ იფიქრებდა, ახლა, შენ ამ წერილით ზიზღი გამოიწვიე და ად-

ვილად დაგივიწყებს. ნუღარ ვაყოვნებთ, თორემ თვითმფრინავი ჩვენ არ დაგველოდება.

– ბილეთები გაქვს?

– ყველაფერი დაბრონილია!

ელგამ სახლის ყველა კარი და ფანჯარა გააღო, გასათხოვარი ქალივით მოიტირა, ცრემლით გამოემშვიდობა საყვარელ ოჯახს და კარებიც არ დაუკეტავს, ასე დატოვა სული და გული, გაგის საწოლში... მხოლოდ სხეული წაიღო სატანამ იორდანიაში...

# სარჩევი

ბოლო ზარი ..... 3

სიყვარულის ქარტეხილი ..... 120

CHAPIDZE GARI

LAST RINGER

DETECTIVE


რედაქტორი: – ც. გორდეზიანი

მხატვრული რედაქტორი: – ქ. ტრიპოლსკი

ტექნიკური რედაქტორი: – ნ. კაპანაძე

დიზაინერი: – ლ. ლაცაბიძე

**გამომცემლობა – „კოლორი“**